K 220485
3

საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური
ინსტიტუტი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დიმიტრი შველიძე

პოლიტიკური პარტიების წარმოშობა საქართველოში

ნაკვეთი I

ფედერალისტები

28

გამომცემლობა „არსი“ თბილისი 1993.

329(479.22) + 329(479.22)14

66. 6 (2 ს Г
Შ. 58

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წიგნში შესწავლილია საქართველოში პირველი ეროვნულ-პოლიტიკური პარტიის—სოციალისტ-ფედერალისტების წარმოშობის ისტორია. ამასთან, გადმოცემულია საქართველოში XX ს-ის დამდეგს არსებული სხვა პოლიტიკური მიმდინარეობების — ქართველი ანარქისტების, ესერების და ეროვნულ-დემოკრატების წარმოქმნა, რომელნიც თავდაპირველად ფედერალისტურ პარტიაში გაერთიანდნენ. ნაშრომში განხილულია გამოჩენილი ქართველი მოღვაწეების: არჩილ ჯორჯაძის, გიორგი ლასხიშვილის, გიორგი დეკანოზიშვილის, ვარლამ ჩერქეზიშვილის და სხვათა ეროვნულ-პოლიტიკური ნააზრევი და საქმიანობა.

რედაქტორი ფილოლოგიის მეცნ. კანდ. ლეილა ნანიტაშვილი

რეცენზენტები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ფარნაოზ ლომაშვილი;
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი უშანგი სიდამონიძე.

წიგნის სპონსორები: ჰუმანიტარულ-ეკონომიკური ინსტიტუტის
რექტორი, ქალბატონი მზია პაპიაშვილი და
მრავალდარგოვანი ფირმა „ხიონის“ გენერალური დირექტორი ბატონი მერაბ ხანთაძე

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული-ეროვნული

შესავალი

K 20983

პირველი პოლიტიკური პარტიები ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში და რომში წარმოიშვნენ. ცხადია, ისინი იყვნენ შედარებით მცირერიცხოვანი და ორგანიზაციულად გაუფორმებელი დაჯგუფებები, რომლებიც მხარს უჭერდნენ ამა თუ იმ პოლიტიკურ ლიდერს. რომში ხანგრძლივად მიმდინარეობდა ბრძოლა ფაქტიურად ორ ძირითად პარტიას — ოპტიმატებსა და პოპულარებს შორის. პირველნი წარმოადგენდნენ რომაული არისტოკრატიისა და სენატის პარტიას, მეორენი კი — სოფლის პლებსის და დემოკრატიული ფენების ნდობით სარგებლობდნენ. შემდგომშიც, პირველი და მეორე ტრიუმვირატების პერიოდში, პარტიათა შორის ბრძოლის გამოხატულება იყო ჯერ კეისარსა და პომპეუსს, ხოლო მოგვიანებით — მარკუს ანტონიუსსა და ოქტავიანეს შორის მიმდინარე ბრძოლა — ამ პიროვნებათა უკან პოლიტიკური დაჯგუფებები იდგნენ.

შუა საუკუნეების ევროპაში, იქ, სადაც აბსოლუტიზმს და მონარქიას ნიადაგი მოერყეოდა, წარმოიქმნებოდა ხოლმე პოლიტიკური დაჯგუფებები, რომელნიც პარტიებს მიაგავდნენ. ამგვარ პარტიებს წარმოადგენდნენ ფაქტიურად გველფები და გიბელინები XII—XV საუკუნეების იტალიაში. შორს რომ აღარ წავიდეთ, ჩვენს ისტორიას მივუბრუნდეთ. საქართველოს სამეფო ტახტზე თამარის ასვლის პერიოდში მოხდა მეფის მეჭურჭლეთუხუცესის, ყუთლუ-არსლანის ცნობილი გამოსვლა. მან „ითხოვა კარავი დადგმად ველსა ისანისასა და სახებსა საღოდებლისასა და თქვა — დასხდომილნი მუნ

შიგა, განმგებელნი მიცემისა და მიღებისა, წყალობისა და შერისხვისანი, ვჰკადრებდეთ და ვაცნობებდეთ თამარს, ბეგ-ფესა და დეღოფალსა, მაშინღა სრულ იქმნებოდეს განგებული ჩვენი"[1].

მეჭურჭლეთუხუცესი ერთპიროვნული მონარქიის შეზღუდვასა და სამეფო ხელისუფლებისადმი ოპოზიციური საკანონმდებლო ორგანოს შექმნას მოითხოვდა. რაც მთავარია, ყუთლუ-არსლანს თავისი დასი ჰყავდა, „თანაშეფიცულთა და თანაშემწეთა", რომელმაც ბოლომდე უერთგულა თავის პოლიტიკურ ლიდერს და სამეფო ხელისუფლებას მისი დასჯა არ დაანება. ყუთლუ-არსლანის დასი შუასაუკუნეობრივი ტიპის პარტიას წარმოადგენდა, ჰქონდა პოლიტიკური პლატფორმა და XII საუკუნის საქართველოში, არსებულ მმართველობაში დემოკრატიული ორგანოს დაფუძნების პოტენციურ ტენდენციას გამოხატავდა.

პოლიტიკური პარტიები, ამ სიტყვის თანამედროვე მნიშვნელობით, წარმოიშვნენ ევროპაში. ჯერ შეიქნა ბურჟუაზიული ტიპის პარტიები, ხოლო 1840 წლის 20 ივლისს, ინგლისში, მანჩესტერში, შეიქმნა პირველი მასობრივი მუშათა პარტია — „ჩარტისტების ეროვნული ასოციაცია". ამ პერიოდიდან პოლიტიკური პარტიების მოღვაწეობა, საქმიანობა და ურთიერთბრძოლა, ევროპის ქვეყნების, ხოლო შემდგომში მსოფლიოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების შემადგენელი ნაწილი გახდა.

XX ს-ის დასაწყისში საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ასპარეზზე არაერთი პოლიტიკური პარტია და მიმდინარეობა გამოვიდა: სოციალისტ-რევოლუციონერები, ანარქისტები, ეროვნულ-დემოკრატები, სოციალისტ-ფედერალისტები... აღნიშნული პარტიების ისტორია ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი ნაკლებად შესწავლილი საკითხთაგანია. არც ერთი მათგანის შესახებ არ არსებობს მონოგრაფიული გამოკვლევა, რომელშიც სისტემატური სახით იქნებოდა შე-

---

[1] ქართლის ცხოვრება. ტომი მეორე. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1959. გვ. 31.

სწავლილი ამა თუ იმ ზემოხსენებულ პარტიისა თუ ჯგუფის წარმოშობის, ევოლუციის ისტორია, მათი პროგრამები, პრაქტიკული საქმიანობა.

XX ს-ის დასაწყისში საქართველოში წარმოქმნილი პარტიებიდან გამოირჩეოდა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია. ფედერალისტები ცდილობდნენ ეროვნულ ნიადაგზე გაეერთიანებინათ სხვა პარტიები და მიმდინარეობები, მოეხდინათ ეროვნულ-პოლიტიკური ძალების კონსოლიდაცია და ამ გზით გამოეგლიჯათ ხელიდან ვანმათავისუფლებელი მოძრაობის სადავეები სოციალ-დემოკრატიისათვის, რომელიც საქართველოში ყველაზე გავლენიანი პოლიტიკური ორგანიზაცია იყო. გარკვეული პერიოდის მანძილზე ფედერალისტთა პარტია თავის რიგებში აერთიანებდა კიდეც ქართველ ანარქისტებს, ესერებს, ეროვნულ-დემოკრატებს, ამიტომაც, საქართველოს პოლიტიკური პარტიების შესწავლის გზაზე სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის ისტორია, უპირველესი ბარიერია, რომელიც მკვლევარმა უნდა დაძლიოს.

როგორც აღვნიშნეთ, მართალია სოციალიზმ-ფედერალიზმის ისტორია საქართველოში მონოგრაფიულად არავის შეუსწავლია, მაგრამ აღნიშნული პრობლემის ცალკეულ საკითხებს არაერთი ქართველი ისტორიკოსი შეეხო.

ერთ-ერთი პირველი ქართველი ისტორიკოსი, რომელმაც განიხილა XIX ს-ის 90-იანი წლების ქართულ პუბლიცისტიკაში წარმოქმნილი ახალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმდინარეობანი, იყო ს. ხუნდაძე. თავის საყურადღებო ნაშრომში „სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში"[2], ს. ხუნდაძემ დაწვრილებით განიხილა იმ მოღვაწეთა პუბლიცისტური მემკვიდრეობა, რომლებმაც 1900-იან წლებში საფუძველი ჩაუყარეს ფედერალისტურ იდეოლოგიას. მკვლევარმა მართებულად აღნიშნა და დაასაბუთა, რომ ა. ჯორჯაძემ „საერთო მოქმედების" თეორიის სახით თავი მოუყარა და პროგრამული სახე მისცა ჯერ კიდევ XIX ს-ის 90-იან წლებში წარმოქმნილ ცალკეულ ბურჟუაზიულ-ეროვნულ იდეებს.

---

[2] ს. ხ უ ნ დ ა ძ ე, სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში, ტ. II, თბ., 1927.

ს. ხუნდაძის ნაშრომი საყურადღებო მოვლენა იყო ქართულ ისტორიოგრაფიაში და თითქმის სამ ათეულზე მეტი წლის განმავლობაში, მეტ-ნაკლებად ობიექტურ წარმოდგენას აძლევდა მკითხველს, საქართველოში არამარქსისტული სოციალისტური მოძღვრების გავრცელების, XIX ს-ის 90-იანი წლების საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმდინარეობების შესახებ.

სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის საქმიანობის ზოგიერთ მხარეს შეეხო გრ. გიორგაძე[3]. მან ს. ხუნდაძის მსგავსად მიიჩნია, რომ სოციალისტ-ფედერალისტებმა „მიიღეს სოციალისტური ხაზი და საფუძვლები", ხოლო ამ პარტიის „გაწმენდა და შემადგენლობის მხრით ჩამოყალიბება" მოხდა პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ. ავტორი თავს იკავებს როგორც აღნიშნული დებულების, ისე საერთოდ თავისი შეხედულებების მეცნიერული დასაბუთებისაგან და უმთავრესად მსგავსი ცალკეული განცხადებებისა და კონკრეტულ-ისტორიული მასალის გადმოცემით კმაყოფილდება.

1932 წელს გამოვიდა ფ. მახარაძის ნაშრომის „1905 წელი ამიერკავკასიაში", მეორე შესწორებული გამოცემა. ავტორი შეეხო 1905—1907 წლების რევოლუციის პერიოდში საქართველოში მოქმედ არაპროლეტარულ პოლიტიკურ პარტიებს. ფ. მახარაძის აზრით, ფედერალისტების პარტია „იყო ნამდვილი წვრილბურჟუაზიული, თავადაზნაურულ-კლერიკალური პარტია"[4], რომლის პროგრამაშიც არაფერი იყო „არც რევოლუციური და არც სოციალისტური". ავტორი გვერდს უვლიდა ფედერალისტური პარტიის „თავადაზნაურულ-კლერიკალური" ხასიათის მეცნიერულ დასაბუთებას და მხოლოდ ტენდენციური შეფასებებით კმაყოფილდებოდა.

ი. მირცხულავამ შეისწავლა საქართველოს პოლიტიკური პარტიების, მათ შორის სოციალისტ-ფედერალისტების აგრარული პროგრამები. ბოლშევიკური პარტიის აგრარული პრო-

---

[3] გრ. გიორგაძე, საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში ბატონყმობის გადავარდნიდან პირველ რევოლუციამდე, 1864—1905, თბ., 1928.

[4] ფ. მახარაძე, 1905 წელი ამიერკავკასიაში, თბ., 1932, გვ. 301.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრამის აბსოლუტიზაციის მიზნით, მან ბრალი დასდო ფედერალისტებს, რომ აგრარულ საკითხში მათ აინტერესებდათ არა სოციალური, არამედ მხოლოდ ეროვნული მხარე, რითაც თიქოს ემსახურებოდნენ არა მშრომელი გლეხობის, არამედ კულაკური ფენების ინტერესებს.[5]

ქართველი ბოლშევიკების ეროვნული პროგრამის დაცვის ისტორიის შესწავლას მიეძღვნა ერ. ახობაძის მონოგრაფია"[6]. ავტორმა უაღრესად ტენდენციურად განიხილა „საერთო ნიადაგის" თეორია, მთლიანად გაიზიარა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის „ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური" კვალიფიკაცია და თითქმის არ აღუნიშნავს აღნიშნული პარტიის მოღვაწეობაში რაიმე პოზიტიური მხარე.

იგივე ითქმის ყველა იმ ისტორიკოსზე, რომელნიც, ერთი სიტყვით მაინც შეხებიან ფედერალისტური პარტიის მოღვაწეობას.

ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ამ საყოველთაო ნეგატიური შეფასების ფონზე, ერთადერთი გამონაკლისი იყო უშანგი სიდამონიძის უაღრესად საინტერესო, მით უფრო იმ დროისათვის თავისი ობიექტურობით გამორჩეული წერილი, „ეროვნული საკითხის ისტორიოგრაფიიდან (1917 წელი)"[7].

მკვლევარმა ჩვენი დროის ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველმა მიუთითა, რომ ფედერალისტური პარტიის რაობის დასადგენად საჭირო იყო ევოლუციის გათვალისწინება, რომელიც აღნიშნულმა პარტიამ განიცადა. სწორედ ამ მომენტის გათვალისწინებამ უ. სიდამონიძეს საშუალება მისცა გაეკეთებინა დასკვნა, რომ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია წარმოადგენდა არა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურს, რო-

---

[5] ი. მირცხულავა, აგრარულ-გლეხური საკითხი საქართველოში, 1900—1917 წწ., თბ., 1964.

[6] ერ. ახობაძე, ეროვნული საკითხის ისტორიიდან საქართველოში (1900—1917 წწ.) წ, თბ., 1965.

[7] უ. სიდამონიძე, ეროვნული საკითხის ისტორიოგრაფიიდან (1917 წ.), იხ. კრებული, ქართული ისტორიოგრაფია, I, თბ., 1968.

გორც ეს მანამდე იყო მიჩნეული, არამედ ტიპიურ წვრილ-ბურჟუაზიულ (და დემოკრატიულ) პარტიას. ეს იყო ორმხრივ-დგომი პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში ფედერალისტური პარტიის ობიექტური შეფასების პირველი ცდა, რომელიც ცხადია, არავის გაუზიარებია.

1972 წელს გამოვიდა „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ VI ტომი[8]. ერთ-ერთ თავში, „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში 1905—1907 წლებში“, მის. გაფრინდაშვილმა მეტ-ნაკლებად სისტემატური სახით მოგვცა ფედერალისტთა პარტიის იდეური და პრაქტიკული მოღვაწეობის მოკლე ისტორიული მიმოხილვა და განავითარა საყურადღებო მოსაზრებანი ამ პარტიის სოციალ-პოლიტიკური ბუნების შესახებ. მკვლევარმა აღნიშნა ფედერალისტური იდეოლოგიის იდეური წარმომავლობა XIX საუკუნის განმანათლებლური და სალსოსნური დემოკრატიზმიდან.

განსაკუთრებით აღსანიშნავია გ. ჯანგველაძის მონოგრაფიული სასიათის ნაშრომი[9], რომელშიც, რა თქმა უნდა ქართველი ბოლშევიკების იდეალიზაციის ფონზე, მოცემულია ფედერალისტთა აგრარული, ეროვნული და პოლიტიკური მოთხოვნების წინააღმდეგ, სოციალ-დემოკრატიის ოცწლიანი ბრძოლის სისტემატური ისტორია. გ. ჯანგველაძემ გაიზიარა ფედერალისტთა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური კვალიფიკაცია, ყურადღება დაუთმო საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების დამოკიდებულებას ფედერალისტებთან, მემარცხენე ბლოკისტური ტაქტიკის განხორციელების ფონზე. აღნიშნული ნაშრომი საყურადღებო იყო ემპირიული თვალსაზრისით.

1980 წელს გამოქვეყნდა ა. ბენდიანიშვილის უაღრესად საყურადღებო ნაშრომი — „ეროვნული საკითხი საქართველოში, 1801—1921“. ავტორი ასაბუთებდა, რომ XIX ს-ისა და XX ს-ის პირველი ოცწლეულის მანძილზე, საქართველოს

---

8 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VI, თბ., 1972.

9 გ. ჯ ა ნ გ ვ ე ლ ა ძ ე, საქართველოს კომუნისტური პარტიის ბრძოლა ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პარტიების იდეური და ორგანიზაციული განადგურებისათვის (1903—1923), თბ., 1974.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სხვადასხვა თა-
ობათა მესვეურნი, პოლიტიკური ვითარების ცვალებადობათა
შესაბამისად იბრძოდნენ ხან პროგრამა-მაქსიმუმის — ეროვ-
ნული დამოუკიდებლობის, ხან კი პროგრამა-მინიმუმის —
ეროვნული ავტონომიის მოპოვებისათვის. არაიშვიათად, რო-
გორც ერთი, ისე მეორე ეროვნულ-პოლიტიკური ლოზუნგი-
სათვის ლეგალური საშუალებით ბრძოლა შეუძლებელი იყო
და აშკარა ასასვას ვერ პოულობდა პრესაში. ა. ბენდიანიშვი-
ლი მიმოიხილავდა ფედერალისტური პარტიის ეროვნულ
პროგრამას. მისი აზრით, „სოციალ-ფედერალისტები საერთო
დემოკრატიულ პლატფორმაზე იდგნენ, ბურჟუაზიულ-დემო-
კრატიული ამოცანების ფარგლებს არ სცილდებოდნენ და ავ-
ტონომიის მოთხოვნას ამ ამოცანების გადაწყვეტის საჭირო-
ებით ხსნიდნენ“[10].

XIX ს-ის 90-იანი წლების იდეურ-პოლიტიკურ მიმდინა-
რეობებს და XX ს-ის დასაწყისში წარმოქმნილ პარტიებს გა-
კვრით შეეხნენ თავიანთ ნაშრომებში: გ. მეგრელიშვილი,
ი. ანთელავა, გ. ჟვანია, გ. ზაქარიაძე, ა. სურგულაძე, პრ. რა-
ტიანი, ნ. პაპავა, ფ. ნადიბაიძე, ლ. გორგილაძე, ფ. ლომაშვი-
ლი და სხვ.

70-წლოვანი ოფიციალური ქართული ისტორიოგრაფიის
მიერ ეროვნულ-პოლიტიკური პარტიების, მათ შორის, ქარ-
თველ ფედერალისტთა პარტიის კვალიფიკაციის ტიპიური მა-
გალითი მოცემულია „საქართველოს კომუნისტური პარტიის
ისტორიის ნარკვევების“ პირველ ნაწილში. მასში „დასაბუთე-
ბულია“ ის გარემოება, რომ რევოლუციური მოძრაობის აღ-
მავლობამ საქართველოში გამოიწვია ლიბერალური ბურჟუ-
აზიის ამოძრავება, რომლის „მისწრაფებათა განსორციელების
ყველაზე საიმედო იარაღს ეროვნულ-დემოკრატია — ქართვე-
ლი ბურჟუაზიის ნამდვილ მსახურთა ჯგუფი წარმოადგენდა“.
ნარკვევებში ხაზგასმულია, რომ ფაქტიურად, „ქართველ ბურ-
ჟუაზიას დიდი სამსახური გაუწიეს სოციალისტ-ფედერალის-
ტებმა, რომლებიც მიუხედავად თავიანთი წვრილბურჟუაზი-

---

10 ა. ბ ე ნ დ ი ა ნ ი შ ვ ი ლ ი, ეროვნული საკითხი საქართველოში, 1801—1921, თბ., 1980, გვ. 174.

ული სოციალური ბუნებისა, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მდინარების ერთ-ერთ შენაკადს წარმოადგენდნენ[11].

ამის იქით ქართული „საბჭოური“ ისტორიოგრაფია აღარ წასულა. ორიოდე ჩვენს მიერ აღნიშნული ცდა, თუნდაც ფედერალისტური პარტიის მეტ-ნაკლებად ობიექტური შეფასებისა (უ. სიდამონიძე) თუ მოხსენიებისა (ა. ბენდიანიშვილი, მ. გაფრინდაშვილი), საერთო სურათს ვერ შეცვლიდა. მეტიც, 1970-იანი წლების შუა პერიოდიდან ქართულ ისტორიოგრაფიაში თითქმის მთლიანად შეწყდა არაპროლეტარული პარტიების ისტორიასთან დაკავშირებული პრობლემების შესწავლის ისედაც არაინტენსიური პროცესი.

როგორც ვხედავთ, ქართულ „საბჭოურ“ ისტორიოგრაფიას არაფერი აქვს თავმოსაწონებელი პოლიტიკური პარტიების ისტორიის შესწავლის სფეროში. ადმინისტრაციულ-მბრძანებლობითი და იმპერიული სისტემის ბატონობის პირობებში დიდი ხნით ჩაკვდა საქართველოში არსებული პარტიების შესწავლა, მათი დადებით კონტექსტში მოხსენიებაც კი.

უკანასკნელ წლებში, საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობამ მძლავრი იმპულსი მისცა თავისუფალი სამეცნიერო აზრისა და კვლევის განვითარებას. სამოქალაქო უფლებებში აღდგა ეროვნული ფასეულობანი. უაღრესად აქტუალური გახდა, წარსულში არსებული ეროვნულ-პოლიტიკური პარტიების შესწავლა. მეტიც, რამდენადაც დღევანდელ საქართველოში წარმოიქმნა პარტიები, რომლებიც XX ს-ის პირველ მეოთხედში არსებული პოლიტიკური პარტიების მემკვიდრეებად აცხადებენ თავს (ეროვნულ-დემოკრატიული, სოციალ-დემოკრატიული პარტიები, სოციალისტ-ფედერალისტები, რომლებმაც შემდგომში დაირქვეს ეროვნულ-სოციალური პარტიის სახელი), წარსულის პარტიების ისტორიის შესწავლამ საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობა მოიპოვა.

---

[11] საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები, სამ ნაწილად, ნაწილი პირველი, ბრძოლა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის, 1883—1921, თბ., 1986.

ეს უპირველესად ითქმის ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიაზე, რომელიც პირველი ეროვნულ-პოლიტიკური ორგანიზაცია იყო საქართველოში. მეტიც, როგორც ნაშრომში ვნახავთ, სწორედ ამ პარტიის შემადგენლობაში, ჯერ დაჯგუფებების სახით, გაერთიანდნენ და პოლიტიკურ მიმდინარეობებად ჩამოყალიბდნენ, სხვა ეროვნულ-პოლიტიკური ორგანიზაციები საქართველოში: ანარქისტები, ესერები, ეროვნულ-დემოკრატები...

უკანასკნელ პერიოდში არაერთი საინტერესო საგაზეთო წერილი მიეძღვნა ეროვნულ-პოლიტიკური პარტიების ისტორიის ცალკეულ საკითხებს, ჩვენი საუკუნის დასაწყისის პოლიტიკური მოღვაწეების ცხოვრებას"[12]. მაგრამ ჩვენს ისტორიოგრაფიაში ჯერ კიდევ არ გამოჩენილა სამეცნიერო აზრის ქველაზე სერიოზული და ამომწურავი სიტყვა — მეცნიერული მონოგრაფია, ამა თუ იმ პარტიისა და პოლიტიკური მოღვაწის შესახებ.

ჩვენს მიერ დასახელებულ და განხილულ ლიტერატურაში, ქართველი ისტორიკოსები გაკვრით ეხებოდნენ ფედერალისტური პარტიის ისტორიის მხოლოდ ცალკეულ მომენტებს, რამდენადაც, ეს პარტია უმთავრესად აინტერესებდათ, სოციალიზმ-ფედერალიზმის წინააღმდეგ ბოლშევიკების მიერ წა-

---

[12] თ. მ ა ღ ლ ა ფ ე რ ი ძ ი ს „არჩილ ჯორჯაძის ნააზრევი", „ლიტ. საქართველო". 1987. №№ 44-45, ფედერალისტური პარტიის ისტორიის ცალკეულ პრობლემებს მიეძღვნა ჩვენს მიერ გამოქვეყნებული პუბლიკაციები: სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წარმოშობის ისტორიიდან" (კრებული: საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1982); „პოლიტიკური პარტიებისა და მიმდინარეობების კლასიფიკაციის **საკითხისათვის" (კრებ.** „მეგობრობა", 1983, № 4); „არჩილ ჯორჯაძე და ეროვნული **კონსოლიდაციის** იდეა" (გაზ. „სახალხო განათლება", 1989, 2 აგვისტო); „საქართველოს პოლიტიკური პარტიები და ეროვნული საკითხი" (ჟურნ. „საქართველოს კომუნისტი", 1989, № 12); „განათლების მინისტრი გიორგი ლასხიშვილი (გაზ. „სახალხო განათლება", 1990 წ.); „არჩილ ჯორჯაძის პოლიტიკური მოღვაწეობიდან" (ჟურნ. „დროშა", 1990, № 5) და სხვ. უკანასკნელ ხანს გამოვიდა გ. ლ ო ბ ჟ ა ნ ი ძ ი ს საინტერესო მონოგრაფია: „ნარკვევები არჩილ ჯორჯაძის მსოფლმხედველობრივ-სამართლებრივი ნააზრევიდან". თბ., 1992.

რმოებული იდეოლოგიურ-ორგანიზაციული კრიტიკის ისტორიის შესწავლის კუთხით. ამიტომ ყურადღების მიღმა დარჩა ამ პარტიის წარმოშობის, განვითარების, იდეურ-პრაქტიკული მოღვაწეობის ყოველმხრივი მეცნიერული შესწავლა. სქემატურად იყო წარმოდგენილი სოციალიზმ-ფედერალიზმის იდეური წარმომავლობა XIX ს-ის 90-იანი წლების მიმდინარეობებისაგან. სწორედ ამითაა გამოწვეული, რომ ისეთი ფუნდამენტური მნიშვნელობის ნაშრომში, როგორიცაა „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ მეხუთე ტომი, ავტორებს მსედველობიდან გამორჩათ გასული საუკუნის 90-იანი წლების ქართულ პუბლიცისტიკაში არსებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმდინარეობების განხილვა, რომელთა ბაზაზეც, XX ს-ის დასაწყისში წარმოიშვნენ სოციალისტ-ფედერალისტების პარტია და სხვა არაპროლეტარული მიმდინარეობები[13].

დღეს მიმდინარე გარდამქმნელმა პროცესებმა ახალი პრობლემების წინაშე დააყენა ქართული ისტორიოგრაფია. მთელი სიმწვავით დადგა საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის ახლებური გააზრების, შესწავლისა და ინტერპრეტაციის ამოცანა. ეს განსაკუთრებით ითქმის პერიოდზე, რომელიც სწორედ XIX ს-ის 90-იანი წლებიდან იწყება და ემთხვევა ჩვენი საკვლევ-შესასწავლი პრობლემატიკის საწყის პერიოდს. დღეს ისტორიკოსები აღარ დაობენ იმაზე, რომ სწორედ 90-იანი წლებიდან დღემდე, ჩვენი ქვეყნის ისტორია ყალბი სახითაა წარმოდგენილი, მრავალი მოვლენა ტენდენციურადაა გაშუქებული, მიჩქმალულია გარკვეული სქემისათვის მიუღებელი ისტორიული ფაქტები, დროის უკუღმართობის გამო ისტორიკოსი იძულებული გახდა დაევიწყებინა ისტორიული კვლევისათვის აუცილებელი ჭეშმარიტება, რაც ცნობილი იყო ჯერ კიდევ IV საუკუნის რომაელი ისტორიკოსის ამიანე მარცელინუსისათვის: „ისტორიკოსი, რომელიც მომხდარ ამბებზე შეგნებულად სდუმს, არანაკლებ სიცრუეს სჩადის, ვიდრე ის, ვინც არარსებულს თხზავს“.

---

[13] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V (საქართველო XIX ს-ის 30—90-იან წწ.), თბ., 1970, გვ. 727—763.

ბუნებრივია, ჩვენი ისტორიის პროკრუსტეს სარეცელზე უპირველეს ყოვლისა აღმოჩნდა განსასილველი პერიოდის ისეთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა, როგორიც საქართველოში წარმოქმნილი პარტიების ისტორიაა. ქართველმა ისტორიკოსმა, რომელიც ესებოდა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის საქმიანობას, წინასწარ იცოდა, რომ ეს პარტია ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურად უნდა შეეფასებინა, გამოეყვანა იგი „რეაქციული“ ქართველი ბურჟუაზიის მსახურად, რომელსაც არ აწუხებდა ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესები. დაკანონებული კონცეფციის მიხედვით, ფედერალისტები თიშავდნენ საქართველოს პროლეტარიატის ინტერნაციონალურ ერთიანობას მომმე ხალხებთან, უპირველესად კი რუსეთის რევოლუციურ პროლეტარიატთან. ანგარიში არ ეწეოდა იმ ისტორიულ ფაქტებს, იდეურ მემკვიდრეობას, რაც დადებითად ახასიათებდა ფედერალისტურ პარტიას, პირიქით, წინ იყო წამოწეული, სან კი შეთხზული, მისი მაკომპრომეტირებელი და თითქოს „რეაქციული“ ბუნების წარმომჩენი ფაქტები, უკრიტიკოდ მისაღებად და სახელმძღვანელოდ ითვლებოდა ი. სტალინის, ფ. მახარაძის, მ. ტოროშელიძისა და სხვათა დახასიათება-შეფასებანი ფედერალისტური პარტიის შესახებ. ამგვარ ვითარებაში, ცხადია, ნაკლებად აქტუალური გახდა, უშუალოდ სოციალისტ-ფედერალისტთა და სხვა პარტიების ისტორიის შესწავლის საჭიროება. საჭირო იყო მხოლოდ ამ პარტიების წინააღმდეგ ქართველი ბოლშევიკების ბრძოლის ისტორიის წარმოჩენა.

წინამდებარე ნაშრომში, მიზნად დავისახეთ შეძლებისამებრ შეგვესწავლა საქართველოში სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წარმოშობისა და დამოუკიდებელ პოლიტიკურ ორგანიზაციად საბოლოოდ ჩამოყალიბების ისტორია. შევეცადეთ, არსებული და მიკვლეული წყაროების, ამ პარტიის მოღვაწეთა თეორიული მემკვიდრეობის შესწავლის საფუძველზე, წარმოგვეჩინა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის როლი და ადგილი საქართველოს რევოლუციურ და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, ურთიერთობა სხვა საზოგადოებრივ ჯგუფებთან და მიმდინარეობებთან.

რა თქმა უნდა, წარმოდგენილ ნაშრომს არა აქვს პრეტენზია, რომ მასში ამომწურავადაა შესწავლილი ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წარმოშობისა და მოღვაწეობის ისტორია რევოლუციამდელ და პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პერიოდში. ნაშრომი ფედერალისტთა საქმიანობის მხოლოდ ერთი პერიოდის მონოგრაფიულად შესწავლის ცდაა. რაც შეეხება ფედერალისტთა პარტიის ისტორიის შემდგომ პერიოდს, 1908 წლიდან ვიდრე ე. წ. „თვითლიკვიდაციამდე", მის შესწავლას და წარმოჩენას მომავალში შევეცდებით.

ავტორი უთუოდ გაითვალისწინებს საკვლევი პრობლემის შესახებ გამოთქმულ ყველა შენიშვნას და სურვილს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი პირველი

ეროვნულ-რადიკალური და ბურჟუაზიულ-ეროვნული მიმდინარეობების გაერთიანება საქართველოში და „ცნობის ფურცლის“ ჯგუფის წარმოქმნა

XIX საუკუნის 90-იანი წლები მრავალმხრივი ძვრებით აღინიშნა საქართველოს სოციალ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. კაპიტალიზმის განვითარებამ გააღრმავა მოსახლეობის სოციალური დიფერენციაციის პროცესი. საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ასპარეზზე გამოვიდნენ ახალი კლასები — პროლეტარიატი და ბურჟუაზია, რომლებიც ახალ სოციალურ ურთიერთობას გამოხატავდნენ. მუშათა მოძრაობის ნიადაგზე, პლეხანოვის „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის მოღვაწეობის გავლენით, საქართველოში გავრცელდა მარქსიზმი.

აღნიშნულმა მოვლენებმა ძირეულად შეცვალეს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ძალთა განლაგება საქართველოში, დაიწყო იდეური ძალების ხელახალი გადანაწილება, ახალი საზოგადოებრივი კლასების ინტერესთა დამცველი პოლიტიკური მიმდინარეობების გამოსვლა საზოგადოებრივ ასპარეზზე, რომელთა ბაზაზეც XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში წარმოიქმნა პოლიტიკური პარტიები.

გასული საუკუნის უკანასკნელ ათწლეულში საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ასპარეზზე გამოვიდა პირველი მარქსისტული ორგანიზაცია საქართველოში — „მესამე დასი“. 1893—1895 წლებში გაზეთ „კვალის“ ფურცლებზე თავი იჩინა სოციალ-დემოკრატიულმა იდეებმა. შემდგომ წლებში აღნიშნული გაზეთი გახდა ქართული სოციალ-დემოკრატიის ორგანო. მარქსისტული მიმდინარეობის წარმოშობამ ძირეულად შეცვალა საქართველოში საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ერთი შეხედვით დუნე მაჯისცემა. „კვალმა“ ახალი თემები შემოიტანა ქართულ პუბლიცისტიკაში. მან აღნიშნა კაპიტალისტური ხანის დასაწყისი და კლასობრივი ბრძოლის გამწვავება საქართველოში. სწორედ ამ ორი პრინციპული საკითხის გამო გაჩაღდა ქართულ პუბლიცისტიკაში მანამდე არნახული სიმძლავრის პოლემიკა, ერთი მხრივ, მესამე დასელებსა და, მეორეს მხრით, ეროვნულ-დემოკრატიული ინტელიგენციის ძველ თაობასა და ახალმოვლენილ საზოგადოებრივ მიმდინარეობათა შორის.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ საკითხმა საქართველოში კაპიტალიზმისა და კლასთა ბრძოლის არსებობის შესახებ თავისებური წყალგამყოფის როლი შეასრულა ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ასპარეზზე და პუბლიცისტიკაში მოღვაწე სხვადასხვა მიმდინარეობათა გამიჯვნაში. XIX ს-ის 90-იან წლებში, გარდა მარქსისტული მიმდინარეობისა, სამოღვაწეოდ გამოვიდნენ ბურჟუაზიულ-ეროვნული, ეროვნულ-რადიკალური, ნეოხალხოსნური და სხვა მიმართულების ინტელიგენტური ჯგუფები. ჩვენ აღნიშნული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჯგუფებიდან ყურადღებას გავამახვილებთ მათზე, რომლებმაც მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს XX ს-ის დამდეგს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის შექმნაში.

ახალმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა ჯგუფებმა უმთავრესად თავი მოიყარეს იმხანად თბილისში გამომავალი ქართული დემოკრატიული პრესის სამი ორგანოს — „კვალის“, „მოამბის“ და „ივერიის“ გარშემო.

90-იან წლებში გაზეთი „ივერია“, როგორც სამართლიანადაა აღნიშნული ქართულ ისტორიოგრაფიაში, კვლავ „გამო-

კვეთილ დემოკრატიულ პოზიციაზე იდგა, ეროვნული პრო-
ბლემის სულისკვეთებით სუნთქავდა". ამ პერიოდშიც, ქართველი თერგდალეულების ბელადი ილია ჭავჭავაძე „ადრინდელი შეუპოვრობით განაგრძობდა ეროვნული თვითმყოფადობისათვის ბრძოლას და გაზ. „ივერიის" საქმიანობას წარმართავდა. ხოლო თვით „ივერია" მოთავე იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში"[1].

მიუხედავად ამისა, 90-იანი წლების „ივერია" არ წარმოადგენდა მხოლოდ ქართველ თერგდალეულთა ძველი თაობის წარმომადგენელთა ორგანოს. ი. ჭავჭავაძემ საშუალება მისცა გაზეთში ეთანამშრომლა ახალგაზრდა ქართველ ინტელიგენტთა ჯგუფს, რომელიც განსაკუთრებით მომძლავრდა 1895—1896 წლებში და შეეცადა „ივერიელთა" ძველი თაობისაგან განსხვავებით საკუთარი შეხედულებები დაესაბუთებინა საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური განვითარების საკითხებზე.

„ივერიელთა" ძველი თაობის წარმომადგენლებმა კონსერვატიული პოზიცია დაიკავეს საქართველოში კაპიტალიზმისა და კლასთა ბრძოლის არსებობის საკითხის გარშემო ატეხილ კამათში. ცნობილი საზოგადო მოღვაწე დ. მიქელაძე თავადაზნაურული ლიბერალიზმის პოზიციიდან ასაბუთებდა საქართველოში კლასობრივი თანამშრომლობის საჭიროებას. 1894 წლის 13 თებერვლის მოწინავეში დ. მიქელაძე მკითხველს მოუთხრობდა სოფ. ხვანჭკარის მემამულე თავად კონსტანტინე ყიფიანის შესახებ, რომელმაც თავისი „საკომლო ადგილები" დრრებით ვალდებულ გლეხებს დაუთმო. „ივერიის" პუბლიცისტი ხოტბას ასხამდა მოხუცებული თავადის კეთილშობილურ საქციელს და დაასკვნიდა, რომ ქართველ ბატონსა და ყმას შორის დამოკიდებულება არასდროს ყოფილა ისეთი მკაცრი, რომ „შესძლებოდეს აღმოეფხვრა ბატონის გულიდან გლეხის სიყვარული და პატივისცემა". დ. მიქელაძეს „წოდებრივი უკმაყოფილების" შესახებ საუბარი საქართველოს

---

[1] ა. სურგულაძე, ნარკვევები ქართველი ინტელიგენციის ისტორიიდან, თბ., 1980, გვ. 174.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

სინამდვილისათვის „უდგილოდ და უაზრად“ მიაჩნდა. „წოდებრივი განხეთქილება“ საზიანოა ქართველობისათვის, პირიქით, დ. მიქელაძის მტკიცე რწმენით, საჭირო იყო „საერთო შეთანხმებული შრომა ჩვენის ცხოვრების განსაკარგებლად“[2].

დ. მიქელაძეს კლასთა შორის ანტაგონისტური დამოკიდებულების არსებობა საქართველოში ზოგიერთი პუბლიცისტის ფანტაზიის ნაყოფად მიაჩნდა. „წოდებრივი უთანხმოება და სიძულვილი ჩვენის ახალის პუბლიცისტების მოჭორებული ამბავია“[3], ირწმუნებოდა იგი. ჩანს, დ. მიქელაძეს მხედველობაში „კვალის“ პუბლიცისტები ჰყავდა. „ივერიის“ მეორე წამყვანი პუბლიცისტი ნ. ხიზანიშვილი ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სინამდვილეში გაჩენილ სხვადასხვა მიმდინარეობებს სოციალურ ურთიერთობათა კანონზომიერ შედეგად კი არ მიიჩნევდა, არამედ „ჩვენებური შუშუტობისა და ქარაფშუტობის“ ნაყოფად. „შინაურობაშიც ქვენა გრძნობა და ერთი-ერთმანეთის მტრობა ნელ-ნელა ფეხს იდგამს და ერთობის დამამხობელი დასობა, რაღაც ჯანაბა უაზრო და უმნიშვნელო პ ა რ ტ ი ო ბ ა პარპაშობას იწყებს“, — წერდა ნ. ხიზანიშვილი. „ივერიის“ ძველი პუბლიცისტი ტრომოჭმული წოდებრივი იერარქიის ჩარჩოებიდან ჭვრეტდა სინამდვილეს, ქართველი ხალხის, საზოგადოების მოწინავე ნაწილად, მის ყველაზე პრრგრესულ წარმომადგენლად კვლავ თავადაზნაურობას მიიჩნევდა და სინანულით აღნიშნავდა: „ერის ხელმძღვანელს, მოწინავე საზოგადოებას, თავადაზნაურობას განგებ გაუჩინეს სადავო, საშუალო ვარჯიში და წყალი განგებ აამღვრიეს“[4].

რა თქმა უნდა, დ. მიქელაძე, ნ. ხიზანიშვილი და მათი თანამოაზრეები არ იცავდნენ თავადაზნაურობას, როგორც კლასს, რომელიც პარაზიტულად, სხვა სოციალური ფენების შრომის ხარჯზე ცხოვრობდა. მათი იდეალი იყო ეროვნული ერთიანობა, როგორც ქართველი ხალხის ფიზიკური და სუ-

---

[2] „ივერია“, 1894, 13 თებერვალი, № 34.

[3] „ივერია“ 1894, 6 მარტი, № 49.

[4] „ივერია“, 1894, 17 აპრილი, № 82.

ლიერი თვითარსებობის გარანტია. ამიტომ, რომელიმე კლასის თუ ფენის დაქვეითება ან გაქრობა, მათი ღრმა რწმენით, ეროვნულ სხეულს დაასუსტებდა. „ივერიის“ ძველი თაობის ერთმა ნაწილმა ალღო ვერ აუღო ახალ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სინამდვილეს. მაშინ როდესაც სოციალური თანასწორობის მარქსისტული და არამარქსისტული სოციალისტური თეორიები სულ უფრო ინტენსიურად იპყრობდნენ მოსახლეობის ფართო ფენების გულისყურს, „ივერიელ“ პუბლიცისტთა ნაწილი კვლავ წოდებრივი იერარქიის პირობებში განუხორციელებელი თანასწორობის ილუზორულ, კონსერვატორულ იდეას ერთგულებდა.

როგორც აღვნიშნეთ, „ივერიის“ ძველი თაობისაგან განსხვავებული პოზიციის დასაბუთებას შეეცადნენ გაზეთის ახალგაზრდა პუბლიცისტები, რომლებმაც 1895—1896 წლებში შექმნეს ახალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმდინარეობა საქართველოში — — წვრილბურჟუაზიული რადიკალურ-ეროვნული მიმდინარეობა. მისი მთავარი წარმომადგენელი იყო ყოფილი ხალხოსანი გიორგი ლასხიშვილი.

გიორგი მიხეილის ძე ლასხიშვილი დაიბადა 1866 წლის 6 იანვარს. 1885 წელს ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლობდა ოდესის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც არ დაუმთავრებია, რადგან სტუდენტთა მღელვარებაში მონაწილეობისათვის დაითხოვეს. იგი შედიოდა უნივერსიტეტის სტუდენტთა ხალხოსნური ორგანიზაციის ცენტრალურ კომიტეტში, რომელსაც თავის მხრივ სამხრეთ რუსეთის საოლქო კომიტეტი ხელმძღვანელობდა. 1887 წელს გ. ლასხიშვილი დააპატიმრეს და ეტაპით ჩამოასახლეს საქართველოში, ხოლო 1888 წელს მეორედ დაპატიმრების შემდეგ, ხუთი წლით გადაასახლეს ციმბირის შორეულ ქალაქებში, ჯერ უსტ-კამენოგორსკში, შემდეგ პეტროპავლოვსკში. გ. ლასხიშვილი მხოლოდ 1895 წელს დაბრუნდა საქართველოში. იმავე წელს სასჯელმოხდილი ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძემ მიიწვია „ივერიაში“.

ქართულ ისტორიოგრაფიაში გ. ლასხიშვილის შესახებ ორი აზრია გამოთქმული. ამ მოღვაწის პუბლიცისტურ მემკვიდრეობას შედარებით ვრცლად შეეხო ს. ხუნდაძე და იგი

ა. ნანეიშვილთან და ვ. წერეთელთან ერთად ტიპიურ ლიბერალ-ხალხისნად მიიჩნია. მკვლევარის აზრით, გ. ლასხიშვილი უარყოფდა როგორც რუსეთის, ისე საქართველოს კაპიტალისტური განვითარების შესაძლებლობას და მიაჩნდა, რომ საქართველო გამოტოვებდა განვითარების კაპიტალისტურ ფორმაციას. რამდენადაც გ. ლასხიშვილის საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა შეხედულებებმა და, კერძოდ, მისმა პუბლიცისტურმა მემკვიდრეობამ XX ს-ის დამდეგს საქართველოში ნარმოქმნილ „საერთო ნიადაგის“ თეორიას, ხოლო შემდეგში სოციალიზმ-ფედერალიზმს იდეური ნიადაგი შეუმზადეს, ამიტომ აუცილებელია დაზუსტდეს ამ მოღვაწის პოლიტიკური მრწამსის რაობა XIX ს. 90-იან წლებში.

გ. ლასხიშვილის ლიბერალ-ხალხისნურობაში ეჭვი შეიტანა მკვლევარმა ი. ანთელავამ. მან გამოყო გ. ლასხიშვილი ა. ნანეიშვილისა და ვ. წერეთლის ჯგუფის ტიპიური ლიბერალ-ხალხისნებისაგან, მაგრამ საბოლოოდ ვერც იმ მოღვაწეთა ჯგუფს მიაკუთვნა, რომელნიც უყოყმანოდ აღიარებდნენ საქართველოში კაპიტალიზმის განვითარებას. ი. ანთელავამ აღნიშნა წინააღმდეგობა გ. ლასხიშვილის შეხედულებებში: „ის (ე. ი. გ. ლასხიშვილი — დ. შ.), ერთი მხრივ, თითქოს სრულიად გამორიცხავს ხსენებული ფორმაციის (კაპიტალიზმის — დ. შ.) გამარჯვების შესაძლებლობას, ხოლო, მეორე მხრივ, უარყოფს რა ამ შეხედულებას, ქვეყნის ევროპული გზით განვითარებას უდავო ფაქტად მიიჩნევს“[5].

წინააღმდეგობა გ. ლასხიშვილის შეხედულებებში საქართველოში კაპიტალიზმის განვითარების პერსპექტივების შესახებ მართლაც უდავოა. ერთგან იგი სავსებით უარყოფს მის არსებობას: „ჩვენს ქვეყანაში დღეს კაპიტალისტური წესწყობილება არა თუ არსებობს, პირიქით, ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა ხელს უშლის ამ ფორმის დამყარებას“[6]. ხოლო

---

[5] ი. ანთელავა, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიიდან საქართველოში (XIX საუკ. მეორე ნახევარი), თბ., 1967, გვ. 242.

[6] „ივერია“, 1895, № 34. 15 თებერვალი.

ამ სიტყვების გამოქვეყნებიდან თვენახევრის შემდეგ, იმავე „ივერიაში“, გ. ლასხიშვილი წერს: „რეფორმის შემდეგ ახალ ევროპის გზას დავადექით, მომზადდა ნიადაგი ბურჟუაზიულ ხანისათვისო“[7]. წინააღმდეგობა თავის 90-იანი წლების ნაწერებში თვით ავტორმაც აღიარა. მოგვიანებით, თავის „მემუარებში“ გ. ლასხიშვილი წერს: „ჩემმა წერილებმა გაუგებრობა გამოიწვია, რადგან პოლემიკამ გამიტაცა და აქა-იქ უკიდურესობაში გადამაგდო, წინააღმდეგ ჩემი მაშინდელი რწმენისა. მე სრულიადაც არ უარვყოფდი კაპიტალიზმის ხანის დაწყებასა და საჭიროებას. ამ მხრით მე არ ვეთანხმებოდი არც ნალს (ალ. ნანეიშვილს), არც ვ. წ. (ვ. წერეთელს), რომელნიც თითქმის უბედურებად სთვლიდნენ ჩვენის ქვეყნისათვის კაპიტალიზმს (ვ. წ.) ან უარყოფდნენ ამ ხანის დაწყებას საქართველოში (ა. ნა-ლი), მაგრამ მიუხედავად ჩემის რწმენისა, ზოგიერთი ადგილი ჩემი ნაწერებიდან, ვიმეორებ, საბუთს აძლევდა მკითხველს ეფიქრა, თითქო მეც ვიზიარებდე ზემოხსენებულ მწერალთა აზრს“[8].

ჩვენი აზრით, ამ წინააღმდეგობის არსი გასაგები გახდება, თუ გ. ლასხიშვილის 90-იანი წლების ნაწერებს განვიხილავთ ევოლუციური თვალსაზრისით. საქმე იმაშია, რომ ძველი ნაროდოვოლელი და ე. წ. „ახალგაზრდა ნაროდნაია ვოლიას“ სამხრეთის ჯგუფის ოდესის კომიტეტის ყოფილი წევრი გ. ლასხიშვილი 1890-იან წლებში თანდათან სტოვებს თავის ხალხოსნურ შეხედულებებს, უარყოფს ხალხოსანთა იდეოლოგიის ძირითად დოქტრინას რუსეთის არაკაპიტალისტური განვითარების შესაძლებლობის შესახებ. ამის საფუძველს იძლევა არამარტო გ. ლასხიშვილის „მემუარები“[9], რომელიც

---

[7] „ივერია“, 1895, № 69.

[8] გ. ლასხიშვილი, მემუარები (1885—1915), თბ., 1934, გვ. 79.

[9] „მემუარების“ 75-ე გვერდზე გ. ლასხიშვილი წერს: „ხალხოსნებისა და მარქსისტების დავის დროს ჩემზე დიდი გავლენა მოახდინეს „მარქსის შესწავლამ“ და სტრუვესა და განსაკუთრებით პლეხანოვის ნაწერებმა, რომლებმაც „მომაშორეს ის წმინდა წყლის რუსული უტოპია, ვითომ თემი და არტელი იხსნიან რუსეთს კაპიტალიზმისაგანო...“ და ა. შ.

არ შეიძლებოდა ყოფილიყო ჩვენთვის გადამწყვეტი მნიშვნელობის წყარო, არამედ ამ მოღვაწის შესედულებათა ევოლუციას გადევნება 1890-იანი წლების შუახანებიდან მეორე ნახევრის მანძილზე.

სტატიაში „უახლობელესი საფეხური და ინტელიგენციის მოვალეობა“, გ. ლასხიშვილი წერს: 1861 წლის საგლეხო რეფორმის შემდგომ ხანაში რუსეთის ინტელიგენციას იმედი ჰქონდა, რომ საერთო მიწისმფლობელობის მეშვეობით თავიდან აიცდენდნენ კაპიტალისტურ ფორმაციას. ამგვარ აზრებს ავითარებდნენ „ისტორიული წერილების“ ცნობილი ავტორი (გ. ლასხიშვილი საცენზურო კონსპირაციის მიზნით არ ასახელებს პ. ლავროვის გვარს — დ. შ.) და „ხალხში წასულები“. მაგრამ, გ. ლასხიშვილის აზრით: „კაპიტალიზმმა გზა გაიკაფა და დაიწყო რუსი ხალხის პატრიარქალურის წესწყობილების დარღვევა“, რომელსაც ვერ გაუძლო თემმაო. გ. ლასხიშვილი რუსეთის „ნაროდნიკებისა“ და „მათი ფილოსოფოსების“ წინააღმდეგაა განწყობილი, რომელნიც „ერთხელვე დაჭერილს პოზიციას არ სტოვებენ“ და იშველიებს სტრუვესა და პლეხანოვის ავტორიტეტს, რომლებიც გამოვიდნენ რა ნაროდნიკების წინააღმდეგ, დაასაბუთეს კაპიტალიზმის არსებობა რუსეთში. „ამგვარად, — დაასკვნის ავტორი, — „ნაროდნიკების“ და მათ მიმდევარ დასის, ერთის მხრით, და მარქსისტების, მეორე მხრით, დავაში, ჩვენის ფიქრით, მართალნი ისტორიული მატერიალიზმის მიმდევარნი არიან. ამას გვიმტკიცებს რუსეთის დღევანდელის ეკონომიურის მდგომარეობის განხილვა“[10].

გ. ლასხიშვილი უფრო კაპიტალიზმის განვითარების ტემპების საკითხზე ეკამათებოდა მესამე დასელებს, ვიდრე მისი არსებობა-არარსებობის შესახებ. მაგალითად, ნ. ჟორდანიას საწინააღმდეგოდ, რომელიც ამტკიცებდა, რომ კაპიტალიზმი საქართველოში „... საშინელი სისწრაფით წინ მიექანებაო“, გ. ლასხიშვილი იმ აზრისა იყო, რომ მართალია საქართველოში მომზადდა ნიადაგი კაპიტალიზმისათვის, მაგრამ მის

---

[10] იგულისხმება გ. ლასხიშვილის მიერ გამოქვეყნებული წერილები გაზ. „ივერიაში“, „ნოვოე ობოზრენიეში“, ჟურნ. „მოამბეში“ და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამყარებას ხელს უშლიდა ჩვენი ქვეყნის გვიან გამოსვლა „ევროპის საერთო გზაზედ“ და რადგანაც ადგილობრივი ბაზარი უცხოურ კაპიტალს ჰქონდა დაპყრობილი, ეს ხელს უშლიდა კაპიტალიზმის „ჩქარ და სწრაფ განვითარებასო“[11].

წინააღმდეგობა გ. ლასხიშვილის ნაწერებში იმაში გამოიხატა, რომ აღიარებდა რა კაპიტალიზმის განვითარებას რუსეთში, ამავე დროს იგი არათანამიმდევრობას იჩენდა აღნიშნული ფორმაციის განვითარების შესახებ საქართველოში. აღნიშნული გარემოება მისმა მოწინააღმდეგეებმა და ზოგიერთმა ქართველმა საბჭოთა ისტორიკოსმა ისე გაიგეს, თითქოს გ. ლასხიშვილი ერთდროულად აღიარებდა და უარყოფდა კიდეც კაპიტალიზმის არსებობას საქართველოში. ნამდვილად კი, ყოფილი ხალხოსანის გ. ლასხიშვილის შეხედულებები 1895—1900 წლებში განიცდის თავისებურ ევოლუციას, რომელიც გამოიხატა მის მიერ ხალხოსნური იდეოლოგიის რიგი დოქტრინების უარყოფაში. 1899 წელს გ. ლასხიშვილი ყოველგვარი ყოყმანის გარეშე წერდა, რომ მიუხედავად ჩვენი ცხოვრების გარეგნული უმოძრაობისა და მაჯისცემის სისუსტისა, მის სიღრმეში დიდი ცვლილებები ხდებოდა. „ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ, ნელ-ნელა იშლება ძველი ფეოდალურ-სამხედრო წესწყობილება და ამის ალაგს იჭერს ვაჭრობა-მრეწველობის ხანა. ამ სოციალურ ცვლილებას მოჰყვება ჩვენის ცხოვრების ყოველის მხარის შეცვლა. ჩვენ ეხლა ვცხოვრობთ გარდამავალს ეპოქაში, როდესაც ძველი შესამჩნევად დაიშალა, დაინგრა, ახალი კი მხოლოდ იბადება, ნელ-ნელა შემოდის“[12]. 1900 წელს ერთ-ერთ შინაურ მიმოხილვაში გ. ლასხიშვილი წერდა: საგლეხო რეფორმის შედეგად „ახალმა პირობებმა ღონივრად შეანძრიეს ნატურალურ ცხოვრების ბოძები და აღნიშნეს ახალი ხანა კაპიტალისტურ განვითარებისა. ეს ხანა არღვევს ძველს წოდებრივს ურთიერთობას და ანვითარებს ევროპიულს მოქალაქეობრივს ცხოვრებას...“[13]

---

[11] „ივერია“, 1895, № 69.

[12] „მოამბე“, 1899, № 12. დეკემბერი.

[13] „მოამბე“, 1900, № 3. მარტი.

ხალხოსნური იდეოლოგიის მეორე დამახასიათებელი ნიშანი იყო კაპიტალიზმის თავიდან აცილება გლეხური თემის, არტელების, კოოპერაციებისა და სხვა ხელოვნური საშუალებებით. ქართველ ლიბერალ-ხალხოსნებს აშინებდათ კაპიტალიზმის განვითარების პერსპექტივა, რომელსაც მოჰყვებოდა პროლეტარიზაციის პროცესი და ამიტომ მიესალმებოდნენ მეურნეობის ჩამორჩენილ ფორმებს, კერძოდ, ნატურალურ მეურნეობას. ლიბერალ-ხალხოსანის ალ. ნანეიშვილის აზრით, კაპიტალიზმი იქ იკიდებდა ფეხს, სადაც სოფლის მუშა, დაკარგავდა რა მიწას, იძულებული ხდებოდა გაეყიდა „თავისი ძალ-ღონე", ე. ი. იქ, სადაც ფეხს მოიკიდებდა პროლეტარიზაციის პროცესი. მაგრამ, ნანეიშვილის აზრით, „ეს თავიდათავი პირობა კაპიტალისტურის წესწყობილებისა ჯერჯერობით ჩვენში არ არსებობს და ჩვენი ხალხი ღვთის მადლით ჯერჯერობით მამულიანია და გამამულიანებას ცდილობს..."[14]

მაგრამ, მიუხედავად ალ. ნანეიშვილის ამაო იმედებისა, ისევ „ღვთის მადლით" კაპიტალიზმი სულ უფრო ღრმად იჭრებოდა ქართულ სინამდვილეში. მართალია, „უკაპიტალიზმოდ ცხოვრება ახლა შეუძლებელია", აღიარებდა ლიბერალ-ხალხოსანი ვ. წერეთელი, მაგრამ თუ ჯერ არ დავღუპულვართ (ე. ი. თუ ჯერ ჩვენში კაპიტალიზმი არ განვითარებულა — დ. შ.), ეს იმიტომ, რომ ნატურალური წარმოებისთვის „მარჯვედ ხელი ჩაგვიკიდია" და ამგვარი მდგომარეობიდან „არც საჭიროა, რომ გამოვიდეთ ჯერჯერობით", რადგან „კაპიტალიზმის ცუდ პირს, ცუდს მხარეებს, ისევ ნატურალური წარმოება სჯობია"[15].

ქართველი ლიბერალ-ხალხოსნები კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლას ფიქრობდნენ „წარმოების გაუმჯობესებით" — იმ პირობით კი, რომ მწარმოებელი პროლეტარად არ გადაქცეულიყო. ეს უნდა მომხდარიყო კოოპერაციების შექმნის გზით, ხოლო ამ პროცესში მოსახლეობის ყველა ფენას ერთობლივი მონაწილეობა უნდა მიეღო. „ჩვენ გვიხსნის (კა-

---

[14] „მოამბე", 1895, № 1.

[15] „ივერია", 1895, № 142.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიტალიზმისაგან — დ. შ.) მხოლოდ კოოპერაცია, წარმოების გაუმჯობესება, უკეთესი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, შეერთება, — წერდა ვ. წერეთელი, — ეს ყველასათვის გამოსადეგი იქნება — ჩვენთვის, თავადისთვის, გლეხისთვის, ჩარჩისთვის"[16].

ხალხსანთა ერთმა ნაწილმა საქართველოში უარყო ნატურალური მეურნეობის განმტკიცებით თუ კოოპერაციებით და „წარმოების გაუმჯობესებით" პროლეტარიზაციის პროცესის გარეშე კაპიტალიზმისაგან თავის დაღწევის ლიბერალურ-ხალხსნური უტოპიური დოქტრინა. ამ ნაწილის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელმა გ. ლასხიშვილმა აღიარა, რომ ცალკეული ადამიანების მიერ შექმნილ დაწესებულებებს და ხელოვნურ საშუალებებს არ ძალუძდათ კაპიტალისტური ფორმაციის წინმავალი პროცესის შეჩერება. ერთერთ სტატიაში ლასხიშვილი აკრიტიკებდა ლიბერალ-ხალხსან დ. ნადირაძეს (ქართულ პუბლიცისტიკაში მაჩხანელის ფსევდონიმით ცნობილს — დ. შ.), რომელმაც სოფ. მაჩხაანში მოაწყო „დეპო" — გლეხურ მეურნეობათა გაერთიანება და დაჟინებით ქადაგებდა თავის მრავალრიცხოვან სტატიებში ამგვარი „დეპოებისა" და კოოპერაციების შექმნას კაპიტალიზმისაგან „თავის დასაცავად". გ. ლასხიშვილი წერდა, ამგვარ „დეპოებს, რასაკვირველია, არ ძალუძთ სოფლის ეკონომიურის ვითარების შეცვლა. მეურნეობა და სოფლის ეკონომიური ცხოვრება ექვემდებარება ეკონომიურს კანონებს, რომელთა მოქმედებისა და ზეგავლენის მოსპობა არავითარ კაცის დაწესებულებას არ შეუძლიან. სოფელი ესლა გარდამავალს ეპოქაშია: ირღვევა ძველი ნატურალური წყობილება და ვითარდება მეორე, კაპიტალისტური"[17].

90-იანი წლების ნაშრომების მიხედვით თავისი შეხედულებების ევოლუციამ გ. ლასხიშვილი თანდათან დააშორა ხალხსნურ იდეოლოგიას. მანვე თავის პუბლიცისტურ წერილებში სცადა რამდენიმე პროგრამული დებულების სისტემატიზაცია, რომელთა ნაწილმა ნიადაგი შეუმზადა თავდა-

---

16 „ივერია", 1895, № 148.

17 „მოამბე", 1900, № 3, გვ. 74.

პირველად „საერთო ნიადაგის“ მოძღვრებას, ხოლო შემდგომში სოციალიზმ-ფედერალიზმის იდეოლოგიას. გ. ლასხიშვილმა სოციალურთან შედარებით ეროვნულ საკითხს პრიმატობა მიაკუთვნა და სხვა ყველა სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემები მის გადაჭრას დაუქვემდებარა. ჩემთვისო, წერდა გ. ლასხიშვილი, ეროვნული საკითხი „... ყოველთვის იყო განსაკუთრებულის ღირებულებისა, ამავე დროს საკუთარი თვითკმარი ღირებულებისა, რომელსაც ვერ დაფარავდა და ვერც დაჩრდილავდა ვერც ერთი სოციალისტური მსოფლმხედველობა. ჩემი ღრმა რწმენა იყო, რომ თანამედროვე სოციალურ წესწყობილებაშივე უნდა მოხდეს და შეიძლება მოხდეს დამონავებული ერის განთავისუფლება, ამა თუ იმ სახით. ეროვნულ პრობლემას, ამგვარად, უპირველეს მნიშვნელობას ვაძლევდი...“[18]

გ. ლასხიშვილმა ეროვნული საკითხის გადაჭრა დაუკავშირა კაპიტალიზმის განვითარების პერსპექტივებს. მისი აზრით, „ქართველობის“ მთავარ სიმდიდრეს წარმოადგენდა მიწა, რომლის უმეტესი ნაწილი თავადაზნაურობის ხელში იყო. კაპიტალისტური ფორმაციის განვითარებას მოჰყვა საქართველოში უცხოური კაპიტალის გაბატონება, რომელიც ჩალის ფასად ყიდულობდა გაღატაკების გზაზე მდგარი ქართველი თავადაზნაურობის მამულებს. საჭირო იყო რაიმე ეღონათ, რათა მიწა „ქართველობის“ ხელში დარჩენილიყო. პუბლიცისტის ნააზრევში ეროვნულთან ერთად დემოკრატიული მომენტიც იყო გათვალისწინებული, რადგან მოითხოვდა — მიწა შეეძინა იმათ, „ვინც მას ამუშავებდა“, ე. ი. გლეხობას.

გ. ლასხიშვილმა ყურადღება გაამახვილა პოლიტიკურ-ეროვნულ მომენტზე და თავის თანამედროვე ეროვნულ-დემოკრატიული ინტელიგენციის ახალ თაობას და სხვადასხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ძალებს გაერთიანებისაკენ მოუწოდა: „უახლობელესი საფეხური პოლიტიკო-ეროვნული თავისუფლება უნდა იყოს, ხოლო შემდეგი — სოციალური

---

18 გ. ლ ა ს ხ ი შ ვ ი ლ ი, მემუარები, გვ. 76.

თანასწორობა“[19]. უმთავრესი, პუბლიცისტის აზრით, იყო მოსპობა იმ „განსაკუთრებული გარემოებებისა“, რომელშიც ქართველი ერი „ჟამთა ვითარებამ“ ჩააგდო. ცხადია, აქ ავტორი თვითმპყრობელობას გულისხმობდა. გ. ლასხიშვილმა ‘ყველა სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკურ-ეროვნული პრობლემის გადაჭრის აუცილებელ პირობად „გარეშე ძალების“ წინააღმდეგ ბრძოლა გამოაცხადა.

ასე რომ, 1890-იანი წლების II ნახევარში გ. ლასხიშვილმა, რომელმაც აღიარა კაპიტალიზმის განვითარების გარდაუვალობა საქართველოში და უარყო ამ ფორმაციის „შეჩერება-შეკეთების“ თუ თავიდან აცილების ხალხოსნური ილუზიები, მიუთითა „გარეშე ძალების“ წინააღმდეგ მოპირდაპირე დასების გაერთიანებისაკენ და არსებითად დადგა ეროვნულ-დემოკრატიული რადიკალიზმის პოზიციებზე. მოსალოდნელი იყო, რომ მიიჩნია რა უმთავრეს ამოცანად თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლა, გ. ლასხიშვილი ამ ბრძოლის კონკრეტული პროგრამის შემუშავებასაც შეეცდებოდა, მაგრამ ჯერჯერობით პუბლიცისტი, რომელმაც უარყო სოციალური თავისუფლებისათვის ბრძოლის პრიმატობა, არსებითად ეროვნულ-პოლიტიკური თავისუფლების ლოზუნგით დაკმაყოფილდა. ცხადია, მეტის საშუალებას ცენზურა არ იძლეოდა.

გ. ლასხიშვილის პუბლიცისტურ ნაწერებში ერთ-ერთი მთავარი საკითხი იყო სხვადასხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მიმდინარეობათა შორის წინააღმდეგობების არსებობის პირობებში შეთანხმების, გარკვეულ პოლიტიკურ ნიადაგზე მორიგების შესაძლებლობის აღიარება. ეროვნულ-რადიკალურად განწყობილ პუბლიცისტს შესაძლებლად ეჩვენებოდა იმ დროის საქართველოში არსებული პოლიტიკური მიმდინარეობების წინააღმდეგობათა მორიგება.

გ. ლასხიშვილი აღიარებდა, რომ რუსეთის ინტელიგენცია სხვადასხვა პოლიტიკურ მიმართულებებად იყო დაყოფილი. ამ მიმართულებათა უმთავრესი ჯგუფები იყო: ლიბერალები, ხალხოსნები და მარქსისტული მოძრაობა. მათს შორის არსებობდა წინააღმდეგობა, მაგრამ, გ. ლასხიშვილის აზრით,

---

19 „ივერია“, 1895, № 19.

რადგანაც ამ ძალებს დღესდღეობით ერთი საერთო მტერი — თვითმპყრობელობა ჰყავდა, მათ შორის შეთანხმება „უფრო „ბუნებრივ მოთხოვნილებას“ წარმოადგენდა, ვიდრე წინააღმდეგობა. აქედან გამომდინარე, გ. ლასხიშვილს მით უფრო საჭიროდ მიაჩნდა საქართველოში სხვადასხვა პოლიტიკური მიმდინარეობების შეთანხმება. ერთ-ერთ სტატიაში იგი ეწინააღმდეგება ნ. ნიკოლაძეს, რომელიც მიესალმა საქართველოში პარტიების წარმოქმნის დაწყებულ პროცესს. გ. ლასხიშვილის აზრით, სხვადასხვა პარტიებს წარმოშობდა „თავისუფალი პოლიტიკური ცხოვრება“. საფრანგეთში მრავალი სხვადასხვა პარტია განსხვავებული გზებით და მეთოდებით იბრძოდა „საფრანგეთის კეთილდღეობისათვის“, მაგრამ საქართველოს პირობებში, აქ არსებული პოლიტიკური სინამდვილისათვის აუცილებელი იყო ისევ და ისევ ერთი და იგივე „ზედშენობის“ — თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის გაერთიანება. მას შემდეგ, რაც დამყარდებოდა პოლიტიკური თავისუფლება, მაშინ „დასებად“ დანაწილებაც ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური განვითარების ბუნებრივი საფეხური იქნებოდა. „დღეს დროთა ვითარების გამო ჩვენ ყველანი შევადგენთ ერთს პარტიას ერთი აზრით გამსჭვალულს“, წერდა გ. ლასხიშვილი, ამიტომ, რადგან „გარეგანი გარემოება ხელს არ გვიწყობს, მაშინ ერთობა გვჭირია მწერლობაშიაც და არა ხელოვნურად დაყოფა პარტიებად, რომელთა არსებობა ჩვენის ცხოვრების ბუნებრივს მოთხოვნილებას არ შეადგენს“[20].

გ. ლასხიშვილთან ერთად 1895—1896 წლებში „ივერიაში“ თავს იყრის ეროვნულ-რადიკალურად განწყობილი ახალგაზრდა ინტელიგენტების ჯგუფი. „ივერიის“ ახალ თაობას წარმოადგენდნენ: ვ. წერეთელი, კ. აბაშიძე, გრ. აბაშიძე, ი. ნაკაშიძე, ი. აღლაძე, ი. ცინცაძე, გ. დეკანოზიშვილი, ი. ჩიქოვანი და სხვ. რამდენადაც აღნიშნული ჯგუფის წარმომადგენელთა პუბლიცისტიკა მნიშვნელოვანწილად განსხვავდებოდა „ივერიის“ ძველი თაობის პუბლიცისტთა ნააზრევისაგან, აღნიშნულ ჯგუფს შესაძლებლად მიგვაჩნია ვუწოდოთ „ახალ-

---

[20] „ივერია“, 1885, 21 იანვარი, № 15.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზრდა ივერიელები". აქვე აღვნიშნავთ, რომ ტერმინს „ახალგაზრდა ივერიელები" უფრო ტექნიკურ მნიშვნელობას ვანიჭებთ, რაც საშუალებას მოგვცემს, მსჯელობისას, განვასხვავოთ „ივერიის" ახალი თაობის წარმომადგენლები გაზეთის უფრო ძველი თაობის პუბლიცისტებისაგან.

„ახალგაზრდა ივერიელთა" ჯგუფი მსოფლმხედველობრივად არ წარმოადგენდა მყარ, იდეურად ერთიან მიმდინარეობას. როგორც აღვნიშნეთ, გ. ლასხიშვილის შეხედულებანი კაპიტალიზმის განვითარების მდგომარეობაზე საქართველოში, განსხვავდებოდა ლიბერალ-ხალხოსან ვ. წერეთლის, ალ. ნანეიშვილის და დ. ნადირაძის თვალსაზრისისაგან. სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებზე ერთმანეთისაგან განსხვავებული იყო „ივერიის" სხვა ახალგაზრდა პუბლიცისტთა შეხედულებანიც. მიუხედავად ამისა, პუბლიცისტთა ახალ თაობას ერთმანეთთან აახლოებდა ეროვნული საკითხის ძირითადად საერთო გაგება, სოციალურთან შედარებით ეროვნული პრობლემისათვის პრიმატობის აღიარება და უკანასკნელისათვის სხვა ყოველგვარი საკითხის დაქვემდებარება. ბუნებრივია, აქედან გამომდინარეობდა „ივერიის" ახალგაზრდა პუბლიცისტთა დაპირისპირება „კვალის" მარქსისტებთან, მათთან მიმდინარე თითქმის პერმანენტული პოლემიკა.

„ივერიამ" თავიდანვე აღნიშნა „კვალის" პირველი ნომრების ლიტერატურული მასალების მდარე ხასიათი, პროგრამის ბუნდოვანება და პრეტენზიულობა, ძველი თაობის დამსახურების საეჭვო უგულებელყოფა. „ივერიის" ახალგაზრდა პუბლიცისტმა ი. ჩიქოვანმა მიმოიხილა „კვალის" პირველი ნომრები და არ გაიზიარა ახალი გაზეთის ზოგიერთი ავტორის აგრესიული განწყობილება ქართველი ინტელიგენციის ძველი თაობის მიმართ. მან საილუსტრაციოდ მოიყვანა „ბ-ნ გვაზავას" პოეტური ნიმუში: „მოგვშორდით, თქვენი არრა გვსურს ბამოცდილება ქებული; გვინდა და გვინდა ახალს გუნდს ბრძოლა თავდავიწყებული".

რად გაუწირავს ნეტავი ამ გულად წარმომადგენელს „ახალის გუნდისას" ძველი გუნდი? — კითხულობდა ი. ჩიქოვანი. „პირადად ჩვენც ახალს გუნდის წევრად მიგვაჩნია ჩვენი თავი", მაგრამ ეს არ გვაძლევს უფლებას ძველი თაობის „ცო-

ცხლად დამარხვისას"[21]. „კვალის" ნეგატიური დამოკიდებულება ძველი თაობისადმი მკაცრად გააკრიტიკეს „ივერიის" ფურცლებზე „პროვინციელმა" (ნიკო ლომოურმა), „ჩიორამ" (არტემ ახნაზაროვმა), ვ. წერეთელმა და სხვ.

უფრო გვიან „კვალსა" და „ივერიას" შორის პოლემიკას ლიტერატურული საბურველი სულ უფრო სცილდება და იგი კლასობრივ, მსოფლმხედველობრივ, პარტიულ ხასიათს იღებს. ვ. წერეთელი მწვავედ ეკამათება „კვალის" პუბლიცისტებს და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უარყოფს კაპიტალიზმისა და კლასთა ბრძოლის არსებობას საქართველოში. იგი ეროვნული თვალსაზრისით განიხილავს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხებს, რის გამოც მისი დასკვნები და საბოლოო პოზიცია სოლიდარულია გ. ლასხიშვილისა და „ივერიის" სხვა ახალგაზრდა პუბლიცისტთა ეროვნულ პოზიციასთან. ვ. წერეთელს აშინებს კაპიტალიზმის განვითარების პერსპექტივა, რადგან ეს გამოიწვევს საქართველოს ეკონომიკურ დაკაბალებას, მის კოლონიად გადაქცევას. „... კაპიტალიზმი სცდილობს დაქვეითებული და პოლიტიკურად დაუძლურებული ქვეყნები თავის მეწველ ფურად გადააქციოს. ამიტომ იგი სცდილობს და ეცდება, რომ გაგვაღარიბოს, გაგვაღატაკოს და თითონ გამდიდრდეს. ეცდება, რომ მადნებში შეგვრეკოს, ჩვენს სახნავ-სათესზედ ხელი აგვაღებინოს და პლანტაციები გააშენოს; ეცდება ყოველივე ხელიდან გამოგვაცალოს, და ცალიერზედ დაგვსვას, არავინ იფიქროს კი, რომ სამაგიეროდ ფაბრიკები დაგვიმართოს, სწავლა და განათლება შეგვძინოს, პირიქით თავის სწავლასა და ტეხნიკას ჩვენდა გასასაწყლებლად მოიხმარს"[22]. ვ. წერეთელს ევროპული და ამერიკული კაპიტალიზმის მიერ აზიის, აფრიკისა და სამხრეთ ამერიკის კოლონიური ქვეყნების ეკონომიკური ძარცვა ჰქონდა მხედველობაში და არც თუ უსაფუძვლოდ ირჯებოდა.

---

[21] „ივერია", 1894, 5 თებერვალი, № 27, ილ. პ ო ნ ტ ე ლ ი, „აცრუებული იმედი (ილ. პონტელი ი. ჩიქოვანის ფსევდონიმია — დ. შ.).

[22] „ივერია", 1895, № 148, ვ. წ ე რ ე თ ე ლ ი, არსებობს თუ არა ჩვენში კლასთა ბრძოლა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ. წერეთლის რწმენით, კაპიტალიზმის განვითარება ქართველი ხალხისათვის დამღუპველი იქნებოდა, რადგან მდგომარეობის ბატონ-პატრონი უცხოური ბურჟუაზია იყო. „ჩვენი მტრები, თუ გნებავთ, უცხოელები არიან. ჩვენ ყველა ღარიბი ვართ“. სად იყო გამოსავალი? ერის, ხალხის ერთიანობაში და არა კლასებად და დასებად დაქსაქსვაში. ვ. წერეთლის ლიბერალურ-ხალხსსური და ეროვნულ-დემოკრატიული ილუზიები ერთმანეთს ერწყმოდა. „ჩვენი დევიზი უნდა იყოს „პროგრესი“, — წერდა ის, — ეს იარაღია კოოპერაცია საშინაო წარმოების საფუძველზედ, ძმური შეერთება ყველასი გაჩურჩევლად წოდებისა და სიმდიდრე-სიღარიბისა“. ასე რომ, „ჩვენი მტერი უცხოა, კაპიტალიზმია“ და „ერთმანეთში შური და მტრობა არა გვმართებს“. ლიბერალ-ხალხსანი ვ. წერეთლისათვის, ისევე როგორც „ივერიის“ სხვა ახალგაზრდა პუბლიცისტებისათვის, უმთავრესს წარმოადგენდა ეროვნული პრობლემა, სხვადასხვა ფენებისა და დასების ერთიანი ძალისხმევა ეროვნული საკითხის მოგვარებისათვის.

თუ ერთი მხრივ „ახალგაზრდა ივერიელები“ დაუპირისპირდნენ „კვალის“ მარქსისტ პუბლიცისტებს, მეორე მხრივ ცდილობდნენ გამიჯვნოდნენ „ივერიის“ ძველ თაობას. ისინი აღიარებდნენ ქართველი სამოციანელების დიდ დამსახურებას ეროვნული თვითცნობიერების მყარ ნიადაგზე დაფუძნებაში. გ. ლასხიშვილის აზრით, სწორედ სამოციანელებმა აღძრეს საქართველოში „ნაციონალური პრინციპი“. მათის წყალობით „ეროვნულის თვით-ცნობიერების საქმემ მტკიცე ნიადაგი მოიპოვა ერის ბევრად თუ ცოტად განვითარებულ ნაწილში“. მაგრამ, წერდა პუბლიცისტი, „ახლა კი საჭიროა, რომ ამ იდეებმა უფრო ფართო ნიადაგი მოიპოვონ, გავრცელდნენ და გახდნენ მთელის ერის საკუთრებად“. ამავე დროს, „ახალგაზრდა ივერიელებს“, მათს თავკაცს, „ივერიის“ ძველი თაობის წარმომადგენელთა ეროვნული პროგრამა თანადროული ეპოქისათვის არასაკმარისად, აბსტრაქტულად ეჩვენებოდათ. საჭირო იყო ეროვნულ პროგრამას საფუძვლად დასდებოდა „არა მარტო პლატონისებური და გვარიანად ბუნდოვანი იდეები, არამედ მტკიცედ განსაზღვრული რეალური

ინტერესები“[23], წერდა გ. ლასხიშვილი. რა თქმა უნდა, „ახალ-გაზრდა ივერიელთა“ მთავარი პუბლიცისტის პრეტენზია „ივერიის“ ძველი თაობისადმი გადაჭარბებული იყო. მართალია, მან დასვა კონკრეტულად ჩამოყალიბებული ეროვნული პროგრამის შემუშავების საკითხი, მაგრამ ამის განხორციელება ლეგალური პრესის ფურცლებზე მეფის ცენზურის მკაცრი ზედამხედველობის პირობებში შეუძლებელი იყო. „ახალგაზრდა ივერიელთა“ პუბლიცისტებმა მხოლოდ შორეულად მიანიშნეს მკითხველს თავიანთი ეროვნულ-პოლიტიკური იდეალის ზოგიერთი ზოგადი მომენტი.

ამ მხრივ უპირველეს ყოვლისა ინტერესს იმსახურებს გ. ლასხიშვილის ერთ-ერთი პირველი წერილი „ივერიის“ ფურცლებზე — „ციმბირის გამოჩენილი პატრიოტი“, რომელიც პუბლიცისტმა მიუძღვნა ციმბირის ცნობილი მკვლევარის, მწერლის, მეცნიერისა და პოლიტიკური მოღვაწის ნ. მ. იადრინცევის (1842—1894 წწ.) ხსოვნას. სწორედ ამ წერილში გ. ლასხიშვილმა საცნაურყო ქართველ მკითხველთათვის საკუთარი და თავისი თანამოაზრეების პოლიტიკურ-ეროვნული იდეალი, ციმბირელი მოღვაწის პოლიტიკური შეხედულებებისა და მოღვაწეობის ვადმოცემის საფარველქვეშ.

ჯერ კიდევ XIX ს-ის 20-იან წლებში, გ. ლასხიშვილის სიტყვით, რუსეთში შეიქმნა საიდუმლო ორგანიზაცია, რომელმაც მიზნად დაისახა შეექმნა სლავების ერთიანი ფედერაციული სახელმწიფო, შემდგარი ცალკეული შტატებისაგან. თითოეული შტატი, რომელშიც წარმოდგენილი იქნებოდა ცალკეული, რომელიმე სლავური მოდგმის ხალხი, „თავის შინაურ საქმეებში სრულებით თავისუფალი უნდა ყოფილიყო; ყოველს შტატს ეყოლებოდა თავისი საკუთარი მთავრობა, რომელიც სრულებით დამოუკიდებლად განაგებდა თავის ქვეყანას; ამ ფედერაციას ეყოლებოდა საერთო კონგრესი, რომელსაც მინდობილი ექნებოდა მხოლოდ გარეშე საქმეების მართვა“. ამ საზოგადოების, ისევე როგორც XIX ს-ის 40-იან წლებში მალოროსიაში შექმნილი ანალოგიური მიზნის მქო-

---

23 „ივერია“, 1895, № 69.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნე მეორე საიდუმლო ორგანიზაციის საქმიანობას პრაქტიკული შედეგი არ მოჰყოლია, „მაგრამ იდეა, აზრი მაინც დარჩა“[24].

სწორედ ამ იდეამ — ავტონომიური შტატებისაგან შემდგარი სლავური ფედერაციული სახელმწიფოს შექმნის იდეამ გაიტაცა XIX ს-ის 60-იან წლებში მოსკოვის უნივერსიტეტში მოსწავლე იადრინცევი და მისი თანამოაზრე ციმბირელი სტუდენტები. „ამ ყმაწვილი კაცების უმთავრესს სურვილად შეიქმნა ენახათ როდისმე თავისი მამული თავისუფალ ქვეყნად“, თუმცაღა, წერდა გ. ლასხიშვილი, ციმბირელი სტუდენტები იმდენად ფედერაციულ სახელმწიფოზე არ ფიქრობდნენ, როგორც „ციმბირის თავისუფლებაზედ“ — „ციმბირი უნდა გახდეს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, ისე როგორც ამერიკაო“, — ამბობდნენ ისინი. 1863 წელს იადრინცევი თავის თანამოაზრეებთან ერთად ციმბირში დაბრუნდა და ენერგიული პუბლიცისტური და პროპაგანდისტული მუშაობა გააჩაღა, მაგრამ დიდხანს არ დასცალდა. 1865 წელს იადრინცევი დააპატიმრეს, გაასამართლეს ე. წ. „ციმბირის სეპარატიზმის“ საქმის გამო და არხანგელსკის გუბერნიაში გადაასახლეს, სადაც 1874 წ-მდე იმყოფებოდა.

მძიმე გადასახლებიდან დაბრუნებული იადრინცევი, გ. ლასხიშვილის სიტყვებით, ამჯერად ხელს ჰკიდებს ლიტერატურულ მოღვაწეობას, თუმცა „იმ გვარისავე მიმართულებით, როგორსაც წინად ადგა“. მან დაწერა და გამოაქვეყნა შესანიშნავი გამოკვლევა მშობლიური ქვეყნის და ხალხის შესახებ: „ციმბირი, როგორც კოლონია; ეხლანდელი მდგომარეობა ციმბირისა; მისი საჭიროება და მოთხოვნილობა, მისი წარსული და მომავალი“. ამ წიგნში, გ. ლასხიშვილის დასკვნით, იადრინცევმა „ის აზრი გაატარა, რომ ციმბირის წინმსვლელობას გარეგანი შემაფერხებელი მიზეზები არ აბრკოლებდეს, ეს ქვეყანა მალე შეიქმნებოდა მდიდარ, კმაყოფილ და ბედნიერ მხარედაო“[25].

---

24 „ივერია“, 1895, 1 თებერვალი, № 24, ლ ა ლ ი (გ. ლასხიშვილი), ციმბირის გამოჩენილი პატრიოტი.

25 „ივერია“, 1895, № 24, დასახ. წერილი.

მეფის ცენზურის პირობებში ლეგალური გაზეთის ფურ-
ცლებზე ალბათ მეტის თქმა შეუძლებელი იყო. გ. ლასხიშვი-
ლმა ციმბირელი მოღვაწის პოლიტიკური პროგრამის და საქ-
მიანობის გადმოცემით საკუთარი და თავისი თანამოაზრეების
პოლიტიკურ-ეროვნული მოთხოვნა საცნაურყო — საქართვე-
ლოს ავტონომია რუსეთის ფედერაციული სახელმწიფოს ფარ-
გლებში. ციმბირში ნაგულისხმევი საქართველოც, გ. ლასხი-
შვილის რწმენით, „მალე შეიქმნებოდა მდიდარ, კმაყოფილ-
და ბედნიერ მხარედ", რომ არა „გარეგანი შემაფერხებელი
მიზეზები". მიუხედავად ეზოპური ენით გამოთქმული ზოგა-
დი ეროვნულ-პოლიტიკური ლოზუნგისა, გ. ლასხიშვილის
აღნიშნული ცდა არ შეიძლება ჩაითვალოს საქართველოს ავ-
ტონომიის მოთხოვნის წამოყენების ფაქტად.

ცხადია, ცენზურას მხედველობიდან არ გამორჩენია „ახალ-
გაზრდა ივერიელთა" ჯგუფის პუბლიცისტთა შორსმიმავალი
ეროვნულ-რადიკალური გამონათქვამები. დამახასიათებელია,
რასაც არ უნდა შეხებოდა გ. ლასხიშვილი თავის წერილებ-
ში — კაპიტალიზმის განვითარებას თუ სასკოლო პრობლემას,
სოფლის მეურნეობას თუ კლასთა ბრძოლას, — ქვეყნის მძი-
მე კულტურულ-პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარე-
ობის პირველმიზეზად ყოველთვის საქართველოს დაქვემდება-
რებულ მდგომარეობას მიიჩნევდა და მუდამ კატონისებური
დაჟინებით ერთი აზრით ამთავრებდა: ჩვენი მძიმე მდგო-
მარეობის „უმთავრესი მიზეზი, რასაკვირველია, არის ჩვენი
ცხოვრების დღევანდელი გარემოებანი, რომელნიც ჩვენგან
არ არის დამოკიდებულიო".

მიუხედავად „ახალგაზრდა ივერიელთა" პუბლიცისტების
გააქტიურებისა, რა თქმა უნდა, არ შეიძლება ითქვას, რომ
1895—1896 წლებში მხოლოდ ისინი აძლევდნენ ტონს „ივე-
რიის" საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროფილს. გაზეთში კვლა-
ვინდებურად მკვიდრად მოღვაწეობდნენ დიდი ილიას თანა-
მებრძოლნი და თანამოაზრენი — იაკობ გოგებაშვილი, ანტონ
ფურცელაძე, გრიგოლ და ალექსანდრე ყიფშიძეები, ნიკო
ლომთური, არტემ ახნაზაროვი და სხვები, რომელნიც დიდ
პატრიოტულ-დემოკრატიულ მოღვაწეობას ეწეოდნენ და ერთ-
გულად ემსახურებოდნენ ეროვნული თვითცნობიერების გა-

ღვიძება-ამაღლების კეთილშობილურ საქმეს. რა გასაკვირია, რომ ამგვარ გაზეთს, რომელიც „გამოკვეთილ დემოკრატიულ პოზიციაზე იდგა“ და „ეროვნული პროგრესის სულისკვეთებით სუნთქავდა“[26], მეფის ცენზურა დიდი ხანია ეჭვის თვალით უყურებდა და საბაბს ეძებდა. ასეთ საბაბად ცენზურამ გამოიყენა „ახალგაზრდა ივერიელთა“ ჯგუფის პუბლიცისტთა ეროვნულ-რადიკალური ხასიათის პუბლიკაციები. 1896 წლის 10 მაისს მთავარმართებლის საბჭოს დადგენილებით ქართული ეროვნულ-დემოკრატიული პრესის ფლაგმანის — გაზეთ „ივერიის“ გამოცემა 8 თვით შეწყდა.

გ. ლასხიშვილის გადმოცემით, „როგორც შემდეგში გავიგეთ, „ივერიის“ დახურვის მიზეზი იყო ჩვენი თანამშრომლის, ახალგაზრდა ბელეტრისტის ია ეკალაძის ფელეტონები ტფილისის სასულიერო სემინარიის ცხოვრებიდან: ცნობილ რექტორის ზუდეკის დროის უმსგავსი რეჟიმის აღწერა, სემინარიელთა არეულობა და სხვა“[27].

1896 წლის თებერვლის თვეში „ივერიაში“ სამ წერილად „თომაანთ კობას“ ფსევდონიმით დაიბეჭდა შემდგომში ცნობილი მწერლის, პუბლიცისტის და საზოგადო მოღვაწის იაკობ ცინცაძის ფელეტონი „სურათები მოწაფეთა ცხოვრებიდამ“. ფელეტონი რამდენადმე ავტობიოგრაფიულ ხასიათს ატარებდა. ი. ცინცაძე თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლობდა, საიდანაც 1893 წელს გარიცხეს. ფელეტონში მოთხრობილი იყო უდანაშაულო მოწაფის — ფეფენაშვილის გარიცხვა სემინარიიდან, და აღწერილი იყო სემინარიაში გამეფებული იეზუიტური ატმოსფერო.

აღნიშნული ფელეტონის გამოქვეყნებისათვის ი. ჭავჭავაძე 1896 წლის 4 აპრილს მიიწვიეს საცენზურო კომიტეტის სხდომაზე, სადაც „ივერიის“ რედაქტორ-გამომცემელს შენიშვნა მიეცა, ხოლო ცენზორს მკაცრი საყვედური. 17 აპრილს საცენზურო კომიტეტმა მთავარმართებლის კანცელარიის დი-

---

[26] ა. სურგულაძე, ნარკვევები ქართველი ინტელიგენციის ისტორიიდან, თბ., 1980, გვ. 159.

[27] გ. ლასხიშვილი, მემუარები, თბ., 1934, გვ. 107 (ია ეკალაძე — ი. ცინცაძის ფსევდონიმი — დ. შ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქტორისადმი საიდუმლო შეტყობინებაში მოითხოვა „ივერიის“ მიმართ ადმინისტრაციული წესის გამოყენება. ამ სოჭყვა მთავარმართებლის კანცელარიის წერილობითი შეტყობინება მთავარმართებლის საბჭოსადმი, რომელშიც ნაზგასმული იყო, რომ „ივერიის“ მიმართულება არ შეესაბამებოდა მთავრობის სულისკვეთებას. გაზეთი მიჰყვება ქართველებში უაღრესად პოპულარული სახელის მქონე მისი რედაქტორის — ი. ჭავჭავაძის „პარტიულ ხაზს“, — ვკითხულობთ შეტყობინებაში, — ამავე დროს, დაუსაბუთებლად ჰიცხავს რუსულ, — თვით გაზეთის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, — კავკასიისათვის უცხო წესებს... ამასთან ერთად, ასეთი მიმართულებით გაზ. „ივერია“ ნერგავს სემინარიის მოსწავლეებში აღმზრდელთა მიმართ ურჩობისა და სიძულვილის სულისკვეთებას“[28].

ცხადია, „ივერიის“ აკრძალვის მთავარი მიზეზი იყო მისი მტკიცე, საერთო ეროვნულ-დემოკრატიული პოზიცია, რაც შეეხება ი. ცინცაძის ზემოდასახელებულ ფელეტონს, მას გაზეთის აკრძალვაში შეეძლო მხოლოდ საბაბის როლი შეესრულებინა.

ასეა თუ ისე, ი. ჭავჭავაძე გ. ლასხიშვილსა და მის ახალგაზრდა თანამოაზრეებს სამართლიანად სდებდა ბრალს „ივერიის“ აკრძალვაში. გ. ლასხიშვილი იგონებს:

„მაისის პირველი რიცხვები იყო, როცა გიორგი ზდანოვიჩი ქუთაისიდან ჩამოვიდა... უკვე დაიწყო ბანკის კრებები. მე და გიორგი წავედით თეატრში „ბანკოვიადის“ სერიის საყურებლად. ავედით სცენაზე, დავიჭირეთ კორესპონდენტების ადგილები. იმავე წუთს სცენაზე გამოჩნდა ილიაც, რომელიც პირდაპირ ჩემსკენ გამოემართა.

— აი თქვენმა რევოლუციონერობამ უკვე გამოიღო პირველი ნაყოფი: ეს არის ქაღალდი მომივიდა „ივერიის“ დახურვის შესახებ.

ადვილად წარმოიდგენთ, როგორ თავზარს დამცემდა ეს ამბავი, როგორ უეცრად მიცრუვდებოდა ყველა იმედი გაზე-

---

28 საისტორიო მოამბე, III, 1947, გვ. 241.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თის განახლებისა, გაზეთში თანამოაზრე ხალხის შეკრებისა და ახალ მიმართულებით მუშაობისა.

ილია კიდევ ლაპარაკობდა რაღაცას, მაგრამ მე აღარ მესმოდა, მხოლოდ მახსოვს, გიორგი ზდანოვიჩმა უთხრა:

— არა უშავს რა, ილია, გაზეთის დახურვას და მაგგვარ თავში დაკვრასაც თავისი მნიშვნელობა აქვს ერის გამოფხიზლებისათვის.

— მეტი რაღა დაგვრჩენია, მაგით ვინუგემოთ თავი! — ნაღვლიანის ღიმილით გვიპასუხა ილიამ და მოგვშორდა.

... ამგვარად, ქართველი საზოგადოება დარჩა უგაზეთოდ"[29].

მეორე საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმდინარეობა, რომელმაც შეადგინა ჯერ გაზ. „ცნობის ფურცლის" ჯგუფის, შემდგომში კი სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი ფრთა და მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ამ პარტიის ჩამოყალიბებაში, იყო ბურჟუაზიულ-ეროვნული მიმდინარეობა. ამ მიმდინარეობის უმნიშვნელოვანესი წარმომადგენლები იყვნენ გ. ზდანოვიჩი და ი. ფანცხავა. ბურჟუაზიულ-ეროვნული მიმართულების პუბლიცისტები უფრო ხშირად, XIX ს-ის 90-იანი წლების მანძილზე, გაზ. „ნოვოე ობოზრენიეში" აქვეყნებდნენ თავიანთ ნაწერებს. ქართულ პერიოდიკაში ბურჟუაზიულ-ეროვნულ პლატფორმას მხარი დაუჭირა ჟურნალმა „მოამბემ", რომელიც 1894 წლიდან გამოდიოდა თბილისში. თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ „მოამბე" უფრო ლიტერატურული ორგანო იყო და პუბლიცისტიკას შედარებით ნაკლებ ადგილს უთმობდა. ჟურნალმა პირველსავე ნომერში პროგრამულად განაცხადა, რომ საზოგადოებაში გაჩენილ „ვერც ერთს და ვერც მეორე პარტიას" ვერ მიემხრობოდა და ეცდებოდა „მიუდგომელი სიტყვა" ეთქვა.

ჟურნალმა პუბლიცისტიკის განყოფილების უმთავრეს თანამშრომლად მოიწვია ძლიერი სავაჭრო-სამრეწველო საქართველოს ძველი იდეოლოგი ნ. ნიკოლაძე. ნ. ნიკოლაძემ ქართველ საზოგადოებას ე. წ. შუათანა დასის — ბურჟუაზიის ეროვნული კადრების შექმნის აუცილებლობისაკენ მოუწოდა. მოაგონებდა რა მკითხველს ევროპის ქვეყნების განვი-

---

[29] გ. ლასხიშვილი, მემუარები, გვ. 106—107.

ოარების მაგალითს, ნ. ნიკოლაძე წერდა: „... ერის და ქვეყნის გამომყვანი სიღარიბისა და მონობისაგან, უმეცრებისაგან, უსწორმასწორობისაგან ყოველთვის და ყოველგან მარტო ეს საშუალო დასი, ბურჟუაზია ყოფილა და იქნება“.

„მოამბის“ პლატფორმა ცხადი იყო. ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური განვითარების საკითხში იგი არც „კვალს“, არც „ივერიას“ არ ემხრობოდა, რადგან თავისი „მიუდგომელი“ ბურჟუაზიულ-ეროვნული ლოზუნგი ჰქონდა — საქართველოში ვაჭრობა-მრეწველობის განვითარება და ეროვნული ბურჟუაზიის შექმნა. ნ. ნიკოლაძის პირით „მოამბემ“ ქვეყნის ეკონომიკური ჩამორჩენილობის მთავარ მიზეზად ეროვნული მრეწველობის განუვითარებლობა მიიჩნია. ავტორისეული მონაცემებით, რომელიც „მოამბის“ მე-8 ნომრის შინაურ მიმოხილვაშია, საქართველოში რუსეთიდან შემოდიოდა თამბაქო, ბამბეული, რკინა, თუჯი, სამუშაო იარაღი და სხვა მრავალი რამ — დაახლოებით 50 მლნ მაწეთის საქონელი, გადიოდა საქართველო-კავკასიიდან კი მხოლოდ 15 მლნ მანეთის ღირებულების საქონელი. აი „რამოდენა ხარკს“ აძლევდა ჩვენი ქვეყანა უცხოეთს. „იმ ქვეყნის ბედში არავითარი ცვლილება არ მოხდება თვალსაჩენი, არც გონებრივი, არც საზოგადო, არც პოლიტიკურ მხრივ, სანამ ის, მრეწველობის საშუალებით, ეკონომიურ მონებისაგან არ დაიხსნის თავს უცხოეთის ხელიდან“[30]. ბურჟუაზიული ფორმაციის განვითარების გზით ქვეყნის ეროვნული თავისუფლების ეკონომიკური წანამძღვრების შექმნა — ეს იყო ნ. ნიკოლაძის პირით გაცხადებული ჟურნალ „მოამბის“ ბურჟუაზიულ-ეროვნული პლატფორმის არსი. „მოამბე“ საპროგრამო წერილშივე მიესალმა კაპიტალისტური განვითარების პერსპექტივას საქართველოში, ხოლო მის წინააღმდეგ გამოსვლა უაზრობად მიიჩნია. ევროპა დიდი ხანია დაადგა კაპიტალისტური მრეწველობის გზას, — აღნიშნული იყო წერილში: „მოამბის“ პროგრამის გამო“, — ჩვენ კი უწინდებურად თუ მიწათმოქმედების ამარა დავრჩებით და ვაჭრობას ზურგს შევაქცევთ, იგივე იქნება, რაც კრუპის ზარბაზნების წინააღმდეგ მშვილდისრებით

---

30 „მოამბე“, 1894, №, შინაური მიმოხილვა.

ბრძოლა". თანამედროვე ეტაპზე მთავარი ბრძოლა ქვეყნებს შორის გამართული იყო „ეკონომიური ურთიერთობის საფუძველზე", ამიტომ „ჩვენის ბედის, ჩვენის მომავლის იმედი დამყარებულია მხოლოდ ქართველი ერის იმ ნაწილზე, რომელიც ამ სარბიელზე გამოიჩენს თავს". ცხადია, ჟურნალი ქვეყნის აღორძინების იმედს ერთვნულ ბურჟუაზიაზე ამყარებდა. „მოამბის" იდეალი იყო ევროპის ცივილიზაცია და თავის მოვალეობად თვლიდა გაეადვილებინა ქართველი ერისათვის „ევროპული განათლების და მოქალაქეობის შეთვისება"[31].

აქედან იმ დასკვნის გაკეთება არ შეიძლება, თითქოს ნ. ნიკოლაძე, ან „მოამბის" პუბლიცისტები აიდეალებდნენ ბურჟუაზიულ საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციას. გამოჩენილი ქართველი განმანათლებელი და დემოკრატი ნ. ნიკოლაძე შესანიშნავად იცნობდა ევროპის საზოგადოებრივ და სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებას, მის წარსულს. იგი მკითხველს შეაგონებდა, რომ იყო დრო, როცა ბურჟუაზიული კლასი ევროპაში მოწინავე საზოგადოებრივ ძალას წარმოადგენდა, პროგრესულ როლს ასრულებდა ისტორიაში. 100—150 წლის წინ სწორედ ამ კლასის ჰეგემონობით დაიწყო ევროპის ქვეყნებში ძველი, დრომოჭმული ფეოდალური ფორმაციის რღვევა. რაც შეეხება დღევანდელობას, ნ. ნიკოლაძის რწმენით, ბურჟუაზია სრულიადაც აღარ ასრულებდა ევროპის ქვეყნების საზოგადოებრივ სინამდვილეში პროგრესულ როლს. „ეხლა კი ევროპაში, — წერდა ის, — „ახალი ძალა" იზრდება, სამართლიანი და სახეირო, ვიდრე ბურჟუაზია". ცხადია, ნ. ნიკოლაძე „ახალ ძალაში" ევროპის მუშათა კლასს გულისხმობდა.

მაგრამ ეს ევროპაში იყო. საქართველოში კი მხოლოდ ახლა იწყებოდა ბურჟუაზიული ფორმაციის განვითარება, ამიტომ, ცხადია, აქაც ბურჟუაზიას უნდა ეკისრა პროგრესული კლასის როლი. „ჩვენი წარმატება თხოულობს, რაც შეიძლება მალე, რაც შეიძლება ბლომად იზრდებოდეს ჩვენში ეგ-

---

[31] „მოამბე", 1894, № 8, შინაური მიმოხილვა.

რეთ წოდებული შუათანა დასი"[32], — დაასკვნიდა ნ. ნიკოლაძე.

ის, რომ „მოამბე" ბურჟუაზიულ-ეროვნულ იდეებს ეგებდა, მაინც არ ნიშნავდა, რომ 1894—1898 წლებში ჟურნალი თანმიმდევრულად, ბურჟუაზიულ-ეროვნული მიმართულების ორგანოს წარმოადგენდა. ძირითადად ჟურნალი ქართული დემოკრატიული ინტელიგენციის ლიტერატურულ ორგანოს წარმოადგენდა, მის პუბლიცისტიკაში კი ბურჟუაზიულ-ეროვნული მიმდინარეობის გარდა სხვა საზოგადოებრივი მიმართულების მქონე წერილებიც იბეჭდებოდა. „მოამბეში" თანამშრომლობდა და კაპიტალიზმის არსებობას დაბეჯითებით უარყოფდა ლიბერალ-ხალხოსანი ალ. ნანეიშვილი. სხვანი თავად-აზმაურობის, როგორც წოდების, დაქვეითების პერსპექტივას შეშფოთებით უყურებდნენ და ქადაგებდნენ ამ წოდების შენარჩუნებას, რადგან მისი წარმომადგენლები ერის უკეთეს ნაწილად მიაჩნდათ. 1896 წელს „მოამბე" გამოყოფდა იმ სამ უმთავრეს საკითხს, რომელნიც ყველაზე საჭირბოროტო პრობლემებს წარმოადგენდნენ „ქართველობისათვის": 1. განვითარება, განათლება, სწავლა; 2. სამართლის წარმოება მშობლიურ, ყველასათვის გასაგებ ენაზე; 3. ერობების შემოღება. „ვის უნდა დაევალოს მოთავეობა ამ საქმისა? — კითხულობდა ჟურნალი და თავადვე პასუხობდა, — რასაკვირველია, ჩვენ თავად-აზნაურობის წარმომადგენელთ", რადგან, „... დღეს მათ ხელშია მეთაურობა ქვეყნისა და მათვე აქვთ მინიჭებული უფლება ტახტის წინაშე ქვეყნის მეოხედ"[33].

მიუხედავად ამისა ქართული ჟურნალ-გაზეთებიდან „მოამბე" ყველაზე მეტად თანაუგრძნობდა ბურჟუაზიულ-ეროვნულ იდეებს.

ეროვნული ბურჟუაზიის ტიპიური იდეოლოგი XIX ს-ის 90-იან წლებში იყო ყოფილი ხალხოსანი და რევოლუციონერი გ. ფ. ზდანოვიჩი. ჯერ კიდევ 1882 წელს „ივერიაში" გამოქვეყნებულ მეტად საყურადღებო სტატიაში „წერილი ჩვენ საზოგადოებრივ მოღვაწეთა მიმართ", გ. ზდანოვიჩმა აღნიშნა რა ქართველ სამოციანელთა თაობის დიდი დამსახურება

---

[32] „მოამბე", 1894, № 1, „მოამბის" პროგრამის გამო".

[33] „მოამბე", 1896, № 2, შინაური მიმოხილვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერის წინაშე, ამავე დროს უსაყვედურა მათ მტკიცედ შემუშავებული სამოქმედო პროგრამის უქონლობა. გ. ზდანოვიჩმა ქვეყნის სამსახური მჭიდროდ დაუკავშირა ეროვნული ბურჟუაზიის შექმნა-განვითარების პერსპექტივას. ამ პერიოდში მან უარყო ხალხისნური დოქტრინა რუსეთისა და ასევე საქართველოს არაკაპიტალისტური გზით განვითარების შესაძლებლობის შესახებ და, პირიქით, ბურჟუაზიულ-ეროვნული პოზიციებიდან დაიწყო საქართველოსათვის კაპიტალიზმის განვითარების საჭიროების ქადაგება.

გ. ზდანოვიჩი დონკიხოტობად სთვლიდა ლიბერალ-ხალხისანთა ქადაგებას, რომლებიც მოუწოდებდნენ აღმდგარიყვნენ კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარების კანონზომიერი ისტორიული პროცესის წინააღმდეგ. „ჩვენ უნდა ვიზრუნოთ არა იმისათვის, რომ დონკიხოტურათ გავუმკლავდეთ ამ ვითარებას, — წერდა გ. ზდანოვიჩი (ე. ი. კაპიტალიზმის განვითარებას — დ. შ.), — რომელიც უფრო ძლიერია, ვიდრე ჩვენი ფარი და ხმალი, ვიდრე ჩვენი უნარი ბრძოლისა, არამედ იმისათვის უნდა ვიზრუნოთ, რომ ყოველ მხრივ შევისწავლოთ იგი ვითარება და მით ისე მივმართოთ ჩვენი საზოგადო მოღვაწეობა და მოქმედება, როგორც თხოულობს კანონები საზოგადოების ახალის ზრდა-განვითარებისა“[34].

გ. ზდანოვიჩი შეეცადა გაეთვალისწინებინა ის სოციალური პროცესები, რომელსაც კაპიტალიზმის განვითარება გამოიწვევდა საქართველოში. პუბლიცისტის აზრით, საქართველოში კაპიტალის განვითარებას, ევროპის ქვეყნებისაგან განსხვავებით ექნებოდა თავისებურებანი. თუ ევროპაში ახალი ეკონომიკური ფორმაციის გამარჯვებას მოჰყვა გლეხობის გაპროლეტარება, საქართველოში, კერძოდ კი ქუთაისის გუბერნიაში ეს ნაკლებად იყო მოსალოდნელი, რადგან აქ გლეხკაცობა მტკიცედ ფლობდა თავის მამულს და, მეტიც, მამულიანდებოდა. თუკი მიწა-წყალს ვინმე ჰკარგავს დასავლეთ საქართველოში — ისევ გაღატაკებული თავადაზნაურო-

---

34 „მოამბე“, 1897, № 4, ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკი და მისი მოქმედება.

ბა. აქედან გამომდინარე, გაპროლეტარების საშიშროებაც ყველაზე მეტად ღარიბ თავადაზნაურობას ელოდა.

გ. ზდანოვიჩი თავისი თანამედროვე პუბლიცისტებისაგან უპირველესად პრაქტიკული აზროვნებით გამოირჩევა. იგი თეორიულ რეცეპტებს კი არ სთავაზობს მკითხველს, არამედ ცხოვრებისეულ გზებს, რეალური ვითარებიდან გამომდინარე პრაქტიკულ ორიენტაციას ეძებს. იგი მიესალმება მშრომელი გლეხობის გამამულიანების პროცესს და კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ მამული „თუ კი ერთხელ ხელში ჩაიგდო ჩვენმა გლეხკაცმა, სიკვდილის მეტი ვეღარა გამოაცლის რა“. მეორე მხრივ, გ. ზდანოვიჩი ურჩევს ღარიბ თავადაზნაურობას შრომას მოჰკიდოს ხელი, დაინტერესდეს აღებ-მიცემობით და როგორმე მოერგოს იმ ახალ ეკონომიკურ წყობილებას, რომელიც გარდაუვალია ქვეყნისათვის. ეს იყო ერთადერთი გზა, რომელსაც შეეძლო თავადაზნაურობა ეხსნა გაპროლეტარებისაგან.

გ. ზდანოვიჩმა მჭიდროდ დაუკავშირა საქართველოში ბურჟუაზიული ფორმაციის განვითარების საკითხი ეროვნულ პრობლემას. იგი შეშფოთებით უყურებდა საქართველოში მომძლავრებულ უცხოეთის კაპიტალს, რომელიც თანდათან ეუფლებოდა ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების სადავეებს. უცხოური კაპიტალი პირიდან აცლიდა ქართველ ხალხს საკუთარ სიმდიდრეს, მიწა-წყალს, მადანს, ფულს. გ. ზდანოვიჩი ენერგიულად ქადაგებდა, რომ ის სამრეწველო ობიექტები და ბურჟუაზიული დაწესებულებანი, რომელთა რიცხვიც სულ უფრო მატულობდა საქართველოში, ქართველი ერის, საზოგადოების ინტერესებს უნდა მომსახურებოდნენ. მართალია, თეორიულ-კონკრეტულად გ. ზდანოვიჩს პირდაპირ არ დაუსვამს საკითხი ქართველი ეროვნული ბურჟუაზიის შექმნა-განვითარების შესახებ (როგორც ეს შემდგომში გააკეთა ა. ჯორჯაძემ — დ. შ.), მაგრამ მისი პუბლიცისტიკა 90-იან წლებში სწორედ ამ კარდინალურ პრობლემას დასტრიალებს. ამ პერიოდში გამოქვეყნებულ გ. ზდანოვიჩის ვრცელი წერილების სათაურების გადათვალიერებაც კი საკმარისია, რომ დავრწმუნდეთ — მისი პუბლიცისტიკის მთავარი მიზანი იყო პრაქტიკულ ღონისძიებათა დასახვა, პრაქტიკული

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმიანობა ეროვნული მრეწველობის, ეროვნული ბურჟუაზიის კადრების შექმნა-გაძლიერების მიზნით, რათა ეროვნულ-სიმდიდრე ქართველ ხალხს მოეხმარა და არა უცხოურ კაპიტალს[35].

გ. ზდანოვიჩმა არაერთი წერილი მიუძღვნა დასავლეთ საქართველოს უმნიშვნელოვანეს სამრეწველო ობიექტის — ჭიათურის მარგანეცის მოპოვება-გაზიდვის პრობლემატურ საკითხებს. პუბლიცისტის უმთავრესი სატკივარი და მიზანი, რა თქმა უნდა, საქართველოში მოპოვებული ამ უმნიშვნელოვანესი საბადოს ქართველი ერის საჭიროებისათვის გამოყენება იყო. ახლა, როცა ამ შემოსავალს უცხოეთის კაპიტალი იჯიბავდა, გ. ზდანოვიჩი პრაქტიკულ გზებს ეძებდა ამ არანორმალური ვითარებისაგან თავის დასახსნელად. გ. ზდანოვიჩის აზრით, ყველა სხვა მომპოვებელ ქვეყნებში — ჩილეში, ინდოეთში, მაკედონიაში, კუბაში მარგანეცის საქმეს განაგებდნენ ძლიერი ადგილობრივი სააქციონერო საზოგადოებები. ამ საზოგადოებებისათვის ერთადერთ უშუალო მოწინააღმდეგეს წარმოადგენდა — საერთაშორისო კონკურენცია. ეს უკანასკნელი, ადგილობრივი, მომპოვებელი ქვეყნების მრეწველთათვის საგარეო კონკურენტს წარმოადგენდა.

სხვაგვარი მდგომარეობა იყო საქართველოში, სადაც ადგილობრივ მრეწველებს — საგარეო ბარიერის, საერთაშორისო კონკურენციის გარდა უნდა დაეძლიათ საშინაო ბარიერის — თვით კავკასიელ მარგანეცის მრეწველთა წინააღმდეგობაც. ეს შინაური კონკურენცია, რა თქმა უნდა, ასუსტებდა თავად კავკასიელ მრეწველებს საერთაშორისო კონკურენციასთან ბრძოლაში. გ. ზდანოვიჩის აზრით, აუცილებელი იყო კავკასიელ მრეწველთა შორის მიმდინარე სეპარატული კონკურენციის აღკვეთა. „ცხადია, — წერდა გ. ზდანოვიჩი, — აუცილებელია, ერთი მხრივ, საერთაშორისო კონკურენციის დაძლევა, უცხოელ მოწინააღმდეგეებზე გამარჯვება, ხოლო მეორე მხრივ — კავკასიელ მარგანეცის მრეწველთა შორის მიმდი-

---

35 გ. მ ა ი ა შ ვ ი ლ ი (ზდანოვიჩი), რჩეული ნაწერები, ტ. II, თბ., 1968, გვ. 653—654.

ნარე ბრძოლისა და წინააღმდეგობის ნაცვლად, მშვიდობისა და საერთაშორისო ბაზარზე ერთიანი მოქმედების ...ბა."[36]

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. ზდანოვიჩი, ვინმე პეტროვიჩის მოსაზრების საწინააღმდეგოდ, ასაბუთებდა სამრეწველო რაიონში წვრილ მრეწველთა სინდიკატის შექმნის აუცილებლობას. ამ შემთხვევაში პუბლიცისტი ადგილობრივი ქართველი მრეწველების ინტერესებს იცავდა, რომელნიც უმრავლესობას წარმოადგენდნენ სამრეწველო რაიონში, თუმცა კი, გასაგები მიზეზების გამო, ლაპარაკობდა საერთოდ კავკასიელი მრეწველების სახელით. უცხოური კაპიტალი სწორედ ამ წვრილ მრეწველებს უქმნიდა განადგურებას. გ. ზდანოვიჩი ასაბუთებდა, რომ უცხოური კაპიტალის დასამარცხებლად, ან ყოველ შემთხვევაში კრიზისის თავიდან ასაცილებლად, წვრილ მრეწველებს ერთადერთი საშუალება ჰქონდათ — სინდიკატის შექმნა. გ. ზდანოვიჩი არამარტო თეორიულად, არამედ პრაქტიკულადაც ჩაება კაპიტალისტური საქართველოს მშენებლობაში და ენერგიულად იღწოდა ეროვნული მრეწველობის განვითარებისათვის, 1896—1917 წლებში ის იყო ჭიათურის მარგანეცის მრეწველთა საბჭოს უცვლელი თავმჯდომარე, ცდილობდა უცხოური კაპიტალის მოგერიებას სამრეწველო რაიონში, მათი მონოპოლიის აღკვეთას მადნის რეალიზაციის სფეროში. გ. ზდანოვიჩის ინიციატივით ჩამოყალიბდა ქართველ მრეწველთა არაერთი სავაჭრო და სამრეწველო გაერთიანება, ამხანაგობა, — სინდიკატი, სააქციო საზოგადოება და სხვ. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მკვლევარ გ. მარგიანის მართებული შენიშვნით, უცხოურ კაპიტალთან შეჯახებაში გ. ზდანოვიჩი „... ადგილობრივ მრეწველებთან ერთად უფრო მარცხს განიცდიდა, ვიდრე წარმატებებს, რაც ადგილობრივი სამრეწველო კაპიტალის შედარებითი სისუსტის შედეგი იყო"[37].

---

[36] გ. მაიაშვილი (ზდანოვიჩი), დასახ. ნაშრ., გვ. 368.

[37] გ. მარგიანი, კაპიტალისტური ხანის საქართველოს მრეწველობის ისტორია რევოლუციამდელ და საბჭოთა ისტორიოგრაფიაში. იხ. კრებული „ქართული ისტორიოგრაფია", I, თბ., 1968, გვ. 217.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. ზდანოვიჩის მთავარი მიზანი იყო სამრეწველო ბურჟუაზიული დაწესებულებანი ეროვნული ინტერესების სამსახურში ჩამდგარიყვნენ, საქართველოში კაპიტალიზმის განვითარება ქართველი ერის ეკონომიკური აღორძინება-დაწინაურების საფუძველი გამხდარიყო. ამ მიზნის პრაქტიკული ხორცშესხმა მან სცადა ჭიათურის მარგანეცის მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე. გ. ზდანოვიჩის დაუღალავი მოღვაწეობის შედეგად მრეწველთა საბჭო დასავლეთ საქართველოს არამარტო ეკონომიკურ, არამედ უმნიშვნელოვანეს ეროვნულ-კულტურულ დაწესებულებად იქცა. საბჭო მთელ რიგ კულტურულ ღონისძიებებს ატარებდა, ნიშნავდა სტიპენდიებს, აფინანსებდა ეროვნულ დაწესებულებებს. საბჭოში თანამშრომლობდნენ ქართველი ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენლები, თვით გ. ზდანოვიჩის მოადგილედ მუშაობდა ცნობილი ქართველი კრიტიკოსი კიტა აბაშიძე. დავით კლდიაშვილის მოგონებით: გ. ზდანოვიჩი „... ოცნებობდა ჭიათურა გადაექცია სამაგალითო საჩვენებელ პუნქტად... მისი მუყაითობით იმ მოგების თანხიდან, რომელიც საბჭოს ჰქონდა, მოწყობილი იყო სასწავლებლები, მშვენიერი საავადმყოფოები, საფერშლო პუნქტები, ოცდახუთი ათასი მანეთი ყოველდღიურად გადადებული იყო მოსწავლეთა სტიპენდიებისათვის...“[38] ამრიგად, გ. ზდანოვიჩი 90-იანი წლების ქართულ სინამდვილეში ბურჟუაზიულ-ეროვნული მიმართულების იდეოლოგი და პრაქტიკული მოღვაწე იყო.

ბურჟუაზიულ-ეროვნული მიმართულების ერთ-ერთი წარმომადგენელია ცნობილი საზოგადო მოღვაწე და პუბლიცისტი იაკობ ფანცხავა.

1895 წელს გაზ. „კვალში“ გამოქვეყნებული წერილების სერიაში „ჩვენი საშინაო საქმეები“ ი. ფანცხავა მკაცრად აკრიტიკებდა ლიბერალურ-ხალხსნურ ილუზიებს თემის მეშვეობით საქართველოს არაკაპიტალისტური განვითარების შესაძლებლობის შესახებ. ეს შეუძლებელი იყო როგორც რუსეთში, ისე საქართველოშიც, სადაც, ავტორის შენიშვნით, საერთო მიწათმფლობელობა საერთოდ არ არსებობდა, გარ-

---

[38] დ. კ ლ დ ი ა შ ვ ი ლ ი, მემუარები, თბ., 1932, გვ. 114.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ქიზიყისა, რადგან მიწათსარგებლობის ეს პროცესი ... ვითარებულ ერებს და ჩვენც უკვე გავლილი გვაქვსო“.[39]

ი. ფანცხავას აზრით, საქართველოში არსებობდა კაპიტალიზმის „გაფურჩქვნის“ სრულიად რეალური პირობები. ასპარეზზე გამოდიოდა „ერთი მხრით, ფულის შემქმნელი, მეორე მხრით კი მუშა ხალხი“ და წინასწარმეტყველების ნიჭი არ იყო საჭირო იმის დასანახად, რომ ასეთი მუშა ხალხი მოშავალში „მთელ არმიებს შექმნიდა“. მართალია, ავტორი ხედავდა ბევრ ნაკლს, რაც ახალ ფორმაციას უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ კაპიტალიზმის განვითარება ერის მომავლისათვის აუცილებლობად ესახებოდა და მკითხველებს ანუგეშებდა — „არყოფითი მხარეები დავიწყებული უნდა იქნას...“ განვითარება და პროგრესი არავის მოუმკია ისე, რომ მძიმე განსაცდელი და ტანჯვა არ აეტანოს, ვარდს ყველგან და ყოველთვის ეკალი თან ახლავსო“. ცხადია, კაპიტალიზმის ყველა საშინელება ექსპლოატირებულ კლასებს — პროლეტარიატს და მშრომელ გლეხობას უნდა გადაეტანა საკუთარ მხრებზე, სამაგიეროდ „მოქალაქეობისა და მრეწველობის განვითარება ჩვენი ერისათვის სიცოცხლის და კეთილდღეობის მომნიჭებელი რამ იქნება — ეს აუცილებელი საგანიაო“[40], — დაასკვნიდა ავტორი.

XIX საუკუნის 90-იან წლებში გ. ზდანოვიჩი და ი. ფანცხავა თავიანთ ნაწერებში მიესალმებოდნენ კაპიტალიზმის

---

[39] თავდაპირველად, XIX ს-ის 90-იანი წლების პერიოდში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჯგუფების წარმომადგენლები ჯერ კიდევ საბოლოოდ არ იყენენ შემოკრებილნი საკუთარი ორგანოების გარშემო. ხშირად ერთი ჯგუფის წარმომადგენელი თავისივე მიწინააღმდეგის ორგანოში აქვეყნებდა წერილებს. მაგალითად, ნ. ჟორდანიამ „მოამბესა“ და „ივერიაში“ გამოაქვეყნა წერილების სერია „ეკონომიური წარმატება და ეროვნება“; ეგნ. ნინოშვილი „მოამბეში“ თანამშრომლობდა, ხოლო მრწამსით „მოამბისტი“ ი. ფანცხავა არ მოერიდა „კვალში“ ბურჟუაზიულ-ეროვნული შეხედულებების ქადაგებას და ა. შ. 90-იანი წლების ბოლოს ხდება საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჯგუფების საბოლოო კონცენტრირება ცალკეული ორგანოების გარშემო.

[40] გაზ. „კვალი“, 1895, № 27.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამარჯვებას საქართველოში და გამოხატავდნენ ჯერ კიდევ სუსტი ქართული ეროვნული ბურჟუაზიის ინტერესებს. ცნობილი ისტორიკოსი ს. ხუნდაძე მართებულად შენიშნავდა, რომ ორივე მოღვაწის ნაწერები წარმოადგენდნენ შემდგომში ა. ჯორჯაძის მოძღვრების ერთ-ერთ წყაროს.[41]. მხედველობაში გვაქვს „საერთო მოქმედების ნიადაგის“ თეორია.

1890-იანი წლების მეორე ნახევარში ხდება საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსული ახალი მიმართულებების თავმოყრა პრესის ცალკეული ორგანოების გარშემო. როგორც აღვნიშნეთ, 1895—1896 წლებში მოხდა ახალგაზრდა პუბლიცისტთა თავმოყრა გაზ. „ივერიაში“. ე. წ. „ახალგაზრდა ივერიელებმა“ სცადეს „ივერიის“ ძველი თაობის წარმომადგენლებისაგან სრული გამიჯვნა და გაზეთის დაპატრონება, გაზეთის მათ ხელში გადაცემის წინადადებით მიმართეს ი. ჭავჭავაძეს და ამ სურვილს ასაბუთებდნენ გაზეთის ძველ თანამშრომლებთან, კერძოდ, დ. მიქელაძესთან უთანხმოებით. მოლაპარაკების დამთავრებამდე დ. მიქელაძემ დატოვა „ივერია“ და გაზეთი ფაქტიურად გ. ლასხიშვილისა და მისი თანამოაზრეების ხელში აღმოჩნდა. „ახალგაზრდა ივერიელების“ ჯგუფს წარმოადგენდნენ: გ. ლასხიშვილი, კ. აბაშიძე, გრ. აბაშიძე, ი. ნაკაშიძე, ი. ცინცაძე, გ. დეკანოზიშვილი, გ. ჟურული, ვ. წერეთელი; „ივერიელებმა“ თანამშრომლობა სთხოვეს გ. ზდანოვიჩს, ალ. ნანეიშვილს, გრ. ვოლსკის, რომლებიც თბილისში არ ცხოვრობდნენ, აგრეთვე საზღვარგარეთ ემიგრაციაში მყოფ ვ. ჩერქეზიშვილს.

მაგრამ 1896 წლის 17 მაისს გამოვიდა „ივერიის“ ამ წლის უკანასკნელი ნომერი და „ახალგაზრდა ივერიელთა“ თავმოყრისა და ჩამოყალიბება-კონსოლიდაციის პროცესის პირველი ეტაპიც დასრულდა. 1897 წლის იანვარში „ივერია“ აღადგინეს, მაგრამ ახალი თაობის წარმომადგენლებმა ჯერ „მოამბის“, ხოლო შემდეგ ახალდაარსებული გაზეთ „ცნობის ფურცლის“ გარშემო იწყეს თავმოყრა. „მოამბე“-„ცნობის ფურცელს“ მიაშურეს აგრეთვე ბურჟუაზიულ-ეროვნული მიმართულების პუბლიცისტებმაც.

---

41 ს. ხ უ ნ დ ა ძ ე, სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში, ტ. II, გვ. 169.

ბურჟუაზიულ-ეროვნული და „ახალგაზრდა ივერიელების“ რადიკალურ-ეროვნულ მიმდინარეობებს შორის ბევრი საერთო არსებობდა. მართალია, პირველთა იდეალი — ძლიერი ბურჟუაზიული, ეკონომიკურად მოღონიერებული საქართველო იყო, „ივერიის“ ახალი თაობის წარმომადგენლები კი თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პოლიტიკური რადიკალიზმის ტენდენციებს ამჟღავნებდნენ, მაგრამ ეროვნული საკითხის გაგება ორივე მიმდინარეობას საერთო ჰქონდა და, გ. ლასხიშვილის ტერმინი რომ ვიხმაროთ, „საერთო ასპარეზისაკენ“ უბიძგებდა მათ.

ბურჟუაზიულ-ეროვნული მიმართულების პუბლიცისტები ისევე ოცნებობდნენ ავტონომიის საკითხის წამოყენებაზე, როგორც „ახალგაზრდა ივერიელები“. ჯერ კიდევ 1894 წელს ნ. ნიკოლაძემ კოშუტის სიკვდილისადმი მიძღვნილ წერილში დიდი ადგილი დაუთმო ჩაგრული ერისათვის ავტონომიური მმართველობის საჭიროების დასაბუთებას. უნგრეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მაგალითი, ნ. ნიკოლაძის აზრით, ქართველობისათვის „გონების გასახსნელად, სწავლისა და გამოცდილების შესაძენად, ისტორიის კანონების გასაგებად“ იყო საჭირო. ნ. ნიკოლაძის აზრით, უნგრეთის ეროვნული მოღვაწენი ფართოდ აყენებდნენ ავტონომიის საკითხს. ადრე უნგრეთს „თავისი საკუთარი მმართველობა“ გააჩნდა. „აი, ამნაირი „ავტონომია“, ამგვარი თვითარსებობა უნდა გვქონდეს, ესაა ჩვენი ისტორიული უფლება“[42], — ასაბუთებდნენ უნგრელები. უნგრელთა მაგალითით ნ. ნიკოლაძე მიანიშნებდა ქართველ მკითხველს, რომ ავტონომია ისევე იყო აუცილებელი საქართველოსათვის, როგორც უნგრეთისათვის და სხვა ჩაგრული ხალხებისათვის.

მკვლევარ ნ. პაპავას დამოწმებით, „მსგავსი მასალა ხშირად იბეჭდებოდა „მოამბეში“[43]. ერთ-ერთ წერილში „მოამბე“ აღნიშნავდა: „ჩვენ მიმოხილვებში განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევდით იმ პატარ-პატარა ერთა ცხოვრებას,

---

42 „მოამბე“, 1894, № 4, გვ. 140.

43 ნ. პაპავა, ჟურნ. „მოამბის“ (1894—1905 წწ.) სოციალურ-პოლიტიკური პროფილი, თბ., 1979, გვ. 62.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელნიც გამწარებით იბრძვიან თვითმმართველობის მოსაპოვებლად, რომ მის შემწეობით დაუბრკოლებრივ დაიცვან თავისი ეროვნება და კანონების გზით იღწვიან პროგრესისა და ცივილიზაციის შესაძენად"[44]. ცხადია, ჟურნალს უცხოეთის „პატარ-პატარა ერთა ცხოვრება" იმდენად აინტერესებდა, რომ ქართველ მკითხველ საზოგადოებაში ავტონომიის იდეის პროპაგანდა გაეწია, დაესაბუთებინა მისი აუცილებლობა.

ეროვნული საკითხის საერთო გაგებამ, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების პერსპექტივებზე შეხედულებების ნათესაობამ ბურჟუაზიულ-ეროვნული და რადიკალურ-ეროვნული მიმდინარეობების წარმომადგენლები გაერთიანებამდე მიიყვანა. 1890-იანი წლების მეორე ნახევარში და განსაკუთრებით კი მის მიწურულს „მოამბის" გარშემო თანდათანობით შემოიკრიბა ეროვნულ-რადიკალური და ბურჟუაზიულ-ეროვნული ინტელიგენციის მთელი ახალი თაობა: კ. აბაშიძე, გრ. აბაშიძე, დ. ერისთავ-მდივნისა (განდეგილი), გ. ზდანოვიჩი, თ. სახოკია, ი. ფანცხავა (ფხა), ი. ცინცაძე, ი. ნაკაშიძე, ი. ზურაბიშვილი, პ. ყიფიანი და სხვ. 1898 წელს ჟურნალის დამაარსებელმა და გამომცემელმა ალექსანდრე ჯაბადარმა რედაქციაში მიიწვია „ახალგაზრდა ივერიელთა" რადიკალურ-ეროვნული ჯგუფის აღიარებული ლიდერი გიორგი ლასხიშვილი, რომელსაც დაევალა „მოამბის" პუბლიცისტური ნაწილის გაძღოლა. პუბლიცისტურ ნაწილში იგულისხმებოდა ქვეყნის საშინაო და საერთაშორისო მოვლენების ყოველთვიური მიმოხილვა. პირველი „უცხოეთის მიმოხილვა" გ. ლასხიშვილმა გამოაქვეყნა 1898 წლის „მოამბის" უკანასკნელ XII ნომერში და, როგორც თვითონვე წერს, წელიწადზე მეტ ხანს წერდა შინაურ და უცხოეთის მიმოხილვებს.

„ივერიის" დახურვის შემდეგ გაზეთის გარეშე დარჩენილ და ახლა უკვე „მოამბეში" თავმოყრილ ყოფილ „ახალგაზრდა ივერიელებს", რა თქმა უნდა, არ აკმაყოფილებდათ ყოველ-

---

44 „მოამბე", 1896, № 8, გვ. 102, ციტირებულია ნ. პაპავას დასახ. ნაშრომიდან, გვ. 62.

ოვიური „მოამბე“. ლიტერატურული ხასიათის პერიოდული გამოცემა არ იძლეოდა საკუთარი ეროვნული და სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებების გამომუშავებისა და პროპაგანდის საშუალებას. ამიტომ „მოამბის“ ახალგაზრდა თანამშრომელთა და თანამგრძნობთა შორის მომწიფდა აზრი საკუთარი ყოველდღიური ორგანოს — გაზეთის გამოცემის შესახებ. გაზეთის გამოცემის სურვილი უფრო ადრე გასჩენია ალ. ჯაბადარსაც, მაგრამ ნებართვა ვერ მიუღია. „ჯაბადარის ამ სურვილს შეუერთდა ჩვენი — „მოამბეში“ ახლად მიწვეულ ახალგაზრდათა სურვილი და ფიქრი ყოველდღიურ გაზეთის დაარსების შესახებ“, — წერს გ. ლასხიშვილი.

ჩანს, კავკასიის ადმინისტრაციას ზედმეტად მიაჩნდა კიდევ ერთი ქართული გაზეთის გამოცემა და ხელს უშლიდა, მაგრამ მოვლენები „მოამბის“ ჯგუფის სასარგებლოდ წარიმართა. 1896 წლის ოქტომბრიდან თბილისში გამოდიოდა ყოველდღიური გაზეთი „ცნობის ფურცელი“ ვალერიან გუნიას რედაქტორობით. გაზეთში მხოლოდ საინფორმაციო ცნობები, განცხადებები იბეჭდებოდა. 1899 წელს ვ. გუნიამ გაზეთის დაკეტვა გადაწყვიტა. ამ დროს ამოქმედდნენ „მოამბის“ ახალგაზრდა პუბლიცისტები და გაზეთი შეიძინეს. გაზეთის რედაქტორ-გამომცემლები გახდნენ ა. ჭყონია (1899—1900 წწ.), ოგვიანებით კი ალ. ჯაბადარი. 1900 წლის დეკემბრიდან მთავრობის ნებართვით გაზეთის პროგრამა გაფართოვდა და მასში შესაძლებელი გახდა სხვადასხვა პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, ლიტერატურულ-კრიტიკული, პუბლიცისტური და სხვა სახის მასალების ბეჭდვა. ამგვარად, წერს გ. ლასხიშვილი, „როგორც იქნა, დაგვირგვინდა ჩვენი კარგა ხნის მოლოდინი და სურვილი საკუთარი გაზეთის დაარსების შესახებ“[45].

„ცნობის ფურცელი“ გახდა ყოფილი „ახალგაზრდა ივერიელებისა“ და „მოამბის“ გარშემო თავმოყრილი პუბლიცისტ-ინტელიგენტთა ცენტრალური ორგანო. ამ ჯგუფს 1902—1903 წლებში „ცნობის ფურცლის“ ჯგუფს უწოდებდნენ. ამ პერიოდში გაზეთის რედაქცია შეივსო ახალი თანამშრომლებით,

---

[45] გ. ლასხიშვილი, მემუარები, გვ. 132—133.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლებიც შეემატნენ „ცნობის ფურცლის“ ჯგუფის წამყვან ძალას. გაზეთს ფაქტიურად ხელმძღვანელობდა გ. ლასხიშვილი. თავდაპირველად რედაქციაში მუდმივ თანამშრომლებად მუშაობდნენ ვლადიმერ ლორთქიფანიძე, შაქრო ბილანიშვილი, ქაიხოსრო ქავთარაძე, 1901 წლის გაზაფხულიდან „ცნობის ფურცელში“ თანამშრომლობას იწყებს არჩილ ჯორჯაძე. ხოლო 1902 წ-დან სამსონ ფირცხალავა, გრიგოლ რცხილაძე და ილია აღლაძე.

XIX ს-ის 90-იანი და XX ს-ის მიჯნაზე დამთავრდა ძირითადად ორი — ბურჟუაზიულ-ეროვნული და ეროვნულ-რადიკალური მიმდინარეობების შემოკრება გაზ. „ცნობის ფურცლის“ გარშემო. „ცნობის ფურცლის“ მიმართულებას ბოლომდე არ იზიარებდნენ, მაგრამ გაზეთს თანაუგრძნობდნენ სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკური მრწამსისა და შეხედულებების მოღვაწენი: თავადაზნაურულ-ეროვნული ინტელიგენციის წარმომადგენლები ნ. თავდგირიძე, ი. ზურაბიშვილი, პ. გოთუა; ლიბერალ-ხალხოსნები ა. ნანეიშვილი, დ. ნადირაძე; დემოკრატიული მიმართულების მწერლები, საზოგადო მოღვაწეები: ს. მგალობლიშვილი, შ. არაგვისპირელი, ბაჩანა, ზ. ჭიჭინაძე, დ. კარიჭაშვილი, ვ. ბარნოვი, რ. ფანცხავა (ხომლელი), ა. ხახანაშვილი, ექ. თაყაიშვილი, გრ. რობაქიძე და სხვა მრავალი.

ჯერ კიდევ 1897 წელს „მოამბეში“ გამოქვეყნებულ მეტად საყურადღებო წერილში „ჩვენს ახალგაზრდობას (ჩემს მეგობრებს)“ კ. აბაშიძე აღიარებდა, რომ „ივერიის“ ახალმა თაობამ ვერ შესძლო თავისი სამოქმედო პროგრამის ჩამოყალიბება, „...ამ ჯგუფის ახალგაზრდობას თვითონაც არა აქვს მტკიცედ გარკვეული პროგრამა ცხოვრების მოქმედებისა. ვერც მის წარმომადგენელ პუბლიცისტებს გამოურკვევიათ იგი“...[46] და იქვე მიუთითებდა, ახალი თაობის ყველაზე თვალსაჩინო პუბლიცისტებმა გ. ლასხიშვილმა და ი. ფანცხავამ „ფარდა ვერ ახადეს“ თავიანთ პროგრამასო.

---

[46] კ. აბაშიძე, ცხოვრება და ხელოვნება, პროფ. დ. გამეზარდაშვილის რედაქციით და შესავალი წერილით, თბ., 1971, გვ. 155.

თავისი პოლიტიკური პლატფორმის ჩამოყალიბებისაცადა „ცნობის ფურცელმა“ 1900 წლის 1 დეკემბრის საპროგრამო წერილში. გაზეთმა სამ ძირითად საკითხზე გაამახვილა ყურადღება.

1. აღიარა კაპიტალიზმის არსებობა და მისი განვითარების მიმდინარე პროცესი, რომელსაც საგლეხო რეფორმამ მისცა დასაბამი. საქართველო დაადგა „ევროპეიზაციის“ გზას, რაც ნიშნავდა ფეოდალურ-ნატურალური მეურნეობის დაშლას და „სავაჭრო-სამრეწველო წესწყობილების“ დამყარებას;

2. გაზეთმა ქართველ სამოციანელთა მემკვიდრედ გამოაცხადა თავი: „ჩვენ გვწამს მათი ამაგი, გვწამს სიდიადე მათის იდეალისა და ამიტომაც მოვალენი ვართ განვაგრძოთ მათი შრომა ერის თვითცნობიერების განვითარებისათვის“.

3. გაზეთმა გვერდი აუარა სოციალურ საკითხს და კლასთა ბრძოლას, თანამშრომლობისაკენ მოუწოდა საქართველოს სხვადასხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მიმდინარეობებს, ახალ თაობას, „რომელიც კარგა ხანია მოწადინებულია იშრომოს თავის ქვეყნისათვის“. სხვადასხვა შეხედულებებმაო, განმარტავდა „ცნობის ფურცელი“, „არ უნდა შეუშალოს ხელი საერთო მუშაობას, რადგანაც ჩვენში ბევრია ისეთი საკითხები, რომელთა შესახებ შეთანხმება მოსახერხებელია“[47].

ვერც „ცნობის ფურცლის“ ახალი პროგრამა გამოირჩეოდა მიზანდასახულების სიცხადით. გ. ლასხიშვილი იგონებს, თითქოს მას ამ საპროგრამო წერილში წამოეყენებინოს ეროვნული დროშის ახალ ნიადაგზე — „ახალ სოციალისტურ სტრუქტურაზე“ გადატანისა და ეროვნული მოძრაობის სოციალური ბაზის — ხალხის მასების ხარჯზე გაფართოების იდეა[48]. არც სოციალიზმი, არც ხალხი „ცნობის ფურცლის“ აღნიშნულ საპროგრამო წერილში ნახსენები არაა. გ. ლასხიშვილი და მისი თანამოაზრეები ცდილობდნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ამოცანების განსაზღვრისას გაეთვალისწინებინათ სოციალური საკითხის აქტუალობა, სოციალისტურ მოძღვრებათა პოპულარობა ხალხსა და საზო-

---

[47] გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1900 წლის 1 დეკემბერი, № 1314.

[48] გ. ლასხიშვილი, მემუარები, გვ. 133.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადოებაში, მაგრამ ამ მისწრაფებებს ამჯერად „ცნობის ფურცლის“ პროგრამაში ასახვა არ უპოვია. აქ გასათვალისწინებელია მძიმე საცენზურო პირობებიც, რაც გაზეთის მესვეურებს არ აძლევდა საშუალებას ნათლად ეთქვათ სათქმელი.

„საერთო ასპარეზისა“ და სხვადასხვა მიმდინარეობათა შეთანხმებისაკენ ზოგადად გამოთქმული მოწოდება „ცნობის ფურცლის“ გარშემო თავმოყრილი ჯგუფების, კერძოდ, ეროვნულ-რადიკალური და ბურჟუაზიულ-ეროვნული მიმდინარეობების მთავარ იდეურ ლოზუნგს წარმოადგენდა. ორივე მიმდინარეობის გაერთიანების შემდეგ, XX ს-ის დამდეგს საქართველოში ჩამოყალიბდა ერთიანი, ეროვნული რადიკალურ-დემოკრატიული მიმდინარეობა —„ცნობის ფურცლის“ ჯგუფის სახით. „ამ ჯგუფის ახალგაზრდობას თვითონაც არა აქვს მტკიცედ გარკვეული პროგრამა ცხოვრების მოქმედებისა“ — კ. აბაშიძის მიერ „ახალგაზრდა ივერიელებისადმი“ გამოტანილი ეს განაჩენი ძალაში რჩებოდა ახლა უკვე „ცნობის ფურცლის“ ჯგუფის მიმართაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი მეორე

არჩილ ჯორჯაძის გამოსვლა სამოღვაწეო ასპარეზზე. „საერთო მოქმედების ნიადაგის“ თეორია

XX ს-ის 60-იანი წლებიდან ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ცენტრალურ მოვლენას ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამებრძოლების მოღვაწეობა წარმოადგენდა. სტუკუნის მიწურულს საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში გარდამავალი პერიოდი დადგა, „როცა კაპიტალიზმის შედარებით სწრაფი განვითარებისა და ახალ საზოგადოებრივ კლასთა წარმოშობის პროცესის შემდგომი გაძლიერების გამო ხდებოდა იდეურ ძალთა ხელახალი გადანაწილება“[1]. ილიას უნივერსალური ფორმულა „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“ კვლავ რჩებოდა ეროვნული ძალების მოღვაწეობის მთავარ ორიენტირად, მაგრამ ახალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური სინამდვილე მოითხოვდა კონკრეტულ-ისტორიული ვითარებისათვის შესაფერი ეროვნული პროგრამის შემუშავებას.

როგორც აღვნიშნეთ, მიუხედავად იმისა, რომ „ახალგაზრდა ივერიელებისა“ და „მოამბის“, ხოლო შემდგომ „ცნობის ფურცლის“ ჯგუფის წარმომადგენლებმა ეროვნული მოღვაწეობის ზოგიერთი ძირითადი პრინციპული მიმართულებანი

---

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბ., 1970, ტ. V, გვ. 476.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიმუშავეს, ვერ შეძლეს მათი სისტემატიზაცია და გამოკვეთილ ეროვნულ-პოლიტიკურ პროგრამად ჩამოყალიბება.

1901 წლის გაზაფხულზე „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში თანამშრომლობა დაიწყო არჩ. ჯორჯაძემ. პირველივე წერილებიდან ცხადი გახდა, რომ მისი სახით „ცნობის ფურცლის“ ჯგუფს მთავარი იდეოლოგი მოევლინა. 1901—1902 წლებში „ცნობის ფურცელში“ გამოქვეყნებულ მრავალრიცხოვან პუბლიცისტურ წერილებში არჩილ ჯორჯაძემ თავი მოუყარა ქართველი ინტელიგენციის ძველი და განსაკუთრებით ახალი თაობის წარმომადგენელთა ცალკეულ ეროვნულ-დემოკრატიულ შეხედულებებს და ერთიან მოძღვრებად ჩამოაყალიბა, რომელიც „საერთო მოქმედების ნიადაგის“ სახელითაა ცნობილი.

არჩ. ჯორჯაძემ ჯერ კიდევ პარიზიდან გამოგზავნილ და „ცნობის ფურცელში“ გამოქვეყნებულ პირველსავე წერილში „ჩვენი საჭირბოროტო კითხვები“ აღიარა, რომ სოციალურმა წინააღმდეგობამ „მოპირდაპირე დასებად“ დაჰყო ქართველი საზოგადოება. ერთი ნაწილი ამ საზოგადოებისა ვერ ხედავდა ან არ სურდა დაენახა ის სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებები, რომელნიც ქვეყნის ცხოვრებაში მოხდა. მეორე ნაწილი კი, „ჩვენი ახალდაბადებული ეგრედწოდებული „მესამე დასი“ საქართველოს ორ კლასადა ჰყოფს და ამბობს ამ კლასთა შორის ეკონომიური განხეთქილება არსებობს, რის გამოც მათ არავითარი საერთო ინტერესები არა აქვთო“. პირველნი საზოგადოებრივ აზრთვნებაში „რუტინით ხელმძღვანელობდნენ, ხოლო მეორენი „დოქტრინით“ ცდილობდნენ ცხოვრების ძველი ფორმებისათვის ბოლო მოეღოთ, „ძალად ჩაეტიათ იგი პროკრუსტეს სარეცელში, რომელიც გაკეთებულია ახალმოდურ ბროშურათა ხელმძღვანელობით“. არჩ. ჯორჯაძის თქმით, „პირველია ნიშანი აზრის უმოძრაობისა, მისი შეჩერებისა, ხოლო მეორე ნიშანია მისი ნახტომებისა და სხვათა აზრთა გავლენის ქვეშ ყოფნისა, მათი ყურმოჭრილი ყმობისა“[2].

---

[2] „ცნობის ფურცელი“, 1901, 19 იანვარი, არჩილ ჯორჯაძე, „ჩვენი საჭირბოროტო კითხვები“, პარიზი.

„ცნობის ფურცლის“ ახალმოვლენილი პუბლიცისტის რწმენით, მაშინ, როცა ქართველი ერი განსაცდელში იმყოფებოდა, გადაგვარება ემუქრებოდა არა რომელიმე მის ნაწილს, ერთ კლასს, არამედ მთელ ხალხს, მის ყველა კლასს. „ჯერ ერი უნდა დავიცვათ და მერე ის ვიზრუნოთ, თუ რა გზაზე დავაყენოთ იგი“, — წერდა არჩ. ჯორჯაძე. ქართველი საზოგადოების წინაშე იდგა „ერთი ინტეგრალური საკითხი“ — ეროვნული საკითხი და მისი წარმატებით გადაჭრისათვის არჩ. ჯორჯაძემ შეთანხმებული მოქმედებისაკენ მოუწოდა ქვეყნის მოპირდაპირე დასებს. „ჩვენ ვიწვევთ მხოლოდ ჩვენს ქვეყნის ერთიმეორის მოპირდაპირე დასებს სინდისიერად გადაშინჯონ თავიანთი რწმენანი; ჩვენ ვიწვევთ მათ საერთო შეთანხმებულ მოქმედებისათვის იმიტომ კი არა, ვითომ გვინდოდეს შევარიგოთ შეურიგებელი, შევაერთოთ შეუერთებელი, არამედ იმიტომ, რომ, მიუხედავად ამ ბუნებრივ დიფერენციაციისა, რომელიც ხდება ჩვენის ხალხის წესწყობილებაში, ჩვენს ქართველ ინტელიგენციის წინაშე წარმომდგარია ერთი ინტეგრალური საკითხი ჩვენი ერის ეკონომიურ და სულიერ წარმატებისა, ის საკითხი, რომლის შემუშავებაში მონაწილეობა უნდა მიიღოს ჩვენი ქვეყნის ყველა შეგნებულმა წევრმა“[3].

არჩილ კონსტანტინეს ძე ჯორჯაძე დაიბადა 1872 წლის 10 იანვარს, თბილისში. 1881-85 წლებში სწავლობდა ქუთაისის, ხოლო შემდეგ თბილისის პირველ გიმნაზიაში, რომელიც 1892 წელს დაამთავრა. არჩ. ჯორჯაძემ სწავლა განაგრძო პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, მცირე ხნით გადავიდა ვარშავის უნივერსიტეტში, ხოლო შემდეგ ისევ პეტერბურგის უნივერსიტეტში დაბრუნდა. სტუდენტობის წლებში არჩ. ჯორჯაძე ფილოსოფიური და რელიგიური პრობლემებით იყო გატაცებული, ლუარსაბ ანდრონიკაშვილთან, ზურაბ ავალიშვილთან და ორიოდე სხვა ქართველ სტუდენტთან ერთად იგი დაახლოებული იყო ჟურნალ „სევერნი ვესტნიკის“ ფაქტიურ რედაქტორთან ვოლინსკისთან

---

[3] „ცნობის ფურცელი“, იქვე.

და აქტიურად მონაწილეობდა მის მიერ ჩამოყალიბებულ ფილოსოფიური წრის საქიანობაში.

შემდეგ არჩ. ჯორჯაძე საზღვარგარეთ გაემგზავრა და პარიზისა და ლონდონის უნივერსიტეტებში ისმენდა ლექციებს. 90-იანი წლების მიწურულს იგი ტოლსტოის მოძღვრებას გაეცნო და ინგლისში ტოლსტოველთა კოლონიის ცხოვრებით დაინტერესდა. ცნობილი საზოგადო მოღვაწე ს. ფირცხალავა თავის მოგონებებში წერს, რომ იგი თითქოს სამუდამოდ მოწყდა ჩვენს ცხოვრებას და დაიკარგა სამშობლო ქვეყნისათვის, „მაგრამ თურმე შორს, უცხოეთში გადახვეწილ არჩილის სულში დიდი პროცესი ხდებოდა. შორიდან იგი უფრო დაუახლოვდა მშობელ მიწა-წყალს, უფრო მწვავედ იგრძნო თავის ერის განცდანი, უფრო ჩაწვდა მის უბადრუკს ცხოვრებას. ღრმა სულიერის ტანჯვით და დაკვირვებით ეძიებდა გზას ქართველი ერის განვითარებისათვის და ჰპოვა კიდეც: ეს იყო გზა განვითარებისა საკუთარ ნიადაგზე, საკუთარის კულტურის და შემოქმედების განცხოველება“[4].

1901 წლის დასაწყისში არჩ. ჯორჯაძე საქართველოში დაბრუნდა, ხოლო გაზაფხულიდან უშუალო თანამშრომლობა დაიწყო „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში. 1901 წლის 21 მარტს „ცნობის ფურცელში“ გამოქვეყნდა მისი საპროგრამო მნიშვნელობის წერილი „საერთო მოქმედების ნიადაგი“.

არჩ. ჯორჯაძემ აღნიშნა, რომ ქართველი საზოგადოების „ჯგუფებათ“ დაყოფას ეკონომიკური საფუძველი ჰქონდა და მათ შორის წინააღმდეგობაც კანონზომიერი იყო. მიუხედავად ამისა, საქართველო ისეთ „ისტორიულ ხანაში“ იმყოფებოდა, რომელიც ქმნიდა „ნიადაგს მოკამათე ჯგუფების საერთო პრაქტიკულ მოქმედებისათვის“. თავდაპირველად არჩ. ჯორჯაძემ „საერთო მოქმედების ნიადაგის“ სამი პუნქტი დაასახელა, რომელთა ცხოვრებაში განხორციელებისათვის „მოპირდაპირე დასებს“ საერთო ენა უნდა გამოეძებნათ და ერთობლივი ღონისძიებებით ებრძოლათ. ესენი იყო:

---

[4] ს. ფ ი რ ც ხ ა ლ ა ვ ა, მოგონებათა ფურცლები. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და პირთა საძიებელი დაურთო ლეილა ნანიტაშვილმა. თბ., 1988, გვ. 116.

1. ქართული ენის დაცვა; 2. ქართული ვაჭრობა-მრეწველობის შექმნა; 3. ქართული მეურნეობის ქართველთა ხელში შერჩენა.

აღნიშნული წერილის მეორე ნაწილში, რომელიც „ცნობის ფურცლის“ 5 აპრილის ნომერში დაიბეჭდა, არჩ. ჯორჯაძემ თავის სამპუნქტიან პროგრამას ორი პუნქტი დაამატა: სახალხო კულტურული მოღვაწეობა და ქალაქთა თვითმმართველობაში ქართველთა ჩარევა. ზოგიერთი თანამედროვე პერიოდში გამოსული ნაშრომიდან მკითხველს შეიძლება დარჩეს აზრი, რომ „საერთო მოქმედების ნიადაგი“ სამი პუნქტისაგან შედგებოდა, ან პირველი სამი პუნქტი ძირითადი იყო, ხოლო უკანასკნელი ორი პუნქტი დაქვემდებარებული მნიშვნელობისა. საერთო ნიადაგის თეორია ხუთი პუნქტისაგან შედგებოდა, რასაც არაერთხელ მიუთითებდა თავად არჩ. ჯორჯაძე.

როგორც აღვნიშნეთ, კომპაქტური სახით თავისი საპროგრამო დებულებები არჩ. ჯორჯაძემ ჩამოაყალიბა ზემოაღნიშნულ წერილში „საერთო მოქმედების ნიადაგი“, მაგრამ თავისი თეორიის ცალკეული პუნქტების დასაბუთებას იგი განაგრძობდა 1901—1902 წლებში გამოქვეყნებულ მრავალრიცხოვან წერილებში. ჩვენც, თითოეული „ნიადაგისეული“ პუნქტის განხილვისას, მხედველობაში გვექნება არა პირველი საპროგრამო წერილი, არამედ 1901—1902 წლების პერიოდის ჯორჯაძისეული ნაზრევი.

„საერთო ნიადაგის“ პირველი პუნქტი — ქართული ენის დაცვა, არჩ. ჯორჯაძემ ქართველ სამოციანელთა ეროვნული მემკვიდრეობიდან აიღო. თერგდალეულები მშობლიური ენისა და ლიტერატურის დაცვას და განვითარებას ერის გადარჩენისა და სიცოცხლისუნარიანობის ქვაკუთხედად მიიჩნევდნენ. „პირველი... ნიშანი ერის ვინაობისა ენაა, — წერდა ი. ჭავჭავაძე, — და აი სწორედ პირველმა ამან აიდგა ფეხი ჩვენში, შემდეგ კარგახნის დუმილისა. ამასთან ჩვენს ცხოვრებას, ჩვენს აზრთა სვლას, ჩვენს ზრუნვას და ფიქრსა მთელის ბუნებითად რთულის ცხოვრების მოედნიდან მცირე კუნჭულიღა ჰქონდა დათმობილი ჟამთა ვითარებისაგან. მარტო ამ კუნჭულშიღა გახდა შესაძლებელი ჩვენი ცხოვრებისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოღვაწე კაცს თავი ეჩინა... ჩვენმა აზრთა სვლამ, მიმართულებამ, საქმიანობამ აქ შეაფარა თავი"[5].

ქართული ენა საქართველოში დევნილის პირობებში იმყოფებოდა, მას არ ასწავლიდნენ სკოლაში, არ ხმარობდნენ სახელმწიფო დაწესებულებებში. ბევრი გამოთქვამდა წუხილს, რომ დედა-ენა ეკარგებოდა, მაგრამ უბედურება ის იყო, რომ ამ სავალალო პროცესში თვით ქართველი საზოგადოების ერთ ნაწილსაც მიუძღოდა ბრალი. არჩ. ჯორჯაძე გულისხმობდა საზოგადოების, განსაკუთრებით კი თავადაზნაურული ინტელიგენციის იმ ნაწილს, რომელიც ნებაყოფლობით უგულვებელყოფდა მშობლიურ ენის ხმარებას და რუსულად მეტყველებდა იქაც, **„სადაც ქართული ენის ხმარება კანონით არ იყო აღკრძალული"**. (ხაზგასმა — არჩ. ჯ.). ამ ე. წ. საზოგადოების განათლებულ „მოწინავე დასს" მშობლიური ენის გარეშეც იოლად შეეძლო ცხოვრება, უცხო ენის ცოდნით, მაგრამ მას უნდა შეეგნო, რომ დანაშაულს სჩადიოდა ქართველი ხალხის წინაშე, როცა მშობლიურ ენას ივიწყებდა. ხალხის ჩამორჩენილობა-დაქვეითება ეკონომიკური სიდუხჭირის გარდა გაუნათლებლობითაც იყო გამოწვეული. „განათლება და ცოდნის შეძენა კი დედა-ენის საშუალებით უნდა იყოს შეძენილი", წერდა არჩ. ჯორჯაძე. ამიტომ ქართული ენის დაცვა-განვითარება გარდა ეროვნულისა, თავად ხალხის ძირეული ინტერესებიდანაც გამომდინარეობდა.

გარდა მშობლიური ენის ხმარებისა, ქართული ენის დაცვა ფართო გაგებით გულისხმობდა ქართული ლიტერატურის, ხელოვნება-მხატვრობის, ქანდაკების, მუსიკის განვითარებას. არჩ. ჯორჯაძის რწმენით, ჩვენში ხელოვნებას და ლიტერატურას ერთი ძირითადი, კერძოდ, ეროვნული მიმართულება უნდა მიეღო. ქართველი კაცის ბუნება, ერთი მხრივ „ცვალებადი, გულუბრყვილო, მომხიარულე და მომღერალი ერის ხასიათი", მისი დაუღალავობა, სიცოცხლის წყურვილი, „მიუხედავად სასტიკ გარემოებათა, მუდმივი განუწყვეტელი ბრძოლა და ბრძოლასთან ერთად ლხინი", მეორე მხრივ კი „გადაგვარების და მოსპობის აჩრდილი, რომელიც დაგვდევს ჩვენ

---

[5] ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. 3, თბ., 1953, გვ. 206.

ფეხდაფეხ და რომელსაც ჩვენი დაშინებული გონება ვერსად ვერ გაურბის“, ეს ყველაფერი მდიდარი მასალა იყო ქართველ ხელოვანთა და ლიტერატორთათვის. „დაგვანახოს... ჩვენი სულიერი მდგომარეობა, დაგვარწმუნოს, რომ ჩვენ ცხოვრებისათვის გამოსადეგნი ვართ და ღირსნი უკეთესი მომავლისა“[6], — აი ეს იყო არჩ. ჯორჯაძის რწმენით ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის მიზანდასახულება.

ენასთან დამოკიდებულების თვალსაზრისით საინტერესოა არჩ. ჯორჯაძის ერთი გვიანდელი ხანის ეტიუდი „მავნებელი სენი“. ავტორი მკითხველს უზიარებს თავის გაკვირვებას იმ „გაუგებარი“ მოვლენისა გამო, რომ ქართველი ინტელიგენციის ერთი ნაწილი, რომელიც თითქოს მონდომებული იყო ხალხის ინტერესების დასაცავად, ნამდვილად კი, პრაქტიკულად „საძირკველსაც კი უთხრიდა ჩვენს ეროვნულ კულტურულ აღორძინებას“. არჩ. ჯორჯაძეს მხედველობაში ჰყავდა „ინტელიგენციის და საზოგადოების ის ფრიად დიდი ნაწილი, რომელიც რუსულად აზროვნებს, რუსულად სწერს და შემოქმედობს და მხოლოდ რუსულად ჰკითხულობს“[7].

ამგვარი მოვლენა ქართველ საზოგადოებაში სულ უფრო იძენდა „მავნებელი სენის“ ხასიათს. „კულტურის აყვავება უენოდ შეუძლებელია, — წერდა არჩ. ჯორჯაძე, — რადგან ენა არა მარტო იარაღია გრძნობისა და აზრის გადმოსაცემად, არამედ იგი სულია ეროვნულ არსებისა, ხალხის ფსიხიურ განწყობილების მაჩვენებელი“[8]. სწორედ ამიტომ იყო, რომ თავის პირველი საპროგრამო გამოსვლის დროს არჩ. ჯორჯაძემ მწვავედ დასვა ქართული ენის დაცვისა და განვითარების საკითხი და ქართველ საზოგადოებაში არსებულ „ს ა მ ი ვ ე დ ა ს ს“ მისი განხორციელებისათვის — გაერთიანებისაკენ მოუწოდა. „აი ის პირველი საკითხი, რომელიც უნდა აერთებდეს ამ დასებს და რომლის განმარტებაში არც „დიალექ-

---

[6] „ცნობის ფურცელი“, 1901, 13 მაისი, არჩ. ჯ ო რ ჯ ა ძ ე, ჩვენი მოქმედების სახელმძღვანელო დედა-აზრი.

[7] არჩ. ჯ ო რ ჯ ა ძ ე(თხზულებანი, წიგნი მეორე, „მავნებელი სენი“, ტფილისი, 1911, გვ. 215.

[8] ი ქ ვ ე, გვ. 221.

ტიკურ პროცესს“ აქვს ადგილი და არც „ეკონომიურ მატერიალიზმს“[9], — წერდა „საერთო ნიადაგის“ შემოქმედი.

„საერთო ნიადაგის“ მეორე პუნქტი იყო — ქართული ვაჭრობა-მრეწველობის შექმნა. ეროვნული პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთ გზად არჩ. ჯორჯაძემ ეროვნული კაპიტალის განვითარება-გაძლიერება მიიჩნია. არჩ. ჯორჯაძის აზრით, საქართველოს ისტორიული უბედურება იმაში მდგომარეობდა, რომ XIX საუკუნემდე ვერ გაერთიანდა პოლიტიკურად, რისი მიზეზიც იყო ქვეყნის ეკონომიკური დაქუცმაცებულობა. ეკონომიკური გაერთიანების საქმე ხელში უნდა აეღო ქართველ ბურჟუაზიას. მაგრამ ეროვნული ბურჟუაზიის შექმნას საქართველოში ხელს უშლიდა აქ გაბატონებული უცხოური წარმოშობის, განსაკუთრებით კი სომხური ბურჟუაზია, რომელსაც დაპყრობილი ჰქონდა კავკასიის და საქართველოს ბაზარი და ეკონომიკური ცხოვრების სადავეები მტკიცედ ეპყრა ხელთ. ამგვარი ვითარება გამანადგურებლად მოქმედებდა ეროვნულ მრეწველობასა და მეურნეობაზე. რა იყო საჭირო ეროვნული ბურჟუაზიის განვითარებისათვის? სტატიაში „ჩვენი ეკონომიური პროგრამის გამო“ არჩ. ჯორჯაძემ მიუთითა ერთ-ერთ საშუალებაზე — საჭირო იყო „მტკიცე მფარველობითი სისტემის“ შექმნა. „ჩვენს ვაჭრობას, მეურნეობას მფარველობა უნდა აღმოუჩინოთ, ვინაიდან ქართველი ხალხის კეთილდღეობისათვის აუცილებლათ საჭიროა ეკონომიურ მონობიდან განთავისუფლება“[10].

ვის უნდა აღმოეჩინა მფარველობა „ნაციონალური მრეწველობისათვის“? არჩ. ჯორჯაძეს სახელმწიფოებრივი პროტექციონიზმის იმედი არ ჰქონდა. მეფის ხელისუფლება დაინტერესებული არ იყო სუსტი ქართველი ბურჟუაზიის დახმარებით, ხოლო ეროვნული სახელმწიფოებრიობა — ეს ბუნებრივი მოკავშირე ეროვნული ბურჟუაზიისა, არ არსებობდა. ამგვარ ვითარებაში, არჩ. ჯორჯაძის აზრით, ეროვნული ბურჟუაზიისათვის მფარველობა უნდა აღმოეჩინა ქართველ

---

[9] „ცნობის ფურცელი“, 1901, 21 მარტი, არჩ. ჯ ო რ ჯ ა ძ ე, „საერთო მოქმედების ნიადაგი“.

[10] „ცნობის ფურცელი“, 1901, 3 მაისი.

ალხს, საქართველოს მოსახლეობის ყველა ფენას, მან ეროვნული ვაჭრობა-მრეწველობის შექმნისათვის მოუწოდა არა მარტო ბურჟუაზიას, თავადაზნაურობას, არამედ ქართველ პროლეტარიატს, გლეხობას, მთელ მშრომელ მოსახლეობას. „კაპიტალიზმის განვითარებამ საქართველოში თანამედროვე პირობებში ნაციონალური მიმართულება უნდა მიიღოს“[11], — წერდა არჩ. ჯორჯაძე.

„საერთო ნიადაგის“ ავტორმა საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებისათვის შეუფერებლად და უვარგისად სცნო კლასობრივი ანტაგონიზმის პრინციპი და მას კლასობრივი თანამშრომლობის პრინციპი დაუპირისპირა. საქართველოს მუშათა კლასს კლასობრივი ბრძოლის პრინციპით მხოლოდ უცხოელ ბურჟუაზიასთან დამოკიდებულებაში უნდა ეხელმძღვანელა. არჩ. ჯორჯაძეს ესმოდა, რომ მისი თეორიის თუნდაც ცხოვრებაში განხორციელების შემდეგაც კლასობრივი წინააღმდეგობა არ აღმოიფხვრებოდა და არც ეკონომიკური თანასწორობა დამყარდებოდა, მაგრამ აქ იგი მიმართავდა ქართველი პროლეტარიატის ეროვნულ გრძნობებს, რომელსაც კლასობრივი ინტერესები უნდა დაექვემდებარებინა პატრიოტული ინტერესებისათვის, რითაც იგი დაამტკიცებდა „ეროვნული თვითცნობიერების სიმწიფეს“. ყველა ქართველი მშრომელი მუშა, ეს იქნებოდა მეჩექმე თუ კარის დარაჯი, ასოთამწყობი თუ თერძი, ამ ეროვნული აზრით უნდა ყოფილიყო გამსჭვალული. ასე რომ, „საერთო ნიადაგის“ შემოქმედმა პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესები მუშის პირად ინტერესებად მიიჩნია, რომელიც ეროვნულ, ე. ი. საზოგადოებრივ ინტერესებს უნდა დამორჩილებოდა. „ქართველი ხალხი იძულებულია თავისი კერძო კლასიური ინტერესები საერთო ინტერესებზე დაბლა დააყენოს და მით დაამტკიცოს თავისი ეროვნული თვითცნობიერების სიმწიფე, — წერდა არჩ. ჯორჯაძე. — ჩვენთვის ფულიანი კაცები საჭირონი არიან, რადგანაც უფულოდ ჩვენ ვერ ვახერხებთ ვერავითარს ქართულს საზოგადო საქმეს — თეატრია იგი, წერა-კითხვის საზოგადოებაა თუ გამომცემელი საზოგადოება“[12].

---

[11] „ცნობის ფურცელი“, 1901, 21 მარტი.

[12] „ცნობის ფურცელი“, იქვე.

„საერთო ნიადაგის“ მესამე პუნქტი იყო — ქართული მეურნეობის ქართველთა ხელში შერჩენა. ჯორჯაძისეული სტატისტიკური მონაცემებით, 1894 წლისათვის თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში კერძო საკუთრებაში ითვლებოდა 2 491 426 დესეტინა მიწის ფართობი, აქედან 2 075 782 დესეტინა თავადაზნაურობას ეკუთვნოდა. გაღატაკებული, ვალებში ჩავარდნილი და პარაზიტულ ცხოვრებას მიჩვეული ქართველი თავადაზნაურობის მნიშვნელოვანი ნაწილი იძულებული ხდებოდა ჩალის ფასად გაეყიდა თავისი მამულები, რომელსაც დაუყოვნებლივ იძენდა მისი მევალე უცხოური, განსაკუთრებით კი სომხური ბურჟუაზია. ეს პროცესი შედარებით ძლიერი ინტენსიურობით მიმდინარეობდა აღმოსავლეთ საქართველოში. არჩ. ჯორჯაძე შეშფოთებით ადევნებდა თვალს სომხური პლუტოკრატიის მომძლავრებას ეროვნულ მიწა-წყალზე და გამოსავალს ეძებდა.

არჩ. ჯორჯაძე მომხრე იყო თავადაზნაურთა მიწების გლეხობის ხელში გადასვლისა, მაგრამ აღიარებდა, რომ საქართველოს გლეხობის ღარიბ უმრავლესობას ამ მიწების შეძენის შესაძლებლობა არ გააჩნდა. „ჩვენი მწარმოებელი არ არის დამკიდრებული იმ მიწაზედ, რომელსაც ის ამუშავებს და რომელიც — საქართველოს ტერიტორიას შეიცავს“[13]. აქ ძნელი არ არის ავტორის გულისტკივილის მთავარი მიზეზის დადგენა. არჩ. ჯორჯაძეს სოციალური მომენტი იმდენად არ აშფოთებდა, მას საკითხის ეროვნული მხარე აწუხებდა, კერძოდ, იმ მიწა-მამულების ბედი, რომელსაც ქართველი თავადაზნაურობა კარგავდა და რომელიც „საქართველოს ტერიტორიას შეიცავდა“. ავტორის აზრით, „ქართველი საზოგადოების“ წინაშე შემდეგი სახის დილემა იდგა: თავადაზნაურობა მიწას კარგავდა, ხოლო გლეხობას მისი შეძენის უნარი არ ჰქონდა. ამგვარ ვითარებაში ყოველი ღონე უნდა ეხმარათ, რათა მიწა-წყალი ისევ თავადაზნაურობას შერჩენოდა, რადგან თუ უცხოური ბურჟუაზია შეისყიდიდა ამ მიწებს, იგი სამუდამოდ დაეკარგებოდა როგორც ქართველ გლეხობას, ისე

---

[13] „ცნობის ფურცელი“, 1901, 29 მაისი.

ადგილობრივ ბურჟუაზიას და თავადაზნაურობასაც, ამიტომ-საბოლოო შედეგით — ქართველ ხალხს.

არჩ. ჯორჯაძე შორს იდგა თავადაზნაურობის, როგორც წოდების ინტერესების დაცვისაგან. ქართველი თავადაზნაურობა ძველ დროში „მამულის სამხედრო მცველი წოდება“ იყო და ამით ამართლებდა თავის ეკონომიკურ უპირატესობას. XIX—XX სს-ში ამ წოდებამ დაჰკარგა თავისი ოდინდელი ეროვნულ-პოლიტიკური ფუნქცია. ახალ დროში ქართველი თავადაზნაურობის მცირე ნაწილი შეეგუა და მოერგო ახალ დროს, მაგრამ მისი უმრავლესობა „უმიზნოდ და უსაქმოდ“ დარჩა და მშრომელ ხალხს დააწვა ტვირთად. ჯორჯაძეს თავადაზნაურობა გამოტირებული ჰყავდა. მას იმ ორი მილიონი დესეტინა მიწის ბედი აწუხებდა, რომელიც დღეს ჯერ კიდევ ქართველი არისტოკრატიული წოდების ხელში იყო, მაგრამ ხვალ სხვის ხელში უნდა გადასულიყო. „ამ უთვალავ მიწას დაცვა უნდა. თვითონ მკითხველმა წარმოიდგინოს, რა უნდა დაემართოს ხალხს, ჩვენს ეროვნებას და პიროვნებას, ამ მიწის ნახევარსაც რომ უცხოელები დაეპატრონონ? ჩვენი გადაგვარება, გაქარწყლება სწორედ მაშინ იქნება“[14], — შეშფოთებული დაასკვნიდა არჩ. ჯორჯაძე.

„საერთო ნიადაგის“ თეორიის ავტორმა უმთავრეს პიროობად წამოაყენა ქართული მიწა-წყლის ქართველთა ხელში შერჩენის საკითხი, ვინც არ უნდა ყოფილიყო იგი, ოღონდ კი ჰქონოდა ამის საშუალება — გლეხი, თავადი, აზნაური, ვაჭარი თუ კაპიტალისტი. „მიუხედავად ჩვენის მემამულის და გლეხის ერთმანეთთან წინააღმდეგობისა, ხალხის საერთო კეთილდღეობა მოითხოვს, რომ მამული მაინც ქართველს დარჩეს, გლეხია იგი თუ თავადი“, — წერდა არჩ. ჯორჯაძე. „ჩვენი მიწა, გარემოების და დროების მოთხოვნილებით ქართველობას უნდა დარჩეს, ე. ი. ყოველ იმ ქართველს განურჩევლად წოდებისა, ვინც კი შეიძლებს გასაყიდ მიწის შეძენას“[15]. ჯორჯაძე პოლონელების მაგალითს იშველიებდა ნი-

---

[14] „ცნობის ფურცელი“, 1901, 3 მაისი, „ჩვენი ეკონომიური პროგრამის გამო“.

[15] „ცნობის ფურცელი“, 5 აპრილი, „საერთო მოქმედების ნიადაგი“.

ბუშად, რომლებმაც სილეზიაში (გერმანიაში) „განსაკუთრებული ეროვნული ბანკი“ დააარსეს. ბანკი პოლონელებისაგან გაყიდულ მამულებს იძენდა, ჰყოფდა ნაწილებად და ამით საშუალებას აძლევდა ისევ პოლონელებს შეესყიდათ მიწა. განა ჩვენ კი არ შეგვიძლია ამგვარი დაწესებულების დაარსება, რომელიც გაუადვილებდა ქართველებს მამულის შეძენას? — კითხულობდა ჯორჯაძე — და თავადვე პასუხობდა, რომ ეს სავსებით შესაძლებელი იყო. თუ ფულიანი მყიდველი გამოუჩნდებოდა მამულს, ხომ კარგი, თუ არა და ბანკი გაანაწილებდა ხსენებულ მამულს და გრძელვადიანი სესხის საშუალებით ქართველ გლეხკაცობას მიჰყიდდა.

ჩვენმა ინტელიგენციამ სახალხო კულტურული მოღვაწეობა უნდა იკისროს — ასეთი იყო ჯორჯაძისეული „საერთო მოქმედების ნიადაგის“ მეოთხე მუხლი. სახალხო მოღვაწეობის მიზანი იყო განათლების, ცოდნის გავრცელება მშრომელ მოსახლეობაში, ქართველი ხალხის ეროვნულ-კულტურული თვითშეგნების აღზრდა-ამაღლება. არჩ. ჯორჯაძემ მოუწოდა ქართველ ინტელიგენციის წარმომადგენლებს, განურჩევლად პოლიტიკური აზრებისა და რწმენისა ერთიანი ძალისხმევით ეკისრათ „ხალხის განათლება“, დაეარსებინათ საკვირაო სკოლები, სახალხო ბიბლიოთეკები, სახალხო თეატრები და მსგავსი განმანათლებლური დაწესებულებები. იმსანად საქართველოში რამდენიმე ამგვარი დაწესებულება არსებობდა, რომელთა ფლაგმანი იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“. ჯორჯაძე განმანათლებლური საზოგადოებების ქსელისა და საქმიანობის რადიკალურ გაფართოებას ესწრაფოდა. ზემოთ აღვნიშნეთ, არჩ. ჯორჯაძე განათლების დაბალ დონეს, უფრო სწორად კი — გაუნათლებლობას, ხალხის სოციალური და მატერიალური სიდუხჭირის ერთ-ერთ მიზეზად მიიჩნევდა, ამიტომაც წერდა: „ქართულ დემოკრატიულ და ეროვნულ წარმატებაში „სახალხო მოღვაწეობას“ უპირველესი ადგილი უნდა ეჭიროს“[16].

---

[16] „ცნობის ფურცელი“, 5 აპრილი, „საერთო მოქმედების ნიადაგი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო მოღვაწეობა ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო იმ „ნიადაგისა“, რომელზედაც ერთმანეთის გვერდით უნდა დამდგარიყვნენ მოპირდაპირე დასები და რომელთაც გვერდზე უნდა გადაედოთ თავიანთი „პარტიულობა“. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის არჩევნებისადმი მიძღვნილ წერილში არჩ. ჯორჯაძე მოუწოდებდა გამგეობას, რომ „საზოგადოების“ მოღვაწეობაში არ ეხელმძღვანელა „პარტიული ინტერესებით“, პირიქით, გამგეობის შემადგენლობაში შესულ სხვადასხვა დასების წარმომადგენლებს უნდა გაერჩიათ უშუალოდ „საზოგადოების“ საჭირბოროტო საქმეები: რაგვარი წიგნები ესაჭიროებოდა ხალხს? რა პირობებში უფრო ვრცელდება ხალხში წერა-კითხვის სურვილი? რა საშუალებით უკეთესად მკვიდრდება ხალხში ეს სურვილი? და არა ის, თუ რომელი წევრი გამგეობისა რა „მიმართულებისა“ იყო — „მესამე დასელი“, „არისტოკრატ-ნაციონალისტი“ თუ „ნაციონალ-დემოკრატი“.

და, ბოლოს, „საერთო ნიადაგის“ თეორიის მეხუთე მუხლი — ქალაქთა თვითმმართველობებში ქართველების ჩარევის საკითხი.

უცხოური წარმოშობის ბურჟუაზიამ, რომელმაც XIX ს-ის განმავლობაში ხელთ იგდო კავკასიის ბაზარი, თავისი წილი მოითხოვა ქვეყნის სამოქალაქო მართვა-გამგეობაშიც. შედეგი ის იყო, რომ უცხოტომელი ბურჟუაზიის, განსაკუთრებით კი სომხური პლუტოკრატიის წარმომადგენლებმა მტკიცედ მოიკალათეს საქართველოს და ამიერკავკასიის ადმინისტრაციული და კულტურულ-პოლიტიკური ცენტრის — თბილისის თვითმმართველობაში. 1878—1891 წლებში თბილისის ქალაქისთავის სავარძელი უცვლელად ეკავა ა. მატინოვს, ხოლო ქალაქის თვითმმართველობის სადავეები მყარად ეპყრათ ხელთ ადელხანოვებს, ანანოვებს, ევანგულოვებს, იოანისიანებს, მანთაშევებს, ყორღანოვებს, თამამშევებს და კომპანიას.

არჩ. ჯორჯაძის მონაცემებით, ანალოგიური მდგომარეობა იყო აღმოსავლეთ საქართველოს სხვა ქალაქებში. გორის, სიღნაღის, თელავის თვითმმართველობებიდან ქართველობა „განდევნილი იყო“. ერთ-ერთი მიზეზი თვითმმართველობაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოუხვედრელობისა, რა თქმა უნდა, ქართველთა ქონებრივი სიღარიბე იყო, მაგრამ სხვა მიზეზიც არსებობდა, არჩ. ჯორჯაძის აზრით, ეს მიზეზი იყო ქართველი საზოგადოების გაოიშვა, მისი ერთი ნაწილის მიერ ეკონომიური განსხეოქილების მიჩნევა „ცხოვრების საფუძვლად“ და არა „ეროვნული გამაერთიანებელი პრინციპისა“. ცხადია, ჯორჯაძე ქართველ სოციალ-დემოკრატებს გულისხმობდა, ისინი არჩევნების დროს სოციალური პრინციპით ხელმძღვანელობდნენ, არ უჭერდნენ მხარს ქართველების არჩევას ხმოსნებად. ამის შედეგი კი იყო ორად გათიშულ ქართველ ამომრჩევლებზე სომეხთა წარმომადგენლობის გამარჯვება. არჩ. ჯორჯაძე მოუწოდებდა ქართველ ამომრჩევლებს, გაერთიანებულიყვნენ, ისე როგორც ამას აკეთებდნენ სომხები. „რამდენიმე გვიანდელ წერილში არჩ. ჯორჯაძე მოითხოვდა თვითმმართველობებში თანაბარი რაოდენობის წარმომადგენლების არჩევას, „თანაბრივი წარმომადგენლობის“ დამყარებას, რათა „ქართველ ხალხსაც“ ჰყოლოდა თავისი წარმომადყგენლები ქალაქების თვითმმართველობებში. „ქართველთა ამომრჩევლები უნდა შეერთდნენ და თავიანთი მოპირდაპირეები იმათივე იარაღით მოიგერიონ. ამგვარია მეხუთე კითხვა საერთო მოქმედების პროგრამისა“, წერდა არჩ. ჯორჯაძე.

და, ბოლოს, არჩ. ჯორჯაძე ერთიან, მცირე დასკვნად კრავდა თავის „საერთო ნიადაგის“ მუხლებს: „ენა და ლიტერატურა, მრეწველობა და მეურნეობა, თვითმმართველობა და სახალხო მოღვაწეობა, — აი ის ფართო ასპარეზი, რომელზედაც ყველასთვის მოიპოვება ადგილი, ვისაც კი მართლა შესტკივა გული საქართველოს წარმატებისათვის“[17].

„საერთო მოქმედების ნიადაგის“ თეორია საქართველოს ეროვნული პოლიტიკური ძალების კონსოლიდაციისაკენ მიმართული საერთო-ეროვნული პლატფორმის ჩამოყალიბების ცდა იყო. ეროვნული კონსოლიდაციის პოზიციაზე იდგნენ „ივერიელთა“ ძველი თაობის წარმომადგენელნიც. მიუხედავად იმისა, რომ არჩ. ჯორჯაძე იზიარებდა ქართველ თერგ-

[17] „ცნობის ფურცელი“, 1901, 5 აპრილი, „საერთო მოქმედების ნიადაგი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დალეულთა ეროვნულ მოღვაწეობას და ილია ჭავჭავაძის ეროვნულ ნაზრევს, იგი არასაკმარისად მიაჩნდა თანამედროვე პირობებისათვის და აუცილებლობად ესახებოდა მისი შემდგომი დამუშავება. არჩ. ჯორჯაძის რწმენით, ილია ჭავჭავაძე იყო „მე-XIX საუკუნის ჩვენი საზოგადოების ცენტრალური პიროვნება“, ქართული ეროვნული საქმეების ბელადი და მოსარჩლე, „... არ შეიძლება არა ვსთქვათ, რომ მისი პირველი ხანის ეროვნული პროგრამა არამც თუ არ ეწინააღმდეგება ჩვენს დღევანდელ პოლიტიკურ მდგომარეობას, პირიქით, იგი სრული გამომხატველია ამ მდგომარეობისა, — წერდა არჩ. ჯორჯაძე 1901 წელს და განაგრძობდა, — ამისათვის ჩვენ თითქმის შეუცვლელად ვიღებთ მას სახელმძღვანელოდ. მხოლოდ ამ პროგრამას უნდა დავუმატოთ მის (პროგრამის) და ჩვენი დროის შესაფერი ეკონომიური მოძღვრება, იმგვარი სოციალურ ცხოვრების განმარტება, რომელიც ხშირად ეწინააღმდეგება ილია ჭავჭავაძის ეკონომიურ შეხედულებას“[18].

თვით „საერთო მოქმედების ნიადაგის“ ჯორჯაძისეული თეორიაც ი. ჭავჭავაძის ეროვნული ერთიანობის პლატფორმას ეფუძნებოდა და მისგან იღებდა სათავეს. „ჩვენ ხაზს ვუსვამთ იმ გარემოებას, რომ ძველ და ახალ თაობას, ილია ჭავჭავაძის მეოხებით, გამორკვეული დარჩა საერთო მოქმედების ასპარეზი, — წერდა არჩ. ჯორჯაძე. — და ეს სწორედ ის ასპარეზია, — ნაყოფი პოლიტიკურ ცხოვრებისა, — რომელზედაც თავისუფლად მოთავსდებიან ძველის, ახალის და მომავალი თაობის წარმომადგენელნი“[19].

არჩ. ჯორჯაძემ გაიმეორა თავისი წინამორბედისა და თანამოაზრის გ. ზდანოვიჩის ბრალდება თერგდალეულთა ძველი თაობის მიმართ და მათ გარკვეული, დეტალურად ჩამოყალიბებული პროგრამის უქონლობა დასწამა. „ჩვენ გვსურს რაიმე სისტემით ხელმძღვანელობა, — წერდა ის, — რათა ჩვენს აზრებს და ჩვენს მოქმედებას რიგი და წყობა ეტყობო-

---

18 არჩ. ჯ ო რ ჯ ა ძ ე, თხზულებანი, წიგნი მეორე, პუბლიცისტი ილია ჭავჭავაძე, ტფილისი, 1911 წ., გვ. 90.

19 არჩ. ჯ ო რ ჯ ა ძ ე, თხზულებანი, გვ. 131.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეს. დროა უგზოუკვლოდ სიარულს თავი დავანებოთ და რა-
მე მტკიცე ნიადაგს დავადგეთ"[20]. ამ „მტკიცე ნიადაგის"
ებისა და დასაბუთების შედეგი იყო „საერთო მოქმედების
ნიადაგის" ჯორჯაძისეული თეორია.

გარდა უშუალოდ „საერთო ნიადაგის" თეორიის ცალკე-
ული პუნქტების დასაბუთებისა, არჩ. ჯორჯაძე 1901—1902
წლებში გამოქვეყნებულ თავის წერილებში მაშინდელი სა-
ზოგადოებრივი ცხოვრების არაერთ საჭირბოროტო საკითხს
შეეხო. ჯორჯაძისეული ნააზრევი გამოხატავდა „ცნობის ფურ-
ცლის" ჯგუფის საერთო თვალსაზრისს, ამიტომ ზოგიერთ
მათგანს შევეხებით.

არჩ. ჯორჯაძეს მიაჩნდა, რომ საზოგადოებრივი ცხოვრე-
ბის წარმმართველი ძალის როლი საქართველოში ინტელი-
გენციას უნდა ეკისრა. იგი აღიარებდა, რომ სხვადასხვა ის-
ტორიულ ეპოქაში ინტელიგენციას განსხვავებული დანიშნუ-
ლება ჰქონდა. ევროპაში ეკონომიურ ნიადაგზე წარმოშობილ-
მა წინააღმდეგობამ ინტელიგენცია ორ დიდ მოპირდაპირე
ბანაკად გაჰყო — სოციალური რევოლუციის მომხრეებად და
მოწინააღმდეგეებად, ამდენად, ევროპულ ინტელიგენციას
სოციალური ხასიათი ჰქონდა. სხვაგვარ პირობებში იმყოფე-
ბოდა საქართველო. XIX ს-ში ქართველ ინტელიგენციას
„ერთადერთი მიზანი" შეიძლებოდა ჰქონოდა — საქართველოს
ახალ პოლიტიკურ პირობებში აღორძინება. XX ს-ის დასა-
წყისში ეს მიზანი ნახევრადაც არ იყო მიღწეული. ამიტომ
თანამედროვე ქართველი ინტელიგენციის ამოცანად ისევ
ძველი, განუხორციელებელი მიზანი რჩებოდა. რა თქმა უნ-
და, ერთი საუკუნის მანძილზე საქართველოში ღრმა ეკონო-
მიკური ხასიათის ცვლილებები ხდებოდა, მიუხედავად ამი-
სა, ქართველი ხალხის წინაშე ეროვნული იდეალები იყვნენ
წარმომდგარნი და ქართველი ინტელიგენციის მოქმედების
ნიადაგიც მხოლოდ ეროვნული უნდა ყოფილიყო, იგი უნდა
მომსახურებოდა ქართველი ხალხის ინტერესებს და არა ერ-
თი რომელიმე წოდებისას. „ნამდვილი ინტელიგენცია", —
წერდა არჩ. ჯორჯაძე, — შესდგება ყველა წოდებიდან და მას

---

20 „ცნობის ფურცელი", 1901, 13 მაისი.

ამისათვის წოდებრივი ხასიათი არა აქვს. ინტელიგენცია არ არის შემოზღუდული მიუდგომელ კედლით, მასში შედის ყოველი ის, ვისაც განათლება, ცოდნა და შეგნება აქვს — ხალხის შვილია ის, თუ სხვა წოდების წარმომადგენელი"[21].

არჩ. ჯორჯაძეს შეცდომად მიაჩნდა თვალსაზრისი ქართველი სოციალ-დემოკრატებისა, რომელნიც ფიქრობდნენ, რომ ერის საზოგადოებრივ ცხოვრებას, „სახალხო საქმეებს", ინტელიგენციის წარმომადგენლები კი არა, მხოლოდ „ხალხის შვილები" უნდა გასძღოლოდნენ, მეტიც, ინტელიგენციას უნდა ჩამორთმეოდა „სახალხო საქმეების" სადავეები. ამგვარი განცხადება, ჯორჯაძის აზრით, ცარიელი, „ყინულზე დაწერილი თამასუქი" უფრო იყო, ვიდრე რეალური საფუძვლის მქონე. „ნამდვილ მუშა ხალხს, რომელიც დღეში თორმეტი საათის განმავლობაში შრომობს, არ ძალუძს ამ საქმეების გაძღოლა. ყველა ამ საქმეების მოწესრიგებისათვის, მოცლის გარდა, მომზადებაც უნდა. ეგ მომზადება იმავე მოუცლელობის გამო ჩვენს მუშა ხალხს არა აქვს, მაშასადამე, უმეტეს შემთხვევაში საქმე უნდა იმათ ჩაუვარდეს ხელში, ვინც მოცლილი და მომზადებულია და ვისაც ნამდვილი სურვილი აქვს ხალხის სამსახურისა". ასეთი კი საქართველოში, ისევე როგორც „მთელს განათლებულს კაცობრიობაში"[22], ინტელიგენცია იყო. ინტელიგენცია კი არ უნდა ჩამოეცილებინათ საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის, არამედ მისი ცოდნა და მომზადება უნდა გამოეყენებინათ. თუ სხვაგან ასეა, ჩვენშიაც ასე უნდა იყოსო, — დაასკვნიდა არჩ. ჯორჯაძე.

უკვე აღვნიშნეთ, რომ არჩ. ჯორჯაძე არ იზიარებდა ქართველ თერგდალეულთა ძველი თაობის ეკონომიკურ შეხედულებებს, მეორე მხრივ, მესამე დასელი პუბლიცისტების სოციალურ-ეკონომიკური ნააზრევიც პროკრუსტეს სარეცლად ეჩვენებოდა და ეჭვით დაჰყურებდა იმ „სამეცნიერო" ეკონომიკურ კანონებს, რომელნიც შემუშავებულნი არიან

---

21 „ცნობის ფურცელი", 1901, 28 ივნისი, „კიდევ საერთო მოღვაწეობაზე".

22 არჩ. ჯ ო რ ჯ ა ძ ე, თხზულებანი, წიგნი მეოთხე, ტფილისი, 1911, გვ. 189.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანელ ავტორთა „დიდტანიან-თხზულებებში“. მაშ როგორი უნდა ყოფილიყო ქართველი ხალხის სოციალურ-ეკონომიკური თუ პოლიტიკურ-კულტურული მომავალი“? არჩ. ჯორჯაძის რწმენით, ქართველი ხალხის მომავალი ევროპული ცივილიზაციის მიერ გაკვალული გზით უნდა წარმართულიყო. ეროვნული საკითხის გადაჭრა-მოგვარება, ეროვნული აღორძინება, ქართველი ხალხის განვითარების ღერძი იყო, ხოლო მისი სოციალურ-პოლიტიკური თუ კულტურული ცხოვრების მომავალი მოწყობის მთავარი ორიენტირი — ევროპის მოწინავე ერების მიერ განვლილი გზა და გამოცდილება უნდა ყოფილიყო. არჩ. ჯორჯაძე მომავალი საქართველოს ევროპულ ყაიდაზე მოწყობის თავგამოდებულ პროპაგანდას ეწოდა. „აუცილებლად საჭიროა შესწავლა ჩვენის ცხოვრებისა, — წერდა არჩ. ჯორჯაძე, — ამასთანავე საჭიროა გაცნობა მოწინავე ერთა კულტურულ და მატერიალურ ცხოვრებისა. აი, ერთად-ერთი გზა, რომელსაც შეუძლიან თავიდან აგვაცილოს თვალხუჭულა, უგზო-უკვლოდ სიარული“. დაქვეითებულ ერთათვისო, — დაასკვნიდა „საერთო მოღვაწეობის“ მქადაგებელი, — „უსათუოდ საჭიროა მათთვის განვლონ ის გზა მატერიალურ და კულტურულ განვითარებისა, რომელიც უკვე გაუვლია თანამედროვე ევროპას...“[23]

არჩ. ჯორჯაძე იმედით უყურებდა საქართველოში კაპიტალისტური ფორმაციის განვითარების ტენდენციას. ევროპა კაპიტალიზმის კლასიკური ქვეყანა იყო და სწორედ ამ სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციის განვითარებამ განაპირობა ევროპის ქვეყნებში ცივილიზაციის მაღალი დონე. ევროპის მაგალითით იმედმოცემული ჯორჯაძე კმაყოფილებით აღნიშნავდა, რომ საქართველო თანდათან შედიოდა „ევროპულ ცხოვრების ფარგალში“.

არჩ. ჯორჯაძემ უტყუარად იგრძნო, რომ XX ს-ის ზღურბლზე მიმდგარი ქართველი ხალხის ცხოვრებაში ახალი ხანა იწყებოდა. ერთი დიდი ეპოქა განვლილ-მოძველებული იყო, ხოლო ძველებურად ყოფნა შეუძლებელი აღმოჩნდა.

---

23 „ცნობის ფურცელი“, 1901, 19 იანვარი, „ჩვენი საჭირბოროტო კითხვები“.

„ახალი ცხოვრების დაწყებითი ხანისათვის“ საჭირო გახდა „ახალი იდეალი“. ქართველი ხალხი სწორედ ამ „ახალ აზრის და ახალ სიტყვის“ ძიების ისტორიულ ეტაპზე იმყოფებოდა.

მაგრამ აჩქარება არ იყო მიზანშეწონილი. ახალი „სიტყვისა“ და „აზრის“ წარმოთქმის დრო ჯერ არ დამდგარიყო, არ მომწიფებულიყო და არც ფრთები ჰქონდა შესხმული. ქართველი საზოგადოება დუღილის პროცესში იმყოფებოდა, რასაც ერთგვარი გაურკვევლობა ახლდა, ერთი ნათელი მიზნის უქონლობა. მაგრამ საზოგადოება არ უნდა შეეშინებინა გარდამავალი ხანისათვის დამახასიათებელ „გამოურკვევლობას“. მთავარი იყო, რომ საზოგადოება მოძრაობდა, გამოცოცხლებას იწყებდა, კამათობდა, ეძიებდა, სწორედ ეს „დუღილი“ იძლეოდა იმედს. „ჩვენ დუღილის ხანაში ვართ და ეს ჩვენი სინორჩე, გამოურკვევლობა, ეს ჩვენი „დუღილი“ უნდა გვახარებდეს, გვამხნევებდეს, რადგან ყველა ეს სიცოცხლის მომასწავებელია, რადგან სიცოცხლე მოლოდინია და მოლოდინი და რწმენა — დიდი ბედნიერებაა“[24].

ქართველი საზოგადოების წინაშე მრავალი პრობლემა იდგა, მრავალი საქმე, რომელიც უპირველესად ცოცხალ მოქმედებას მოითხოვდა. დიდი და პატარა საქმე ქართველი საზოგადოებისათვის არ არსებობდა, ყველაფერს, რასაც ქართველი მოღვაწე პრაქტიკულად ხელს მოჰკიდებდა, „დიდი მნიშვნელობა“ ჰქონდა, „ყოველი ცოცხალი საქმე ერთნაირად საჭირო და ერთნაირად სანუკვარი“ იქნებოდა საზოგადოებისათვის. ჯორჯაძე კარგად იცნობდა ქართველი კაცის თუ საზოგადოების ხასიათს, ღირსება-ნაკლოვანებებს, ითვალისწინებდა ალბათ მასში გამჯდარ გულაცრუებას პრაქტიკული საქმიანობისადმი და მართებულად მიუთითებდა, რომ ერისათვის, რომელსაც სიცოცხლე და მომავალი სურდა, უპირველესი საზრუნავი იყო „ლაპარაკიდან და სჯა-ბაასიდან“ მის უშუალო, ერთადერთ ღირებულე-

---

[24] „ცნობის ფურცელი“, 1901, 2 სექტემბერი, არჩ. ჯ ო რ ჯ ა ძ ე, „მოლოდინი და საქმე“.

ბაზე — „მოქმედებაზე“ გადასვლა, მოქმედებაზე, რომელიც უნდა „მარტივი“, მაგრამ „ცოცხალი და ნაყოფიერი“ უნდა ყოფილიყო[25].

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ შემთხვევაში, არჩ. ჯორჯაძე სვამდა ქართული მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურის სიღარიბის საკითხს. ქართულ ენაზე არსებული ლიტერატურა ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებდა ქართველი კაცის ინტელექტუალურ მოთხოვნილებას, მის გაზრდილ ინტერესს მწერლობის, ხელოვნების, მეცნიერების დარგში. ქართველი საზოგადოება უნდა დასწაფებოდა მოწინავე ერების და ქვეყნების ინტელექტუალურ მემკვიდრეობას და მშობლიურ ენაზე ეთარგმნა ყველაფერი ის, „რაც ჩვენ გვიჭირს დღეს, რაც გვაკლია და რის დანაკლისიც დაუკმაყოფილებლად სტოვებს ჩვენს სულიერ მოთხოვნილებას“.

ევროპის მაგალითით ხსნიდა აგრეთვე არჩ. ჯორჯაძე ქართულ პუბლიცისტიკაში საკამათოდ გამხდარ კაპიტალის კონცენტრაციის თუ დეცენტრალიზაციის საკითხს. ქართველი მარქსისტები უდავოდ მიიჩნევდნენ თეორიულ თეზას, რომ როგორც ევროპაში, ისე რუსეთში და საქართველოშიც მიმდინარეობდა წვრილი საკუთრების კონცენტრაცია, რასაც შედეგად მოჰყვებოდა წვრილ მესაკუთრეთა პროლეტარიზაცია და სოფლიდან ქალაქში მასობრივი განსახლების პროცესი. ჯორჯაძე აღიარებდა, რომ ამ პროცესს მართლაც ჰქონდა ადგილი ევროპაში, მაგრამ იგი არც შეუქცევადი იყო, არც მუდმივი, მას ჰქონდა საზღვარი — წვრილ მესაკუთრეთა ძირითადი მასის შენარჩუნება სოფლად. ჯორჯაძე ინგლისის, საფრანგეთის, ჰოლანდიის და სხვა ევროპული ქვეყნების სტატისტიკური მაჩვენებლებით ცხადყოფდა, რომ ამ ქვეყნებში ეკონომიკური ცხოვრების ევოლუცია მამულების მცირე ნაჭრებად დაყოფისაკენ მიმდინარეობდა და არა კონცენტრაციისაკენ.

კონცენტრაციის თეორია მით უფრო შეუფერებელი უნდა ყოფილიყო ისეთი წვრილი მესაკუთრეების ქვეყნისათვის, როგორიც საქართველო იყო და სადაც მოსახლეობის 95%

---

25 „ცნობის ფურცელი“, იქვე.

მიწის მეურნეობას მისდევდა. ქუთაისის გუბერნიაში, ჯორ-ჯაძისეული სტატისტიკური მონაცემებით, 313 ქარხანაში 1500 კაცი მუშაობდა, ე. ი. თითოში 45—50, ხოლო თბილისის გუბერნიაში 1000 ქარხანაში 40 000 მუშა ითვლებოდა, ე. ი. თითოში დაახლოებით 40 კაცი. ასეთ ვითარებაში, წერდა ჯორ-ჯაძე, „არავითარი საბუთი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ ეს დიდი კაპიტალი შთანთქავს პატარას და პატარა მრეწველობის ზრდას შეაჩერებს ჩვენში“[26]. რა საკითხზეც არ უნდა ესაუბრა „ცნობის ფურცლის“ ახალ პუბლიცისტს, მის მთავარ ორიენტირს ევროპის მაგალითი წარმოადგენდა, ხოლო მიზანს — ქართველი ხალხის მომავალი ყოფა-ცხოვრების უნივერსალური ევროპეიზაცია. ჩვენო, წერდა არჩ. ჯორჯაძე, „არ შეიძლება არ ვისარგებლოთ ევროპიულ ცხოვრების გამოცდილებით და ჩვენდა სასარგებლოდ არ გამოვიყენოთ ეს გამოცდილება“[27].

არჩ. ჯორჯაძე „საერთო მოქმედების ნიადაგის“ დასასაბუთებლადაც იშველიებდა ევროპის ქვეყნების მაგალითს. 1902 წელს მან გამოაქვეყნა ადრე ნაძალადევში წაკითხული ლექცია „ირლანდია XIX საუკუნეში“, რომელშიც მიმოიხილა საუკუნის განმავლობაში ინგლისის ბატონობის წინააღმდეგ ირლანდიელი ხალხის მამაცური ბრძოლის ისტორია. ჯორჯაძე ქართველ მკითხველს შთააგონებდა ირლანდიელთა პატრიოტიზმს და მათი ბრძოლის გამოცდილებას უზიარებდა. მთავარი გაკვეთილი ირლანდიელთა ბრძოლის გამოცდილებიდან — სხვადასხვა პოლიტიკური ძალების ერთიანობა და შეთანხმება იყო. XIX ს-ში ირლანდიაში მოღვაწეობდა სამი უმთავრესი პოლიტიკური პარტია. პირველი იყო ეროვნულ-პოლიტიკური ხასიათის პარტია და იღვწოდა ირლანდიის ეროვნული დამოუკიდებლობისათვის; მეორე პარტია სარწმუნოებრივი თავისუფლებისათვის იბრძოდა, ხოლო მესამე — სოციალური ხასიათისა იყო და მის მიზანს სოციალური თა-

---

26 „ცნობის ფურცელი“, 1901, 28 ივლისი, არჩ. ჯ ო რ ჯ ა ძ ე, „სოფელი და ქალაქი“.

27 „ცნობის ფურცელი“, 1901, 9 აგვისტო; მისივე, „კოოპერაციების გამო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბისუფლების მოპოვება წარმოადგენდა. სამივე პარტიას კარგად ჰქონდა შეგნებული „უმთავრესი კითხვა, ურომლოდაც დანარჩენ კითხვების გადაწყვეტა შეუძლებელი იყო“ — ეროვნული დამოუკიდებლობის საკითხი, ხოლო ინგლისის პოლიტიკური ბატონობა — ირლანდიელთა საერთო მტერი. „ამ მოსაზრებით აიხსნება, რომ ყველა პარტიები ერთნაირად თანაუგრძნობდნენ ირლანდიის ეროვნულ დამოუკიდებლობას და აგრეთვე ამითი აიხსნება, რომ ყველა ირლანდიელ პარტიებს ეროვნული ხასიათი ჰქონდათ“[28].

არჩ. ჯორჯაძე სიმპატიით მოიხსენიებდა ირლანდიის ეროვნული მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწეს დენიელ ო'კონელს (1775—1847 წწ.). ო'კონელი სამივე პარტიის ინტერესებს იცავდა, რომელნიც შეერთებულად მოქმედებდნენ. „პატრიოტული, სარწმუნოებრივი და ქონებრივი ინტერესი ერთიერთმანეთში გადაწნული ერთ დროშის ქვეშ იწვევდა ყველა მათ, ვისაც თავისუფლების ცეცხლი უდვიოდა გულში და ვისაც ჯერ კიდევ სიცოცხლე არ მოჰბეზრებოდა. ო'კონელმა შეაერთა სხვადასხვა ჯგუფები და უთხრა, ხალხის ინტერესი მოიითხოვს შეთანხმებულ მოქმედებასო“[29]. ჯორჯაძე ქართველ მკითხველს მიანიშნებდა, რომ „საერთო მოქმედების ნიადაგს“ ირლანდიის ეროვნული მოძრაობის სახით ისტორიული პრეცენდენტი გააჩნდა, ამდენად სრულიად რეალური განსახორციელებელი იქნებოდა საქართველოშიც.

მართალია, არჩ. ჯორჯაძე წერდა, რომ როდესაც წამოვაყენეთ „საერთო მოქმედების ნიადაგის“ პრინციპები, ქართველი საზოგადოება დიდის გულგრილობით დაუხვდა ამ ჩვენს ლაპარაკსო, მაგრამ „გულგრილობაში“ პუბლიცისტი ალბათ იმ ფაქტს გულისხმობდა, რომ მისი თეორია „მოპირდაპირე დასებმა“ არ გაიზიარეს. ჯორჯაძისეული თეორია მარჯვნიდანაც გააკრიტიკეს, მარცხნიდანაც. „ივერიის“ პუბლიცისტები უფრო ჯორჯაძის ცალკეულ შეხედულებებს აკრიტიკებდნენ და ნაკლებად ეხებოდნენ „საერთო ნიადაგს“, რომელიც

---

28 არჩ. ჯ ო რ ჯ ა ძ ე, თხზულებანი, წიგნი მეოთხე, ტფილისი, „ირლანდია XIX საუკუნეში“, გვ. 289.

29 არჩ. ჯ ო რ ჯ ა ძ ე, იქვე, გვ. 291.

ერის მთლიანობის მათებურ პლატფორმასთან ახლოს იდგა. განსხვავებით „კონსერვატორებისაგან“ საერთო ნიადაგის თეორიას მძაფრად შეუტიეს მესამე დასელებმა.

პირველად უშუალოდ „საერთო მოქმედების ნიადაგის“ თეორიას ქართველი სოციალ-დემოკრატებიდან ნოე ჟორდანია შეეხო. მან არა მარტო აღიარა საერთო ინტერესების არსებობის ფაქტი კლასობრივად დანაწილებულ ერში, არამედ აღნიშნა, რომ ეს მოვლენა მან პირველმა შენიშნა ქართველ საზოგადოებაში. „ერი ვერასოდეს დანაწილდება ისე, რომ ამ ნაწილთა შორის რაიმე საერთო ინტერესი არ იყოს“[30], — წერდა ჟორდანია, მაგრამ თუ რა შეადგენდა ქართველი ერის ცხოვრებაში „საერთო ინტერესის“ საგანს, არ განმარტავდა. „კვალის“ პირველი პუბლიცისტი არც იმას უარყოფდა, რომ „ენა, ლიტერატურა, ისტორია — საზოგადოთ — კულტურა — ის დედა-ბოძია, რომელზედაც დაყრდნობილია ყოველნაირი პარტია“, მაგრამ, ჯორჯაძის მოლოდინის საწინააღმდეგოდ, არც ეს ფაქტორი მოაჩნდა „მოპირდაპირე დასების“ საერთო ძალისხმევის საგნად.

ნ. ჟორდანიამ უარყო „საერთო ნიადაგის“ მეორე-მესამე მუხლები: ქართული ვაჭრობა-მრეწველობის შექმნა და ქართული მეურნეობის ქართველთა ხელში შერჩენა — როგორც ეროვნული აღორძინებისათვის საერთო ზრუნვის საგანი. მისი აზრით, პრობლემის ამგვარი დაყენება ერის კი არა — ბურჟუაზიის სამსახური იყო, რაც არსებითად იკისრა არჩ. ჯორჯაძემ. „საერთო ნიადაგის“ ავტორს, ჟორდანიას აზრით, „ქართველი ბურჟუაზიის გამძლავრება სურს როგორც ქალაქში, ისე სოფელში, ქართველი მშრომელი ხალხის ალაგმვა როგორც მრეწველობაში, ისე მეურნეობაში — აი საითკენ იწოდებს ის ქართველობას“. ნ. ჟორდანიამ პირველმა უწოდა არჩ. ჯორჯაძეს „ქართველი ბურჟუაზიის ნამდვილი ბაირახტარი“. „ბ-ნი ჯორჯაძის ერთათერთი მიზანია ხელი შეუწყოს ქართული ბურჟუაზიის შექმნას და გამძლავრებას, — წერდა ქართველი სოციალ-დემოკრატიის ლიდერი — მისი აზრით, ბურჟუაზიას შეეძლება შეეცილოს სხვა ერთა მეტოქე ბურ-

---

[30] „კვალი“, 1901, № 23.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუაზიას და აგრეთვე მეთაურობა გაუწიოს შინაგან განვითარებას"[31]. როგორც „ბაირახტარის" ზეწოდება, ისე ჯორჯაძის მოღვაწეობის ჟორდანიასეული შეფასება მტკიცედ დამკვიდრდა არა მარტო რევოლუციამდელ მარქსისტულ პუბლიცისტიკაში, არამედ ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაშიც, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე ისტორიკოსს, რომლებმაც სცადეს არჩ. ჯორჯაძის მოღვაწეობის ობიექტური შეფასება.

არჩ. ჯორჯაძეს გამოეკამათა „კვალის" მეორე პუბლიცისტი „მოსაუბრე" — ფ. მახარაძე. კამათის საგანი იყო კაპიტალის კონცენტრაციის მიმდინარე პროცესის მარქსისტული კონცეფცია. ჯორჯაძემ უპასუხა, რომ კონცენტრაციასთან და მსხვილი კაპიტალის გაძლიერებასთან ერთად, პარალელურად, ადგილი ჰქონდა კაპიტალის დეცენტრალიზაციასაც. ევროპის განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების პრაქტიკა ცხადყოფდა, რომ წვრილ წარმოებას დაღუპვა კი არ ეწერა, არამედ მას მსხვილი წარმოების გვერდით უნდა ეარსება. რამდენადაც კამათის საგანი ამჯერად „საერთო ნიადაგს" არ შეხებია, ჩვენ გვერდს ავუვლით ამ საკითხს.

საერთო მოქმედების ნიადაგის თეორიას ყველაზე დეტალურად შეეხო და გააკრიტიკა ალექსანდრე წულუკიძემ, წიგნში „ოცნება და სინამდვილე". ქუთაისში დასტამბული ეს ბროშურა არაერთხელ განხილულა ქართულ ისტორიოგრაფიაში. ჩვენ მხოლოდ ერთს აღვნიშნავთ. ქართველმა სოციალ-დემოკრატმა რეალისტურ კრიტიკასთან ერთად, როგორც იტყვიან, აღარაფერი არ დასტოვა, პოზიტიური, ჯორჯაძის თეორიიდან. მთავარი აზრი, რაც გასდევდა ა. წულუკიძის კრიტიკას, ის იყო, რომ ა. ჯორჯაძის ერთადერთი საზრუნავი ქართველი ბურჟუაზიის სამსახური იყო[32]. ქართველი პროლეტარიატი ფსიზლად უნდა ყოფილიყო, რათა არ მოტყუებულიყო ჯორჯაძისმაგვარი ბურჟუაზიის იდეოლოგებისაგან. კლასობრივი ბრძოლის თეორიით შეიარაღებული მარქსისტი-პუბლიცისტისათვის ყოველგვარი მოწოდება, კოლონიურ

---

[31] „კვალი", 1901, № 5.

[32] ა. წ ულ უ კ ი ძ ე, თხზულებანი, თბ., 1963, „ოცნება და სინამდვილე (კრიტიკული შენიშვნები ბ. არჩილ ჯორჯაძის „პროგრამის" გამო)".

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდგომარეობაში მყოფი საქართველოს პოლიტიკურ-ეროვნული გამთლიანების თუ არა, შეთანხმებისაკენ მაინც, ცარიელ უტოპიას წარმოადგენდა.

ჯორჯაძის პროგრამის მთავარი ნაკლი, მარქსისტი-კრიტიკოსის აზრით, იმაში მდგომარეობდა, რომ მან ქართველი საზოგადოების მოწინავე ძალად წარმოიდგინა ბურჟუაზია. ა. წულუკიძემ კი თავდაჯერებულად მიუთითა, რომ საქართველოში ეროვნული ბურჟუაზია მოკლებული იყო იმ ისტორიულ მისიას, რომელიც ბურჟუაზიამ დასავლეთ ევროპაში შეასრულა. „თუ ევროპაში ბურჟუაზია იყო ერის სულიერი სიმდიდრის განმავითარებელი, ჩვენში საზოგადოების მეორე კლასი იქნება — ეს კლასია მატერიალურად ხელმოკლე და გონებრივად ახლად აღორძინებული მშრომელი ხალხი"[33]. რა თქმა უნდა, „მშრომელ ხალხში" ა. წულუკიძე უპირველესად გულისხმობდა მუშათა კლასს, რომელიც უნდა გამხდარიყო საქართველოში „ცხოვრების წინსვლის მებაირახტრე".

ა. წულუკიძემ მკაცრი განაჩენი გამოუტანა „საერთო ნიადაგის" თეორიას, დაასაბუთა, რომ რამდენადაც ეს მოძღვრება არ შეესაბამებოდა რეალურ სინამდვილეს და მისი არც ერთი დებულება არ ითვალისწინებდა საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების ობიექტურ კანონებს, ამდენად ეს თეორია ცხოვრებისაგან განყენებულ ოცნებას, უტოპიას წარმოადგენდა.

ქართველმა სოციალ-დემოკრატიის ლიდერებმა არ მიიღეს „საერთო მოქმედების ნიადაგი", არც საერთოდ, არც კონკრეტულად, მისი რომელიმე მუხლი. პირიქით, ისინი შეურიგებელი კრიტიკით შეხვდნენ ჯორჯაძისეულ თეორიას და თავიანთ თანამოაზრეებს და მიმდევრებს დაუსაბუთეს, რომ ეს თეორია ბურჟუაზიულ მოძღვრებას წარმოადგენდა, ამიტომ მასთან სოციალ-დემოკრატიას, ქართველ მუშათა კლასს საერთო არაფერი ჰქონდა, მათ ზურგი უნდა შეექციათ „საერთო ნიადაგისათვის".

არჩ. ჯორჯაძეს მაინცდამაინც ენერგიულად არ უცდია თავისი მოძღვრების დაცვა. მან პირველმა იგრძნო, რომ იმ-

---

33 ა. წ უ ლ უ კ ი ძ ე, თხზ. გვ. 170.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასად „საერთო მოქმედების ნიადაგი“ დამარცხდა და ეს დამარცხება გარდუვალი იყო. მაშინ, როცა სულ უფრო მწვავდებოდა სოციალური ურთიერთობანი და კლასობრივი ბრძოლა, სულ უფრო უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს მოპირდაპირე დასები, უკიდურესად გაუარესებული იყო მშრომელი უმრავლესობის მდგომარეობა და უკანასკნელი ხელში იღებდა იარაღს, რათა დაენგრია სოციალური უთანასწორობის დამამკვიდრებელი დამცველი სისტემა, ასეთ ვითარებაში ერთიანობისა და სხვადასხვა კლასების, ჯგუფების, მიმართულებების ერთად მოქმედებისაკენ მოწოდება არარეალური იყო. ამიტომ იყო, რომ „საერთო ნიადაგს“ არც „ივერიის“ ძველი თაობის ან სხვა მიმართულებათა პუბლიცისტები გამოხმაურებიან დადებითად. 1901 წლის დასასრულს ამის შესახებ თავად არჩ. ჯორჯაძე შენიშნავდა, როდესაც ჩვენ „საერთო მოღვაწეობის ნიადაგზე“ ჩამოვაგდეთ სიტყვა, „ქართული პრესსა დიდის გულგრილობით დაუხვდა ამ ჩვენს ლაპარაკს. „კვალს“ არ მოეწონა ზოგიერთი მოსაზრებანი და გაილაშქრა ჩვენს წინააღმდეგ. „ივერია“ დამშვიდებულად სდუმდა, არც ჰოს ამბობდა, არც არას“[34]. ეს მარცხის პირველი სიმპტომები იყო, შემდგომმა პერიოდმა კი საბოლოოდ დაადასტურა „საერთო ნიადაგის“ უნიადაგობა იმხანად.

თავისი თხზულებების პირველი წიგნის 1911 წელს დაწერილ წინასიტყვაობაში არჩ. ჯორჯაძემ ყვლაზე ამომწურავად გააანალიზა „საერთო ნიადაგის“ მნიშვნელობა, დამარცხების მიზეზები და მომავლის პერსპექტივები. ის, რომ „საერთო ნიადაგი“ უარყოფილ იქნა, სულაც არ ნიშნავდა, რომ როგორც იდეა უარყოფილ მოვლენას წარმოადგენდა. პირიქით, არჩ. ჯორჯაძის რწმენით, ქართველი საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების სოლიდარული მოქმედების აზრი „საღი და სამართლიანი იყო, მაგრამ უნდა აღვიარო დღეს, — წერდა ჯორჯაძე, — რომ ჩემი ამგვარი მოწოდება სრულიად და სავსებით იყო დამარცხებული იმ ხანებში. გარემოებას რომ ვაკვირდები, სხვანაირადაც არ შეიძლება რომ მომხდარიყო“.

---

[34] „ცნობის ფურცელი“, 1901, 6 დეკემბერი, არჩ. ჯ ო რ ჯ ა ძ ე, „რა მოხდა?“

საერთო მოქმედება მხოლოდ იქ იყო და იმ შემთხვევაში იყო შესაძლებელი, როცა საზოგადოებრივი მიმდინარეობები პოლიტიკური სახე, „ფიზიონომია“ საბოლოოდ იყო გამოკვეთილი. მეორე მხრივ, ამ ჯგუფების პოლიტიკური სიმწიფე იმ დონემდე უნდა ყოფილიყო მათში განვითარებული, რომ საერთო მოქმედების პრინციპი, მათთვის ბუნებრივ და აუცილებელ მოვლენად მიჩნეულიყო. 1901—1902 წლებში კი ნათლად გამოკვეთილი საზოგადოებრივი ჯგუფები საქართველოში ჯერ კიდევ არ არსებობდნენ. არჩ. ჯორჯაძე ალბათ გულისხმობს საბოლოოდ ჩამოყალიბებულ პოლიტიკურ პარტიებს, რომლებსაც ექნებოდათ პროგრამები, ზოგადი და კონკრეტული მიზნები, მოქმედების ნათლად შემუშავებული სტრატეგია და ტაქტიკა. ყოველივე ჩამოთვლილის გამომუშავება სწორედ XX ს-ის დამდეგს მიმდინარეობდა ქართულ სინამდვილეში, საზოგადოებრივმა ჯგუფებმა „მხოლოდ ის დროს დაიწყეს განცალკევებულ ვინაობის და ფიზიონომიის გარკვევა-გამოსახვა“. აი რა იყო მიზეზი, რომ „ცნობის ფურცლის“ მოწოდება საერთო მოქმედებისადმი მარცხნივ და მარჯვნივ მდგარ ჯგუფებში შეწყნარებული არ იყო. სოციალ-დემოკრატებმა ახალ მოძღვრებაში კლასთა ბრძოლის პრინციპის უარყოფა დაინახეს. „დოქტრინის სიწმინდეს შესწირეს ცხოვრების მოთხოვნილება“, ხოლო „მარჯვნივ იუკადრისეს შეკავშირება კლასთა ბრძოლის მქადაგებელ ჯგუფთან“, ვერც მათ დაინახეს „ცხოვრების მოთხოვნილება“ და ამგვარად „ცნობის ფურცლის“ ჯგუფი, რომელიც უნდა გამხდარიყო შუამავლად და ხიდად ეროვნულ მთლიანობისა, განკერძოებული და განმარტოებული დარჩა საზოგადოებრივ ასპარეზზე“[35].

შემდგომ პერიოდშიც, „საზოგადოებრივ ჯგუფთა შორის უთანხმოება და შეურიგებლობა კიდევ მეტად თვალსაჩინო შეიქმნა. ამ უთანხმოებას ხელს უწყობდა ისიც, რომ იმ დროს რევოლუციის ხანაში ვიმყოფებოდით და თითოეული საზოგადოებრივი ჯგუფი მეტი თავგამოდებით და გაბედულებით იცავდა საკუთარ პოზიციას და საკუთარ იდეალებს“. არჩ. ჯო-

---

[35] არჩ. ჯ ო რ ჯ ა ძ ე, წიგნი მეოთხე, 1911, გვ. 11.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რჯაძე გულისხმობდა რუსეთის პირველი ბურჟუაზიული-დემოკრატიული რევოლუციის ხანას, როცა სოციალურმა წინააღმდეგობამ და კლასობრივმა ბრძოლამ უკიდურესი გამწვავების ზღვარს მიაღწია. ასეთ ვითარებაში „საერთო მოღვაწეობის ნიადაგი“ კიდევ უფრო მიუღებელი იყო ერთმანეთთან დაპირისპირებული მოპირდაპირე დასებისათვის.

„საერთო ნიადაგის“ თეორიის მარცხის აღიარება და უარყოფა მოქალაქეობრივი გამბედაობა იყო. ამ ნაბიჯმა ცხადყო, რომ არჩ. ჯორჯაძისათვის მთავარი იყო ჭეშმარიტების ძიება და არა წვრილმანი პატივმოყვარეობა. როგორც ეროვნული მოძრაობის ახალი თაობის ძირითადი მიმდინარეობის — „ცნობის ფურცლის“ ჯგუფის ინტელექტუალური თავკაცი, არჩ. ჯორჯაძე ენერგიულად ეძიებდა ეროვნული ძალების კონსოლიდაციის გზას. „საერთო ნიადაგის“ თეორია ეროვნული კონსოლიდაციის ჯორჯაძისეული თავდაპირველი პროგრამა იყო, მაგრამ მისი დამარცხება არ ნიშნავდა არც კონსოლიდაციის იდეის, არც კონკრეტულად — „საერთო ნიადაგის“ თეორიის საბოლოო მარცხს.

არჩ. ჯორჯაძის რწმენით, „საერთო მოქმედების პრინციპი დროებით დამარცხდა“. საქართველოში არსებულმა საზოგადოებრივმა ჯგუფებმა განაგრძეს „თავიანთი მსვლელობა და ზრდა-განვითარება, თანახმად არსებულ პირობებისა და მათის მომზადებისა“. 1911 წელს, როცა ამ სიტყვებს წერდა „საერთო ნიადაგის“ თეორეტიკოსი, საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური დიფერენციაცია გრძელდებოდა. და მაშინ, როცა შეიქმნებოდა ქვეყნად კონსტიტუციური ცხოვრების პირობები, დამყარდებოდა დემოკრატიული სისტემა, მოპირდაპირე დასებს შორის აღდგებოდა საერთო ნიადაგზე მოღვაწეობის საჭიროებაც. „ნამდვილ კონსტიტუციონალურ რეჟიმის დამყარებასთან, როდესაც პოლიტიკურ ცხოვრების ზრდა-განვითარების ხელშემშლელი პირობები მოისპობიან, ჩვენს საზოგადოებრივ ჯგუფების წინაშე ხელმეორედ წარმოდგება და იშვება საერთო მოქმედების ნიადაგის გამონახვის საჭიროება. ამ ნიადაგს, — დაასკვნიდა არჩ. ჯორჯაძე, — ახალი შინაარსი ექნება. ხოლო პრინციპი, ჩემის შეგნებით, იქნება ის, რომლითაც ვხელმძღვანელობდი „ცნობის ფურ-

ცლის“ წერილებში“[36]. ეს სიტყვები მოწმობენ, რომ არჩილ ჯორჯაძემ იმ სახით, რომლითაც იქადაგა თავისი თეორია 1901 წელს, მართალია, უარყო, მაგრამ დროებით, საერთოდ კი იგი ბოლომდე „საერთო მოქმედების ნიადაგის“ და ეროვნული კონსოლიდაციის იდეის ერთგული მქადაგებელი დარჩა. „დღესაც აღვიარებ, — წერდა იმავე 1911 წელს ერთ შენიშვნაში, — ქართულ ვაჭრობა-მრეწველობის და ბურჟუაზიის ზრდის საჭიროებას ეროვნულ ცხოვრების განვითარებადაცვისათვის. ხოლო მგონია რომ კლასთა ბრძოლის წაფარება ეროვნულ ცხოვრების ფარგლებში გადამეტებული შიშია. ეროვნული მთლიანობა კლასთა ბრძოლის საჭიროებას არ უნდა აქარწყლებდეს, რადგან ეს ბრძოლა წარმატების ერთი ფაქტორთაგანია“[37].

მიუხედავად იმისა, რომ „საერთო მოქმედების ნიადაგი“ ვერ ამაღლდა რომელიმე საზოგადოებრივი მიმდინარეობის, იგივე „ცნობის ფურცლის“ ჯგუფის პროგრამამდე, ვერ იქცა კლასთაშორისო და დასთაშორისო შეთანხმებისა და სოლიდარული მოქმედების საერთო პლატფორმად, მან მაინც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა XX ს-ის დამდეგის საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

არჩილ ჯორჯაძის მიერ შემუშავებულმა „საერთო მოქმედების ნიადაგის“ თეორიამ დაასაბუთა, რომ:

1. ისევე როგორც XIX ს-ში, ი. ჭავჭავაძის ეპოქაში, ახლაც, XX ს-ის დასაწყისში, კოლონიურ მდგომარეობაში მყოფი ქართველი ხალხისათვის უპირველესი მნიშვნელობის საკითხი იყო ეროვნული აღორძინება. სოციალურთან ერთად და სოციალურთან შედარებით, ეროვნული საკითხი მთავარი უნდა ყოფილიყო ყველა პარტიის, ჯგუფის თუ პიროვნების მოღვაწეობაში. ეროვნული საკითხის მოგვარებას მოითხოვდა მთელი ერის, ქართველი ხალხის და არა ერთი რომელიმე მისი შემადგენელი კლასის ინტერესები. სხვაგვარად ეროვნული კატასტროფა იყო მოსალოდნელი.

2. გარკვევით და არაორაზროვნად აღიარა კლასთა ბრძო-

---

36 არჩ. ჯ ო რ ჯ ა ძ ე, თხზულებანი, წიგნი მეოთხე, გვ. 111.

37 ი ქ ვ ე, გვ. 9.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის მიმდინარეობა საქართველოში და დაასაბუთა, რომ სოციალური თანასწორობის საკითხი არ ეწინააღმდეგებოდა ეროვნული საკითხის დაყენებას, სოციალური თანასწორობისათვის მებრძოლი ძალების სოლიდარული მოქმედება ეროვნული აღორძინებისათვის მებრძოლ ძალებთან ხელს შეუწყობდა როგორც ეროვნული, ისე სოციალური საკითხის მოგვარებას. კლასობრივი ბრძოლის მიმდინარეობა ხელს კი არ უშლიდა ერის კულტურულ-ეკონომიკურ აღორძინებას, არამედ იგი უნდა გამხდარიყო ეროვნების განვითარების ფაქტორთაგანი.

3. „საერთო მოქმედების ნიადაგი“ არსებითად წარმოადგენდა საქართველოს კაპიტალისტური განვითარების კონცეფციას. მიუხედავად ამისა, ეს თეორია არ იყო წმინდა წყლის ბურჟუაზიული ტიპის იდეოლოგია. ბურჟუაზიული საქართველო, „საერთო ნიადაგის“ შემოქმედის აზრით, მიზანი კი არ იყო, არამედ საშუალება, რომელსაც საფუძველი უნდა ჩაეყარა ქართველი ხალხის კულტურულ-ეკონომიკური აღორძინება-განვითარებისათვის. იგი ხომ გარდაუვალი საფეხური იყო საქართველოს საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების გზაზე.

4. „საერთო ნიადაგი“ იყო არსებითად ეროვნული კონსოლიდაციის ი. ჭავჭავაძისეული იდეის ახალი თეორიული დასაბუთების ცდა. მან საქართველოს კულტურულ-ეკონომიკური განვითარების კონცეფციის სახით (ერთი მხრივ ქართული ენის, ლიტერატურის, კულტურის, მეორე მხრივ ვაჭრობა-მრეწველობის და მეურნეობის) საფუძველი მოუმზადა ქართველი ხალხის აღორძინება-განვითარების არაპროლეტარული ვარიანტის სოციალური და პოლიტიკურ-ეროვნული პლატფორმის ჩამოყალიბებას.

არჩ. ჯორჯაძის გამოსვლა სამოღვაწეო ასპარეზზე ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა. მრავალრიცხოვან წერილებში რიგ კონკრეტულ თუ ზოგად საჭირბოროტო საკითხებს იგი ეროვნული თვალსაზრისით განიხილავდა და თავგამოდებით ამკვიდრებდა ეროვნულ ორიენტაციას. მიუხედავად ამისა, როგორც აღვნიშნეთ, „საერთო ნიადაგის“ თეორეტიკოსს მყარად დაუმ-

კვიდრდა ბურჟუაზიული იდეოლოგიის სახელი, გასაკვირ-ბით, ქართველ სოციალ-დემოკრატთა შორის, რომელიც შემდგომ მემკვიდრეობით გადმოეცა ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიას.

თავად ჯორჯაძემ პირველსავე საპასუხო წერილში ნ. ჟორდანისადმი „კიდევ საერთო მოღვაწეობაზე", სცადა მოეცილებინა მის სახელზე აგებედითად მიკერებული „ბურჟუაზიის ბაირახტარის" იარლიყი. განვითარებული ვროპული ერების ცხოვრებაში მოპირდაპირე კლასებს შორის წმინდა სოციალური ბრძოლა მიმდინარეობდა და აქ „ნაციონალურ პრინციპს" უმნიშვნელო ადგილი ეჭირა. იგი მკითხველს შეახსენებდა, რომ საქართველოს მდგომარეობა საფრანგეთის, ინგლისისა და მსგავსთა მდგომარეობისაგან განსხვავებული იყო. აქ სოციალურ-ეკონომიკური კითხვების გარკვევის დროს აუცილებლად დგებოდა ეროვნულ-პოლიტიკური საკითხის აქტუალობა. „მკითხველმა მხედველობაში უნდა მიიღოს, რომ ყოველთვის, როცა ჩვენ გვაქვს ბაასი ჩვენს ეკონომიურ კითხვებზედ, არ ვივიწყებთ ერთ წუთსაც საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობას". ბურჟუაზიის იდეოლოგისათვის ბურჟუაზიული სისტემა მიზანი უნდა ყოფილიყო, ხოლო მისთვის კაპიტალისტურ პროცესს საქართველოში და საერთოდ, წარმავალი ხასიათი ჰქონდა, რომელსაც მოჰყვებოდა „შრომის გასაზოგადოებრივება და მით შრომისა და კაპიტალს შორის წინააღმდეგობის მოსპობა". ჯორჯაძე გულისტკივილს გამოთქვამდა, რომ ეს ძირითადი მომენტი ჟორდანიამ მიაფუჩეჩა და შეეცადა თავისი მკითხველისათვის, „... ხალხისათვის დაემტკიცებინა, რომ ჩვენ ვიცავთ ბურჟუაზიულ ინტერესებს და რომ ამისათვის „ხალხი", ჩვენს თავლში, მასალად და იარაღად გამოდგება პატარა გუნდის (ბურჟუაზიის) კეთილდღეობის გასაღონიერებლად. და რაკი ამ აზრის დასაბუთებლად ავტორმა ჩვენს წერილებში ვერაფერი ვერ ნახა, მან სიტყვების დამახინჯებას და ცილისწამებას მიმართა..." დასასრულს არჩ. ჯორჯაძე აღნიშნავდა, რომ ჟორდანიას მტკიცებანი უფრო ყალბ ფრაზეოლოგიაზე იყო დამყარებული, ვიდრე ხალხის ინტერესების დაცვის ნიადაგზე. „ჩვენი ხალხის და საზოგადოების საღი ნაწილის იმედი უნ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გვქონდეს — იქიდან აღმოცენდება ის, რაც არის საჭირო ჩვენის ეროვნულ აღორძინებისათვის. მხოლოდ არ უნდა დავიიწყოთ, რომ ჩვენ ჩვენის ნაწერებით პასუხისმგებელნი ვიქნებით გამოფხიზლებულ ერის წინაშე"[38], დაასკვნიდა „საერთო ნიადაგის" იდეოლოგი.

ერთგვარ პესიმისტურ ნოტას შევამჩნევთ, თუ დაუკვირდებით არჩ. ჯორჯაძის ზემომოყვანილ ამონაწერს. უკვე ამ დროს, ქართველ სოციალ-დემოკრატებს მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდათ მუშათა და გლეხთა ფართო მასაში. რაც არ უნდა დემაგოგიური და ტენდენციური მოსჩვენებოდა არჩ. ჯორჯაძეს ნ. ჟორდანიასა თუ რომელიმე მისი თანამოაზრის მსჯელობა, ქართველი მოსახლეობის მშრომელი უმრავლესობა უკვე ამ დროს სოციალ-დემოკრატთა „ფრაზეოლოგიას" უფრო მიჰყვებოდა, ვიდრე „საერთო ნიადაგის" შემოქმედის მისთვის ძნელად გასაგებ და, ამდენად, ნაკლებად სარწმუნო თეორიულ რეცეპტებს. ალბათ ამიტომაც, ჯორჯაძეს „ხალხის და საზოგადოების საღი ნაწილის" — ე. ი. მისი ინტელიგენტური ნაწილის იმედი შეიძლებოდა ჰქონოდა და არა ნშრომელი უმრავლესობისა. ეს უკანასკნელი, ერი, მხოლოდ მომავალში გაარკვევდა საით იყო სიმართლე, როცა „გამოფხიზლდებოდა".

ხოლო ხალხის უმრავლესობის „გამოფხიზლებამდე" ჯორჯაძე თავის მკითხველს უსაბუთებდა, რომ მის მიერ ბურჟუაზიის განვითარების ფაქტის აღნიშვნას არაფერი საერთო არ ჰქონდა ბურჟუაზიის ინტერესების დაცვასთან. ერთი რამ ცხადი იყო, საქართველო ვერ ასცდებოდა „ბურჟუაზიულ ხანას", ვერც იმას, რაც უნდა მოჰყოლოდა ბურჟუაზიული ხანის დამყარებას — „შრომის და კაპიტალის უთანხმოებას და წინააღმდეგობას". „გამართლება ამ უთანხმოებისა, მხარის მიცემა ბურჟუაზიისათვის და ზურგის ქცევა ხალხისაკენ — ეს ბურჟუაზიის მოსარჩლეობა იქნება. ხოლო ფაქტის აღნიშვა, არ დამალვა იმის, რომ ბურჟუაზია თანდათან გაძლიერდება, სურვილი ამ გაძლიერების გამოყენებისა ხალხის სა-

---

38 „ცნობის ფურცელი", 1902, 28 ივნისი, არჩ. ჯ ო რ ჯ ა ძ ე, „კიდევ საერთო მოღვაწეობაზე".

სარგებლოდ — ეს ამ ხალხის ინტერესების დაცვაა და მოსაკ ჩლეობა"[39].

ბურჟუაზიის მებაირახტრედ მონათლული „საერთო ნიადაგის" შემოქმედი არაერთხელ საგანგებოდ აღნიშნავდა და ასაბუთებდა, რომ ერის განვითარება წარმოუდგენელი იყო მისი „უმრავლესობის" კეთილდღეობის გარეშე. „ჩვენი ეროვნული აღორძინება, — წერდა ჯორჯაძე, — დამოკიდებულია ჩვენი მწარმოებელი ხალხის, უმრავლესობის კეთილდღეობაზე, ამისათვის ჩვენს ეროვნულ იდეალში ხალხის ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესებას პირველი ადგილი უნდა ეჭიროს"[40]. ეს გარემოება ჯორჯაძისათვის ელემენტარული ჭეშმარიტება იყო. იგი გულისტკივილით შენიშნავდა, რომ ქართველი „მწარმოებელი", ე. ი. გლეხობის უმრავლესობა არ იყო დამკვიდრებული იმ მიწაზე, რომელსაც იგი ამუშავებდა და რომელიც შეადგენდა საქართველოს ტერიტორიას. სანამ ამგვარი მდგომარეობა არ შეიცვლებოდა, არ შეიცვლებოდა ქართველი ერის მდგომარეობაც, რადგან ეროვნული სიმაგრე დაფუძნებული იყო ქართველი „მწარმოებლის მატერიალურ მდგომარეობაზე, მის ავკარგიანობაზე". ჯორჯაძემ არაერთი წერილი მიუძღვნა ქართველი გლეხობის მდგომარეობის შესწავლა-გაუმჯობესების მტკივნეულ საკითხებს. იგი ქართველი ხალხის მშრომელი „უმრავლესობის" მდგომარეობას და ქართველი ხალხის ეროვნულ პრობლემებს ერთმანეთის მოუწყვეტლად განიხილავდა.

როგორც აღვნიშნეთ, ჯორჯაძისეული „საერთო ნიადაგი" ვერ იქცა „ცნობის ფურცლის" ჯგუფის პროგრამად და ალბათ არც ჰქონდა საამისო პრეტენზია, რადგან იგი უფრო კლასთა და პარტიათშორისო შეთანხმებული მოღვაწეობის პლატფორმად უფრო იყო გამიზნული. მაგრამ ჯორჯაძემ ყველაზე რელიეფურად დაასაბუთა და ჩამოაყალიბა ის პრინციპები, რასაც უნდა დაყრდნობოდა „ცნობის ფურცლელთა"

---

[39] „ცნობის ფურცელი", 1902, 11 იანვარი, არჩ. ჯ ო რ ჯ ა ძ ე, „ეკონომიური განკერძოება და ეროვნული ერთიანობა".

[40] „ცნობის ფურცელი", 1901, 29 მაისი, „ვის უნდა დარჩეს ჩვენი მიწა".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეურ-პრაქტიკული მოღვაწეობა — ეროვნული საკითხის პრომატობა, სოციალური ბრძოლის აღიარება, ეროვნების სა-მსახური დემოკრატიის საფუძველზე... „ცნობის ფურცლის“ ჯგუფის ისტორია მით არის საინტერესო, — წერდა არჩ. ჯორ-ჯაძე, — რომ აქ „ოვერიიდან“ გადმოტანილი „რადიკალიზ-მი“ ნელ-ნელა ფერს იცვლის. აქ აზრის მოძრაობა განუწყვე-ტელი იყო, აქ ჩაიყარა საფუძველი სინტეტიურ პოლიტიკურ აზროვნებისა...“[41]

„სინტეტიური“ აზროვნების საფუძველზე მდგარი „ცნო-ბის ფურცლის“ ჯგუფი „სინტეტიურსავე“ პოლიტიკურ მიმ-დინარეობას წარმოადგენდა საქართველოში. ეს მიმდინარეობა საბოლოოდ 1901 წელს ჩამოყალიბდა, მანამდე კი, როგორც ცნობილია, ქართულ სინამდვილეში ორი მოპირდაპირე დასი არსებობდა. თავად ჯორჯაძეს, რომელიც თავისი დროის პო-ლიტიკური მიმართულებების ერთ-ერთი პირველი მემატიანე და შემფასებელი იყო, ასე წარმოედგინა „ცნობის ფურცლის“ ჯგუფის საზოგადოებრივ არენაზე გამოსვლა.

ერთი ნაწილი საზოგადოებისა, ჯორჯაძის აზრით, ფიქ-რობდა, რომ ქართველი ერი ერთ განუყოფელ მთელს წარ-მოადგენდა და მასში ინტერესთა წინააღმდეგობა არ არსე-ბობდა. ამ დასს „საერთო ნიადაგის“ თეორიის ავტორი ხან „ბურჟუაზიულ-ეროვნულ“, ხან ლიბერალური თუ კონსერვა-ტიული მიმართულების „ბურჟუაზიულ ნაციონალისტებს“ ხან „არისტოკრატ-ნაციონალისტებს“ ან კიდევ ზოგადად „ნაციო-ნალისტებს“ უწოდებდა. ესენი უპირველეს ყოვლისა ქადა-გებდნენ „მამულისადმი სიყვარულს“ და დიდი სამსახური მიუძღოდათ ქართველი ერის წინაშე „პატრიოტული გრძნო-ბების გაღვიძების საქმეში“. „ნაციონალისტები“ ხალხის კე-თილდღეობაზედაც ზრუნავდნენ, ხოლო რამდენადაც მტკი-ცენი და შეურყეველნი იყვნენ პატრიოტულ მოძღვრებაში, იმდენად სუსტნი ხალხის ინტერესების კითხვის დაცვაში“. ეს იყო მიზეზი იმისა, რომ მიუხედავად ნახევარსაუკუნოვანი მოღვაწეობისა, მათ მთელი ხალხი კი არა, მხოლოდ მისი ერ-

---

41 არჩ. ჯ ო რ ჯ ა ძ ე, თხზულებანი, წიგნი პირველი, ეროვნულ პრობ-ლემის გარშემო (პოლემიკური წერილები), 1911, გვ. 148.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თი ნაწილი „მიიზიდეს თავისკენ“. „ნაციონალისტების“ ბატ-
რიოტული ქადაგება ვერ აკმაყოფილებდა მატერიალურ გა-
ჭირვებაში და სოციალური უთანასწორობის პირობებში ჩა-
ვარდნილი ხალხის უმრავლესობას. „საუკეთესო ნაციონალის-
ტთაგანი“ ილია ჭავჭავაძე, — წერდა არჩ. ჯორჯაძე, — უტო-
პიურ საერთო ეკონომიკურ ზრუნვაში იყო და ეკონომიური
განხეთქილების მიზეზს არ ხედავდა საქართველოში არსე-
ულ წყობილებაში. ასე, რომ ხალხი... არა ხედავდა „ნაცი-
ონალისტებში“ თავის მოსარჩლეებს. წარსულის მოგონება
და გმირთა თაყვანისცემა ვერ აკმაყოფილებდა მას, რადგან
ცხოვრება გაუჭირდა და გაუმწვავდა. რასაც აწოდებდნენ, მის
ფანტაზიას აღელვებდა, ხოლო კუჭს ვერ აძღობდა. ეს იყო
მიზეზი ხალხის დაშორებისა“[42].

მეორე მხრივ, არჩ. ჯორჯაძე პირუთვნელად აღიარებდა
მესამე დასელთა დამსახურებას. „მიუდგომელ კაცისათვის
ცხადზე უცხადესია, რომ „კვალს“ ხალხის სამსახურის განზრა-
ხვა ჰქონდა, რომ იგი მაინც პროგრესულ საქმეს ემსახურე-
ბოდა“. მაგრამ „კვალელები“ ამავე დროს ყველაფერს უარყო-
ფდნენ, რაც მათს მოძღვრებას „არ ეწყობოდა“. „კვალს“ ცალ-
მხრივი დემოკრატიზმი ახასიათებდა, მაშინ როცა „ივერიას“
არანაკლებ ცალმხრივი პატრიოტიზმის დაღი ესვა“.

„და აი თვითონ ჩვენმა ცხოვრებამ დააყენა გასარკვევად
მესამე კითხვა. ხალხისა და ეროვნების, დემოკრატიზმისა და
პატრიოტიზმის დაკავშირება იყო საჭირო. — ასე ხსნიდა
არჩ. ჯორჯაძე „ცნობის ფურცლელთა“ სამოღვაწეო ასპარეზ-
ზე გამოსვლას. — და აი სწორედ ამ კითხვის გარკვევამ წარ-
მოშვა ახალი ჯგუფი, ახალი პარტია, რომელიც ამ უკანას-
კნელ 5—6 წლის განმავლობაში ნელ-ნელა და თანდათან ისა-
ხავდა თავის პიროვნებას“. არჩ. ჯორჯაძემ ორსიტყვიან ფორ-
მულაში ჩამოაყალიბა „ცნობის ფურცლის“ ჯგუფის სამოქმე-
დო კრედო: „ჩვენი მიზანი ნათელია — ხალხი და ეროვნება“,
წერდა იგი და განმარტავდა: „ჩვენ ნიადაგ ვიყავით და ვიქ-
ნებით იმისი მტერი, ვისაც ეროვნულ ვინაობის დაცვა არაფ-

---

42 „ცნობის ფურცელი“, 1901, 6 დეკემბერი, არჩ. ჯ ო რ ჯ ა ძ ე. „რა
მოხდა?“

ეროვნული ბიბლიოთეკა

რად მიაჩნია, მხოლოდ არა ნაკლები მტერი ვართ ყველა იმა-
თი, ვისაც კერძო ანუ წოდებრივი ინტერესების მოსარჩლე-
ობა ეროვნების მოსარჩლეობად მიაჩნია"[43].

„ცნობის ფურცლის" ჯგუფის სამოღვაწეო ასპარეზზე გა-
მოსვლის პერიოდში, კერძოდ 1901—1902 წლებში, ამ მიმდი-
ნარეობის იდეურ ცხოვრებაში მთავარ მოვლენას „საერთო
მოქმედების ნიადაგის" თეორიის ჩამოყალიბება წარმოადგენ-
და. ამ თეორიის წარუმატებლობამ საზოგადოებრივ-პრაქტი-
კაში კიდევ უფრო მწვავედ დააყენა „ცნობის ფურცლის" ჯგუ-
ფი საკუთარი სამოქმედო პროგრამის ჩამოყალიბების საჭი-
როების წინაშე. თავად არჩ. ჯორჯაძე 1901 წლის დასასრულს
წერდა, რომ „ცნობის ფურცლის", ჯგუფის „შემუშავება" დღე-
საც არ იყო დამთავრებული.

გარდა იდეურ-პოლიტიკური პროგრამის გამომუშავებისა,
ინტენსიურად მიმდინარეობდა „ცნობის ფურცლის" ჯგუფის
პოლიტიკურ ორგანიზაციად ჩამოყალიბების პროცესი.

---

43 „ცნობის ფურცელი", დასახ. წერილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი მესამე

გაზეთი „საქართველო“ და საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის მოთხოვნა

საქართველოში რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიას სცადა დაპირისპირებოდა ჩვენთვის ცნობილი „ცნობის ფურცლის“ ჯგუფი. განსხვავებით რუსეთისაგან, საქართველოში რევოლუციური მოძრაობა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ნიშნითაც მიმდინარეობდა. „ცნობის ფურცლის“ ჯგუფი, რომელიც, როგორც ვნახეთ, ეროვნულ-რადიკალური, ბურჟუაზიულ-ეროვნული და სხვა მიმართულებათა ინტელიგენტური ჯგუფების ბლოკს წარმოადგენდა, შეეცადა ეროვნული დროშის ქვეშ მიეზიდა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ძალები.

ქართველმა მარქსისტებმა იმთავითვე აღნიშნეს იდეური სხვადასხვაობა „ცნობის ფურცელში“. 1901 წელს ფ. მახარაძე „ცნობის ფურცლის“ ჯგუფში სამ ძირითად მიმართულებას გამოყოფდა: პირველი იყო „წმინდა ბურჟუაზიული მიმართულება“, მთავარი წარმომადგენელი — არჩ. ჯორჯაძე; მეორე იყო — „კონსერვატიული“, „ფეოდალურ-თავადაზნაურული მიმართულება“, რომლის მთავარ წარმომადგენლად ფ. მახარაძე კ. აბაშიძეს მიიჩნევდა; მესამე მიმართულებას ხელმძღვანელობდა „ბ. ლალი (გ. ლასხიშვილი — დ. შ.), ცნობილი თავისი ნახევრად ლიბერალურ, ნახევრად ნაროდნიკულ მიმართულებით, ანუ, უფრო გარკვევით რომ ვთქვათ, ცნობილი თავისი წვრილბურჟუაზიული მისწრაფებით“[1].

---

[1] ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, თხზ., ტ. 1, გვ. 302.

„ცნობის ფურცლის“ ჯგუფში, მის იდეურ პოზიციასა და პრაქტიკულ საქმიანობაში წინააღმდეგობის არსებობა ბუნებრივი იყო. ეს ჯგუფი ხომ სხვადასხვა მონათესავე მიმდინარეობათა გაერთიანების შედეგად ჩამოყალიბდა. 1901—1902 წლებში „ცნობის ფურცლის“ იდეურ-პოლიტიკურ პოზიციას ძირითადად გამოხატავდა - არჩილ ჯორჯაძის „საერთო მოქმედების ნიადაგის“ ბურჟუაზიულ-ეროვნული თეორია. მაგრამ „ცნობის ფურცლის“ პუბლიცისტიკაში პარალელურად არსებობდა ეროვნული მიმართულების წვრილბურჟუაზიულ-დემოკრატიული ფრთაც.

1901 წელს „კვალის“ 25-ე ნომერმა აღნიშნა „ცნობის ფურცლის“ ჯგუფის ერთი ნაწილის მიერ თბილისის თვითმმართველობის არჩევნებში დაკავებული „რადიკალურ-ლიბერალური“ პოზიცია. მაშინ, როდესაც „საერთო ნიადაგის“ ბურჟუაზიულ-ეროვნული თეორია თბილისისა და სხვა ქართული ქალაქების თვითმმართველობებში ეროვნული ბურჟუაზიის ენერგიულად ჩარევას მოითხოვდა, „ვინმე კენჭოსანთაგანი“ ამავე გაზეთის ფურცლებზე აღნიშნავდა, რომ „ბანკირებს, ფაბრიკანტებს და ვაჭრებს“ რიცხვით ყველაზე უკანასკნელი ადგილი უნდა სჭეროდათ ქალაქის თვითმმართველობაში, რადგან ვაჭრის მიზანი იყო „იაფად ეყიდა და ძვირად გაეყიდა“, საზოგადო საქმე მას არ აინტერესებდა. ავტორის აზრით, საზოგადოებრივი მოღვაწეობით დაინტერესებული პირები უნდა აერჩიათ ქალაქის დემოკრატიული ფენებიდან: „... ყოველ უბანში, როგორც ნასწავლთა, ისე შეგნებულ მდაბიო ხალხთა შორის. აი, სწორედ ესენი არიან სანატრელნი მომავალ ტფილისის საბჭოსათვის“[2].

„ცნობის ფურცლის“ ჯგუფის წვრილბურჟუაზიული ფრთა აღიარებდა სოციალური და ეკონომიკური ფაქტორების აქტუალობას, კლასთა ბრძოლის არსებობას. „ცნობის ფურცლის“ ახალი პუბლიცისტი სამსონ ფირცხალავა აღნიშნავდა, რომ XIX ს-ის მეორე ნახევარში ქართული სინამდვილის დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენდა ეროვნული კულტურის განვითარება, „ეხლა“ საქართველოში გაჩნდა „რამდე-

---

[2] „ცნობის ფურცელი“, 1901, № 1373, 4 თებერვალი.

ნიმე კლასი“, რომელთაც სხვადასხვა ინტერესები ჰქონ-
ვებდათ. „წინ წამოყენებულ იქმნა ახალი საგანი. ეს ახალი
საგანი იყო — ქონებრივი ინტერესები. ერის ცხოვრების ქვა-
კუთხედად დაედვა ეკონომიური ძალა“[3].

ერთ-ერთ წერილში ს. ფირცხალავა ყურადღებას მიაქცევს
გაზ. „ივერიის“ არსებობის 25 წლისთავს, მადლიერებით მო-
ახსენიებს მის დიდ დამსახურებას ქართველი საზოგადოების
კულტურულ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. „ივერიის“ სულისჩა-
მდგმელი იყო ი. ჭავჭავაძე — „ერთი ნაუკეთესო ქართველ-
ოაგანი“, რომლის დროსაც გაზეთი „ესაუბრებოდა მკითხვე-
ლის სულს და გულს“. ახლა, როცა დრო შეიცვალა, „ივერი-
ელთათვის“ კვლავ ერთადერთ დროშად, ს. ფირცხალავას აზ-
რით, რჩებოდა „ქართველობა“, ზოგადად „ქართველი“. „ცნო-
ბის ფურცლის“ ახალი პუბლიცისტი მიუთითებდა, რომ ახლა
ამგვარი ზოგადი, სოციალური შინაარსისაგან დაცლილი ლო-
ზუნგი საკმარისი აღარ იყო. „ყველა ქართველი, წრე და ჯგუ-
ფი სამართლიანი ან ერთგვარად სამართლიანი“ არ იყო. ქა-
ართველი ხალხი სხვადასხვა კლასებად, სოციალურ ფენებად
იყოფოდა, რომელთა შორის სოციალური წინააღმდეგობა არ-
სებობდა.

ს. ფირცხალავა ასე სვამდა საკითხს: ერის შიგნით კლასო-
ბრივი განსხვავებანი არსებობდა. ასეთ შემთხვევაში, შესაძ-
ლებელი იყო თუ არა „ეროვნული ერთობა“? პუბლიცისტის
რწმენით, ეროვნული ერთობა შესაძლებელი იყო და ამას
ადასტურებდა ევროპის ქვეყნებისა და რუსეთის მაგალითიც.
კლასობრივი განსხეთქილება ეროვნული ერთობის უარსაყოფ
არგუმენტად არ გამოდგებოდა. „ვიდრე კაცობრიობას არ შე-
უქმნია უმაღლესი საზოგადოებრივი ფორმა, დღეს ერის უარ-
ყოფა და უკუგდება იქმნება უბინაოდ ხეტიალი“. ს. ფირცხა-
ლავა ამ სიტყვებს „კვალის“ პუბლიცისტების მისამართით
წერდა. ეროვნული მრწამსით იგი ჯორჯაძისეულ „საერთო
მოქმედების ნიადაგზე“ იდგა ძირითადად, მაგრამ მის ნაწე-

---

[3] „ცნობის ფურცელი“, 1902, № 1986, კალამი, „დღევანდელი ცხოვ-
რება და ჩვენი მიმართულებანი“ („სიტყვა“ და „კალამი“ ს. ფირცხალავას
ფსევდონიმებია — დ. შ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებში დემოკრატიზმი უფრო გამახვილებული იყო. დღეს რო-
ცა ვლაპარაკობთ ეროვნულ ერთობაზე, წერდა ს. ფირცხალა-
ვა, სულაც არ გვინდა ხელი დავაფაროთ არსებულ კლასობ-
რივ უთანხმოებას. „დღეს ეროვნებას არსად არ შეუძლია მი-
ღოს სხვა ხასიათი, თუ არა დემოკრატიული. ის ერი არის
უფრო ძლიერი, სადაც რაც შეიძლება უფრო მეტი რიცხვი
არის ქონებრივადაც მაგარი და გონებრივადაც განვითარებუ-
ლი"[4], — დაასკვნიდა პუბლიცისტი.

მიუხედავად იმისა, თუ რა სიძლიერის არ უნდა ყოფილი-
ყო „წვრილბურჟუაზიული ფრთის დემოკრატიზმი, საერთოდ,
„ცნობის ფურცლის" ჯგუფში უმთავრესი მნიშვნელობა ერო-
ვნულ-პოლიტიკურ პრობლემას ენიჭებოდა, ნაკლები ყურად-
ღება ექცეოდა სოციალურ პრობლემას და ხშირად ეს უკა-
ნასკნელი მხოლოდ კლასობრივი ბრძოლისა და წინააღმდე-
გობის ფაქტის აღიარებაში გამოისატებოდა. ამ პერიოდში,
1901—1902 წლებში, ეროვნულმა პრობლემატიკამ მთლიანად
მოიცვა „ცნობის ფურცლის" ჯგუფის პუბლიცისტიკა, მასში
წვრილბურჟუაზიულ-დემოკრატიული ფრთის არსებობა ნაკ-
ლებად შეიმჩნეოდა.

კერძოდ, ეროვნული ბურჟუაზიისა და ვაჭრობა-მრეწვე-
ლობის განვითარების საჭიროებას მხოლოდ არჩ. ჯორჯაძე
როდი ქადაგებდა. ი. კაკაბაძე დაწვრილებით არწევდა ჭიათუ-
რის მარგანეცის მრეწველობის განვითარების საკითხებს და
მიიჩნევდა, რომ ქართველი საზოგადოების სისუსტე მისივე
სიღარიბიდან, მატერიალური უქონლობიდან გამომდინარე-
ობდა. „შევეჩვიეთ ჩვენს ბედს, რატომ არა ვართ ფულიანი
და ძლიერი და გვავიწყდება, რომ ჩვენის თავის გასაძლიერე-
ბლად ჯერ არაფერი გაგვიკეთებია, არც კი გვიზრუნია, — წე-
რდა ი. კაკაბაძე. — მე ვგულისხმობ ცოდნით და ფულით სი-
ძლიერეს, რომლის შესახებაც ბევრჯერ დაიწერა, გადაიღეჭა,
ითქვა და დამტკიცდა"[5]. მეორე პუბლიცისტი რ. ფანცხავა,
რომელიც ხომლელის ფსევდონიმით აქვეყნებდა წერილებს,

---

[4] „ცნობის ფურცელი", დასახ. წერილი.

[5] „ცნობის ფურცელი", 1901, 14 თებერვალი, ი. კ ა კ ა ბ ა ძ ე, „შავი ქვის მრეწველთა საყურადღებოდ".

უფრო ოპტიმისტურად იყო განწყობილი და იმედით ეჭვრებდა საქართველოში კაპიტალისტური ფორმაციის განვითარებას, რომელმაც ქვეყანა დანარჩენ მსოფლიოსთან დააკავშირა, „გზა გაუხსნა უცხოეთის კაპიტალს და მიიზიდა იგი ამ აუარებელ სიმდიდრის წარმოებისა და გატანისათვის“. შავი ქვის წარმოებამო, განაგრძობდა ხომლელი, „თავი მოუყარა ერთად და ერთს დიდ საქმეში ჩააბა ქართველი მუშები და მრეწველნი, რომელნიც ეცნობიან საერთო მუშაობის, ხელფასის, აღებ-მიცემობის, საქვეყნო ბაზრების პირობებს მდგომარეობას და მნიშვნელობას და ამ ნიადაგზე გამოცდილებით და ცოდნით აღჭურვნილი მრეწველობის დიდს საქმეს ენერგიულად ჰკიდებენ ხელს“[6].

კლასობრივი თანამშრომლობისაკენ აღებულმა „ცნობის ფურცლის“ ჯგუფის იდეურმა გეზმა მისკენ მიიზიდა სხვა მიმართულების ინტელიგენტური ჯგუფების წარმომადგენლებიც. 1901 წლიდან ეს განსაკუთრებით ითქმის ეროვნულ-დემოკრატიულად განწყობილ ინტელიგენციაზე. შეიძლება ითქვას, რომ ამ პერიოდში იდეოლოგიურად დაკავებულმა ეროვნულ-დემოკრატიულმა პლატფორმამ, რაც ჯორჯაძისეულ „საერთო მოქმედების ნიადაგში“ აისახა, საერთოდ გააძლიერა ეროვნულ-დემოკრატიული ტენდენცია „ცნობის ფურცლის“ ჯგუფში.

ეს აისახა „ცნობის ფურცლელთა“ როგორც შემადგენლობაში, ისე პრაქტიკულ საქმიანობაში.

1901 წლის 3 ოქტომბერს „ცნობის ფურცლის“ ჯგუფმა ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის მიერ დაპყრობის 100 წლის შესრულებასთან დაკავშირებით გამოსცა საპროტესტო პროკლამაცია სათაურით: „ქართველებო“. მასში კარგად აისახა ჯგუფში არსებული როგორც წვრილბურჟუაზიულ-დემოკრატიული, ისე მოძლიერებული ეროვნულ-დემოკრატიული ტენდენციები. „ხალხის კეთილდღეობა მოითხოვს ქონება-შეძლების უთანასწორობის მოსპობას და დემოკრატიული საზოგადოების დაფუძნებას. ხალხის კეთილდღეობა მო-

---

[6] „ცნობის ფურცელი“, 1901, 7 დეკემბერი, „ხ ო მ ლ ე ლ ი, „ორიოდე სიტყვა შავი ქვის მრეწველობაზე“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ითხოვს, — ეკითხულობთ პროკლამაციაში, — საქართველოს პოლიტიკურ თავისუფლების აღდგენას, რადგან უმთავრესი მიზეზი ჩვენი დაქვეითებისა არის რუსეთის მთავრობის გაბატონება საქართველოში, იმ მთავრობისა, რომელიც ქართველი ხალხის მოსპობას ლამობს. ქართველობამ მტკიცედ უნდა დაიმახსოვროს ეს და ემზადოს ხალხურ-ეროვნული ინტერესების დასაცავად". პროკლამაცია მთავრდებოდა მოწოდებით: „მაშ გაუმარჯოს ეროვნულ დემოკრატიას"[7], ხოლო ხელს აწერდა „ქართველ დემოკრატთა კომიტეტი". გრიგოლ გიორგაძის ცნობით, პროკლამაცია შედგენილი იყო მიხეილ კლიმიაშვილისა და გრიგოლ რცხილაძის, ხოლო გადაწერილი — ნინო რცხილაძის მიერ.

მ. კლიმიაშვილის გადმოცემით, რომელიც მოჰყავს გრ. გიორგაძეს, „ცნობის ფურცლის" ჯგუფში იმ პერიოდში შედიოდნენ „სოციალისტები და არასოციალისტები: ე. რცხილაძე, მამულაიშვილი, გ. დეკანოზიშვილი, ევ. მიმინოშვილი, გ. ლასხიშვილი, ვალ. გუნია, ნ. თავდგირიძე და სხვები. ამავე ჯგუფს შეუერთდა არჩ. ჯორჯაძე, გრ. რცხილაძე და ძმ. გოელიები"[8]. აქ ზოგიერთი გვარი ალბათ დამახინჯებულია. რაც მთავარია, მასში კარგად ჩანს „ცნობის ფურცლელთა" მრავალფეროვანი წარმომადგენლობა.

იმავე პერიოდში ქართველმა სოციალ-დემოკრატებმაც გამოსცეს პროკლამაციები. ვლ. კეცხოველმა გაზ. „ბრძოლის" ფურცლებზე გამოაქვეყნა ხტატია „ასი წლის იუბილეს გამო (წერილი ქართველ მუშებთან)". განსხვავებით „ცნობის ფურცლელებისაგან", ქართველი მარქსისტის აზრით, ხალხის ექსპლოატაციას და არსებულ სოციალურ თუ ეროვნულ უთანასწორობას ბოლოს მოუღებდა მხოლოდ ქართველ, რუს, სო-

---

[7] გრ. გ ი ო რ გ ა ძ ე, თვითმპყრობელობა და რევოლუცია, საბუთები რევოლუციონურ მოძრაობის ისტორიისათვის საქართველოში, 1870—1902, წიგნი 1, ტფილისი, 1929, გვ. 222.

[8] გრ. გ ი ო რ გ ა ძ ე, საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში. ბატონყმობის გადავარდნიდან პირველ რევოლუციამდე, 1864—1905, ტფილისი, 1928, გვ. 580.

მეხ, აზერბაიჯანელ და სხვა ეროვნების მუშათა ინტერნაციონალური შეკავშირება, ერთობლივი ბრძოლა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ[9].

არჩილ ჯორჯაძის სიტყვითაც, 1901 წლის შემოდგომაზე გამოცემულ ოთხ „ჰექტოგრაფიულ პროკლამაციას“ ხელს აწერდა „ქართველ ნაციონალ-დემოკრატების კომიტეტი“. ამავე ხანებში „ამ ნაციონალ-დემოკრატებმა კრება მოახდინეს“ თბილისში, რომელსაც საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან ჩამოსული 45 კაცი ესწრებოდა. „ესენი იყვნენ ქართველი ინტელიგენტები. მათში სოციალისტებიც ერივნენ არამარქსისტულ მიმართულებისა. ხოლო უმრავლესობის თვალში კი სოციალიზმი უცხო ქვეყნებისათვის იყო გაჩენილი, საქართველოსთვის იგი ნაადრევ ხილად მიაჩნდათ. ამ კრების ფიზიონომიას რომ დაჰკვირვებოდით, აშკარად დაინახავდით, რომ მისი უმთავრესი გოდება ეროვნული ხასიათის გოდება იყო“[10].

„გოდება“! — არჩ. ჯორჯაძე შემთხვევით არ ხმარობს ამ სიტყვას. იგი ხაზს უსვამს, რომ აღნიშნულ კრებას იმდენად რეალურ-პრაქტიკული შედეგები არ მოჰყოლია, რამდენადაც ადგილი ჰქონდა ეროვნული ჩაგვრით გამოწვეული უკმაყოფილების გამომჟღავნებას. ქართველი „ნაციონალ-დემოკრატების კომიტეტის“ მიერ გამოცემული ზემოაღნიშნული პროკლამაციების შესახებაც „ცნობის ფურცლის“ ჯგუფის ახალი თავკაცი მკაცრად შენიშნავდა, რომ მათი შინაარსი „ზომიერი“ იყო და „უძლური“ მუქარის მეტს არაფერს შეიცავდა. ჯორჯაძის ამ შეუწყნარებელ შეფასებაში ახალმოვლენილი ეროვნული მოძრაობის სისუსტის აღიარებაა. ცხოვრების რეალური ვითარება, კერძოდ, რევოლუციური მოძრაობის აღმავლობა ახალ, სერიოზულ პრობლემებს აყენებდა „ცნობის ფურცლის“ ჯგუფის წინაშე. არჩილ ჯორჯაძე და მისი თანამოაზრეები შეშფოთებით უყურებდნენ არა იმდენად ქართვე-

---

[9] გაზ. „ბრძოლა“, 1901, № 1, სექტემბერი, ასი წლის იუბილეის გამო (წერილი ქართველ მუშებთან).

[10] ს ა ბ უ ე ლ ი (არჩ. ჯორჯაძე), სოციალიზმ-ფედერალიზმი საქართველოში, ტფილისი, 1907, გვ. 6.

ლი სოციალ-დემოკრატიის გავლენის ზრდის ფართო მასშტაბებს, რამდენადაც ეროვნული მოძრაობის შედარებით სისუსტეს და გამოსავალს ეძებდნენ.

„ჩვენ დავინახეთ, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატები მარჯვედ მუშაობენ ხალხში, — წერდა შემდგომში გ. ლასხიშვილი, — წინადაც ვიცოდით, მუშაობა სწარმოებდა, მაგრამ 22 აპრილის გამოსვლამ დაგვარწმუნა, რომ ეს მუშაობა დიდია, და რომ საჭიროა ახლავ მივიდეთ მშრომელ ხალხთან ჩვენი ეროვნულისა და სოციალურის პროგრამითაც...“[11] აქ იგულისხმებოდა თბილისის მუშათა საპირველმაისო დემონსტრაცია 1901 წლის 22 აპრილს, რომელიც მოეწყო რსდმპ თბილისის კომიტეტის ხელმძღვანელობით.

პირველ რიგში, „ცნობის ფურცლელთა“ გააქტიურება გამოიხატა ამ ჯგუფის პოლიტიკურ ორგანიზაციად ჩამოყალიბებისაკენ სწრაფვაში. ლიტერატურულ-პოლიტიკური მიმდინარეობის მდგომარეობა, რომელშიც იმყოფებოდა „ცნობის ფურცლის“ ჯგუფი, ვეღარ პასუხობდა დღევანდელობას. ჯგუფი მოწადინებული იყო ეროვნულ-პოლიტიკური მოღვაწეობისათვის. ამისათვის კი საჭირო იყო პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნა, საკუთარი პროგრამის ნათლად შემუშავება, ენერგიული პრაქტიკული საქმიანობა, რომლის მიზანიც იქნებოდა გააქტიურებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ეროვნული ნიშნით წარმართვა, რომლის მოთავეობასაც „ცნობის ფურცლელები“ სერიოზულად ცდილობდნენ.

როგორც გ. ლასხიშვილი იგონებს, „ახალგაზრდა ივერიელებისა“ და „შემდგომ კი „მოამბე“-„ცნობის ფურცლის“ ჯგუფის წარმომადგენელთა შორის XIX ს-ის 90-იანი წლების დასასრულს გაჩნდა აზრი პოლიტიკური პარტიის შექმნის საჭიროების შესახებ. „ცნობის ფურცლელთა“ და მათს თანამგრძნობთა შორის ორი აზრი ჩამოყალიბდა. ერთნი, განსაკუთრებით ძველი თაობის წარმომადგენელნი, ყოფილი ხალხოსნები: გ. ზდანოვიჩი, ალექსანდრე ნანეიშვილი, სტეფანე ჭრელაშვილი და სხვანი მიზანშეწონილად მიიჩნევდნენ, რომ შექმნილიყო არა დამოუკიდებელი ქართული პარტია, არამედ

---

[11] გ. ლასხიშვილი, მემუარები, ტფილისი, 1934, გვ. 146.

„ქართული ავტონომიური ჯგუფი“, რომელიც შევიდოდა რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიაში. საქმე ისაა, რომ სწორედ ამ პერიოდში რუსეთში ინტენსიურად მიმდინარეობდა ძველი ხალხოსნური ორგანიზაციებისა და წრეების განადგურებული და დაქსაქსული ნარჩენების გაერთიანების პროცესი. 1901-1902 წლების მიჯნაზე მათი გაერთიანების შედეგად შეიქმნა რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა, ივივე — ესერთა პარტია. ესერთა მთავარი მოთხოვნები იყო სოციალურ სფეროში — მიწების სოციალიზაცია, ხოლო პოლიტიკურში — დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარება ფედერალისტურ საფუძვლებზე. გარდა იდეური ნათესაობისა, ძველი ქართველი ხალხოსნები მჭიდრო კონტაქტში იმყოფებოდნენ ესერთა პარტიის ძველი თაობის ლიდერებთან — მარკ ნატანსონთან, „რევოლუციის ბებიად“ წოდებულ ბრეშკო-ბრეშკოვსკაიასთან და სხვ. ეს საფუძველს აძლევდა ზოგიერთ ქართველ ყოფილ ხალხოსანს, რომ რუს ესერთა შემადგენლობაში გაერთიანებული ქართული პარტიული ორგანიზაცია ან, როგორც თვითონ უწოდებდნენ, „ქართული ავტონომიური ჯგუფი“ უფრო ძლიერი იქნებოდა.

მაგრამ ამგვარი გაერთიანების მოსურნე თითო-ოროლა ძველი თაობის ხალხოსან-მოდვაწეებს დაუპირისპირდა ახალგაზრდა პატრიოტების მრავალრიცხოვანი ჯგუფი. მათი წარმომადგენლები (გ. ლასხიშვილი, კ. აბაშიძე, ვლ. ლორთქიფანიძე და სხვები) სასტიკი მოწინააღმდეგენი იყვნენ რუსეთის პარტიასთან გაერთიანებისა, მით უფრო მისადმი დაქვემდებარებისა და მიესწრაფოდნენ დამოუკიდებელი ქართული ეროვნული პარტიის შექმნას. „განსაკუთრებით ამის გაგონება (რუს ესერებთან გაერთიანების აზრის — დ. შ.), ეჯავრებოდა ვლ. ლორთქიფანიძეს, — იგონებს გ. ლასხიშვილი, — მაშინვე გაცხარდებოდა:

— რას ჰგავს ეს! რუსეთისაგან გინდათ თავი გაინთავისუფლოთ და რუსულ პარტიას კი ემორჩილებით. რომელი რუსული პარტია იქნება გულწრფელი მომხრე საქართველოს განთავისუფლებისა?“[12]

---

[12] გ. ლასხიშვილი, მემუარები, გვ. 138.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩ. ჯორჯაძის გამოჩენამ „ცნობის ფურცლელთა“ შორის არა მარტო იდეური გამოცოცხლება, არამედ პრაქტიკულ-პოლიტიკური მოქმედების სული შეიტანა ჯგუფში. „საერთო ნიადაგის“ შემოქმედი დამოუკიდებელი ქართული ეროვნული პარტიის შექმნის მხურვალე მომხრე და ინიციატორი შეიქმნა. იმხანად „ცნობის ფურცლელები“ სისტემატურად იკრიბებოდნენ ვალ. გუნიას, ნიკო ქართველიშვილისა თუ სხვა თანამოაზრეთა სახლებში და მომწიფებულ პრობლემებზე ცხარედ მსჯელობდნენ, პრაქტიკული მოღვაწეობის გზებს სახავდნენ, კერძოდ კი, პარტიის ორგანიზაციული აგების პრინციპებს ეძებდნენ, ევროპაში არსებული პოლიტიკური პარტიების მაგალითზე. ჩანს, ამ დროს „ცნობის ფურცლელთა“ ყურადღება დაუმსახურებია ავსტრიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, რომელიც, ავსტრია-უნგრეთის მრავალეროვანი იმპერიის პირობებიდან გამომდინარე, ეროვნულ და ფედერალისტურ პრინციპებზე იყო აგებული. ერთ-ერთ კრებაზე ავსტრიელ სოციალ-დემოკრატთა პარტიის შესახებ მოხსენება წაუკითხავს იმხანად საზღვარგარეთიდან ჩამოსულ ფ. გოგიჩაიშვილს.

გ. ლასხიშვილის ცნობით, უკვე ამ კრებაზე გამოსახულა და ჩამოყალიბებულა მომავალი პარტიის მთავარი საფუძვლები — საქართველოს ავტონომია, კავკასიის ხალხებისა და შემდეგ მთელი რუსეთის ფედერაცია, სოციალიზმის მინიმუმი და მაქსიმუმი პროგრამები.

1901 წლის შემოდგომაზე შემდგარ ერთ-ერთ კრებაზე „მომავალ პარტიის წინასწარ საქმიანობის გასაძღოლად“ „ცნობის ფურცლელებმა“ აირჩიეს ე. წ. მთავარი კომიტეტი სუთი კაცისა და ორი კანდიდატის შემადგენლობით. კომიტეტში შევიდნენ: არჩ. ჯორჯაძე, გ. ლასხიშვილი, გიორგი და ანდრია დეკანოზიშვილები და ვლადიმერ ლორთქიფანიძე. გარდა ამისა, იმავე ხანებში კომიტეტმა მოიწვია ე. წ. „სარეგისტრაციო კონფერენცია“, რომელსაც დაევალა „ახალი პარტიისათვის პროპაგანდა“. კონფერენციას წარუდგინეს სპეციალური კომისიის მიერ შემუშავებული მოკლე საქმიანობა პროგრამა. გ. ლასხიშვილის რწმენებით, ამ პერიოდში „პარტიაში ჩარიცხვის მსურველი საკმაოდ ბევრი იყო“,

თუმცა ეს მსურველები ზოგი ეროვნული საკითხისაკენ მიბრუნებოდა, ზოგი „ნაროდნიკობდა“, ზოგიც „ანარქო-სინდიკალიზმისაკენ მიიწევდა“. იყვნენ სხვებიც. კომიტეტმა გადაწყვიტა ამ ფრაქციული სიჭრელისათვის ყურადღება ჯერჯერობით არ მიექცია, ხოლო როცა პროგრამა საბოლოოდ გამომუშავდებოდა, მაშინ გაირკვეოდა, ვინ დარჩებოდა პარტიაში, ე. ი. პარტიის რიგები, „ცნობის ფურცლელთა“ მთავარი კომიტეტის რწმენით, „თავისთავად გაიწმინდებოდა“. ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს, რომ უშუალოდ ფედერალისტური პარტიის შექმნამდე, „ცნობის ფურცლის“ ჯგუფმა შექმნა პარტიული ორგანიზაციის ჩანასახი.

რაც შეეხება თვით პარტიის შექმნას, ეს პრობლემა „ცნობის ფურცლელებმა“ 1—2 წლით მომავლისათვის გადასდეს, იმ პერიოდისათვის, როცა კომიტეტს ხელთ ექნებოდა საბოლოოდ ჩამოყალიბებული პარტიის პროგრამა, გამოკვეთილი ეროვნულ-პოლიტიკური პლატფორმა.

მაგრამ სად, რომელი ორგანოს საშუალებით უნდა გამოემუშავებინა კომიტეტს ამგვარი პროგრამა? მეფის სასტიკი ცენზურის პირობებში „ცნობის ფურცელში“ ეროვნულ-რევოლუციური ხასიათის პრობლემების განხილვა და პროპაგანდა შეუძლებელი იყო. „ცნობის ფურცლელთა“ შორის წარმოიშვა აზრი, რომ გამოეცათ არალეგალური ორგანო, მაგრამ იგი უარყვეს, რადგან ბევრ ფულს, ენერგიას და კონსპირაციას მოითხოვდა. ამის შემდეგ არჩ. ჯორჯაძემ 1901 წლის შემოდგომის ერთ-ერთ კრებაზე წამოაყენა ახალი ქართული თავისუფალი ორგანოს გამოცემის საკითხი საზღვარგარეთ.

გაზეთის გამოცემის საორგანიზაციოდ, ფულის შესაკრებად „ცნობის ფურცლელებმა“ აირჩიეს სამი კაცი: ა. ჯორჯაძე, გ. დეკანოზიშვილი და ევტიხი მამინაიშვილი. ახალი გაზეთის გამოსაცემად გაშლილ მუშაობაში განსაკუთრებული იყო გ. დეკანოზიშვილის დამსახურება.

შესანიშნავი ქართველი მამულიშვილი, ეროვნული თავისუფლებისათვის დაუღალავი მებრძოლი და გამოჩენილი მოღვაწე გიორგი გაბრიელის ძე დეკანოზიშვილი დაიბადა 1868 წლის აგვისტოში, ქ. პეტროვსკში (ახლანდელი მახაჩკალა). თბილისის რეალური სასწავლებლის დამთავრების შემ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეგ ერთ ხანს სწავლობდა მოსკოვის სამხედრო სასწავლებელში, ხოლო მალე, მისი მიტოვების შემდეგ, სწავლა განაგრძო პეტერბურგის სამთო ინსტიტუტში, რომელიც 1892 წელს დაასრულა. გ. დეკანოზიშვილი ახალგაზრდობაშივე გამოირჩეოდა ორგანიზატორული ნიჭით, სამშობლოსა და ხალხის ინტერესებისათვის პრაქტიკული მოღვაწეობის ჟინით. სტუდენტობის წლებში მან დააარსა ქართველ და სომეხ სტუდენტთა კავშირი, გამოსცა რამდენიმე ლიტერატურული კრებული.

გ. დეკანოზიშვილი შედიოდა სტუდენტთა ეროვნულ-რევოლუციურ ორგანიზაცია „საქართველოს თავისუფლების ლიგაში". 1892 წლის 26—29 ივნისს მან, როგორც ქართველ სტუდენტთა პეტერბურგის წრის დელეგატმა, მონაწილეობა მიიღო „თავისუფლების ლიგის" ქუთაისის ყრილობის მუშაობაში. დელეგატთა შორის იყვნენ მომავალში ცნობილი ქართველი მოღვაწენი: მიხ. ხელთუფლიშვილი, გ. გვაზავა, ი. ფანცხავა, დ. მდივანი და სხვ. „ლიგის" ორგანიზაციის ჩავარდნის შემდეგ გ. დეკანოზიშვილი „დამნაშავეთა" მესამე ჯგუფის რამდენიმე წევრთან ერთად თავდებით გაანთავისუფლეს და ორი წლით დაუქვემდებარეს პოლიციის ზედამხედველობას[13].

1892 წელს პეტერბურგიდან დაბრუნებულ გ. დეკანოზიშვილს სამშობლოში მოდებული ხოლერის ეპიდემია დახვდა. ახალგაზრდა ინჟინერმა მოხალისეთა რაზმები დააარსა და თავგანწირულად შეებრძოლა საშიშ სენს. მან არაერთი ადამიანის სიცოცხლე იხსნა, მაგრამ თავად ვერ გადაურჩა საშინელ დაავადებას. გ. დეკანოზიშვილის საქციელი საკუთარი ხალხისათვის თავგანწირვის მაგალითი იყო. ახალგაზრდა ინჟინერი იმჯერად მხოლოდ ენერგიულმა მკურნალობამ და მეგობართა მზრუნველობამ იხსნა სიკვდილის ბრჭყალებისაგან.

1895 წ-მდე გ. დეკანოზიშვილი მუშაობდა ჭიათურის მარგანეცის ნ. ღოღობერიძის საბადოების გამგედ, სადაც მანგა-

---

[13] ზ. შ ვ ე ლ ი ძ ე, რევოლუციური ორგანიზაცია „თავისუფლების ლიგა", თბ., 1969, გვ. 94.

ნუმის მრეწველობაში ახლებური მეთოდები დანერგა. 1900 წელს მან „ივერიაში“ სამ სტატიად გამოაქვეყნა გამოკვლევა „მანგანეზიის ანუ შავი ქვის წარმოება საქართველოში...“ 1901 წელს ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭომ გ. დეკანოზიშვილი მარგანეცის მრეწველობისა და საერთაშორისო ბაზრის საქმის შესასწავლად ბრაზილიასა და კუბაში მიავლინა. ამ მივლინების ანგარიში და გამოცდილება შემდგომში დეკანოზიშვილმა აღწერა სპეციალურ ნაშრომში[14].

1901 წლიდან გ. დეკანოზიშვილი „ცნობის ფურცლელთა“ შორისაა. ამ პერიოდიდან მან, ჩანს, საბოლოო არჩევანი გააკეთა თავის პროფესიასა და ეროვნულ-პოლიტიკურ მოღვაწეობას შორის, გადაწყვიტა თავისი ენერგია და უნარი ეროვნული მოძრაობისათვის მოეხმარა.

გ. დეკანოზიშვილმა ფართო პროპაგანდა გააჩაღა ახალი ქართული თავისუფალი ორგანოს დაარსებისათვის. საქართველოს მრავალ კუთხეში გ. დეკანოზიშვილის თანამგრძნობი აგენტებისა და, საერთოდ, დაინტერესებული ქართველი საზოგადოების ერთი ნაწილის მხარდაჭერის წყალობით 1902 წლის დასაწყისისათვის „ცნობის ფურცლელებს“ 7000 მანეთამდე თანხა შეუგროვდათ. პირველი ხანისათვის ეს საკმარისი იყო. კომიტეტმა თავის „ორ საუკეთესო წევრს არჩ. ჯორჯაძეს და გ. დეკანოზიშვილს დაავალა საზღვარგარეთ გამგზავრება და გაზეთის გამოცემა. კომიტეტის არჩევანი იმ მოსაზრებით იყო გამოწვეული, რომ ერთი აირჩიეს როგორც თეორეტიკოსი და ორგანოს იდეური მხარის ხელმძღვანელი, მეორე როგორც ენერგიული ორგანიზატორი და დახელოვნებული პრაქტიკული მოღვაწე“. ჯორჯაძისა და დეკანოზიშვილის ჯგუფს მთავარმა კომიტეტმა მესამე წევრიც მიამატა. ეს იყო „ჩვენ პარტიაში პირველ მერცხალთაგანი მუშა-ასოთამწყობი მიხეილ კიკნაძე“[15].

---

[14] Очерк марганцевой промышленности Бразилии и острова Кубы. Кутаисъ, 1905.

[15] გ. ლასხიშვილი, მემუარები, გვ. 159.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1902 წლის ზაფხულში მთავარი კომიტეტის მიერ არჩეული სამეული პარიზში ჩავიდა და ახალი ორგანოს გამოსაცემად მზადებას შეუდგა. პრეფექტურის მონაცემებით, არჩ. ჯორჯაძე საფრანგეთის დედაქალაქში 1902 წლის ივლისის თვეში ჩასულა და დაბინავებულა მონპარნასის ბულვარზე[16]. გ. დეკანოზიშვილმა ჩამოასხმევინა ახალი ქართული შრიფტი „პარიზულის“ სახელწოდებით. ახალი გაზეთის ორგანიზატორებმა გარს შემოიკრიბეს, ერთი მხრივ, იმხანად საზღვარგარეთ მყოფი ქართული ძალები, სოლო მეორე მხრივ მჭიდრო ურთიერთობა დაამყარეს დასავლეთ ევროპელ და ფრანგ სოციალისტებთან, პოლიტიკურ მოღვაწეებთან, აქ მყოფ რუსეთის რევოლუციურ-ოპოზიციური მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენლებთან. გ. ლასხიშვილის გადმოცემით, გ. დეკანოზიშვილს პარიზში ჩასვლისთანავე „გავლენიანი ნაცნობები“ გაუჩენია. უცნაურია, მაგრამ ქართული გაზეთის დაარსების განზრახვას, მემუარისტის ცნობით, „დიდის სიმპატიით მიეგება“ პარიზში გამომავალი „ახალგაზრდა ოსმალთა პარტიის“ ორგანოს „მეშვერუდის“ რედაქტორი აჰმედ რიზა. სწორედ ამ უკანასკნელის მეშვეობით გ. დეკანოზიშვილმა ურთიერთობა დაამყარა ფრანგ პოლიტიკურ მოღვაწეებთან სებასტიან ფორთან, ჟერო რიშართან, პრესანსესთან, ჟან ჟორესთან და სხვებთან. ფრანგმა ანარქისტ-სინდიკალისტებმა თავიანთი გაზეთის „აქციონის“ სტამბაში, მონმარტრის ბულვარზე, ერთი კუთხე დაუთმეს ქართულ გაზეთს.

1903 წლის 1 მაისს პარიზში გამოვიდა ახალი ქართული ეროვნულ-რევოლუციური გაზეთი „საქართველო“. გაზეთის დაარსების მიზანი ჩამოყალიბებული იყო სარედაქციო წერილში „ქართულ თავისუფალ ორგანოს დაარსების საჭიროება“. საზღვარგარეთ გამოცემული „საქართველო“, ცხადია, ნებისმიერად თავისუფლად ამბობდა სათქმელს, ვიდრე ცენზურის მარწუხებში მოქცეული „ცნობის ფურცელი“. ქართველი ხალხის იმჟამინდელი მდგომარეობა „უნუგეშო“ და მძიმე იყო.

---

[16] ა. მ უ ჯ ი რ ი, გიორგი დეკანოზიშვილი (დაბადების 120 წლისთავისათვის), „მნათობი“, 1988, № 2, გვ. 159.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღემდე იგი მდუმარედ იტანდა ეროვნულ ჩაგვრას. „ქართველ-ლობას სხვისი დახმარების იმედი არ უნდა ჰქონოდა, რადგან მას, ვისაც სიცოცხლე სურდა, თვითონვე უნდა მოევლო თავისათვის. „საქართველო“ თავისუფლებისათვის ბრძოლის საკითხს სვამდა და მოკლედ სჭრიდა, რომ „თავისუფლება ხელგაუნძრევლად არავის ენიჭებოდა“.

თავისუფლებისათვის ბრძოლა უპირველესად, ბრძოლისათვის მომზადებას მოითხოვდა. გაზეთს სურდა ფართო საჯაბაასი გაეშალა „ქართველ ხალხის მომავალ ეროვნულ და სოციალურ ორგანიზაციის“ შესახებ, სათანადო „პოლიტიკურ და ეროვნულ დაწესებულებათა დამყარების“ გზით. „საქართველოს“ სურდა გამოერკვია, რა ტკივილები აწუხებდა მთელ ქართველ ხალხს და არა მის რომელიმე კლასს. „სხვა-და-სხვა მიმართულების წერილების მოთავსების საშუალებით, — წერდა გაზეთი, — შევიძლებთ გავიგოთ, რას ჰფიქრობს მთელი საქართველო და არა ერთი რომელიმე მისი კუთხე: პროვინცია, წოდება და კლასი“. „საქართველო“ ფიქრობდა კავშირი დაემყარებინა რუსეთის სხვა პარტიებთან, „რათა რუსეთის ლიბერალთა და სოციალისტთა პროგრამებში ქართულ ეროვნების კითხვაც იყოს შეტანილი“[17].

ამ პერიოდიდან ქართულ პრესაში და, საერთოდ, პოლიტიკურ სინამდვილეში „ცნობის ფურცლის“ ჯგუფს „საქართველოისტები“ ეწოდათ, მათი ახალი ორგანოს სახელწოდების მიხედვით.

„საქართველო“ უპირველესად თავისი ეროვნულ-პოლიტიკური პლატფორმის დასაბუთებას შეუდგა. ერთ-ერთ მოწინავეში „ღია წერილი რუსეთის ლიბერალთა და სოციალისტთა მიმართ“ გაზეთმა აღნიშნა, რომ რუსეთის ოპოზიციური და რევოლუციური მოძრაობა ძირითადად მიმდინარეობდა ორი ტენდენციის ნიშნით. პირველი მიმართული იყო რუსეთის ხალხთა პოლიტიკური თავისუფლებისაკენ, ხოლო მეორე — დაჩაგრულ ერთა მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ. ასეთ ვითარებაში გაზეთი რუსეთში მოქმედ რევოლუციურ

---

[17] გაზ. „საქართველო“, 1903, 1 მაისი. პარიზი, „ქართულ თავისუფალ ორგანოს დაარსების საჭიროება“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ოპოზიციურ პარტიებს ამცნობდა „საქართველოს“ სურვილს, ჩაბმულიყო განმათავისუფლებელი მოძრაობის „საერთო ფერხულში“, რათა მათთან ერთად ებრძოლა „საქართველოს ეროვნულ ვინაობის აღდგენისა და განმტკიცებისათვის“.

„საქართველოს“ აზრით, „ეროვნული ვინაობის“ აღდგენისათვის ბრძოლის ოთხი გზა არსებობდა იმჟამინდელ სინამდვილეში. პირველი გზა — საქართველოში ერობების, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის და სხვა ლიბერალურ-დემოკრატიული დაწესებულებების შემოღებაში მდგომარეობდა. 1864 წელს შემოღებული ერობები არ გასცილებია ევროპული რუსეთის ფარგლებს. 1890-იანი წლებიდან გააქტიურებული ეროვნულ-ლიბერალურად განწყობილი ქართველი ინტელიგენცია გარკვეულ იმედებს ამყარებდა საქართველოში ერობათა ინსტიტუტის შექმნაზე. 1897—1899 წლებში შესაბამისად ქუთაისის, შემდგომ კი თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობამ სთხოვა მეფის მთავრობას ერობათა შემოღება საქართველოში, მაგრამ მთავრობა ამგვარ უქვეშევრდომილეს თხოვნებს ბუნდოვანი დაპირებებით პასუხობდა. „საქართველოისტებს“ არ აკმაყოფილებდათ ეროვნული ბრძოლის ამგვარი ლიბერალური ფორმა და მიაჩნდათ, რომ ერობები, შემოღების შემთხვევაში, ვერ დააკმაყოფილებდა ქართველი ხალხის ეროვნულ მოთხოვნებს, ვერ მისცემდა მას „ეროვნების დაცვის გარანტიას“.

ეროვნული მოძრაობის, ბრძოლის მეორე გზად „საქართველოს“ რუსეთის ოპოზიციურ-რევოლუციურ ძალებთან შეერთება და თვითმპყრობელური მონარქიის დამხობა, რუსეთში კონსტიტუციური წყობილების დამყარება ესახებოდა. „საქართველოისტები“ ამგვარი შეერთების წინააღმდეგნი არ იყვნენ, მაგრამ მათ აეჭვებდათ, როგორი იქნებოდა „მომავალი რუსეთის რეჟიმი“. თუ რუსეთში ცენტრალისტური ხასიათის „პარლამენტარული რეჟიმი“ დამყარდებოდა, ამ შემთხვევაში, „საქართველოს“ რწმენით, „უმცირესობა აუცილებლად დაიჩაგრებოდა უმრავლესობისაგან“. ასე ხდებოდა ყველგან, ასე მოხდებოდა რუსეთშიც.

„საქართველო“ ასახელებდა და იქვე კატეგორიულად უარყოფდა ეროვნული ბრძოლის მესამე გზას — „საქართველოს სამეფოს აღდგენას“, რომელიც აგრეთვე ვეღარ დააკმაყოფილებდა ქართველი ხალხის მოთხოვნილებებს. „მესამე გზაში“ ახალი გაზეთი, საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენასაც გულისხმობდა, თუმცა უფრო გამოკვეთილად მისადმი დამოკიდებულებას შემდეგ პუნქტში გამოხატავდა.

ეს იყო ეროვნული ბრძოლის მეოთხე გზა, რომლისთვისაც ფარულად, შენიღბულად იბრძოდნენ ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის არაერთი თაობის წარმომადგენლები. გაზეთმა „საქართველომ“ პირველმა დეკლარაციულად და საქვეყნოდ წამოაყენა საქართველოს ეროვნული ავტონომიის მოთხოვნა. „საქართველომ“ პირველსავე ნომერში აშკარად განაცხადა ის, რაც ვერ მოახერხეს ვერც „ახალგაზრდა ივერიელებმა“, ვერც „ცნობის ფურცლელებმა“, რაღა თქმა უნდა, მძიმე საცენზურო პირობების გამო. ამავე დროს, საზღვარგარეთ დაარსებულმა ქართულმა თავისუფალმა ორგანომ თავიდანვე საღი, პოლიტიკური რეალიზმის გზა აირჩია, უარყო რა სეპარატიზმი. „ჩვენი სურვილი დამოუკიდებელი სახელმწიფოს ადგენა არ არის, — წერდა „საქართველო“, — ნათლად და აშკარად ვამბობთ, ჩვენ პოლიტიკურ სეპარატიზმის მომხრენი არა ვართ. ჩვენი წადილი და მისწრაფება — განსაკუთრებულ საქართველოს პირობებთან შესაფერი, კონსტიტუციის მოპოვებაა. ჩვენ გვსურს დავრჩეთ რუსეთის პოლიტიკურ ორგანიზმის ჩარჩოში. მხოლოდ ამასთან შინაურ საქმეებში გვინდა ვიყვეთ სრულიად დამოუკიდებელნი. ერთის სიტყვით, ჩვენ გვსურს ეროვნული ავტონომია მოვიპოვოთ“[18].

გაზეთმა საქართველოს ავტონომიის მოთხოვნა მჭიდროდ დაუკავშირა რუსეთის სახელმწიფოს დეცენტრალიზაციის საკითხს და მხარი დაუჭირა მომავალი რუსეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მოწყობას პოლიტიკური დეცენტრალიზ-

---

[18] „საქართველო“, 1903, 1 მაისი, „ღია წერილი რუსეთის ლიბერალთა და სოციალისტთა მიმართ“.

ბის პრინციპებზე. „საქართველოს“ იმედი ჰქონდა, რომ რუ-
სეთში მიმდინარე ოპოზიციურ-რევოლუციური მოძრაობის
განვითარებაც სახელმწიფოს დეცენტრალიზაციისაკენ მიემა-
რთებოდა, რაც საბოლოოდ ქვეყანას „ფედერატიულ წეს-წყო-
ბილებამდის მიიყვანდა“. გაზეთი სთხოვდა „რუსეთის თავი-
სუფალ პრესას“, ე. ი. საზღვარგარეთ გამომავალ რუსულ რე-
ვოლუციურ და დემოკრატიულ გამოცემებს, თავიანთი აზრი
გამოეთქვათ მომავალი რუსეთის სახელმწიფოს ფედერალის-
ტურ პრინციპებზე მოწყობის შესახებ. „საგანი მძიმეა და აქ
ჩვენი შეთანხმებაა საჭირო, — მიმართავდა „საქართველო“
რუსეთის სინამდვილეში არსებულ პარტიებს, — რადგან, ვი-
მეორებთ, ჩვენ ძმობა და ერთობა გვსურს და არა განკერძო-
ება და გაყრა. მხოლოდ ჩვენ გვწადის მომავალი ერთობა
ეროვნულ და ადგილობრივ სხვადა-სხვაობაზედ დავამყაროთ.
ჩვენა გვსურს თავისუფალი და არა ძალდატანებული ერთო-
ბა“[19].

„საქართველომ“ ფედერაციული წყობილება მრავალერო-
ვანი სახელმწიფოს მოწყობის ერთადერთ მისაღებ ფორმად
აღიარა, რაც დაკმაყოფილებდა მასში შემავალი ხალხების
კულტურულ-ეროვნულ მოთხოვნილებებს. „ფედერალიზმი, —
წერდა გაზეთი, — იმგვარი ფორმაა ხალხთა შეკავშირებისა,
რომელიც თვითეულ ერს, მხარეს და პროვინციას სრულ
თვითმოქმედებას ანიჭებს და, მეორეს მხრივ, განსაზღვრულ
ტერიტორიაზე მცხოვრებელ რამდენიმე მეზობელ ერს გა-
მაერთიანებელ პოლიტიკურ მმართველობის ფორმას აძ-
ლევს“[20]. გაზეთმა მომავალი საქართველო პოლიტიკურ-ად-
მინისტრაციული ტრიადის ფარგლებში წარმოიდგინა — სა-
ქართველოს ავტონომია, კავკასიის ფედერაცია და რუსეთის
დიდი კონფედერაცია.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო-კავკასიის ავტონომი-
ურ-ფედერაციულ პრინციპებზე მოწყობის იდეა „არ ახალი“
ყოფ საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური სინამდვი-

---

[19] იქვე.

[20] „საქართველო“, 1904, 1 თებერვალი, „საქართველო და კავკასიის ფედერაცია“.

ლისათვის და ჰქონდა ისტორიული პრეცენდენტი. 1874 წელს შვეიცარიაში, ჟენევაში შემდგარმა კავკასიელ მოღვაწეთა კონგრესმა, რომლის მონაწილეთა უდიდეს უმრავლესობას ქართველი მოღვაწეები შეადგენდნენ, კავკასიის ფედერაცია ადგილობრივი ხალხების სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურად მოწყობის საუკეთესო ფორმად მიიჩნია. ჟენევის კონგრესის ტრადიცია გააგრძელა „საქართველოს განთავისუფლების ლიგამ", რომელმაც თავისი ეროვნულ-პოლიტიკური პროგრამის ერთ-ერთ პუნქტად კავკასიის ფედერაციის მოთხოვნა წამოაყენა.

ორივე შემთხვევაში კი საქართველო-კავკასიის ავტონომიურ-ფედერაციულ პრინციპებზე მოწყობის იდეის (ფედერაციული რუსეთის ფარგლებში — დ. შ.) პროგრამული სახით ჩამოყალიბებას საფუძვლად ედო დიდი ქართველი სამოციანელების მრავალწლიანი ეროვნულ-პოლიტიკური საქმიანობა. მართებულად შენიშნავს პროფ. ა. ბენდიანიშვილი, რომ ქართველი თერგდალეულები დაუღალავად ეწეოდნენ „რუსეთის იმპერიის ფედერაციულ საფუძველზე გარდაქმნისა და საქართველოს ავტონომიური სახელმწიფოს მოწყობის იდეის პროპაგანდას, ცდილობდნენ ამ პროგრამის მხარდასაჭერად განეწყოთ საზოგადოებრიობა..."[21]

მაგრამ იმავე მკვლევარის დასკვნით, კოლონიური ქვეყნის სინამდვილეში მოღვაწე საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თავკაცები მძიმე საცენზურო პირობების გამო ვერ ახერხებდნენ თავიანთი ეროვნული პროგრამის ღია პროპაგანდას. „XIX ს-ის 70-იან წლებში ქართველი მოღვაწეები ცენზურის შიშით ვერ ბედავდნენ აშკარად წერას, ვერაფერს ამბობდნენ რუსეთის ფედერაციულ სახელმწიფოდ გარდაქმნის შესახებ"[22]. ამგვარი ვითარება გრძელდებოდა შემდგომშიც. სწორედ ამიტომ 1903 წელს პარიზში გამოსული „საქართველოს" დამსახურება იმაში მდგომარეობდა, რომ მან სრულიად არაოაზროვნად, ლეგალური

---

[21] ა. ბ ე ნ დ ი ა ნ ი შ ვ ი ლ ი, ეროვნული საკითხი საქართველოში, 1801—1921, თბ., 1980, გვ. 141.

[22] ი ქ ვ ე, გვ. 130.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახით ჩამოაყალიბა თავისი ეროვნული პროგრამა, საქვეყნოდ განაცხადა, რომ მისი უპირველესი ეროვნულ-პოლიტიკური მიზანი საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომია იყო.

შემდგომ ნომრებში „საქართველო“ დეტალურად არკვევდა და ასაბუთებდა, რა სახე უნდა მიეღო მომავალ ავტონომიურ საქართველოს. 15 მაისის ნომერში გაზეთი კვლავ უბრუნდებოდა პოლიტიკური სეპარატიზმის საკითხს და ასაბუთებდა მის არარეალობას, რადგან „საქართველოს სრული მოშორება რუსეთისაგან, პოლიტიკური განკერძოება არც შესაძლებელი და არც სასურველი“ იყო. ისეთ მრავალეროვან რეგიონში, როგორიც კავკასია იყო, საერთოდ, დამოუკიდებელი სახელმწიფოს დაარსება „მძიმე პრობლემას“ წარმოადგენდა. მეორე სიმძიმეს პოლიტიკური სიტუაცია ქმნიდა. დამოუკიდებლობა, „საქართველოისტების“ აზრით, მხოლოდ მაშინ იქნებოდა შესაძლებელი, თუ რუსეთის იმპერია ნებაყოფლობით აიღებდა ხელს საქართველოზე. ეს კი შეუძლებელი იყო. პირიქით, „ღრმად დარწმუნებული ვართ, — წერდა „საქართველო“, — რუსეთი კავკასიას თავის ნებით ხელიდან არ გაუშვებს რაც გინდა თავისუფალი პოლიტიკური რეჟიმი დამყარდეს რუსეთში“. თვითმპყრობელური მონარქიის დამხობის შემთხვევაშიც, ხელმოუწერელი წერილის ავტორის რწმენით, რუსეთი შეეცდებოდა თავისი საზღვრები გაეფართოებინა აღმოსავლეთისაკენ. ამგვარად, სრული დამოუკიდებლობა რუსეთისაგან „საქართველოისტებს“ არარეალურ ლოზუნგად მიაჩნდათ. „ჩვენ, მართალია, იდეალისტები ვართ, გარნა ჩვენი იდეალიზმი არც ისე შორს მიდის, რომ ამგვარ არაკს დავუჯეროთ“.

„საქართველოისტები“ საკუთარი ნება-სურვილის გამო არ იყვნენ სეპარატიზმის წინააღმდეგნი. უარყოფის საფუძველი პოლიტიკური რეალობიდან გამომდინარეობდა. „ჩვენ აზრათ არა გვაქვს ოცნებათა სამეფოში ვიფრინოთ. გარემოებას თვალი თვალში უნდა გავუსწოროთ და ამის მიხედვით ჩვენის პროგრამიდამ პოლიტიკური სეპარატიზმი, საქართველოს რუსეთისაგან სრული განშორების აზრი, უნდა წავშალოთ. ავტონომიურისტულ მოსაზრებას თავი უნდა დავანებოთ, ქვეყანა რუ-

სეთის პოლიტიკურ ორგანიზაციაში დარჩება. ამ აზრს უნდა შევურიგდეთ. საქმე ის არის, რომ ამ პოლიტიკურ ორგანიზაციაში იმგვარი პირობები შევქმნათ, რომ ერთის მხრივ, რუსეთთან ერთობაც არ შევწყვიტოთ, მეორეს მხრივ, ჩვენი ეროვნება თავისუფლად განვავითაროთ"[23].

საქართველოს ავტონომია „საქართველოისტებს" უპირველესად ეროვნულ-ტერიტორიულ ავტონომიად ესახებოდათ. ამიტომ, ბუნებრივია, მათ გაზეთის პირველსავე ნომრებში მკაცრად მოხაზეს მომავალი ავტონომიური საქართველოს საზღვრები. გაზეთი ორი პრინციპით ხელმძღვანელობდა. ერთი იყო 1783 წლის რუსეთსა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის დადებული ტრაქტატი, რომლის ძალითაც აღმოსავლურ-ქართული სახელმწიფო რუსეთს უერთდებოდა — ე. ი. „თითქმის მთელი ეხლანდელი ტფილისის გუბერნია და ნაწილი განჯის გუბერნიისა". ამავე ტრაქტატის ძალით ქართლ-კახეთს უნდა შემოერთებოდა ოსმალეთთან ომების შედეგად რუსეთის იარაღის საშუალებით მოპოვებული ისტორიული საქართველოს მიწა-წყალი, ტრაქტატის დადების დროს ოსმალთა ხელში რომ იმყოფებოდა. ეს იყო „სამცხე-საათაბაგო და აჭარა". მეორე პრინციპი იყო — „თუ ქართველთა ტომის ხალხი სად და სად სახლობს", ე. ი. ისტორიული დასავლეთ საქართველო. „ამრიგად, — დაასკვნიდა გაზეთი, — მომავალ ავტონომიურ საქართველოს ტერიტორიად უნდა იყოს: აფხაზეთი, რომელშიაც ბევრი მეგრელი სახლობს, სამურზაყანო, სამეგრელო, სვანეთი, გურია, იმერეთი, ლაზისტანის ნაწილი, ახალციხის მაზრა (ძველი სამცხე-საათაბაგო და ჯავახეთი), ქართლი, მთიულეთი, ხევი დარიალამდე, სომხითი, კახეთი, თუშ-ფშავ-ხევსურეთი, საინგილო"[24].

„საქართველოისტები" კატეგორიულად სვამდნენ „ქართული ენის უპირატესობის" საკითხს საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის საზღვრებში. საერობო და საქალაქო კლუბებში, სკოლაში, სასამართლოში, ადმინისტრა-

---

23 „საქართველო", 1903, 15 მაისი, „საქართველოს ეროვნული თვითმმართველობა".

24 „საქართველო", დასახ. წერილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციასა, ეკლესიაში და სხვა კულტურულ თუ პოლიტიკურ დაწესებულებებში ქართული ენა სავალდებულო უნდა ყოფილიყო და შესაბამისი კანონმდებლობით განმტკიცებულიყო. ქართული თავისუფალი ორგანოს მესვეურები უპირველესად ეროვნულ ინტერესებს იცავდნენ, მაგრამ ამავე დროს ცდილობდნენ არ შეელახათ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები სხვა ეროვნებების ინტერესებიც. ამ მხრივ „საქართველოისტები" ქართველ ხალხში ისტორიულად ჩამოყალიბებულ ინტერნაციონალისტურ ტრადიციას აგრძელებდნენ. მათი აზრით, საქართველოს ზოგიერთ პროვინციაში, სადაც სხვა ხალხები, განსაკუთრებით კი სომხები და თათრები მრავლად ცხოვრობდნენ, „იმგვარი სისტემის დამყარება" იქნებოდა საჭირო, რომ ამ ერთა ეროვნული თვისებები დაცული დარჩენილიყო და არ დაჩაგრულიყო. ჩვენ, ქართველებმა, ყოველთვის სამართლიანი ანგარიში უნდა გავუწიოთ ჩვენს მეზობელ ერებს, — დაასკვნიდა გაზეთი.

„საქართველომ" მჭიდროდ დაუკავშირა ეროვნული ავტონომიის მოთხოვნა 1783 წლის ტრაქტატს. ამგვარ დაკავშირებას ადრეც ჰქონდა ადგილი. XIX ს-ის მანძილზე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სხვადასხვა ჯგუფები 1783 წლის ტრაქტატის პირობების აღდგენას მოითხოვდნენ — გეორგიევსკის ხელშეკრულების პირობების აღდგენა არაიშვიათად პოლიტიკური ლოზუნგის მნიშვნელობას ღებულობდა. ჯერ კიდევ 1802 წელს, ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისთანავე, კახეთის აჯანყებულებმა მთავრობას შემდეგი თხოვნა წარუდგინეს: „ჩვენი სურვილი და სათხოვარი ის გახლავთ, რომ სამშობლოსათვის თავდადებული გმირის მეფე ერეკლეს ანდერძი დამტკიცებულ იქნეს და მისდა მიხედვით მოგვენიჭოს ჩვენ მეფე, რომლითაც თქვენს უმაღლესობის მფარველობის ქვეშ დავრჩებოდეთ"[25]. ანალოგიურ მიზანს ისახავდა 1832 წლის შეთქმულთა ერთი ნაწილი. გეორგიევსკის ტრაქტატის პირობათა აღდგენა ქართველი ხალხის ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების გარანტიად ესახებოდათ დიდ ქართველ სამოციანელებს.

---

25 ციტირებულია გ. ჟორდანიას წიგნიდან „აქვს თუ არა საქართველოს კანონიერი უფლება მოითხოვოს ავტონომია", თბ., 1917 წ., გვ. 19.

„საქართველო“ XIX ს-ის ეროვნულ-პოლიტიკური ბრძოლის გამოცდილებას იზიარებდა და მიიჩნევდა, რომ 1783 წლის გეორგევსკის ტრაქტატი თავისთავად გულისხმობდა საქართველოს საშინაო დამოუკიდებლობას.

1903 წლის 1 ივნისს „საქართველოში“ გამოქვეყნდა მოწინავე წერილი „საქართველოს ისტორიული უფლებანი და დღევანდელი საჭიროებანი“. გაზეთი თავიდანვე კითხულობდა, რა აზრი აქვსო მე-18 ს-ის მიწურულში გაფორმებულ ხელშეკრულებას დღევანდელობასთან და თითქოს შეფიქრიანებულ მკითხველს უსსნიდა: წარსულს მაშინ აქვს „თანამედროვე მნიშვნელობა, როდესაც იგი აწინდელ ცხოვრებასთანაა მჭიდროდ დაკავშირებული, როდესაც მიუხედავად გარეგან ცხოვრების ცვლილებისა, ამ წარსულს, ახალ პირობებში, ახალი შინაარსი და სიცოცხლე ეძლევა, როდესაც ხალხს დღეს ებადება წარსული ცხოვრების უსამართლობის გაუქმების სურვილი. ამ შემთხვევაში, ისტორიულ უფლებათა შესაჭებ დავას რეალური მნიშვნელობა ეძლევა და ამ უფლებათა აღდგენისაკენ მიმართული მოქმედება პრაქტიკულ ხასიათს არა ჰკარგავს. ამნაირია ქართველების მდგომარეობაც. თანამედროვე ჩვენი საჭიროებანი და მეფე ერეკლეს ტრაქტატის შინაარსი რომ შევუფასოთ ერომანეთს, ამ ტრაქტატში ჩვენ ვპოვებთ იმგვარ პოლიტიკურ სიბრძნეს, რომელიც დღესაც არ არის ჩვენთვის დაძველებული და რომლის შეთვისებისათვის დღეს მეტი ღონე და მომზადება შეგვწევს“[26]. გაზეთის მესვეურთა აზრით, პრაქტიკულად, გეორგიევსკის ტრაქტატი ავტონომიისათვის მებრძოლ ძალებს ხელში აძლევდა „ახალ იარაღს“.

შემდეგ, გაზეთი კონკრეტულად განიხილავდა ტრაქტატის ცალკეულ პუნქტებს, რომელსაც შეიძლებოდა დღევანდელობისათვის პრაქტიკული ღირებულება ჰქონოდა.

პირველ რიგში ყურადღება ექცეოდა იმ გარემოებას, რომ მე-12 მუხლის ძალით ხელშეკრულება მხარეთა შორის ფორმდებოდა „საუკუნოდ“ და მხოლოდ იმ შემთხვევაში კარგავ-

---

[26] „საქართველო“, 1903, 1 ივნისი, „საქართველოს ისტორიული უფლებანი და დღევანდელი საჭიროებანი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ამ „საუკუნო“ ხასიათს, თუ ორივე მხარე მის რომელიმე მუსლს ან საერთოდ ხელშეკრულებას გააუქმებდა. ტრაქტატის მთავარი დედააზრი, გაზეთის აზრით, იმაში მდგომარეობდა, რომ რუსეთს, ხელშეკრულების თანახმად, ქართლ-კახეთი გარეშე მტრებისაგან უნდა დაეცვა. შინაურ მმართველობაში მეფე დამოუკიდებელი იყო და რუსეთის ადგილობრივ რეზიდენტს ქართლ-კახეთის შინაურ საქმეებში ჩარევის უფლება არ ჰქონდა. სამაგიეროდ, ქართლ-კახეთი დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის წარმოების უფლებას კარგავდა და მის წარმართვას რუსეთის იმპერატორს ანებებდა. გაზეთის აზრით, იურიდიული მეცნიერების თვალსაზრისით, „ტრაქტატი საქართველოს რუსეთთან უნიის პრინციპით აერიებდა“. ცნობდა რა რუსეთის იმპერატორის უზენაესობას, რუსებს და ქართველებს ერთი დინასტია ეყოლებოდათ — რუსეთის იმპერატორთა დინასტია, ხოლო ქართველი მეფეები „იმპერატორის წარმომადგენლები უნდა ყოფილიყვნენ“.

გაზეთის აზრით, ეს ყველაფერი სხვა არა იყო, თუ არა ფაქტიური ავტონომია. საჭირო არ იყო ტრაქტატის მთავარი აზრი: „1783 წლის ტრაქტატიდან ჩვენ ვიღებთ დედა-აზრს. ტრაქტატი გვაძლევდა ეროვნულ ავტონომიას — რუსეთისაგან დამოკიდებულს, გარეშე პოლიტიკის კითხვებში, ხოლო შინაურ საქმეებში სრულიად დამოუკიდებელს. ეს აზრი უდევს მეფე ერეკლეს ტრაქტატს“[27].

სხვა წერილებში, იხილავდა რა მომავალი ან სასურველი ავტონომიური საქართველოს კონკრეტულ-სახელმწიფოებრივ ფორმებს, გეოგრაფიულ საზღვრებს თუ სხვა, გაზეთი ისევ და ისევ 1783 წლის ხელშეკრულებას უბრუნდებოდა და მას ეყრდნობოდა.

„საქართველოს“ დიდი დამსახურება იყო, რომ მან პირველად გაიტანა და დასვა ევროპაში ქართველი ხალხის ეროვნული თავისუფლების საკითხი. ქართული პრობლემის პოპულარიზაციისა და ევროპის დემოკრატიული საზოგადოების ყურადღების მიპყრობის მიზნით არჩ. ჯორჯაძემ, გ. დეკანოზიშვილმა და მათმა თანამებრძოლებმა პარიზშივე გამოსცეს

---

[27] „საქართველო“, 1903, 1 ივნისი, დასახ. წერილი.

„საქართველოს“ ფრანგული დამატება „ლა ჟეორჟეორ (La George). მასში „საქართველოდან“ გადაბეჭდილ და ქართულიდან თარგმნილ მასალებთან ერთად იბეჭდებოდა ფრანგი და სხვა დასავლეთ ევროპელი პოლიტიკური მოღვაწეების წერილები და გამოხმაურებანი. „საქართველოს“ ფრანგული დამატების რედაქტორი იყო ქ-ნი რენო, ხოლო მის გამოცემასა და მასალების მომზადებაში აქტიურად მონაწილეობდა გ. დეკანოზიშვილის ფრანგი მეუღლე ჰანრიეტა ფრენუა. გ. დეკანოზიშვილი მადლიერებით წერდა თავისი მეუღლის შესახებ: „ყოველ ღონისძიებას ხმარობს, რომ უშველოს ჩვენ საქმეს. ასწორებს ფრანგულ ნაწერებს. მერე ჩვენ მიერ დაწერილი წერილების გასწორება რა ძნელია, ასწორებს კორექტურას, შოულობს ფულს, როცა გვჭირდება და სხვ. არა ბგონია, რომ ამას შვრებოდეს მარტო იმისათვის, რომ მე უყვარვარ. ეხლა გაიცნო ქართველები, გაიცნო ჩვენი მდგომარეობა და გულით და სულით შველის ყოველ დაჩაგრულს. შველის ხოლმე არა მარტო ქართველებს, არამედ დევნილ რუსებსაც“[28].

„საქართველოს“ მეშვეობით ევროპაში პირველად გაისმა ქართველი ხალხის პოლიტიკური უფლებების შესახებ ლაპარაკი. ამის შედეგი იყო, რომ ევროპის დემოკრატიულმა და სოციალისტურმა პრესამ ყურადღება მიაქცია „საქართველოს“, გამოეხმაურა მის გამოსვლას და თანაგრძნობა გამოუცხადა ქართველების ეროვნულ ბრძოლას. ცხადია, ევროპის დემოკრატიამ იმ სახით მიიღო ე. წ. ქართული საკითხი, რა სახითაც მის ინტერპრეტაციას „საქართველოისტები“ ახდენდნენ. ამიტომ ევროპულ გამოხმაურებებში განსაკუთრებით ესმეოდა ხაზი ქართველი ხალხის ეროვნული თავისუფლების კანონიერ სტატუსს, საქართველოს ეროვნული ავტონომიის უფლებრივ-იურიდიულ მხარეს, რაც 1783 წლის რუსეთ-საქართველოს ტრაქტატიდან გამომდინარეობდა.

„საქართველოს“ მეოთხე ნომერში გამოქვეყნდა მასალები: „როგორ მიეგებნენ „საქართველოს“ გამოსვლას ევროპის

---

28 ჟურნ. „კავკასიონი“, № 9, 1964, პარიზი, გვ. 116.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრესა და ევროპიული საზოგადო მოღვაწენი". ფრანგულ გაზ. „ევროპენში" გამოქვეყნებულ წერილში „ცარიზმი და საქართველო" პიერ კიარო ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ ეროვნული თავისუფლებისათვის მებრძოლი ქართველები არ მოითხოვდნენ რუსეთისაგან ჩამოშორებას, ან დინასტიის აღდგენას. „იმათ უნდათ 1783 წლის ხელშეკრულებას დაუბრუნდნენ, „რომლის ძალითაც საქართველო საშინაო საქმეებში" სამუდამოდ რუსეთისაგან დამოუკიდებელი უნდა დარჩენილიყო, მაგრამ მიუხედავად „სამუდამოობისა" ხელშეკრულებამ 18 წელიწადს „ძლივს გასტანა". არც ახლა მოელოდათ რაიმე კარგი ქართველებს რუსეთის მთავრობისაგან. „ქართველებს არ უნდა ჰქონდეთ ახლო მომავალში გამარჯვების იმედი, — პესიმისტური ნოტით ამთავრებდა პიერ კიარო, — იმ გაბედულებისათვის, რომ მის იმპერატორებით დიდებულებას მოაგონეს ძველი ტრაქტატები"[29].

ფლანდრიული სამეცნიერო ჟურნალი „Onwaring" მისასალმებელ წერილში წერდა, რომ „საქართველო" თხოულობდა თავისი ქვეყნის აღიარებას „ადმინისტრაციულ დამოუკიდებელ სახელმწიფოთ, როგორიც უნდა ყოფილიყო 1783 წლის შეერთების ძალით".

„საქართველოს" გამოსვლას ვრცელი წერილით „ქართველი ერი" გამოეხმაურა სახელგანთქმული დანიელი კრიტიკოსი და ლიტერატურათმცოდნე გეორგ ბრანდესი. მას მიაჩნდა, რომ რუსეთის საიმპერატორო კარმა მოტყუებით და ძალით ჩაიგდო ხელში საქართველო. ახლა საქართველოს განთავისუფლების შესაძლებლობას ბრანდესი უკავშირებდა რუსეთში მიმდინარე პროცესებს. მას არ სწამდა რუსეთში რევოლუციის მალე გამარჯვება, როგორც ამას ფიქრობდნენ პ. კროპოტკინი, ვ. ზასულიჩი და სხვები, მაგრამ სამაგიეროდ სჯეროდა, რომ რუსეთში გაბატონებული სულის შემხუთველი რეჟიმი 20 წელიწადზე მეტს ვერარ გასტანდა[30].

---

[29] „საქართველო", 1903, 15 ივნისი, „როგორ მიეგებნენ „საქართველოს" გამოსვლას ევროპის პრესა და ევროპიელი საზოგადო მოღვაწენი".

[30] „საქართველო", 1903, 15 ივლისი, დასახ. წერილი.

„საქართველოს“ და ქართველი ხალხის ეროვნულ ბრძოლას თანაგრძნობას უცხადებდა დიდი ფრანგი მეცნიერი, გეოგრაფი და პოლიტიკური მოღვაწე ელიზე რეკლიუ. „კარგა ხანი გავიდა უკვე, რაც ერთმა თქვენმა თანამემამულემ და ჩემმა მეგობარმა გამაცნო ქართველ ხალხის მდგომარეობა და საქართველოს ისტორიიდან ზოგიერთი ცნობები“, — წერდა ე. რეკლიუ „საქართველოს“ რედაქციას. ფრანგი მოღვაწე თავის მეგობარში გულისხმობდა ცნობილ ქართველ ანარქისტს და ემიგრანტს ვარლამ ჩერქეზიშვილს, რომელთანაც ორ ათეულ წელზე მეტი ხნის იდეური და სულიერი ახლობლობა აკავშირებდა. „ყოველ ღონისძიებას ვიხმარ და ჩემს ხმას თქვენს პროტესტს შემოვუერთებ“, აღუთქვამდა წერილის დასასრულს „საქართველოს“ ელიზე რეკლიუ.

გარდა აღნიშნულისა, „საქართველოს“ ეროვნულ მოთხოვნებს თანაგრძნობით გამოეხმაურნენ: საფრანგეთის პარლამენტის დეპუტატი ანტიდ ბოიერი, საფრანგეთის აკადემიის წევრი ანატოლი ლერუა-ბოლიე, ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი იორკ პაუელი, ინგლისური გაზეთი „ტაილი“, რუსი ლიბერალების ორგანო „ოსვობოჟდენიე“, სომეხი დაშნაკების ემიგრანტული ორგანო „დროშაკი“. ფრანგული გაზეთი „ეროპენი“ წერდა, რომ საქართველოს ავტონომიის მოპოვებისათვის ჯერ კიდევ 1892 წელს შეიქმნა „საქართველოს განთავისუფლების ლიგა“, დღეს კი, „ამგვარივე საგნისათვის“ პარიზში დაარსდა ორგანო „La Georgie“.

რა თქმა უნდა, „საქართველო“ გამოკვეთილი ეროვნული მიმართულების გაზეთი იყო, მაგრამ იგი ამით არ დაკმაყოფილებულა, შეეცადა გარკვეული სოციალური თვალსაზრისი შეემუშავებინა. პირველ ყოვლისა „საქართველოელები“ სოციალური დასაყრდენის ძიება-გარკვევას შეუდგნენ.

იმჟამინდელ რუსეთის რევოლუციურ სინამდვილეში ყველაზე მნიშვნელოვან ყურადღებას სოციალურ საკითხებს სოციალ-დემოკრატები და სოციალისტ-რევოლუციონერები უთმობდნენ. სტატიაში „რევოლუციური ავანტურიზმი“ ვ. ი. ლენინი აკრიტიკებდა რუს ესერებს, რომლებიც არ იზიარებდნენ თვალსაზრისს, რომ კაპიტალისტურ საზოგადოებაში ერთადერთ თანმიმდევრულ და ნამდვილ რევოლუციურ კლასს პრო-

ლეტარიატი წარმოადგენდა. დანარჩენი კლასები შეიძლებოდა თავიანთი საზოგადოებრივი მდგომარეობის გამო მხოლოდ ნაწილობრივ ყოფილიყვნენ რევოლუციურნი და ისიც გარკვეულ ისტორიულ პერიოდში[31]. ესერებმა მარქსისტული მოძღვრების აღნიშნული შეხედულება რუს სოციალ-დემოკრატებს დოგმად ჩაუთვალეს და მას სამების პლატფორმა დაუპირისპირეს— „ინტელიგენცია, პროლეტარიატი და გლეხობა", რომლებსაც მომავალ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში და საერთოდ რევოლუციურ მოძრაობაში თანაბარ როლს და მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ავტონომისტმა „საქართველოისტებმა" არჩევანი თავიდანვე ესერებს მიანიჭეს, თუმცა მათ არც ესერული „სამება" გამოუყვიათ და საერთოდ „საქართველოს მცხოვრებთა უმრავლესობის, ხალხის განთავისუფლების" ლოზუნგით გამოვიდნენ.

ვინ უნდა ყოფილიყო „საქართველოს" დასაყრდენი სოციალური ბაზა? გაზეთმა უარყო თავადაზნაურობა, რომელსაც სურდა „ის, რაც შეუთანხმებელია", კერძოდ, მას სურდა „რუსეთის იმპერატორისადმი ერთგულება და სამშობლოსადმი სამსახური ერთად შეეკავშირებინა"; უარყო — სამღვდელოება, ინტელიგენცია, სტუდენტი ახალგაზრდობა; აღნიშნა, რომ გლეხობის ბრძოლას მხოლოდ „ეკონომიური ხასიათი" ჰქონდა, ხოლო ქართველი პროლეტარიატის მოძრაობას „საკუთარი აზრი, საკუთარი მიმართულება" არ გააჩნდა. „საქართველო" უკმაყოფილებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ რევოლუციური სოციალ-დემოკრატია და პროლეტარიატი არ თანაუგრძნობდნენ „საქართველოისტებს" ავტონომიის მოთხოვნაში.

უარყოფდა რა ზემოჩამოთვლილ, საქართველოს სინამდვილეში არსებულ საზოგადოებრივ კლასებს და ფენებს ცალცალკე, როგორც თავის სოციალურ დასაყრდენს, „საქართველო" თავისი დროშის ქვეშ მოუწოდებდა ყველა კლასს, საქართველოს მთელ მოსახლეობას, ვინც აღიარებდა ეროვნული ავტონომიის იდეას. ვისგან უნდა შედგეს „მებრძოლთა რაზმი", რომელი კლასების ან წოდებებისაგან? — კითხულობ-

---

[31] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 6, გვ. 240.

და გაზეთი და პასუხობდა: რადგან მიზანი ერთი გვაქვს ყველას — საქართველოს ავტონომია — „ერთი საერთო რაზე უნდა შესდგეს ყველა იმ მებრძოლთაგან, ვისაც სწადია ამ ავტონომიის მოპოვება“. „ცნობის ფურცლის“ ჯგუფმა, არსებითად, „საერთოდ ნიადაგის“ დოქტრინა ფორმალურად უარყო, მაგრამ არსებითად ისევ იმავე ნიადაგზე დარჩა, მოუწოდა რა ავტონომიის დროშის ქვეშ საქართველოს მთელ მოსახლეობას.

რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის მძაფრი შეტევებისა და განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობის გავლენით „საქართველომ“ უფრო მკვეთრად აღიარა კლასთა ბრძოლის არსებობა. „ჩვენ არ ვიწვევთ საქართველოს ყველა წოდების და კლასების შეთანხმებულ და გაერთიანებულ მოქმედებას, — წერდა გაზეთი, — ამგვარი შეთანხმება შეუძლებელ საქმედ მიგვაჩნია. ჩვენ მხოლოდ იმათი შეთანხმების იმედი გვაქვს, ვინც უარჰყოფს წოდებრივს და ბურჟუაზიულ კლასობრივ მოქმედების ნიადაგს და ვინც თავის ჭკუას, ზნეობრივ და ფიზიკურ ძალას, საქართველოს მცხოვრებთა უმრავლესობის, ხალხის განთავისუფლების საქმეს მოახმარს. მაშ გაუმარჯოს ქართულ რევოლუციას!“[32].

გ. ლასხიშვილი წერს, რომ „ცნობის ფურცლის“ ჯგუფმა ჯერ კიდევ 1901 წელს შეიმუშავა სოციალისტ-ფედერალისტების პროგრამის „მთავარი საფუძვლები“, მათ შორის „სოციალიზმის მინიმუმი და მაქსიმუმი პროგრამებიო“. ამ სიტყვების ავტორი აჭარბებდა, რადგან წვრილბურჟუაზიული სოციალიზმისაკენ მიდრეკილებას, რომელიც ჯგუფის ერთ ნაწილს ახასიათებდა, „ცნობის ფურცლის“ მთელ ჯგუფზე ავრცელებდა. ნამდვილად კი არამცთუ 1901 წელს „ცნობის ფურცელს“, არამედ 1903 წლის „საქართველოსაც“ მკვეთრად არ აუღია წვრილბურჟუაზიული სოციალიზმის ორიენტაცია. დამახასიათებელია შემდეგი ფაქტი. როცა დადგა საკითხი საზღვარგარეთული ორგანოს დაარსებისათვის თანხის შეგროვების შესახებ, „ცნობის ფურცლის“ ჯგუფმა ამგვარი დირექტივა მისცა თანხების შემგროვებელ კომისიას: „ფართო სა-

---

32 „საქართველო“, 1903, 15 ივნისი, „ბრძოლის საშუალებანი“.

ზოგადოებაში ლაპარაკი უნდა ყოფილიყო მხოლოდ თავისუფალ ეროვნულ ორგანოს დაარსების განზრახვაზე; უმრავლესობას ეშინოდა სოციალისტური ჰანგების აღნიშვნა — ფარო საზოგადოებას დააფრთხობს და თანხის შეგროვების საქმეს დააბრკოლებსო"[33]. „საქართველოსათვის" თანხების შეგროვება უმთავრესად თავადაზნაურული და ბურჟუაზიული ინტელიგენციის წრეებში მიმდინარებდა, ამიტომ მომავალი გაზეთის მესვეურებს ეშინოდათ სოციალისტური ფრაზეოლოგიით ეროვნულ-ლიბერალურად განწყობილი შეძლებული ქართველი საზოგადოების „ნდობა" არ დაეკარგათ. მიუხედავად ამისა, „საქართველომ" მეტი გაბედულობით იწყო სოციალური პლატფორმის გამომუშავება, თუმცა სოციალურ საკითხს „საქართველო" მჭიდროდ უკავშირებდა და გადაჭრით უქვემდებარებდა ეროვნულ საკითხს.

„საქართველომ" სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლის უმთავრეს გზად რევოლუციური ბრძოლა მიიჩნია, გზა „რევოლუციონური მოქმედება-მოღვაწეობისა". რუსეთის იმპერიის სინამდვილეში ყოველგვარი უთანასწორობის განმსაზღვრელი და საფუძველი იყო არსებული სისტემა, მეფის თვითმპყრობელობა. „თვითმპყრობელობა უნდა დაიმსხვრეს და დაინგრეს, — წერდა გაზეთის ერთ-ერთი ანონიმი ავტორი, — აქ არის ერთადერთი ხსნა, როგორც ეროვნების აღორძინებისათვის, ისე ეკონომიურ გაჭირვების მოსპობისათვის". მომავალი საქართველოს ავტონომია უკლასო საზოგადოება უნდა ყოფილიყო, სადაც ადგილი არ ექნებოდა ერთი კლასის მიერ მეორის ჩაგვრას. „ავტონომია უნდა იყოს პოლიტიკური ფორმა ეკონომიურად გათანასწორებულ ხალხისა"[34].

უფრო კონკრეტულად გამოიხატა „საქართველოისტების" სოციალური პლატფორმა 1904 წლის მარტის თვეში გამოქვეყნებულ წერილში „წვრილ მესაკუთრეთა ადგილი თანამედ-

---

[33] გ. ლასხიშვილი, მემუარები, გვ. 140.

[34] „საქართველო", 1903, 1 ივლისი, „კლასთა ბრძოლა და ეროვნული ავტონომია".

როვე წყობილებაში და მათი როლი განთავისუფლების საქმეში“.

გაზეთი თავიდანვე აცხადებდა, რომ ყველა პოლიტიკურ პარტიას ნათლად უნდა გამოერკვია, რომელი კლასისა თუ კლასების ინტერესები უნდა დაეცვა, ისე, როგორც ეს გააკეთა, მაგალითად, რსდმპ, რომელმაც საქვეყნოდ განაცხადა, მე რუსეთის პროლეტარიატის პარტია ვარო. მაგრამ „საქართველო“ არ ეთანხმებოდა რსდმპ-ს, რომელსაც თავის პროგრამაში არაფერი ჰქონდა ნათქვამი საერთოდ „ხალხის“ ინტერესების დაცვაზე, ხოლო გლეხობას, როგორც წვრილ მესაკუთრეებს, წვრილ ბურჟუაზიად ნათლავდა. „საქართველოს“ აზრით, მარქსისტები მიესალმებოდნენ ღარიბი გლეხობის გაბოგანოების, გაპროლეტარების პროცესს, რაც მათს პროგრამაშიც აისახა: ისინი მოითხოვდნენ ბატონ-ყმური ნაშთების გაუქმებას, რათა გლეხს მიწების თავისუფალი ყიდვა-გაყიდვის საშუალება მისცემოდა. ამის შედეგად, გლეხობის უმრავლესობა მალე დაჰკარგავდა მიწას, გაბოგანოვდებოდა, შეავსებდა მუშათა კლასის რიგებს და დააჩქარებდა პროლეტარიზაციის პროცესს.

ასე გამოიყურებოდა სოფლის პროლეტარიზაციის მარქსისტული სქემა „საქართველოს“ თვალში და მას არ სურდა მშვიდად ეცადა ამ გრძელი პროცესისათვის, რომელიც, როგორც პრაქტიკამ დაადასტურა, ბოლომდე არც აპირებდა განვითარებას. მარქსისტებისაგან განსხვავებით, „საქართველოელებს“ დღესვე სურდათ მიშველებოდნენ მშრომელ მესაკუთრეს. რუსეთში ეს საქმე „იკისრეს“ ესერებმა, რომლებმაც ორგვარ ბურჟუაზიად კი არ დაჰყვეს სოფლის მოსახლეობა, როგორც მარქსისტებმა, არამედ — მშრომელებად, რომელნიც საკუთარი შრომით ცხოვრობდნენ, და ბურჟუაზიად, რომელიც სხვის ნაშრომს ითვისებდა. საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობა — 80% სოფელში ცხოვრობდა, მათგან „ნახევარზე მეტი“ წვრილი მესაკუთრე იყო. „საქართველოს“ სურდა ქართველი ხალხის მშრომელი ნაწილის ინტერესები დაეცვა. „ჩვენ გვსურს ხალხის უმრავლესობის ჭირვარამის გამოსახვა, გვინდა ხელი შევუწყოთ მას ეკონომიურ განთავისუფლების საქმეში“. აქაც „საქართველო“ მშრომელი

ხალხის სოციალური განთავისუფლების საკითხს მჭიდროდ უკავშირებდა ერთი მხრივ თვითმპყრობელობის დამხობას, მეორე მხრივ კი — ავტონომიის მოთხოვნის საკითხს, ურომლისოდაც ეკონომიკური განთავისუფლება ქართველი მშრომელი ხალხისა არ წარმოიდგინებოდა. „როგორც არაერთხელ გვქონდა ნათქვამი, — დაასკვნიდა გაზეთი, — ქართველი ხალხის ეკონომიური აღორძინება დაკავშირებულია ეროვნულ თავთისუფლებასთან, ჩვენი სურვილი ყოველთვის ის იქნება, რომ გავაგებინოთ ხალხს — საქმე მარტო თვითმპყრობელობის დამხობა კი არ არის, საქმე საკუთარის ეროვნულ თვითმმართველობის მოპოვებაა. ამ ძირითად ცვლილების განხორციელებისათვის მარტო პროლეტარიატის ძალა არ კმარა. აქ არის საჭირო გაერთიანება ხალხის ყველა მშრომელი ელემენტებისა“[35]. წვრილი მესაკუთრისა კერძოდ, საზოგადოდ კი — ხალხის მშრომელი ნაწილის, მისი უმრავლესობის ინტერესების დაცვა, ასეთი იყო „საქართველოს“ სოციალური ორიენტაცია.

„საქართველო“ ქართველი ავტონომისტების მიერ დაარსებული და ავტონომისტური ორგანო იყო, მაგრამ მან ფართოდ გაუღო კარი სხვა მიმართულებების პუბლიცისტებსაც. მასში აშკარა სეპარატისტებთან ერთად გვხვდება სხვადასხვა მიმდინარეობათა — ანარქისტების, ესერების წარმომადგენელთა წერილები. „საქართველოში“ დაიბეჭდა ქართველი მენშევიკების ლიდერის ნ. ჟორდანიას რამდენიმე სტატია. მეტიც, გ. ლასხიშვილის გადმოცემით, ემიგრაციაში მყოფი ქართველი სოციალ-დემოკრატები ნ. ჟორდანია და სხვები „ამა თუ იმ დახმარებას უწევდნენ ჩვენს ამხანაგებს“ გაზეთის დაარსებაშიო[36].

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ „საქართველოისტები“, პოლიტიკური რეალიზმიდან გამომდინარე, უარყოფდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის ლოზუნგს. მიუხედავად ამისა, პოლიტიკური დამოუკიდებლობის იდეას გაზეთის მესვეურე-

---

35 „საქართველო“, 1904, 1 მარტი, „წვრილ მესაკუთრეთა ადგილი თანამედროვე წყობილებაში და მათი როლი განთავისუფლების საქმეში“.

36 გ. ლ ა ს ხ ი შ ვ ი ლ ი, მემუარები, გვ. 160.

ბი თანაგრძნობით ეკიდებოდნენ და მიაჩნდათ, რომ „ეს დამ-
სებობის სრული უფლება ჰქონდა. მეტიც, ქართველმა ერმა
ნული ძალების ფარული მისწრაფების შესახებ დამოუკიდებ-
ლობისაკენ ევროპაშიც უნდა სცოდნოდათ. ამის გამო „საქარ-
თველო“ დროდადრო აქვეყნებდა სეპარატისტული ხასიათის
წერილებს, სათანადო სარედაქციო შენიშვნების თანდართვით.
1904 წლის იანვარში არჩ. ჯორჯაძე გ. დეკანოზიშვილს წერ-
და: „შეურიგებელსაც“ უნდა თავისი წერილის დაბეჭდვა
ფრანგულად. მე მგონი ურიგო არ იქნება. უნდა ვაჩვენოთ
უცხოელებსა და რუსებს, რომ ჩვენში სრული პოლიტიკური
დამოუკიდებლობის მომხრენიც არიან. ინგლისში წერილი
ძალიან მოეწონებათ. ჩვენ ჩვენი შენიშვნა გავუკეთოთ და
ისე დავსტამბოთ“[37].

ერთ-ერთი ასეთი მომხრე დამოუკიდებლობისა, ვინმე
„სეპარატისტი“, ჩანს, ეკამათებოდა გაზეთის რედაქციას და
უსაბუთებდა საქართველოს პოლიტიკური თავისუფლების
შესაძლებლობას საერთაშორისო სიტუაციის სერიოზული გა-
რთულების, კერძოდ კი, რუსეთის ევროპასთან ომის შემ-
თხვევაში, როგორც ეს ყირიმის ომის დროს მოხდა. თავისუ-
ფალი საქართველო, „სეპარატისტის“ წარმოსახვით, ორგვა-
რად სასურველი უნდა ყოფილიყო ევროპისათვის. ერთი, რომ
იგი იქნებოდა ბარიერი რუსეთისათვის სამხრეთისაკენ გა-
ფართოებაში, მეორე — საქართველო მომგებიანი ბაზარი და
გასასვლელი იქნებოდა ევროპულ საქმოსანთათვის აზიის
ქვეყნებში. „სეპარატისტის“ იდეალი იყო „ევროპის პროტე-
ქტორობის“ ქვეშ მყოფი დამოუკიდებელი საქართველო[38].
მეორე ანონიმ „კორესპონდენტს“ თავისუფალი საქართველო
წარმოუდგებოდა პოლიტიკურად დამოუკიდებელ ქვეყნად,
სადაც მოისპობოდა კაპიტალისტური წეს-წყობილება, ქონებ-
რივი უთანასწორობა და დამყარდებოდა „სოციალისტური
წეს-წყობილება“. მხოლოდ „თავისუფალ“ და „სოციალისტუ-

---

[37] ციტირებული ალ. მუჯირის სტატიიდან: „ეროვნულ-დემოკრატიული
იდეალებისათვის მებრძოლი (არჩილ ჯორჯარე და მისი საზოგადოებრივ-
პოლიტიკური ნააზრევი)“, გაზ. „კომუნისტი“, 1988, 13 ნოემბერი.

[38] „საქართველო“, 1903, 1 სექტემბერი; 1904, 1 იანვარი, №№ 7—8.

ის წეს-წყობილების“ ქართველ ერს შეეძლო გამხდარიყო „წევრი კაცობრიობის კავშირისა“[39]. ვინმე „ძველი მოღვაწე“ სკეპტიკურად უყურებდა რუსეთისაგან ვინმესათვის „თავის ნებით“ ავტონომიის მიცემას. საქართველოს მომავალი მჭიდროდ იყო დაკავშირებული სხვა კავკასიელ ხალხებთან. „ძველი მოღვაწის“ რწმენით, კავკასიელ ერებს „ევროპის მფარველობის“ ქვეშ უნდა შეექმნათ ერთიანი სახელმწიფო „კავკასიის ფედერაციის“ სახით[40].

ერთი მხრივ, უარყოფდნენ რა სრული დამოუკიდებლობის მაქსიმალისტურ ლოზუნგს, მეორე მხრივ, გაზეთის მესვეურნი შეშფოთებული უყურებდნენ აღმავლობის გზაზე მდგარ საქართველოს მუშათა მოძრაობაში სენივით მოდებულ ეროვნულ-ნიჰილისტურ განწყობილებას. ქართველი მუშათა კლასი, რომელიც თავგანწირულად იბრძოდა სოციალური განთავისუფლებისათვის, ნაკლებად ზრუნავდა ქართველი ხალხის მომავალ ეროვნულ-პოლიტიკურ ორგანიზაციაზე. მას გულუბრყვილოდ სჯეროდა, რომ მონარქიის დამხობას აუცილებლად მოჰყვებოდა ქართველი ხალხისათვის „სასურველი რეჟიმი“, თავად „საქართველოელებს“ სწამდათ, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატია „ეროვნების დაჩაგვრის მომხრე, რასაკვირველია, არ არის“, მაგრამ სკეპტიკურად უყურებდნენ ყოველგვარ „კეთილსინდისიერ დაპირებას და განზრახვას“. ხალხის ეროვნული თავისუფლების გარანტია შეიძლებოდა ყოფილიყო „ადგილობრივ საჭიროებათა მოთხოვნილებაზე დაფუძნებული“ პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია. საქართველოს სოციალ-დემოკრატიას რუსეთისაგან განსხვავებული საკუთარი მიმართულება უნდა ჰქონოდა. გაზეთის რწმენით, საქართველოს მუშათა კლასისა და სოციალ-დემოკრატიის ბრძოლის მიზნები შემდეგი ტრიადის სახით უნდა განხორციელებულიყო: „ძირს თვით-მპყრო-

---

39 „საქართველო“, 1903, 15 მაისი, „გაუმარჯოს თავისუფლებას!“ (კორესპონდენტისაგან).

40 „საქართველო“, 1903, 1 ივლისი.

ბელობა, გაუმარჯოს რუსეთის განთავისუფლებას და გაუმარ-ჯოს ამასთან ერთად საქართველოს ეროვნულ ავტონომი-ას!"[41]

„საქართველომ" დიდი მუშაობა გასწია ქართველი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის ეროვნულ-პოლიტიკური ფორმულის შემუშავება-დასაბუთებისათვის. გაზეთმა მტკიცედ დასვა საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის საკითხი სამშობლოშიც, რუსეთშიც, ევროპაშიც. გარდა ამისა, თავისუფალი ქართული ორგანოს ფურცლებზე საფუძველი ჩაეყარა ქართველი ხალხის ეროვნული ძალების კონსოლიდაციის კონცეფციას. ეს იყო ეროვნული კონსოლიდაციის ავტონომისტური ვარიანტი. კონსოლიდაციის ჯორჯაძისეულმა კულტურულ-ეკონომიკურმა „საერთო მოქმედების ნიადაგმა" სახე იცვალა და კონსოლიდაციის ავტონომისტურ ეროვნულ-პოლიტიკურ ფორმულად ჩამოყალიბდა — გაზეთმა ავტონომიის დროშის ქვეშ ბრძოლისა და თანამშრომლობისაკენ ქართველი ხალხის მთელ მშრომელ უმრავლესობას და ეროვნულ ძალებს მოუწოდა. ცხადია, ამ მოწოდებაში, პირველ ყოვლისა, პოლიტიკურ ლოზუნგად მოდერნიზებული და განვითარებული „საერთო ნიადაგის" სულისკვეთება დომინირებდა და ეს არც იყო გასაკვირი. „საქართველოს" იდეური სულისჩამდგმელი და თეორეტიკოსი ხომ არჩ. ჯორჯაძე იყო. მის კალამს ეკუთვნოდა გაზეთში დასტამბული ყველა მთავარი მიმართულების განმსაზღვრელი მრავალი ხელმოუწერელი სტატია, წერილი და შენიშვნა; იგი იყო „საქართველოს" ეროვნულ-პოლიტიკური პლატფორმის შემმუშავებელი.

---

41 „საქართველო", 1903, 15 მაისი, „მუშათა მოძრაობა და ეროვნება".

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი მეოთხე

ჟენევის კონფერენცია და საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა ბლოკისტური პარტიის შექმნა

„საქართველომ“ ეროვნულ-განმათავისუფლებელი და რევოლუციური მოძრაობის სხვადასხვა მიმართულებების მიზიდვა სცადა, კონკრეტულად კი, ამ დროს არსებული რევოლუციური და ეროვნულ-პოლიტიკური ფრაქციების გაერთიანება. მაგრამ იმისათვის, რომ ეროვნულ-რევოლუციური მოძრაობის ჰეგემონობისაკენ „საქართველოისტების“ მისწრაფება რეალურ ნიადაგზე დამდგარიყო, მთავარი იყო პოლიტიკურ ორგანიზაციად საბოლოოდ ჩამოყალიბება — პარტიის შექმნა. როგორც ადრე აღვნიშნეთ, „ცნობის ფურცლელთა“ მიერ შექმნილმა მთავარმა კომიტეტმა 1901 წელს შეაჩერა პოლიტიკური პარტიის შექმნის პროცესი მანამდე, სანამ დააარსებდნენ თავისუფალ ორგანოს, რომელიც შეიმუშავებდა გამოკვეთილ ეროვნულ-პოლიტიკურ პლატფორმას. ახლა, როდესაც „საქართველომ“ მეტ-ნაკლებად ჩამოაყალიბა თავისი ეროვნული, სოციალური და პოლიტიკური პოზიცია, მთავარმა კომიტეტმა და შესაბამისად „საქართველოს“ რედაქციამ აქტიური მუშაობა გააჩაღეს პოლიტიკური პარტიის შესაქმნელად.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, „საქართველოისტებს“ მიზნად არ ჰქონდათ შეექმნათ ვიწრო, ავტონომისტური ხასიათის პარტია, რომელიც მხოლოდ მათი მიმდინარეობით შემოიფარგლებოდა. „საქართველოისტების“ მიზანი იყო თავიანთ გარშემო შემოეკრიბათ, იმხანად საქართველოში არსებული ეროვნული, რევოლუციური და ლიბერალური მიმარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თულების ფრაქციები, რომელნიც ეროვნულ-ტერიტორიულ ავტონომიის მოთხოვნას აღიარებდნენ და შესაძლებლად მიიჩნევდნენ ეროვნულ ნიადაგზე გაერთიანებულიყვნენ.

პარტიის შექმნის ორგანიზაცია „საქართველოს“ რედაქციამ იკისრა. მან გადაწყვიტა იმხანად საზღვარგარეთ მყოფი ქართული რევოლუციური ფრაქციების წარმომადგენლების კონფერენცია მოეწვია. „საქართველოს“ რედაქციის მიზანი იყო გაერკვია: 1. რას ფიქრობდნენ ქართული რევოლუციური ფრაქციები ეროვნულ საკითხებზე; 2. შესაძლებელია თუ არა მათი გაერთიანება ეროვნულ ნიადაგზე, კერძოდ კი, საქართველოს ავტონომიის დროშის ქვეშ. ამავე დროს, „საქართველოს“ რედაქციის პარალელურად, ქართული რევოლუციური ფრაქციების „კონგრესის“ იდეა საზღვარგარეთის ზოგიერთ ქალაქში მყოფ ქართველთა წრეებშიც გაჩნდა. „კონგრესის“ მოწვევის საჭიროების შესახებ „საქართველოს“ რედაქციას წერილები გამოუგზავნეს პარიზის ქართველმა სტუდენტებმა და ბრიუსელში მყოფმა ქართველებმა. რედაქციამ მხარი დაუჭირა ამ ორმხრივ ინიციატივას და კონფერენციის ორგანიზაცია დაავალა ჟენევის ქართველთა კოლონიას. ამის შემდეგ, ჟენევის ქართველებმა წერილებით მიმართეს ევროპის ქალაქებში მყოფ ქართველ მოღვაწეებს, სტუდენტებს, ემიგრაციაში მყოფ რევოლუციურ ფრაქციებს და სთხოვეს თავიანთი წარმომადგენლები გამოეგზავნათ განზრახულ „კონგრესზე“.

ყოველივე ამის შემდეგ, ჟენევაში, 1904 წლის 1 აპრილს, საღამოს 8 სთ-ზე გაიხსნა საზღვარგარეთ მყოფ ქართული რევოლუციური და ეროვნული ფრაქციების წარმომადგენელთა ანუ, როგორც მაშინ უწოდებდნენ — ქართველ რევოლუციონერთა I კონფერენცია. ამ ისტორიული მოვლენის ამსახველი ძირითადი წყაროა „ოქმები ქართველ რევოლუციონერთა პირველ კონფერენციისა“, რომელიც 1904 წელს პარიზში გამოსცა გიორგი დეკანოზიშვილმა და თბილისში გამოგზავნა.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ: ავტონომისტ-„საქართველოისტები“ — შემდგომში იგივე სოციალისტ-ფედერალისტები, ქართველი ანარქისტები და სო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციალისტ-რევოლუციონერები. როგორც „ოქმების“ ანალიზიდან ირკვევა, კონფერენციაში მონაწილეობა უნდა მიეღოთ ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების წარმომადგენლებსაც, თუმცა არა როგორც ცალკე ფრაქციას, არამედ ავტონომისტ-„საქართველოისტთა“ მიმდინარეობის მემარჯვენე ფრთას. თავდაპირველად კონფერენციაზე გამოცხადდნენ ქართველი სოციალ-დემოკრატებიც, რომლებმაც მეორე დღესვე დასტოვეს სხდომათა დარბაზი. ვფიქრობთ, რომ კონფერენციას, როგორც მეთვალყურე, ესწრებოდა ერთი ავტონომისტი სოციალ-დემოკრატი.

რა ვიცით ჟენევის კონფერენციის მონაწილეთა ვინაობის შესახებ?

„ოქმების“ მიხედვით კონფერენციაზე თავდაპირველად გამოცხადდა 26 კაცი, მაგრამ ხუთი სოციალ-დემოკრატის წასვლის შემდეგ კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა 21 კაცი. „ოქმებში“ მონაწილენი მოხსენიებულნი არიან ფსევდონიმებით, რომელთა მატარებელი პიროვნებების დიდი უმრავლესობის ვინაობა უცნობია. მონაწილენი შემდეგი ფსევდონიმებით გამოცხადდნენ: 1. დევიანი; 2. მორბელაძე; 3. ფალიანი; 4. ეფრემიძე; 5. x; 6. მანაველი; 7. ორგეიანი; 8. თერგელი; 9. ვერმიცანიძე; 10. მთიელი; 11. რაშაძე; 12. ანვილი; 13. z; 14. საბა; 15. ლიახველი; 16. ცანგალა; 17. ცხრარჯულაძე; 18. ნეიძე; 19. ქართლელი და 20. საბუელი. დანარჩენი 6 მონაწილე „ოქმებში“ საერთოდ არაა მოხსენიებული.

ფსევდონიმებს უკან მდგომი პიროვნებებიდან, გ. ლასხიშვილის გადმოცემის წყალობით, მხოლოდ ხუთი მათგანის ვინაობაა ცნობილი: 1. დევიანი — ნოე ჟორდანია; 2. საბუელი — არჩილ ჯორჯაძე; 3. მანაველი — ვარლამ ჩერქეზიშვილი; 4. ორგეიანი — კომანდო გოგელია; 5. ვერმიცანიძე — ალექსანდრე (სანდრო) გაბუნია[1].

ჩვენ სპეციალურად არ გვიკვლევია, ვინ იყვნენ დანარჩენ ფსევდონიმებს ამოფარებული მოღვაწენი, თუმცა რამდენიმე მათგანის ვინაობა მაინც დადგინდა. ერთ-ერთია „ქართლე-

[1] გ. ლასხიშვილი, მემუარები, გვ. 162.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი“. კონფერენციის სხდომებზე ვ. ჩერქეზიშვილმა რამდენ-ჯერმე გაიმეორა, აქ ესწრება ორგანო „საქართველოს“ ორი წარმომადგენელიო. ერთი მათგანის, საბუელის, პიროვნება ჩვენთვის ცნობილია — არჩ. ჯორჯაძე, ხოლო მეორე მოღვაწე, რომელიც მთავარმა კომიტეტმა გაგზავნა ჯორჯაძესთან ერთად თავისუფალი ორგანოს გამოსაცემად და გამოცემის შემდეგ მუშაობდა „საქართველოს“ რედაქციაში, როგორც ვიცით, იყო გიორგი დეკანოზიშვილი. სწორედ ქართლელის — გ. დეკანოზიშვილის ენერგიული ორგანიზატორული საქმიანობის შედეგი იყო უენევის კონფერენციის მოწვევა, რის გამოც მონაწილეებმა იგი კონფერენციის სხდომების თავმჯდომარედ აირჩიეს.

კონფერენციაში მხურვალე მონაწილეობას იღებდა ვინმე ანარქისტი — თერგელი. მან ვრცელი მოხსენება წაიკითხა სარევოლუციო ტაქტიკის საკითხებზე, სადაც ევროპის სოციალისტური მოძრაობა ანარქისტული პოზიციებიდან განიხილა. მოხსენებამდე იგი აირჩიეს კონფერენციის პირველ მდივნად, ალბათ, როგორც ანარქისტული ფრაქციის წარმომადგენელი. ეჭვის გარეშეა, რომ თერგელის ფსევდონიმით კონფერენციაში მონაწილეობას იღებდა შემდგომში ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, იმხანად თავგამოდებული ანარქისტი მიხაკო წერეთელი, რომელიც ჩვენი საუკუნის დამდეგიდან საზღვარგარეთ იმყოფებოდა. 1902 წლის 2 მარტს მ. წერეთელი ალ. გაბუნიასთან ერთად მონაწილეობს პარიზის ანარქისტულ დემონსტრაციაში. პოლიციელებსა და მუშებს შორის მომხდარ შეტაკებაში ორივე ქართველი ვოლონტიორი დაჭრეს, დააპატიმრეს და გაასამართლეს. „4 მარტს გაბუნია გაასამართლეს და სამი თვე ციხეში ჯდომა და მერე საფრანგეთიდან განდევნა მიუსაჯეს, — წერდა პარიზიდან ო. სახოკია მიხეილ თამარაშვილს. — წერეთლის საქმე უფრო მძიმეა: იმას აბრალებენ ანარქისტი ხარო და, მგონი, სულ უკანასკნელი, 6 თვე ჩასვან ციხეში და მერე აქედან განდევნონ. ძალიან ვცდილობთ როგორმე ვუშველოთ და განდევნით არ გავადევნინოთ. მინისტრ მილიერანის დიდი იმედი

ეკეკვს — დაგვეხმარება"[2]. ციხემისჯილ მიხ. წერეთელს იცავ-
დნენ არისტიდ ბრიანი, შემდეგ კი, სენატორი დემონზი. სა-
ბოლოოდ, გავლენიანმა საზღვარგარეთელმა პროტეჟეებმა
მხოლოდ ნაწილობრივ უშველეს ქართველ ანარქისტს, მ. წე-
რეთელი ციხეს გადაურჩა, მაგრამ საფრანგეთიდან განდევნეს
და თავისი ემიგრანტული ცხოვრება ლონდონში განაგრძო,
სადაც ვ. ჩერქეზიშვილს დაუახლოვდა[3].

თ. სახოკია ჟენევის „ინტერპარტიული" კონფერენციის
მონაწილედ ვ. ჩერქეზიშვილსა და კ. გოგელიასთან ერთად
მიხაკო წერეთელს ასახელებს, რაც, როგორც აღვნიშნეთ,
უეჭველს ხდის, რომ თერგელი მისი ფსევდონიმია[4].

კიდევ ერთი ფსევდონიმი ირკვევა ამჯერად, კერძოდ კი,
ვფიქრობთ, კონფერენციის მონაწილე ვინმე „z" უნდა ყოფი-
ლიყო ცნობილი ქართველი ავტონომისტ-სოციალ-დემოკრა-
ტი ვლ. დარჩიაშვილი. ამ მოსაზრების დასაბუთებას ჩვენ ქვე-
მოთ შევეცდებით, როცა განვიხილავთ კონფერენციის რეზო-
ლუციებს.

გარდა ამისა, ჟენევის კონფერენციაში მონაწილეობა უნ-
და მიეღოთ 1904 წელს ევროპაში მყოფ ცნობილ ქართველ
მოღვაწეებს: თ. სახოკიას, ა. დეკანოზიშვილს, ე. მამინა-
�შვილს, ალ. დიასამიძეს, შესაძლოა პალ. ყიფიანს და რევ. გა-
ბაშვილს.

თედო სახოკია საუკუნის დამდეგიდან იმყოფებოდა საფ-
რანგეთში, აქტიურად მონაწილეობდა გაზ. „საქართველოს"
გამოცემაში. ანდრია დეკანოზიშვილი, „ცნობის ფურცლის"
ჯგუფის თვალსაჩინო წარმომადგენელთაგანი, პირველად შე-
ქმნილი მთავარი კომიტეტის წევრი იყო. ევტიხი მამინაიშვი-
ლის შესახებ გ. ლასხიშვილი პირდაპირ წერს, „სოც. ფედ.
მუშაკი და პარტიის დამფუძნებელი კრების მონაწილე"[5]. მა-

---

[2] თინათინ სახოკია, თედო სახოკიას მიმოწერა საზოგადო მოღ-
ვაწეებთან (1899—1905), „საისტორიო მოამბე", ტ. 33—34, 1976 წ., გვ. 82.

[3] გ. შარაძე, მიხაკო წერეთელი, გაზ. „ლიტერატურული საქართვე-
ლო", 1987, 25 სექტემბერი.

[4] თ. სახოკია, ჩემი საუკუნის ადამიანები (მოგონებათა ფურცლე-
ბი), თბ., 1969, გვ. 198.

[5] გ. ლასხიშვილი, მემუარები, გვ. 169.

მინაიშვილი 1905 წელს გარდაიცვალა. 1902 წლის დეკტომ-ბრიდან 1904 წლამდე პარიზში იმყოფებოდა ალექსანდრე დიასამიძე, შემდგომში ფედერალისტური პარტიის თვალსაჩინო წევრი, გაზ. „შრომის“ რედაქტორი. რაც შეეხება პალ. ყიფიანს, შემდგომში თვალსაჩინო სოც. ფედერალისტს, და რევაზ გაბაშვილს, ჯერ ფედერალისტთა თანამგრძნობს, შემდგომში კი ეროვნულ-დემოკრატს, ისინი 1904 წლისათვის ბრიუსელში ცხოვრობდნენ. მათი კონფერენციაში მონაწილეობა მხოლოდ სავარაუდოა. ასეა თუ ისე, ჟენევის კონფერენციის მონაწილეთა ფსევდონიმებისა და ვინაობის სრული დადგენა მომავლის საქმეა.

რუსეთში არაპროლეტარული პარტიების წარმოქმნის თავისებურებას მოახლოებული ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პერიოდში, ისევე როგორც XIX ს-ის ევროპაში, წარმოადგენდა სხვადასხვა, როგორც ლიბერალურ-ოპოზიციური, ისე რევოლუციური საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჯგუფების გაერთიანების ტენდენცია ბლოკისტური ტიპის პოლიტიკური პარტიის ჩარჩოებში. ამ მხრივ დამახასიათებელი იყო თუნდაც რუსეთის კონსტიტუციონალ-დემოკრატების პარტიის — კადეტების ხასიათი.

1905 წლის ივლისში ე. წ. „საერობო კონსტიტუციონალისტების“, ხოლო აგვისტოში „განთავისუფლების კავშირის“ IV ყრილობებმა მიიღეს გადაწყვეტილება — შეემუშავებინათ მომავალი პარტიის პროგრამული საფუძვლები, ორივე ორგანიზაციამ კი სცადა შეთანხმებოდა სხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ჯგუფებს: „კავშირთა კავშირს“, „გლეხთა კავშირს“ და სხვა, რათა შეემუშავებინათ ერთიანი პარტიული პლატფორმა. ამ პერიოდში ლიბერალურ ბურჟუაზიას აწყობდა ამგვარი „ფართო“ ხასიათის პარტიის შექმნა, რომელსაც არ ექნებოდა მტკიცე ორგანიზაცია და გამოკვეთილი ნათელი პროგრამა, რათა საერთო და ზოგადდემოკრატიული ფრაზეოლოგიით მიეზიდა ოპოზიციური ჯგუფები. ამის შედეგად, როგორც რუსი ისტორიკოსი ვ. შელოხაევი წერს, კადეტების პარტიას “... ნიაღვარივით მოაწყდა ბურჟუაზიული ინტელიგენცია (პროფესურა, ადვოკატები, ექიმები, მასწავლებელთა ნაწილი და ა. შ.), ჩინოვნიკობა, ქალაქების წვრილბურჟუაზი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ული ფენები (სავაჭრო აპარატის მომსახურეები, ხელოსნები) და შეძლებული გლეხობის უმნიშვნელო ნაწილი. ეს ჯგუფები სოციალური კიბის სხვადასხვა საფეხურებზე იდგნენ და ეკონომიკურ ურთიერთობათა სტრუქტურაში განსხვავებული მდგომარეობა ეკავათ". ვ. შელოხაევის აღნიშვნით, რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციისა და მის წინა პერიოდში, როცა რევოლუციის მიზანს თვითმპყრობელობის დამხობა და დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარება წარმოადგენდა, ამგვარ ვითარებაში „კადეტების პარტიას გარდუვალად უნდა მიეღო საკმაოდ მრავალფეროვანი ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული ელემენტების ბლოკის ფორმა, როგორც ეს მოხდა ევროპის რიგ ქვეყნებში XIX საუკუნის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციების პერიოდში"[6]. იგივე პროცესები ხდებოდა რევოლუციური პარტიების შექმნის დროსაც, განსაკუთრებით მათი ჩამოყალიბების პირველ ეტაპზე.

„ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული ელემენტების" და სხვა არაპროლეტარული ფენების ბლოკისტური ტიპის პოლიტიკური პარტიის შექმნის ანალოგიური პროცესი დამახასიათებელი იყო ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური სინამდვილისათვისაც. „საქართველოისტები" შეეცადნენ ქვეყნის ოპოზიციური და ეროვნულ-რევოლუციური მოძრაობის გამაერთიანებლის როლში გამოსულიყვნენ. ამ მიზნით დაარსდა „საქართველო"; ამ მიზნით მიიზიდეს სხვადასხვა ეროვნულ-არაპროლეტარული მიმდინარეობები თავიანთ გაზეთში, ამავე მიზნით შეეცადნენ შეექმნათ ფართო ეროვნული მიმართულების არაპროლეტარული, ბლოკისტური ტიპის პარტია.

კონფერენციის მიზნის შესახებ თავმჯდომარემ — ქართელმა (გ. დეკანოზიშვილი) განაცხადა: „იქნება შესაძლებელი იყოს საერთო მტრის წინააღმდეგ მებრძოლ რევოლუციონერთა შეერთება რომელსამე პუნქტში"[7]. ქართულ რე-

---

[6] В. В. Шелохаев, Оценка В. И. Лениным кадетской партии (1905—1907 гг.). Журн. «История СССР», 1970. № 2, стр. 143.

[7] ოქმები ქართველ რევოლუციონერთა პირველ კონფერენციისა, პარიზი, 1904, გვ. 11.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვოლუციურ მიმდინარეობათა წარმომადგენლებს, მიუხედავად მათ შორის არსებული წინააღმდეგობისა, შესაძლებლად ეჩვენებოდათ რიგ საკითხებში შეთანხმებულიყვნენ. ამ შეთანხმების საფუძველი უნდა ყოფილიყო ეროვნული ნიადაგი: საქართველოს პოლიტიკური განთავისუფლება, ბრძოლა რუსეთის თვითმპყრობელური მონარქიის წინააღმდეგ. საერთაშორისო ანარქისტული მოძრაობის ცნობილი ქართველი მოღვაწე ვ. ჩერქეზიშვილი კონფერენციის მონაწილეებს მიმართავდა: „როდესაც ამ კონფერენციაზე მომიწვიეს, ჩემს წინაშე აღიმართა შემდეგი კითხვა: კონფერენციაში მონაწილეობას მივიღებ როგორც წევრი ჩემის პარტიისა, თუ როგორც შვილი განსაზღვრული ერისა; როგორც ანარხისტი, თუ როგორც ქართველი?! მე დავინახე, რომ ჩემი ადგილი აქ იყო მხოლოდ ადგილი ქართველისა, ჩემ თანამემამულეთა შორის“[8].

მაგრამ თუ ურთიერთშეთანხმება შესაძლებლად მიაჩნდათ ავტონომისტ-„საქართველოისტებს“, ანარქისტებს, ესერებს და სხვებს, მას შეუძლებლად მიიჩნევდნენ კონფერენციაზე მოსული სოციალ-დემოკრატები. ამიტომ, როცა საკითხი დაისვა, აქ დამსწრე ფრაქციებს გამოეტანათ საერთო რეზოლუციები, რომლებსაც სავალდებულო ხასიათი არ ექნებოდათ, სოციალ-დემოკრატები წინაღუდგნენ ამ წინადადებას. „ჩვენ აქ მოვედით, როგორც თქვენი წინააღმდეგნი, — კატეგორიულად აცხადებდა დევიანი (ნ. ჟორდანია). — აქ საჭირო მხოლოდ აზრთა გამოთქმა, საერთო რეზოლუციებზედ კი ლაპარაკიც არ შეიძლება“[9].

ქართველი სოციალ-დემოკრატები თავიდანვე უკომპრომისო განწყობილებით გამოცხადდნენ კონფერენციაზე, რომლის მონაწილეებსაც „ნაციონალისტებს“ უწოდებდნენ და, რა თქმა უნდა, მათთან შეთანხმებაზე ფიქრიც კი წმინდა ორთოდოქსიის დარღვევას ნიშნავდა. გარდა ამისა, ქართველი სოციალ-დემოკრატია არ წარმოადგენდა დამოუკიდებელ

---

8 ოქმები, გვ. 15.

9 ოქმები, გვ. 29.

პარტიას, არამედ ერთ-ერთ ორგანიზაციად შედიოდა რსდმპ-ის შემადგენლობაში. ასეთ ვითარებაში, ცხადია, მათ დამოუკიდებლად არაფრის გადაწყვეტა არ შეეძლოთ. მით უფრო აზრს მოკლებული ჩანდა მათი ყენევაში ჩასვლა. პირველი ორი დღე მათ კონფერენციის მონაწილეებთან უსაზმნო დაკას მოახმარეს, მეორე დღეს კი დევიანმა (ნ. ჟორდანია) საშოლოოდ განაცხადა: „ჩვენ არ შეგვიძლია საერთო რეზოლუციები გამოვიტანოთ „საქართველოელებთან“ და ანარქისტებთან ერთად. თქვენ კი საერთო რეზოლუციები გნებავსთ. ამიტომ ჩვენ მივდივართ“. ამის შემდეგ ხუთმა სოციალ-დემოკრატმა: დევიანმა, ეფრემიძემ, ფალიანმა, მორბელაძემ და ჯ-მა დასტოვეს კონფერენციის სხდომათა დარბაზი.

ნ. ჟორდანიასა და მისი თანამოაზრეების გადაჭარბებულ შიშს კონფერენციის მონაწილე ფრაქციათა მიერ მიღებული რეზოლუციების შესახებ თითქოს იზიარებს პროფ. ერ. ახობაძე, რომელიც წერს: კონფერენციის ორგანიზატორებმაო, „თავიდანვე წამოაყენეს მოთხოვნა: ყველა ძირითად საკითხზე, რომლებიც კონფერენციაზე იქნებოდა განხილული, მიღებული ყოფილიყო საერთო რეზოლუციები, რომელსაც ერთვვარი კანონის ხასიათი ექნებოდა კონფერენციაზე დამსწრე პოლიტიკური ფრაქციებისა და ჯგუფებისათვის“[10].

ერთადერთი წყარო, რომელიც მოგვითხრობს ყენევის კონფერენციის შესახებ, ესაა აღნიშნული „ოქმები“. აქ კი არსად არაა ლაპარაკი „საქართველოს“ ჯგუფის „მოთხოვნებზე“, რომლებიც თითქოს მათ წაუყენეს დანარჩენ ფრაქციებს. ნათქვამია მხოლოდ, რომ აღიძრა კითხვა, კენჭისყრით რეზოლუციების გამოტანის შესახებ და იგი აღძრა ანარქისტმა მანველმა (ვ. ჩერქეზიშვილი), რომელიც ამბობდა: „ყოველი კონგრესი დაადგენს ხოლმე რეზოლუციას, დეზიდერატს, რომელიც სავალდებულო სულაც არ არის ყველასათვის“. უფრო ნათლად პოზიცია გამოხატა ორგეიანმა (კ. გოგელიამ): „ჩვენი რეზოლუცია იქნება მხოლოდ სხვა-და-სხვა ჯგუფების აზრთა რეზიუმე, რომელსაც ეთანხმება თუ ეწინააღმდეგება უმ-

---

10 ერ. ახობაძე, ეროვნული საკითხის ისტორიიდან საქართველოში (1900—1917 წწ.), თბ., გვ. 124.

რავლესობა თუ უმცირესობა, და არც ერთისა და არც მეორეს სათვის ეს სავალდებულო არ არის"[11].

მას შემდეგ, რაც რეზოლუციების საკითხი დადებითად გადაწყდა, საბუელმა (არჩ. ჯორჯაძე) კონფერენციას შესთავაზა განსახილველ საკითხთა სია: 1. სეპარატიზმი; 2. ავტონომია და ფედერაცია; 3. გლეხთა კითხვა; 4. მუშათა კითხვა; 5. საერეოლუციო ტაქტიკა; 6. ჩვენი განწყობილება სხვა პარტიებთან; 7. სოციალ-დემოკრატიული პარტია; 8. ორგანო „საქართველო".

პირველ საკითხზე წაიკითხეს ვინმე „ტეზრელის" მიერ კონფერენციაზე გამოგზავნილი მოხსენება. ტეზრელი საქართველოს რუსეთისაგან გამოყოფისა და დამოუკიდებლობის მომხრე იყო. მისი აზრით, XIX ს-ის განსაკუთრებით პირველ ნახევარში ქართველი ხალხი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის იბრძოდა. საუკუნის მეორე ნახევარში, როცა რუსეთმა მტკიცედ მოიკიდა ფეხი საქართველოში, დამოუკიდებლობის იდეა როგორღაც შეირყა. ტეზრელის აზრით, ამჟამად მდგომარეობა გაურკვევლად გამოიყურებოდა. „საქართველომ" სეპარატიზმი უარყო. სეპარატისტებმა „საქართველოს" წინააღმდეგ გაილაშქრეს. სოციალ-დემოკრატები კი ორივე მიმართულების წინააღმდეგნი იყვნენ. ტეზრელი სეპარატიზმის მომხრეობას არ ფარავდა, სწამდა რუსეთის თვითმპყრობელობის დამხობისა, მაგრამ ეჭვი ეპარებოდა, რომ რუსეთის ახალი ხელისუფლება საქართველოს თავისუფლებას მისცემდა.

ტეზრელი პოლიტიკური რეალობის გრძნობას როდი იყო მოკლებული, იგი დამოუკიდებლობის მომხრეობას კი იჩენდა, მაგრამ დამოუკიდებლობისათვის დაუყოვნებლივ ბრძოლისაკენ არავის არ მოუწოდებდა. უფრო რეალურად ესახებოდა მას გარკვეული საერთაშორისო გართულების მომენტის გამოყენების შესაძლებლობა, „გარეშე მოულოდნელი შემთხვევა". ამოცანა სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ ქართველი ხალხი, დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ძალები მომზადებული შეხვედროდნენ ამ ისტორიულ მომენტს

---

[11] ოქმები, გვ. 23.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მარჯვედ გამოეყენებინათ შემთხვევა. მოხსენების დასასრულს, ტეზრელი პრაქტიკული წინადადებებით მიმართავდა და მოუწოდებდა კონფერენციას, შეექმნათ სარევოლუციო კომიტეტი, რომელიც მოამზადებდა და უხელმძღვანელებდა საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას. კომიტეტს უნდა შეედგინა კავკასია-საქართველოს სტრატეგიული რუკა, ბრძოლის გეგმა, დაემყარებინა კავშირი რუსეთის იმპერიის სხვა ერებთან, განსაკუთრებით კი კავკასიის ხალხებთან.

სეპარატიზმის შესახებ მოსაზრება რამდენიმე ორატორმა გამოთქვა. საბუელი (არწ. ჯორჯაძე) არ უარყოფდა დამოუკიდებლობის იდეას, მაგრამ უარყოფდა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ლოზუნგს. ეს იყო პრინციპული წინააღმდეგობა. ჯერ კიდევ „საქართველო“ უპასუხებდა ვინმე „სეპარატისტს“, რუსეთისაგან პოლიტიკური განკერძოების მომხრეს, რომ „ჩვენ უფრო უკიდურესი თავისუფლების მომხრენი ვართ, მაგრამ ჯერჯერობით იმას ვითხოვთ, რაც უფრო ადვილი მისაღწევი არისო“[12]. დამოუკიდებლობას საბუელი უპირისპირებდა ავტონომიისა და ფედერაციის პრინციპს, რომელიც „საქართველომ“ იქადაგა.

კონფერენციაზე აღმოჩნდა სეპარატიზმის ერთი მერყევი მომხრე, ვინმე რაშაძე. იგი ითვალისწინებდა რა, რომ ავტონომია-ფედერაციის მომხრეებს რუსეთის სხვა პარტიებთან შეჯახება არ ასცდებოდათ, რომლებიც ამ პრინციპის წინააღმდეგნი იყვნენ, კონფერენციის მონაწილეებს მიმართავდა, „რაკი ბრძოლა აუცილებელია, ისევ სჯობია ბრძოლით სეპარატიზმი მოვიპოვოთ“. მაგრამ შემდგომში, როცა გაირკვა, რომ ორატორთა უმრავლესობამ არ გაიზიარა ტეზრელის მოწოდება, რაშაძემ განაცხადა, მე სეპარატიზმის მომხრე არა ვარო[13].

ავტონომია-ფედერაციის პრინციპის მომხრედ გამოვიდა და დაასაბუთა თავის მოხსენებაში „ეროვნული კითხვა“, ანარქისტი ვერმიცანიძე (ალექსანდრე გაბუნია). მომხსენებლის

---

12 ოქმები, გვ. 19.

13 ოქმები, გვ. 177.

ღასაბუთებით, ავტონომია უზრუნველყოფდა ერის ეროვნულ-რულ განვითარებას, ხოლო ფედერაცია განამტკიცებდა მასში „საერთაშორისო სოლიდარობის გრძნობას". ეს ყოველივე შესაძლებელი გახდებოდა მთელს რუსეთში დემოკრატიული სისტემის დამყარების შედეგად. დამოუკიდებელი საქართველო შესაძლებელიც რომ ყოფილიყო, რაც საეჭვოდ მიაჩნდა ვერმიცანიძეს, არასასურველი იყო, რადგან ამგვარ სახელმწიფოებს ჰქონდათ აგრესიის, გაფართოების თანდაყოლილი ტენდენცია. ეს გამოიწვევდა ომიანობას მეზობლებთან. საქართველო ან ჩანთქმული აღმოჩნდებოდა, ან თვით ჩანთქავდა რომელიმე მეზობელს. საერთოდ, ალ. გაბუნია მხარს უჭერდა არჩ. ჯორჯაძის თვალსაზრისს.

ჟენევის კონფერენციამ უარყო სეპარატიზმი და შემდეგი რეზოლუცია გამოიტანა:

„ქართველ რევოლუციონერთა კონფერენცია უარჰყოფს სეპარატიზმს, რომელიც კიდევ არ ჩაითვლება ერთა სოციალურ განვითარებისა და ერთა შორის სოლიდარობის განმტკიცების თავდებად და აცხადებდა, რომ განთავისუფლებულ საქართველოსათვის საუკეთესო და უსაჭიროესი პოლიტიკური წესწყობილება უნდა იყოს ავტონომიური საქართველო, სხვა ერებთან ფედერატიულად შეკავშირებული"[14].

რეზოლუციას მხარი დაუჭირა კონფერენციის 19 მონაწილემ, ერთმა მონაწილეობა არ მიიღო კენჭისყრაში.

კონფერენციაზე თავისებური წინადადება წამოაყენა ვ. ჩერქეზიშვილმა (მანაველი): რუსეთს ჩვენ შევუერთდით მორიგებით. შეერთების პირობა ითვალისწინებდა რუსეთის ჩაურევლობას საქართველოს საშინაო საქმეებში, რაც იმას ნიშნავდა, რომ შენარჩუნებული უნდა ყოფილიყო თვითმმართველობა. ასე რომ, ის, რისთვისაც აპირებდნენ ბრძოლას კონფერენციის მონაწილენი, საქართველოს კანონიერ უფლებას შეადგენდა. ამიტომ, ქართველებს შეეძლოთ და კიდეეაც პირდაპირ უნდა მოეთხოვათ რუსეთის მთავრობისათვის ავტონომია, რომელსაც 1783 წლის ტრაქტატი ითვალისწინებდა ეს ტრაქტატი თვითნებურად ფეხქვეშ გათელა რუსეთის ბი-

---

14 ოქმები, გვ. 183.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დემოკრატიამ. „საჭირო არ არის რუსეთს ჩამოვეცალნეთ, — ამბობდა ვ. ჩერქეზიშვილი, — მაგრამ ნება გვაქვს არსებულ უფლებათა ძალითაც კი მოვთხოვოთ მას ავტონომია“. ე. წ. უფლებრივი კანონიერების კონცეფციის დამცველ ანარქისტს არჩ. ჯორჯაძე მართებულად მიუთითებდა: „თუ ჩვენ ისტორიული უფლებები გვაქვს, რასაკვირველია, ვისარგებლოთ ამითი. მაგრამ არც დიდი იმედები უნდა დავამყაროთ მათზედ“[15].

კონფერენციის დღის წესრიგში, როგორც აღვნიშნეთ, ცალკე განსახილველ საკითხად იყო „ავტონომია და ფედერაცია“, მაგრამ მონაწილენი ზემოაღნიშნულ ერთ რეზოლუციას დასჯერდნენ, „სეპარატიზმის“ შესახებ.

აგრარულ საკითხში კონფერენციის მონაწილეთა უმრავლესობამ მიწის სოციალიზაციის ესერული პროგრამა გაიზიარა. ამ პროგრამის მიხედვით მიწები უნდა გადასცემოდა საზოგადოებრივი სარგებლობისათვის დემოკრატიულ პრინციპზე ჩამოყალიბებულ ტერიტორიულ კავშირებს და თემებს. „სოციალიზაციის“ მოთხოვნის არსს მიწაზე კერძო საკუთრების გაუქმება წარმოადგენდა. მართალია, რუს ესერებს თავიანთი პროგრამა საბოლოო სახით ენენვის კონფერენციის მიმდინარეობის დროს გამოქვეყნებული და დამტკიცებულიც არ ჰქონდათ, მაგრამ აგრარული პლატფორმის საფუძვლების დამუშავება მიმდინარეობდა რუსი ესერების საზღვარგარეთულ ორგანო „რევოლუციონნაია როსსიაში“.

„მიწის სოციალიზაციის“ იდეას მოწინააღმდეგენიც გამოუჩნდნენ კონფერენციაზე. ვინმე „მთიელი“ შეუძლებლად მიიჩნევდა, შთაეგონებინათ გლეხისათვის საზოგადოებრივი „საერთო მფლობელობის“ საჭიროება, მაშინ როდესაც ისინი ფაქტიურად მისი წინააღმდეგნი იყვნენ. ის, რომ გლეხობა ძალიერად აჯანყებულა თავადაზნაურობისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ, არ ნიშნავდა, რომ საერთო მფლობელობისაკენ მიისწრაფოდა, პირიქით, გლეხობას უფრო ძლიერად კერძო, მესაკუთრული ტენდენციები ახასიათებდა.

---

15 ოქმები, გვ. 180.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთიელის წინააღმდეგ გამოვიდნენ თერგელი (მისაკო ჭურეთელი), რაშაძე, ცანგალა — ისინი, პირიქით, გლეხობაში საერთო მფლობელობის ტენდენციის ქონას აღნიშნავდნენ და აშველიებდნენ გურიის გლეხთა მოძრაობის მაგალითს, სანამ იქ სოციალ-დემოკრატები დაიწყებდნენ პროპაგანდას.

არჩ. ჯორჯაძის აზრით, საკითხი ასე იდგა: როგორ უნდა მოესპოთ სოფლად არსებული ყოველგვარი უსამართლობა? საქართველოში არსებობდა გლეხთა რამდენიმე კატეგორია, ძირითადად კი მესაკუთრეთა და საკუთრება მოკლებულთა. უკანასკნელში შედიოდნენ: დროებით ვალდებულნი, ხიზნები, წმინდა არენდატორები, სახელმწიფო გლეხები... ყველა მათგანი თავისებურ მიდგომას საჭიროებდა. სადაც საზოგადო მფლობელობა იყო, მაგ. ქიზიყში, იქ ამ სისტემის შენარჩუნების ქადაგება იყო საჭირო, დროებით ვალდებულებებში, ხიზნებში და არენდატორებში სოციალისტებს მიწის მათს ხელშივე მესაკუთრეობის პროპაგანდა უნდა გაეწიათ, ხოლო, რაც შეხება თავადთა, საუფლისწულო და საეკლესიო მიწებს, მათი ექსპროპრიაცია უნდა მომხდარიყო. ამის შემდეგ გაუგებარია, რომ ჯორჯაძე იმგვარი ფორმულის წამოყენებას მოითხოვს, რომელიც „ჩვენი სოფლის, მის მშრომელ ნაწილის ყველა მოთხოვნილებათა და საჭიროებათა“ გამოხატავს. ეს ფორმულაა მიწის სოციალიზაცია, მიწის გადაცემა მათთვის საზოგადო, სათემო საკუთრებად. წინააღმდეგობაა: თუ გლეხთა სხვადასხვა კატეგორიები სხვადასხვაგვარ მიდგომას მოითხოვენ და ზოგან კერძო საკუთრების შენარჩუნებაა საჭირო, ზოგან საზოგადო მფლობელობის, მაშ ყველა მათ მაინც ერთი — მიწის სოციალიზაცია როგორღა აკმაყოფილებს? მიუხედავად აზრობრივი წინააღმდეგობისა, არჩ. ჯორჯაძე მიწის სოციალიზაციის მომხრედ გამოვიდა.

აგრარულ საკითხზე მიღებული რეზოლუცია დაასკვნიდა, რომ საქართველოში ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო ზოგიერთ პროვინციაში ფეოდალური წყობილების ნაშთები (ქართლი), თუმცა რიგ ადგილებში, მაგ. გურიაში, დამკვიდრებული იყო „ბურჟუაზიული პირობებიც“. ეს ყოველივე ამწვავებდა ეკონომიკურ წინააღმდეგობას, კლასობრივ ბრძოლას, რომლის მოსპობისათვისაც საჭირო იყო კერძო საკუთრების გაუქმე-

ზა მიწაზე. „მიწის სოციალიზაცია (გასაზოგადოებრივება) და მასთან ერთად გლეხთა სინდიკატების, საწარმოო კოოპერაციათა და სხვა კავშირთა შემოღება, — იუწყებოდა რეზოლუცია, — არის ერთი საუკეთესო საშუალებათაგანი სრულ ეკონომიურ თანასწორობისა და სამართლიანობის განხორციელებისათვის"[16].

აგრარული საკითხი კონფერენციამ 5 აპრილს, ნასადილევს განიხილა. ესწრებოდა 21 კაცი. რეზოლუციას 15 კაცმა დაუჭირა მხარი, 4-მა მონაწილეობა არ მიიღო. დანარჩენი ორი კაცის პოზიცია „ოქმებიდან" არ ჩანს. წინააღმდეგნი ჩავიდნენ?

მუშათა საკითხის განხილვისას კონფერენციის მონაწილეებმა ეჭვის ქვეშ დააყენეს და გააკრიტიკეს სოციალ-დემოკრატიული შეხედულება, თითქოს ავტონომიისა და ფედერაციის პრინციპი ხელს უშლიდა პროლეტარიატის ერთიანობას, მათს ინტერნაციონალურ სულისკვეთებას, გათიშვით ემუქრებოდა მათს რიგებს ეროვნული ნიშნით.

ჯერ კიდევ 3 აპრილს სხდომაზე ვრცელი მოხსენება — „სინდიკალიზმი" (ახალი მიმართულება მუშათა მოძრაობაში)" წაიკითხა კ. გოგელიამ (ორგეიანი). კომანდო გოგელიამ, როგორც რუსეთის ანარქისტული მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერთაგანმა, მუშათა მოძრაობის ისტორიიდან ვრცელ ექსკურსებზე დაყრდნობით, წარმოადგინა ამ მოძრაობის ანარქისტული ინტერპრეტაცია და უარყო მარქსისტული თვალსაზრისი. ჯერ კიდევ პირველ ინტერნაციონალში, კ. გოგელიას დასაბუთებით, ორი მიმართულება ჩამოყალიბდა. ერთი იყო მარქსისტული, რომლის წარმომადგენლები მოქმედებდნენ 1840-იანი წლების მოღვაწის ლედრიუ-როლენის ფორმულის თანახმად: „პოლიტიკის საშუალებით სოციალური ცვლილებების მოხდენა". მეორე მიმართულება გახლდათ ბაკუნისტური. პირველნი — ცენტრალიზმის მომხრენი იყვნენ, მეორენი კი — ფედერალიზმისა. ეს ორი მიმართულება არსებობდა დღესაც.

---

16 ოქმები, გვ. 202.

კონფერენციამ მუშათა მოძრაობის ანარქისტულ-ფედერალისტური კონცეფცია გაიზიარა. რეზოლუცია აღნარეშდა, რომ სოციალური რევოლუციური მოძრაობის მიზანს მუშათა კლასის განთავისუფლება წარმოადგენდა. ეს განთავისუფლება თვით მუშათა ხელით უნდა მომხდარიყო, რომელნიც ფედერატიულ გაერთიანებებში, ავტონომიურ-რევოლუციურ ორგანიზაციებად უნდა შეკავშირებულიყვნენ. სხვა უფრო კონკრეტულს ეს რეზოლუცია არაფერს იძლეოდა, ზოგადად მიუთითებდა თვითმპყრობელობის დასამხობად კავკასიისა და სხვა ერების ერთობლივი ბრძოლის საჭიროებას.

რეზოლუციას ხმა მისცა 17 მონაწილემ, 1-მა უარი სთქვა ხმაზე.

მეოთხე საკითხად განიხილეს სარევოლუციო ტაქტიკის პრობლემები. კონფერენციამ მიიჩნია, რომ როგორც ეროვნული, ისე სოციალური თავისუფლების მოპოვება შესაძლებელი იყო მხოლოდ რევოლუციური ბრძოლის გზით. მონაწილეებმა უარყვეს ინდივიდუალური ტერორის ტაქტიკა, როგორც ბრძოლის მეთოდი. სამაგიეროდ, მხარდაჭერა ჰპოვა ე. წ. „ჯგუფობრივი ტერორის“ ტაქტიკამ. „მე მომხრე ვარ ჯგუფებრივ ტერორისა, — ამბობდა ალ. გაბუნია (ვერმიცანიძე), — მომხრე ვარ ხალხის ამწიოკებელ ბუდეების გასანადგურებლად ყოველგვარი საშუალება ვიხმაროთ; მე მომხრე ვარ ვიაროთ ქუჩებში ისე, როგორც მაკედონელები დადიოდნენ სალონიკის ქუჩებში ყუმბარებით“[17].

არჩ. ჯორჯაძე კონფერენციის მონაწილეებს მიმართავდა: „... თუ დღეს შებოჭილი ჩვენი ხალხი მოინდომებს იარაღის ხელში აღებას და განთავისუფლებას, ჩვენი მოვალეობაა მაშინ ვუთხრათ მას, რომ ეგ მისი წმინდა მოვალეობაა“. რამაძე არ დააკმაყოფილა „საქართველოს“ მთავარი თეორეტიკოსის დებულებამ და მართებულად შენიშნა: „არა კმარა აჯანყებულ ხალხს უთხრა ხელში იარაღი აიღოს“. მისი აზრით, საჭირო იყო მიეღოთ მხურვალე მონაწილეობა დემონსტრაციებში, ჩამოეყალიბებინათ რევოლუციური ორგანიზაციები...

---

17 ოქმები, გვ. 209.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩ. ჯორჯაძემ და მიხაკო წერეთელმა (თერგელი) კონ-ფერენციას „სარევოლუციო ტაქტიკის“ შესახებ შემდეგი რე-ზოლუცია წარუდგინეს. ქართველ ხალხს მხოლოდ რევოლუ-ციური ბრძოლით შეეძლო მიეღწია სოციალური სამართლი-ანობისა და ეკონომიური თანასწორობისათვის. კონფერენ-ცია ბრძოლას უცხადებდა არამარტო არსებულ თვითმპყრო-ბელობას, არამედ „მომავალ ცენტრალისტურ რესპუბლიკასაც კი“, რომელიც შეიძლებოდა რუსეთში დაარსებულიყო და „გა-დაჭრობებოდა წინ ქართველი ხალხის სოციალურ, ეკონო-მიურ და ეროვნულ განთავისუფლებას“. რეზოლუცია აცხა-დებდა, რომ „ამ ბრძოლის დაგვირგვინებისათვის საჭირო-ა ილეგალურ ლიტერატურის გავრცელებისა და სიტყვიერ პროპაგანდას გარდა, ორგანიზაცია ხალხისა პოლიციასა და ჯართან შეტაკებისათვის გაფიცვებისა და დემონსტრაციების დროს, ორგანიზაცია სარევოლუციო რაზმთა ბიუროკრატი-ულ, სამხედრო და სხვა დაწესებულებათა დასამხობ-აღმოსა-ფხვრელად“.

რეზოლუცია მიიღეს 16 ხმით; ერთმა მონაწილეობა არ მიიღო.

კონფერენციამ სპეციალური მსჯელობა გამართა და რე-ზოლუცია მიიღო „რუსთა და რუსეთში მყოფ სხვა ერთა პარ-ტიებთან განწყობილების“ შესახებ. მან მხარი დაუჭირა ყვე-ლა ოპოზიციურ და რევოლუციურ პარტიებს, რომლებიც არ-სებული წყობილების დასამხობად და ამასთან ერთად „რუ-სის ხალხისა და აგრეთვე რუსეთის მთავრობის მიერ ყველა დაჩაგრულ ერთა პოლიტიკურ განთავისუფლებისათვის“ იბრ-ძოდნენ.

რეზოლუციას 13 მომხრე აღმოაჩნდა, 3 წინააღმდეგი, 1-მა კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

კონფერენციას საჭიროდ არ მიუჩნევია რამდენიმე ძირი-თადი პოლიტიკური პარტიის მიმართ კონკრეტულად ჩამო-ეყალიბებინა თავისი დამოკიდებულების სასიათი. გამონაკ-ლისს რსდმპ წარმოადგენდა, რომელთან ურთიერთობის პრობლემა ცალკე საკითხად განიხილეს. სოციალ-დემოკრა-ტიისა და მარქსიზმის შესახებ ვრცელი მოხსენებებით გამო-ვიდნენ ანარქისტი ორატორები: ა. გაბუნია (ვერმიცანიძე),

ვ. ჩერქეზიშვილი (მანაველი), კ. გოგელია (ორგეიანი), მ. წერეთელი (თერგელი). რეზოლუციის მიხედვით, ხალხებისა და ერების განვითარება მიემართებოდა ფედერალიზმისაკენ და არა ცენტრალიზმისაკენ, რისთვისაც სოციალ-დემოკრატები იბრძოდნენ. სოციალ-დემოკრატები არც გლეხობისა და მშრომელთა ფართო ფენების ინტერესებს იცავდნენ. რაც შეეხებოდა ქართველ სოციალ-დემოკრატიას, **რეზოლუციის მიხედვით**, იგი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა **პარტიის** ცენტრალურ კომიტეტს ემორჩილებოდა. მან ქართველი და რუსი პროლეტარიატის თავისუფალ სოლიდარობას ნაძალადევი ერთიანობა არჩია. კონკრეტულად, არც ამ რეზოლუციაში ჩანდა, რაგვარი დამოკიდებულება უნდა ჰქონოდათ „საქართველოისტებს“ სოციალ-დემოკრატთა მიმართ. რეზოლუცია უფრო შემფასებლურ ხასიათს ატარებდა და ნაკლებად გამოხატავდა სტრატეგიულ თუ ტაქტიკურ პოზიციას ვინმესა თუ რაიმეს მიმართ.

რეზოლუცია 15 ხმით მიიღეს, 1 არ მონაწილეობდა კენჭისყრაში.

ბოლოს, აპრილის 7 რიცხვში, კონფერენციის უკანასკნელ დღეს, განიხილეს ორგანო „საქართველოს“ საკითხი. სრული თანხმობისა და ურთიერთგაგების ვითარებაში ქართველ რეგოლუციონერთა I კონფერენციამ უკანასკნელი რეზოლუცია შეიმუშავა. „კონფერენცია აცხადებს სურვილს, — იუწყებოდა რეზოლუცია, — რომ „საქართველო“ აღიარებულ იქმნას კონფერენციის აზრთა გამომხატველ ორგანოდ და თანახმად რედაქციის წინადადებისა დაერქვას „ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის ორგანო“[18]. უკანასკნელ რეზოლუციას მხარი დაუჭირა 15 მონაწილემ, ერთმა მონაწილეობა არ მიიღო.

ცოტა უცნაურიცაა. „ოქმების“ მკითხველის თვალწინ სრულიად მოულოდნელად ამოტივტივდება სიტვა „პარტია“, მკითხველი თითქმის მოუმზადებლად აღმოჩნდება „ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის“ შექმნის ფაქტის წინაშე. და ეს მაშინ, როცა უკანასკნელ რეზო-

---

[18] ოქმები, გვ. 255.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლუციამდე, „ოქმების“ წინა ნაწილში არსად არაა საუბარი პარტიის შესახებ. კონფერენციის მონაწილეენიც და, აქედან გამომდინარე, „ოქმების“ მთავარი რედაქტორ-გამომცემელი ვ. დეკანოზიშვილიც ირწმუნებოდა, რომ კონფერენციის მიზანი იყო ეროვნულ საკითხზე ქართულ რევოლუციურ ფრაქციათა შეხედულებებისა და მათ შორის საერთო თვალსაზრისს შემუშავების შესაძლებლობის გარკვევა. კონფერენციის ბოლო დღის, 7 აპრილის სხდომაზე და „ოქმების“ უკანასკნელ ფურცლებზე კი ირკვევა, რომ ჟენევის თავყრილობაზე ჩასულებს სხვა მიზანიც ჰქონდათ — პარტიის შექმნა. სწორედ ეს იყო მთავარი მიზანი, რომელიც „ოქმებიდან“ არ ჩანს, მაგრამ რომლისთვისაც ჯერ კიდევ 1901 წლის გაზაფხულიდან იღწვოდნენ „ცნობის ფურცლელები“ და მათი მთავარი კომიტეტი, ხოლო კომიტეტის დავალებითა და რწმუნებით — „საქართველოს“ რედაქცია.

ეს ფაქტია. ჟენევის „ქართველ რევოლუციონერთა I კონფერენციის მთავარი მიზანი იყო პოლიტიკური პარტიის შექმნა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს არ უნდა ყოფილიყო ვინრო, მკაცრად შემოსაზღვრული ერთპარტიული პოლიტიკური ორგანიზაცია. მიზანი იყო შეექმნათ ფართო, პირველ ეტაპზე — ეროვნული ხასიათის პარტია, რომელიც ერთი ლოზუნგის — ეროვნული ავტონომიის დროშის ქვეშ გაერთიანებდა საქართველოს სხვადასხვა რევოლუციურ და ეროვნულ მიმდინარეობებს, მოახდენდა გარკვეული ეროვნული პოლიტიკური ძალების კონსოლიდაციას ბლოკისტური ტიპის პარტიის სახით.

ჟენევის კონფერენციის მთავარი შედეგი იყო „ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის“ შექმნა. როგორც განზრახული ჰქონდათ, ერთი პარტიის დროშის ქვეშ გაერთიანდნენ კონფერენციის მონაწილე ფრაქციები: „საქართველოელებმა“, ანარქისტებმა, ესერებმა და ლიბერალური მიმართულების ეროვნულ-დემოკრატებმა გაერთიანების შედეგად შექმნეს არაპროლეტარულ-რევოლუციური, ეროვნულ-რევოლუციური და ეროვნულ-ლიბერალური მიმდინარეობების ბლოკი — სოციალისტ-ფედერალისტთა პოლიტიკური პარტია

ახლა, რაც შეეხება ჟენევის კონფერენციის კიდევ ერთი მონაწილის ვინაობას და, ასევე, მონაწილე ფრაქციების შესახებ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჟენევის ქართველ რევოლუციონერთა თავყრილობის მეორე დღეს სოციალ-დემოკრატებმა კონფერენცია დასტოვეს. ასეა აღიარებული ეს ფაქტი დღევანდელ ჩვენს ისტორიოგრაფიაში. „ოქმების“ ანალიზი საფუძველს გვაძლევს გარკვეული კორექტივი შევიტანოთ ამ საკითხში.

საქმე ის გახლავთ, რომ როდესაც ხუთი სოციალ-დემოკრატი — დევიანი (ნ. ჟორდანია), მორბელაძე, ეფრემიძე, ფალიანი და X, სპეციალური განცხადების შემდეგ 2 აპრილს სტოვებს კონფერენციას, ერთ-ერთი მონაწილე „ბ. z“ სთხოვს კრებას ნება მისცენ დარჩეს კრებაზე“[19]. იბადება კითხვა: ხომ არ იყო „ბატონი z-ი“ ჟენევის კონფერენციაზე გამოცხადებული მეექვსე სოციალ-დემოკრატი? თუ არა, მაშ რაღატომ ითხოვს იგი კრებაზე დარჩენის ნებას სწორედ სოციალ-დემოკრატების წასვლის შემდეგ? ამგვარ ეჭვს აძლიერებს ერთი საინტერესო გარემოება: კონფერენციის დღის წესრიგში ათვალისწინებულ ყველა საკითხზე გამოტანილი რეზოლუციების კენჭისყრაში მუდმივად არ მონაწილეობს რომელიღაც ინკოგნიტო-მონაწილე. კონფერენციის სხვა მონაწილე ფრაქციების წარმომადგენელთა შორის, კერძოდ, ფედერალისტ-„საქართველოელებში“, ანარქისტებსა და ესერებში, ნაკლებად საგულვებელია ვეძებოთ პიროვნება, რომელიც არ მიიღებდა მონაწილეობას კენჭისყრაში იმ რეზოლუციებისა, რომლებსაც ერთსულოვნად მხარს უჭერდნენ ამ ფრაქციათა წარმომადგენლები. კიდევ ერთხელ გავიხსენოთ კონფერენციის დღის წესრიგით განხილული საკითხები და ის, თუ რამდენი მონაწილე აძლევდა ხმას მიღებულ რეზოლუციებს, უარყოფდა მათ ან თავს იკავებდა მათი შეფასებისაგან:

რეზოლუცია სეპარატიზმის უარყოფისა და ავტონომიათ-ფედერაციის შესახებ: მხარი დაუჭირა 17; მონაწილეობა არ მიიღო 1.

---

19 ოქმები, გვ. 37.

ეროვნული ბიბლიოთეკა

17; 1 — უარი სთქვა ხმაზე.

რეზოლუცია სარევოლუციო ტაქტიკის შესახებ: მიიღეს 16 ხმით, მონაწილეობა არ მიიღო 1-მა.

რეზოლუცია სხვა პარტიებთან დამოკიდებულების შესახებ: 13 — მომხრე; 3 — წინააღმდეგი; 1 — მონაწილეობას არ ღებულობს.

რეზოლუცია სოციალ-დემოკრატიის შესახებ: 15 მომხრე; 1-მა მონაწილეობა არ მიიღო.

რეზოლუცია ორგანო „საქართველოს" შესახებ: 15 — მომხრეა; 1-მა მონაწილეობა არ მიიღო.

რა თქმა უნდა, იგივე ინკოგნიტო-მონაწილე უნდა ვიგულვოთ იმ ოთხეულს შორისაც, რომელმაც არ მიიღო მონაწილეობა რეზოლუციის კენჭისყრაში მიწის სოციალიზაციის შესახებ.

ინკოგნიტო-დამსწრე კონფერენციისა, რომელიც არც ერთი რეზოლუციის კენჭისყრაში არ იღებდა მონაწილეობას, ცხადია, კონფერენციას ესწრებოდა როგორც მეთვალყურე და რა როგორც მისი ჩვეულებრივი მონაწილე. ასეთ მეთვალყურეში, უპირველეს ყოვლისა, ლოგიკური იქნება ვიგულისხმოთ ვინმე სოციალ-დემოკრატი მოღვაწე და არა რომელიმე სხვა — პოლიტიკური ფრაქციის წარმომადგენელი. ეს სოციალ-დემოკრატი კი „ოქმების" მიხედვით უნდა იყოს სწორედ „ბ. z-ი", რომელიც კრებაზე დარჩენის ნებას ითხოვს ხუთი სოციალ-დემოკრატის წასვლის შემდეგ, ხოლო ნებართვის მიღების შემდეგ რჩება კონფერენციაზე როგორც მეთვალყურე.

ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო „ბ. z-ი"? მასში უნდა ვეძებოთ ისეთი სოციალ-დემოკრატიული მიმართულებისა თუ ჯგუფის წარმომადგენელი, რომელიც გარკვეულ საკითხში არ ეთანხმებოდა ორთოდოქსალური მარქსიზმის არც ერთ ფრთას საქართველოში — არც ბოლშევიკებს, არც მენშევიკებს, წარმომადგენელი იმგვარი ჯგუფისა, რომელსაც შესაძლებლად მიაჩნდა გარკვეული შეთანხმება ან სიახლოვე „ნაციონალისტებთან". კარგადაა ცნობილი, რომ პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პერიოდში საქართველოს სო-

ციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში მართლაც არსებობდა ეს ავტონომისტ-მენშევიკთა ჯგუფი. ამ ჯგუფში, რომელშაც განსხვავებით მთელი ქართული სოციალ-დემოკრატიისაგან მხარი დაუჭირა საქართველოს ეროვნული ავტონომიის მოთხოვნას, შედიოდნენ: ვლ. დარჩიაშვილი, ივ. რამიშვილი, ივ. გომართელი, ნ. ეგვიტიშვილი და სხვ. ავტონომისტი სოციალ-დემოკრატებისაგან 1904 წელს საზღვარგარეთ იმყოფებოდა მათი ლიდერი ვლ. დარჩიაშვილი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ სწორედ ეს მოღვაწე უნდა ყოფილიყო ჟენევის კონფერენციაზე გამოცხადებული „ბ. z-“ — ბატონი z.

ცნობილი ქართველი პოლიტიკური მოღვაწე, ავტონომისტური მიმართულების მთავარი წარმომადგენელი საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში ვლადიმერ (ლადო) ივანეს ძე დარჩიაშვილი 1872 წელს სიღნაღის მაზრის სოფ. ანაგაში დაიბადა. თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლის პერიოდში, 1892 წელს იგი შევიდა ქართველ სოციალ-დემოკრატთა პირველ ჯგუფში და „მესამე დასის“ ერთ-ერთი აქტიური წევრი გახდა. „მესამე დასელთა“ ცნობილ საპროგრამო გამოსვლაზე ვლ. დარჩიაშვილმა მგზნებარე სიტყვა წარმოსთქვა, რომელიც მისი სიდიდის გამო არ დაბეჭდა გიორგი წერეთელმა „კვალში“. 1898—1905 წწ.-ში ვლ. დარჩიაშვილი საზღვარგარეთ სწავლობს, ბრიუსელის უნივერსიტეტში. ბელგიაში სწავლის პერიოდში მოუსწრო მას ჟენევის კონფერენციამ, რომელსაც ქართველი ავტონომისტ-სოციალ-დემოკრატების მომავალი თავკაცი უყურადღებოდ ვერ დატოვებდა.

უკვე 1903 წლიდან ვლ. დარჩიაშვილსა და მის პარტიულ ამხანაგებს ნ. ჟორდანიას, დ. თოფურიძის, ფ. მახარაძესა და სხვათა შორის იწყება განხეთქილება ეროვნულ საკითხთან დაკავშირებით. თავდაპირველად ამ მხრივ მათ შორის თანხმობა ყოფილა, როცა ქართველი სოციალ-დემოკრატები აღიარებდნენ ამიერკავკასიის ავტონომიის მოთხოვნის საჭიროებას. „კავკასიის სოციალ-დემოკრატთა კავშირს, — იუწყებოდა 1903 წლის ივლისში გაზ. „საქართველო“, — რომელიც უმთავრესად ქართველებისაგან შედგება, თავის პროგრამის პოლიტიკურ ნაწილში ამიერ-კავკასიის ავტონომიის დაწესე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა უცვნია საჭიროდ. ეგ ფაქტი იმას გვიმტკიცებს, რომ ხალ-ხი ეროვნების მომავალ ორგანიზაციაზედაც ჰფიქრობს, მა-შასადამე ეროვნების დაცვაზედაც ზრუნავს"[20]. თავად ვლ. და-რჩიაშვილი შემდგომში იგონებდა, რომ ნ. ჟორდანია და დ. თოფურიძე კავკასიის ავტონომიის მომხრენი იყვნენ თავ-დაპირველად. „იგი ერთხელ „პოლიტიკურ ავტონომიის" მო-ხრეც იყო, — წერდა ვლ. დარჩიაშვილი ნ. ჟორდანიას შესა-ხებ. — ასე, როდესაც 1903 წელს ზაფხულს ანი და დ-ე თ-ძე[21] ჩემთან ჩამოვიდნენ ბრიუსელში, ჩემს პირველსავე შეკითხვა-ზე, თუ როგორი მანდატი ჰქონდა კავკასიის დელეგაციას ერო-ვნული პროგრამის შესახებ, ან-მა დაბეჯითებით განმიცხადა: „ჩვენი მოთხოვნაა პარლამენტი ტფილისში"[22]. აქ ვლ. დარ-ჩიაშვილს მხედველობაში ჰქონდა კავკასიელ სოციალ-დემო-კრატთა ეროვნული პოზიცია რსდმპ-ს II ყრილობაზე, რომე-ლსაც საქართველოდან ესწრებოდნენ ნ. ჟორდანია და დ. თო-ფურიძე. რსდმპ II ყრილობამ ერთა თვითგამორკვევისა და საოლქო თვითმართველობის მოთხოვნები მიიღო, რის გამოც, ცხადია, კავკასიელი დელეგატებიც დაემორჩილნენ უმაღლეს პარტიულ გადაწყვეტილებას ვლ. დარჩიაშვილი იმ მცირეთა-განი იყო, რომელსაც სწამდა, რომ მშრომელ ხალხზე მოფიქ-რალი პარტიის წარმომადგენლებს, მეტი ზრუნვა მართებდათ ეროვნულ საკითხზე. მან განაგრძო ეროვნულ საკითხზე საკუ-თარი და ერის ინტერესების გამომხატველი პლატფორმის დამუშავება.

სწორედ ამის გამო, ჩვენი აზრით, ეროვნულ-სოციალური თანასწორობის სინთეზის ნიადაგზე მდგომი ვლ. დარჩიაშვი-ლი, იგივე „ბ. z-ი", რომელიც სხვა ქართველ სოციალ-დე-მოკრატებთან ერთად გამოცხადდა ჟენევაში, არ დაეთანხმა ნ. ჟორდანიასა და მისი ოთხი თანამოაზრის გადაწყვეტილე-

---

20 „საქართველო", 1903, 1 ივლისი, „კლასთა ბრძოლა და ეროვნული საკითხი".

21 ა ნ ი — ნ. ჟორდანიას ფსევდონიმია, დ-ე თ-ძე — დიომიდე თოფუ-რიძისა.

22 „სახალხო ფურცელი", 1916, 18 მაისი, არ. ჯ-შვილი. „ობოლი სუ-ლი".

ბას და როცა მათ დასტოვეს სხდომათა დარბაზი, „თხოვა" კონფერენციაზე დარჩენის ნება დაერთოთ. მაგრამ ეს არ ნიშნავდა, რომ ვლ. დარჩიაშვილი მაშინვე მიეკედლა ავტონომისტების ბანაკს. მან თავშეკავება არჩია და მეთვალყურის როლში დარჩენა ამჯობინა, რათა უკეთ გარკვეულიყო ეროვნული პრობლემის არსში, ხოლო შემდეგ დამოუკიდებლად შეემუშავებინა თავისი პლატფორმა. რაც მთავარია, ვლ. დარჩიაშვილმა და მისი სახით ქართველი სოციალ-დემოკრატების გარკვეულმა, თუმცა მცირე ნაწილმა, დაუშვა შესაძლებლობა ქართველ სოციალისტ-ფედერალისტებთან შეთანხმებისა. ცოტა მოვლენებს გავუსწრებთ და ვიტყვით, რომ პირველი სახალხო რევოლუციის პერიოდში კავკასიის ჟანდარმერიის ერთ-ერთ ცნობაში ვლ. დარჩიაშვილი, სხვა ფრაქციების წარმომადგენლებთან ერთად, პირდაპირაა დასახელებული „საქართველოისტთა" კომიტეტის შემადგენლობაში[23]. ცხადია, ეს ფაქტი შემთხვევითი არაა. მასშია ასახული ავტონომისტი სოციალ-დემოკრატების გარკვეული თანამშრომლობა ეროვნულ ნიადაგზე სოციალისტ-ფედერალისტებთან, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა ჟენევის კონფერენციაზე ვლ. დარჩიაშვილის დასწრებამ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „ოქმების" მიხედვით, ჟენევის კონფერენციაზე მონაწილეობას იღებდნენ: სოციალისტ-ფედერალისტები (იგივე: „საქართველოელები"), ესერები და ანარქისტები. „ოქმების" რედაქტორი გ. დეკანოზიშვილი არაფერს ამბობს კონფერენციაში ეროვნულ-დემოკრატთა მონაწილეობის შესახებ, თუმცა ჩვენს ისტორიოგრაფიაში აღიარებულია, რომ ზემოთჩამოთვლილ ფრაქციებთან ერთად კონფერენციაში მონაწილეობდნენ ეროვნულ-დემოკრატებიც[24].

ჩვენი აზრით, ჟენევის კონფერენციაზე ეროვნულ-დემოკრატთა მცირე ჯგუფს ნამდვილად უნდა მიეღო მონაწილეო-

---

23 საქართველოს სცია, ფ. 94, აღწ. 1, ს. 832.

24 უ. სიდამონიძე, ეროვნული საკითხის ისტორიოგრაფიიდან (1917 წელი); „ქართული ისტორიოგრაფია", კრებ. ნაწ. I, 1968 წ.; ი. მირცხულავა, აგრარულ-გლეხური საკითხი საქართველოში, 1900—1917 წწ., თბ., 1964, გვ. 219 და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლ, მაგრამ არა როგორც დამოუკიდებელი სახის მქონე პოლიტიკურ ფრაქციას, არამედ როგორც „საქართველოს“ თანამგრძნობ ჯგუფს, ფედერალისტური მიმდინარეობის მეგარჯვენე, ლიბერალურ ფრთას. აღნიშნული ლიბერალური ფრთა იმხანად ეროვნულ-დემოკრატიულ მიმდინარეობად ჩამოყალიბების პროცესში იყო. ამ ეტაპზე ლიბერალები ფედერალისტებთან ერთიანი ფრონტით გამოდიოდნენ, მხარს უჭერდნენ ეროვნულ-ტერიტორიალურ ავტონომიას, თუმცა მათს სოციალისტურ მისწრაფებებს და პლატფორმას არ იზიარებდნენ. გავიხსენოთ — რეზოლუციას მიწის სოციალიზაციის შესახებ კონფერენციაზე ხმა მისცა 15 მონაწილემ, ოთხმა კი საერთოდ არ მიიღო კენჭისყრაში მონაწილეობა. ვინ უნდა ყოფილიყვნენ სოციალიზაციის მოწინააღმდეგენი? რა თქმა უნდა, ისინი არ იქნებოდნენ არც „საქართველოსტ“-ფედერალისტები, რომლებმაც მთლიანად გაიზიარეს მიწის განსაზოგადოებრიობის ესერული პროგრამა; არ იქნებოდნენ არც ანარქისტები, რომელთაც პრინციპულად არაფერი საწინააღმდეგო არ ჰქონდათ ამ იდეასთან. პირიქით, ანარქისტმა მ. წერეთელმა (თერგელმა), როგორც ვნახეთ, ვინმე მთიელის კერძო მესაკუთრული თვალსაზრისის წინააღმდეგ გაილაშქრა და ასაბუთებდა გლეხობის მისწრაფებას მიწების საერთო მფლობელობისაკენ. მიწის სოციალიზაციის რეზოლუციისადმი სკეპტიკურად განწყობილთა ოთხეულში, რა თქმა უნდა, მით უფრო ვერ ვიგულისხმებთ ქართველ ესერებსაც.

ცხადია, მიწის სოციალიზაცია მიუღებელი უნდა ყოფილიყო პირველ რიგში ეროვნულ-დემოკრატი ლიბერალებისათვის. მომავალში, ეროვნულ-დემოკრატები, როგორც ცნობილია, მიწაზეც და საერთოდაც კერძო საკუთრების თავგამოდებული დამცველები იყვნენ. კერძო საკუთრება ყოველთვის მარადიულ და ხელშეუხებელ ინსტიტუტად იყო მიჩნეული ეროვნულ-დემოკრატთა შორის. „ჩვენ ვიცავთ პარტიის ტრადიციას, — წერდა მოგვიანებით ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი გრიგოლ ვეშაპელი, — რომელიც ამბობს, კერძო საკუთრება ხელშეუხებელიაო“[25].

---

[25] გრ. ვ ე შ ა პ ე ლ ი, ნაციონალ-დემოკრატიული პარტია, თბ., 1918, გვ. 14.

ეროვნული

იგივე ეროვნულ-დემოკრატთა ჯგუფის წარმომადგენლები უნდა ყოფილიყვნენ ის სამი მონაწილე, რომლებმაც მხარი არ დაუჭირეს რეზოლუციას სხვა პარტიებთან დამოკიდებულების შესახებ. ეროვნულ-დემოკრატი ლიბერალები წინააღმდეგნი იყვნენ როგორც საქართველოს, ისე რუსეთის რევოლუციურ პარტიებთან ერთობლივი ბრძოლის იდეისა, რასაც ქადაგებდა აღნიშნული რეზოლუცია.

ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის შექმნა და მის მიერ ჟენევის კონფერენციაზე მიღებულ რეზოლუციებში გაცხადებული პროგრამული პრინციპები არსებითად იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, ეროვნული იდეოლოგიისა და პრაქტიკის მოდერნიზაციის ახალი ცდა. იგი გამოიხატა წვრილ-ბურჟუაზიულ, არამარქსისტულ სოციალიზმსა და ეროვნულ რადიკალიზმს შორის მომხდარი კომპრომისით, ხოლო შემდეგ მათი სინთეზით. ამ სინთეზის შედეგი იყო ახალი ეროვნულ-სოციალური იდეოლოგიის — სოციალიზმ-ფედერალიზმის ჩამოყალიბება, ფედერალისტური პარტიის იდეოლოგიის წარმოქმნა.

ფედერალისტურმა ბლოკმა ეროვნული ავტონომიის დროშის ქვეშ პირდაპირ თუ არაპირდაპირ საქართველოს თითქმის ყველა მნიშვნელოვანი არაპროლეტარული, ეროვნული პოზიციის მქონე მიმართულებები გააერთიანა. როგორც აღვნიშნეთ, კავკასიის ჟანდარმერიის საოლქო განყოფილების ერთ-ერთმა ცნობამ შემოგვინახა ე. წ. „საქართველოისტების" კომიტეტის შემადგენლობა პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პერიოდში. მასში შედიოდნენ: საკუთრივ სოციალისტ-ფედერალისტები: ს. ფირცხალავა, ალ. ჯაბადარი, გ. ლასხიშვილი; ეროვნულ-დემოკრატები: პ. სურგულაძე, პ. თუმანიშვილი, პ. გოთუა; სოციალისტ-რევოლუციონერი — მელიტონ გობეჩია; ეროვნულ-ლიბერალური მიმართულების უპარტიო მოღვაწეები: ს. მერკვილაძე, მიქელაძე, გრ. რამიშვილი და მენშევიკ-ავტონომისტი ვლ. დარჩიაშვილი. იქვე საქმეში აღნიშნულია, რომ ამ დროისათვის კომიტეტში არ არიანო ფ. გოგიჩაიშვილი და ი. ზურაბიშვილი[26].

---

26 საქართველოს სცია, ფ. 94, აღწ. 1, ს. 832.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს უკანასკნელი ცნობილია, როგორც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დაარსების ერთ-ერთი ორგანიზატორი. „საქართველოისტების“ კომიტეტის ამგვარი ჟანდარმერისეული ვარიანტი კარგად მიანიშნებს ამ პერიოდის ფედერალისტური პარტიის ბლოკისტურ ხასიათზე. ეს კომიტეტი, რომელშიც ფედერალისტებთან ერთად შედიოდნენ ეროვნულ-დემოკრატებიც, ესერებიც, მენშევიკ-ავტონომისტებიც, უპარტიო პატრიოტი მოღვაწეებიც და იქნებ სხვანიც, ინტერპარტიული ხასიათის ორგანიზაციას უფრო მოგვაგონებს.

საქართველოს სინამდვილეში პირველი ეროვნულ-რევოლუციური პარტიის წარმოქმნას სოციალ-დემოკრატიული პარტია უარყოფითად შეხვდა. ჩვენ უკვე ვიცით, როგორ გამოხატა თავისი დამოკიდებულება ჟენევის კონფერენციისადმი ქართული სოციალ-დემოკრატიის მენშევიკურმა ფრთამ. ახლა შევეხოთ როგორი პოზიცია დაიკავეს სოციალისტ-ფედერალისტების მიმართ ქართველმა ბოლშევიკებმა. ეს პოზიცია იყო ერთნიშნა — უკომპრომისო და შეურიგებელი ბრძოლა ახალი პარტიის წინააღმდეგ, მასთან ყოველგვარი შეთანხმების შესაძლებლობის უარყოფა, როგორც „ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ“ პარტიასთან. ქართველი ბოლშევიკი პ. ჯაფარიძე, რსდმპ III ყრილობაზე, ჩამოთვლიდა რა კავკასიის „ნაციონალისტურ“ პარტიებს — „დროშაკისტებს“, „ჰნჩაკისტებს“, „საქართველოისტებს“, — უკანასკნელთა შესახებ ამბობდა: „საქართველოელები“, სარგებლობენ რა კავკასიის საერთო აღელვებით და რევოლუციური განწყობით, სარბიელზე გამოდიან და ცდილობენ ხელთ იგდონ გლეხთა მოძრაობა. მათ უნდა ვებრძოლოთ, ხოლო შეთანხმებაზე, ჯერჯერობით მაინც, ლაპარაკიც კი არ შეიძლება“[27].

1905—1907 წლების რევოლუციამდელ პერიოდში სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის ბოლშევიკური კრიტიკის თვალსაზრისით მარქსისტულ ლიტერატურაში აღსანიშნავია ი. სტალინის ცნობილი ნაშრომი „როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური საკითხი?“ ნაშრომი ძირითადად

---

[27] ა. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, რჩეული სტატიები, სიტყვები და წერილები, 1905—1918, თბ., 1962, გვ. 112.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმართული იყო ფედერალისტ სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ, მაგრამ მასში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა სოციალ-ფედერალისტთა პარტიის კრიტიკას.

ი. სტალინმა გამოყო ახალმოვლენილი პარტიის ევოლუციის ეტაპები, თუმცა ამ ევოლუციაში პროგრესული ხასიათის არაფერი აღუნიშნია, და საერთოდ უარყოფითად შეაფასა სოციალისტ-ფედერალისტთა გამოჩენა, ბუნება, სოციალური ხასიათი და შემადგენლობა. აღნიშნული ნაშრომი საკმაოდ განხილული ქართულ „საბჭოურ“ ისტორიოგრაფიაში, ამიტომ ჩვენ მხოლოდ სტალინის მიერ სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის კრიტიკის მთავარ მომენტებს აღვნიშნავთ.

ი. სტალინმა აღნიშნა, რომ თანამედროვე საქართველოს საზოგადოებრივმა ცხოვრებამ წამოაყენა ბურჟუაზიის ნაციონალური საკითხი. ეს გამოწვეული იყო ახალგაზრდა ქართული ბურჟუაზიის მისწრაფებით, გაბატონებულიყო სამამულო ბაზარზე და განედევნა აქ მოკალათებული, მასზე ბევრად ძლიერი უცხოური ბურჟუაზია. პირველად ქართული ბურჟუაზიის ინტერესების გამომხატველნი ნაციონალ-დემოკრატები იყვნენ, ხოლო შემდგომ ეტაპზე „საქართველოისტები“ და მათი „ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური“ ორგანო „საქართველო“.

ი. სტალინის აზრით, „საქართველო“ იყო ცრუსოციალისტური ორგანო, რომელმაც სოციალისტური ფრაზეოლოგია რევოლუციური პროლეტარიატის გულის მოსაგებად და მისამხრობად აღიარა. არსებითად, ნაციონალ-დემოკრატები და „საქართველოისტები“ ერთი და იგივე საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჯგუფი იყო. მას შემდეგ, რაც ნაციონალ-დემოკრატების რეაქციულ-უტოპიურმა მოწოდებამ რევოლუციური პროლეტარიატისადმი, გაერთიანებულიყვნენ თანამემამულე ბურჟუაზიასთან და ერთიანი ძალებით აეშენებინათ კაპიტალისტური საქართველო, სასტიკი მარცხი განიცადა, ნაციონალ-დემოკრატებმა თავიანთი ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მოძღვრება ცრუსოციალისტური ფრაზეოლოგიით შესცვალეს. რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის მიერ ნაციონალ-დემოკრატების „ბრძოლის ველიდან გაძევებაში“ ი. სტალინი

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩ. ჯორჯაძის „საერთო ნიადაგის“ მოძღვრების მარცხს და საერთოდ „ცნობის ფურცლის“ ჯგუფის მოღვაწეობას გულისხმობდა.

მაგრამ „ქართველმა მუშებმა, — ამტკიცებდა სტალინი, — ისწავლეს შავისა და თეთრის გარჩევა“ და ამჯერადაც მიხვდნენ, რომ მათს წინაშე „საქართველოისტების“ სახით ცრუ-სოციალისტურ სამოსში გადაცმული ბურჟუა-ნაციონალისტი ნაციონალ-დემოკრატები იყვნენ. საქართველოს რევოლუციური პროლეტარიატისათვის ცხადი იყო, რომ ბურჟუაზიულმა ნაციონალისტებმა მარტო „ფერი იცვალეს“ და არა აზრები, რომ „საქართველოს“ მარტო სახელი აქვს სოციალისტური“. „საქართველოს“ დონ-კიხოტებმა ვერც ამჯერად მოიპოვეს რევოლუციური მასების თანაგრძნობა და დამარცხდნენ. არჩ. ჯორჯაძეს, გ. დეკანოზიშვილს, გ. ლასხიშვილსა და მათ თანამოაზრეებს სტალინი „ბურჟუაზიულ ნაციონალისტებს“ უწოდებდა.

ი. სტალინმა „უჯარო ოფიცრები“ უწოდა ქართველ სოციალისტ-ფედერალისტებს და ამით აღნიშნა მათი გაუვლენიანობა საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობაზე, კერძოდ კი რევოლუციურ პროლეტარიატსა და გლეხობაზე. ფედერალისტებისათვის სამწუხაროდ, ეს მართალი იყო. „საქართველოისტების“ ეროვნული იდეალისადმი მშრომელი მოსახლეობის უმრავლესობა გულგრილად იყო განწყობილი, მას უფრო სოციალური პრობლემატიკა აწუხებდა, არსებული სისტემის სოციალური უკეთესობანი ტანჯავდა. თავად არჩ. ჯორჯაძე წერდა, რომ გაზეთი „საქართველო“ „მოკლებული იყო მუშათა თანაგრძნობას,“ აქედან რეალურ ძალას. თანამგრძნობნი კი იყვნენ დაქსაქსული ინტელიგენტური ჯგუფები, მოსწავლეთა ნაწილი..., დრო გადასული გასათხოვარი ქალები“[28]. გ. ლასხიშვილის აღიარებითაც, „საქართველო“, რომელმაც პარიზის სოციალისტური პრესისა და „ახალგაზრდა ოსმალთა“ ემიგრანტული ორგანოს „მეშვერუდის“ თანაგრძნობა დაიმსახურა, სრულიად მოკლებული აღმოჩნდა

---

28 ს ა ბ უ ე ლ ი (არჩ. ჯორჯაძე), სოციალიზმ-ფედერალიზმი საქართველოში, ტფილისი., 1907, გვ. 21.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამავე თანაგრძნობას ქართველი მუშებისაგან. „ინტელიგენციაში, რასაკვირველია, გაზეთი მალე მოვფინეთ, — წერდა გ. ლასხიშვილი, — ხოლო მუშებში, რაც ჩვენთვის უფრო საინტერესო იყო, გაზეთის გატანა გაგვიძელდა. ჩვენს პროპაგანდისტებს და იმ რამდენიმე მუშას, რომელნიც მაშინ ჩვენ პარტიაში იყვნენ, გაზეთის ნომრები უკან მოჰქონდა: — მუშებს არ სურთ ჩვენი გაზეთის კითხვაო“[29].

განმათავისუფლებელი მოძრაობის და პოლიტიკური სისტემის გარდაქმნისათვის ბრძოლის აღმავლობის პირობებში ყოველი მეტ-ნაკლებად სერიოზული ძალის მქონე პოლიტიკური პარტია ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი გავლენა მოეპოვებინა რევოლუციურ თუ ოპოზიციურად განწყობილ მასებზე. თითოეულ რევოლუციურ პარტიას საკუთარი რევოლუციური კოჰორტების მრავალრიცხოვნებასა და სიძლიერეზე უნდა ეზრუნა. ეს ჭეშმარიტება კარგად ესმოდათ სოციალ-დემოკრატებს რუსეთში, საქართველოშიც. ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში იგივე ჭეშმარიტება ქართულ სინამდვილეში პირველად „საქართველოისტ“-ფედერალისტებმა გააცნობიერეს. არჩ. ჯორჯაძე ფიქრობდა, რომ ამ მხრივ სოციალ-დემოკრატებთან შედარებით სოციალისტ-ფედერალისტებმა დააგვიანეს. ამ მიზეზით ხსნიდა ფედერალისტური პარტიის არაპოპულარობას საქართველოს მოსახლეობის მშრომელ უმრავლესობაში არჩ. ჯორჯაძე. ჯერ კიდევ 1901 წელს, როცა ფედერალისტური პარტიის წინამორბედი „ცნობის ფურცლის“ ჯგუფი სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა, ჯორჯაძის აზრით, სოციალ-დემოკრატებს უკვე დიდი გავლენა ჰქონდათ მოპოვებული მშრომელ ხალხში, განსაკუთრებით მუშებში. მშრომელი მასებისათვის ბრძოლა სოციალისტ-ფედერალისტებმა ქართველ სოციალ-დემოკრატებთან თავიდანვე წააგეს.

ამიტომაც შენიშნავდა სინანულნარევი ირონიით არჩ. ჯორჯაძე, რომ გაზეთ „საქართველოს“ ეროვნულ-პოლიტიკური იდეების თანაგრძნობანი იყვნენ „დაქსაქსული ინტელიგენტური ჯგუფები, მოსწავლეთა ნაწილი... დრო გადასული გასა-

---

[29] გ. ლასხიშვილი, მემუარები, გვ. 161.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოხოვარი ქალები". არჩ. ჯორჯაძე აზრს აღარ აგრძელებდა, ამგვარი სურათი რაც არ უნდა სამწუხარო ყოფილიყო სოციალისტ-ფედერალისტებისათვის, ბუნებრივი იყო. ეროვნული თავისუფლების იდეოლოგიის პროპაგანდას სოციალური თანასწორობის იდეების ქადაგებასთან შედარებით თავისებურებანი გააჩნია. სოციალური თავისუფლების იდეები შედარებით ადვილად ედება მოსახლეობის უფართოეს ფენებს, მაშინ, როცა ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეოლოგია უპირველესად სწორედ სტუდენტი და მოსწავლე ახალგაზრდობისა და ინტელიგენციის კუთვნილება ხდება, თუ შეიძლება ითქვას, ჯერ საზოგადოების ინტელექტუალურ ფენებს ედება ელექტრონივით და მხოლოდ ამის შემდეგ იწყებს გაჟონვას მოსახლეობის მშრომელ უმრავლესობაში. ასე იყო ყველგან. ასე იყო სოციალისტ-ფედერალისტებამდეც, მათ დროსაც, მათ შემდეგაც. ქართველი ფედერალისტების დამსახურება ის იყო, რომ მათ სერიოზული ნაბიჯები გადადგეს, რათა საქართველოს ავტონომიის ეროვნულ-პოლიტიკურ ლოზუნგს მოსახლეობის მშრომელ ფენებში შეეღწია. ამ მიზნით მოხდა ჟენევის კონფერენციაზე ეროვნულ-პოლიტიკურ და სოციალურ კონცეფციათა — ავტონომიზმ-ფედერალიზმსა და არამარქსისტული მიმართულების სოციალიზმს შორის არამარტო კომპრომისი, არამედ მათი სინთეზი და ამ სინთეზის შედეგად ქართულ სინამდვილეში ახალი ეროვნულ-რევოლუციური პოლიტიკური იდეოლოგიის — სოციალიზმ-ფედერალიზმის წარმოქმნა.

ქართველ სოციალისტ-ფედერალისტებს იდეურ მოწინააღმდეგეთა გარდა მოკავშირეებიც ყავდათ. პირველ რიგში ეს ითქმის ფედერალისტურ ბლოკში შემავალ ჩვენთვის ცნობილ ქართულ პოლიტიკურ ფრაქციებზე (ესერები, ანარქისტები, ეროვნულ-დემოკრატები, უპარტიო ქართველი ინტელიგენციის ნაწილი, თანამგრძნობი ავტონომისტი სოციალ-დემოკრატები). გარდა ამისა, ქართველმა ფედერალისტებმა სცადეს კავშირ-ურთიერთობა დაემყარებინათ რუსეთის იმპერიაში მოღვაწე დეცენტრალისტურ პოზიციაზე მდგარ რევოლუციურ და ოპოზიციურ პარტიებთან. რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა საზღვარგარეთული ორგანო „რე-

ვოლუციონნაია როსსია“ სპეციალური სტატიით მიუსალმა ჟენევის კონფერენციას, ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის შექმნას და იგი გაბედულ, რევოლუციურ ნაბიჯად შეაფასა. „ამ კონფერენციის რეზოლუციებს, — წერდა გაზეთი, — დიდი მნიშვნელობა აქვთ, ჩვენ მივესალმებით ქართველი ამხანაგების ამ ნაბიჯს და ვუსურვებთ მათ წარმატებებს... სრული ავტონომია... და ერთა შორის ფედერაციული კავშირის განმტკიცება თავდები იქნება სოციალისტური მოძრაობის ზრდისა და განვითარებისა“[30].

ჯერ კიდევ ჟენევის კონფერენციამდე „საქართველოს“ ჯგუფში ჩაისახა აზრი, მიემართათ რუსეთის იმპერიაში მოქმედი ჩაგრული ერებისა და რუსეთის რევოლუციურ-ოპოზიციური პარტიებისათვის ერთობლივი მოქმედების წინადადებით. როგორც „საქართველოში“ გამოქვეყნებული ერთ-ერთი შენიშვნა „ქართველების შეთანხმება სხვა ერებთან“ იუწყება, რედაქციის მოწოდებას გამოხმაურებიან სომხები, პოლონელები და ფინელები. სომხები პასუხს იძლეოდნენ „მომავალ კონგრესზე გაერჩიათ წინადადება ქართველებთან ერთად მოქმედებისა“; პოლონელები სურვილს გამოთქვამდნენ დაეარსებინათ „საერთო ორგანო“, რომელიც მოემსახურებოდა ერთა შორის სოლიდარობის განმტკიცებას და კოორდინაციას, ხოლო რაც შეეხება „ფინლანდიელებს“, მათთან მიმდინარეობდა მოლაპარაკება[31].

იმ მნიშვნელოვან რევოლუციურ ღონისძიებათა შორის, რომელშიც ქართველმა სოციალისტ-ფედერალისტებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს ჟენევის კონფერენციიდან პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის დაწყებამდე, აღსანიშნავია რუსეთის პოლიტიკურ და ოპოზიციურ პარტიათა პარიზის კონფერენცია. კონფერენციის მიზანი იყო თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მებრძოლ პოლიტიკურ პარტიათა კოორდინაცია და ერთობლივი ფრონტით გამოსვლების

---

30 ერ. ახობაძე, ეროვნული საკითხის ისტორიიდან საქართველოში (1900—1917 წწ.), თბ., 1963, გვ. 128.

31 „საქართველო“, 1904 წ. 1 თებერვალი, ქართველთა შეთანხმება სხვა ერებთან.

შესაძლებლობებისა და ღონისძიებების შემუშავება. ცნობილი ამერიკელი სოვეტოლოგი რიჩარდ პაიპსი პარიზის კონფერენციას რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მიმართული რევოლუციური ბრძოლების უშუალო დასაწყისად თვლის და 1970 წელს გამოცემულ ერთ-ერთ ნაშრომში წერს: „მონარქისტულმა აბსოლუტიზმმა რუსეთში სული განუტევა ერთი წლის აგონიის შემდეგ, რომელიც დაიწყო ე. წ. პარიზის „ოპოზიციურ და რევოლუციურ პარტიათა კონფერენციით 1904 წ. ოქტომბერს და დამთავრდა 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტით“[32].

XX ს-ის დასაწყისის განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობის პირობებში რუსეთის სინამდვილეში არსებულ ზოგიერთ პარტიაში იშვა აზრი, რომ საჭირო იყო თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტით გამოსვლა და მემარცხენე პოლიტიკური პარტიების გაერთიანება. ლიბერალური განთავისუფლების კავშირი — მომავალი რუსი კადეტების ორგანიზაცია, თავის გარშემო ცდილობდა ოპოზიციის დარაზმვას, ეროვნული პარტიების მიზიდვას და საერთო პარტიული აღმასრულებელი კომიტეტის შექმნას. რუსეთის პარტიათაშორისო კონფერენციის მოწვევის უშუალო ინიციატივა ეკუთვნოდათ ფინეთის აქტიური წინააღმდეგობის პარტიას და კერძოდ მის ერთ-ერთ ლიდერს კ. ცილიაკუსს. ჯერ კიდევ 1902 წლის ივნისში ცილიაკუსი ესერ ფ. ვოლხოვსკის წერდა, რომ ანტისამთავრობო მოძრაობისათვის რუსეთში ნიკოლოზ II-ის წინააღმდეგ უნდა შექმნილიყო საერთო ფრონტი.

ცილიაკუსმა რუსეთის 18 პოლიტიკურ პარტიას გაუგზავნა მოწვევა პარტიათაშორისო კონფერენციაზე, მათ შორის „ქართველ სოციალისტ ფედერალისტ-რევოლუციონერებს“. ფედერალისტებმა კონფერენციაზე ორი წარმომადგენელი გაგზავნეს: გ. დეკანოზიშვილი, რომელიც ისევე როგორც ჟენევის კონფერენციაზე, აქაც, პარიზში, „ქართლელის“ ფსევდო-

---

32 ციტირებულია კ. ფ. შ ა ც ი ლ ო ს ნაშრომიდან: «Из истории освободительного движения в Росии в начале XX века». «История СССР», 1982, № 4, стр. 52.

ნიმით გამოცხადდა, და ალ. გაბუნია. რუსი ისტორიკოსი კ. შაცილო, რომელმაც სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა პარიზის კონფერენციას, ალ. გაბუნიას მოიხსენიებს გაურკვეველი, შესაძლოა საარქივო მასალებიდან მცდარად ამოკითხული ფსევდონიმით: „Конох"[33]. შესაძლოა გაბუნიას ფსევდონიმი „კოლხი" (Колх) ყოფილიყო.

კონფერენციაზე მიწვეულთა შორის რსდმპ-ც იყო. თავდაპირველად სოციალ-დემოკრატებმა მონაწილეობაზე თანხმობა განაცხადეს, მაგრამ შემდგომში უარყვეს წინადადება. 1904 წელს რსდმპ-ის საბჭოს სხდომაზე მარტოვმა შეკრებილთ შეატყობინა ფინელებისა და პოლონელების კავშირის შესახებ იაპონიის ხელისუფლების წარმომადგენლებთან. მარტოვის ინფორმაცია სიმართლეს არ იყო მოკლებული. რუსეთთან მეომარი იაპონიის მთავრობა ცდილობდა ნიკოლოზ II-ის მთავრობის წინააღმდეგ გამოეყენებინა რუსეთის და განსაკუთრებით იმპერიის ჩაგრული ქვეყნების ეროვნულ-რევოლუციური პარტიები. ცილიაკუსმა მეფის მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლის აქტივიზაციისათვის. და საერთო ფრონტის შექმნისათვის იაპონიის ყოფილ სამხედრო ატაშეს პოლკოვნიკ აკაშისაგან მართლაც მიიღო ფული. იმის შიშით, რომ შესაძლებელია პარიზის პარტიათაშორისო კონფერენციის ინიციატივაც იაპონელებისაგან მომდინარეობდესო, ზემოაღნიშნულ რსდმპ-ს საბჭოს კრებაზე გ. პლეხანოვმა სასტიკად უარყო კონფერენციაზე სოციალ-დემოკრატების მონაწილეობის იდეა.

რუსეთის ოპოზიციურ და რევოლუციურ პარტიათა კონფერენცია გაიხსნა 1904 წლის 17 სექტემბერს, პარიზში, სასტუმრო „ორლეანში" (იაკობის ქ. № 50). მასში მონაწილეობა მიიღო 8 პოლიტიკურმა პარტიამ, რომელნიც ოქმებში შემდეგი მიმდევრობითაა ჩამოთვლილი წარმომადგენლებითურთ: 1. სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია — ვ. ჩერნოვი და ე. აზეფი; 2. პოლონეთის სოციალისტური პარტია — ვ. იოდკო-ნარკევიჩი, ბ. ა. ენდჟეევსკი, კ. კელლეს-კრაუზ; 3. ლატვიური სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია — ფ. ოზოლ-

---

[33] კ. ფ. შ ა ც ი ლ ო, დასაბ. ნაშრ., გვ. 56.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში; 4. სოციალისტ-ფედერალისტ-რევოლუციონერთა ქართული პარტია — გ. დეკანოზიშვილი, ალ. გაბუნია; 5. სომხური რევოლუციური ფედერაცია — მ. ვარანდანიანი; 6. პოლონური ნაციონალური ლიგა — ზ. ბალიცკი, რ. დმოვსკი; 7. აქტიური წინააღმდეგობის ფინური პარტია — კ. ცილიაკუსი, ა. ნეოვიუსი; 8. „განთავისუფლების კავშირი" — პ. მილიუკოვი, პ. სტრუვე, პ. დოლგორუკოვი და ვ. ბოგუჩარსკი. სულ 17 კაცი.

კონფერენციაზე განხილული საკითხებიდან მთავარი იყო იმ საერთო ნიადაგის დადგენა-შემუშავება, რომელზედაც შეკრებილ პარტიებს კოორდინირებული მოქმედება შეეძლებოდათ და საერთო ფრონტით გამოვიდოდნენ. „თვითოეულ პარტიას თავისი მოთხოვნები გააჩნია, — ამბობდა პოლონეთის სოციალისტური პარტიის წარმომადგენელი იოდკო-ნარკევიჩი. — ჩვენ მოვითხოვთ პოლონეთის დამოუკიდებლობას, ქართველები საქართველოს ავტონომიას თხოულობენ. ამ მიზნების კონკრეტიზირებას აქ არ შევუდგებით. ჩვენ უნდა მოვიებნოთ საერთო ფორმულა". რაში მდგომარეობდა ეს საერთო ფორმულა? არც ერთი აქ დამსწრე პარტია უარს არ იტყოდა საკუთარი პროგრამების არც ერთ პუნქტზე, მაგრამ შეიმუშავებდა ყველასათვის საერთო მიზნებს და დასახავდა საერთო ბრძოლის კონკრეტულ გზებს. კონფერენციამ შეიმუშავა ე. წ. „დეკლარაცია" სამი ძირითადი მოთხოვნით, რომელსაც ყველა დამსწრე პარტიის ძალისხმევა უნდა გაეერთიანებინა. ეს მოთხოვნები იყო: 1. თვითმპყრობელობის დამხობა; ყველა იმ კანონების გაუქმება, რომელნიც არღვევდნენ ფინეთის კონსტიტუციურ უფლებებს; 2. თვითმპყრობელობის შეცვლა თავისუფალი დემოკრატიული რეჟიმით; 3. ეროვნული თვითგამორკვევის უფლება; ყველა ხალხისათვის კანონებით გარანტირებული ეროვნული განვითარების თავისუფლება; რუსეთის მთავრობის მხრიდან ყოველგვარი ჩაგვრის აღკვეთა ცალკეულ ეროვნებათა მიმართ. „დეკლარაციის" დასკვნითი ნაწილი აცხადებდა, რომ „აღნიშნული ძირითადი პრინციპებისა და მოთხოვნების სახელით კონფერენციაზე წარმოდგე-

ნილი პარტიები აერთიანებენ თავიანთ ძალებს აბსოლუტიზმის გარდაუვალი დაღუპვის დასაჩქარებლად“[34].

როგორც კ. შაცილოს ჩვენს მიერ დამოწმებული ნაშრომიდან ჩანს, ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა წარმომადგენლებს პარიზის კონფერენციაზე ფრიად აქტიური მონაწილეობა მიუღიათ. გ. დეკანოზიშვილმა პირველმა დაუჭირა მხარი „განთავისუფლების კავშირის“ წარმომადგენლის ბოგუჩარსკის წინადადებას, შეექმნათ სპეციალური საკოორდინაციო ბიურო. „ქართველი სოციალისტ-ფედერალისტის სიტყვა ოქმებში ასეა გადმოცემული, — წერს ისტორიკოსი კ. შაცილო, — „მხარს უჭერს — საშუამავლო ბიუროს შექმნის აუცილებლობას, არალეგალური ლიტერატურის გავრცელების დასახმარებლად (რათა „განთავისუფლების“ და რევოლუციონერებს)“...[35] აქ წყდება წინადადება, თუმცა ძირითადი აზრი გასაგებია. ქართველი ფედერალისტები რომ თავიდანვე იღვწოდნენ რუსეთის იმპერიაში მოქმედ მემარცხენე პარტიების ურთიერთშეთანხმებისათვის, ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, როცა შევეხეთ გაზეთ „საქართველოში“ გამოქვეყნებულ შენიშვნას „ქართველების შეთანხმება სხვა ერებთან“. კონფერენციამ დაადგინა პეტერბურგში შექმნილიყო საშუამავლო ბიურო, რომლის მეშვეობითაც წარმოდგენილი პარტიები ერთმანეთთან კონტაქტს იქონიებდნენ, შეიმუშავებდნენ შესაძლებელ ერთობლივ ღონისძიებებს. ქართველი ფედერალისტები და სომეხი „დაშნაკები“ (სომხური რევოლუციური ფედერაცია, იგივე „დაშნაკცუტიუნ“ — დ. შ.) დასთანხმდნენ, რათა ბიუროში მათი წარმომადგენელი ესერი ყოფილიყო. ფინელი ცილიაკუსის წინადადებით დაადგინეს, რომ შეექმნათ აგრეთვე საზღვარგარეთული საშუამავლო ბიუროც.

პარიზის კონფერენცია მნიშვნელოვანი და იმ დროისათვის საკმაოდ უნიკალური პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენა იყო რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. თავად კონფერენციის მონაწილეებმა გადაჭარბებით შეაფასეს მისი

---

[34] მასალები მოგვყავს კ. ფ. შაცილოს დასახელებული ნაშრომიდან, რომელშიც შესწავლილია და გამოყენებულია კონფერენციის ოქმები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მნიშვნელობა. მილიუკოვი აღფრთოვანებული მოახსენებდა დამსწრეებს, რომ კონფერენციის შედეგებმა „გადააჭარბეს მოლოდინს“, რომ „პირადმა გაცნობამ და მოლაპარაკებებმა გააკეთეს მეტი, ვიდრე ლიტერატურული პოლემიკის მთელმა წლებმა“. პოლონელმა სოციალისტმა რ. დმოვსკიმ და ფედერალისტმა ალ. გაბუნიამ დიდი კმაყოფილება გამოთქვეს და მადლობა მოახსენეს კონფერენციის ორგანიზატორებს. კონფერენციის ეგზალტირებულ მონაწილეებს ეჩვენებოდათ, რომ ფრთები შეასხეს განმათავისუფლებელი მოძრაობის მონაწილე ფრაქციების გამაერთიანებელ პრინციპს: ცალ-ცალკე ვიაროთ — ერთად ვურტყათ. ერთად სიარულამდე ჯერ ბევრი იყო დარჩენილი. პირიქით, როდესაც პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პერიოდში რუსეთის რევოლუციური პარტიები კვლავ შეიკრიბნენ II კონფერენციაზე, მათთან ლიბერალი კონსტიტუციონალისტები აღარ იყვნენ, მათ საკუთარი მიზნები ჰქონდათ, რომელიც არ ითვალისწინებდა რევოლუციური მოძრაობის ოკეანეში გადაშვებას. პარიზის კონფერენციამ მაინც სათავე დაუდო რუსეთის მემარცხენე რევოლუციური და ეროვნულ-პოლიტიკური ძალების კონსოლიდაციას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. ქართველი სოციალისტ-ფედერალისტებისათვის პარიზის კონფერენციაში მონაწილეობა მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. ფედერალისტები რეალურად დაუკავშირდნენ რუსეთის ოპოზიციურ და რევოლუციურ პარტიებს და რეალურადვე გახდნენ რუსეთში მიმდინარე აღმავალი განმათავისუფლებელი მოძრაობის შემადგენელი ნაწილი, აქტიური პოლიტიკური ძალა, რომელსაც თავისი წვლილი უნდა შეეტანა თვითმპყრობელური მონარქიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

პარიზის კონფერენციას უკანასკნელ დღეს ჩაუსწრო გ. ლასხიშვილმა. იგი ფედერალისტური პარტიის მთავარმა კომიტეტმა გაგზავნა გაზეთ „საქართველოს“ გასაძღოლად. გ. ლასხიშვილს უნდა შეეცვალა არჩ. ჯორჯაძე და გ. დეკანოზიშვილი, რომლებიც ავადმყოფობის გამო ჩამოსცილდნენ გაზეთს. ლასხიშვილმა მხოლოდ რამდენიმე ნომერი მოამზადა და ნოემბრის თვეში საქართველოსაკენ გამოემგზავრა. რუსეთში მოახლოებული რევოლუციის სუნთქვა იგრძნობოდა

და ამ პირობებში სამშობლოში უშუალო პრაქტიკულ-რევოლუციური მუშაობა იყო საჭირო, ემიგრანტულ-პროპაგანდისტულმა საქმიანობამ, ფედერალისტთა ლიდერების აზრით, თავისი საპატიო მისია შეასრულა. „მე გადავწყვიტე საქართველოში დაბრუნება, — იგონებს გ. ლასხიშვილი, — აშკარა იყო, რუსეთში მალე დიდი ამბები დაიწყებოდა. მეორე მხრით... გაზეთმა, ჩემის აზრით, უკვე შეასრულა თავისი როლი და მისი გამოცემის განგრძობა მეტად ძნელ პირობებში საჭირო აღარ იყო, მით უმეტეს, რომ მისი სულისჩამდგმელი და მთავარი ხელმძღვანელი არჩილ ჯორჯაძე, როგორც გამოირკვა, დიდი ხნით უნდა ჩამოშორებოდა საგაზეთო მუშაობას“[36]. ერთი შეხედვით, ლოგიკური გამოსავალი იყო. „საქართველომ“ დიდი საქმე გააკეთა ეროვნული ძალების კონსოლიდაციისათვის, ეროვნულ-პოლიტიკური ფორმულის შემუშავებისა და პროპაგანდისათვის.

1902—1904 წლებში „საქართველოისტების“, შემდგომში კი სოციალისტ-ფედერალისტების მოღვაწეობის სიმძიმის ცენტრი საზღვარგარეთული ემიგრაცია იყო. მიუხედავად ამისა, რა თქმა უნდა, საქართველოში ფედერალისტები უქმად არ მსხდარან. ჟენევის კონფერენციის რეზოლუციები ფედერალისტებმა განიხილეს საქართველოში შექმნილი ადგილობრივი კომიტეტების წარმომადგენელთა კრებაზე და ზოგიერთი ცვლილებებით დაამტკიცეს. კრებამ სხვათაშორის გადაწყვეტილება მიიღო პარტიისათვის „ქართველი სოციალისტ-ფედერალისტების“ და ა. შ. ნაცვლად ეწოდებინათ „საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია“. ამგვარი სახელწოდება არ გამორიცხავდა ქართულ ეროვნულ პარტიაში სხვა ეროვნების წარმომადგენელთა გაერთიანების შესაძლებლობას. აქვე აღვნიშნავთ, რომ საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის მთავარ კომიტეტში ამ პერიოდში შედიოდნენ: გიორგი ზდანოვიჩი, კიტა აბაშიძე, სამსონ ფირცხალავა, ვლადიმერ ლორთქიფანიძე, პეტრე ყიფიანი და გიორგი ლასხიშვილი.

---

[63] გ. ლ ა ს ხ ი შ ვ ი ლ ი, მემუარები, გვ. 181.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. ლასხიშვილის გადმოცემით, ენენევის კონფერენციის რეზოლუციები, რომლებიც თბილისში მიიღეს, საფუძვლად უნდა დასდებოდა პარტიის მომავალ პროგრამას. 1904 წლის მარტში დაინტერესებული პირები „საქართველოს“ წერდნენ, როდის მიიღებდა რედაქცია და გამოაქვეყნებდა თავის პროგრამას. ვინმე „ერთ მეგობარს“ რედაქცია უპასუხებდა: „ჩვენი პოლიტიკური და ეროვნული პროგრამა და მოქმედების საშუალება ნათლად სჩანს ჩვენს წერილებში. პროპაგანდა და მოქმედება ყველა პროგრამებს სჯობია“, მაგრამ, გრძნობდა რა ამ პასუხით თავადვე დაუკმაყოფილებლობას, ცნობისმოყვარე „მეგობარს“ ამშვიდებდა: „წლის დამლევს აკადემიური პროგრამაც დაიბეჭდებაო“. ამაოდ პირდებოდნენ. 1904 წელი ისე მიიწურა, რომ ფედერალისტებს „აკადემიური პროგრამა“ არც მიუღიათ, არც გამოუქვეყნებიათ.

ყოველივე ზემოგანხილულიდან, შემდეგი დასკვნები შეიძლება გამოვიტანოთ.

1. სოციალიზმ-ფედერალიზმმა, როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა მოძრაობამ, საქართველოში განვითარება-ევოლუციის რამდენიმე პერიოდი განვლო. 1895—1904 (აპრილი) წლები, როცა წარმოიქმნა „ახალგაზრდა ივერიელების“ ჯგუფი, გაერთიანება, ეროვნულ-რადიკალური და ბურჟუაზიულ-ეროვნული მიმდინარეობები, მოღვაწეობდა „ცნობის ფურცლის“ ჯგუფი და გაზეთი „საქართველო“ ეწეოდა ეროვნულ-პოლიტიკურ პროპაგანდას, მოიცავდა სოციალიზმ-ფედერალიზმის განვითარების პირველ პერიოდს. ეს პერიოდი ორი ეტაპისაგან შედგებოდა. I ეტაპზე მომავალი ავტონომისტები ფაქტიურად ლიტერატურულ-პუბლიცისტური მოღვაწეობით იფარგლებოდნენ. ეს იყო 1895—1900 წლები. II ეტაპის განმავლობაში, 1901—1904 (აპრილი) წლებში, როცა „ცნობის ფურცლელებმა“ შექმნეს მთავარი კომიტეტი, ჯგუფი პოლიტიკურ მიმდინარეობად ჩამოყალიბდა. მთლიანად სოციალიზმ-ფედერალიზმის განვითარების პირველ პერიოდში ავტონომისტური მოძრაობის მესვეურები საქართველოში ცდილობდნენ შეექმნათ პოლიტიკური პარტია, მაგრამ რადგან ეს არ მოხდა, ამ პერიოდს შეიძლება ვუწოდოთ სოციალიზმ-ფედერალიზმის წინაპარტიული პერიოდი საქართველოში.

2. 1904 წლის აპრილში შეიქმნა საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია, რომელშიც გარდა ფედერალისტებისა შედიოდნენ ესერები, ანარქისტები და ეროვნულ-დემოკრატები. ფედერალისტურმა პარტიამ ეროვნული დროშის ქვეშ გააერთიანა საკუთრივ ეროვნულ-რევოლუციონერი ფედერალისტები, არამარქსისტული სოციალისტური ფრაქციები და ლიბერალი ეროვნულ-დემოკრატები. ეს იყო, არსებითად, ქართული არაპროლეტარულ-ეროვნული პოლიტიკური მიმდინარეობების ბლოკი, ბლოკისტური პარტია. სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ბლოკისტური ხასიათის გამო, მეორე პერიოდს სოციალიზმ-ფედერალიზმის ისტორიაში შეიძლება ვუწოდოთ ბლოკისტური პერიოდი, რომელიც დაიწყო 1904 წლის აპრილიდან.

3. XX ს-ის დასაწყისში საქართველოში ჩამოყალიბდა ახალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური იდეოლოგია — სოციალიზმ-ფედერალიზმი. სოციალისტურ-ფედერალისტური მოძღვრება იყო ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგიის შეგუების ცდა განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი ეტაპის სინამდვილესთან, რაც გამოიხატა, ერთი მხრივ, არამარქსისტული სოციალიზმისა (ესერული და ანარქისტული თეორიები) და, მეორე მხრივ, ეროვნული იდეოლოგიის კომპრომისით და სინთეზით. სოციალიზმ-ფედერალიზმის ეროვნულ-რევოლუციური თეორიის მიზანი იყო იდეოლოგიურად დაესაბუთებინა, საქართველოს რევოლუციური და ეროვნული პოლიტიკური მიმდინარეობების კონსოლიდაციის საჭიროება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლიტიკური პარტიები და მიმდინარეობები საქართველოში და მათი კლასიფიკაცია 1905—1907 წლების სახალხო რევოლუციის პერიოდში

XIX—X საუკუნეების რუსეთის სახელმწიფოს ისტორიას თვალი რომ გადავავლოთ, ერთ დამახასიათებელ ტენდენციას შევნიშნავთ. დიდმნიშვნელოვან და სერიოზულ ომებში რუსეთის დამარცხებას და იმპერიის საგარეო-პოლიტიკური ვითარების გამწვავებას მუდამ მოჰყვებოდა შედეგად თვითმპყრობელურ-ავტორიტარული სისტემის კრიზისი, ქვეყნის საშინაო ცხოვრების გართულება. უპირველესად, ეს გართულება გამოიხატებოდა ავტორიტარული სისტემის დამცველ-მომხრეთა და მის მოწინააღმდეგე ოპოზიციური საზოგადოებრივი ძალების მწვავე დაპირისპირებაში. კრიზისის პირას მდგარი თვითმპყრობელობა ტრადიციულად ცდილობდა ჯერ პალიატური ხასიათის ღონისძიებებით დაეცხრო საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობა, ნახევარრეფორმებით გაეჯანსაღებინა არსებული სისტემა, ხოლო როდესაც, როგორც იტყვიან, ფასადის მოპირკეთება ვერც ერთ, ვერც მეორე პრობლემას ვეღარ წყვეტდა, მაშინ თვითმპყრობელობა გადამწყვეტ იერიშზე გადასვლით სპობდა ოპოზიციას, რამდენადაც მას ამის უნარი შესწევდა.

პირველი სერიოზული კრიზისი თვითმპყრობელობას ყირიმის ომში მარცხის შემდეგ დაუდგა. XIX ს-ის 50—60 წლების მიჯნაზე რუსეთის მოწინავე საზოგადოება რევოლუციონერ-დემოკრატთა თავკაცობით აქტიურად გამოვიდა ავტორიტარული სისტემის დემოკრატიული გარდაქმნის პროგრა-

მით. თვითმპყრობელობამ ჯერ 60-იანი წლების ცხოვრ. რეფორმებით, ხოლო შემდეგ „თეთრი ტერორის“ რეაქციით უპასუხა რევოლუციურ-ოპოზიციურ გარდამქმნელ მოძრაობას. მეორე კრიზისის წინაშე რომანოვების მონარქისტული რეჟიმი რუსეთ-იაპონიის ომში სასტიკი დამარცხების შემდეგ აღმოჩნდა, ხოლო მესამე დარტყმა საბოლოო იყო — იგი პირველ მსოფლიო ომში მონაწილეობამ მოუტანა რუსეთის ხალხმწიფოს და მონარქიის დამხობით დამთავრდა.

ყველაზე მძაფრი შეჯახება მონარქიასა და ანტიმონარქისტულ სტიქიას შორის რუსეთის პირველი სახალხო რევოლუციის ეპოქაში მოხდა. რა თქმა უნდა, რევოლუციური კრიზისი რუსეთის იმპერიის ცხოვრებაში, მთელი ისტორიული ეპოქის სინამდვილეში დაგროვილმა სოციალურმა, ეკონომიკურმა, პოლიტიკურმა, ეროვნულმა და სხვა ძირეული ხასიათის წინააღმდეგობებმა მოამზადა. მაგრამ იაპონიასთან წარუმატებელმა ომმა უკიდურესობამდე დაძაბა ეს წინააღმდეგობანი და საბაბის როლი შეასრულა რუსეთის იმპერიის სინამდვილეში დაკონსერვებული პროტესტანტული სტიქიის ვულკანურ ამოხეთქვაში. 1904 წლის 19 დეკემბერს შორეულ აღმოსავლეთში რუსეთის არმიის კვანტუნის გამაგრებული რაიონის უფროსმა გენერალმა სტესელმა იაპონელთა მოიერიშე გენერალს ნოგის პარლამენტიორები გაუგზავნა და პორტ-არტურის სიმაგრის ჩაბარება შესთავაზა. რუსი გენერალიტეტის რწმუნებით, პორტ-არტური „მრისხანე, აუღებელი სიმაგრე იყო ყველა მტრებისათვის, ვინც არ უნდა ყოფილიყვნენ და საიდანაც არ უნდა მოსულიყვნენ ისინი“. ამ „მსოფლიოში ყველაზე მიუდგომელი სიმაგრის“ დაცემამ, თანამედროვეთა გადმოცემით, გამაოგნებელი შთაბეჭდილება მოახდინა რუსეთის საზოგადოების სხვადასხვა ფენებზე. სწორედ „პორტ-არტურის“ დაცემაზე პირველი გამოხმაურება იყო 9 იანვრის ‘ოვლენები პეტერბურგში“, რომელმაც დასაბამი მისცა განმათავისუფლებელი მოძრაობის აზვირთების იმპერიაში. „უკანასკნელი წლების საზოგადოებრივი მოძრაობის უმაღლესი განვითარების პერიოდის ან მისი რევოლუციური პერიოდის დასაწყისად, ეჭვს გარეშეა, უნდა ჩაითვალოს რუსეთ-იაპონიის ომი, — წერდა 1909 წელს რუსი ისტორიკოსი ევგ. მაევ-

სკი, — უფრო მეტიც: ამ ომით დაიწყო რუსეთის ისტორიის ახალი პერიოდი. ამ ომით დაიწყო რუსეთის საზოგადოებრიობის უახლესი ისტორია, რომელსაც დღემდე არ უთქვამს თავისი საბოლოო სიტყვა"[1].

ეროვნული ბიბლიოთეკა

განმათავისუფლებელი მოძრაობა მიმართული იყო ძველი, დრომოჭმული ფეოდალურ-მემამულური სისტემის წინააღმდეგ და უპირველეს ყოვლისა სოციალური თავისუფლებისა და თანასწორობის დასამყარებლად მიისწრაფოდა. მოძრაობის მეორე შემადგენელ და მაცოცხლებელ არტერიას იმპერიაში შემავალი ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა წარმოადგენდა. რუსეთის იმპერიის ორივე მთავარი უკულმართობის — სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წარმმართველი და სიმბოლო, თვითმპყრობელურ-ავტორიტარული მონარქია იყო და ამიტომ განმათავისუფლებელი მოძრაობის უპირველეს მიზანს მონარქიის დამხობა და საზოგადოების დემოკრატიული გარდაქმნა წარმოადგენდა.

განმათავისუფლებელ მოძრაობაში რუსეთისა და იმპერიის შემადგენლობაში მყოფი ქვეყნების მეტ-ნაკლებად ყველა ძირითადი საზოგადოებრივი კლასები, ფენები, სოციალური ჯგუფები ჩაებნენ: ლიბერალური ბურჟუაზია, წვრილბურჟუაზიული ფენები, პროლეტარიატი, გლეხობა, სტუდენტი ახალგაზრდობა, ინტელიგენცია, ეროვნული უფლებებისათვის ენერგიული პოლიტიკური ბრძოლა წამოიწყეს „ხალხთა საპყრობილეში" მოქცეულმა ხალხებმა: პოლონელებმა, ფინელებმა, ბალტიისპირელებმა, უკრაინელებმა, ქართველებმა, სომხებმა და სხვ. როგორც სოციალურ, ისე ეროვნულ-განმათავისუფლებელ მასობრივ ბრძოლას პირველი რევოლუციის პერიოდში მომრავლებული პოლიტიკური პარტიები ხელმძღვანელობდნენ და წარმართავდნენ. პარტიებს ქმნიდნენ აგრეთვე მონარქისტული სისტემის მომხრეებიც, რომელნიც „კრა-

---

[1] Е. Маевский. Массовое движение с 1904 по 1907 г. В кн. общественное движение в Росии в начале XX века. Под ред. Л. Мартова, П. Маслова и А. Потресова. III—II, часть первая. С.-Петербург. 1909. с. 35.

მოლის“ წინააღმდეგ თვითმპყრობელობის ერთგულ და ისევ
იმედო ძალას წარმოადგენდნენ.

პირველი რევოლუციის პერიოდში საქართველოში ოცამ-
დე პოლიტიკური პარტია, მიმდინარეობა თუ ჯგუფი მოქმე-
დებდა. მთავარი პარტიები სოციალ-დემოკრატები და შემდეგ
ეი — სოციალისტ-ფედერალისტები იყვნენ. დანარჩენთაგან
ზოგიერთი უმნიშვნელო პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდა,
მაგრამ ხშირად სუსტი პარტიები ერთიან ბლოკს ქმნიდნენ
და მათი არსებობის გაუთვალისწინებლობა ისტორიული ფაქ-
ტის მიჩქმალვა იქნებოდა. ზოგიერთი საზოგადოებრივი ჯგუ-
ფი პარტიად ჩამოყალიბებული არ იყო, მაგრამ გარკვეულ
პლატფორმაზე იდგა და პოლიტიკური მიზანი ამოძრავებდა.
ყველა ეს პოლიტიკური პარტიები და მიმდინარეობები პირ-
ველი რევოლუციის პერიოდში აყალიბებდნენ საქართველოს
საზოგადოებრივ-პოლიტიკურ რუკას.

საქართველოს საზოგადოებრივ ასპარეზზე პოლიტიკური
პარტიების გამოსვლა ჰქონდა მხედველობაში არჩ. ჯორჯაძეს,
როცა წერდა, რომ უკანასკნელი 15 წელიწადი „საინტერესო
ხანა“ იყო ჩვენში. „ამ ხანაში გაჩნდნენ პირობები, რომლებ-
მაც სიცოცხლე მისცეს და სული ჩაუდგეს ქართულ პოლიტი-
კურ აზროვნებას“. შემდეგ ქართული სოციალიზმ-ფედერა-
ლიზმის იდეოლოგი განაგრძობდა: „ფრიად მდიდარი და სა-
ყურადღებო თემაა ამ მოვლენათა სერიის შესწავლა, გამოკ-
ვლევა იმის, თუ რა დამოკიდებულება აქვთ ყველა ამ მოვ-
ლენათ ერთმანეთში და რა ხასიათისაა ფიზიონომია თვითთ-
ეულისა, რაგვარ არიან ისინი დაკავშირებულნი ჩვენს ცხოვ-
რებასთან და რა მომავალი მოელის თვითეულ მათგანს ჩვენი
ხალხის პოლიტიკურ ზრდის მსვლელობაში“[2]. პოლიტიკური
პარტიების მოღვაწეობა, მრავალპარტიულობა არჩ. ჯორჯაძეს
ქართველი ხალხის საზოგადოებრივი ცხოვრებისა და აზროვ-
ნების განვითარების საიმედო კომპონენტად, წანამძღვრად
ესახებოდა.

1906 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში „რუსეთის პოლი-

---

[2] არჩ. ჯ ო რ ჯ ა ძ ე, თხზულებანი, წიგნი პირველი, ეროვნული პრობ-
ლემის გარშემო (პოლემიკური წერილები), ტფილისი, 1911, გვ. 140.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბურ პარტიათა კლასიფიკაციის ცდა“ ვ. ი. ლენინი გამოყოფდა რუსეთში არსებული პარტიების ხუთ მთავარ ჯგუფს. ესენი იყვნენ: 1. შავრაზმული, რეაქციულ-თავადაზნაურული პარტიები; 2. ბურჟუაზიულ-რეაქციული; 3. ლიბერალურ-მონარქისტული; 4. წვრილბურჟუაზიულ-დემოკრატიული და 5. სოციალ-დემოკრატიული პარტიები. უფრო შემჭიდროებულად პოლიტიკური პარტიები 1917 წელს ვ. ი. ლენინმა ოთხ მთავარ ბანაკში მოაქცია: „ა) კადეტებზე უფრო მემარჯვენე პარტიები და ჯგუფები; ბ) კონსტიტუციონალ-დემოკრატიული პარტია და მასთან დაახლოებული ჯგუფები; გ) სოციალ-დემოკრატები, სოციალისტ-რევოლუციონერები და მათთან დაახლოებული ჯგუფები და დ) „ბოლშევიკების“ პარტია, რომელსაც უნდა ერქვას კომუნისტური პარტია“[3].

ცხადია, ლენინის აღნიშნული კლასიფიკაცია რუსეთის, ისევე როგორც ნებისმიერი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის სამ ბანაკად: მემარჯვენე, ცენტრის და მემარცხენე-ბანაკებად დაყოფის პრინციპს ეყრდნობოდა. 1907 წელს თბილისში დასტამბულ წიგნში „ვინ რისთვის იბრძვის“ კითხულობთ: „რაც რუსეთში დღეს პარტიებია, შეიძლება სამ ჯგუფად გავყოთ. ერთს ჯგუფს შეადგენენ შავრაზმელების პარტია და მათი მონათესავე ოქტიაბრისტების პარტია, მეორეს — კონსტიტუციის მომხრე ან კადეტების პარტია და მესამეს სოციალისტური პარტიები“[4].

პირველი რევოლუციის პერიოდში საქართველოში არსებობდა რამდენიმე შავრაზმული ორგანიზაცია, რომელნიც ფაქტიურად ცენტრალური რეაქციული პარტიების ადგილობრივ ორგანიზაციებს წარმოადგენდნენ. შავრაზმელი ბერების ი. ვოსტორგოვისა და ს. გოროდცევის თავკაცობით შეიქმნა ე. წ. „წესრიგის მომხრეთა პარტია“ და „რუს მუშათა კავშირი“. როდესაც თბილისში ახალი მეფისნაცვალი ვორონცოვ-დაშკოვი ჩამოვიდა, მას წარუდგნენ „წესრიგის მომხრეები“ და სპეციალური ადრესით „კრამოლის“ წინააღმდეგ ბრძოლაში თანადგომა აღუთქვეს.

---

[3] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ. ტ. 24, გვ. 96.

[4] ვინ რისთვისიბ რძვის, პარტიები და მათი პროგრამები (შედგენილი „ბიწის“ რედაქციის მიერ), თფილისი, 1907, გვ. 6.

არსებობდა აგრეთვე „თბილისის რუსული პატრიოტული საზოგადოება“, რომელსაც ხელმძღვანელობდა ცნობილი ოფიცერი, კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი გენერალი გრიაზნოვი. ირკვევა, რომ გრიაზნოვის თავკაცობითვე შეიქმნა კავკასიის შტაბის ოფიცერთა რეაქციული დაჯგუფება, რომელმაც ფაქტიურად ხელში აიღო ადგილობრივი ხელისუფლების სადავეები. ამ ორგანიზაციის აღვირახსნილი საქმიანობის შესახებ რუსეთის პირველ სახელმწიფო სათათბიროს მოახსენებდა ქართველი სოციალ-დემოკრატების ლიდერი და დეპუტატი ნ. ჟორდანია. მოვიყვანთ ამონაწერს სათათბიროს ერთ-ერთი სხდომის ოქმიდან. ჟორდანია დეპუტატებს მიმართავს, რომ როდესაც მთელს რუსეთში რეაქციამ გაიმარჯვა, შტაბის ოფიცერთა ამ ჯგუფმა გრიაზნოვის მეთაურობით, ფაქტიურად კავკასიის მეფისნაცვალს ხელისუფლება წაართვა. მხარე და ქალაქი „მედროვე-ოფიცრების“ ხელში აღმოჩნდა, რომლებმაც მრავალი ბოროტება ჩაიდინეს. შემდეგ ქართველი დეპუტატი ჩამოთვლის რამდენიმე დანაშაულებრივ აქციას და დაასკვნის: „მე შემიძლია მოვიყვანო სხვა შემთხვევებიც, როცა ამ ხულიგანმა ოფიცრებმა ჩაიდინეს მსგავსი ბოროტებანი“. სათათბიროს სხდომის თავმჯდომარე ჟორდანიას სიტყვას აწყვეტინებს: „გამონათქვამ „ხულიგანთან“ დაკავშირებით, მე თქვენ გაჩერებთ — შეგიძლია იგი სხვა სიტყვით შესცვალოთ. ჟორდანია — მაშინ მე მათ ვუწოდებ პატრიოტებს, ასე ეძახიან თბილისში ხულიგნებს. თავმჯდომარე — გთხოვთ, აღარ გაიმეოროთ, წინააღმდეგ შემთხვევაში სიტყვას ჩამოგართმევთ. ჟორდანია — მაშინ, სიტყვა ხულიგანის მაგიერ მე ვიხმარ „პატრიოტს“ წინწკლებში“[5]. ცხადია, ამგვარი „პატრიოტული“ ორგანიზაციების მესვეურებს განსაკუთრებულად სძულდათ ქართველი და სხვა ადგილობრივი ხალხები, მათი ისტორია, კულტურა. არანაკლები სიძულვილი ჰქონდა ქართველ ხალხს „პატრიოტების“ მიმართ. ამიტომაც, ქართველობამ სიყვარულით შემოსა ა. ჯორჯიაშვილი, რომელმაც 1906 წლის 18 იანვარს სიცოცხლეს გამოასალმა გენერალი გრიაზნოვი.

---

[5] Государственный Совет, 1906—1907 гг. С.-Петербург. 1907. с. 40.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სინამდვილეს, როგორც აღვნიშნეთ, მნიშვნელოვანი, ზოგჯერ კი ძირეული თავისებურებანი გააჩნდა განსხვავებით რუსეთის პოლიტიკური ცხოვრებისაგან. ერთ-ერთი ამგვარი თავისებურება იყო ის, რომ უკიდურეს მემარჯვენე ფრთაზე მდგარ რეაქციულ წრეებს საქართველოში არ შეუქმნიათ რაიმე ადგილობრივი წარმოშობის პოლიტიკური პარტია ან მიმდინარეობა. ეს უპირველესად იმით უნდა აიხსნას, რომ აშკარად რეაქციული ფენა ქართველ თავადაზნაურობაში უმნიშვნელო იყო. რაც შეეხება ქართველი ხალხის ინტერესებს დაპირისპირებულ ორიოდე რენეგატს, ისინი მიტმასნებულნი იყვნენ კავკასიის ადგილობრივ ადმინისტრაციულ ბიუროკრატიას თუ მეფის ხელისუფლების ცენტრალურ ორგანოებს. მათ არც სჭირდებოდათ შეექმნათ დამოუკიდებელი პოლიტიკური ორგანიზაცია, რადგან კმაყოფილნი იყვნენ არსებული სისტემით და ერთგულად ემსახურებოდნენ მონარქიას. ქართველი თავადაზნაურობის რეაქციული ნაწილი არანაკლები სისასტიკით ებრძოდა რევოლუციურ და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, ვიდრე გურიის დამრბევი ალიხანოვ-ავარსკი, ან მეფის რომელიმე გენერალი. რევოლუციის პერიოდში გორელი თავადების გ. ამილახვარისა და აბდუშელიშვილის თავკაცობით შეიქმნა შავი რაზმი — თავადაზნაურთა 700 კაციანი „დრუჟინა". „პროფესიულ ყაჩაღთა ეს ბრბო მათრახებითა და თოფებით შეიარაღებული დაძრწოდა ქართლის ქალაქებსა და სოფლებში და მშვიდობიან მოსახლეობას არბევდა"[6].

პრომონარქისტულად განწყობილ ქართველი თანადაზნაურობის ამ ნაწილს თავისი იდეოლოგებიც ჰყავდა, რომელთაც თვითმპყრობელობის შენარჩუნება „ეროვნულ საქმედ" მიაჩნდათ. მსხვილი თავადაზნაურობის ერთ-ერთი ასეთი წარმომადგენელი იყო რეაქციონერი მოღვაწე თავადი ანდრია ერისთავი, საქართველოს და, საერთოდ, განაპირა ქვეყნების მკვიდრთა — „ინოროდცების" წარმომადგენელი სახელმწიფო საბჭოში. 1916 წელს პეტერბურგში ა. ერისთავმა გამოსცა წიგნი

---

[6] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბ., 1972, ტ. VI, გვ. 237.

„საქართველოს ეკონომიური და სულიერი ცხოვრების კითხები“, რომელშიც ამტკიცებდა, რომ ვისაც საქართველოს ბედნიერება უნდა, მან ხელი უნდა შეუწყოს თავადაზნაურობის აღორძინებას და გაძლიერებასო. იგი უკმაყოფილოც კი იყო რუსეთის ცალკეული პოლიტიკური მოღვაწეებისა, რომლებმაც იმის გამო, რომ „ჯერეოვანის ყურადღებით არ მოეკიდნენ მსხვილი ქართველი მემამულეების ინტერესებს, დაასუსტეს თავისი პოლიტიკით ეს ერთადერთი ძლიერი და ფხიზელი კლასი... საქართველოში“[7].

განსხვავებით რუსეთის მემარჯვენე, რეაქციული პარტიებისაგან და ჯგუფებისაგან, რომელნიც მხოლოდ იმპერიის ერთიანობისა და განუყოფლობის მომხრენი იყვნენ, ცენტრში მდგარი ლიბერალურ-მონარქისტული ტიპის პარტიები ფორმალურად ცნობდნენ რუსეთის ფედერაციულ პრინციპებზე მოწყობის იდეას. ლიბერალურ-მონარქისტული პარტიების ეროვნული პოზიცია ზოგადად წარმოდგენილი იყო კონსტიტუციონალ-დემოკრატების პარტიის პროგრამით. კადეტები მხოლოდ რუს ბურჟუა-ლიბერალს როდი წარმოადგენდნენ. ისინი გამოხატავდნენ იმპერიის არარუსი ბურჟუაზიის ინტერესებსაც. ფაქტიურად კადეტები „ერთიანი და განუყოფელი რუსეთის“ მომხრეები იყვნენ, მაგრამ ფორმალურად ისინი ცნობდნენ იმპერიის ზოგიერთი მხარის, კერძოდ, ფინეთისა და პოლონეთისათვის საოლქო ავტონომიის უფლებას[8]. დაახლოებით ანალოგიურ პოზიციებზე იდგნენ კადეტებთან ახლოს მდგომი „მშვიდობიანი რეფორმების“, „დემოკრატიული რეფორმების“ პარტიები, „თავისუფლად მოაზრეთა“ პარტია და სხვ. „თავისუფლად მოაზრეთა“ პარტიის პროგრამის მიხედვით, მცირე ტერიტორიის მქონე მცირერიცხოვანი ერებისათვის ავტონომია გამოიხატებოდა მხოლოდ პირველდაწყებით სკოლებში ეროვნულ ენებზე სწავლების უფლებაში. ამ უფლებას აღნიშნული პარტია აკუთვნებდა ლიტველებს, მალოროსებს, ბელორუსებს, ესტონელებს, ლატვიელებს და

---

[7] გ. მაიაშვილი (ზდანოვიჩი), რჩეული ნაწერები, ტ. II, თბ., 1968, გვ. 420.

[8] ვინ რისთვის იბრძვის. გვ. 96.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლდაველებს. ზოგიერთ შემთხვევაში „საშუალო სკოლებ-ნი“, —სასამართლო და მმართველობის დაბალ ინსტანციებში, უფრო წვრილ საერობო ერთეულებში, დასასრულ, საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ამ სიტყვის ფართე მნიშვნელობით. ეროვნული ენის ხმარების უფლებას „თავისუფალ მოაზრეთა“ პარტია აკუთვნებდა სომხებს, ქართველებს და გერმანელებს, რაც შეეხება სრულ ავტონომიას, „ამისი ღირსნი“, აღნიშნული პარტიის პროგრამის მიხედვით, ფინელები და პოლონელები იყვნენ[9].

კადეტთა პარტიას იმპერიის პერიფერიებში საგუბერნიო კომიტეტები ჰქონდა ჩამოყალიბებული. ეს არ იყო პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციები, ამ სიტყვის მნიშვნელობით, ისინი უფრო საარჩევნო კომიტეტებს წარმოადგენდნენ და არჩევნების შემდეგ მოქმედებას წყვეტდნენ. ვ. ვ. შელოხაევის ნაშრომის მიხედვით, თბილისის კადეტთა ორგანიზაციაში 1906 წლის გაზაფხულისათვის 500 წევრი ითვლებოდა[10]. რაც შეეხება ქუთაისის გუბერნიას, აქ კადეტთა ორგანიზაციის არსებობის შესახებ დასახელებულ ავტორს ცნობები არ გააჩნია.

კადეტთა უღიმღამო მოღვაწეობის შესახებ საქართველოში ცნობები კანტიკუნტად შემოგვინახა მაშინდელმა პრესამ. 1906 წლის 27 იანვარს თბილისში, ინჟინერ გ. გ. კარაკოზოვის ბინაზე, შემდგარა ადგილობრივი კადეტების კრება. შერმუშავეს პარტიის პროგრამა და აირჩიეს ბიურო შემდეგი შემადგენლობით: გ. თუმანოვი, ა. ქალანთარი, მ. ლიჩკუსი, თავ. ვ. ნ. ჩერქეზოვი, ა. ფლორენსკი, თავ. ს. ს. ვახვახოვი, ა. დოლუხანოვი, პ. ოპოჩინინი, ქ. მამაცაშვილი, ვ. სოკოლოვი, თავ. პ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი და ტიგრანოვი. დასასელეს აგრეთვე 4 კანდიდატი, რომელთაგან ერთ-ერთი იყო ალ. ი. სარაჯევი — ალექსანდრე სარაჯიშვილი. ირკვევა, რომ არსებობდა კადეტთა პარტიის ქუთაისის ბიუროც. 1906 წლის დასაწყისში ორივე ბიუროს გადაუწყვეტია სახელმწი-

---

9 14 პროგრამა სრულიად რუსეთის სხვადასხვა და ორი ადგილობრივი პოლიტიკური პარტიისა, უთარიღოა, გვ. 46.

10 В. В. Шелохаев, Кадеты — главная партия либеральной буржуазии в борьбе с революцией 1905—1907 гг. М., 1983. с. 307.

ფო სათათბიროს არჩევნებში მონაწილეობის მიღებ...
ესის ბიურო იმდენად სუსტი იყო, რომ მარტის თვეში მოწვეული კრება არჩევნებთან დაკავშირებით არ შედგა მონაწილეთა სიმცირის გამო. საინტერესო ცნობაა „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკში“: ქ. მამაცაშვილს უარი უთქვამს კადეტთა პარტიის წევრობაზე, იმ მოსაზრებით, რომ ეს პარტია უმლური იყო შეემსუბუქებინა მძიმე ტვირთი მუშათა კლასისათვის, გაეუმჯობესებინა მშრომელთა მდგომარეობა[11].

მემარჯვენეებთან შედარებით, ადგილობრივი წარმოშობის მიმდინარეობებით უფრო წარმომადგენლობითი იყო საქართველოში პოლიტიკური ცენტრის პოზიციაზე მდგარი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჯგუფები. სოციალურად ცენტრის ბანაკს ასაზრდოებდა ქართველი ლიბერალური თავადაზნაურობა და ახალგაზრდა ეროვნული ბურჟუაზია. ლიბერალური თავადაზნაურობისა და ბურჟუაზიის უმრავლესობა პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პერიოდში ძირითადად უპარტიო სოციალურ ფენას წარმოადგენდა, თუმცა კლასობრივი ფსიქოლოგიით ახლოს იდგა კადეტურ მსოფლმხედველობასთან. 1905—1907 წლების აზვირთებული ხალხი მოძრაობის დროს „ლიბერალური ქართველი თავადაზნაურობა შიშით შეჰყურებდა საქართველოს მოთხრა-განადგურების მიზნით მეფის მთავრობის მიერ გატარებულ სისხლიან ღონისძიებებსაც და აჯანყებული მშრომელი ხალხის ბრძოლასაც“[12]. მიუხედავად ამისა, რუსულ ლიბერალიზმთან შედარებით მეტი რადიკალიზმი ქართველმა ლიბერალურმა თავადაზნაურობამ ეროვნულ საკითხში დაიკავა, როცა მხარი დაუჭირა საქართველოს ავტონომიის მოთხოვნას. ამით თავადაზნაურულმა ინტელიგენციამ თავისი წვლილი შეიტანა პირველი რევოლუციის პერიოდის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

1906 წელს ცნობილმა ქართველმა ლიბერალ-პატრიოტმა, სოხუმის ქალაქისთავმა ნიკო თავდგირიძემ მოსკოვში მოწვეულ საერობო და საქალაქო წარმომადგენელთა ბიუროში წა-

---

11. კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკ. 1906. 1 თებერვალი.

12 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბ., ტ. VI, გვ. 237.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადგინა მოხსენება, რომელშიც წამოყენებული იყო იმპერიის განაპირა ქვეყნებისათვის სრული თვითმმართველობის მინიჭების საჭიროება, კერძოდ კი, საქართველოსათვის ეროვნული ავტონომიის მოთხოვნა. ავტორის აზრით, ავტონომია საქართველოს ეკუთვნოდა „ისტორიული უფლებითაც“.

ქუთაისის საქალაქო საბჭოს განსაკუთრებული კომისიის მიერ მიღებული რეზოლუცია მოითხოვდა მმართველობის დეცენტრალიზაციას, ფართო პოლიტიკურ თვითმმართველობას და საქართველოს ავტონომიას. 1905 წლის 1 აპრილს თბილისში შემდგარმა სათავადაზნაურო კრებამ ხმების დიდი უმრავლესობით მხარი დაუჭირა საქართველოს ავტონომიის მოთხოვნას.

ყველაზე ამომწურავად ქართველი ლიბერალური თავადაზნაურობის მოთხოვნების ხასიათი აისახა იმპერატორისადმი მირთმეულ ადრესში, რომელშიც „უქვეშევრდომილესი თხოვნის“ სახით იყო წამოყენებული საქართველოს თვითმმართველობის პრინციპებზე მოწყობის მოთხოვნა, თუმცა ავტონომია არ იყო ხსენებული. ქართველი ხალხის კულტურული განვითარება, — ვკითხულობთ ადრესში, — მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, „თუ საქართველოს, რუსეთის სახელმწიფოს ამ განუყოფელ ნაწილს და ნებაყოფლობით მასთან შეკავშირებულს, მიენიჭება უფლება საკუთარ კანონებით მართვა-გამგეობისა. ეს კანონები უნდა დადგენილ იქნას ადგილობრივ წარმომადგენლობით კრების მიერ, არჩეულის მთელი საქართველოს მცხოვრებთა მიერ“[13].

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, როგორ დაუკავშირა გაზეთმა „საქართველომ“ ეროვნული ავტონომიის მოთხოვნა 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატს. XX ს-ის დასაწყისში ავტონომისტურ მოძრაობაში, რომელსაც საქართველოს არაპროლეტარული ოპოზიციის სხვადასხვა მიმდინარეობები ავსებდნენ, არსებობდა მიმართულება, რომელსაც შეიძლება უფლებრივ-ავტონომისტური ვუწოდოთ. ამ მიმართულების წარმომადგენლებს მიაჩნდათ, რომ 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატი თავისთავად გულისხმობდა საქართველოს საშინაო

---

[13] გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1905, 2 აპრილი.

დამოუკიდებლობას — ავტონომიას. ამდენად, ავტონომიის მოთხოვნას საქართველოს სინამდვილეში იურიდიულ-ისტორიული უფლების სტატუსი ეძლეოდა და დამყარებული იყო გეორგიევსკის ტრაქტატის პირობებზე. რამდენადაც ტრაქტატი რუსეთის იმპერიის მიერ ცალმხრივად დარღვეული საერთაშორისო ხასიათის ხელშეკრულება იყო, საჭირო იყო ამ ხელშეკრულების პირობების აღდგენისათვის ბრძოლა. ვის უნდა აღედგინა დარღვეული სამართალი? ქართველი უპარტიო ლიბერალური და დემოკრატიული ინტელიგენციის ერთ ნაწილს მიაჩნდა, რომ ხელშეკრულების პირობები რუსეთის მონარქს უნდა აღედგინა; მეორე ნაწილი ფიქრობდა, რომ საქართველოს ავტონომიას რუსეთის მომავალი დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტი მისცემდა; მესამე ნაწილს კი ბურჟუაზიული პარლამენტის, მით უფრო თვითმპყრობელობის იმედი არ ჰქონდა და თავის იმედებს „განათლებული" ევროპის საერთაშორისო სამართალს უკავშირებდა.

საქართველოსათვის ეროვნული ავტონომიის ისტორიული უფლების კანონიერების იურიდიულ-სამართლებრივი დასაბუთება სცადა გ. ჟორდანიამ. 1907 წელს ქუთაისში დაისტამბა გ. ჟორდანიას წიგნაკი — „აქვს თუ არა საქართველოს კანონიერი უფლება მოითხოვოს ავტონომია", მაგრამ მეფის ცენზურამ იგი აკრძალა და წიგნი მხოლოდ 1917 წელს ეღირსა დღის სინათლეს, „სრულიად უცვლელად".

ავტორი თავისი „წიგნაკის" დასაწყისშივე მიუთითებს, რომ საქართველოსათვის ავტონომიის მინიჭების საჭიროებაზე, მის სხვადასხვა ეკონომიურ, კულტურულ, პოლიტიკურ თუ სოციალურ ასპექტებზე, ბევრი რამ თქმულა. მაგრამ ცოტას თუ აღუნიშნავს, რომ გარდა ამ სხვადასხვა „ასპექტებისა", საქართველოს აქვს კიდევ ერთი — ისტორიული უფლება ავტონომიის მოთხოვნისა, რომელიც დამყარებულია „მტკიცე, შეურყეველ ისტორიულ-იურიდიულ საბუთებზე". ასეთი „საბუთი" იყო 1783 წლის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულება[14].

---

[14] გ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, აქვს თუ არა საქართველოს კანონიერი უფლება მოითხოვოს ავტონომია. თბ., 1917, გვ. 7.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეორგიევსკის ტრაქტატი საერთაშორისო ხელშეკრულება იყო და იგი უნდა განეხილა საერთაშორისო სასამართლოს. რომლის შესახებ საუბარი ჯერ კიდევ „საქართველომ“ წამოიწყო 1903 წელს. „თუ საერთაშორისო სამართალს რაიმე ძალა და ფასი აქვს, ამ სამართალმა უნდა განგვსაჯოს და წარმეული დაგვიბრუნოსო“, წერდა გაზეთი[15].

უფლებრივ-ავტონომისტური მიმდინარეობის პრაქტიკული საქმიანობის ყველაზე დიდი გამოხატულება იყო ე. წ. „საქართველოს ხალხის მემორანდუმი“, რომელიც ამ მოძრაობის მესვეურებმა წარუდგინეს ჰაგის სამშვიდობო კონფერენციას 1907 წელს. კონფერენცია მოწვეული იყო რუსეთის მთავრობის ინიციატივით. ემიგრაციაში მყოფი ცნობილი ქართველი რევოლუციონერისა და მოღვაწის ვარლამ ჩერქეზიშვილის მეშვეობით მემორანდუმი მიიღო ლონდონში იმჟამად არსებულმა „საქართველოს დაცვის საზოგადოებამ“, რომელმაც დოკუმენტი გადასცა ჰაგის კონფერენციის მუდმივი ტრიბუნალის წევრს პროფესორ ნისს. ამ უკანასკნელმა მემორანდუმი კონფერენციის მონაწილეებს გააცნო[16]. „საქართველოს ხალხის მემორანდუმი“ უაღრესად მნიშვნელოვანი ისტორიულ-იურიდიული დოკუმენტია და ამჟამად ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს. ტექსტი ბროშურის სახითაა გამოქვეყნებული, ალბათ 1907 წელს[17].

„მემორანდუმის“ ავტორთა და ხელისმომწერთა სამწუხაროდ, ევროპის ყურადღება თანაგრძნობას არ გასცილებია. ჰაგის კონფერენცია ევროპის განიარაღებისა და იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ორ დაჯგუფებას შორის დაძაბულობის მოჩვენებითი ნორმალიზაციის პრობლემებით იყო დაკავებული და ქართველი ხალხის ეროვნული სატკივარისათ-

---

15 გაზ. „საქართველო“, პარიზი, 1903, 15 მაისი.

16 ე. მაღრაძე, მეველე — დათა მიქელაძე, თბ., 1963, გვ. 52.

17 საქართველოს ხალხის მემორანდუმი წარდგენილი 1907 წლის საერთაშორის კონგრესზედ ჰაგაში.

ვის არ ეცალა. მიუხედავად ამისა, „საქართველოს ხალხის მემორანდუმი“ მნიშვნელოვანი იურიდიულ-ისტორიული დირებულების დოკუმენტი იყო, რომელმაც საერთაშორისო სამართლებრივი ორგანოსა და ოფიციალური ევროპის ყურადღება მიიპყრო და საქართველოს ეროვნული ავტონომიის მოთხოვნა მათს წინაშე დასვა. მეორე მხრივ, „მემორანდუმმა“ ნათელყო ქართველი ხალხის ეროვნულ-პოლიტიკური თვითშეგნების ზრდა, განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობა, რომელიც ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენისაკენ მიემართებოდა[18].

განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობით გულმოცემული ქართველი ლიბერალური თავადაზნაურობის პრაქტიკული საქმიანობა ამგვარ თხოვნებს და ცალკეულ განცხადებებს არ გასცილებია. პირიქით, უფრო ზომიერი ნაწილი თავიდანვე წინააღმდეგი იყო ისეთი „რადიკალური მოთხოვნებისა“, როგორიც ავტონომია იყო. ამ დასის წარმომადგენლები, დარწმუნებულნი, ხელმწიფე-იმპერატორის სამართლიანობაში, საქართველოს თავზე დატეხილ უბედურებაში მხოლოდ ადგილობრივ კოლონიურ ბიუროკრატიას სდებდნენ ბრალს. „რუსეთის გვირგვინოსანთ უყვარდათ ჩვენი ქვეყანა, — სერიოზულად უმტკიცებდა თავადაზნაურთა კრებას ერთ-ერთი ზომიერთა დასელი, — მაგრამ ბიუროკრატია ხელს უშლიდა, რომ მათ ეს სიყვარული საქმედ ექციათ. ამ ბიუროკრატიას უნდა შევებრძოლოთ ჩვენ ყველანი“. რაც შეეხება ავტონომიას, იგივე ორატორი წინააღმდეგი იყო ამ მოთხოვნისა, რადგან „ჩვენ განვარისხებთ რუსეთის საზოგადოების საუკეთესო ელემენტებსო“[19].

მიუხედავად ეროვნულ საკითხში დაკავებული პროგრესულ-დემოკრატიული პოზიციისა, ლიბერალური თავადაზნაურული ინტელიგენციის პოზიცია კონსერვატიული იყო კლა-

---

18 იხ. ჩვენი წერილი: „საქართველოს ხალხის მემორანდუმი“, რომელშიც ეს დოკუმენტია გამოქვეყნებული. ჟურნალი „დროშა“, 1989, დეკემბერი, გვ. 6—7.

19 ციტირებულია წიგნიდან: არჩ. ჯორჯაძე, თხზულებანი 1, ტფ., 1911, გვ. 237.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სობრივ საკითხში, რომლის შესახებ მას თითქმის სიტყვა აღ-
დასცდენია თავის ადრესებსა და რეზოლუციებში.

პირველი სახალხო რევოლუციის პერიოდის საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში სრულიად განსაკუთრებული როლი შეასრულა დიდი ქართველი საზოგადო მოღვაწის ი. ჭავჭავაძის ეროვნულ-პოლიტიკურმა საქმიანობამ. ილიას გარშემო შემოკრებილმა პატრიოტ-დემოკრატთა დასმა, თავად ილიას მაღალმა ავტორიტეტმა და აქტიურმა პოზიციამ მნიშვნელოვნად განაპირობა ავტონომიის მომხრე ეროვნული ძალების კონსოლიდაცია საქართველოში. ჩვენ ვრცლად შევჩერდებით ილიას მოღვაწეობის ერთ კონკრეტულ საკითხზე, კერძოდ, მის საქმიანობაზე რუსეთის სახელმწიფო საბჭოში.

1906 წლის აპრილის პირველ რიცხვებში ი. ჭავჭავაძე პეტერბურგში ჩავიდა. 8 აპრილს ილია სახელმწიფო საბჭოს წევრად აირჩიეს. ჩვენი დიდი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის დემოკრატიულმა ეროვნულ-სოციალურმა პროგრამამ, ილიას კოლორიტულმა პიროვნებამ პეტერბურგის პრესისა და საზოგადოებრიობის ყურადღება მიიპყრო. ცნობილი ქართველი ჟურნალისტი მ. ბოლქვაძე იგონებდა, რომ ილიასაგან ინტერვიუ აუღიათ პეტერბურგის გაზეთებს. ინტერვიუში ილიას საქვეყნოდ განუცხადებია, რომ საბჭოში მთელი საქართველოს და ქართველთა ინტერესების დამცველი იქნებოდა და არა ერთი რომელიმე კლასისა[20].

ი. ჭავჭავაძის მიერ დაკავებული ეროვნული და სოციალური პოზიციის შესახებ საბჭოში მიუთითებს 1907 წელს პეტერბურგში გამოცემული ოფიციალური ხასიათის წიგნი „სახელმწიფო საბჭო“, რომელშიც ვკითხულობთ: „აგრარულ საკითხში თანახმაა იძულებითი ჩამორთმევისა, თუ ეს სახელმწიფოებრივი აუცილებლობის საკითხად იქნება მიჩნეული. თავადი მომხრეა ფართო ადგილობრივი თვითმმართველობისა, ფართო ადგილობრივი საკანონმდებლო ხელისუფლებით“.

---

20 მ. ბ ო ლ ქ ვ ა ძ ე, ახლო წარსულიდან, ჟურნ. „განათლება“, 1908, № 3—4, გვ. 8.

ორივე ეს წყარო, პირველი — მემუარული, მეორე კი — [illegible] ციალური ხასიათისა, კარგადაა ცნობილი ჩვენი ისტორიოგრაფიისათვის.

სახელმწიფო საბჭოს სხდომათა ოქმებში ვხვდებით ილიას რამდენიმე გამოსვლას. სამწუხაროდ, ვერც ეს გამოსვლები, ვერც ზემოაღნიშნული მონაცემები, ვერ გვაძლევენ მეტნაკლებად ნათელ სურათს სახელმწიფო საბჭოში ილიას საქმიანობის, საერთოდ, მისი პეტერბურგის პერიოდის მოღვაწეობის შესახებ. ილია პეტერბურგში — ეს პრობლემა უთუოდ შემდგომ შესწავლას საჭიროებს და არაერთ საინტერესო ფაქტს, მოვლენას წარმოაჩენს ჩვენი დიდი მოღვაწის ბიოგრაფიიდან. ამჯერად ჩვენ საგანგებოდ დავინტერესდით ამ პრობლემის კვლევის მხოლოდ ერთი მიმართულებით — პეტერბურგის 1906—1907 წლების პრესაში საგულვებელი ცნობებით ი. ჭავჭავაძის შესახებ. აღმოჩნდა რამდენიმე საინტერესო ცნობა, რომელნიც ავსებენ ჩვენს წარმოდგენას ი. ჭავჭავაძის პოლიტიკური პორტრეტის, მისი მოღვაწეობის პეტერბურგის პერიოდის შესახებ.

1906 წლის 8 აპრილს შედგა სახელმწიფო საბჭოს წევრთა მორიგი არჩევნები. მოკლე ინფორმაციებში პეტერბურგის გაზეთები „როსია", „სლოვო" და სხვები საბჭოში არჩეულთა შორის მოიხსენიებენ „თავად ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძეს". უფრო ვრცლად არჩევნებს გამოეხმაურა გაზეთი „რეჩ". სტატიაში „სახელმწიფო საბჭოს ახალი წევრები", გაზეთი აღნიშნავდა, რომ საბჭოს 18 ახალი წევრიდან 13 ეკუთვნოდა მემარჯვენე ცენტრის ფრთას, 4 წევრი — უკიდურეს მემარჯვენე ფრთას. მხოლოდ ერთი მათგანი — „ზოგი შესწორებით თანაუგრძნობდა სახალხო თავისუფლების პარტიის პროგრამას, ხოლო ზოგიერთ პუნქტში მასზე მემარცხენე თვალსაზრისზე იდგა. სახელმწიფო საბჭოს ეს ერთადერთი ახლადარჩეული პროგრესული წევრი, — წერდა გაზეთი „რეჩ", — ცნობილი ქართველი მწერალი, პოეტი და პუბლიცისტი თავადი ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე" იყო[21].

---

[21] გაზ. „რეჩ" 1906, 10 აპრილი, „სახელმწიფო საბჭოს ახალი წევრები". (აქ და ამის შემდეგ რუსული გაზეთები, ამ თავში, მითითებული ქნება ქართულად — დ. შ.).

ამის შემდეგ გაზეთი მკითხველს აცნობდა ი. ჭავჭავაძის ეროვნული ბიბლიოთეკა
მოკლე ბიოგრაფიას, შენიშნავდა, რომ სახელმწიფო საბჭოს ახალი დეპუტატის მთელი საზოგადოებრივი მოღვაწეობა დაკავშირებული იყო „მის მშობლიურ ქართველ ხალხთან“. თავისი ლიტერატურული, პუბლიცისტური და საზოგადოებრივი საქმიანობით ი. ჭავჭავაძემ „ფრიად საპატიო სახელი დაიმსახურა არა მარტო ქართველთა, არამედ მსოფლიოს ყველა კულტურულ ხალხს შორის“, — წერდა გაზეთი.

„რეჩი“ გადმოსცემდა ი. ჭავჭავაძის ეროვნულ-სოციალურ კრედოს. გაზეთის მართებული აზრით, ი. ჭავჭავაძე „ქართველი ხალხისათვის“ მოითხოვდა „ფართო ადგილობრივ თვითმმართველობას ადგილობრივ კითხვებში საკანონმდებლო უფლებით“. აგრარულ საკითხში ან როგორც „რეჩი“ აღნიშნავდა, „მიწების ჩამორთმევის საკითხში“, ი. ჭავჭავაძე მომხრე იყო „ყველაზე ფართო დათმობებისა მშრომელი მასების ინტერესებისათვის“.

ცხადია, ი. ჭავჭავაძის მიერ „ქართველი ხალხისა“ და საერთოდ „მშრომელი მასების ინტერესების“ დაცვის ჭეშმარიტად დემოკრატიული პოზიცია სრულიად გაუგებარი და მიუღებელი იყო სახელმწიფო საბჭოს ჩინოვნიკურ-რეაქციული უმრავლესობისათვის.

სახელმწიფო საბჭო 1810 წელს შეიქმნა, როგორც რუსეთის იმპერიის უმაღლესი კანონსათათბირო ორგანო. აქ იხილავდნენ კანონპროექტებს, რომლებსაც იმპერატორი ამტკიცებდა. საბჭოს წევრებს და თავმჯდომარეს თვით იმპერატორი ნიშნავდა თავის ერთგულ დიდმოხელეთაგან. რუსეთის პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ტალღამ სახელმწიფო საბჭოს მიუვალ ციხესიმაგრემდეც მიაღწია და მისი რეფორმირება გამოიწვია. 1906 წლიდან საბჭოს შემადგენლობის ნახევარს კვლავ იმპერატორი ნიშნავდა, მაგრამ ნახევარი წევრებისა უნდა ამოერჩიათ.

პირველი არჩევნების შედეგად საბჭოში ორიოდე პროგრესული მოღვაწე, როგორც იტყვიან, „გაძვრა“, მაგრამ ამას სახელმწიფო საბჭოს რეაქციული არსი არ შეუცვლია. მისი უმრავლესობა კვლავ თვითმპყრობელობის ერთგულ პირთაგან შედგებოდა და მტრულად უყურებდა მის შემადგენლობა-

ში მოხვედრილ პროგრესისტთა მცირერიცხოვან ჯგუფს ილიას არჩევის პერიოდში სახელმწიფო საბჭოს საპატიო თავმჯდომარე იყო დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე, თავმჯდომარე — სტატს მდივანი ფრიში. მასში შედიოდნენ: სამი დიდი მთავარი და იმპერატორის ერთგულ მოხელეთა ესკორტი: გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი, დურნოვო, ვიტე, მარკოვ პირველი და მარკოვ მეორე; გრაფები, ბარონები, გოფმაისტერები და სხვანი და სხვანი. აი, სად აირჩიეს ილია და რა მიმართულების მოღვაწეთა შორის იქადაგა მან ფართო თვითმმართველობა და მიწების ჩამორთმევა „მშრომელი მასების ინტერესებისათვის“.

ამიტომ სრულიად ბუნებრივი იყო სახელმწიფო საბჭოს უმრავლესობის უარყოფითი რეაქცია ი. ჭავჭავაძის პოლიტიკური პროგრამის მიმართ. მეტიც, მათ ეჭვქვეშ დააყენეს საერთოდ ი. ჭავჭავაძის არჩევის საკითხი, მისი კანდიდატურა. ქართველი დეპუტატის „გაბედულმა სიტყვამ, — წერდა პეტერბურგის გაზეთი „რეჩი“, — შეაშფოთა ცენტრის და განსაკუთრებით უკიდურეს მემარჯვენეთა წარმომადგენლები. თავადის კანდიდატურა შესამჩნევად შეირყა“. გაზეთის აზრით, ი. ჭავჭავაძის კანდიდატურა იხსნა თურმე სახელმწიფო საბჭოს წევრთა მეორე ქართველი ამომრჩევლის, ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობის მიერ არჩეული ვ. მიქელაძის „მგზნებარე“ სიტყვამ. მიქელაძემ საბჭოს წევრთა ყურადღება გაამახვილა რუსეთის ერთიანობისა და განუყოფლობის იდეაზე. სწორედ ამანო, — დაასკვნიდა „რეჩი“, — „გამოასწორა თავ. ჭავჭავაძის საქმის მდგომარეობა. და თუმცა მან ბალტიისპირეთის... წარმომადგენელთან შედარებით ხმების ნაკლები რაოდენობა მიიღო, მაგრამ მაინც არჩეულ იქნა სახელმწიფო საბჭოს წევრად“.

სახელმწიფო საბჭოში ი. ჭავჭავაძის არჩევის საკითხი რომ გართულებულა, ამის შესახებ პეტერბურგის სხვა გაზეთებიც იუწყებოდნენ. როგორც ჩანს, საკითხი ამგვარად იდგა: 1. საბჭოს უმრავლესობა ზედმეტად მიიჩნევდა, რომ კავკასიას, მით უფრო საქართველოს, თავისი წარმომადგენელი ჰყოლოდა ამ ორგანოში; 2. საბჭოს განსაკუთრებით რეაქციული ნაწილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინააღმდეგი იყო აერჩიათ წევრად ისეთი პროგრესული და დემოკრატიული მოღვაწე, როგორც ი. ჭავჭავაძე იყო.

1906 წლის 11 აპრილს გაზ. „ბირჟევიე ვედომოსტში“ გამოქვეყნდა ქუთაისის გუბერნიის წარმომადგენლის ვ. მიქელაძის ინტერვიუ სათაურით — „კავკასიის წარმომადგენლობა სახელმწიფო საბჭოში (საუბარი თავ. ვ. ს. მიქელაძესთან)“. ეაზეთის რეპორტიორთან — ვინმე „არკო“-სთან საუბარში ვ. მიქელაძემ განაცხადა, რომ ფართო თვითმმართველობის იდეამ, რომელსაც ი. ჭავჭავაძე იცავდა, უკმაყოფილება გამოიწვია თავადაზნაურთა უმრავლესობაში. ეს მოთხოვნა თავადაზნაურთა კონსერვატიულმა წრეებმა აღიქვეს, როგორც რუსეთის სახელმწიფოებრივი ერთიანობის ხელყოფის ცდა, მისი დაშლის მცდელობა. ვ. მიქელაძის სიტყვებით, მართალია, საბოლოოდ გადაწყდა კავკასიისათვის ერთი ადგილის მიცემა საბჭოში, მაგრამ „ი. გ. ჭავჭავაძის კანდიდატურა ძალიან საეჭვოდ გამოიყურებოდა, რადგან თავადაზნაურთა განწყობილება ფრიად კონსერვატიული იყო“. საბჭოში ადგილის მისაღებად, როგორც ინტერვიუდან ჩანს, კავკასიის წარმომადგენლებს „საკმაოდ შეუპოვარი ბრძოლის გადატანა მოუხდათ“.

პეტერბურგის სხვა გაზეთებიც აღნიშნავდნენ ი. ჭავჭავაძის მტკიცე პოზიციას, მის მიერ გადახდილ მწვავე ბრძოლას სახელმწიფო საბჭოში კავკასიის წარმომადგენლობისათვის ადგილის გამო. გაზ. „პეტერბურგსკი ლისტოკ“ იუწყებოდა, რომ დედაქალაქში გამართულ საბჭოს წევრების ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებებზე, 5—6 აპრილს, მთავარი საკამათო საკითხი ყოფილა — მიკუთვნებოდა თუ არა ადგილი საბჭოში ბალტიისპირეთს, დონის სამხედრო ოლქს და კავკასიას, რომლის საჭიროებასაც „დაუინებით ითხოვდნენ ამ მხარეთა წარმომადგენლები“. „ხანგრძლივი კამათის“ შემდეგ ეს საკითხი დადებითად გადაწყვეტილა, თუმცა ღიად დარჩენილა — რომელ კუთხეს რამდენი წარმომადგენლის ადგილი უნდა რგებოდა[22]. გაზ. „პეტერბურგსკიე ვედომოსტი“ ორ-

22 „პეტერბურგსკი ლისტოკ“, 1906, 9 აპრილი.

ჯერ, — პირველად საბჭოში ი. ჭავჭავაძის არჩევისადმი, ორედ — მისი ტრაგიკული სიკვდილისადმი მიძღვნილ სტატიებში, აღნიშნავდა, რომ „წინასაარჩევნო კრებების დროს თავ. ილია გრიგოლის ძე მხურვალედ მოითხოვდა განაპირა მხარეებისათვის ადგილების მიცემის აუცილებლობას, რაც მიღწეულ იქნა კიდეც“[23].

ი. ჭავჭავაძის ეროვნული და სოციალური პროგრამა, მისი ნახევარსაუკუნოვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა კარგად იყო ცნობილი ქართული და კავკასიის სინამდვილისათვის. მაგრამ დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ენიჭებოდა იმ ხმამაღალ და ავტორიტეტულ სიტყვას, რომელიც მთელი რუსეთის გასაგონად იქნებოდა თქმული. ეს ხმამაღალი სიტყვა, შეიძლება ითქვას, ოფიციალურად, ლეგალურად, პირველად ი. ჭავჭავაძემ თქვა, როცა რუსეთის სახელმწიფო საბჭოში მოითხოვა კავკასიისა და, კერძოდ, საქართველოსთვის თვითმმართველობის საჭიროება. ცხადია, ი. ჭავჭავაძის მიერ გაცხადებული პოლიტიკური კრედო შესაძლოა უდაბნოში მღაღადებლის ხმად დარჩენილიყო სახელმწიფო საბჭოს რეაქციულ-ჩინოვნიკური უმრავლესობისათვის, მაგრამ აქ უკვე თავისი სიტყვა პეტერბურგის დემოკრატიულმა პრესამ თქვა. მან რუსეთის ფართო საზოგადოების ყურამდე მიიტანა ილიას ეროვნულ-პოლიტიკური და სოციალური პროგრამა და ამავე დროს საქვეყნოდ გამოხატა თავისი სიმპათია დიდი ქართველი მოღვაწის მიმართ.

ი. ჭავჭავაძემ გაბედულად გამოთქვა თავისი აზრი იმ რეპრესიებისა და რეაქციის წინააღმდეგ, რომელიც რუსეთის პირველი რევოლუციის დაღმავლობის პერიოდში გამეფდა ქვეყანაში და მიუთითა, რომ მხოლოდ განაპირა მხარეების ინტერესთა გათვალისწინება-დაკმაყოფილებას შეეძლო დაემყარებინა ქვეყანაში სიმშვიდე. „პეტერბურგსკიე ვედომოსტი“ საბჭოში ილიას არჩევისადმი მიძღვნილ სტატიაში თითქოს ერთგვარი გაკვირვებით ამცნობდა თავის მკითხველს, რომ თ ა ვ ა დ ი (ხაზგასმა ჩვენია — დ. შ.), — მომხრეა ფართო

---

23 „პეტერბურგსკიე ვედომოსტი“, 1906, 9 აპრილი და 1907, 1 სექტემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადგილობრივი თვითმმართველობისა ფართო ადგილობრივი საკანონმდებლო ხელისუფლებით. მისი აზრით, მხოლოდ „ამ (თვითმმართველობათა შემოღებას — დ. შ.), და არა თვითნებობისა და ძალმომრეობის პოლიტიკას შეუძლია შეკრას ძლიერი ერთიანი რუსეთი“[24].

სახელმწიფო საბჭოს ქართველი დეპუტატის დემოკრატიული ეროვნულ-სოციალური და პოლიტიკური შეხედულებებით რუსეთის დედაქალაქის საზოგადოებრიობის დაინტერესების გამოხატულება იყო ი. ჭავჭავაძის ინტერვიუ, რომელიც მისგან აიღო გაზ. „პეტერბურგსკი ლისტოკის“ რეპორტიორმა.

1906 წლის 9 აპრილს თავის საკვირაო ნომერში „პეტერბურგსკი ლისტოკმა“ რუბრიკით „სახელმწიფო საბჭოს ახალი წევრები“ გამოაქვეყნა საბჭოს 16 ახალი წევრის მოკლე ბიოგრაფიები, თითოეულის პოლიტიკური კრედოს დართვით. ყველა სხვა წევრის შესახებ მონაცემებს თავისი მოცულობით რამდენადმე აღემატებოდა სტატია „თავადი ი. გ. ჭავჭავაძე“, რომელიც, ასევე დანარჩენთაგან განსხვავებით, ინტერვიუს სახეს ატარებდა. ინტერვიუს ვაქვეყნებთ მცირეოდენი შემოკლებით.

„საქართველოს და საერთოდ კავკასიის წარმომადგენელი, სახელმწიფო საბჭოს ახალი წევრი, ცნობილი ქართველი მწერალი და პუბლიცისტი თავადი ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე თავისი პოლიტიკური მრწამსით სახალხო თავისუფლების მომხრეა.

თავადი ილია გრიგოლის ძე დაიბადა 1837 წელს და განათლება მიიღო ს.-პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ეგრეთ წოდებულ კამერალურ განყოფილებაზე, მაგრამ მაშინდელ „სტუდენტურ“ ისტორიაში გარევის გამო კურსი ვერ დაასრულა.

თავადი ი. გ. ჭავჭავაძე ბევრს მუშაობს ქართულ ლიტერატურაში და მრავალი როგორც ორიგინალური, ისე ქართულ ენაზე თარგმნილი ნაწარმოებებითაა ცნობილი.

ჩვენ საშუალება მოგვეცა გვესაუბრა შორეული საქართველოდან ჩამოსულ პატივცემულ თავადთან.

---

24 „პეტერბურგსკიე ვედომოსტი“, 1906, 9 აპრილი.

— სანამ ამომრჩევლად ამირჩევდნენ, ამისათვისაც მთელი ბრძოლის გადატანა მომიხდა, — გვითხრა თავადმა. შე ვარ საერთოდ კავკასიის და, კერძოდ, საქართველოს ფარ-თო თვითმმართველობის მომხრე, ადგილობრივი საკანონ-მდებლო ხელისუფლებით, მით უფრო ყველა იმ საშინელე-ბათა შემდეგ, კვლავაც რომ გრძელდება კავკასიაში.

— ქართველი და საერთოდ კავკასიელი აზნაურობა ყო-ველთვის წავა აგრარულ საკითხში ყოველგვარ დათმობებზე, თუკი მიწების იძულებითი ჩამორთმევა მიჩნეული იქნება დი-დი საერთო-სახალხო მნიშვნელობის საქმედ.

მაგრამ ბევრნი წინააღუდგნენ ძველი კავკასიელი აზნაუ-რების ამ პატიოსან აზრს.

დაიწყეს ლაპარაკი ფედერაციის შესახებ, ლაპარაკი, რომ ამგვარი აზრი სხვა არაფერია, თუ არა რუსეთის დაქუცმაცე-ბის სურვილი და ა. შ...“

ამის შემდეგ ილია ეხება ვ. მიქელაძის სიტყვას, რომელ-შიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხაზგასმული იყო რუსეთის სახელმწიფოებრივი ერთიანობის იდეა და რომელმაც ნაწი-ლობრივ განმუხტა ი. ჭავჭავაძის მემარცხენე პროგრამით შეშფოთებული კონსერვატიული თავადაზნაურობის უნდობ-ლობა.

ინტერვიუს ბოლოს ილიას განუცხადებია:

„მე ვარ რეფორმირებული სახელმწიფო საბჭოს წევრი და მთელის ჩემის ძალით ვიქნები ამ თვალსაზრისზე.

— რა გამოვა აქედან, — თქვა თავ. ი. გ. ჭავჭავაძემ, — აბას ახლო მომავალი გვიჩვენებს“[25].

სტატია-ინტერვიუ ხელმოუწერელია. გაზეთის შემდეგ ნო-მრებში დაიბეჭდა ანალოგიური სახის სტატია-ინტერვიუები სახელმწიფო საბჭოს წევრებთან ტრუბეცკოისთან და სკაუვ-ჩკისთან, რომლებსაც ხელს აწერდა ვინმე „Эсзе“. ჩანს, მას-ვე უნდა ეკუთვნოდეს ჩვენი სახელოვანი მოღვაწისაგან აღე-ბული ინტერვიუ-სტატიაც. სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობია ამ ფსევდონიმის მატარებელი პიროვნება, იგი არაა განმარ-

---

25 „პეტერბურგსკი ლისტოკ“, 1906, 9 აპრილი, „სახელმწიფო საბჭოს ახალი წევრები“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ებული მასანოვის ცნობილი ფსევდონიმების ლექსიკონ-ში[26].

„პეტერბურგსკი ლისტოკში“ გამოქვეყნებული ინტერვიუ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წყაროა ი. ჭავჭავაძის პოლიტი-კური მრწამსის მეტი სისრულით წარმოსადგენად, იმ პროგ-რამისა, რომლითაც იგი წარსდგა საბჭოს წევრთა წინაშე.

ინტერვიუს გარკვეული კორექტივი შეაქვს ი. ჭავჭავაძის პოლიტიკური პროგრამის იმ ოფიციალურ ვარიანტში, რომე-ლიც მოცემულია ჩვენს მიერ ზემოაღნიშნულ გამოცემაში — „სახელმწიფო საბჭო“. ამ გამოცემის მიხედვით, როგორც ვნა-ხეთ, ი. ჭავჭავაძე აგრარულ საკითხში მომხრე იყო „იძულე-ბითი ჩამორთმევისა, თუ ეს სახელმწიფოებრივი აუცილებლობის საკითხად იქნება მიჩნეული“ (ხაზგასმა ჩვენია — დ. შ.). რა გამოდის? თითქოს ი. ჭავჭავაძე მხოლოდ მაშინ იქნებოდა მიწების იძულებითი ჩამორთმევის მომხრე, თუ ამას საჭიროდ ჩათვლიდა რუსეთის მონარქის-ტული ხელისუფლება, რასაც ეს უკანასკნელი, ცხადია, ნებით არასოდეს დაუშვებდა. ამ შემთხვევაში ი. ჭავჭავაძე თვით-მპყრობელობის წყალობის მოიმედე და ხელის შემყურე გა-ბედიოდა, მისგან მოელოდა გლეხობის, საერთოდ, მშრომე-ლი ხალხის სოციალური მდგომარეობის რადიკალურ გაუმ-ჯობესებას.

მაგრამ ეს რომ ასე არ იყო, მოწმობს „პეტერბურგსკი ლისტოკში“ გამოქვეყნებული ი. ჭავჭავაძის ზემოთაღნიშნუ-ლი ინტერვიუ. ინტერვიუდან ჩანს, რომ ი. ჭავჭავაძე მომხრე იყო ჩამორთმევისა, თუ „მიწების იძულებითი ჩამორთმევა მიჩნეული იქნება დიდი საერთო-სახალხო მნი-შვნელობის საქმედ“ (ხაზგასმა ჩვენია — დ. შ.). ასე რომ, ი. ჭავჭავაძე მხარს უჭერდა იძულებით ჩამორთმევას, თუ ამას თავად ხალხი მიიჩნევდა საჭიროდ, თუ ეს საერთო-სახალხო ინტერესებს უპასუხებდა. ცხადია, სიტყვებში — „დიდი საერთო-სახალხო მნიშვნელობის საქმე“ იგულისხმე-ბოდა ის დიდი სახალხო-განმათავისუფლებელი მოძრაობა,

---

26 И. Ф. Масанов. Словарь псевдонимов русских ученых и общественных деятелей. В 4-х томах. М., 1956.

პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ოდენ რომ მიმდინარეობდა და არყევდა თვითმპყრობელური რუსეთის საფუძვლებს.

რა თქმა უნდა, ი. ჭავჭავაძის აგრარული პროგრამის ოფიციალურ ვერსიასა და ინტერვიუში გადმოცემულ საკუთარ პოზიციას შორის რადიკალური განსხვავებაა. პირველ შემთხვევაში ილიას პოზიცია მხოლოდ პროგრესულ-ლიბერალურ ჩარჩოებში თავსდება, მეორე შემთხვევაში კი დიდი ქართველი საზოგადო მოღვაწის პოზიცია ჭეშმარიტად დემოკრატიულ და ხალხურ ხასიათს ატარებს, იგი პასუხობს პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სახალხო-განმათავისუფლებელი მოძრაობის ამოცანებს. ი. ჭავჭავაძე მხარს უჭერდა სოციალურ-აგრარულ გარდაქმნებს არა „ზევიდან“, არამედ „ქვევიდან“.

ი. ჭავჭავაძის დემოკრატიულმა ეროვნულმა და სოციალურმა პროგრამამ განსაზღვრა მისი ადგილი სახელმწიფო საბჭოს მემარცხენე, ე. წ. აკადემიურ ჯგუფში. ამის შესახებ აღნიშნავდნენ პეტერბურგის გაზეთები: „რეჩ“, „რუს“, „სტრანა“, „პეტერბურგსკაია გაზეტა“ და სხვ. მოგვიანებით, ილიას ტრაგიკული სიკვდილისადმი მიძღვნილ სტატიაში „სამგლოვიარო ფურცელი“ გაზ. „პეტერბურგსკაია გაზეტა“ აღნიშნავდა: „ბოროტმოქმედთა ხელით“ მოკლული ი. ჭავჭავაძე „ეკუთვნოდა სახელმწიფო საბჭოს მცირერიცხოვან მემარცხენე ფრთას“. ამასთან გაზ. წერდა: სახელმწიფო საბჭოში ი. ჭავჭავაძესთან „ერთ მაგიდასთან ისხდნენ საბჭოს არჩეული წევრები: დ. ნ. შიპოვი, თავ. კუგუშევი, ვ. ი. კუდრიავი, ნ. ვ. მარინი, აგრეთვე ვ. ი. სერგეევიჩი. აქვე გვერდით ისხდნენ — არჩეული პროფესორები“[27]. ეს „არჩეული პროფესორები“ იყვნენ იმდროინდელი რუსეთის გამოჩენილი მეცნიერები: ვ. ი. ვერნადსკი — მოსკოვის უნივერსიტეტის რექტორის თანაშემწე; ა. ა. მანუილოვი — ცნობილი ეკონომისტი, მოსკოვის უნივერსიტეტის რექტორი; ცნობილი ისტორიკოსი ა. ს. ლაპო-დანილევსკი; ვ. ი. სერგეევიჩი — კაპიტალური შრომების ავტორი რუსული სამართლის ისტორიაში,

---

27 „პეტერბურგსკაია გაზეტა“, 1907, 31 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტერბურგის უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი და სხვ.

იმ პირთაგან, რომლებთანაც ი. ჭავჭავაძეს საგულვებელი პოლიტიკური თუ პირადი ხასიათის ურთიერთობა ჰქონდა, განსაკუთრებით აღსანიშნავია საბჭოს აკადემიური ჯგუფის ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიგურა მაქსიმ მაქსიმეს ძე კოვალევსკი (1851—1916) — ცნობილი რუსი მეცნიერი და პოლიტიკური მოღვაწე, ისტორიკოსი, სოციოლოგი, იურისტი, ეთნოგრაფი, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

ამჯერად ჩვენთვის საინტერესოა ის, რომ მ. კოვალევსკიმ მაღალი შეფასება მისცა ი. ჭავჭავაძის დემოკრატიულ ეროვნულ და სოციალურ პროგრამას, საქვეყნოდ გამოხატა თავისი სიმპათია ილიას პიროვნების მიმართ.

1906 წელს მ; კოვალევსკი პეტერბურგში სცემდა ყოველდღიურ გაზეთს „სტრანა". გაზეთი სისტემატურად აშუქებდა ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების მღელვარე მოვლენებს. აღნიშნული წლის 11 აპრილს, „სტრანაში" გამოქვეყნდა კოვალევსკის ვრცელი სტატია „მომავალი სახელმწიფო საბჭო". სტატიაში დაწვრილებით იყო მიმოხილული საბჭოს შემადგენელი ჯგუფები — პოლიტიკური პოზიციების მიხედვით. კოვალევსკი მართებულად აღნიშნავდა, რომ რუსეთის პარლამენტის ე. წ. „ზედა პალატა" რეაქციული და მემარჯვენე ხასიათისა იყო. საბჭოს ცენტრი შედგებოდა უმთავრესად ოქტიაბრისტებისაგან, ხოლო მემარჯვენეფრთა — უკიდურესად რეაქციული მოღვაწეებისაგან. მაგრამ, სტატიის ავტორის აზრით, საბჭოს შემადგენლობაში მოხვდნენ პროგრესულად მოაზროვნე ადამიანებიც. მივყვეთ სტატიის შინაარსს.

მ. კოვალევსკი რუსეთის პირველი სათათბიროსა და სახელმწიფო საბჭოს იმჟამად მიმდინარე არჩევნებს განიხილავდა ევროპული პარლამენტარიზმის პრინციპების მიხედვით, სამაგალითოდ მიიჩნევდა მას. კოვალევსკის ღრმა რწმენით, მემარცხენე და რევოლუციურ პარტიებს აუცილებლად უნდა ეცადათ და გაეყვანათ თავიანთი კანდიდატები სახელმწიფო საბჭოში. ცდებოდნენ ისინი, ვინც ფიქრობდნენ, რომ საბჭოში — ამ მართებულად მიჩნეულ რეაქციულ ორგანოში,

შეუძლებელი იყო მოხვედრილიყო პროგრესული პირიანებ-ეს კი, თუმცა ძალიან იშვიათად, მაგრამ მაინც შესაძლებელი იყო. კოვალევსკის აზრით, ამგვარი შესაძლებლობის რეალიზაციას ადასტურებდა ი. ჭავჭავაძის მაგალითი. „ამგვარი შედეგის მიღწევა, როგორც ამას ადასტურებს ცნობილი ქართველი მწერლის და პოეტის თავ. ჭავჭავაძის წარმატება, არც ისე ძნელი აღმოჩნდა, — წერდა მ. კოვალევსკი. — იგი მომხრეა მრავალი იმ იდეალისა, რომელთა მიმდევარიცაა კონსტიტუციონალ-დემოკრატიული პარტია და მზადაა ჩემს მსგავსად დაჟინებით მოითხოვოს განაპირა მხარეებისათვის ფართო თვითმმართველობა, მათი საერობო პალატების მიერ ადგილობრივი კანონების გამოცემის უფლებით“[28]. შემდეგ, თითქოს დაეჭვებულ მკითხველს არწმუნებსო მომხდარი ფაქტის სინამდვილეში, კოვალევსკი განაგრძობს: „სწორედ ამგვარად გადმოგვცემენ ქართველი დეპუტატის პროგრამას მასთან მოსაუბრე რეპორტიორები, კერძოდ, ამგვარად ახასიათებს მას „რეჩ“-ის 44-ე ნომერში ავტორი სტატიისა „სახელმწიფო საბჭოს ახალი წევრები“ (კოვალევსკი უთითებს ი. ჭავჭავაძის ჩვენს მიერ ზემოგანხილულ ინტერვიუ-სტატიას — დ. შ.).

მაგრამ, კოვალევსკის აზრით, „მხოლოდ თავ. ჭავჭავაძის წარმატება რიდი მოწმობდა მემარცხენე პარტიების შესაძლებლობას, შეეღწიათ საბჭოში“. მას მოჰყავდა საკუთარი მაგალითიც, როცა ჩემთვის მოულოდნელად, თავადაზნაურთა საარჩევნო კრებაზე ამომრჩევლად დამასახელესო. ცხადია, კოვალევსკი გადაჭარბებულ მნიშვნელობას აძლევდა ორიოდე პროგრესული მოღვაწის მოხვედრას საბჭოს შემადგენლობაში, რასაც არ შეეძლო და არც შეუცვლია ამ ორგანოს რეაქციული არსი.

რევოლუციური პარტიების ამოცანას არასოდეს წარმოადგენდა სახელმწიფო საბჭოს არჩევნებში მონაწილეობის მიღება. არამც თუ სახელმწიფო საბჭოს, არამედ დემოკრატიული ელემენტების შემცველ პირველ სახელმწიფო სათათბი-

---

[28] „სტრანა“, 1906, 11 აპრილი, მ. კოვალევსკი, „მომავალი სახელმწიფოს აბჭო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოს, როგორც ცნობილია, რევოლუციურმა პარტიებმა და ჯგუფმა დემოკრატიულმა პოლიტიკურმა ორგანიზაციამ — ბოიკოტი გამოუცხადეს. 1905 წელს დეკემბერში ბოლშევიკური პარტიის ტამერფორსის კონფერენციამ მიიღო I სათათბიროს არჩევნებისადმი ბოიკოტის გადაწყვეტილება. ბოიკოტს მხარი დაუჭირეს აგრეთვე სრულიად რუსეთის გლეხთა კავშირმა, ესერების პარტიამ, „კავშირთა კავშირის“ — ინტელიგენციის პროფესიონალურ-პოლიტიკური კავშირების გაერთიანების მემარცხენე ფრთამ, სრულიად რუსეთის მასწავლებელთა კავშირმა და სხვ. საქართველოში ბოიკოტს თავდაპირველად მხარს უჭერდა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია.

სწორედ ამგვარი ვითარება, ოღონდ არა მარტო სათათბიროს, სახელმწიფო საბჭოს მიმართებითაც, ჰქონდა მხედველობაში კოვალევსკის, როცა გულისტკივილით შენიშნავდა: „დასანანია, რომ ჩვენი მემარცხენე პარტიები არ შეეცადნენ მათთვის მიუვალი სახელმწიფო საბჭოს ციტადელის აღებას თუ არა, უკიდურეს შემთხვევაში, მის შემადგენლობაში მემარცხენე პარტიების პროგრამების ისეთი ბრწყინვალე მომხრეების შეყვანას, როგორიცაა თავ. ჭავჭავაძე“.

რა თქმა უნდა, ევროპული ბურჟუაზიული პარლამენტარიზმის პოპულარიზატორი კოვალევსკი, რევოლუციურ პარტიებს სახელმწიფო საბჭოს არჩევნებში მონაწილეობის მიუღებლობას შეცდომად უთვლიდა, მაგრამ ამჯერად ეს არაა ჩვენთვის მთავარი, ჩვენთვის ისაა საყურადღებო, რომ საბჭოს სხვა მცირერიცხოვან დეპუტატთაგან მ. კოვალევსკიმ სრულიად განცალკევებულად გამოარჩია ილია ჭავჭავაძე და უწოდა მას მემარცხენე პარტიების პროგრამების „ბრწყინვალე მომხრე“. ესაა მთავარი.

კოვალევსკიმ საბჭოს სხვა წევრებიც მოიხსენია თავის სტატიაში და მიათვალა პროგრესულთა ბანაკს. მაგრამ ამ პიროვნებათა პროგრესულობა მხოლოდ სოფლის მეურნეობის რეორგანიზაციისა და რეფორმების მომხრეობაში გამოიხატებოდა. საბჭოს ამ ზომიერ-ლიბერალური მიმართულების მოღვაწეებისათვის უცხო იყო აგრარული საკითხის რადიკალური გადაწყვეტის საჭიროება. სწორედ ეს უმნიშვნელოვანესი მომენტი განასხვავებდა ი. ჭავჭავაძის ღრმა დემოკრა-

ტიულ პოზიციას ლიბერალთა რეფორმისტული ფლანგი ბისაგან. ეს მართებულად შენიშნა კოვალევსკიმ. მოიხსენებს რა საბჭოს მოსკოველი წევრის ტრუბეცკოის ზოგიერთ შენიშვნებს, კოვალევსკი წერს, რომ იგი საბჭოში საკითხთა გარჩევის დროს არ განიხილავდა პრობლემებს „წოდებრივი თვალსაზრისით“ და სწორედ ამის გამო მისი პოზიცია საბჭოს მეორე წევრთან გოლიცინთან ერთად „აგრარულ საკითხში განსხვავებული იქნება მათი ამხანაგის თავ. ჭავჭავაძის თვალსაზრისისაგან, რომელიც სამართლიანად მიიჩნევს, რომ მაწების ჩამოშორების საკითხში აუცილებელია ყველაზე ფარ-ო დათმობები მშრომელი მასების ინტერესებისათვის“. გამოჩენილი რუსი მოღვაწის სიმპატიები მთლიანად საბჭოს ქართველი დეპუტატის მხარეზეა, იგი, ჩანს, სავსებით იზიარებდა ილიას „სამართლიან პოზიციას“.

წერილის დასასრულს ავტორი კიდევ ერთხელ მოიხსენიებს „თავ. ჭავჭავაძეს“, ამჯერად როგორც პიროვნებას, მოღვაწეს, რომელიც კარგად იცნობს თავის ქვეყანას, მის საჭიროებებს. ამ მხრივაც კოვალევსკისათვის დიდი ქართველი მოღვაწე სამაგალითოა. ჩამოთვლის რა საერობო მოღვაწეებს, რომელნიც საკუთარ მხარეთა ინტერესებს წარმოადგენენ, კოვალევსკი წერს: „საბჭოს არჩეულ წევრთა შორის ისინიც კი, რომელთაც არ უმსახურიათ ერობებში, რადგან მათ მხარეებში ერობები არ არსებობს, კარგად იცნობენ ადგილობრივ პირობებს, მაგ. თავ. ჭავჭავაძე ან ოსკარ რეინგოლდის ძე. ეკკესპარრე, ერთი საქართველოსას, მეორე კი — ბალტიისპირეთის მხარეს და კუნძულ ეზელს“[29].

როგორც ვხედავთ, მ. კოვალევსკიმ, რუსეთის ამ უგამოჩინებულესმა მეცნიერმა და მოღვაწემ მაღალი შეფასება მისცა ი. ჭავჭავაძის დემოკრატიულ პოლიტიკურ პროგრამას, საბჭოს სხვა წევრებისაგან განსაკუთრებულად გამოარჩია და საქვეყნოდ გამოხატა თავისი სიმპათია დიდი ქართველი მოღვაწის კოლორიტული პიროვნების მიმართ. კოვალევსკიმ რუსეთის დემოკრატიულ საზოგადოებას წარუდგინა ილიას სამაგალითო პიროვნება, რომელშიც შერწყმული იყო პროგ-

---

[29] „სტრანა“, 1906, 11 აპრილი, მ. კ ო ვ ა ლ ე ვ ს კ ი, დასახ. წერილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძველი პოლიტიკური მოღვაწეობისათვის დამახასიათებელი მსოფლმხედველობრივი პოზიციები: ეს იყო საკუთარი და მცირე ხალხების ეროვნული ბედ-იღბლით დაინტერესება და მისი გადაჭრის აუცილებლობის შეგნება; ეს იყო სამართლიანი სოციალური პოზიცია — „მშრომელი მასების ინტერესთა“ დაცვა; ეს იყო საკუთარი ქვეყნისა და ხალხის ცხოვრების ღრმა ცოდნა, რაც ილიას პიროვნებას სამაგალითოდ აქცევდა, კოვალევსკის აზრით, იმის სამაგალითოდ, თუ როგორი უნდა ყოფილიყო მემარცხენე პარტიების იდეალების გამომხატველი დეპუტატი საპარლამენტო ორგანოში.

შეიძლება ითქვას, მაქსიმე კოვალევსკის პირით პეტერბურგის დემოკრატიულმა საზოგადოებამ გამოხატა თავისი აღტაცებისცემა დიდი ქართველი მოღვაწის პოლიტიკური პროგრამისა და პიროვნების მიმართ.

1907 წელს პეტერბურგის გაზეთების ფურცლებზე კიდევ ერთხელ გაიელვა ი. ჭავჭავაძის სახელმა, მაგრამ ამჯერად გაზეთები დედაქალაქს ამცნობდნენ სამწუხარო ამბავს — ილიას ტრაგიკული აღსასრულის შესახებ.

უმეტეს გაზეთებში გამოქვეყნდა თბილისისა და კავკასიის პრესიდან გადმობეჭდილი ინფორმაცია. გაზეთების უმრავლესობა იმეორებდა ოფიციალურ ვერსიას, რომ მკვლელობა „აგრარულ ნიადაგზე“ იყო მომხდარი. „როგორც ფიქრობენ, — წერდა „პეტერბურგსკაია გაზეტა“, — დანაშაული აგრარულ ნიადაგზე მოხდა“. ამასვე იმეორებდნენ „როსია“, „სლოვო“, „რუსსკიე ვედომოსტი“, „ბირჟევიე ვედომოსტი“, „გრაჟდანინი“, „ტარგოვოპრომიშლენნაია გაზეტა“, „პრავიტელსტვენნი ვესტნიკ“, „გოლოს პრავდი“ და სხვ. „როსიამ“ ილიას სიკვდილის ცნობა ასე დაასათაურა — „რევოლუციონერთა მსხვერპლი“.

მოკლე ინფორმაციების გარდა პეტერბურგის რამდენიმე გაზეთში გამოქვეყნდა ილიას სიკვდილისადმი მიძღვნილი რამდენიმე ვრცელი ნეკროლოგი.

„პეტერბურგსკიე ვედომოსტში“ გამოქვეყნდა ვინმე „ს. უ-ცის“ ნეკროლოგი — „თავად ილია გრგოლის ძე ჭავჭავაძის ხსოვნას“. ნეკროლოგიდან ჩანს, რომ „ს. უ-ცი“ ერთ ხანს

ცხოვრობდა კავკასიაში და რამდენჯერმე შეხვედრია ი. ჭავჭავაძეს. იგი წერდა: „მე ვცხოვრობდი კავკასიაში და მქონდა არაერთხელ შემთხვევა შევხვედროდი ამ სიმპათიურ ადამიანს. ეს იყო საქართველოს უპოპულარესი პოეტი, საზოგადო მოღვაწე და მგზნებარე პამფლეტისტი, თავისი სამშობლოს ერთ-ერთი იმ მხურვალე მოსიყვარულე შვილთაგანი, რომელთა მსგავსნიც ავად მოსაგონარ თავად გ. ს. გოლიცინის მმართველობის ბედუკულმართ ეპოქაში სეპარატისტებად და ლამის რევოლუციონერებად იყვნენ მიჩნეულნი“.

ნეკროლოგის ავტორის აზრით, სახელმწიფო საბჭოში მოღვაწეობის პერიოდში ი. ჭავჭავაძე მუდამ რუსეთ-საქართველოს მეგობრული ურთიერთობის განმტკიცების მომხრე და პოპულარიზატორი იყო. ი. ჭავჭავაძეო, წერდა „ს. უ-ცი“, „ძლიერ უწყობდა ხელს კაბინეტს (იგულისხმება საბჭო — დ. შ.), მშვიდად გამოემუშავებინა სწორი თვალსაზრისი რუს-ქართველთა ურთიერთობაზე. ეს ურთიერთობანი კი ძველაგანვე იყო და უნდა ყოფილიყო მხოლოდ ძმური და მეგობრული, და არამც და არამც მტრული, როგორც ამას ცდილობდნენ რუსეთის ხელისუფლების ხელმოცარული და არაშორსმჭვრეტელი წარმომადგენელნი კავკასიაში“.

მაგრამ რუსი და ქართველი ხალხების მეგობრული ურთიერთობის იდეის პროპაგანდა სახელმწიფო საბჭოში არ იყო ადვილი ი. ჭავჭავაძისათვის. ამასვე აღნიშნავს „ს. უ-ცი“. „თავ. ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე სარგებლობდა სახელმწიფო საბჭოს წევრთა პროგრესული ნაწილის მხარდაჭერით. მაგრამ მას ცოტა ბრძოლა როდი უხდებოდა ჩვენი მთავრობის სფეროებში თავ. გოლიცინისა და განაპირა მხარეების მის მსგავს მოღვაწეთა შეხედულებებთან, ქართველებსა და საქართველოზე“[30]. საინტერესო ცნობაა. იგი ალბათ ყველაზე მთავარს მიგვანიშნებს — იმას, რაც ილიას არა მარტო პეტერბურგის პერიოდის, სახელმწიფო საბჭოში საქმიანობის, არამედ მთელი მისი ნახევარსაუკუნოვანი მოღვაწეობის ძირითად ამოცანას და მიზანს წარმოადგენდა — ბრძოლა „ქართველებისა და საქართველოს“ მტრებთან.

---

30 „პეტერბურგსკიე ვედომოსტი“, 1907, 2 სექტემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი. ჭავჭავაძის შესახებ პეტერბურგის სხვა გაზეთებშიცაა საგულვებელი ცნობები. იმხანად პეტერბურგში რამდენიმე თეული გაზეთი გამოდიოდა. ჩვენ მეტნაკლები სიდიდისა და მნიშვნელობის ცნობებს მივაკვლიეთ გაზეთებში: „რუსსკიე ვედომოსტი“, „ბირჟევიე ვედომოსტი“, „როსსია“, „სლოვო“, „ეარაჟდანინი“, „ტარგოვო-პრომიშლენნაია გაზეტა“, „სტრანა“, „რეჩ“, „პეტერბურგსკაია გაზეტა“, „პეტერბურგსკიე ვედომოსტი“, „რუს“, „პრავიტელსტვენნი ვესტნიკ“, „პეტერბურგსკი ლისტოკ“, „ვოლოს პრავდი“. ჩვენი ვარაუდის საწინააღმდეგოდ, ილიას შესახებ არავითარი ცნობა არ აღმოჩნდა „რუსსკოე სლოვოში“. სწორედ ამ გაზეთის თანამშრომელი იყო ჟურნალისტი შაუმანი, რომელიც მ. ბოლქვაძის ცნობის მიხედვით, სხვა რეპორტიორებთან ერთად შეხვდა ი. ჭავჭავაძეს[31].

ილიასთან ერთად, ქართველ სამოციანელთა ძველი თაობის წარმომადგენლები და მათს გარშემო შემოკრებილი პატრიოტ-დემოკრატთა დასი, პირველი რევოლუციის პერიოდში მთელი ქართველი ხალხის ინტერესების დაცვის განმანათლებლური ლოზუნგით გამოდიოდნენ. ისინი ეროვნულ პრობლემას უპირველეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ, მაგრამ სოციალურ-აგრარულ საკითხსს, მათს მოთხოვნებში საპატიო ადგილი ეკავა. სოციალურ-აგრარული პრობლემატიკის სერიოზული დაყენება, ქართველ სამოციანელთა ეროვნულ მოთხოვნებს დემოკრატიულ შინაარსს და ფართო, ხალხურ ხასიათს აძლევდა[32].

პირველი რევოლუციის პერიოდში პატრიოტულად განწყობილი თავადაზნაურული, ბურჟუაზიულ-ეროვნული ინტელიგენციის ერთმა ნაწილმა სცადა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის შექმნა.

საქართველოში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმოქმნას და ამ პარტიასთან ი. ჭავჭავაძის დამოკი-

---

31 მ. ბ ო ლ ქ ვ ა ძ ე, ახლო წარსულიდან, ჟურნ. „განათლება“, 1908, № 3—4, გვ. 108.

32 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VI, თბ., 1972, გვ. 235—261.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებულებას რამდენიმე საგაზეთო და საჟურნალო სამეცნ. ერო ნარკვევი მიეძღვნა. ამ ნარკვევებში უდაოდაა მიჩნეული ი. ჭავჭავაძის მიერ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დაარსების მცდელობაში აქტიური მონაწილეობა[33]. პატივცემული ავტორები არ შეხებიან საქართველოში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა და საერთოდ, ეროვნულ-დემოკრატიული მიმდინარეობის ჩასახვა-ჩამოყალიბების პროცესს, რომელიც წინ უსწრებდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის შექმნას. წინა თავებში ჩვენ ნაწილობრივ შევეხეთ ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების არსებობას ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, „მოამბის" ჯგუფს, „ცნობის ფურცლის" ჯგუფის ერთ ბურჟუაზიულ-ეროვნულ ნაწილს და ა. შ. პრობლემის კომპაქტურად წარმოდგენისათვის კიდევ ერთხელ გავადევნოთ თვალი ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების ევოლუციას[34].

ჯერ კიდევ 1892 წელს შექმნილი „საქართველოს განთავისუფლების ლიგის" ძირითადი ნაწილი, მკვლევართა აზრით, იდგა „საერთო დემოკრატიულ პოზიციაზე". ეს იყო არსებითად ეროვნულ-დემოკრატიული მიმდინარეობა, რომელიც განსაზღვრავდა „ლიგის" ხასიათს. „ლიგა", როგორც მკვლევარი ალ. ბენდიანიშვილი აღნიშნავს, „ვერ გადაიქცა მონოლითურ ორგანიზაციად, ერთიან პარტიად. ეს ცხადი გახდა მოგვიანებით, როცა „თავისუფლების ლიგის" ყოფილი წევრები აღმოჩნდნენ სხვადასხვა პარტიებში, უმრავლესობა სოციალ-ფედერალისტი და ეროვნული დემოკრატი გახდა"[35].

XIX ს-ის 90-იანი წლების მიწურულს, ესეც აღვნიშნეთ, „მოამბის" გარშემო თავმოყრილი ბურჟუაზიულ-ეროვნული

---

33 ვ. აბაშმაძე, სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან განთავისუფლების ნათელი პროგრამა, „ცისკარი", 1985, № 12; შ. ბადრიძე, ფრთხილად, დიდი ილია! „კომუნისტი", 1988, 17 იანვარი; გ. მამულია, დიდი ილია და ამაო სიფრთხილე, „კომუნისტი", 1988, 7 აპრილი; და სხვ.

34 იხ. ჩვენი წერილი: პოლიტიკური პარტიების წარმოშობა საქართველოში (ეროვნულ-დემოკრატები). გაზ. „ერი", 1991, 31 ივლისი.

35 ა. ბენდიანიშვილი, ეროვნული საკითხი საქართველოში, 1801—1921 წწ., თბ., 1980, გვ. 163.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართულების პუბლიცისტების იდეალი იყო ძლიერი, კაპიტალისტური, ევროპული წესით განვითარებული საქართველო. XX ს-ის დამდეგს, როცა მოხდა ყოფილი „ახალგაზრდა ევრიელებისა“ და „მოამბისტების“ გაერთიანება „ცნობის ფურცლის“ გარშემო, ჯგუფში ეროვნულ-დემოკრატიული განწყობილება მძლავრობდა. ამით აიხსნებოდა, რომ „ცნობის ფურცლის“ ჯგუფი 1901—1902 წლებში გამოცემულ პროკლამაციებს „ეროვნულ-დემოკრატიული კომიტეტის“ ან „ქართველ დემოკრატთა კომიტეტის“ სახელით უშვებდა. ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ „ცნობის ფურცლის“ ჯგუფში ეროვნულ-დემოკრატები თავიდანვე ქმნიდნენ მემარჯვენე ფრთას, მის ეროვნულ-ლიბერალურ, არასოციალისტურ ფრაქციას. 1901—1903 წლებში ეროვნულ-დემოკრატიული ფსიქოლოგია და იდეური მიმართულება იმდენად ძლიერი იყო, რომ „ცნობის ფურცლის“ ჯგუფში მადომინირებელ როლს ასრულებდა.

როდესაც „საქართველომ“ ეროვნული ავტონომიის მოთხოვნა წამოაყენა, ამან კიდევ უფრო გააძლიერა ეროვნულ-დემოკრატიული მიდრეკილებები. „საქართველომ“ ავტონომია აღიარა და ავტონომიის აზრს „ქართული საზოგადოება“ ჩაეჭიდა, — წერდა არჩ. ჯორჯაძე, — ხოლო „ქართულ საზოგადოებას“ თავისი პარტია, თავისი პოლიტიკური მოღვაწენი არა ჰყავდა და დაებღაუჭნენ „საქართველოს“ და მის მიმდევართ“[36]. ასე აღმოჩნდა ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების ინტელიგენციის ნაწილი შეხიზნული შემდგომში ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიაში. ფედერალისტთა პარტიაში მოღვაწეობდნენ თავდაპირველად, მომავალი ეროვნულ-დემოკრატები შ. ამირეჯიბი, სპ. კედია და სხვ.

მაგრამ „ცნობის ფურცელ“-„საქართველოს“ გარშემო ტრიალებდნენ ეროვნულ-დემოკრატიული მიმდინარეობის ის წარმომადგენლებიც, რომელნიც არ შესულან ფედერა-

---

[36] ს ა ბ უ ე ლ ი (არჩ. ჯორჯაძე), სოციალიზმ-ფედერალიზმი საქართველოში, თბ., 1907, გვ. 32.

ლისტების პარტიაში, არც მის წინამორბედ „კომუნისტების“ ორგანიზაციაში. ამ ჯგუფს პირობითად შეიძლება ვუწოდოთ უპარტიო ეროვნულ-დემოკრატთა მიმდინარეობა. ამ მიმდინარეობის წარმომადგენლები თავიანთი ეროვნული პლატფორმით ახლოს იდგნენ მომავალ ფედერალისტებთან, იზიარებდნენ ავტონომიის ლოზუნგს, თანამშრომლობდნენ „ცნობის ფურცელ“-„საქართველოში“, მაგრამ არ იზიარებდნენ მათს სოციალურ პროგრამას, მათს სოციალისტურ მსოფლმხედველობას და ფედერალისტთა პარტიის გარეთ ყოფნას ამჯობინებდნენ. ე. წ. უპარტიო ეროვნულ-დემოკრატიულ მოღვაწეთა რიგს ეკუთვნოდნენ: ნ. თავდგირიძე, ექვთიმე თაყაიშვილი, გ. გვაზავა, გ. ჟურული, რ. გაბაშვილი და სხვ.

რევოლუციის პერიოდში ეროვნულ-დემოკრატიული მიმდინარეობის წარმომადგენლები განსაკუთრებით გააქტიურდნენ და შეეცადნენ შეექმნათ ეროვნულ-ლიბერალური მიმართულების ახალი ქართული პოლიტიკური პარტია. პარტიას ორგანიზებულად სურდა გაეერთიანებინა ეროვნულ პლატფორმაზე მდგომი ზომიერი, ლიბერალურ-დემოკრატიული ქართველი ინტელიგენცია. ეროვნულ-დემოკრატიული მიმდინარეობის ევოლუციის პროცესი პოლიტიკურ პარტიად ფორმირებისაკენ თანმიმდევრულადაა წარმოჩენილი გ. მამულიას წერილში „ილია ჭავჭავაძე და 1905—1906 წლების ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობა საქართველოში“.

1905 წლის თებერვალში ქართველმა ეროვნულ-ლიბერალებმა იმპერიის მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარეს ს. ვიტეს წარუდგინეს „მოხსენებითი ბარათი“. გაზეთ „საქართველოს“ სიტყვებით, „მოხსენებითი ბარათის“ ავტორები და წარმდგენლები არსებითად „ახალ ქართველ ნაციონალ-ლიბერალთა (ან დემოკრატთა) პარტიას“ წარმოადგენდნენ. „საქართველოს“ აზრით, თავდაპირველად საზოგადოებრივი ცხოვრება მუშათა მოძრაობამ გამოაფხიზლა. მან ხელი შეუწყო გლეხობის ამოძრავებას, ხოლო შემდეგ მათ შეუერთდნენ სხვა სოციალური ჯგუფებიც, კერძოდ, ბურჟუაზია. „და აი მხოლოდ დღეს, — განაგრძობდა „საქართველო“, — გამო-

ის პოლიტიკურ ასპარეზზე ჩვენი ბურჟუაზია"[37]. „ნაციონალ-დემოკრატებს" ფედერალისტების ცენტრალური ორგანო ანალოგიურად ქართველი ბურჟუაზიის ინტერესთა გამომხატველ პარტიად მიიჩნევდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1905 წლის აპრილში ეროვნულ-ლიბერალებმა შეადგინეს ე. წ. „პროგრესისტთა ქართული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პროგრამა", რომელიც ზემოაღნიშნული „მოხსენებითი ბარათიდან" მომდინარეობდა, თუმცა მასზე „დახვეწილად და სრულყოფილად" გამოიყურებოდა და, როგორც გ. მაჟულია აღნიშნავს, მასში წამოყენებული იყო საქართველოს ავტონომიის მოთხოვნა. 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტის გამოსვლის შემდეგ ქართველი ეროვნულ-დემოკრატები კიდევ უფრო გააქტიურდნენ. სწორედ „ამ დროიდან საქართველოს ავტონომიისათვის ბრძოლაში უშუალოდ ილია ჭავჭავაძე ებმება"[38]. 25 ოქტომბერს ეროვნულ-დემოკრატები ი. ჭავჭავაძის მეთაურობით შეიკრიბნენ მომავალი პარტიის პროგრამის შესამუშავებლად. მათ განიხილეს ადრე შედგენილი „პროგრესისტთა ქართული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პროგრამა" და დაიწუნეს, რადგან იგი 17 ოქტომბრის მანიფესტის შემდგომი პერიოდის ვითარებას ვეღარ პასუხობდა. თავდაპირველად ილიამ პარტიას სახელი შეუცვალა და უწოდა „ქართველ ავტონომისტთა ეროვნულ-დემოკრატიული პარტია", მაგრამ მას შემდეგ, რაც რუსი კადეტების პარტია შეიქმნა, კვლავ გადაარქვა ქართულ პარტიას სახელი და ახლა უწოდა „ქართული კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტია".

ივ. ზურაბიშვილის ბიოგრაფთა ცნობით, ალექსანდრე ორბელიანის სახლში მომხდარ ქართველ ინტელიგენტთა შეკრებაზე, რომელსაც ილია ჭავჭავაძე ესწრებოდა, კ. აბა-

---

37 „საქართველო", 1904, 19 მარტი, „ქართველი ლიბერალები ხმას იღებენ".

38 „ლიტერატურული საქართველო", 1989, 27 იანვარი, გ. მ ა მ უ ლ ი ა, „ილია ჭავჭავაძე და 1905—1906 წლების ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობა საქართველოში".

შიძეს წამოუყენებია წინადადება, რომ საქართველოში დემოკრალისტების პარტიასთან შედარებით „უფრო გარკვეული ეროვნული ხაზის მიმართულება“ შექმნილიყო. ილიამ ეს აზრი გაიზიარა და 1905 წელს ქართულ საადგილმამულო ბანკში მოიწვია „ყრილობა, რომელსაც დაესწრო 80-85 კაცი, მათ შორის ექვთიმე თაყაიშვილი, ვასო ყიფიანი, გიორგი გვაზავა, პავლე თუმანიშვილი, ნიკო თავდგირიძე და სხვანი. ილიამ ამ. კრებაზე წარადგინა წინადადება ეროვნული და დემოკრატიული მოძრაობის შექმნისა.

ამ ეროვნულ-დემოკრატიული პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღო რამდენიმე კაცმა და მათ შორის გიორგი გვაზავამ. ეს პროგრამა დაიბეჭდა ათი ათას ცალად პავლე თუმანიშვილის ფინანსური დახმარებით“[39].

ცალკე წიგნად გამოცემამდე 1906 წლის 18—19 იანვრის „ცნობის ფურცლის“ ნომრებში დაიბეჭდა „პროგრამა ქართველ ავტონომისტთა კონსტიტუციონალ-დემოკრატიული პარტიისა“. ეს იყო ქართველ ეროვნულ-დემოკრატთა პარტიის პროგრამა. იმ ხანებშიო, წერდა არჩ. ჯორჯაძე, „ქართველ პოლიტიკურ პარტიებს მიემატა ერთი ახალი პარტია, რომელმაც „ქართველ დემოკრატთა პარტიის“ ანუ „ქართველ ავტონომისტთა კონსტიტუციონალ-დემოკრატიულ პარტიის“ სახელი დაირქვა“[40].

„ცნობის ფურცლის“ კომენტარებით, აღნიშნული პროგრამა „თითქმის სიტყვა-სიტყვით“ იმეორებდა რუსი კადეტების პროგრამას. ქართველი ავტონომისტი „კონსტიტუციონალ-დემოკრატები“ უარყოფდნენ „რევოლუციონურ მოქმედებას, როგორც არა სარევოლუციო პარტია“. „ცნობის ფურცლის“ აზრით, ეს პარტია ქართველი საზოგადოების „ზომიერ ელემენტებს“ წარმოადგენდა, რომელნიც უკანასკნელ პერიოდში „ჰგრძნობდნენ პარტიულ ორგანიზაციის საჭიროებას, ჰმართავდნენ კრებებს, სადაც პირდაპირ აღიარებდნენ თავის აზრს და სცდილობდნენ როგორმე ზომიერ პროგრამის

---

39 ივ. ზ ე რ ა ბ ი შ ვ ი ლ ი, კარგ ქართველთა ჰსოვნისათვის, პარიზი, 1962 წ., გვ. 14—15.

40 არჩ. ჯ ო რ ჯ ა ძ ე, თხზულებანი, წიგნი პირველი, გვ. 230.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტია შეექმნათ, მაგრამ მათი მეცადინეობა დღემდე უნაყოფო რჩებოდა“.

პროგრამის 63-ე მუხლი აღიარებდა როგორც საქართველოს, ისე ყველა ეროვნებების უფლებას, დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარებისთანავე შემოეღოთ „ავტონომიური მმართველობა“. ხოლო პროგრამის 74-ე მუხლი კატეგორიულად მოითხოვდა: „ვერც ერთი საქართველოს შესახები რუსეთის სახელმწიფოს აქტი ვერ გამოცხადდება, თუ რომ რუსეთის მთავრობასთან გაგზავნილი ქართველი წარმომადგენელი, საქართველოს პარლამენტის ნდობით აღჭურვილი, ამ აქტის თანახმა არ იქნება და ზედ ხელს არ მოაწერს“[41]. ქართველი კონსტიტუციონალ-დემოკრატების, იგივე ეროვნულ-დემოკრატების პროგრამა ბევრ პუნქტში იმეორებდა რუსი კადეტების პროგრამას, მაგრამ განსხვავდებოდა იმ პუნქტებით, რომლებშიც ჩამოყალიბებული იყო ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესების შესაბამისი მოთხოვნები. როგორც უკანასკნელ ხანს დადგინდა, „ქართველი ხალხის განსაკუთრებული მოთხოვნებით გამოწვეული ცვლილებანი და დამატებანი ი. ჭავჭავაძის მითითებით 14 პუნქტად ჩამოუყალიბებია სპირიდონ ვირსალაძეს. ამ პუნქტების ნაწილი სპ. ვირსალაძემ „პროგრესისტთა ქართული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის“ პროგრამაზე დაყრდნობით შეიმუშავა, ხოლო ნაწილი იმ მოთხოვნებიდან, რომელნიც ქართველმა ეროვნულ-დემოკრატებმა 1905 წლის ივნისში წარუდგინეს მინისტრთა კომიტეტს[42]. ამის შესახებ სპ. ვირსალაძე წერდა: რუსეთის კონსტიტუციონალ-დემოკრატთა პარტიის პროგრამის 24-ე მუხლის დამატებებს, რომელნიც შეეხებოდნენ რუსეთის იმპერიის ერების ავტონომიურად მოწყობის საკითხებს, ესაჭიროებოდა „მხოლოდ განმარტება იმისა, რომ საქართველოს ავტონომია მოიცავს თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებს,

---

41 „ცნობის ფურცელი“, 1906, 19 იანვარი, „პროგრამა ქართველ ავტონომისტთა კონსტიტუციონალ-დემოკრატთა პარტიისა“.

42 გურამ შარაძე, ილია ჭავჭავაძე, ცხოვრება, მოღვაწეობა, შემოქმედება. ფოტომატიანე. წიგნი II, თბ., 1990, გვ. 263.

ბათუმის ოლქს, სოხუმისა და ზაქათალის ოკრუგებს და რომ ავტონომიური წარმომადგენლობის კომპეტენცია არ გრცელდება არც არმიაზე, არც ფლოტზე, არც სახელმწიფო საგარეო პოლიტიკაზე, არც საერთო იმპერიულ საფინანსო პოლიტიკაზე.

საქართველოს კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტია მთლიანად იზიარებს რკდპ პროგრამას, თავის ამ განმარტებებში ხაზს უსვამს მხოლოდ მის ზოგიერთ პუნქტს, რასაც ღიდი მნიშვნელობა აქვთ ქართველი ხალხის ინტერესებისათვის"[43].

გაუგებარია მხოლოდ ერთი გარემოება. რუსი კადეტები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მხოლოდ პოლონეთისა და ფინეთისათვის უშვებდნენ ავტონომიის შესაძლებლობას, ხოლო დანარჩენებისათვის თავისუფალი კულტურული თვითგამორკვევის უფლებას იმეტებდნენ. ეს უკანასკნელი გამოიხატებოდა ეროვნული ენის თავისუფალი სმარების, სწავლის, ეროვნული დაწესებულებების მოწყობის უფლების აღიარებაში. „როგორც ვხედავთ, — დაასკვნის ამის შესახებ რუსი ისტორიკოსი ლ. მ. სპირინი, — კადეტები თავიანთ პროგრამაშიც კი ძალიან შორს იდგნენ რუსეთის რაიონების ძირიადი ხალხების პოლიტიკური თვითგამორკვევისაგან"[44]. ქართველი ეროვნულ-დემოკრატების ეროვნული პლატფორმა, კადეტებთან შედარებით, მეტ სიახლოვეს რუსეთის რადიკალურ პარტიასთან ამჟღავნებდა. ალბათ ამიტომაც სწერდა კ. აბაშიძე 1905 წლის 9 აპრილს ივანე ჯავახიშვილს: „აქ დაარსდა ახალი პარტია „საქართველოს დემოკრატიული პარტია", რომელიც რუსულ რადიკალურ პარტიას უახლოვდება"[45]. და, მართლაც, რუსეთის რადიკალური პარტია მეტ ან-

---

43 კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ილია ჭავჭავაძის ფონდი. № 1015. ციტირებულია გ. მ ა მ უ ლ ი ა ს დასახ. წერილიდან.

44 Л. М. С п и р и н, Крушение помещичьих и буржуазных партий в России (начало XX в — 1920). М., 1977, стр. 110.

45 ხელნაწერთა ინსტიტუტი, ივ. ჯავახიშვილის ფონდი № 1539. ციტირებულია გ. მ ა მ უ ლ ი ა ს დასახ. წერილიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბარიმს უწევდა იმპერიაში მცხოვრები ხალხების ეროვნულ პრობლემებს. კერძოდ, რადიკალური პარტიის პროგრამა ცნობდა „ფართე ეროვნულ-პოლიტიკური ავტონომიის პრინციპს“, თუმცა არა ყველასათვის, არამედ „მხოლოდ რამდენიმე მსხვილი ოლქებისას, რომელთაც მახლობელ წარსულში ჰქონდათ პოლიტიკური დამოუკიდებლობა“. ავტონომიის პრინციპის დაშვება და ფედერალისტური დეცენტრალიზაცია რადიკალებისათვის რუსეთის სახელმწიფოს ერთიანობის გარანტიას წარმოადგენდა: „პატარა ტერიტორიალური ერთეულების ფედერაცია, ან რუსეთის შეერთებული შტატები მისცემენ საშუალებებს ყველა ერებს, განახორციელონ გინდ მცირე ტერიტორიაზე მათთვის ძვირფასი ეროვნულ-კულტურული ინტერესები უმაღლეს ხარისხამდე, კიდევ მეტი, მხოლოდ ასეთ შეერთებულ შტატებს ფართო ადგილობრივ საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ავტონომიით შეუძლიათ დაიცვან რუსეთის სრული მთლიანობა“[46]. რუსეთის მთლიანობა არამარტო მემარჯვენე-რეაქციულ ბანაკში, არამედ ლიბერალურ-დემოკრატიული ცენტრის წარმომადგენელ რუსეთის პოლიტიკურ ძალებშიც უმაღლეს პოსტულატად მიიჩნეოდა.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ფორმირებაში, მის იდეურ-პრაქტიკულ ორგანიზაციაში უაღრესად აქტიური მონაწილეობა მიიღო ილია ჭავჭავაძემ. მან 1905 წლის შემოდგომიდან ენერგიულად დაუჭირა მხარი თავის ახალგაზრდა თანამოაზრეებს, ახალი ეროვნული ქართული პარტიის ახალგაზრდა მესვეურებს. 1906 წლის 1 მარტს „ცნობის ფურცელი“ იუწყებოდა, რომ როგორც გაზ. „ვოზროჟდენიესათვის“ გამზდარა ცნობილი, „ტფილისში არსდება ახალი ქართული ლეგალური პარტია. ახალი პარტიის მეთაურებად არიან: თავ. ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი და სხვანი“. ერთი თვის შემდეგ, 1906 წლის 11 აპრილს პეტერბურგის გაზეთი „სტრანა“-ც აუწყებდა რუსეთის დედაქალაქის მკითხველებს, ალბათ თბილისის გაზეთებიდან გადაბეჭდილ ცნობას: „შე-

---

46 ვინ რისთვის იბრძვის, პარტიები და მათი პროგრამები, თბ., 1907, გვ. 38.

ქმნა ქართული დემოკრატიული პარტია, ამასთან საქართველოს ავტონომიის მოთხოვნა წამოყენებულია როგორც პროგრამის ძირითადი პუნქტი. არჩეულია პარტიის ცენტრალური კომიტეტი, რომელშიც შევიდნენ ქართველი ინტელიგენციის ცნობილი წარმომადგენლები. პარტიის პროგრამის შედგენაში ენერგიული მონაწილეობა მიიღო სახელმწიფო საბჭოს წევრად არჩეულმა თავადმა ჭავჭავაძემ".

მიუხედავად ამისა, როგორც ჩანს, ი. ჭავჭავაძე ცდილობდა ინიციატივა ახალგაზრდა მოღვაწეებისათვის დაეთმო და ნაკლებად წარმოჩენილიყო, როგორც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი ან დამაარსებელი. ილიამ კატეგორიული უარი განაცხადა შეთავაზებულ პარტიის თავმჯდომარეობაზე და თავადვე ივანე ზურაბაშვილის კანდიდატურა წაროაყენა. ერთი შეხედვით ილიას უარი შეიძლება მისი ხანდაზმულობით აიხსნას, მაგრამ იმავე ხანებში ი. ჭავჭავაძეს აღმოსავლეთ საქართველოს წარმომადგენლად ირჩევენ რუსეთის სახელმწიფო საბჭოში და იგი უარს არ ამბობს ამ უფრო მძიმე და საპასუხისმგებლო მოვალეობაზე. თავისი შემოქმედებით, შრწამსით, მოღვაწეობით ი. ჭავჭავაძე მუდამ პარტიული და კლასობრივი გათიშულობის მოწინააღმდეგე, ქართველი ხალხის სულიერ-ფიზიკური ერთიანობის გამომხატველ-მქადაგებელი იყო. ამიტომ ძნელად წარმოსადგენიც კია ილია რომელიმე ერთი პარტიის დამაარსებლად თუ წევრად.

ეროვნულ-დემოკრატი მოღვაწეები ზეკლასობრივად მიიჩნევდნენ თავის პარტიას. 1917 წელს გრიგოლ ვეშაპელი წერდა: „რაც უნდა მოხდეს, საქართველოს სახელმწიფოს შენებამდე ჩვენი პარტიის პოლიტიკა უნდა იყოს ეროვნული და ზეკლასიური"[47]. მიუხედავად ამისა, გამწვავებული კლასობრივი შეჯახებების ეპოქაში, 1917 წელსაც, 1906 წელსაც, რწმენა „ზეკლასიური" პარტიების არსებობისა ილუზორული იყო. ობიექტურად ეროვნულ-დემოკრატები გამოხატავდნენ ქართველი ლიბერალური თავადაზნაურობისა და ეროვნული

---

[47] გ. ვეშაპელი, ნაციონალ-დემოკრატიული პარტია, თბ., 1918, გვ. 6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბურჟუაზიის სულისკვეთებას. რა თქმა უნდა, ეს გარემოება სრულიადაც არ იძლევა საფუძველს იმისა, რომ ქართველი ეროვნულ-დემოკრატები რეაქციულ ბანაკს მივაკუთვნოთ. ასე იქცევა, მაგალითად, რუსი ისტორიკოსი ლ. მ. სპირინი, რომელსაც თავის წიგნზე დართულ რუსეთის იმპერიის პარტიების ცხრილებში ქართველი ეროვნულ-დემოკრატების პარტია მოთავსებული აქვს თემატურ ცხრილში, სადაც ჩამოთვლილია რეაქციული ბურჟუაზიული პარტიები[48]. ამ განყოფილებაში ქართველ ეროვნულ-დემოკრატებსა და ასევე ეროვნულ პლატფორმაზე მდგომ ბალტიისპირეთის ქვეყნების, უკრაინისა და სომხეთის პარტიებს „მხარს უმშვენებენ" რუსული მსხვილი ბურჟუაზიის გიგანტები: ოქტიაბრისტები, საკაჭრო-სამრეწველო პარტია, სამართლებრივი წესრიგის პარტია და სხვები. ეროვნულ-დემოკრატთა რეაქციულობის ოვალსაზრისს ასაზრდოებდა ზოგიერთი ქართველი მარქსისტი მოღვაწის ტენდენციური შეხედულება. ფ. მახარაძე თვლიდა, რომ ეროვნულ-დემოკრატები იყვნენ „კაპიტალისტებისა და მემამულეების პარტია. ესენი ქართველი გუჩკოვებისა და როდზიანკოვების წარმომადგენლებია. ქართველი ნაციონალ-დემოკრატები აშკარა შავრაზმული პარტიაა, რომელსაც რევოლუციის დროს ერთხელაც არ შეუწყვეტია რევოლუციონური პროლეტარიატისა და გაღატაკებული გლეხობის წინააღმდეგ ბრძოლა"[49].

ფ. მახარაძის შეცდომა იმაში მდგომარეობდა, რომ მას რუსი მარქსისტების მიერ ოქტიაბრისტებისა და სხვა რეაქციულ-ბურჟუაზიული პარტიების მართებული შეფასება მექანიკურად გადმოჰქონდა ქართულ ნიადაგზე. რუსი გუჩკოვები, როძიანკოები, რიაბუშინსკები და ძმანი მათნი გაბატონებული ერის მსხვილი ბურჟუაზიის რეაქციულ, დიდმპყრო-

---

48 Л. М. Спирин. დასახ. ნაშრ., გვ. 334

49 ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, თხზ., ტ. IV, ნაციონალური საკითხი, ტფ., 1924, გვ. 116.

ეროვნული

ბელურ მისწრაფებებს გამოხატავდნენ. მათგან განსხვავებულ ეროვნულ-დემოკრატებს ჩაგრული ერის უაღრესად სუსტი ეროვნული ბურჟუაზიის ინტერესების დაცვის მისია ეკისრებოდა, ხოლო ქართველი ეროვნული დემოკრატების ძირითადი პოლიტიკური მიზანი — ავტონომიის ფორმით ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენა, ძალიან ახლოს იდგა და უპასუხებდა ქართველი ხალხის ეროვნულ-პოლიტიკურ ინტერესებს. ამდენად, ლიბერალური ცენტრის ბანაკში მდგომი ეროვნული დემოკრატები, პირველი რევოლუციისა და შემდგომ ისტორიულ პერიოდში პროგრესულ-დემოკრატიულ ნიადაგზე იდგნენ და თავისი წვლილი შეჰქონდათ ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში.

ეროვნული დემოკრატებისათვის სამწუხაროდ, მათი ამგვარი წვლილი პირველი რევოლუციის პერიოდში ერთობ მოკრძალებული იყო. მათ ვერ მოახერხეს პოლიტიკურ პარტიად ჩამოყალიბება და საზოგადოებრივი მიმდინარეობის მდგომარეობაში დარჩნენ. „ეს პარტია უდღეო გამოდგა, — წერდა ა. ჯორჯაძე ეროვნულ-დემოკრატთა შესახებ, — .მას თითქმის არავითარი მოქმედება არ გამოუჩენია. გარდა იმისა, რომ მან შეადგინა „პროგრამა". ფედერალისტების ლიდერი ეროვნულ დემოკრატებს ქართველი თერგდალეულების პოლიტიკურ მემკვიდრეებად მიიჩნევდა და გულისტკივილით შენიშნავდა, რომ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მოუმაგრებლობა და სისუსტე იყო საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური სინამდვილის „დიდი უკულმართობა და ღრმა ანომალია". მიუხედავად ამისა, ეროვნულ დემოკრატთა პარტიის ახლო მომავალში საზოგადოებრივ ასპარეზზე აქტიური გამოჩენის შესაძლებლობას არჩ. ჯორჯაძე ოპტიმისტურად უყურებდა და წინასწარმეტყველურად დაასკვნიდა, რომ საქართველოში თანდათან იქმნებოდა ხელსაყრელი პირობები აღნიშნული პარტიის მოქმედებისათვის. „ეს პირობებია წვრილ მესაკუთრეთა სიმრავლე და ქართველი ბურჟუაზიის ზრდა, — წერდა ჯორჯაძე. — კლასობრივ დიფერენციაციის დამთავრების უმალ სამოქმედოდ გამოვა საქართველოს ნაციონალ-დემოკრატიული პარტია, რომელსაც, ეჭვის გარე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეა, მიეკედლება ჩვენი ინტელიგენციის ერთი ნაწილიც[50]. ამ სიტყვების დაწერიდან შემდგომი ათეული წლის მანძილზე ეროვნულ-დემოკრატიული მიმდინარეობა ნელი ნაბიჯებით, მაგრამ ჯიუტად მიიწევდა პოლიტიკურ პარტიად ჩამოყალიბების გზით. 1912 წელს ეროვნულ-დემოკრატიულმა მიმდინარეობამ რ. გაბაშვილის რედაქტორობით გამომავალი ყოველკვირეული ჟურნალის „კლდის" გარშემო მოიყარა თავი. ჯგუფში შედიოდნენ: დავით ვაჩნაძე, შალვა ამირეჯიბი, მიხეილ მაჩაბელი, ალექსანდრე ყიფშიძე, ვასილ ყიფიანი, დავით კასრაძე, შალვა ქარუმიძე, დიმიტრი ჯავახიშვილი, იროდიონ სონღულაშვილი და სხვ. 1915 წლიდან „კლდის" მაგიერ „საქართველო" — ახალი ყოველდღიური გაზეთი გამოვიდა. 1917 წელს საბოლოოდ გაფორმდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტია.

რუსეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური რუკის მემარცხენე-რევოლუციურ ბანაკში ერთ-ერთ ყველაზე მრავალრიცხოვან პარტიას ესერები, სოციალისტ-რევოლუციონერები წარმოადგენდნენ. ესერთა პარტია 1901—1902 წლების მიჯნაზე შეიქმნა რუსეთში არსებული ნეოსალსნური წრეებისა და ჯგუფების გაერთიანების შედეგად. ესერები ქალაქის და სოფლის წვრილბურჟუაზიული სოციალური ფენების ინტერესებს იცავდნენ. მათი ძირითადი მოთხოვნა იყო მიწაზე კერძო საკუთრების გაუქმება და მისი გადაცემა გლეხური თემებისათვის, ე. წ. მიწის სოციალიზაცია, რომელიც პოპულარული ლოზუნგი იყო გლეხობაში. ესერთა პარტიის ლიდერები იყვნენ: ვ. მ. ჩერნოვი, გ. ა. გერშუნი, ა. რ. გოცი, დ. დ. დონსკოი და სხვ.

ესერები რუსეთის მომავალი დემოკრატიული რესპუბლიკის ფედერალისტურ პრინციპებზე მოწყობის პოზიციაზე იდგნენ. 1905 წლის აგვისტოში ქუთაისის კომიტეტის მიერ გამოცემული სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის პროგრამის პროექტის პირველი პუნქტი მოითხოვდა „დემოკრა-

---

50 არჩ. ჯ ო რ ჯ ა ძ ე, თხზულებანი, წიგნი პირველი, „შეთანხმების იმედი", ტფ., 1911, გვ. 241.

ტიული რესპუბლიკის დამყარებას, ფართო ავტონომიით ოლ-ქებისა და როგორც ქალაქის, ისე სოფლის თემებისათვის". მეორე მუხლი ითვალისწინებდა, „რაც შეიძლება ფართო ფედერატიულ დამოკიდებულებას, სხვა და სხვა ეროვნებათა შორის". უფრო კონკრეტული იყო ესერთა პროგრამა, რომელიც პარტიის I დამფუძნებელ ყრილობაზე დამტკიცდა 1905 წ. 29 დეკემბერ — 1906 წ. 4 იანვარს, ფინეთში. ამ პროგრამის მიხედვით, იმპერიის იმ ხალხებს, რომელთაც მეტნაკლებად მოხაზული ტერიტორია გააჩნდათ, უნდა შეექმნათ თავიანთი ეროვნული სახელმწიფოებრიობა, ავტონომიის სახით (პოლონეთი, ფინეთი, კავკასია). რაც შეეხება იმპერიის ეროვნულ უმცირესობებს, მათ ესერთა პროგრამა „კულტურულ-ნაციონალურ ავტონომიას" პირდებოდა.

როგორც მკვლევარმა ვლ. ხვედელიძემ დაასაბუთა, საქართველოში ნეოხალხოსნური წრეები XIX ს-ის 90-იან წლებში მოღვაწეობდნენ[51]. ნეოხალხოსნური საქმიანობის მთავარი კერები 90-იანი წლების შუა პერიოდისათვის იყო ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველო და სახელოსნოები, ქ. თბილისის გამგეობა, აგრეთვე სურამში შექმნილი ფილოქსერის წინააღმდეგ მებრძოლი რაზმი, სადაც 1890 წლიდან მუშაობა დაიწყო პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ მყოფმა ი. სტაროსელსკიმ, შემდგომში ქუთაისის „წითელმა გუბერნატორმა". თბილისის გამგეობაში შექმნილ ნეოხალხოსნურ ჯგუფში იყვნენ: ა. ლომაკინი, ა. კალიუჟნი, მ. ყიფიანი, კ. მესხი, ე. ნიკოლსკაია, ნ. სემიბრატოვა-სტაროსელსკაია, ვ. მელენწუკი, ი. დანკო, ვ. მაიკოვი და სხვ. საერთოდ, 90-იან წლებში საქართველოში ბევრი ცნობილი ხალხოსანი ცხოვრობდა: ნ. ხუდადოვი, ი. გერვასი, ი. ჯაბადარი, ო. ჯაბადარილიუბატოვიჩი, ს. ჭრელაშვილი, ალ. ნანეიშვილი, ა. კუზმინი, ვ. ცვეტნიცკი და სხვ. თბილისში მოკალათებულ ნეოხალხოსნებს მფარველობდა ა. არღუთინსკი-დოლგორუკოვი, თა-

---

51 ჟურნ. „მაცნე", 1988, № 3, ვლადიმერ ხ ვ ე დ ე ლ ი ძ ე, „ნეოსაროდნიკული მოძრაობა საქართველოში XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში (ნეოხალხოსნური წრეების საქმიანობის შესახებ XIX ს. 90-იან წწ. — 1904 წ-მდე. ვსარგებლობთ ამ გამოკვლევით — დ. შ.).

ვადაც ძველი ხალხოსანი. 1895 წლის მაისში თბილისში ჩამოვიდა ცნობილი პუბლიცისტი და ლიტერატორი, ყოფილი ნაროდოვოლეცი ი. სვედენცოვი. იგი გ. ლასხიშვილთან ერთად ხდება „ნოვოე ობოზრენიეს“ ერთ-ერთი წამყვანი მიმომხილველი. მათს ირგვლივ ჯგუფდებიან ნეოხალხოსნური ინტელიგენტური ძალები. 1898 წლიდან მოხდა განხეთქილება. როგორც ვ. ხვედელიძე ადგენს, „კერძო საკითხი ბაქოს ნავთის გატანაზე სარკინიგზო ტარიფის გაზრდის შესახებ იქცა კატალიზატორად იდეურ-საორგანიზაციო განხეთქილებისა რუსეთის ორიენტაციისა (ი. სვედენცოვი) და ნაციონალური მიმართულების (გ. ლასხიშვილი) ნეონაროდნიკებს შორის“[52], როგორც ჩანს, სწორედ ამ პერიოდიდან იწყება ეროვნული მიმართულების ქართველი ნეოხალხოსნების, ხოლო შემდგომში ესერების მიზიდვა „მოამბე“-„ცნობის ფურცლის“ ჯგუფში, შემდგომში კი ფედერალისტთა პარტიაში. გ. ლასხიშვილთან ერთად, როგორც ჩვენი ნაშრომის პირველ თავში აღვნიშნეთ, სვედენცოვს ეკამათებოდა ხალხოსნური მოძრაობის ცნობილი მოღვაწე გიორგი ზდანოვიჩი. როდესაც 1898 წელს ი. სვედენცოვის გარშემო ჩამოყალიბდა ნეოხალხოსანთა ჯგუფი, მასში უკვე ქართველი მოღვაწეები აღარ ჩანდნენ. ესენი იყვნენ მომავალი სოციალისტ-რევოლუციონერები: ა. ალექსანდროვსკი, ო. კაიდანოვა, მამაშვილი ა. და ა. კალიუჟნები, ცოლ-ქმარი ჟ. და ე. ბეკები, მაი ვაჟი ლ. ბეკი, ვ. მაიკოვი, ცოლ-ქმარი ა. და ვ. კუზმინები და სხვ.

ეროვნული მიმართულების ქართველი ნეოხალხოსნები მჭიდრო ურთიერთობას ინარჩუნებდნენ თავიანთ რუს და სხვა ეროვნების სოციალურ თანამოაზრეებთან. ამავე დროს, როგორც ჩანს, ქართველ ხალხოსანთა შორის იყვნენ რუსეთის ორიენტაციის მქონე ანუ რუსეთის ნეოხალხოსნებთან მჭიდრო იდეურ-ორგანიზაციული ერთიანობის მომხრე მოღვაწეებიც. ესენი იყვნენ მომავალი სოციალისტ-რევოლუციონერები მ. ყიფიანი, ყოფილი ხალხოსანი ივანე ჯაბადარი და სხვ. როდესაც 1899 წლის მარტში თბილისში ჩამოვი-

---

52 ელ. ხ ვ ე დ ე ლ ი ძ ე, დასახ. წერილი, გვ. 104.

ლოეთის კავშირის“ წევრი ს. ბარიკოვი, მას ჰქონდა ესერთა მომავალი ლიდერის ვ. ჩერნოვის დის ნ. ჩერნოვას სარეკომენდაციო ბარათი სვედენცოვთან და ი. ჯაბადართან. ირკვევა, რომ სვედენცოვის ნეოხალხოსნურ წრეს მჭიდრო კავშირი ჰქონდა სოციალისტ-რევოლუციონერთა „ჩრდილოეთის და სარატოვის წრის „სოციალისტ-რევოლუციონერთა ჩრდილ. კავშირთან“ და „სამხრეთის პარტიასთან“.

1901 წლის თებერვალში თბილისში ჩამოვიდა ესერთა პარტიის მომავალი ლიდერთაგანი გ. გერშუნი. მან, როგორც ვლ. ხვედელიძის გამოკვლევაში დამოწმებულ საარქივო დოკუმენტში ვკითხულობთ, მოახერხა „გაეერთიანებინა დაყოფილი ჯგუფები და დაეთანხმებინა კავშირის თანამგრძნობი სოციალისტ-რევოლუციონერები „პარტიას“ მიმხრობოდნენ“. როგორც ვიცით, სწორედ ამ პერიოდში მთელი რუსეთის მასშტაბით დაგზავნილი ესერი ემისრები ენერგიულ საქმიანობას ეწეოდნენ დაქსაქსული ნეოხალხოსნური წრეებისა და ჯგუფების გასაერთიანებლად. ეს საქმიანობა 1902 წლის დასაწყისში რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის შექმნით დაგვირგვინდა.

1902 წელს და შემდგომ პერიოდში საქართველოში ზედიზედ ჩამოდიან ესერთა პარტიისა და ძველი ხალხოსნური მოძრაობის ცნობილი მოღვაწეები: მ. ნატანსონი, ა. გედეონოვსკი, ძველი „ლავროველი“ ნ. კულიაბკო-კორეტკი, თ. მინორი და სხვ. მარკ ნატანსონის მიზანი იყო ეროვნული ნეოხალხოსნური ჯგუფები გაეერთიანებინა ესერთა პარტიასთან. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ „ცნობის ფურცლის“ ჯგუფშიც დაისვა საკითხი დამოუკიდებელი ქართული პარტია შეექმნათ თუ ესერთა პარტიასთან გაერთიანებულიყვნენ. უკანასკნელ თვალსაზრისს თითო-ოროლა მომხრე ყავდა. ნატანსონის ვიზიტი ამ მხრივ, როგორც ჩანს, წარუმატებელი აღმოჩნდა. როგორც განსვენებული მკვლევარი გ. ჯანგველაძე აღნიშნავდა, ასევე წარუმატებლად დამთავრებულა ესერთა პარტიის საზღვარგარეთული კომიტეტის რწმუნებით აღჭურვილი ემიგრანტის ვლ. ვოლსკის ვიზიტიც, რომლის მიზანიც იყო აღემართა „კავკასიაში სოციალისტ-რევოლუციური დროშა და დაეთანხმებინა ამ პარტიასთან შესაერთებ-

ლად ადგილობრივი ნაციონალისტური რევოლუციური ორ-
ანიზაციების პარტიები"[53]. ქართველებმაც და სომხებმაც
ესერული ტიპის ეროვნულ-პოლიტიკური პარტიების შექმნა
არჩიეს რუსეთის ესერებთან ორგანიზაციულ გაერთიანებას,
განსხვავებით ქართველი და სომეხი სოციალ-დემოკრატები-
საგან, რომლებმაც, მიუხედავად პოლიტიკური სიძლიერისა,
დამოუკიდებელი ეროვნული ორგანიზაციის შექმნას არჩიეს
რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში შესვლა.

ესერთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრის მინო-
რის თბილისში ჩამოსვლასთან დაკავშირებით, გ. ლასხიშვი-
ლი იგონებს, რომ „თბილისში მან ინახულა ძველი ნაროდო-
ვოლცები და ახალგაზრდა რევოლუციონერები. ძველებიდან
მე ყველას ვიცნობდი. აქ იყვნენ ალ. კალიუჟნი, ბეკი, მა-
ნკოვი, კერესენინი და სხვები. თითქმის ყველანი მსახურობ-
დნენ ან რკინიგზაზე, ან ქალაქის თვითმმართველობაში. იმ-
ხანად არავინ მათგანი არაფერს რევოლუციისათვის არ აკე-
თებდა. არ ვიცი, გამოადგნენ თუ არა ეს ყოფილი რევოლუ-
ციონერები მინორს თუ ახალგაზრდები აირჩია, მაგრამ ის
კი ვიცი, რომ ამ დროიდან ტფილისში უკვე დაიწყო ამ პარ-
ტიის ორგანიზაციის ნორმალური მოქმედება"[54].

გ. ლასხიშვილის სწორედ ამ ცნობამ საფუძველი მისცა
აზრს ქართულ ისტორიოგრაფიაში, რომ ესერთა პარტიის
ადგილობრივი ჯგუფების საქმიანობას 1904 წლიდან ჩაეყარა
საფუძველი. როგორც ვლ. ხვედელიძის დამოწმებული გამო-
კვლევიდან ირკვევა, „1904 წელს ო. მინორის ჩამოსვლა
თბილისში არ იყო დაკავშირებული საქართველოში სოცი-
ალისტ-რევოლუციონერთა ჯგუფის შექმნასთან, რადგან ეს
ჯგუფი ორგანიზაციულად უკვე 1901 წელს ჩამოყალიბდა"[55].

მაგრამ გ. ლასხიშვილის ცნობა მეორე მხრივაა საგულის-

---

53 ციტირებულია გ. ჯანგველაძის ნაშრომიდან: საქართველოს
კომუნისტური პარტიის ბრძოლა ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული
პარტიების იდეური და ორგანიზაციული განადგურებისათვის (1903—
1923 წწ.). თბ., 1974, გვ. 50.

54 გ. ლასხიშვილი, მემუარები, თბ., 1934, გვ. 163.

55 ვლ. ხვედელიძე, დასახ. წერილი, გვ. 107.

ხმო. იგი რელიეფურად ასახავს ესერთა და ესერებამდე ნეოხალხოსნური წრეების უმნიშვნელო გავლენას საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. უმთავრესად, ნეოხალხოსნურ და ესერულ ჯგუფებს ავსებდნენ ჩამოსახლებული რუსი რევოლუციონერები. მათი საქმიანობა 1901 წლამდე უმთავრესად წრეობრივ-სექტანტურ ხასიათს ატარებდა. 1901 წლიდანაც, მართალია, ესერები გააქტიურდნენ, მაგრამ მათი ჯგუფი არ ქცეულა მნიშვნელოვან პოლიტიკურ ძალად საქართველოში. ამას ირწმუნებიან საქართველოს საისტორიო არქივში შემონახული მასალები. ერთ-ერთი დოკუმენტის მიხედვით, 1905 წლამდე თბილისში ესერთა მოღვაწეობა ცალკეული ადამიანების არაორგანიზებული საქმიანობით ამოიწურებოდა. ეს საქმიანობა კი გამოიხატა რამდენიმე პროკლამაციის გამოცემითო 1903—1904 წლებში, კერძოდ, გოლიცინზე თავდასხმისა და პლევეს მკვლელობასთან დაკავშირებით. იმავე დოკუმენტის რწმუნებით, აღნიშნულ პერიოდში „ყველაზე მოქმედი პირები“ ესერებიდან იყვნენ ევგენია როსტოვსკი და ანა ნიკოლსკაია. პირველი ქალაქის ოვითმმართველობაში მსახურობდა, მეორე მასთან ცხოვრობდა. 1904 წლის ოქტომბერში ორივე პირის პეტერბურგში წასვლის შემდეგ ესერთა ჯგუფის საქმიანობა „საბოლოოდ ჩაკვდა“[56].

რევოლუციამდელ და პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პერიოდშიც საქართველოში ესერები წარმოდგენილი იყვნენ რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის ადგილობრივი ჯგუფებით და ორგანიზაციებით, რომლებშიც ჩამოსული მოღვაწეები ან არაქართველნი უმრავლესობას წარმოადგენდნენ. ესერთა სისუსტე საქართველოში ორი უმთავრესი მიზეზით შეიძლება ავხსნათ. პირველი იყო სოციალ-დემოკრატიის სიძლიერე. სოციალ-დემოკრატებს გავლენა ჰქონდათ როგორც ქართველ, ისე არაქართველ პროლეტარიატში და საერთოდ მოსახლეობაში. მეორე მიზეზი იყო ის, რომ ქართველი ნეოხალხოსნებისა და შემდგომში ესერების დიდმა უმრავლესობამ ეროვნული ორი-

---

56 საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, კავკასიის პოლიციის უფროსის კანცელარია, ფ. 83, ან. 1, ს. 37. გვ. 11

ეროვნული ბიბლიოთეკა

ენტაცია დაიკავა და ჯერ „ცნობის ფურცლის“ ჯგუფში, შემდეგ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიაში გაერთიანდა. ქართველი და სომეხი ესერების შესახებ ერთ-ერთ საარჩევნო საქმეში ვკითხულობთ: „ესერთა ჯგუფი, რომელიც სრულიად უმნიშვნელო აღმოჩნდა და არავითარი გავლენა არ ჰქონდა ადგილობრივ მოვლენებზე, იძულებული გახდა გადაქცეფილიყო ადგილობრივ ეროვნულ-რევოლუციურ ორგანიზაციებში: სომეხ „დროშაკისტებსა“ და „ჰნჩაკისტებში“ და ქართველ „სოციალისტ-ფედერალისტებში“[57]. ფედერალისტური პარტიის უმრავლესობას, როგორც ქვემოთაც დავწერეთ, ეროვნულ პლატფორმაზე მდგარი ძველი ხალხოსნები ან ქართველი ესერები შეადგენდნენ, ხოლო სოციალისტ-ფედერალისტები კი არსებითად ქართული პატრიოტიზმის ემბაზში განბანილი ქართველი ესერები იყვნენ უმთავრესად. ასე რომ, ერთი მხრივ, სოციალ-დემოკრატებმა და, მეორე მხრივ, სოციალისტ-ფედერალისტებმა სოციალური ბაზის გარეშე დატოვეს ესერთა პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციები. ფრიად შეზღუდული სოციალური კონტინგენტი იყო მთავარი მიზეზი რუსეთის ესერთა პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციების სისუსტისა საქართველოში.

ესერთა პარტიის ადგილობრივმა ორგანიზაციებმა გარკვეული მონაწილეობა მიიღეს 1905—1907 წლების რევოლუციაში. რამდენადაც ამ ორგანიზაციებში, მართალია, მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც შედიოდნენ ცენტრალისტურ-ინტერნაციონალისტურ პლატფორმაზე მდგომი ქართველი ესერებიც, შევეხებით რევოლუციაში ესერების მონაწილეობას. კავკასიის პოლიციის სამმართველოს მონაცემებით შესაძლებელი ხდება ესერთა პარტიის საქართველოში საქმიანობის მეტ-ნაკლებად წარმოდგენა.

1905 წლის იანვრიდან ესერთა გააქტიურება მოჰყვა ვ. ვიქტოროვისა და ზოია ლუნკევიჩის რუსეთიდან ჩამოსვლას. თებერვალში თბილისის, ქუთაისის, ბათუმისა და ბაქოს ესერთა კომიტეტები გაერთიანებულან კავკასიის კავშირის სახით. ივლისის პირველ რიცხვებში თბილის-

57 საქართველოს სსცა, ფ. 83, აღწ. 1, ს. 37, გვ. 1.

ლისში ჩამოსულ ესერთა პარტიის სამხედრო ორგანიზაციის წარმომადგენელს, ყოფილ კატორღელს და „ნაროდოვოლეცეს“ ანა იაკიმოვს შეხვდა ბაქოს კომიტეტის წარმომადგენელი, პეტერბურგის ელექტროტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი ილია ქარცივაძე და აცნობა, რომ ესერთა კავშირი, რსდმპ კავკასიის კავშირი, სოციალისტ-ფედერალისტები და სომეხი დაშნაკები შეთანხმებულან საყოველთაო აჯანყების საკითხში.

ესერთა ორგანიზაციას პირველი რევოლუციის წლებში ჩამოყალიბებული ჰქონდა „საბრძოლო რაზმი“, ხოლო ტერორისტულ საქმიანობას წარმართავდა ესერთა პარტიის თბილისის სამხედრო ორგანიზაცია. 1905 წლის 31 ივლისს თბილისში, „გრანდ-ოტელში“ დააპატიმრეს ესერი ტერორისტების ჯგუფი: დავით ყაჭაური, შიო პავლიაშვილი, გ. კაჭაროვი და მ. პეტროვი. მათ აღმოაჩნდათ ბომბები და ჰექტოგრაფიულ ფურცელზე დაბეჭდილი კავკასიის პოლიციის გენერალ შირინკინისათვის გამოტანილი სასიკვდილო განაჩენი, თბილისის ესერთა სამხედრო ორგანიზაციის სახელით. შირინკინზე თავდასხმის მცდელობასთან დაკავშირებით, დაპატიმრებულ 21 პირს შორის იყვნენ: დ. ნასირაძე, ვლადიმერ და მარია ხუდადოვები, გ. გელაშვილი, ალ. კალიუჟნი და გ. ზდანოვიჩი. ორი უკანასკნელი მალე გაანთავისუფლეს. თბილისის ესერთა სამხედრო ორგანიზაციის ხელმძღვანელ კოლექტივში 15-მდე კაცი შედიოდა. მათ შორის იყვნენ ქართველი ესერები: სოფია და მისი შვილი ნინა მახვილაძეები, I ვაჟთა გიმნაზიის მასწავლებელი კ. ი. ბაქრაძე, ჩინოვნიკი, გ. ი. ბაქრაძე, მათი დები ალექსანდრა და ელენე ბაქრაძეები, მიხ. დ. ჩერქეზიშვილი. 1905 წლის 27 მარტს ორგანიზაციის წევრები დააპატიმრეს. ეს იყო ჩავარდნა. სექტემბრიდან შეიქმნა ახალი შემადგენლობის ხელმძღვანელი კოლექტივი, ოუმცა ამის შესახებ თავიდანვე სცოდნია პოლიციას[58].

1906 წლის 4 ივლისს ესერთა პარტიის კავკასიის სამხედრო ჯგუფმა თავდასხმა მოაწყო თბილისის პოლიცმაისტერ

---

58 საქ. სსცა, „თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველო“, ფ. 153, აღწ. 1, ს. 957, გვ. 59.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარტინოვზე. ამ თავდასხმის შემდეგ, როგორც ცნობილია, კაზაკები სათავადაზნაურო გიმნაზიაში შევარდნენ, იქაურობა დაარბიეს და მოკლეს ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, სოციალისტ-ფედერალისტი შიო ჩიტაძე. რამდენიმე პედაგოგი დააპატიმრეს. თავდამსხმელები ფედერალისტები ეგონათ. ალბათ ამის გამო, 6 ივლისს თბილისში ესერებმა „ცნობა“ გაავრცელეს, რომელშიც წერდნენ, რომ ტერორისტული აქტი ჩადენილი იყო სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის კავკასიის საბრძოლო ჯგუფის მიერ და სათავადაზნაურო გიმნაზიაში დაპატიმრებულ ფედერალისტ-ავტონომისტებს თავდასხმაში არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ. ამავე დროს „ცნობა“ აფრთხილებდა: „დაე იცოდნენ ყველა უფროსებმა, რომ მათი თვითნებობა დაუსჯელი არ დარჩება, რომ რევოლუციონერთა ბომბი დაეწევა მათ იმ დროს, როცა ამას პარტია საჭიროდ მიიჩნევს“[59]. თავდასხმაში მონაწილეთაგან ერთ-ერთი ყოფილა ვინმე ივ. მაღლაკელიძე.

1905 წლის 12 მარტს თბილისში ჩატარდა ესერთა ორგანიზაციის კონფერენცია. პირველი რევოლუციის პერიოდში, წელი არ ჩანს, ჩატარდა აგრეთვე ესერთა პარტიის ამიერკავკასიის საოლქო ყრილობა, რომელზეც გადაუწყვეტიათ, შეექმნათ მფრინავი საბრძოლო ჯგუფები. მათი მიზანი იყო სახაზინო-საკრედიტო დაწესებულებებზე თავდასხმები, აგრეთვე პოლიტიკური ტერორი, რომლის პირველი მსხვერპლი უნდა ყოფილიყო კავკასიის მეფისნაცვალი. ესერთა ორგანიზაციას გააჩნდა საკუთარი სტამბა თბილისში, რომელიც პოლიციამ აღმოაჩინა შირინკინზე თავდასხმასთან დაკავშირებით დაპატიმრებული სამხედრო ორგანიზაციის ხელმძღვანელი კოლექტივის წევრის გიორგი გელაშვილის ბინაში. რევოლუციის პერიოდში ესერებმა არაერთი პროკლამაცია დაბეჭდეს და გაავრცელეს. აი ზოგიერთი მათგანი: „კიდევ ერთი“ — დიდი მთავრის სერგეი ალექსანდრეს ძის მკვლელობასთან დაკავშირებით; „რუსეთის არმიის ოფიცრებს“;

---

59 საქ. სსცა, „კავკასიის პოლიციის უფროსის კანცელარია“, ფ. 83, აღწ. 1, ს. 313, გვ. 11.

„სიტყვის თავისუფლების შესახებ“; ბაქოში სომეხ-თათართა ჟლეტის შესახებ; არმიაში გაწვევისათვის ბოიკოტის გამოცხადების შესახებ და სხვ. ერთ-ერთი პროკლამაცია ბომბებით დაშინებულ მთავრობას ურჩევდა „დაეთმო წმინდა გზა და ადგილი დამფუძნებელი კრებისათვის“. პროკლამაციას ხელს აწერდა ესერთა პარტიის ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტი.

როგორც ვხედავთ, პირველი რევოლუციის პერიოდში ესერები საქართველოში უქმად არ მსხდარან. მათ თავიანთი წვლილი შეიტანეს განმათავისუფლებელ მოძრაობაში. მიუხედავად ამისა, საქართველოს რევოლუციურ მოძრაობაში რუსეთის ესერთა პარტიის ადგილობრივ ორგანიზაციებს, სხვა რევოლუციურ პარტიებთან შედარებით, ნაკლები გავლენა ჰქონდათ. შესაძლოა გადაჭარბებული იყოს, მაგრამ მეტ-ნაკლებად რეალურ ვითარებას ასახავდა ქართველი ბოლშევიკი მ. ცხაკაია, როცა რსდმპ III ყრილობას მოახსენებდა: „სოციალისტ-რევოლუციონერები, როგორც ორგანიზებული პარტია, ნულია. არსად მე არ მინახავს მათი ორგანიზაციები, თუმცა ისინი თავიანთ არსებობას, როგორც პარტიისა, თითქმის ადამიდან იწყებენ. კერძოდ, კავკასიაში მათ არავითარი ორგანიზაციები და არავითარი კავშირი მუშათა მასებთან არა აქვთ. ამხ. გოლუბინმა მიუთითა, რომ ბაქოში ს.-რ. არავითარ ძალას არ წარმოადგენენ, ბათუმსა და ტყიბულში მათ ვერსად შეხვდებით“[60]. მ. ცხაკაიას ვადაჭარბებული სკეპტიციზმი ესერებისადმი მხოლოდ იმით შეიძლება აიხსნას, რომ იგი ამ სიტყვებს 1905 წლის აპრილში ამბობდა. ესერთა გააქტიურება კი სწორედ 1905 წლის გაზაფხულიდან დაიწყო საქართველო-კავკასიაში, თუმცა ამ გააქტიურებას შეზღუდული მასშტაბები ჰქონდა.

და, ბოლოს, როგორც აღვნიშნეთ, პირველი რევოლუციის პერიოდში ესერები საქართველოში დამოუკიდებელი სახის პოლიტიკურ პარტიას არ წარმოადგენდნენ. მათი ერთი, თუ შეიძლება ითქვას, ინტერნაციონალისტური ნაკადი, უშუალოდ რუსეთის ესერთა პარტიის ადგილობრივ ორგანიზაცი-

---

60 Третий съезд, РСДРП, протоколы, М., 1959, с. 386.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ებში მოღვაწეობდა, ხოლო მეორე, ეროვნულ პლატფორმაზე მდგომი ნაწილი, ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიაში იყო გაერთიანებული. საქართველოში დამოუკიდებელ სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია მხოლოდ 1918 წლის ივნისში შეიქმნა, ქუთაისში.

მიუხედავად იმისა, რომ ქართველი ესერების უმრავლესობა ფედერალისტთა პარტიაში იყო „გათქვეფილი", მათი ერთი ნაწილი მაინც ცდილობდა რამდენადმე დამოუკიდებელი პოზიცია ჰქონოდა და ფედერალისტებისაგან ფორმალურად მაინც გამიჯნულიყო, თავისი არსებობა ქვეყნისათვის დაენახვებინა. 1906 წლის პირველ იანვარს ქართველმა ესერებმა თავიანთი გაზეთი გამოსცეს. ეს იყო „პატარა გაზეთი", ოტე მესხის რედაქტორობით. მოწინავეში გაზეთი თავის არედოს აყალიბებდა. მისი აზრით, საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება „რუსეთის ცხოვრებაზედ" იყო დამოკიდებული. ამით იყო გამოწვეული, რომ საქართველოში მოღვაწეობდნენ რუსეთში არსებული პოლიტიკური პარტიების ანალოგიური პოლიტიკური ძალები. „პატარა გაზეთი" აღიარებდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის პრიორიტეტს, როგორც ყველაზე ძლიერი და გავლენიანი პარტიისას. მაგრამ „როგორც მზეს ახლავს ლაქები", ისე სოციალ-დემოკრატებსაც ჰქონდათ ნაკლი — ეს იყო აგრარული საკითხი. ისინი „ჩამონაჭრებიო" უმასპინძლდებოდნენ სოფლის გლეხობას, რაც არ იყო საკმარისი მათი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. „პატარა გაზეთის" რწმენით, სოფლად პრიორიტეტი ესერებს ეკუთვნოდათ და მათი „სრული გამარჯვება" დროის საქმე იყო. „ამრიგად მკითხველისათვის ცხადია, რომელ პოლიტიკურ მებრძოლ პარტიას ეკუთვნის „პატარა გაზეთის" სიმპატიაო", — დაასკვნიდა გაზეთი. აქ საყურადღებოა შემდეგი დეტალი: გაზეთი წერს მხოლოდ იმას, რომ ჩვენი სიმპატია ეკუთვნის ესერთა პარტიასო. წერილს ხელს აწერდა ვინმე „ფედერალისტი", რაც ნიშნავდა, რომ გაზეთის მესვეურები ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიასთან არსებულ ესერთა ჯგუფს წარმოადგენდნენ.

„პატარა გაზეთი“ ესერული მიმართულებისაკენ, მაგრამ მტკიცედ დგას ფედერალისტთა ეროვნულ და კონსოლიდატორულ-გამაერთიანებელ პლატფორმაზე. გაზეთი გულისტკივილს გამოთქვამს განმათავისუფლებელი მოძრაობის მონაწილე პარტიათა შორის ატეხილი შეხლა-შემოხლისა და უთანხმოების გამო. მისი რწმენით, საჭიროა, საერთო მტრის წინააღმდეგ ერთიანი მოქმედება, საერთო ფრონტით გამოსვლა. „რა დროს უთანხმოებაა განმათავისუფლებელ პარტიებს შორის! — მოუწოდებს „პატარა გაზეთი“, — შორს პროგრამებზე და პრინციპებზე პოლემიკა!“ გაზეთის მეორე ნომერში აკაკი წერეთლის მოსაზრებაა დამოწმებული, რასაც გაზეთი ეთანხმება და იზიარებს: „ჩვენ ყოველგვარ პარტიის პატივისმცემლები ვართ, რომელსაც კი სარჩულად საქართველო უძევს და ჩვენ ცხოვრების წარმატებისათვის არის აღმოცენებული“[61].

ესერულ-ფედერალისტური „პატარა გაზეთისათვის“ მიწის სოციალიზაციის აგრარულ-სოციალურ მსოფლმხედველობას არ დაუბნელებია ეროვნული თვითშეგნება. გაზეთი „მშრომელი ხალხის“ ინტერესების დაცვის პლატფორმაზე იდგა, მაგრამ მიაჩნდა, რომ საქართველოში „ქართველი მშრომელი ხალხის“ მდგომარეობა პრიორიტეტულად უნდა განხილულიყო. „პატარა გაზეთს“ აწუხებდა ის გარემოება, რომ „ქართველი მუშა საქართველოში სამუშაოს კარგავდა“. ეს ხდებოდა ჩამოსახლებულ თუ სხვა აქ მცხოვრები უცხოტომელი მუშახელის მომრავლების გამო. ამგვარ ვითარებაში, გაზეთი წინადადებას იძლეოდა „დაუყოვნებლივ“ დაეარსებინათ „ქართველ მშრომელთა კავშირი“, რომელიც უცხოელ „მოცილეთა“ კონკურენციისაგან დაიცავდა ქართველ მუშებს“[62].

უშუალოდ ეროვნულ საკითხს ქართველი ესერებიდან შალვა ნათაძე შეეხო. მისი პლატფორმა, რომელიც ჩამოყალიბდა პატარა ბროშურაში „ეროვნული საკითხი“, ესერული პროგრამიდან მომდინარეობდა. შ. ნათაძე აღიარებდა „წმინდა ეროვნულ ავტონომიას“. ეროვნული ავტონომია არ გუ-

---

61 „პატარა გაზეთი“, 1906, 1 იანვარი, „უბრალო საუბარი“.

62 „პატარა გაზეთი“, 1906, 8 იანვარი, № 2, „სალაპარაკო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეისსმობდა ერების სახელმწიფოებრივ-ეროვნულ პრინციპზე მოწყობას, არამედ აღიარებდა მხოლოდ ეროვნებათა ავტონომიას. მომავალი რუსეთის სახელმწიფო უნდა ყოფილიყო „ეროვნებათა ფედერაცია“, რომელშიც ყველა ერს ექნებოდა საკუთარი სეიმი. ეროვნებათა ფინანსური საჭიროებისათვის იარსებებდა ყველასათვის საერთო ბიუჯეტი, საიდანაც ყოველი ერი თავის წილს მიიღებდა. შ. ნათაძე ფაქტიურად კულტურულ-ეროვნული ავტონომიის პლატფორმაზე იდგა და იმოწმებდა ანალოგიურ პოზიციაზე მდგარი კარლ კაუცკის ავტორიტეტს. „ყოველ ეროვნებას ეყოლება თავისი ნაციონალური სეიმი, რომელიც განაგებს თავის ერის კულტურულ საქმეებს“. ამ სახით ყველა ერი თანასწორად დაიკმაყოფილებდა თავის ეროვნულ-კულტურულ მოთხოვნილებებს, მაშინ როცა, შ. ნათაძის აზრით, ეროვნულ-ტერიტორიული პრინციპით შეუძლებელი იქნებოდა ყველა ერების მოწყობა სახელმწიფოში.

გამოდიოდა, რომ რუს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის პროგრამა უფრო მეტს იძლეოდა ქართველებისა და სხვა კომპაქტურად დასახლებული ხალხებისათვის, ვიდრე შ. ნათაძე, რომელიც თავისი ერისათვის, სხვათა მიმართ გაუმართლებელი ალტრუიზმის გამო, მხოლოდ კულტურულ-ეროვნულ ავტონომიას იმეტებდა. „ქართველი ერი მიიღებს ეროვნულ ავტონომიას, — წერდა იგი. — ქართველ ერს ექნება თავისი სეიმი, რომელიც განაგებს ქართველების ნაციონალურ და კულტურულ საქმეებს“[63].

საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური რუკის უკიდურეს მემარცხენე ფრთას წარმოადგენდნენ ანარქისტები.

ცალკეული ანარქისტული იდეები, როგორც სოციალისტური მოძღვრების ნაირსახეობა, უკვე XIX ს-ის 60-იანი წლებიდან აღწევენ საქართველოში. რუსეთსა და დასავლეთ ევროპაში მოსწავლე ქართველ ახალგაზრდობაში პოპულარული იყო ანარქიზმის პირველი თეორეტიკოსის პიერ ჟოზეფ პრუდონის (1809—1865) სახელი. 70-იან წლებში ანარქის-

---

63 შ. ნ ა თ ა ძ ე, ეროვნული საკითხი, თბ., 1906, გამომც. „გუთნისა“, გვ. 14.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტული მოძრაობის მეორე მამამთავრის მიხეილ ბაკუნინის მოძღვრებას და მოღვაწეობას ქართველ ხალხსანთა შორის არაერთი ეგზალტირებული მომხრე გააჩნდა. მიუხედავად ამისა, XIX ს-ის 90-იანი წლებისთვისაც, ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის ანარქიზმი შორეული მოვლენა იყო. 70-იანი წლების რომანტიკული ხანის ბაკუნისტური ანარქიზმის მემკვიდრეები ნაყოფიერ პრაქტიკულ და თეორიულ-პუბლიცისტურ მოღვაწეობას ეწეოდნენ დასავლეთ ევროპის ემიგრაციაში, მაგრამ მათი თვალსაჩინო იდეოლოგების პეტრე კროპოტკინის, ელიზე რეკლიუს, ვარლამ ჩერქეზიშვილისა და სხვათა ხმა რუსეთამდე ძლივს აღწევდა, მით უფრო ნაკლებად საქართველომდე. ქართულ პრესაში გაელვებულ ორიოდე ცნობას ანარქისტული მოძრაობისა თუ მისი მონაწილეების შესახებ სენსაციური ამბის გადმოცემის იერი აქვს და არა როგორც გარკვეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენის აღმნიშვნელი ინფორმაციისა. 1893 წლის 9 თებერვლის „ივერია“ აუწყებდა თავის მკითხველს ქ. ნიცაში სამი წლით დაპატიმრებული ვინმე ვ. ნაკაშიძის განთავისუფლების შესახებ, რომელიც თურმე „ანარქისტების გუნდს ეკუთვნოდა“.

როგორც ჩანს, ქართველ საზოგადოებას უცხო და მიუღებელ მოვლენად მიაჩნდა ჩვენი სინამდვილისათვის ანარქისტული მოძღვრება. 1894 წლის ჟურნალ „მოამბის“ მე-8 ნომერში ანარქიზმის შესახებ შეხედულება გამოთქვა ნიკო ნიკოლაძემ. მიმოიხილავდა რა საფრანგეთის პოლიტიკურ ცხოვრებას, ნ. ნიკოლაძე ასახელებდა ორ უმთავრეს პოლიტიკურ ძალას საფრანგეთში: ბურჟუაზიას და მზარდ სოციალისტურ მოძრაობას. მათი ურთიერთბრძოლა წარმართავდა ძირითადად საფრანგეთის პოლიტიკურ ცხოვრებას. გარდა აღნიშნულისა, ნ. ნიკოლაძის აზრით, საფრანგეთში არსებობდა აგრეთვე ერთ-ერთი ძალა — „ანარხისტები“. ქართველი საზოგადო მოღვაწე უარყოფითად აფასებდა ამ მიმართულებას და, როგორც რეალისტი, ხაზს უსვამდა, რომ ანარქიზმს ახასიათებდა დამანგრეველი ტენდენცია, ახალს კი ივი არაფერს ეძლეოდა. ნ. ნიკოლაძეს მცდარად მიაჩნდა აგრეთვე ანარქისტების ტერორი, როგორც ბრძოლის გზა, რომელიც რაღაც „შესამჩნევ ცვლილებებს“ არ იწვევდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1903 წლის აგვისტოში ქართველმა რევოლუციონერმა ...ომანდო (გიორგი) გოგელიამ ჟენევაში გამოსცა ანარქისტული გაზეთი „ხლებ ი ვოლია“, რომელმაც სათავე დაუდო რუსეთში ანარქიზმის, როგორც პოლიტიკური მოძრაობის, აღორძინებას და გავრცელებას. პირველი რევოლუციის კვირაცალში რუსეთში სოკოსავით მომრავლდა ანარქისტული ჯგუფები და მიმდინარეობები. ხშირ შემთხვევაში მათ აერთიანებდათ მხოლოდ ზოგადი ანარქისტული პრინციპები. ორგანიზაციულად ისინი გათიშულნი იყვნენ და ცალ-ცალკე მოქმედებდნენ, ხოლო არაიშვიათად ერთმანეთსაც უპირისპირდებოდნენ. 1904 წელს ანარქისტული ჯგუფები არსებობდა რუსეთის იმპერიის 15 ქალაქში, 1905 წელს — 42 ქალაქში, 1906 წ. — 73-ში, 1907 წელს 53-ში. ანარქისტული ჯგუფებისა და ფედერაციების გავრცელების გეოგრაფიული არეგრცელი იყო: მოსკოვი, პეტერბურგი, ვარშავა, ბალტიისპირეთი, უკრაინა, კავკასია, პოვოლჟიე, ურალი, ციმბირი, შუა აზია და შორეული აღმოსავლეთი. რამდენჯერმე წამოიჭრა აზრი დაქსაქსული ანარქისტული ჯგუფების გაერთიანებისა ერთ პარტიად, მაგრამ მცდელობანი მარცხით დამთავრდა. ანარქისტული მოძღვრება თავისი არსით ეწინააღმდეგებოდა ყოველგვარ პოლიტიკურ ორგანიზაციას.

თავდაპირველად რუსეთში წარმმართველ და ძირითად მიმართულებას ანარქიზმ-კომუნიზმი წარმოადგენდა. ანარქისტული ანუ ე. წ. არასახელმწიფოებრივი კომუნიზმის თეორეტიკოსი იყო ანარქიზმის ერთ-ერთი მამამთავარი პეტრე ალექსის ძე კროპოტკინი. XIX ს-ის 90-იან და XX ს-ის დასაწყისში რუსეთში მრავლად ვრცელდებოდა კროპოტკინის ნაშრომები. კროპოტკინი აღფრთოვანებით შეხვდა „ხლებ ი ვოლიას“ გამოსვლას. „შენ, რა თქმა უნდა, ნახავდი „ხლებ ი ვოლიას“, — წერდა იგი თავის მეგობარს და თანამებრძოლს ვ. ჩერქეზიშვილს, — ძალიან კარგია. ყველაფერი კარგია — აზრიც, ენაც... ჩვენ მხოლოდ ხელს ვუშლით მათ. დახმარებით კი უთუოდ დავეხმარებით“[64].

---

64 «Каторга и ссылка», 1926, № 25, с. 15.

კრიპოტკინული მიმართულების „ხლებ ი ვოლიას“ ანარ-ორიტეტულ მდგომარეობას მალე მოჰყვა რიგი მბმდინარეობების გაჩენა რუსეთის ანარქისტულ მოძრაობაში. 1905 წლის გაზაფხულზე გოგელიას ჯგუფს ტაქტიკურ ნიადაგზე გამოეყვნენ ე. წ. „ბეზნაჩალცები“, რომლებსაც მიაჩნდათ, რომ ანარქისტული კომუნიზმისათვის „პირდაპირი მოქმედების“ გზით უნდა მიეღწიათ — ექსპროპრიაციების, ტერორის, საბრძოლო ჯგუფების შექმნის გზით. უფრო რადიკალურები იყვნენ ე. წ. „ჩორნოზნამენცები“. მათ მიაჩნდათ, რომ მასობრივი და ინდივიდუალური ტერორი უნდა მიმართულიყო საერთოდ ბურჟუაზიული საზოგადოებისა და სისტემის წინააღმდეგ. „ჩორნოზნამენცების“ ანუ ე. წ. „უმოტივოების“ ერთ-ერთი წარმომადგენელი აცხადებდა: „საკმარისია ადამიანს დავუნახოთ ლაკიანი ხელთათმანები... რომ მასში შეიცნოთ მტერი, რომელიც სიკვდილის ღირსია“. „ჩორნოზნამენცებს“ გამოეყვნენ ე. წ. „კომუნარები“ და ანარქისტი მეთემეები. პირველები მოუწოდებდნენ შეექმნათ „ანარქისტული კომუნები“, მეორენი კი — დაუფლებოდნენ ქალაქებს, სოფლებს, მაშინვე გაეუქმებინათ კერძო საკუთრება, გადაეცათ ქარხნები და მიწები მუშებისა და გლეხების ხელში, მოეწყოთ „ანარქისტული თემები“.

რევოლუციის წლებში ანარქისტულ მოძრაობაში გაჩნდა მეორე ძირითადი მიმართულება — სინდიკალიზმი. ანარქო-სინდიკალისტები ტერორის წინააღმდეგ გამოვიდნენ. მათი კრედო იყო — იატაკქვეშა სინდიკატების — მუშათა კავშირების შექმნა, პროფესიონალურ კავშირებში გაერთიანება და ამ გზით მომავალი სოციალისტური საზოგადოების ორგანიზაცია. სინდიკალისტები უარყოფდნენ არა მარტო პოლიტიკურ ბრძოლას, არამედ ყოველგვარ პოლიტიკურ ორგანიზაციებს და პარტიებს. საინტერესოა, რომ 1906 წლის აგვისტოში სინდიკალისტთა ერთ-ერთი იდეოლოგის ვ. ა. პოსსეს თავკაცობით შეიქმნა სამრეწველო-მომხმარებელი საზოგადოება „შრომითი კავშირი“. მასში გაერთიანდა 8000-ზე მეტი მუშა. „კავშირმა“ პეტერბურგის პროლეტარულ უბნებში მოაწყო სასურსათო დუქნები, რომლებშიც პროდუქტები მუშებისათვის დაბალ ფასებში იყიდებოდა. პოსსე წერდა, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ბასობრივი ბრძოლა“ გულისხმობდა არა პოლიტიკურ, ...ად ეკონომიურ ბრძოლას, ხოლო „პროლეტარული წყობილება“ მას წარმოუდგებოდა „თავისუფლებისა და სიყვარულის სამეუფოდ“[65]. პოსსე ცდილობდა ანარქო-სინდიკალისტური მოძრაობის კოოპერაციულთან შეერთებას.

მრავალრიცხოვანი ანარქისტული მიმდინარეობებისათვის ერთი საერთო პრინციპი უდაოდ არსებობდა — ძველი საზოგადოებრივი სისტემის დაუყოვნებლივი დანგრევისაკენ მოწოდება. რაც შეეხება მომავალს, ისინი მრავალგვარ, ერთმანეთისაგან განსხვავებულ თეორიულ პროექტებს ქმნიდნენ ახალი საზოგადოების ასაშენებლად. ამგვარი პროექტები, მიუხედავად მათი კეთილშობილური და რომანტიკული ხასიათისა, როგორც იტყვიან — დოიცე ფარ ნიენტე — „ნეტარი ოცნებების სამყაროს“ უფრო მიეკუთვნებოდნენ, ვიდრე რეალურს. აი ზოგიერთი მათგანი:

მახაველები — მშრომელთა განთავისუფლებას ლამობდნენ საყოველთაო გაფიცვისა და საყოველთაო შეთქმულების გზით, რომელიც მიმართული იქნებოდა არა მხოლოდ ბურჟუაზიის, ინტელიგენციის წინააღმდეგაც. უკანასკნელს ისინი განსაკუთრებულ ექსპლოატატორულ კლასად განიხილავდნენ. თანასწორობის დამყარებას მახაველები ფიქრობდნენ შემოსავლის გათანაბრების საშუალებით. ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციას მახაველთა იდეოლოგი ვ. კ. მახაისკი „ბატონთა რევოლუციად“ მიიჩნევდა, რომელშიც მუშათა კლასს რევოლუციის „საზარბაზნე ხორცის“ დანიშნულება უნდა შეესრულებინა.

ქრისტიანული ანარქიზმის მიმდინარეობა — შექმნეს ლ. ტოლსტოის მიმდევრებმა. „ბოროტისადმი წინააღმდეგობის გაუწევლობის“ იდეით ეგზალტირებული ტოლსტოველების რწმენით, საშველი ძალისმიერ რევოლუციაში კი არა, „ქრისტიანულ განთავისუფლებაში“ მდგომარეობდა.

ინდივიდუალისტური ანარქისტები — ხოტბას ასხამდნენ აბსტრაქტულ პიროვნებას, რომელიც არ იქნებოდა არც ერი, ...ი კლასის თუ სოციალური ფენის წარმომადგენელი და ქა-

---

65 С. Н. Канев, Революция и Анархизм, М., 1987, с. 234.

დაგებდნენ „ყოველგვარი ორგანიზებული საზოგადოების წინააღმდეგ ბრძოლის საჭიროებას.

მისტიკური ანარქიზმი — მისი მიმდევრები ანთავისუფლებდნენ ადამიანს ყოველგვარი სახელმწიფოებრივი, სოციალური, მორალური ნორმებისაგან და საზოგადოებას სთავაზობდნენ ეცხოვრა „თავისუფალი ანარქიული კავშირისა და სიყვარულის“ საფუძველზე.

მისტიკური ანარქიზმი — მისი მიმდევრები ანთავისუფლერი კალეიდოსკოპური სიჭრელე არ ახასიათებდა. შესაძლოა ეს იმითაც აიხსნას, რომ სხვა სოციალურ მოძღვრებათა მსგავსად, ანარქიზმი საქართველოში რუსეთის გზით არ შემოსულა და გავრცელებულა. ანარქისტული იდეები საქართველოში ევროპის ემიგრაციაში მყოფმა ქართველმა ანარქისტებმა შემოიტანეს. პირველი რევოლუციის წლებში საქართველოში ანარქისტული მოძრაობის თავისებური ხანმოკლე ბუმი, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებული იყო ევროპიდან ჩამოსული საერთაშორისო ანარქიზმის თვალსაჩინო წარმომადგენლების ვ. ჩერქეზიშვილისა და კ. გოგელიას მოღვაწეობასთან.

ვ. ჩერქეზიშვილმა თითქმის მთელი სიცოცხლე სამშობლოდან შორს, ემიგრაციაში გაატარა. 1863 წლიდან, როცა სრულიად ახალგაზრდა სასწავლებლად მოსკოვის გზას დაადგა, გარდაცვალებამდე — 60-ზე მეტი წლის მანძილზე, ის მხოლოდ ეპიზოდურად, შემოხვევიდან შემოხვევამდე ჩამოდიოდა საქართველოში და ისევ დიდი ხნით სტოვებდა მას.

ვარლამ ნიკოლოზის ძე ჩერქეზიშვილი 1846 წლის 15 სექტემბერს დაიბადა, სოფ. თოხლიაურში. 1866 წელს მოსკოვის პეტრეს აკადემიაში თავისუფალ მსმენელად სწავლის პერიოდში იგი პირველად დააპატიმრეს იშუტინ-კარაკოზოველთა რევოლუციურ ორგანიზაციაში მონაწილეობისათვის. პეტრე-პავლეს ციხეში სასჯელის მოხდის შემდეგ ვ. ჩერქეზიშვილი განთავისუფლებისთანავე, 1867 წელს, პეტერბურგში, თავის ყოფილ კარაკოზოველ თანამებრძოლებთან ერთად აარსებს რევოლუციურ-ახალგაზრდულ ორგანიზაცია „სმორგონის აკადემიას“, რომელშიც იმპერიის დედაქალაქის რადიკალური ახალგაზრდობა ერთიანდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1869 წელს ვ. ჩერქეზიშვილი ს. ნეჩაევის რევოლუციურ-ხალხოსნური ორგანიზაციის „ნაროდნაია რასპრავას“ შემადგენლობაშია. ჩავარდნის შემდეგ მას ასამართლებენ ნეჩაეველთა გახმაურებულ პროცესზე და 5 წლით ტომსკის გუბერნიაში გადასახლებას უსჯიან, პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ. მოსკოვის საპყრობილეში თითქმის ორი წლის პატიმრობის შემდეგ, 1873 წლის 28 ნოემბერს ვ. ჩერქეზიშვილი ტომსკში გადაასახლეს, საიდანაც 1876 წლის 20 იანვარს იგი პეტერბურგის გავლით ევროპაში გაიქცა. 1876 წლის პირველ აპრილს ემიგრანტული ჟურნალი „ვპერიოდი“ იუწყებოდა, რომ ციმბირიდან გამოქცეული ვ. ჩერქეზიშვილი ლონდონში ჩავიდა.

ლონდონში ჩასული ვ. ჩერქეზიშვილი თანამშრომლობას იწყებს რუსული ხალხოსნობის ერთ-ერთი იდეოლოგის პეტრე ლავროვის ჟურნალ „ვპერიოდში“, სადაც რამდენიმე თვის განმავლობაში უძღვება რუსეთის საშინაო ცხოვრებისა და რევოლუციური მოვლენების ამსახველ რუბრიკას „ორ კვირაში“. ვ. ჩერქეზიშვილის წერილები გამოირჩეოდნენ რევოლუციური პათოსით და ცარიზმისადმი შეურიგებლობით.

„ვპერიოდში“ თანამშრომლობის შემდეგ ვ. ჩერქეზიშვილი სულ უფრო გამოკვეთილად დაადგა ბაკუნიზმის გზას და მალე ცნობილი გახდა, როგორც ევროპული და საერთაშორისო ანარქიზმის ერთ-ერთი ბელადთაგანი. 1878 წელს ვ. ჩერქეზიშვილი ცნობილ რუს რევოლუციურ მოღვაწეებთან პ. აქსელროდთან, ს. სტეპნიაკ-კრავჩინსკისთან, ნ. ჟუკოვსკისთან და სხვებთან ერთად აქტიურად თანამშრომლობს ემიგრანტული ჟურნალის „ობშჩინას“ გამოცემაში და აქაც ხელმძღვანელობს რუსეთის საშინაო ცხოვრების განყოფილებას, რუბრიკით — „ქრონიკა“.

თავისი ხანგრძლივი ემიგრაციის წლებში ვ. ჩერქეზიშვილი ინტენსიურ პრაქტიკულ-რევოლუციურ და პუბლიცისტურ მოღვაწეობას ეწეოდა, თანამშრომლობდა მრავალ რუსულ ემიგრანტულ და ევროპულ ჟურნალ-გაზეთებში, აქვეყნებდა წიგნებს, რომლებიც არაერთ ევროპულ ენაზე ითარგმნებოდა. აი ზოგიერთი მათგანი: 1882 წელს ჟენევაში რუსულ ენაზე გამოვიდა ვ. ჩერქეზიშვილის წიგნი „გადიჩელი

დრაგომანოვი რუს სოციალისტებთან ბრძოლაში", რომელ-
შიც რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობაში პირველმ
მწვავედ დააყენა ეროვნული პრობლემის აქტუალობის საკი-
თხი (აღნიშნული წიგნი უაღრესად საინტერესოა ეროვნული
პრობლემისადმი ქართველი ხალხოსნების დამოკიდებულე-
ბის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით; მის შესახებ სპე-
ციალური ნარკვევის გამოქვეყნებას ვაპირებთ და ამიტომ აქ
პასუხს აღარ გავაგრძელებთ — .დ. შ.). 1896 წელს ფრანგულ
ენაზე გამოვიდა ვ. ჩერქეზიშვილის ნაშრომი „ფურცლები
სოციალიზმის ისტორიიდან", რომელიც შემდგომში გადაი-
თარგმნა ინგლისურ, ჰოლანდიურ, იტალიურ, ესპანურ და
მცირეოდენი შემოკლებით ჩინურ და იაპონურ ენებზე. ვ. ჩე-
რქეზიშვილის ბროშურები: „ინტერნაციონალის წინამორ-
ბედები", „მარქსიზმის დოქტრინები", „როგორც იქნა აღია-
რეს" და სხვები ხშირად საერთაშორისო რეზონანსისა იყო
და მწვავე კრიტიკას იმსახურებდა გ. პლეხანოვის, კ. კაუც-
კის, ვ. ლიბკნეხტისა და სხვა გამოჩენილი მარქსისტი თეორე-
ტიკოსების მხრიდან, თუმცა მათ არც ქართველი ანარქისტი
რჩებოდა ვალში.

საინტერესოა, რომ ვ. ჩერქეზიშვილის ერთი სხვა ნაშრო-
მიც უთარგმნიათ ჩინურ ენაზე.

1983 წელს მოსკოვში გამოქვეყნდა ე. ი. სტაბუროვას მო-
ნოგრაფია „ანარქიზმი ჩინეთში. 1900—1921". ჩვენ დავინ-
ტერესდით, იცნობდა თუ არა ვ. ჩერქეზიშვილს ჩინური სო-
ციალისტური სამყარო. ამ კითხვაზე ე. სტაბუროვასაგან მი-
ვიღეთ შემდეგი პასუხი: „თქვენს კითხვაზე შემიძლია შემ-
დეგი გიპასუხოთ.. ... ჩერქეზოვის გვარი გვხვდება გაზეთში
„ახალი დროება" (სინ შიცზი). ამ გაზეთმა ლი შიცზენის მი-
ერ თარგმნილი ჩერქეზოვის რომელიღაც ნაშრომის გამო-
ქვეყნება დაიწყო. მისი დასაწყისი გამოქვეყნებულია გაზე-
თის 1908 წლის 14 ნოემბრის 73-ე ნომერში. ამ ნაშრომის
სათაური მე მხოლოდ ჩინურად მაქვს ჩაწერილი... ჩინური-
დან ზუსტად იგი ასე ითარგმნება: „ასე მკარნახობს სინდი-
საი" (ვო ლიანსინ შან სიხუან ჟუ ცი)".

ვ. ჩერქეზიშვილის აღნიშნული ნაშრომის მთარგმნელი
ლი შიცზენი იყო ცნობილი ჩინელი სოციალისტი, სუნ იატ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ენის მეგობარი, რომელიც 1880-იან წლებში პარიზში ცხოვრობდა და ალბათ აქედან იცნობდა ვ. ჩერქეზიშვილს თუ მის მოღვაწეობას. საყურადღებო მოვლენაა, ვ. ჩერქეზიშვილის ნაშრომები ჩინურ ენაზე ალბათ პირველი შემთხვევაა ან ერთ-ერთი პირველი მაინც ქართველი ავტორის გამოჩენისა ჩინური წიგნის ბაზარზე და პრესაში.

ვ. ჩერქეზიშვილი უაღრესად აქტიურ მოღვაწეობას ეწეოდა დასავლეთ ევროპის სოციალისტურ მოძრაობაში, რუსეთის რევოლუციური ემიგრაციის საქმიანობაში, მონაწილეობას იღებდა სოციალისტურ და ანარქისტულ კონგრესებში, აარსებდა ჟურნალ-გაზეთებს, ორგანიზაციებს. ქართველი რევოლუციონერის თანამოაზრეთა და მეგობართა შორის ყვნენ დასავლეთ ევროპისა და რუსეთის რევოლუციური მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწეები: ელიზე რეკლიუ, ჟან გრავი, ჯეიმს გილიომი, კარლო კაფიერო, ენრიკო მალატესტა, განსაკუთრებით კი გამოჩენილი რუსი მეცნიერი და რევოლუციონერი, ანარქიზმის ერთ-ერთი მამამთავარი პეტრე კროპოტკინი.

დასავლეთ ევროპაში მრავლად მყოფი რუსეთის იმპერატორის ჯაშუშები თავიანთ საიდუმლო მოხსენებებში თითქმის ყოველთვის ერთად მოიხსენიებდნენ ვ. ჩერქეზიშვილისა და პ. კროპოტკინის საქმიანობას. იმპერატორისადმი ერთერთ ასეთ მოხსენებაში ვკითხულობთ: „ცნობილი თავადების კროპოტკინისა და ჩერქეზოვის ინიციატივით ლონდონში შეიქმნა „პოლიციის საწინააღმდეგო ინტერნაციონალური ლიგა“... ამჟამად „ლიგის“ ხელმძღვანელთა შორის არიან თომას მანი, კ. გარდი, ჩაიკოვსკი, ვოლხოვსკი (რუსი ემიგრანტი-რევოლუციონერები — დ. შ.) და მრავალი ინგლისელი სოციალისტი, ხოლო საზოგადოების თავმჯდომარედ ფიქრობენ, რომელიმე გამოჩენილი ინგლისელი პოლიტიკური მოღვაწის არჩევას. ლიგას აქვს საიდუმლო განყოფილება, რომელსაც ხელმძღვანელობენ კროპოტკინი, ჩერქეზოვი, რეკლიუ და სხვა უცხოელი ანარქისტები. მათი მიზანია საიდუმ-

ლო სამსახურებთან და საიდუმლო პოლიციასთან აქტიურ ბრძოლის წარმოება“[66].

საინტერესოა, რომ სიკვდილის წინა დღეს, 1921 წლის 7 თებერვალს, პ. კროპოტკინმა თავისი ქალიშვილის ალექსანდრას პირით სთხოვა ვ. ბონჩ-ბრუევიჩს, მოსკოვში, სოფ. დმიტროვოში, სადაც ცხოვრობდნენ კროპოტკინები, თბილისიდან გამოეძახებინათ იქ მყოფი ვ. ჩერქეზიშვილი. ბონჩ-ბრუევიჩი იგონებს, რომ ვ. ი. ლენინმა ყველაფერი იღონა, რათა შეესრულებინათ კროპოტკინის ალბათ უკანასკნელი სურვილი. ვ. ჩერქეზოვი, — წერს ბონჩ-ბრუევიჩი, — იყო პეტრე ალექსის ძის უახლოესი მეგობარი, თანამოაზრე და თანამებრძოლი, ძველი რევოლუციონერი, კარაკოზოველი, ღრმა ანარქისტი და სოციალ-დემოკრატიის სასტიკი მოწინააღმდეგე, და როგორც ჩვენთვის იყო ცნობილი, უარყოფითად განწყობილი საბჭოთა ხელისუფლებისა და კომუნისტური პარტიის მიმართ. მიუხედავად ყოველივე ამისა, ვლადიმერ ილიას ძემ განკარგულება გასცა, რათა იგი თავისუფლად ჩამოსულიყო რსფსრ-ში, უზრუნველყოფილიყო მისი სასწრაფო მგზავრობა რუსეთში და სრული ხელშეუხებლობა, ჩამოსვლა მოსკოვში და დმიტროვოში და თავისუფლად უკან დაბრუნება, თუ კი ეს უკანასკნელი მოისურვებდა“[67]. როგორც ჩანს, მოსკოვიდან, მაშინდელი მძიმე პოლიტიკური ვითარების გამო, ვ. ჩერქეზიშვილს ხმა ვერ მიაწვდინეს.

საფიქრებელია, რომ ვ. ი. ლენინი პირადად იცნობდა ვ. ჩერქეზიშვილს და სწორედ ეს აძლევდა საფუძველს მოეწვია იგი მოსკოვში. ამას გვაფიქრებინებს კიდევ ერთი მემუარული ხასიათის ცნობა. ყოფილი ანარქისტი ი. გეიცმანი იგონებს, რომ 1903—1904 წლების ზამთარში, ლონდონში, პოლონურ კლუბში შედგა ვ. ი. ლენინის ლექცია აგრარულ საკითხზე. კრებას თავმჯდომარეობდა ლ. დეიჩი. მემუარისტის გადმოცემით, კრებას ესწრებოდა ვ. ჩერქეზიშვილიც,

---

66 Былое, № 11-12, Paris, 1909, Доносы царью о русской эмиграции, с. 152.

67 В. Бонч-Бруевич, Мой воспоминания о Петре Алексеевиче Кропоткине, «Звезда». М., 1930 -Л. № 5, с. 208.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელსაც, როგორც ჩანს, მონაწილეობა მიუღია განსახილველი პრობლემის გარშემო გამართულ ცხარე კამათში. გეიცმანის გადმოცემით, ვ. ი. ლენინის ლექციის არგუმენტაცია იმდენად ლოგიკური იყო, რომ იქ დამსწრე ახალგაზრდა ანარქისტები კრებიდან მაინცა და მაინც კმაყოფილნი არ დაბრუნებულან. ლექციის შემდეგო, „როდესაც უკვე ხანში შესულ ჩერქეზოვს სახლში მივაცილებდით, რომელიღაც ახალგაზრდამ ვეღარ მოითმინა სიჩუმე და პრეტენზიული ტონით ეიმართა მას: „უნდა ვაღიაროთ, რომ ლენინის არგუმენტაცია ძლიერად ურტყამს; ჩვენ კარგა გვარიანად მიგვბეგვეს“. ჩერქეზოვის პასუხი კლასიკურად ბრძნული იყო: „ჭეშმარიტმა ანარქისტმა, — განაცხადა მან, — არასოდეს არ უნდა იგრძნოს თავი დამარცხებულად“[68].

ჩერქეზიშვილი იყო საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის უაღრესად აქტიური მონაწილე.

შეიძლება ითქვას, რომ XIX ს-ის II ნახევრიდან საქართველოში სოციალურ-რევოლუციური მოძრაობის მიმდინარეობამ, ეროვნულ საკითხთან მიმართებით, რევოლუციერთა ორგვარი ფსიქოლოგიური ტიპი გამოკვეთა: რევოლუციონერი ეროვნულ-ნიჰილისტისა და პატრიოტ-რევოლუციონერისა. XIX ს-ის 90-იან წწ. და XX ს-ის დასაწყისში საქართველოს რევოლუციურ მოძრაობაში ორივე ეს ტიპი განსაკუთრებით რელიეფურად გამოიკვეთა. პირველნი მხოლოდ სოციალური რევოლუციის განხორციელების იდეით იყვნენ შთაგონებულნი და ეროვნულ საკითხს ნაკლებად აქტუალურად თვლიდნენ, ან საერთოდ მისდამი ინდიფერენტულად იყვნენ განწყობილნი; მეორე ბანაკის წარმომადგენლები ცდილობდნენ სოციალურთან ერთად ეროვნული საკითხის აქტუალობა სერიოზულად გაეაზრებინათ და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა სოციალური რევოლუციის შემადგენელ, ბუნებრივ ნაწილად მიაჩნდათ, ეროვნულ საკითხს პრიორიტეტულად განიხილავდნენ. პირველთა

---

[68] И. Геицман, Оптимист революции; Из записок бывшего анархиста, «Каторга и ссылка», 1924, № 10, с. 34.

წარმომადგენლები იყვნენ ნ. ჟორდანია, ი. წერეთელი, ბ. გელეიშვილი, ფ. მახარაძე და ქართველი სოციალ-დემოკრატების უმრავლესობა; მეორე ბანაკს ეროვნულ-რევოლუციური მოძრაობის მოღვაწეები წარმოადგენდნენ: არჩ. ჯორჯაძე, გ. ლასხიშვილი, გ. ზდანოვიჩი, ვ. დეკანოზიშვილი, ვლ. დარჩიაშვილი და სხვანი.

ორივე ამ ფსიქოლოგიური ტიპის შექმნას ჯერ კიდევ XIX ს-ის 60—70-იან წლებში ჩაეყარა საფუძველი და ჰყავდა თავისი წარმომადგენლები. ჯერ კიდევ ხალხისნურ მოძრაობაში ეროვნული ნიჰილიზმის პოზიციაზე იდგნენ ივანე ჯაბადარი და მისი თანამოაზრენი. ვ. ჩერქეზიშვილი ეროვნულად და პატრიოტულად განწყობილი რევოლუციონერისა და სოციალისტის ერთ-ერთი ადრეული წარმომადგენელია ქართულ სინამდვილეში.

ორი გარემოება უბიძგებდა ვ. ჩერქეზიშვილს, რომ თავის ეროვნულ პოზიციაზე ხელი აეღო და ნიჰილისტად ჩამოყალიბებულიყო: ათეულწლობით უცხო გარემოში, უცხოელთა შორის ცხოვრება, სამშობლოში დაბრუნების არავითარი რეალური გზა და, მეორე, უფრო გადამწყვეტიც კი — მისი ანარქისტული მრწამსი, რომელიც თავისი არსით კოსმოპოლიტური მოძღვრება იყო. ანარქიზმი არ ცნობდა სამშობლოს ცნებას. როგორც ფრანგი ანარქისტი ჟან გრავი თვლიდა, სამშობლო იყო საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის, ბურჟუაზიის გენიალური გამოგონება. ასე თვლიდნენ სხვებიც.

მოხდა კი პირიქით. ვ. ჩერქეზიშვილი შეურყეველი ეროვნული სულის მქონე მოღვაწედ დარჩა მთელი ემიგრაციის ათეული წლების შეუბრალებელ დენაში, ყოველი ქართული ეროვნულ-კულტურული და პოლიტიკური საქმეების შორეულ მოჭირნახულედ და მონაწილედ.

მოვუხმოთ ფაქტებს.

თავისი ემიგრაციის პირველივე წელს, როცა პ. ლავროვმა თავის ჟურნალში თანამშრომლად მიიღო, ვ. ჩერქეზიშვილმა გულისტკივილით გაჟღენთილი სტრიქონები მიუძღვნა 1876 წელს სვანეთის გლეხობის ვაჟკაცურ, მაგრამ განწირულ ბრძოლას მეფის მთავრობის მრავალრიცხოვანი სამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბედრო ექსპედიციის წინააღმდეგ. „შევიბრალოთ, მკითხველო, სოფელ ქალდეს მამაცი, მაგრამ დიდად უბედური მკვიდრნი, — წერდა ის ერთ-ერთ წერილში, — მათ სამაგიეროს საშინელი სისასტიკით გადახდა მოელით. მხოლოდ მეფის მთავრობას, რომელიც ძლიერია სუსტი და დაუცველი ადამიანების დახვრეტაში... შესწევს უნარი ღირსეული სასჯელი გამოიგონოს მამაცებისათვის, რომლებიც თავიანთ სიცოცხლეს იცავენ"[69]. შემდგომ წერილებშიც ქართველი კორესპონდენტი სისტემატურად აშუქებდა სვანეთის აჯანყების ჩახშობის პერიპეტიებს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1878 წელს ვ. ჩერქეზიშვილი რუსულ ემიგრანტულ-ხალხისნურ ჟურნალ „ობშჩინაში" განაგებდა რუსეთის საშინაო ცხოვრების ამსახველ სერიას — „ქრონიკა". აქაც იგი შემოხვევას არ უშვებდა, რომ შეხებოდა ქართულ თემას, საქართველოს მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ-კულტურულ მდგომარეობას. ერთ-ერთ წერილში იგი ეხებოდა ბულგარეთის სავალალო ეკონომიკურ სინამდვილეს, რომელიც რუსეთის მიერ თურქთა ბატონობისაგან განთავისუფლების შემდეგაც არ გაუმჯობესებულა და ადარებდა საქართველოს ანალოგიურ მდგომარეობას. „ჩემს სამშობლოში, საქართველოში, — წერდა ვ. ჩერქეზიშვილი, — მიწა უფრო ნაყოფიერია, ჰავა უფრო ზომიერი და მიწის დამუშავებაც გაცილებით ადვილია, ვიდრე სლავებში... გარდა ამისა, აქ აწარმოებენ შალს, მისდევენ მეღვინეობას — კახური ღვინო ცნობილია · თავისი კარგი თვისებებით, — მიუხედავად ამისა, მაინც სიღარიბე დიდია მოსახლეობაში". ეკონომიკურ დაკაბალებას თან ერთვის რუსიფიკატორული პოლიტიკა კულტურულს ცხოვრებაში. ჩემს მშვენიერ სამშობლოში, — განაგრძობს „ობშჩინის" ქართველი კორესპონდენტი, — ... ოფიციალური ენა — რუსულია, რომელიც სრულიად უცხოა არა მარტო გლეხობისათვის, არამედ თავად-აზნაურობის დიდი უმრავლესობისათვისაც"[70].

---

69 ჟურნ. „ვპერიოდი", 1876, 15 სექტემბერი.

70 „ობშჩინა", 1878, № 5.

ვ. ჩერქეზიშვილის წერილები საქართველოს ეროვნული მდგომარეობის შესახებ იბეჭდებოდა დასავლეთ ევროპის სოციალისტური და დემოკრატიული ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე, გამოდიოდა ბროშურებად... სწორედ ქართული საკითხის ამგვარი პოპულარიზაცია და პროპაგანდა ჰქონდა მხედველობაში არჩილ ჯორჯაძეს, რომელიც სწუხდა, რომ მძიმე საცენზურო პირობების გამო ეროვნულ საკითხზე ქართულ პრესაში ძალიან ძნელი იყო წერა, თითქმის შეუძლებელი, და შენიშნავდა: „ისევ საზღვარ-გარეთ, ინგლისურ პრესაში თუ იწერებოდა განმარტოებულ და გარიყულ ემიგრანტ ვარლამ ჩერქეზიშვილის მიერ!“[71].

ეროვნულ საკითხს ვ. ჩერქეზიშვილის საქმიანობაში განსაკუთრებული მნიშვნელობის ადგილი ეკავა. ხშირად მასთან ანარქისტული მაქსიმალიზმი პრიმატობას უთმობდა ეროვნულ პრობლემას. ვ. ჩერქეზიშვილი ეროვნულ საკითხს უმნიშვნელოვანეს პრობლემად თვლიდა რუსეთის მრავალეროვანი სახელმწიფოს და ხალხების განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის. XIX ს-ის 60—70-იანი წლების რევოლუციური მოძრაობა გამოირჩეოდა მანამდე უპრეცედენტო ინტერნაციონალური შემადგენლობით და ხასიათით. რა იყო ამისი მიზეზი? რა იყო მიზეზი იმისა, რომ გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან განმათავისუფლებელი მოძრაობის კოჰორტებს სულ უფრო ინტენსიურად ერთვებოდნენ რუსებთან ერთად არარუსი ხალხების წარმომადგენლებიც? ვ. ჩერქეზიშვილმა მართებული პასუხი გასცა ამ კითხვას. მისი აზრით, 60-იანი წლების რუსმა რევოლუციონერ-დემოკრატებმა სოციალურთან ერთად, პირველად, სერიოზული ყურადღება მიაქციეს ეროვნულ პრინციპსაც, ჩერნიშევსკიმ, მიხაილოვსკიმ, ბაკუნინმა და სხვებმა მოითხოვეს თავისუფლება რუსეთის იმპერიის ხალხებისათვის, მოითხოვეს „სრული თავისუფლების აღდგენა პოლონეთის, ლიტვის, უკრაინის, ფინელების, ლატვიელებისა და კავკასიისათვის“. სწორედ

---

71 ს ა ბ უ ე ლ ი (არჩ. ჯორჯაძე), სოციალიზმ-ფედერალიზმი საქართველოში(თბ., 1907, გვ. 16.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„რევოლუციური საქმის ამგვარი დაყენების წყალობით ყველა ხალხების ახალგაზრდობამ დასაწყისიდანვე აქტიური მონაწილეობა მიიღო მოძრაობაში“[72].

ვ. ჩერქეზიშვილი საქართველოს პოლიტიკური თავისუფლების თავგამოდებული მომხრე იყო. XIX ს-ის 90-იანი წლებიდან მან განსაკუთრებით ახლო კონტაქტები დაამყარა საქართველოს იმ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ჯგუფებთან, შემდგომში კი პარტიებთან, რომლებსაც სოციალურ რევოლუციასთან ერთად თავიანთ დროშაზე ეროვნული ავტონომიის მოთხოვნა ეწერათ. ვ. ჩერქეზიშვილი 1896 თუ 1897 წელს საქართველოში ჩამოვიდა. მეფის ჟანდარმერია, რომელსაც ცნობა ჰქონდა, რომ ევროპიდან რუსეთისაკენ გამოემგზავრა „ცნობილი ემიგრანტი ვარლამ ჩერქეზოვი“, მონდომებით დაეძებდა დაუპატიჟებელ სტუმარს. თბილისში ყოფნის დროს ქართველი რევოლუციონერი „რომელიღაც ჩინოვნიკმა“ გააფრთხილა, რომ ეძებდნენ არალეგალურად შემოსულ ემიგრანტს. ორი კვირის ყოფნის შემდეგ მან სასწრაფოდ დასტოვა დედაქალაქი და „პროვინციაში ახლობელ ნათესავებთან გაემგზავრა“, სადაც დარჩა ერთი თვე, რის შემდეგაც 21 ნოემბერს დასტოვა საქართველო და ოდესა-კონსტანტინოპოლის გზით დაბრუნდა ევროპაში. მეფის აგენტურა უკმაყოფილოდ იუწყებოდა, რომ „მიუხედავად მიღებული ზომებისა ჩერქეზოვის ყოფნის ადგილის დადგენა შეუძლებელი აღმოჩნდა“. სხვა წყაროდან ცნობილია, რომ ვ. ჩერქეზიშვილი კონსპირაციულად ცხოვრობდა ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის დათა მიქელაძის მამულში, სოფელ კულაშში.

ამ სახიფათო ოდისეის მთავარი შედეგი ის იყო, რომ, აგენტურისავე ცნობებით, „ქართველმა ნაციონალისტებმა ჩერქეზოვი მოამარაგეს მასალებით ბროშურისა და პროკლამაციებისათვის, რომლებშიც გადმოცემული უნდა ყოფილიყო საქართველოს თანამედროვე ვითარება, და აუცილებელი ფულადი სახსრებით ამ გამოცემათა დაბეჭდვისა და გავრცე-

---

72 В. Черкезов, Значение Бакунина в интернациональном революционном движении; М. А. Бакунин, Избранные сочинения, Том первый, Лондон, 1915, с. XXXIII.

ლებისათვის... ჩერქეზოვმა არ დააყოვნა მასზე დაკისრებული დავალების შესრულება, რის შედეგადაც თავისუფალი რუსული პრესის ლონდონის ფონდის მიერ გამოცემულ „მფრინავ ფურცლებზე“ გამოჩნდა მისი სტატია სათაურით „წერილი საქართველოს შესახებ“[73]. თავისუფალი რუსული პრესის ფონდი 1891 წელს დაარსდა ლონდონში, რუსი ემიგრანტ-რევოლუციონერების ს. სტეპნიაკ-კრავჩინსკისა და სხვების მიერ. 1893 წლის 25 დეკემბრიდან ფონდი ფ. ვოლხოვსკის რედაქტორობით სცემდა „მფრინავ ფურცლებს“.

აგენტურის მიერ მონათლული „ქართველი ნაციონალისტები“, იყვნენ, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წინამორბედი „ახალგაზრდა ევრიელთა“ ჯგუფის მესვეურები. მათ ქართველ მოღვაწეთაგან ერთ-ერთ პირველს ვ. ჩერქეზიშვილს გაუგზავნეს წერილი ლონდონში და „ევრიაში“ თანამშრომლობა სთხოვეს.

ალბათ ისიც საინტერესოა აღვნიშნოთ, რომ ევროპაში დაბრუნებულმა ჩერქეზიშვილმა კროპოტკინსა და თავის სხვა თანამოაზრეებს მოახსენა, საქართველოში ანარქისტული პროპაგანდისათვის ნიადაგი ჯერჯეროობით არ არსებობსო.

ვ. ჩერქეზიშვილს თავისი შეხედულება ჰქონდა ავტონომიის საკითხზე. მისი აზრით, საქართველომ, როგორც სუვერენულმა სახელმწიფომ, 1783 წელს ხელშეკრულება დასდო რუსეთთან, რომელიც ამ უკანასკნელმა ცალმხრივად დაარღვია. ამის გამო, დღეს ქართველმა ხალხმა უნდა იბრძოლოს ავტონომიისათვის, რომელიც მას ისტორიული უფლების ძალით ეკუთვნის. 1905—1907 წლების რევოლუციის პერიოდში, როდესაც ვ. ჩერქეზიშვილი საქართველოში ჩამოვიდა, მხურვალედ იცავდა ავტონომიის იდეას ხალხმრავალ მიტინგებზე, კრებებზე, კითხულობდა ლექციებს. — „ერთმა ლექციამ, — გადმოგვცემს გ. ლასხიშვილი, — ტფილისის საქალაქო საბჭოს დარბაზში დიდძალი ხალხი მიიზიდა. კამათი მეტად გამწვავდა; მოწინააღმდეგენი უშლიდნენ მომხსენებელს, განზრახვა ჰქონდათ კრება ჩაეშალათ, ატყდა აურზაური. საზოგადოება აირია, ჩერქეზიშვილს შემოერტყნენ შე-

---

73 Доносы царью о русской эмиграции., с. 152.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იარაღებული ანარქისტები. გაისმა მიხაკო წერეთლის რიხიანი ხმა მოწინააღმდეგეთა მიმართ; ამან უფრო ააღელვა კრება და თავმჯდომარე იძულებული გახდა იგი შეეწყვიტა"[74].

ვ. ჩერქეზიშვილი ეროვნული უფლებებისათვის ბრძოლაში ყოველგვარი საშუალებების გამოყენების მომხრე იყო. როდესაც ქართველი ფედერალისტები არჩევდნენ საკითხს, მონაწილეობა მიეღოთ თუ ბოიკოტი გამოეცხადებინათ რუსეთის პირველი სახელმწიფო სათათბიროსათვის, ჩერქეზიშვილმა დაბეჯითებით ურჩია მათ თავიანთი პარტიული ინტერესები უკან დაეყენებინათ და სათათბიროს ტრიბუნა გამოეყენებინათ ავტონომიის უფლების დასასაბუთებლად. „ჩვენი ქვეყნის მდგომარეობას რომ ითვალისწინებ, — ეუბნებოდა ვ. ჩერქეზიშვილი ქართველ სოციალისტ-ფედერალისტებს, — ყოველგვარ საშუალებას უნდა მიმართოთ, უნდა გახვიდეთ საპარლამენტო ტრიბუნაზე და უნდა იყვიროთ საქართველოს ისტორიულ უფლებაზე. დეე ევროპამ და მთელმა ქვეყანამ გაიგოს, რომ ქართველ ერს ისტორიული უფლება აქვს თავისუფალ, დამოუკიდებელ არსებობისათვის. რომ იცით, რომ ჩვენი ქვეყნიდან წარმომადგენლებად წასვლას ისევ თქვენი მოწინააღმდეგენი — სოციალ-დემოკრატები აპირებენ. ხოლო ისინი ჩვენი ერის ისტორიულ უფლებაზე იქ კრინტსაც არ დასძრავენ"[75]. ფედერალისტებმა ჩანს ყურად იღეს ვ. ჩერქეზიშვილისა და სხვათა ანალოგიური რჩევა-მოსაზრებანი და გვიან, მაგრამ მაინც ჩაერთვნენ სათათბიროს საარჩევნო ბრძოლაში.

გ. ლასხიშვილის გადმოცემით, სწორედ ვ. ჩერქეზიშვილს ეკუთვნოდა ჰაგის საერთაშორისო ტრიბუნალზე ქართველი ხალხის ისტორიული უფლებების კანონიერების დასაბუთების შესახებ მემორანდუმის გაგზავნის ინიციატივა.

ვ. ჩერქეზიშვილის მტკიცე ეროვნულმა პოზიციამ მნიშვნელოვანწილად განაპირობა ქართული ანარქიზმის ერთ-ერთი მთავარი თავისებურება — მისი ეროვნული პლატფორმა, რაც განასხვავებდა მას საერთაშორისო ანარქიზმის კოს-

---

74 გ. ლასხიშვილი, მემუარები, გვ. 243.

75 გ. ლასხიშვილი, იქვე, გვ. 245.

მოპოლიტური არსისაგან. ქართველ ანარქისტებს მომავალი მსოფლიო ერებისა და ხალხების ფედერაციად წარმოედგინათ. სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის III კონფერენციაზე მათ წარმოადგინეს რეზოლუცია, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ქართველი ერი იყო „ერთი განუყოფელი მთელი", რომელსაც სხვა ერებთან ერთად არსებობის კანონიერი უფლება გააჩნდა. „ჩვენ გვსურს საქართველოს სრული თავისუფლება და ქართველთა ცალკე საზოგადოებრივი ორგანიზაციის დაარსება, მით უფრო, რომ საერთაშორისო კავშირი ჩვენ გვესმის, როგორც თავისუფალი ერების ნებაყოფლობითი ფედერაცია"[76]. ფედერალიზმისა და საქართველოს ავტონომიის მომხრე ვ. ჩერქეზიშვილი ერთა თვითგამორკვევის უფლების მარქსისტული ფორმულირების შეურიგებელი მოწინააღმდეგე იყო. „თვით ტერმინი თვით გამორკვევისა, — წერდა იგი, — პირმშო შვილია გერმანულ მეტაფიზიკისა, იმ გერმანიისა, სადაც გლეხთა ომების შემდეგ განჭრა სული რევოლუციისა", ხოლო ავტონომია ანუ თვითმმართველობა არის ისეთი ფორმა საზოგადოებრივ-ეროვნული ცხოვრებისა, როცა „ესა თუ ის ხალხი, ესა თუ ის ერი თავის განსაზღვრულ ტერიტორიაში თვითვე განაგებს თავის საქმეებს, თვითვე უძღვება თავის სვე-ბედს სხვის დამოუკიდებლად, სხვის უკითხავად"[77].

რევოლუციის წლებში ვ. ჩერქეზიშვილი ფართო პუბლიცისტურ-პროპაგანდისტულ მოღვაწეობას ეწეოდა. მისი წერილები ხშირად ქვეყნდებოდა ანარქისტული პრესის ფურცლებზე. ფართო რეზონანსი ხვდა წილად ქართველ ანარქისტ-კომუნისტთა თავკაცის თბილისში რუსულ ენაზე დასტამბულ ბროშურებს: „მარქსიზმის დოქტრინები" და „როგორც იქნა აღიარეს! პასუხი კ. კაუცკის". ქართულ პრესაში შემოკლებით გამოქვეყნდა აგრეთვე ვ. ჩერქეზიშვილის ადოინდელი, ევროპულ ენებზე გამოცემული ნაშრომები: „ინტერნაციონალის წინამორბედნი", „ნაწყვეტები სოციალიზმის ისტორიიდან" **და სხვ.**

---

76 საქართველოს სსცა, ფ. 153, აღწ. 1, ს. 3267, გვ. 233.

77 გაზ. „მუშა", 1906, № 2.

პირველი რევოლუციის წლებში საქართველოში განსაკუთრებით აღმავლობა განიცადა ანარქისტულმა პრესამ. აქ მიმდევრობით გამოდიოდა რამდენიმე ანარქისტული ორგანო: „მუშა“, „ნობათი“, „ხმა“, „ქარიშხალი“, „ცის ნამი“. რუსეთის ანარქისტული მოძრაობის ისტორიის თვალსაჩინო მკვლევარის ვ. ვ. კომინის აზრით, კავკასია და, კერძოდ, საქართველო ანარქისტთა აქტიურობის ერთ-ერთ კერად იქცა, ხოლო კ. გოგელია თვლიდა, რომ თუ ქუთაისი იყო „კავკასიაში ანარქისტთა ჯგუფების მოღვაწეობის ცენტრი და თავშესაფარი“, თბილისი წარმოადგენდა „ანარქიზმის თავისებურ თეორეტიკულ, ინტელექტუალურ ცენტრს კავკასიაში“[78].

ანარქისტებმა აზრის ორიგინალობით და მაქსიმალისტური ფრაზეოლოგიით საზოგადოების ყურადღება მიიპყრეს. გაზეთი „მუშა“ გამოდიოდა ლოზუნგით: „მუშათა კლასის განთავისუფლება — თვით მუშის საქმეა“, თუმცა ანარქისტები უარყოფდნენ პროლეტარიატის პოლიტიკური ბრძოლისათვის ორგანიზაციის საჭიროებას. ისინი მუშათა გარკვეულ, უფრო ლუმპერპროლეტარულ ფენებში ბუნტარული სულისკვეთების გაღვივებაზე ამყარებდნენ იმედს. იმავე გაზეთის ეპიგრაფი ომახიანად მოუწოდებდა თავის მრევლს ბაკუნინის სიტყვებით: „ძალა, რომელიც ანგრევს ავტორიტეტს, ამავე დროს ამყარებს თავისუფლებას“. აღნიშნული გაზეთების ფურცლებზე სისტემატურად ითარგმნებოდა და ქვეყნდებოდა გამოჩენილი ანარქისტი თეორეტიკოსების ე. რეკლიუს, პ. კროპოტკინის, ე. მალატესტას და სხვათა ნაშრომები. ანარქისტულ პრესაში განსაკუთრებით ხშირად ქვეყნდებოდა კომანდო გოგელიას, მისი ძმის შალვა გოგელიას და მიხაკო წერეთლის ნაწერები, რომლებიც შემდგომ ბროშურების სახით გამოიცემოდა.

---

78 В. В. Комин, Анархизм в России, Калинин, 1969, с. 77.

ნაყოფიერ პუბლიცისტურ-ლიტერატურულ და საგაზეთ-ცემლო საქმიანობასთან ერთად ქართველი ანარქისტები ცდილობდნენ აქტიური მონაწილეობა მიეღოთ რევოლუციაში პრაქტიკულადაც. მათ ჰქონდათ საკუთარი სტამბა, სცემდნენ პროკლამაციებს, ახდენდნენ ექსპროპრიაციებს. ანარქისტების გავლენა, როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, მნიშვნელოვანი იყო სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის საქმიანობაზეც. ანარქისტთა ჯგუფები მოქმედებდნენ როგორც თბილისსა და ქუთაისში, ისე ჭიათურაში, ბათუმში და სხვა „მრავალ ქალაქში", როგორც ირწმუნებოდა კ. გოგელია — რუსი ისტორიკოსის ვ. კომინის სიტყვებით, „ანარქისტული მოძრაობის ფრიად დიდი მცოდნე საერთოდ და კავკასიაში, რუსეთის ანარქიზმის ერთ-ერთი ბურჯთაგანი"[79]. საქართველოში მოღვაწეობის პერიოდში კ. გოგელია ახალი მიმართულების — ანარქო-სინდიკალიზმის პოზიციებზე დადგა და გაეგიჯნა თავის ყოფილ თანამოაზრე ანარქისტ-კომუნისტებს.

მიუხედავად იმისა, რომ ანარქისტებს საქართველოში, ისე როგორც რუსეთში, პოლიტიკური პარტია არ შეუქმნიათ, მათ გააჩნდათ ორგანიზაცია, რომელიც გარკვეულ კოორდინაციას უწევდა აქა-იქ შექმნილ ჯგუფებს. საარქივო მონაცემების თანახმად, 1905 წელს თბილისში უნდა არსებულიყო კომიტეტი, რომელსაც ხელმძღვანელობდა დათიკო როსტომაშვილი. აგენტურის ცნობით, მის ბინაში ინახებოდა საიდუმლო სტამბა და ბომბები. ამ მონაცემების საფუძველზე უანდარმერიამ გაჩხრიკა როსტომაშვილის ბინა, მაგრამ უშედეგოდ, ვერაფერი ვერ იპოვა, ხოლო მასპინძელმა ჩხრეკისას მიყენებული ზარალის საზღაურად 53 მანეთი გადაახდევინა უანდარმებს[80].

რაოდენობრივადაც, პრაქტიკულად და ორგანიზაციულადაც ანარქისტები კიდევ უფრო სუსტნი იყვნენ, ვიდრე ესერთა მიმდინარეობა საქართველოში. მიუხედავად ამისა, მათ პროპაგანდას სოლიდური რეზონანსი ჰქონდა და იდეური ტერორიზმის იერს ატარებდა. ანარქისტულმა პრესამ არა-

---

79 В. В. Комин, დასახ. ნაშრ., გვ. 76

80 საქართველოს სსცა, ფ. 153, ან. 1, № 725, გვ. 21, 46.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარქსისტული სოციალიზმის იდეების მნიშვნელოვანი საგანმანათლებელი მოღვაწეობა გასწია, მკითხველს გააცნო ევროპის სოციალისტური მოძრაობის წარსული და თანამედროვე მოვლენები და თვალსაწიერი გაუფართოვა. საგულისხმოა, რომ ანარქისტული გაზეთები ადგილობრივ მოვლენებზე მეტად საერთაშორისო სოციალისტური მოძრაობის შესახებ წერდნენ.

მაინც, როგორც გ. პლეხანოვი ასათაურებდა ვ. ჩერქეზიშვილის წინააღმდეგ მიმართულ ერთ თავის წერილს, — როგორც ქუხდა, ისე არ წვიმდა. პირველი რევოლუციის დამარცხებასთან ერთად დიდი ხნით თითქმის შეწყდა ანარქისტების როგორც პრაქტიკული, ისე თეორიული და პროპაგანდისტული მოღვაწეობა როგორც საქართველოში, ისე რუსეთშიც. ქართული ანარქიზმის ლიდერები სამღვაწეოდ კვლავ დასავლეთ ევროპაში გადაიხვეწნენ (ვ. ჩერქეზიშვილი, კ. გოგელია), ხოლო ზოგმა მათგანმა თავი ანება სოციალიზმს და ეროვნულ-რადიკალური მოძრაობის ბანაკში გადავიდა (მ. წერეთელი). მიუხედავად ამისა, ეს არ ნიშნავდა ანარქიზმის საბოლოო გადაშენებას არც საქართველოში, არც რუსეთში. 1917 წლის რევოლუციურმა მოვლენებმა კვლავ გამოაცოცხლა ანარქისტული მოძრაობა გარკვეული ხნით, სანამ რუსეთში დამყარებულმა პროლეტარიატის დიქტატურამ ბოლო არ მოუღო მის პოლიტიკურ არსებობას.

საერთაშორისო ანარქისტული მოძრაობის ისტორიამ ნათელყო ანარქიზმისათვის დამახასიათებელი ერთი თავისებურება. იგი სუსტდებოდა ხოლმე ყოველთვის და ყველგან, სადაც რევოლუციური მოძრაობა მარცხდებოდა, მაგრამ კვლავ იწყებდა გამოცოცხლებას რევოლუციური მოძრაობის აღმავლობისთანავე. ამიტომ მოხდა, რომ პრუდონისა და ბაკუნინის ეპოქიდან დაწყებული და მიუხედავად არაერთი პრაქტიკული მარცხისა, ანარქიზმმა საოცარი სიცოცხლისუნარიანობა გამოამჟღავნა დღემდე. XX ს-ის 60-იან წლებში, როდესაც დასავლეთ ევროპის, ამერიკისა და აზიის ზოგიერთ ქვეყანასაც მძლავრ ტალღებად გადაუარა ახალგაზრდულმა მოძრაობამ, მასში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ანარქისტული ფრაზა და პრაქტიკა. 1968 წლის მაისი-ივნი-

სის სტუდენტურ მღელვარებაში, პარიზში, ანარქისტული მიმდინარეობა თავისებური დეტონატორის როლს ასრულებდა. 70-იან წლებში იტალიასა და დასავლეთ გერმანიაში მოქმედებდნენ ანარქისტულ-ტერორისტული დაჯგუფებები, ცნობილი „წითელი ბრიგადები“, ბაადერ-მაინჰოფის ორგანიზაცია და სხვ. დასავლეთში დიდი ტირაჟებით გამოიცემა ანარქიზმის ძველი და ახალი იდეოლოგიების პრუდონის, ბაკუნინის, კროპოტკინის, დ. კონ-ბენდიტის, ხ. მალერის, ჩეგევარას ნაშრომები, ბიოგრაფიები და სხვ.

1968 წლის სექტემბერში იტალიის ქალაქ კარეში (კარრარე) შედგა ანარქისტების კონგრესი. ეს იყო ფაქტიურად ორი კონგრესი, რადგან მისი მონაწილე 300 დელეგატი ორ ნაწილად გაიყო: ერთნი იყვნენ „მოხუცები“ — ანარქო-სინდიკალისტები, რომელთაც ჯერ კიდევ არ დაეკარგათ „ბაკუნინისა და პრუდონის იდეების რწმენა“, მეორენი იყვნენ „ახალგაზრდები“, რომელთაც მეთაურობდა პარიზელ სტუდენტთა ლიდერი დანიელ კონ-ბენდიტი.

საინტერესოა მათი უთანხმოების რკალი. „მოხუცებს“ უნდოდათ კონგრესი შემდგარიყო კარეს საოპერო თეატრში, ტრადიციული და ჩვეულებრივი წესებით: დღის წესრიგი, ორატორების მიმდევრობა, რეზოლუციების მიღება და ა. შ. „ახალგაზრდების“ თვალსაზრისით კი ყოველივე ეს ეწინააღმდეგებოდა „წმინდა ანარქიზმს“. მათ უარი თქვეს ტრიბუნაზე, უსტვენდნენ თავმჯდომარეს და „არაწმინდებს“. „დაითხოვეთ კონგრესი!“ — ყვიროდა კონ-ბენდიტი ერთი გაჩეჩილი გოგონას ზურგის უკნიდან, რომელიც მას მუხლებზე ეჯდა. ბოლოს „წმინდებმა“ დასტოვეს კონგრესი და თავიანთი სხდომა მარმარილოს კიბეებზე გააგრძელეს[81].

თანამედროვე სოციალურ თეორიებსა და მოძრაობაზე ანარქისტული იდეების გარკვეულ გავლენას ხაზს უსვამდა 60-იანი წლების „ახალი მემარცხენეობის“ ცნობილი იდეოლოგი ჰერბერტ მარკუზე. „ანარქისტულ ელემენტებს მე განვიხილავ როგორც ძალიან მძლავრ და ფრიად პროგრესულ ძალებს, — წერდა მარკუზე, — და მე მწამს, რომ ეს ელემენ-

---

81 «Литературная газета», 1968, 18. IX.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტები, როგორც დიდი და განმსაზღვრელი პროცესების სტრუქტურის შინაგანი მიმდინარეობა, შენარჩუნებული იქნება". მიუხედავად ამისა, რამდენადაც მაღალი აზრის იყო მარკუზე ანარქისტულ მოძღვრებაზე, იმდენად სკეპტიკურად უყურებდა ანარქისტულ პრაქტიკას. როდესაც მას ჰკითხეს, შეუძლია თუ არა ანარქიზმმა ოდესმე რევოლუცია გამარჯვებამდე მიყვანოსო, „ახალი მემარცხენეობის" იდეოლოგმა გადაჭრით უპასუხა: „არა"[82].

თანამედროვე ანარქიზმის შესასწავლად და სოციალისტურ მოძრაობაში მისი ადგილის მისაჩენად გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება არამარტო რუსეთის ანარქისტული მოძრაობის, არამედ ქართული ანარქიზმის შესწავლასაც.

საქართველოში ყველაზე გავლენიან და მრავალრიცხოვან პოლიტიკურ ძალას რსდმპ-ის ადგილობრივი ორგანიზაციები წარმოადგენდნენ.

რსდმპ II ყრილობაზე პარტიის პროგრამის მესამე პუნქტის შესახებ გამართულ კამათში კარგად გამოვლინდა ბოლშევიკებისა და მენშევიკების, ასევე, რუსი და განაპირა მხარეების წარმომადგენლების, კერძოდ, ქართველი სოციალ-დემოკრატების არაერთგვაროვანი მიმართება ეროვნული საკითხისადმი. თავდაპირველად პროგრამის მესამე პუნქტი მოითხოვდა „ფართო ადგილობრივ და საოლქო თვითმმართველობას". ვ. ი. ლენინი და მისი მომხრეები წინააღმდეგნი იყვნენ სიტყვისა „საოლქო", რადგან შიშობდნენ ეს სიტყვა ისე გაგებულიყო, თითქოს სოციალ-დემოკრატია მომხრე იყო „მთელი სახელმწიფოს დაყოფისა პატარ-პატარა ოლქებად". ბოლშევიკებისაგან განსხვავებით, რომლებიც მიისწრაფოდნენ ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნისაკენ, მარტოვმა მხარი დაუჭირა „საოლქო თვითმმართველობას" ისეთი მსხვილი ერთეულებისათვის, როგორებიც იყო ფინეთი, პოლონეთი, ლიტვა და კავკასია, რომელნიც „თავისი საყოფაცხოვრებო პირობებით და მოსახლეობის შემადგენლობით განსხვავდებოდნენ საკუთრივ რუსული მხარეებისაგან".

---

82 Джек Уоддис, «Новые» теории революции (критический анализ взглядов Ф. Фанона, Р. Дебре, Г. Маркузе). Перевод с английского, М., 1975, с. 286.

ნ. ჟორდანიამ ენთუზიაზმით დაუჭირა მხარი მარტოვე-ულ ფორმულირებას. მისი აზრით, ეროვნული საკითხის გათვალისწინება ახალ ძალებს შემატებდა პარტიას და ფართო სააგიტაციო მნიშვნელობა ექნებოდა, რადგან კავკასიაში „საოლქო თვითმმართველობის იდეა ძალიან პოპულარული იყო“. ყრილობის მეორე ქართველმა დელეგატმა დ. თოფურიძემ პირდაპირ განაცხადა, რომ იმპერიის ზოგიერთი ადგილები ისე ძლიერად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, რომ „მათ მხოლოდ ავტონომიის მიცემის შემთხვევაში შეეძლოთ განვითარება“[83]. საბოლოოდ მესამე პუნქტმა, როგორც ცნობილია, ასეთი სახე მიიღო: „ფართო ადგილობრივი თვითმმართველობა. საოლქო თვითმმართველობა ადგილებისათვის, რომლებიც განსხვავდებიან განსაკუთრებული საყოფაცხოვრებო პირობებითა და მოსახლეობის შემადგენლობით“. რისგან განსხვავდებოდნენ? „საკუთრივ რუსული მხარეებისაგან“ — ეს სიტყვები საბოლოო ფორმულირებიდან მოვარდა. რაც შეეხება პროგრამის მე-9 პუნქტს, იგი აღიარებდა „სახელმწიფოს შემადგენლობაში შემავალი ყველა ერის თვითგამორკვევის უფლებას“[84].

განზრახ თუ უნებლიეთ, მესამე პუნქტში ხმარებული იყო ტერა „ავტონომია“, არამედ „საოლქო თვითმმართველობა“. საკითხის ამგვარი დაყენება ორაზროვნების საფუძველს იძლეოდა. სოციალ-დემოკრატები პროგრამით აღიარებდნენ თითქოს ავტონომიას, მაგრამ პრაქტიკულად ავტონომიის წინააღმდეგ იბრძოდნენ. ვ. ი. ლენინი სტატიაში „რამდენიმე შენიშვნა პ. მასლოვის „პასუხის“ გამო“, წერდა, რომ პარტიის პროგრამის საფუძვლები „უზრუნველყოფდნენ“ ავტონომიას. ეს არ ნიშნავდა იმას, რომ ბოლშევიკები ყველგან და ყოველთვის აღიარებდნენ ავტონომიის საჭიროებას, ჩვენი პროგრამა „მოითხოვს ფართო ავტონომიას ცალკეული პროვინციებისათვის“. მაგრამ ეს არ იყო მთავარი, არამედ ის, რომ „პროლეტარიატის პარტია თავის პროპაგანდისტული და სა-

---

[83] Второй съезд РСДРП, Протоколы, М., 1959, с. 183.

[84] სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცკ პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ნაწ. II, 1898—1924 წწ., თბ., 1954, გვ. 44.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციტაციო მოღვაწეობით მოუწოდებდეს არა დაქუცმაცებისა-
ენ, არამედ შეერთებისაკენ, ცენტრალიზებულ სახელმწიფო-
ა დიდი ამოცანების გადაწყვეტისაკენ და არა ყრუ გაველუ-
ებისა და ნაციონალური შეზღუდულობისაკენ"[85].

სოციალ-დემოკრატთა უმაღლესი პოსტულატი სოციალუ-
ი რევოლუციის გამარჯვება იყო. რევოლუციის წარმატე-
ის საჭიროებას ისინი უქვემდებარებდნენ ყველა სხვა და-
ურჩენ მნიშვნელოვან თუ უმნიშვნელო საკითხს. გ. პლეხა-
ოვი II ყრილობას მოახსენებდა, რომ დემოკრატიის ამოსა-
ალი პრინციპი იყო მაქსიმა: Salus populi suprema lex —
ალხის კეთილდღეობა უმაღლესი კანონია. რევოლუციონე-
ის ენაზე ეს ნიშნავდა, რომ რევოლუციის გამარჯვება ყვე-
ელაზე მთავარი იყო. თუ რევოლუციის გამარჯვებისათვის სა-
ჭირო გახდებოდა რომელიმე დემოკრატიული პრინციპის
დროებითი შეზღუდვა", ამის წინაშე არ უნდა შეჩერებულიყ-
ნენ. აქედან წარმოსდგებოდა ზემოაღნიშნული დემოკრატიუ-
ი პრინციპის პლეხანოვისეულ-სოციალ-დემოკრატიული ვა-
ნტი: Salus revolucionis suprema lex — რევოლუციის
კეთილდღეობა უმაღლესი კანონია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პირველი
ევოლუციის პერიოდში ქართველი სოციალ-დემოკრატების
ირივე ფრთა მწვავედ ებრძოდა საქართველოს ავტონომიის
იდეას და მის მომხრეებს. გაზეთი „ჩვენი ცხოვრება" ერო-
ული ავტონომიის საკითხს „სარგებლობის მხრივ" აფასებ-
და, „თუ რამდენად უწყობდა ხელს ესა თუ ის მოვლენა პრო-
ლეტარიატის კლასსიურ ინტერესების შედგენას"[86]. რევოლუ-
ციის პერიოდში ავტონომიის მოთხოვნა „ხელს უშლიდა" რუ-
ეთის პროლეტარიატის ინტერნაციონალურ ერთიანობას,
მიტომაც უარყოფილი უნდა ყოფილიყო.

ავტონომიის იდეის უარყოფიდან ერთი ნაბიჯიღა იყო
დარჩენილი ავტონომისტური მოძრაობის მომხრეების რევო-
ლუციის მტრებად გამოცხადებამდე. ასეც მოხდა. ქართველი
ოციალ-დემოკრატები ავტონომიის მომხრე სოციალისტ-
ფედერალისტებს, ერრვნულ-დემოკრატებს „ბურჟუაზიულ

---

[85] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 15, გვ. 199.

[86] გაზ. „ჩვენი ცხოვრება", 1906 წ., 5 სექტემბერი.

ეროვნული

ნაციონალისტებს“ უწოდებდნენ. ამავე ლოგიკის წყალობით აღმოჩნდა ი. ჭავჭავაძე და მისი თანამოაზრე ქართველი ინტელიგენციის ერთი ნაწილი რეაქციონერთა ბანაკში. ფ. მახარაძის აზრით, 1905—1907 წლების რევოლუციის დროს ავტონომიის მოთხოვნის ქვეშ თავს იყრიდნენ „წარმომადგენლები თითქმის ყველა რეაქციონური ელემენტებისა და საზოგადოებრივ ჯგუფების, როგორც მაგალითად, ქართველი თავადაზნაურობა, ქართველი სამღვდელოება და ქართული ბურჟუაზია“[87]. ეროვნული საკითხის შეუფასებლობამ ქართველი სოციალ-დემოკრატიის ერთი ნაწილი ეროვნულ ნიჰილიზმამდე მიიყვანა. სხვაგვარად არ შეიძლება შეფასდეს ფ. მახარაძის ცნობილი გამონათქვამი: „ჩვენთვის ნაციონალური კულტურა არ არსებობს, ნაციონალურ ენას მხოლოდ პირობითი და წარმავალი მნიშვნელობა აქვს. რაც შეეხება ნაციონალურ ზნე-ჩვეულებებს, ესენი მხოლოდ კონსერვატორობის გამომხატველია“[88].

ეროვნულ-ავტონომისტური მოძრაობის ამგვარმა გაუგებარმა უარყოფამ ანომალია გამოიწვია საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. იმის მაგიერ, რომ დემოკრატიული ბანაკი გაერთიანებულიყო რეაქციის წინააღმდეგ, საქართველოში იგი ორად გაიყო — ავტონომისტები და ავტონომიის მოწინააღმდეგენი, ანუ სოციალ-დემოკრატია და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. ამ სამწუხარო დაპირისპირების შედეგი იყო წიწამურის ტრაგედია, პირველი და შორეული მანიშნებელი ზარის შემოკვრა მომდევნო თწლეულებში ჩვენს სინამდვილეში დატრიალებული სოციალური უკუღმართობებისა.

პირველი რევოლუციის წლებში, როგორც ცნობილია, ქართველი სოციალ-დემოკრატიის მხოლოდ ერთმა მცირე ნაწილმა, რომელსაც კლ. დარჩიაშვილი, პ. საყვარელიძე, ნ. ეგვიტიშვილი და სხვები მესვეურობდნენ, აღიარა საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის საჭიროება.

ამით არ ამოიწურებოდა საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური რუკა. განმათავისუფლებელ მოძრაობაში თავი-

---

87 ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, თხზ. კრებული, ტ. IV, ტფილისი, 1924, გვ. 18.

88 ი ქ ვ ე, გვ. 128.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეი საპატიო წვლილი შეჰქონდათ ქართული სამღვდელოების დემოკრატიულ წარმომადგენლებს, რომელნიც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის იბრძოდნენ. ამ მხრივ ცნობილია ეპისკოპოსების კირიონისა და ლეონიდეს მოღვაწეობა, რაც მაშინდელი რუსეთის როგორც საერო, ისე საეკლესიო ბიუროკრატიის ყრუ წინააღმდეგობას აწყდებოდა. 1905 წლის მიწურულს შედგა აღმოსავლეთ საქართველოს ეპარქიათა სამღვდელოების დეპუტატთა სხდომა. სხდომის მონაწილეთა უმრავლესობა ავტოკეფალისტურად იყო განწყობილი, მაგრამ რუსული საეკლესიო ბიუროკრატიის ნებისმიერ განსახილველი საკითხებიდან ამოიღეს უმთავრესი საკითხი — საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ.

გარდა ქართული და რუსული პოლიტიკური ორგანიზაციებისა, თბილისში არსებობდა აგრეთვე კავკასიური წარმოშობის პარტიათა ორგანიზაციებიც. კერძოდ, პირველი რევოლუციის პერიოდში აქ საქმიანობდნენ სომხური პარტიების „დაშნაკცუტიუნისა“ და „ჰნჩაკის“ პარტიების ადგილობრივი ორგანიზაციები. არაიშვიათად, ეს ორგანიზაციები აქტიურად თანამშრომლობდნენ ქართულ და რუსეთის ადგილობრივ ეროვნულ და რევოლუციურ პარტიებთან, ერთიანი ფრონტით იბრძოდნენ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. სომეხ დაშნაკთა პარტია თბილისში შეიქმნა 1890 წელს. სხვადასხვა დროს საქართველოს დედაქალაქში გამოდიოდა დაშნაკთა პარტიის ორგანოები „დროშა“, „ჰორიზონტი“ და სხვ.

ზემოჩამოთვლილი პოლიტიკური პარტიების, მიმდინარეობების, ჯგუფების მოღვაწეობა საზოგადოებრივი ცხოვრების ნებულ და საინტერესო სურათს ქმნიდა. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ მრავალპარტიულობამ მისცა დასაბამი, როგორც რუსეთში, ისე საქართველოში, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობისა და აზროვნების ნამდვილ რენესანსს, რომელმაც 1890-იანი წლებიდან დაწყებული ოცწლიანი დუღილი ძველი სისტემის დანგრევით დაასრულა.

ძველ სისტემაზე შეტევის „გენერალური რეპეტიცია“ იყო 1905—1907 წლების სახალხო რევოლუცია, რომელშიც ქართველმა სოციალისტ-ფედერალისტებმა საპატიო წვლილი შეიტანეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი მეექვსე

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია 1905–1907 წლების რევოლუციის პერიოდში

პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის წინა პერიოდში რუსეთის იმპერიის მოსახლეობის შემადგენელი სხვადასხვა სოციალური კლასები და ფენები (პროლეტარიატი, გლეხობა, სოფლისა და ქალაქის წვრილბურჟუაზიული ნაწილი და სხვ.) დემოკრატიის ზოგადი ლოზუნგის ქვეშ გაერთიანების ტენდენციას ამჟღავნებდნენ. ისინი არამარტო ცდილობდნენ საერთო ფრონტის სახით დაპირისპირებოდნენ მეფის თვითმპყრობელობას, არამედ ბლოკისტური ტიპის პარტიებსაც ქმნიდნენ. რევოლუციის დაწყებამ და მიმდინარეობამ გამაერთიანებელი ტენდენციები ურთიერთგამიჯვნის ტენდენციებით შეცვალეს.

აღნიშნული პროცესი დამახასიათებელი იყო არამარტო კლასთაშორისი ურთიერთობისთვის, არამედ თითოეული საზოგადოებრივი კლასის შიგნით არსებული საზოგადოებრივი ფენებისათვისაც, რომელთა ერთმანეთისაგან გამიჯვნაც ნათლად აისახა რუსეთის რიგი პოლიტიკური პარტიების გათიშვაში მემარჯვენე, ცენტრისტულ და მემარცხენე ნაწილებად და თითოეული პარტიის დაშლაში სხვადასხვა პოლიტიკურ მიმდინარეობებად და პარტიებად.

პოლიტიკური გამიჯვნის ტენდენცია განსაკუთრებით გაძლიერდა 17 ოქტომბრის მანიფესტისა და დეკემბრის შეია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბალებული აჯანყების დამარცხების, პირველი რევოლუციის დაღმავლობის პერიოდში. 1905 წლის ოქტომბერში კონსტიტუციონალ-დემოკრატების პარტიას გამოეყო მისი მემარჯვენე ფრთა — ოქტიაბრისტების სახით, რომელნიც აშკარა ანტირევოლუციური ბურჟუაზიის პარტიას წარმოადგენდნენ. უფრო გვიან, 1906 წელს კადეტთა პარტიის ბაზაზე შეიქმნა პროგრესისტების ლიბერალური პარტია.

პირველი რევოლუციის პერიოდში ფაქტიურად სამ დამოუკიდებელ პარტიად დაიშალა რუს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია, რომელსაც ჯერ გამოეყო მემარჯვენე ფრთა — სახალხო სოციალისტების ანუ ენესების სახით, შემდეგ მემარცხენე ფრთა — მაქსიმალისტების სახით[1]. 1906 წელს ორად გაითიშა აგრეთვე პოლონეთის სოციალისტური პარტია.[2]

პოლიტიკური გამიჯვნის პროცესი დამახასიათებელი იყო აგრეთვე საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური სინამდვილისათვისაც.

პირველი რევოლუციის პერიოდში ქართველმა სოციალისტ-ფედერალისტებმა ავტონომიის მოთხოვნა არაპროლეტარულ და ოპოზიციურ პარტიათაშორისო პლატფორმად გამოაცხადეს და მზად იყვნენ ყველას შეთანხმებოდნენ, ვინც მათს ლოზუნგს გაიზიარებდა. 1905 წლის 11 ივნისს, ჟურნ. „მოგზაურის“ ცნობით, შედგა ქართველებისა და მაჰმადიანების კრება „საერთო შეთანხმებული მოქმედების გეგმის შემუშავების“ მიზნით. ჟურნალის სიტყვებით, კრებას ესწრებოდნენ ლიბერალურ-ბურჟუაზიული და ნაციონალისტურად განწყობილი ქართული და მაჰმადიანური ინტელიგენციის

---

[1] Непролетарские партии России. Урок истории. Подобщей редакцией акад. И. И. Манца. М., 1984. с. 86.

[2] დასახ. ნაშრ., გვ. 76.

ეროვნული

წარმომადგენლები: სოციალისტ-ფედერალისტი ხ. ალფასტი, ეროვნულ-დემოკრატი ი. ზურაბიშვილი, გაზ. „კასპის“ რედაქტორი თოფჩიბაშევი და სხვ. ამ ფაქტის გამო ქართველი სოციალ-დემოკრატების ორგანო „მოგზაური“ შენიშნავდა, რომ ქართველი ფედერალისტები ავტონომიის აღიარების შემთხვევაში მზად არიან ყველას შეუთანხმდნენო. მას შემდეგ, რაც ისინი ვერ მოურიგდნენ სომხის ბურჟუაზიას, საქმე დაიჭირეს მაჰმადიან-ნაციონალისტებთან, „ისინი დახმარებას უწევენ მაჰმადიანების თავისივე მსგავს ბურჟუა-ავტონომისტებს თავის ხალხის დაჩაგვრაში, ე. ი. ქონებრივი ცენზის და წოდებრივ უფლება-უპირატესობის შენახვაში, ოღონდ კი მაჰმადიანებმა ქართველ ავტონომისტებს მხარი მისცენ ტერიტორიულ-ეროვნულ ავტონომიის განხორციელებაში“[3]. ფ. მახარაძის ლოგიკით, ყველა ეროვნული მიდრეკილების პარტია ბურჟუაზიული, ლიბერალური და ნაციონალისტური იყო.

ქართველი სოციალისტ-ფედერალისტების, ეროვნულ-დემოკრატების, ესერების, ანარქისტების და სხვადასხვა ელფერის მიმდინარეობათა გაერთიანების საფუძველთა საფუძველს ეროვნული დროშის ქვეშ გაერთიანება და კლასობრივ-სოციალური საკითხის ეროვნულისადმი დაქვემდებარება წარმოადგენდა. მაგრამ რევოლუციის პერიოდის კლასობრივ შეჯახებათა ეპოქაში სოციალურ წინააღმდეგობათა პრიორიტეტის ეროვნულით შეცვლა შეუძლებელი გახდა. კლასობრივი ბრძოლის გაძლიერებამ ღრმა ბზარი გააჩინა სოციალისტ-ფედერალისტთა ბლოკში და აიძულა მასში შემავალი პოლიტიკური ჯგუფები დამოუკიდებელი კლასობრივი პოზიცია დაეკავებინათ მიმდინარე რევოლუციის მიმართ.

ქართველმა მარქსისტებმა, როგორც ადრე იყო აღნიშნული, იმთავითვე მთავარი იერიში მიიტანეს სოც.-ფედერალისტური კოალიციის არაჩვეულებრივად „ჭრელ“ ხასიათზე და ამ გაერთიანების არამყარი ხასიათი აღნიშნეს. ფ. მახარაძე აღნიშნავდა, რომ ფედერალისტები „ერთსა და იმავე“ დროს „ცავდნენ „ქართველი სამღვდელოების (განსაკუთრებით მა-

---

[3] „მოგზაური“, № 23, 1905, 19 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლალ სამღვდელოების), ქართველ თავადაზნაურების, ქართველი ბურჟუაზიისა და ასე წარმოიდგინეთ, ქართველ მუშებისა და გლეხების ინტერესებს"[4] სხვა ნაშრომში ფ. მახარაძე წერდა: „ეს იყო მეტად ახირებული და თავისებური პარტია. როგორც მის შემადგენლობაში, ისე მის პროგრამაში ყველაფერს ნახავდით. აქ იყვნენ ბურჟუა-ლიბერალებიც, აზნაურებიც, ხუცებიც, სოციალისტ-ანარქისტებიც..."[5] ქართველი მარქსისტის აზრით, ფედერალისტების პარტია ერთდროულად იყო წვრილბურჟუაზიულიც, „ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურიც", თავადაზნაურულიც და „კლერიკალურიც". ფ. მახარაძე განგებ ამუქებდა ფერებს და ჩქმალავდა იმას, თუ რის საფუძველზე იყვნენ გაერთიანებულნი ეს სხვადასხვა ფენების წარმომადგენლები ერთ პარტიაში[6].

რევოლუციის დაღმავლობის ხანაში საქართველოს ავტონომიის დროშის ქვეშ გაერთიანებულ, ფედერალისტურ ბლოკში შემავალ მიმდინარეობებს შორის წინააღმდეგობა სულ უფრო ინტენსიურად იჩენდა თავს. ცხადია, სოციალისტ-ფედერალისტთა ბლოკისტური პარტია თავიდანვე არ წარმოადგენდა ერთიან, მტკიცედ შეკრულ პოლიტიკურ ორგანიზაციას. ფედერალისტები, ესერები, ანარქისტები და ეროვნულ-დემოკრატები, ფაქტიურად ეროვნული მიმართებით გაერთიანებულნი, სოციალურ-პოლიტიკური ასპექტებით, თეორიულადაც და პრაქტიკულადაც განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან და ცალ-ცალკე მოქმედებდნენ. ეს ბუნებრივი იყო, მაგრამ ფედერალისტთა პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს საფუძველს აძლევდა ელაპარაკათ ამ პარტიის ამორფულ, არამყარ ხასიათზე. კავკასიის პოლიციის აგენტურის ცნობით, ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია, ამ სიტყვის მკაცრი მნიშვნელობით, ჟენევის კონფერენციაზე არ შექმნილა, არამედ წარმოადგენდა სხვადასხვა „რევოლუციური ფრაქციების" ფორმალურ გაერთიანებას. კერძოდ, ფედერალისტთა

---

4 ფ. მახარაძე, თხზულებათა კრებული, ტფილისი, 1924, ტ. IV, გვ. 113.

5 ფ. მახარაძე 1905 წელი ამიერკავკასიაში, 1932, გვ. 301.

6 იქვე.

შესახებ პოლიციის ერთ-ერთ ცირკულარში ვკითხულობთ: „... თუმცა ამ სიტყვის მკაცრი მნიშვნელობით „პარტია“, როგორც ორგანიზაცია, გაერთიანებული ერთი ოფიციალური პროგრამით და აგებული ორგანიზაციული წესდების საწყისებზე, ჯერ კიდევ არ არსებობდა“[7].

ცხადია, სხვაგვარად არც შეიძლებოდა მომხდარიყო. ფედერალისტური ბლოკის შემადგენელი ფრაქციები სხვადასხვა მიმართულებით ეწეოდნენ პარტიას. პირველ რიგში ბლოკის ე. წ. სოციალისტური და არასოციალისტური ფრთები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს — წინააღმდეგობამ იჩინა თავი ფედერალისტებსა და ეროვნულ-დემოკრატიულ ფრაქციას შორის.

ჩვენ უკვე შევეხეთ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის შექმნისათვის მიმდინარე მოძრაობას, აღვნიშნეთ, რომ ამ პარტიაში ერთ-ერთ ნაკადად შევიდა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიაში ადრე გაერთიანებული ეროვნულ-დემოკრატიულად განწყობილ მოღვაწეთა ჯგუფი. აქ განვიხილავთ მხოლოდ ფედერალისტებსა და ეროვნულ-დემოკრატებს შორის არსებული წინააღმდეგობისა და მომხდარი გათიშვის მოტივებს. ეროვნულ-დემოკრატები რევოლუციის პერიოდშიც ზეკლასობრივ პოზიციაზე დარჩნენ, თავგამოდებული მომხრეები იყვნენ კერძო საკუთრების ხელშეუხებლობის. შეიძლება თუ არა მოისპოს კერძო საკუთრება მიწაზე? — კითხულობდა ეროვნულ-დემოკრატი ვასილ წერეთელი და არამარტო უარყოფითად პასუხობდა კითხვას, უტოპიადაც მიაჩნდა სოციალისტური შესედულება კერძო საკუთრების გაუქმების შესახებ. „ის, რასაც სოციალისტები პირდებიან ხალხს, — წერდა ვ. წერეთელი, — განუხორციელებელი ოცნებაა, ჩვენს სამიწათმოქმედო პროგრამას კი საფუძვლად უდევს ერთსა და იმავე დროს კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა და მისი დემოკრატიზაცია“[8]. ეს ვ. წერეთელი ის „ვ. წ.“

---

7 საქართველოს ცსსა, ფ. 156, აღწ. 3, ს. 49, გვ. 53.

8 ვას. წ ე რ ე თ ე ლ ი, შეიძლება თუ არა მოისპოს კერძო საკუთრება მიწაზე. როგორ უნდა გადაიჭრას ეს საგანი ეროვნულ-დემოკრატიული თვალთახედვით. ქუთაისი. 1917 გვ. 27.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო, რომელმაც თავისი მოღვაწეობა ხალხისნობით დაიწყო. შემდეგ გ. ლასხიშვილთან ერთად პუბლიცისტობდა „ივერიაში“.

უნდა აღინიშნოს, პოლიტიკური პირდაპირობით ეროვნულ-დემოკრატები ფედერალისტებზე შორს მიდიოდნენ. ისინი მოურიდებლად უწოდებდნენ თავიანთ თავს „ქართველ ნაციონალისტებს“, არამარტო უარყოფდნენ კლასობრივი ბრძოლის მარქსისტულ მოძღვრებას, მიუთითებდნენ კიდეც მის მავნებლობას „ქართველი ერის“ ინტერესებისათვის, მარქსიზმთან და სოციალ-დემოკრატიასთან დამოკიდებულების თვალსაზრისით, ფედერალისტებსა და ეროვნულ-დემოკრატებს შორის თანხმობა სუფევდა, მაგრამ ფედერალისტები, რომელნიც ამავე დროს სოციალისტებიც იყვნენ, ვედარ ეგუებოდნენ ეროვნულ-დემოკრატთა ზეკლასობრივ პლატფორმას. ფედერალისტური პარტიის ევოლუცია მემარცხენე ორიენტაციით მიმდინარეობდა რევოლუციის პერიოდში. იგი დაბალ სოციალურ ფენებში ცდილობდა გავლენის მოპოვებას, მუშათა და გლეხთა უმრავლესობა კი ამ დროს სოციალიზმის იდეით, სოციალისტური ლოზუნგებით იყო ეგზალტირებული. სწორედ ამიტომაც, ან შესაძლოა რევოლუციური მასების თვალში კომპრომეტირების შიშით, სოციალისტ-ფედერალისტები აღდგნენ ეროვნულ-დემოკრატიული მიმდინარეობის წინააღმდეგ. „ჩვენს პარტიაში, — აღიარებდა არჩ. ჯორჯაძე, — სოციალიზმი ძლიერ სუსტობს და ნაციონალ-დემოკრატიზმს დიდი გავლენა აქვს. ამ გარემოებას უთუოდ ბოლო უნდა მოვუღოთ. ნაციონალ-დემოკრატებს უნდა დავშორდეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ხალხი ყოველთვის წინააღმდეგი იქნება ჩვენი“. მეორე წერილში, რომელიც გიორგი დეკანოზიშვილისადმი იყო გაგზავნილი, არჩ. ჯორჯაძე წერდა: „ჩვენს პარტიაში დომხალივით ირევა სხვადასხვა რჯულის ხალხი. ვინც ავტონომიას თანაუგრძნობს, სულ ჩვენ პარტიაში შემოვიდნენ და საქმე ძლიერ გაგვიფუჭეს, რადგან

ეს ხალხი სოციალიზმის წინააღმდეგია"[9]. ეს წერილი 1905 წლის 21 ივნისითაა დათარიღებული.

შემდგომში ეროვნულ-დემოკრატი ლიბერალებისაგან გამიჯვნის ტენდენცია სულ უფრო ძლიერდება ფედერალისტ-სოციალისტთა პარტიაში. 1906 წლის სექტემბერში ფედერალისტთა ორგანო „მეგობარში" დაიბეჭდა სტატია „ჩვენი ძალა და სუსტი მხარე". მასში აღნიშნული იყო, რომ პარტიის წევრთა ერთ ნაწილს ნაკლები საერთო ჰქონდა სოციალიზმთან. ისინი ავტონომიის გულისთვის „შეეკედლნენ" ფედერალისტთა პარტიას, ამაში მხარს გვიჭერენ, მაგრამ „სხვაში კი ყველაფერში ჩვენი მტრები არიან". და „მეგობარი" მოითხოვს, რათა პარტია გაიწმინდოს „ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ელემენტებისაგან". ისინი თუ გვეკედლებიან, მხოლოდ იმიტომ, რომ საკუთარი პარტია ვერ შეუქმნიათო, განმარტავს „მეგობარი" და თითქოს გულისტკივილითაც კი დასკვნის: „წელს ჩვენში რომ დემოკრატიული პარტია დაარსდა, სამწუხაროდ, მალე მოისპო"[10]. თავად არჩ. ჯორჯაძე არანორმალურ, ანომალიურ მოვლენად მიიჩნევდა, რომ ი. ჭავჭავაძის იდეურ და პრაქტიკულ მოღვაწეობის გამგრძელებელი პოლიტიკური პარტია, როგორიც უნდა ყოფილიყო ეროვნულ-დემოკრატთა პარტია, აქამდე ვერ შეიქმნა საქართველოში. სოციალიზმ-ფედერალიზმის — „ქართული სოციალიზმის" შემოქმედი, თანაგრძნობით უყურებდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმოქმნის ცდებს საქართველოში და უსაბუთებდა ნ. ჟორდანიას, რომ ამ პარტიის იდეალი სხვა ერების მტრობა კი არა, ქართველი ერის ინტერესთა სამსახური იყო. „სხვა ერების დაჯაბნა არც ნაციონალ-დემოკრატების მიზანია", განმარტავდა არჩ. ჯორჯაძე[11].

---

9 ჟურნ. „კავკასიონი", 1965, X, პარიზი, გვ. 161; ციტირებულია გ. ჯანგველაძე წიგნიდან „საქართველოს კომუნისტური პარტიის ბრძოლა...", გვ. 78.

10 „მეგობარი", 1906 წ., 21. IX.

11 ა. ჯორჯაძე, თხზ., - წიგნი პირველი, „შეთანხმების იმედი", გვ. 241.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევოლუციის პერიოდში გამწვავებულმა კლასობრივმა ბრძოლამ ფედერალისტთა ლიდერები დაარწმუნა, რომ სოციალური ფაქტორისათვის მეტი ანგარიში უნდა გაეწიათ. კლასთა თანამშრომლობისა და ზეკლასობრიობის ქადაგება შესაძლოა ისტორიული პერსპექტივის თვალსაზრისით გამართლებული, მაგრამ კონკრეტული ისტორიული ვითარებისათვის გაუმართლებელი პოზიცია ჩანდა. მხოლოდ ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის მოთხოვნა და სოციალური საკითხის მიჩუმათება, როგორც ამას ეროვნულ-დემოკრატები აკეთებდნენ, ფედერალისტებს სრული სოციალური იზოლაციის საშიშროებას შეუქმნიდა.

კონსტანტინე გამსახურდიამ ესსეში „ილია ჭავჭავაძე", მართებულად შენიშნა ერთხელ: „საოცარი ბედი ერგო მაინც ილიას. მას მოუხდა ისტორიულ ტენდენციის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში..."[12] მწერალი, ცხადია, გულისხმობდა სოციალიზმის მოძღვრებას და მის მატარებელ სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობას საქართველოში. ეროვნულ-დემოკრატებმა უკომპრომისოდ და შეუცვლელად მიიღეს ილიას ეროვნული კონცეფცია და სრულიად უარყვეს ყოველგვარი სოციალისტური, მარქსისტული თუ არამარქსისტული დოქტრინა. ქართველმა სოციალისტ-ფედერალისტებმა სხვა გზა აირჩიეს. არჩ. ჯორჯაძემ და მისმა თანამოაზრეებმა სცადეს საუკუნის მოძღვრების — სოციალიზმის გაეროვნულება და არამარქსისტული სოციალისტური თეორიის ჩაყენება ეროვნული საკითხის სამსახურში. მათ სცადეს ეროვნული საკითხის პოპულარიზაცია და ავტონომიის იდეის შეტანა ქართველ მოსახლეობაში სოციალიზმის საშუალებით. ამიტომაც, ბუნებრივი იყო, ფედერალისტები ერთი პარტიის დროშის ქვეშ ეროვნულ-დემოკრატებთან ვერ ივლიდნენ.

სოციალური თვალსაზრისით და პოზიციით პირველი სახალხო რევოლუციის პერიოდში ეროვნულ-დემოკრატები ცენტრალისტურ-ლიბერალურ ბანაკში იდგნენ. სოციალის-ფედერალისტთა მესვეურებს აღარ აკმაყოფილებდათ ყენევის

---

12 კ. გამსახურდია, რჩეული თხზულებანი, ტ. VII, თბ., 1965, გვ. 239.

კონგრესზე მიღებული ნახევრად ლიბერალური ან თუნდაც ეროვნულ, მაგრამ ლიბერალურ მიმდინარეობებთან შემრიგებლური პროგრამა და პლატფორმა, მეტიც, მათთან თანამშრომლობა. „ლიბერალობას თავი დაანებეთ, — წერდა თავის პარტიულ ამხანაგებს პარიზიდან გ. დეკანოზიშვილი, — რასაც რუსის ლიბერალები ამბობდნენ, იმას ნუღარ გაიმეორებთ, რათ გვინდა რომ მათ კუდში ვდიოთ. ჩვენ ხომ ორი წელიწადია, რაც ლიბერალური პროგრამა გამოვაცხადეთ. ეხლა ამ ლიბერალებს თავი უნდა დავანებოთ, რადგან ამით თავს დავიღუპავთ და არაფერსაც გამოვიტანთ. არაფერს მოგვცემენ ნამესტნიკობის მეტს ან კიდევ რასმეს მოგვიგდებენ"[13]. ფედერალისტთა სოციალური ორიენტაცია რადიკალურად განსხვავდებოდა ეროვნულ-დემოკრატთა ზეკლასობრივი პოზიციისაგან. მათ სურდათ ქართველი მოსახლეობის უმრავლესობაზე აეღოთ ორიენტაცია და გაეყოლებინათ იგი ეროვნულ-სოციალური თავისუფლების გზით — მათ სურდათ სოციალისტურ-ინტერნაციონალისტური ლოზუნგებით ეგზალტირებული ქართველი მშრომელი მოსახლეობის უმრავლესობა გამოეგლიჯათ სოციალ-დემოკრატთა გავლენისაგან და აზვირთებული მასობრივი მოძრაობა ეროვნულ-სოციალური განთავისუფლების იდეალისაკენ მოექციათ. მასასთან, ხალხთან, მშრომელ მოსახლეობასთან დამოკიდებულება იყო ძირითადი განსხვავება ქართველ სოციალისტ-ფედერალისტებსა და ეროვნულ-დემოკრატებს შორის. ფედერალისტები ცდილობდნენ ეროვნული იდეალი მასობრივ ფენომენად ექციათ, მაშინ როდესაც ეროვნულ-დემოკრატები ეროვნული იდეალის ერთგულ, მაგრამ ელიტარულ-ინტელიგენტურ პარტიას წარმოადგენდნენ. სოციალური წინააღმდეგობების, უთანასწორობისა და კლასობრივ შეჯახებათა განსაკუთრებული გამწვავების ეპოქაში ისტორიული სიმართლე სოციალისტ-ფედერალისტთა მხარეზე იყო.

---

13 საქართველოს გ. ლეონიძის სახ. სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, გიორგი დეკანოზიშვილის წერილები, 9521—9524, 1905 წ., 25 მარტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალისტ-ფედერალისტები ფორმალურად ეროვნულ საკითხშიც დაშორდნენ ეროვნულ-დემოკრატებს. მართალია, ორივე მიმდინარეობა აღიარებდა სტრატეგიულ მიმართულებას — საქართველოს ავტონომიას, მაგრამ ფედერალისტები მხარს უჭერდნენ კავკასიის ფედერაციის იდეას, მაშინ როცა ეროვნულ-დემოკრატები ამ იდეის წინააღმდეგნი იყვნენ. კავკასიის ფედერაციის მოწინააღმდეგე „ნაციონალურ ჯგუფებს" მწვავედ აკრიტიკებდა არჩ. ჯორჯაძე. როგორც ჩანს, ეროვნულ-დემოკრატთა ანტიკავკასიურ-ფედერალისტურ განწყობილებას სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთი ნაწილიც იზიარებდა. „ჩვენ არას ვიტყოდით იმ შემთხვევაში, — წერდა სწორედ მათს წინააღმდეგ არჩ. ჯორჯაძე, — რომ ამგვარ აზრების გავრცელებაში მარტო ნაციონალ-დემოკრატებს ედებოდეთ ბრალი. საქმე ის არის, რომ სოციალისტ-ფედერალისტების პუბლიცისტები დღეს არამცთუ ეწინააღმდეგებიან ამგვარ მიმართულებას, არამედ თითქმის ხელსაც უწყობენ და თანაუგრძნობენ მას"[14]. ამის საილუსტრაციოდ არჩ. ჯორჯაძეს მოჰყავს კავკასიის იურიდიულ საზოგადოებაში მომხდარი კამათი კავკასიის ფედერაციის შესახებ.

შემდეგ, ქართველი სოციალისტ-ფედერალისტების ლიდერი თავის პარტიულ თანამოძმეებს უკიჟინებდა; „ნუ თუ ხმას ვერ გააწყვეტინებდით იმ ქართველ შოვინისტებს, რომელნიც ეძახდნენ ქართველებს და დანარჩენ ხალხებს შორის არავითარი საერთო ინტერესი არ არის და კავკასიის ფედერაციის შესახებ ლაპარაკიც არ ღირსო?!"[15] ეროვნული დემოკრატების აზრით, შეუძლებელი იყო „კულტურული დასავლეთის (საქართველოს)" დაკავშირება ერთ პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულში „უკულტურო აღმოსავლეთთან". ეროვნული სახელმწიფოებრიობის მოსურნე ეროვნულ-დემოკრატებს მიაჩნდათ, რომ კავკასიის ფედერაციულ პრინციპზე გაერთიანების შემთხვევაში, რეგიონში უცხოური და პირველ რიგში სომხური ბურჟუაზია გაბატონდებოდა, ამიტომ

---

14 არჩ. ჯ ო რ ჯ ა ძ ე, ძველი და ახალი, თბ., 1907, გვ. 18.

15 ი ქ ვ ე, გვ. 20.

ისინი მხოლოდ საქართველოს ავტონომიის მომხრეებად რჩებოდნენ. ავტონომია საქართველოს გადამთიელი ბურჟუაზიის შემოტევისაგან დაიცავდა. პირიქით, კავკასიის იურიდიულ საზოგადოებაში გამართულ კამათში „სომეხი ორატორები“ კავკასიის ფედერაციის საჭიროებას იცავდნენ, თანაც „პარლამენტით თბილისში“. სომხური პლუტოკრატია საკუთარ ზრახვებს თითქმის არც ფარავდა — ფედერაციულ კავკასიაში მის პარპაშს, ცხადია, ვერც ერთი კავკასიური წარმოშობის, მით უფრო ქართული ბურჟუაზია ვერ შეუშლიდა ხელს.

ყოველივე ამის შემდეგ, ფედერალისტებისა და ეროვნულ-დემოკრატების ერთად ყოფნას ფედერალისტური პარტიის II კონფერენციაზე დაესვა წერტილი. „ამრიგად ფაქტიურად პარტიაში განხეთქილება მოხდა, — დაასკვნიდა გ. ლასხიშვილი, — ბევრნი, უმეტესად მემარჯვენეები, პარტიიდან გავიდნენ. შემდეგ ხანებში საქართველოში ამ ქლემენტებისაგან დაარსდა ნაციონალ-დემოკრატების პარტია. მთავარი დამარსებელი ამ პარტიისა იყო ჩვენი პარტიის ყოფილი წევრი — სპირიდონ კედია, ენერგიული პოლიტიკური მოღვაწე და კარგი ორატორი. მასაც ბევრი გაჰყვა ჩვენგან მემარჯვენე ფრთიდან“[16].

„ამნაირად ჩვენი პარტია თავისთავად გაიწმინდა, ჯერხანად შემცირდა, მაგრამ შემდეგ უფრო გაიზარდა და გაძლიერდა, ვიდრე ოდესმე ყოფილიყო“[17].

მიუხედავად გათიშვისა, ქართველ სოციალისტ-ფედერალისტებსა და ეროვნულ-დემოკრატებს შორის ურთიერთობა არასოდეს ყოფილა დაპირისპირებული, პირიქით, იგი ხშირ შემთხვევაში გარეგნულ, ზედაპირულ ხასიათს ატარებდა. მათ შორის საერთო ბევრად მეტი იყო. ფედერალისტები მუდამ სოლიდარულად იყვნენ განწყობილი ეროვნულ-დემოკრატებისადმი, კავშირს ინარჩუნებდნენ მათთან და საერთო-ეროვნული პლატფორმით გამოდიოდნენ. პირველი სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების დროს თბილისში შეიქმნა „სამი

---

16 გ. ლასხიშვილი, მემუარები, გვ. 240—241.

17 იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭემარტხენე პარტიის კავშირი", რომელშიც შედიოდნენ სოციალისტ-ფედერალისტების, დემოკრატებისა და რადიკალთა პარტიები. ამ პარტიათა ერთ-ერთი ერთობლივი „მოწოდება" მიმართავდა ხალხს, რათა მოეხდინა „სახელმწიფო წესწყობილების სრული გარდაქმნა დემოკრატიულ საფუძველზე". მოწოდებას ხელს აწერდნენ: „ქართულ დემოკრატიულის, რადიკალებისა და სოციალისტ-ფედერალისტების პარტიების „ცენტრალური საარჩევნო კომიტეტები"[18]. პარტიათაშორისო საარჩევნო შეთანხმების ლოზუნგი, გ. ლასხიშვილის გადმოცემით, იყო დამფუძნებელი კრების მოწვევა და „ფართო ადგილობრივი პოლიტიკური თვითმმართველობა".

ეროვნულ-დემოკრატთა გასვლა პირველი ნაბიჯი იყო სოციალისტ-ფედერალისტთა ბლოკისტური პარტიის დაშლის გზაზე, მაგრამ ეს პროცესი ამით არ დამთავრებულა. რევოლუციის პერიოდში მიმდინარე მწვავე სოციალური მოძრაობა განცალკევებისა და გათიშვისაკენ უბიძგებდა ფედერალისტურ ბლოკში გაერთიანებულ, განსხვავებული კლასობრივი ფსიქოლოგიის მქონე ფრაქციებს, რომლებმაც ამაოდ სცადეს დაპირისპირებოდნენ რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიას და განმათავისუფლებელი მოძრაობის ჰეგემონობაში შესცილებოდნენ მას.

კრიზისის მეორე ეტაპი იყო სოციალისტ-ფედერალისტთა განხეთქილება ანარქისტებთან. ჩვენ ზემოთ შევეხეთ ანარქისტების მოღვაწეობას საქართველოში. ახლა აღვნიშნავთ და შევეხებით ანარქისტთა საქმიანობის ხასიათს თვით ფედერალისტურ პარტიაში, ამ ორი რევოლუციური ფრაქციის ურთიერთდამოკიდებულებას პირველი რევოლუციის წლებში. სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიაში წარმოქმნისთანავე ძლიერი იყო ანარქისტული იდეოლოგიის გავლენა. ქართველი ანარქისტები, როგორც აღვნიშნეთ, ფაქტიურად დამოუკიდებლად მოქმედებდნენ, მაგრამ ფედერალისტთა პარტიაში საკმაო მომხრეები გააჩნდათ. გ. ლასხიშვილის სიტყვებით, „მემარცხენე ფრთა ანარქო-სინდიკალიზმისაკენ

---

18 „შრომა", 1906, 6 მაისი.

მიაქანებდა პარტიას... მომავალ კონფერენციაზე უნდა მოვ-ხდარიყო გადამწყვეტი ბრძოლა და პარტიის საბოლოოდ გა-მოყალიბება"[19].

1906 წლის 29 ივნისს გაიხსნა სოციალისტ-ფედერალის-ტთა პარტიის II კონფერენცია. იგი მიმდინარეობდა თავდა-პირველად სოფელ ბეკამში, ხაშურის მახლობლად. კონფე-რენციის მონაწილეები პეტრე ყიფიანის ბინაში შეიკრიბნენ. კონსპირაციის მიზნით, ისინი ვითომ პეტრე ყიფიანის დღე-ობაზე იყვნენ წვეულნი. კონფერენციის დებატები გაშლილი სუფრის ვითარებაში მიმდინარეობდა. მასში 28 ორგანიზა-ციის 30 დელეგატი მონაწილეობდა. მათ შორის იყვნენ: გ. ლასხიშვილი, გრ. რცხილაძე, ს. ფირცხალავა, პ. ყიფიანი; სათათბირო ხმის უფლებით ესწრებოდნენ ანარქისტები კ. გოგელია და მ. წერეთელი. სამწუხაროდ, კონფერენციის ოქმები არ უწარმოებიათ, ამიტომ ჩვენთვის ძალიან ცოტა რა-მაა ცნობილი მისი მიმდინარეობის შესახებ. 5 ივლისს კონ-ფერენციამ მუშაობა შეწყვიტა, ცნობილი საზოგადო მოღვა-წის და თვალსაჩინო ფედერალისტის შიო ჩიტაძის მკვლელო-ბის გამო — მონაწილენი თბილისში გაემგზავრნენ თავიანთი პარტიული ამხანაგის დასაკრძალავად. კონფერენცია კვლავ განახლდა სოფ. რეხაში — ასიკო ერისთავის სახლში.

ჯერ კიდევ ენენვის კონფერენციის გადაწყვეტილებით, პარტიის პროგრამის შემუშავება დაევალა გრ. რცხილაძეს. მის მიერ წარმოდგენილ პროგრამას ანარქისტებმა დაუპი-რისპირეს პროგრამის მეორე პროექტი, რომელსაც 28-დან 11-მა ორგანიზაციამ დაუჭირა მხარი. II კონფერენციის მთა-ვარი მიზანი — შეემუშავებინათ პარტიული პროგრამა — მი-ულწეველი დარჩა. აირჩიეს კომისია, რომელსაც ვითომ ორი-ვე მხარისათვის მისაღები პროგრამა უნდა შეემუშავებინა და მომდევნო კონფერენციაზე წარმოედგინა.

II კონფერენციის შემდეგ ანარქისტებსა და ფედერალის-ტებს შორის, უფრო სწორედ კი ფედერალისტთა პარტიაში არსებულ ანარქისტულ და ტრადიციულ-ფედერალისტურ მი-მდინარეობას შორის იდეოლოგიურმა ბრძოლამ პრესის ფურ-

---

19 გ. ლასხიშვილი, მემუარები, გვ. 236.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცლებზე და გამოცემულ ლიტერატურაში გადაინაცვლა. ფედერალისტთა მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ ანარქისტული მოძღვრების დამცველთა შორის აღმოჩნდა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის დამაარსებელთაგანი და მთავარი იდეოლოგი არჩილ ჯორჯაძე.

საფიქრებელია, რომ არჩ. ჯორჯაძე ჯერ კიდევ ახალგაზრდობის წლებიდანვე განიცდიდა რამდენადმე ანარქისტული იდეოლოგიის გავლენას, კერძოდ, როცა იგი ინგლისში ყოფნის დროს ცხოვრობდა ტოლსტოველთა კოლონიაში. მან რელიგიურ ანარქისტულ თემატიკას ლიტერატურულადაც გადაუხადა ხარკი, როცა 1897 წელს „სევერნი ვესტნიკში“ საბუელის ფსევდონიმით გამოაქვეყნა სტატია: „ზნეობრივი ცხოვრების საზოგადოებრივი ორგანიზაციის გამოცდილება“. სტატია კვაკერების ცხოვრებას ეხებოდა. 1905 წლიდან, როცა „საქართველოს“ გამოსცემდა, არჩ. ჯორჯაძეს გ. დეკანოზიშვილთან ერთად ვარლამ ჩერქეზიშვილის მეშვეობით ურთიერთობა ჰქონდა დასავლეთ ევროპული ანარქისტული მოძრაობის ცნობილ წარმომადგენლებთან ელიზე რეკლიუსთან, ქრისტიან კორნელისენთან და სხვებთან. ამ ნაცნობობას უკვალოდ არ ჩაუვლია. ჟენევის კონგრესზე აქტიურად გაისმოდა ანარქისტული ფრაზა, აკი აღნიშნავდა კიდეც შემდგომში არჩ. ჯორჯაძე, რომ ჟენევაშიო, „დამსწრე ანარქისტებმა თავისებური ხასიათი მისცეს კონფერენციას. მათის გავლენით სოციალურ საკითხების გარჩევას მთავარი ყურადღება მიექცა“[20].

შემდგომში ამგვარი იდეური ევოლუცია განვითარდა და პირველი რევოლუციის წლებში არჩ. ჯორჯაძე ანარქისტული სოციალური მოძღვრების ნიადაგზე დადგა. 1906—1907 წლებში მან სამი ნაშრომი გამოსცა, რომლებშიც თავგამოდებით იცავდა არასახელმწიფოებრივი კომუნიზმის ანარქისტულ თეორიას. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამგვარ ანარქისტულ მეტამორფოზას ოდნავადაც არ შეუცვლია არჩ. ჯორჯაძის ეროვნულ-პოლიტიკური კრედო.

---

20 ს ა ბ უ ე ლ ი (არჩ. ჯორჯაძე), სოციალიზმ-ფედერალიზმი საქართველოში. ტფილისი, 1907, გვ. 25—26.

სწორედ არჩ. ჯორჯაძე იყო სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის პროგრამის II პროექტის ავტორი, რომელიც II კონფერენციაზე წარმოდგენილ გრ. რცხილაძისეული I პროექტის ალტერნატიული ვარიანტი იყო. არჩ. ჯორჯაძის ავტორობა ფედერალისტთა პარტიის III კონფერენციის ოქმებით დასტურდება, რასაც ქვემოთ შევეხებით. აქ კი აღვნიშნავთ, რომ ჯორჯაძისეული II პროექტი ფედერალისტური ბლოკის ანარქისტული მიმდინარეობის თვალსაზრისს გამოხატავდა. ავტორი უარყოფდა სახელმწიფოს ინსტიტუტს, რევოლუციური პარტიების პარლამენტში მონაწილეობის საჭიროებას, აღიარებდა არასახელმწიფოებრივ კომუნიზმს, როგორც თანასწორი და თავისუფალი საზოგადოების ერთადერთ შესაძლებელ ფორმას. არსებითად, არასახელმწიფოებრივი კომუნისტური საზოგადოების შექმნისაკენ იყო მიმართული, ავტორის აზრით, ყველა სახელოვანი სოციალური მოძრაობა — დაწყებული ძველი საბერძნეთისა და რომის ეპოქიდან, გრაკხების აჯანყებითა თუ კატილინას შეთქმულებით, „რომელსაც მომზენი „ანარქისტის“ სახელითა ნათლავს“, დამთავრებული XX საუკუნის კლასობრივი ბრძოლებით. „სახელმწიფო კლასობრივი საზოგადოების აუცილებელი ბოროტებაა, — წერდა II პროექტის ავტორი, — რომელიც უნდა დაეცეს კლასობრივ საზოგადოებასთან ერთად“[21].

სახელმწიფოს ერთადერთი ალტერნატივა, არჩ. ჯორჯაძის აზრით, ფედერალიზმი იყო — თავისუფალი კავშირი. „დღემდის თუ სახელმწიფო წარმოადგენდა ზევიდან ნაძალადევად თავზე მოსვეულ კავშირს, დღეს თავი იჩინა მოწინააღმდეგე ტენდენციამ, რომლის მიზანია განახორციელოს ნება-ყოფლობითი კავშირი ქვევიდან ზევით: ნება-ყოფლობითი კავშირი (ფედერაცია) ინდივიდთა კომუნაში, კომუნებისა ოლქში, ოლქებისა ერთ ჰარმონიულ ფედერაციაში და ამ ფედერაციათა კონფედერაცია მთელს ევროპაში და მერმე მთელ დედამიწაზე. იდეია ევროპის შეერთებული შტატებისა, რომელმაც თავი იჩინა ჩვენ საუკუნეში, დიდი და ღრმა პოლი-

---

21 საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის პროგრამის II პროექტი, 1906, გვ. 87.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიკური იდეია არის, რომლის სოციალისტური შინაარსით შევსება პირდაპირი მოვალეობაა მებრძოლი პროლეტარიატისა... საერთაშორისო ძმობის განხორციელების პირობა ხალხთა არა ნაძალადევი, არამედ ნებაყოფლობითი კავშირია, რომლის ერთად-ერთი ფორმა ფედერალიზმია"[22], — დაასკვნიდა არჩ. ჯორჯაძე.

II პროექტის წარმოდგენით, საზოგადოებრივი პროგრესი ცნაურდებოდა „სრულ დამოკიდებულებიდან (დესპოტია) საბოლოო დამოუკიდებლობისაკენ (ანარქია)". პროექტის დასასრულს არჩ. ჯორჯაძე 10 მუხლის სახით აყალიბებდა ძირითად პოლიტიკურ პრინციპებს, რომლებსაც მოკლედ გადმოვცემთ: 1. ხალხთა შორის სრული თავისუფლების დამყარების „ერთად ერთი საშუალებაა — ეთნოლოგიური პირადობის სრული ავტონომია" — ე. ი. ყველა ხალხის შინაგანი დამოუკიდებლობა; 2. ამგვარი „ძმური კავშირის განხორციელება ეხლანდელ სახელმწიფოებს არ შეუძლიანთ"; 3. არც ერთი „ცენტრალისტური სახელმწიფო" ვერ შევიდოდა „სასურველ კონფედერაციაში", რადგან მისი არსება „გაფართოებისადმი მისწრაფებით" იყო გამსჭვალული და ამდენად „დაარღვევდა მოკავშირეთა ერთობას"; 4. სახელმწიფო უარყოფილი უნდა ყოფილიყო, როგორც „ნაშთი წარსული ბარბაროსობისა"; 5. აუცილებელი პირობა ხალხთა ურთიერთობაში „სამართლიანობის, სოლიდარობის და თავისუფლების განხორციელებისა არის თვით ამ ხალხთა ავტონომია, თავისუფლება და ამ ავტონომიურ ხალხთა ნება-ყოფლობითი კავშირი", რის გამოც „პროექტი" მხარს უჭერდა „ყოველ ნაციონალურ აჯანყებას თავის მჩაგვრელის წინააღმდეგ"; 6. ძველი სახელმწიფო ორგანიზაციის მაგიერ უნდა დაარსებულიყო — „თავისუფალი ფედერაცია ინდივიდთა კომუნაში, კომუნებისა პროვინციებში ან ოლქებში, ოლქებისა ანუ პროვინციებისა ნაციაში, ნაციებისა ევროპის კონფედერაციაში და შემდეგ მთელ კაცობრიობაში"; 7. ყოველგვარი ნაციის, პროვინციის თუ კომუნის სრული ავტონომია; 8. თავისუფალ კავშირში ინდივიდთა, ჯგუფებისა თუ ნაციების, როგორც შესვლის, ისე

22 დასახ. პროექტი, გვ. 96.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოსვლის უფლების აღიარება; 9. ნაციონალობა, მისი განვითარების აღიარება, როგორც „ბუნებრივი მოვლენისა; ნაციათა თავისუფლების გამომდინარეობა „თავისუფლების დიადი პრინციპისაგან"; 10. ერთობა, როგორც მიზანი, რომლისკენაც მიესწრაფვის კაცობრიობა. ეს ერთობა საშინელება იყო, როცა იგი ცენტრალიზაციის პრინციპს ემყარებოდა. „ჩვენ მხოლოდ ის ფედერაცია გვწამს და ვაფასებთ, რომელიც თანაბარ უფლებით ნიადაგზე აკავშირებს ავტონომიურ ნაწილებს ერთ ჰარმონიულ ერთეულში". ცხადია, დაასკვნიდა არჩ. ჯორჯაძე, რომ ზემოაღნიშნული მუხლებიდან გამომდინარე, ფედერალისტთა პარტიის პროგრამის II პროექტის მომხრეები მხარს უჭერდნენ ყოველგვარ ბრძოლას, რომელიც ნებისმიერი სახელმწიფოებრივი ცენტრალიზაციის წინააღმდეგ იქნებოდა მიმართული და ხელს უწყობდა ხალხების პოლიტიკურ და ეკონომიურ თვითმოქმედებას[23].

სქოლიოში არჩ. ჯორჯაძე მიუთითებდა, რომ აქ მოყვანილი მუხლები წარმოადგენდნენ „პერიფრაზას იმ მუხლებისას", სათანადო შესწორებებით, რომლებიც 1867 წელს ბერნში გამართულ „მშვიდობისა და თავისუფლების ლიგის" კონგრესზე წაკითხულ მოხსენებაში ჩამოაყალიბა მიხეილ ბაკუნინმა.

II პროექტის გამოქვეყნებას მოჰყვა პროგრამის I პროექტის მომხრეთა პოლემიკური წერილები, რომლებიც „მასალების" სახით გამოქვეყნდა. „მასალების" საპასუხოდ არჩ. ჯორჯაძემ დაწერა თავისი ცნობილი ნაშრომი „სოციალიზმ-ფედერალიზმი საქართველოში", რომლის პირველი ნაწილი მიუძღვნა ფედერალისტური მიმდინარეობისა და პარტიის წარმოშობას საქართველოში, ხოლო მეორე ნაწილი — პროგრამის II ანარქისტული პროექტის დაცვას და დასაბუთებას.

მაგრამ, როგორც იტყვიან, Fempora mutantur — დრონი იცვლებიან. II პროექტს გამარჯვება არ ეწერა, თუმცა კი იგი სოციალიზმ-ფედერალიზმის შემოქმედის ხელით იყო დაწერილი. ანარქისტულ იდეალებს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ზომიერ-სოციალისტური მიმდინარეობის

---

23 დასახ. პროექტი, გვ. 117—121.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეალიზმმა სძლია. პირველი სახალხო რევოლუცია დამარცხდა და ანარქისტულ ფრაზასაც ისეთი გასავალი აღარ ჰქონდა, როგორც რევოლუციის დასაწყის ეტაპზე. ძალაუნებურად უნდა დავეთანხმოთ განსვენებული ისტორიკოსის პროფ. აბელ კიკვიძის მართებულ შენიშვნას: „ქართველმა ანარქისტებმა, რომელნიც საერთაშორისო ანარქისტულ მოძრაობაში გამორჩეულნენ, საქართველოში კისერი მოიტეხეს... ამდენად ეს საერთაშორისო ანარქიზმის მარცხიც იყო“[24].

სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის III კონფერენციაზე ორივე პროექტის მომხრეთა შორის კომპრომისის საკითხი აღარ იდგა. ფედერალისტები ანარქისტებთან გათიშვის აუცილებლობამდე მივიდნენ. ერთ-ერთი ფედერალისტი, ვინმე „ღუზა“, რომელიც, ჩვენი აზრით, გ. ლასხიშვილის ფსევდონიმი უნდა იყოს, აღნიშნული კონფლიქტის შესახებ შენიშნავდა: „ჩვენი მესამე კონფერენცია ვალდებულია ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოუღოს ამ დავას, რომელიც მუშაობას ძალიან აფერხებს და ბევრს საკითხებში საშინელი ბრევდარევა შეაქვს“. რაც შეეხება „შეთანხმებას შეუთანხმებელთა, როგორც ეს II კონფერენციამ მოისურვა, ყოვლად შეუძლებელია. ჩვენ უნდა გავშორდეთ ერთმანეთს, თუ გვსურს რისამე გაკეთება“[25].

1907 წლის 2–7 ოქტომბერს თბილისში შედგა საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის III კონფერენცია. მას ესწრებოდა 25-ის მაგიერ 19 კაცი. წარმოდგენილნი იყვნენ დელეგატები: გორის რეგიონიდან — 2 დელეგატი; თბილისიდან — 2; ქუთაისიდან — 1; სიღნაღიდან — 1; საგარეჯოდან — 1; თელავიდან — 1; ფოთიდან — 1; სოხუმიდან — 1; ბაქოდან — 1; ყვირილადან — 1; ოდესიდან — 1; ფედერალური კომიტეტიდან — 1; სარედაქციო კომისიიდან — 1 კაცი. კონფერენციის შესახებ ოქმში, რომელიც ალექსანდრმერიამ ჩხრეკის დროს უპოვა ესტატე ავალიშვილს,

---

24 ა. კ ი კ ვ ი ძ ე, საქართველოს ისტორია, XIX ს., თბ., 1959, გვ. 300.

25 ღ უ ზ ა, მასალები სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის მესამე კონფერენციისათვის, გვ. 3, სტამბა თფილისის კომიტეტისა, უთარიღოა.

ფედერალისტთა პარტიის წევრს, მონაწილენი მოხსენებულნი არიან ფსევდონიმებით. სულ 13 კაცია მოხსენიებული: ტფილელი — ფედერალური ბიუროდან; ფარი, გორელი, ბაქოელი, რიონელი, ფაზელი, კახელი, ქუთათელი, მეტეხელი, ქიზიყელი, კოლხიდელი, იმერელი და მესხეთელი. კონფერენციაზე გვიან გამოცხადდა ზუგდიდის წარმომადგენელი, რომელსაც სოხუმის წარმომადგენელთან ერთად სათათბირო ხმა მისცეს.

კონფერენცია ფედერალური ბიუროს წარმომადგენელმა ტფილელმა, ჩვენი აზრით, — გიორგი ლასხიშვილმა გახსნა. „თქვენთვის კარგადაა ცნობილი, — მიმართავდა იგი მონაწილეებს, — რამდენად მნიშვნელოვანია ეს შეკრება ჩვენი პარტიისათვის, რამდენადაც იგი საბოლოოდ უნდა დადგეს ნათელ და მტკიცე გზაზე". დღემდე არსებული სხვადასხვაობა „ძლიერ ამუხრუჭებდა" მუშაობას. ორატორის აზრით, სანამ პარტია „ცხოვრებისაგან იყო დაშორებული", შედგებოდა რა „რამდენიმე ჯგუფისაგან", თეორიულ ბრძოლას სარგებელიც კი მოჰქონდა, ახლა კი პირიქით იყო[26]. გახსნის შემდეგ, კონფერენციის თავმჯდომარედ — რიონელი აირჩიეს. ეს კი გიორგი ზდანოვიჩი იყო; ლასხიშვილი გადმოგვცემს, III კონფერენციის თავმჯდომარედ გ. ზდანოვიჩი ავირჩიეთო[27].

კონფერენციაზე წაიკითხეს პროგრამის II პროექტის ავტორის — „სა-ი"-ს განცხადება. იგი თავყრილობას არ ესწრებოდა და თხოულობდა, რომ არ იყო საჭირო მისი პროექტის განხილვა. „სა-ი" — იგივე სა-ბუელ-ი, ცხადია, არჩ. ჯორჯაძის ფსევდონიმი იყო. II პროექტის მომხრე, აქ დამსწრე დელეგატებმა, კახელმა და გორელმა აღნიშნეს, რომ ავტორი აქ არაა, ვერც ვერავის დავაჯერებთ ჩვენი პოზიციის სამართლიანობაშიო. ჩვენ არც იმის სურვილი გვაქვსო, ამბობდნენ II პროექტის მომხრენი, რომ ხელი შეეშალოთ ფედერალისტთა პარტიას პრაქტიკულ საქმიანობაში, ამიტო-

---

26 Грузинская социал-федералистическая революционная партия. Отчет третьего (учредительного) партийного собрания. საქართველოს ცსსა. თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველო, ფ. 153, ან. 1, ს. 3267, გვ. 208

27 გ. ლ ა ს ხ ი შ ვ ი ლ ი, მემუარები, გვ. 241.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ·ცო, დაასკვნიდნენ ანარქისტები, „პარტიული ყრილობის შემდეგ ჩვენ გავდივართ პარტიიდან“.

აქ უნდა აღვნიშნოთ ერთი გარემოება — უნდა განვასხვავოთ ორი ფრაქცია, მიმართულება, რომელნიც არ იყვნენ იდენტურნი: პირველნი — ანარქისტები, რომლებიც თანამშრომლობდნენ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიასთან და ნახევრად-ოფიციალურად შედიოდნენ ფედერალისტურ ბლოკში, მაგრამ ფაქტიურად მაინც დამოუკიდებლად მოქმედებდნენ. ამათგან განსხვავდებოდნენ უშუალოდ ფედერალისტური პარტიის წევრები, რომელნიც ანარქიზმის გავლენას განიცდიდნენ, პროგრამის II პროექტს ემხრობოდნენ და პარტიის ე. წ. მემარცხენე ფრთას შეადგენდნენ. პირველთა რიცხვს კ. გოგელია, მ. წერეთელი, ს. გაბუნია, ვ. ჩერქეზიშვილი და მათი თანამოაზრენი შეადგენდნენ, ხოლო მეორე მემარცხენე ფრთას ა. ჯორჯაძე და მისი თანამოაზრენი, რომელნიც პარტიის ტრადიციული წევრები იყვნენ. ამიტომაც მართებულად შენიშნავდა კონფერენციის თავმჯდომარე გ. ზდანოვიჩი — რიბნელი: „ამხანაგ ს-ის განცხადებიდან ჩანს, რომ პარტიაში დღეს ორი კი არა, სამი მიმართულებაა“. და მართლაც: პირველი და ძირითადი მიმართულება იყო ტრადიციულ-ზომიერი ესერულ-ფედერალისტური მიმართულება; მეორე — მემარცხენე ანარქისტულ-ფედერალისტური მიმართულება და მესამე — უშუალოდ ორთოდოქსალური ანარქისტები, რომელნიც თავს აფარებდნენ ფედერალისტურ ბლოკს, ეროვნულ ნიადაგზე თანამშრომლობდნენ მათთან.

მართალია, ანარქისტები ზედმეტად მიიჩნევდნენ პარტიის II პროგრამის განხილვას, მაგრამ კონფერენციამ ორივე პროგრამის პროექტის მოსმენა გადაწყვიტა. I პროექტის შესახებ მოხსენება გააკეთა ფაზელმა, რომელიც ალბათ უნდა ყოფილიყო ამ პროექტის ავტორი გრიგოლ რცხილაძე. II პროექტი დაიცვა და დაასაბუთა იმერელმა. იმერელის მოხსენების შემდეგ კონფერენციამ კენჭისყრით გადაწყვიტა დეტალურად განეხილათ პროგრამის მხოლოდ ერთი — I პროექტი. ამ წინადადებას თექვსმეტიდან თერთმეტმა მონაწილემ დაუჭირა მხარი. ორი წინააღმდეგი იყო. სამმა მონაწილემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო. ანარქისტული პროგრამა უარყოფილ იქნა. II პროექ-

ტის ოთხი მომხრე, მართალია, დაესწრო სხდომებს, მაგ-
ბოლო დღეს — 7 ოქტომბერს მოტივირებული განცხადების საფუძველზე მათ დასტოვეს ფედერალისტური ბლოკისტური პარტია: „იმ მოთხოვნასთან დაკავშირებით, რომ პარტია გაიწმინდოს ესერული და ანარქისტული ელემენტებისაგან, ჩვენ, II პროექტის მოხრეთა წარმომადგენლები ვაცხადებთ, რომ ვცალკევდებით და გავდივართ თქვენგან დამოუკიდებელი მოღვაწეობის მიზნით"[28]. ასე დაესვა წერტილი ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა და ანარქისტთა დროებით ალიანსს ფედერალისტური ბლოკისტური პარტიის ფარგლებში.

უარყვეს რა ანარქისტული, კონფერენციის მონაწილეები შეუდგნენ ფედერალისტურ-სოციალისტური I პროექტის დეტალურ განხილვას. სწორედ ასე განმარტავდა ფაზელი (გრ. რცხილაძე), როცა აღნიშნავდა, რომ მხოლოდ „ფედერალისტურ სოციალიზმს" და არა ანარქისტულს, ან ცენტრალისტურს, შეეძლო გადაეჭრა ქვეყნის წინაშე მდგარი პოლიტიკურ-ეკონომიური პრობლემები. I პროექტის პირველი ათი პუნქტი კამათის გარეშე მიიღეს. პროგრამა ორი თავისაგან შედგებოდა: პირველი იყო „ძირითადი პრინციპები", მეორე — „სადღეისო პროგრამა", რომელიც სამი ქვეთავისაგან, პარაგრაფისაგან შედგებოდა: ა) პოლიტიკური, ბ) ეკონომიური და გ) აგრარული. „ძირითადი პრინციპების" პირველი მუხლი აცხადებდა, რომ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის მიზანი იყო „მშრომელი ხალხის განთავისუფლება ეკონომიურ, პოლიტიკურ და ეროვნულ დამონავებისაგან". მოკლედ მივყვეთ დანარჩენ პუნქტებს: 2. ბურჟუაზიული და „ზოგან" ფეოდალური წესწყობილების დანგრევას მოჰყვებოდა სოციალიზმის დამყარება; 3. კერძო საკუთრების, ყოველგვარი სიმდიდრის, განსაკუთრებით კი — საწარმოო იარაღების გასაზოგადოებრიობა; 4. კლასთა ბრძოლის მოსპობა; 5. სოციალიზმის იდეალი, რომელიც საჭირო იყო არა მარტო მშრომელი ხალხისთვის, არამედ „მთელ საზოგადოებისათ-

---

28 საქართველოს ცსსა ფ. 153, ან. 1, ს. 3267, ფ. 235. ქართული სოციალისტ-ფედერალისტური რევოლუციური პარტია, ანგარიში მესამე (დამფუძნებელი) პარტიული კრებისა (რუსულ ენაზე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისაც“, შექმნიდა „არაკლასიურ“ საზოგადოებას; 6. წარმოების იარაღები „რევოლუციონურის გზით, ე. ი. ძალთი“ ჩამოერთმეოდა გაბატონებულ კლასებს და გამოცხადდებოდა „მთელის ხალხის საერთო კუთვნილებად“; 7. სოციალიზმის განსახორციელებლად საჭირო იყო „მშრომელი ხალხის ყველა წრეების სოლიდარობა“. მშრომელი ხალხის ორგანიზაცია უნდა მომხდარიყო ერთი მხრივ „პოლიტიკურ პარტიად“, ხოლო მეორე მხრივ პროფესიონალურ კავშირებად. პროფესიონალურ კავშირებში ჩასახული „სოციალური წრეები“ იმოქმედებდნენ ავტონომიურად და ერთმანეთს დაუკავშირდებოდნენ ფედერაციულად. „უდიდესი ფედერაცია ან, უკეთ რომ ვსთქვათ, კონფედერაცია“ შეასრულებდა „შრომის უმაღლესი რეგულიატორის ფუნქციას“; 8. სოციალური რევოლუცია ყველგან ერთდროულად არ მოხდებოდა. უფრო მოსალოდნელი იქნებოდა რევოლუციის „ხანგრძლივობა და სოციალიზაციის ნაწილობითი განხორციელება“; 9. ბურჟუაზიული წესწყობილების არსებობის პირობებში ფედერალისტთა პარტია მშრომელი ხალხის კლასობრივ ნიადაგზე იდგა; 10. ახლანდელ პირობებში „სოციალისტური მოძრაობის განსავითარებლად“ საჭირო იყო რუსეთის პოლიტიკური მმართველობის „ძირითადი რეფორმა“, სახელმწიფოს მოწყობა „დემოკრატიზმის და ფედერალიზმის პრინციპებზე“[29].

რა ადგილი უნდა სჭეროდა ეროვნულ საკითხს სოციალიზმის ფედერალისტური მოდელის „საერთო პრინციპებში“? ამ საკითხმა, რომელიც მე-11 პუნქტში უნდა გაფორმებულიყო, დიდი კამათი გამოიწვია კონფერენციის მონაწილეთა შორის. ფედერალისტები კი სოციალისტობდნენ, მაგრამ იმდენად, რამდენადაც ეს ეროვნულ პარტიას შეეფერებოდა. მე-11 პუნქტის ფორმულირებისას არც სოციალისტური სქემა უნდა დარღვეულიყო და არც ეროვნული საკითხი დაშავებულიყო. 4 ოქტომბერს, დებატების შემდეგ კონფერენციამ ვინმე

---

29 საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის პროგრამა და წესდება (დამტკიცებული მესამე (დამფუძნებელ) პარტიული კრების მიერ, 2—7 ღვინობისთვეს 1907 წ.), სტამბა თბილისის კომიტეტისა, გვ. 4—6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლხიდელს დაავალა შემდეგი სხდომისათვის წარმოდგენა I პროექტში ფორმულირებული მე-11 პუნქტის შეცვლილი რედაქცია.

7 ოქტომბერს, კონფერენციის უკანასკნელ დღეს წარმოდგენილი იყო ეროვნული საკითხის შესახებ მე-11 პუნქტის 4 რედაქცია: I — პროექტის, II — კოლხიდელის; III — კომისიის და IV — ვინმე მესხეთელის. კონფერენციამ უარყო I პროექტის რედაქცია, კოლხიდელის ვარიანტს ორმა მონაწილემ მისცა ხმა, კომისიის ვარიანტს 4 კაცმა დაუჭირა მხარი, ხოლო მესხეთელისას 8 კაცმა. ამის შემდეგ კოლხიდელმა მოხსნა თავისი ვარიანტი და კომისიის რედაქციას დაუჭირა მხარი. საბოლოოდ კონფერენციამ კომისიის მიერ ფორმულირებული მე-11 პუნქტი მიიღო, რომელიც პროგრამაში ასეთი სახით აისახა: „დღევანდელი ეროვნული ურთიერთობა და ამასთან დაკავშირებული განხეთქილება ერთა შორის აფერხებს მშრომელი ხალხის განვითარებას და აიძულებს მას მიიღოს მონაწილეობა ისეთ ბრძოლაში, რომელიც უბრალებს კლასიურ თვით შეგნებას. დამოუკიდებლობა შინაურ საქმეებში, ე. ი. ავტონომია, და საერთო საქმეებში შეთანხმება, ე. ი. ფედერაცია, აუცილებელი საჭიროებაა თავისუფალ განვითარებისათვის და სოლიდარულ მოქმედებისათვის. ასეთი გადაწყვეტა ეროვნულ საკითხისა თანამედროვე პირობებში შექმნის ნიადაგს წმინდა კლასობრივ ბრძოლისათვის და სოციალიზმის განხორციელებისათვის“.[30].

შემდეგი თავი პროგრამისა იყო „სადღეისო პროგრამა“ ანუ ის, რასაც ჩვენ პროგრამა მინიმუმს ვუწოდებთ. სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია მოითხოვდა რუსეთის სახელმწიფოს ფართო საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ დეცენტრალიზაციას და ფედერატიულად მოწყობას (მე-14 პუნქტი). ფედერაციის შემადგენელ ნაწილებს უფლება ჰქონდათ შეედგინათ „დროებითი ან სამუდამო კავშირები საერთო საქმეების გასაძღოლად. ივივე მე-14 პუნქტი დაასკვნიდა, რომ „სრულიად რუსეთის ფედერაციის დამყარებამდე სოციალისტ ფედერალისტთა პარტია მოითხოვს დღესვე საქა-

---

[30] საქართველოს ს.-ფ. ს. პ-ის პროგრამა და წესდება, გვ. 6.

ართველოსათვის ეროვნულ-ცერიტორიალურ ავტონომიას“.

პროგრამის დასკვნით ნაწილში სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია თავის „პირველ დევიზად“ აცხადებდა რევოლუციური ბრძოლის გზით რუსეთის დამფუძნებელი კრებისა და ადგილობრივ დამფუძნებელ კრებათა მოწვევას, რომელიც „სრულიად დაშლიდა თვითმპყრობელობის და ცენტრალიზმის ორგანიზაციებს“.

პროგრამის მიღება-დამტკიცების შემდეგ კონფერენციამ სპეციალური რეზოლუციით გააუქმა ფედერალისტთა პარტიის „სამხედრო დრუჟინა“ და მისი შემდგომი მოქმედება, თუ ამას ადგილი ექნებოდა, პარტიის გარეშედ გამოაცხადა. ამ საკითხს ქვემოთ შევეხებით.

რეგლამენტის ამოწურვის შემდეგ კონფერენციამ რამდენიმე საჭირბოროტო და მომწიფებული საკითხი დასვა და შესაბამისი რეზოლუციები გამოიტანა. ერთ-ერთი საკითხი, რომელმაც კამათი გამოიწვია, იყო ფედერალისტური პარტიის დამოკიდებულება საგლეხო ბანკის მეშვეობით მიწების შეძენისადმი. კონფერენციის მონაწილეთა ერთი ნაწილი, მხედველობაში იღებდა რა, რომ რევოლუციურ პარტიას რევოლუციური გზით უნდა ჩამოერთმია ექსპლოატატორთათვის მიწები და უმიწოთათვის გაენაწილებინა, წინააღმდეგი იყო, რომ გლეხებს მიწები შეეძინათ ისეთი ბურჟუაზიული დაწესებულების საშუალებით, როგორიც საგლეხო ბანკი იყო. „ოლხიდელის აზრით, ბანკის მეშვეობით მიწების შეძენის საკითხით უფრო უნდა დაინტერესებულიყო დემოკრატიული პარტია, რომელიც მხოლოდ ეროვნული საკითხით იყო დაინტერესებული.

მაგრამ მეორე დელეგატი, ჩვენთვის ცნობილი ანარქისტი „იმერელი“ არწმუნებდა დელეგატებს, რადგან ჩვენ ვცნობთ ეროვნულ საკითხს, ამ პრობლემითაც დაინტერესება ჩვენს ამოცანებში შედისო. რუსეთის მთავრობამ, აღნიშნავდა „იმერელი“, საქართველოს ტერიტორიის ორი მესამედი სახაზინოდ გამოაცხადა და მასზე უცხო ტომელ მოსახლეობას ასახლებდა. უცხოთა ჩამოსახლება სულ უფრო საშიშ ვითარებას ქმნიდა მკვიდრი მოსახლეობისათვის. ამ პრობლემას ეროვნულ-დემოკრატები ვერ მოაგვარებდნენ, რადგან, „იმერე-

ლის“ აზრით, „მეორე დემოკრატიული პარტია ჩვენში არ არსებობს, ხალხი მას არაფერს კითხავს, ხალხი ჩვენ გვეკითხება, — როგორ მოვიქცეთო“, ვიყიდოთ თუ არა მიწებიო. ჩვენ რომ უარი ვუთხრათ, ამბობდა „იმერელი“, დანაშაულს ჩავიდენთ, ხოლო დადებითად რომ ვუპასუხოთ, პრინციპს ვუღალატებთ. აქ „იმერელი“ სოციალისტურ და რევოლუციურ პრინციპს გულისხმობდა. ფედერალისტები აქაც ეროვნული ინტერესებით ხელმძღვანელობას მიელტვოდნენ, მაგრამ დამოკლეს მახვილივით ჩამოშვებული „სოციალისტური პრინციპების“ ღალატისაც ეშინოდათ.

ამ საკითხზე წარმოდგენილი „კოლხიდელისა“ და „ფაზელის“ რეზოლუციების გათვალისწინებით, სპეციალურად არჩეულმა კომისიამ შეიმუშავა რეზოლუცია. იგი ავალებდა ფედერალისტ პროპაგანდისტებს, აეხსნათ გლეხებისათვის, რომ ბანკის ან სხვა შუამავლების მეშვეობით მიწების შეძენა არ გადასწყვეტდა აგრარულ პრობლემას. ამიტომ საჭირო იყო მიწების „რევოლუციური გზით“ მითვისება. მაგრამ თუ კი ზოგ შემთხვევაში გლეხები მაინც გადასწყვეტდნენ ბანკის საშუალებით მიწის შეძენას, ფედერალისტებს ხელი უნდა შეეწყოთ, რათა მიწა შეეძინა მთელ სოფელს. გარდა ამისა, ფედერალისტების პარტია მოუწოდებდა რუსეთის სოციალისტურ პარტიებს და მშრომელთა შეგნებულ ნაწილს, „ეწარმოებინათ მტკიცე პროპაგანდა საქართველოში გადმოსახლების წინააღმდეგ“[31].

ჩამოსახლების საკითხი შემდგომშიც აშფოთებდა ქართველ სოციალისტ-ფედერალისტებს. 1909 წელს, დეკემბერში, შეღგა პარტიის თბილისის ორგანიზაციის კონფერენცია. მასზე პირველ საკითხად განიხილეს საქართველოს ტერიტორიის დაცვის საკითხი. ჯერჯერობით დაუდგენელი გვაქვს — ამ კონფერენციაზე, თუ 1910 წელს მოწვეულ კონფერენციაზე განიხილეს და მიიღეს ტერორის გადაწყვეტილება, ერთი მხრივ, იმ ქართველთა წინააღმდეგ, რომელნიც მიწებს მიჰყიდდნენ უცხოტომელ ჩამოსახლებულებს და, მეორე მხრივ,

---

31 საქართველოს ცსსა, ფ. 153, 1, ს. 3267, ფურც. 233, ანგარიში მესამე (დამფუძნებელ) პარტიულ კრებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოტომელთა წინააღმდეგ, რომელნიც საქართველოში შეძენდნენ მიწას[32].

უკანასკნელი რეზოლუცია მიიღეს „პარტიებთან დამოკიდებულების შესახებ". ეს პუნქტი ტრადიციული იყო XX ს-ის დასაწყისში მოქმედი პოლიტიკური პარტიების პროგრამებისათვის, მაგრამ სოციალისტ-ფედერალისტთა პროგრამაში იგი არ ასახულა. მიიღეს რეზოლუცია მხოლოდ რუს ესერთა პარტიასთან დამოკიდებულების შესახებ. ფედერალისტთა წარმომადგენელს, რომელიც დაესწრებოდა ესერთა პარტიის კონგრესს, ოფიციალურად უნდა გაეფორმებინა ესერთა და ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა ურთიერთდამოკიდებულება. დასასრულს, გადაწყდა სპეციალური კონფერენცია მოეწვიათ ეროვნული და აგრარული პრობლემების მომწიფებული საკითხების გადასაწყვეტად. ამით სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის III კონფერენციამ მუშაობა დაამთავრა.

ფედერალისტთა პარტიაში მიმდინარე ევოლუციური პროცესები მისი ხელმძღვანელობის ცვლილებებშიც აისახა. ჟანდარმერიის ცნობებით, 1905—1906 წლებამდე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის მთავარ კომიტეტში შედიოდნენ: 1. არჩილ ჯორჯაძე — თავმჯდომარე; 2. გიორგი დეკანოზიშვილი — თავმჯდომარის ამხანაგი, რომელიც უცხოეთში წასვლის შემდეგ შესცვალა გრიგოლ რცხილაძემ; 3. მიხეილ ადამაშვილი — ჯავახიშვილი; 4. ალექსანდრე ივანეს ძე ყანჩელი; 5. იოსებ ალექსანდრეს ძე ბარათაშვილი; 6. ქაიხოსრო ქავთარაძე; 7. იაკობ ღულაძე; 8. სამსონ ფირცხლავა; 9. შიო დედაბრიშვილი; 10. ესტატე ავალიშვილი.

სამხედრო ორგანიზაციის საქმესთან დაკავშირებით, როგორც ჟანდარმერია ხსნიდა, „განხეთქილების" შემდეგ კომიტეტიდან გამოვიდნენ ბარათაშვილი, დედაბრიშვილი, ადამაშვილი, ყანჩელი, შემდეგ კი ღულაძე, ქავთარაძე, ბოლოს არჩ. ჯორჯაძეც. ამ უკანასკნელმა უარი სთქვა თავმჯდომარეობაზე და უარი დაასაბუთა „პარტიაში დისციპლინის სრული დაცემით. დაწყებულმა განხეთქილებამ საბოლოოდ და-

32 საქართველოს ცსსა, ფ. 153, ან. 1, ს. 1834, ფურც. 14.

ანგრია პარტიაში „სრული ერთიანობის“ იდეა და კომიტეტის რეორგანიზაცია გამოიწვია“[33]. წესრიგის, დისციპლინის აღდგენა და სამხედრო ორგანიზაციის საქმე თავის თავზე აიღეს ს. ფირცხალავამ, ვლ. ლორთქიფანიძემ და გ. ლასხიშვილმა.

1907 წლის თებერვლისათვის კომიტეტში შედიოდნენ: 1. გიორგი ზდანოვიჩი — თავმჯდომარე; 2. ვრ. რცხილაძე — თავმჯდომარის ამხანაგი; 3. სამსონ ფირცხალავა — თავმჯდომარის ამხანაგი; 4. ვლ. ლორთქიფანიძე; 5. ალექსანდრე მდივანი; 6. ალექსანდრე ჯაბადარი; 7. გიორგი ლასხიშვილი; 8. კიტა აბაშიძე; 9. ესტატე ავალიშვილი; 10. ივ. მჭედლიშვილი. მდივნებად აირჩიეს პ. სურგულაძე და ვას. რცხილაძე. მას შემდეგ, რაც გ. ზდანოვიჩი და კ. აბაშიძე ქუთაისში კომიტეტის შექმნასთან დაკავშირებით გავიდნენ ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობიდან, მათს მაგიერ აირჩიეს თავმჯდომარედ — ალ. ჯაბადარი, ხოლო წევრად — ი. ღულაძე.

ფედერალისტური პარტიის II და III კონფერენციების მთავარი შედეგი იყო ფედერალისტური ბლოკისტური ტიპის პარტიის დაშლა. შეიქმნა საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა დამოუკიდებელი ეროვნულ-რევოლუციური პარტია. შემთხვევით არ უწოდეს ფედერალისტებმა თავიანთ III კონფერენციას დ ა მ ფ უ ძ ნ ე ბ ე ლ ი. არც პირველ, არც მეორე კონფერენციებზე ფედერალისტთა პარტია არ იყო ერთგვაროვანი. დამოუკიდებელი პოლიტიკური პარტიის სახე ოფიციალურად ფედერალისტებმა სწორედ თავიანთ III პარტიულ კონფერენციაზე მიიღეს.

ხაზს უსვამდნენ რა პარტიის ცხოვრებაში მომხდარ ევოლუციას, ფედერალისტთა იდეოლოგები გამმიჯვნელ კედელს აღმართავდნენ III კონფერენციამდელ და მის შემდგომ არსებულ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ხასიათს შორის. „ის დიფერენციაცია, რომელიც ახლა ჩვენს მიმართულებაში ხდება, — წერდა მეგობრისადმი მიმართულ ერთ წერილში გ. ზდანოვიჩი, — უსათუოდ დაუკარგავს ფედერალის-

---

33 საქართველოს ცსსა, ფ. 95, ან. 1, ს. 35, ფურც. 66.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტებს იმ ხასიათს, რომლის გამოც თქვენ ბრძანებთ, რომ ისინი ხმირად ორ სკამზე სხედანო. ჩემის ფიქრით, ნაციონალურ იდეასა და სოციალიზმს შორის არავითარი შეურიგებლობა არ არსებობს, მაგრამ წინააღმდეგობა უსათუოდ იჩენს თავს იმ ნაბიჯ მართულებაში, სადაც ზოგიერთი სოციალისტია, ზოგიერთი კი არა, და იმავე დროს ორივეს აერთიანებს ნაციონალური კითხვა — ბოლოს და ბოლოს უსათუოდ იდეური კრიზისი უნდა დადგეს და ასეც ხდება ახლა ჩვენში"[34].

აქ გ. ზდანოვიჩს მხედველობაში ჰქონდა წინააღმდეგობა ფედერალისტთა პარტიაში გაერთიანებულ ორ მიმდინარეობას — სოციალისტებსა და არასოციალისტ ეროვნულ-დემოკრატებს შორის. II კონფერენციის შემდეგ, ხოლო უფრო გვიან III კონფერენციის შემდგომ, ფედერალისტთა პარტიამ დამოუკიდებელი არაპროლეტარული ტიპის ეროვნული და სოციალისტური პოლიტიკური პარტიის სახე მიიღო.

III კონფერენციამ დაამტკიცა და მიიღო ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის პროგრამა. ეს პროგრამა არაპროლეტარული, არამარქსისტული ხასიათის სოციალისტური პროგრამა იყო. „სოციალისტ-ფედერალისტები სოციალისტები ვართ, — საზეიმოდ აცხადებდა ფედერალისტთა პარტიის პროგრამა, — და ეს იმას ნიშნავს, რომ უმაღლესი იდეალი, რომლის განხორციელებასაც გვინდა მოვახმაროთ ჩვენი ძალა და ღონე, არის სოციალიზმი"[35].

ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა აღნიშნეს ფედერალისტურ პარტიაში მიმდინარე და მომხდარი ევოლუცია, მაგრამ მისი ხასიათი მხოლოდ ნეგატიური ნიშნებით შეაფასეს. ისინი გადაჭრით უარყოფდნენ ფედერალისტური პარტიის როგორც სოციალისტურ, ისე რევოლუციურ ხასიათს. ეროვნული ინტერესების დაცვისათვის პოლიტიკური ბრძოლის საჭიროების უარმყოფელი ქართველი სოციალ-დემოკრატები მშვენივრად ხვდებოდნენ, რომ ფედერალისტებისათვის, მიუხედავად სოციალისტობისა, მთავარი საზრუნავი — ეროვნული პრობლემა იყო. ამიტომ სოციალ-დემოკრატი ლიდე-

---

[34] ციტირებულია გ. ლასხიშვილის მემუარებში. გვ. 24.

[35] საქართველოს ს.-ფ. ს. პ-ის პროგრამა და წესდება. გვ. 3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეპი ერთი წუთითაც არ წყვეტდნენ ქართული სოციალიზმ-ფედერალიზმის წინააღმდეგ მიმართულ კრიტიკის კანონადას. ფედერალისტებმა ვერც ბურჟუაზიის მსახურობის ერთხელ და სამუდამოდ მიკერებულ სოციალ-დემოკრატიულ იარლიყს დააღწიეს თავი.

ფედერალისტური მიმდინარეობის ევოლუციის ხასიათის შესახებ ხანგრძლივი პოლემიკა მიმდინარეობდა არჩ. ჯორჯაძესა და ნ. ჟორდანიას შორის. არჩ. ჯორჯაძის აზრით, ნ. ჟორდანიამ დაახლოებით შემდეგი შტრიხებით ჩამოაყალიბა ფედერალისტური მიმდინარეობის ჩამოყალიბება-ევოლუცია. XIX ს-ის 90-იანი წლების დასაწყისში საქართველოს საზოგადოებრივ ასპარეზზე „თარეშობდნენ" უმთავრესად „დაღალულნი" და „დაღალულთ თაყვანისმცემელნი", რომელთა საზრუნავი იყო „თავადაზნაურობა და მეურნეობა". მესამე დასელებთან პირველივე შეტაკებაში დამარცხების შემდეგ „თაყვანისმცემლებმა" „ცნობის ფურცელს" მიაშურეს და „ბურჟუაზიას დაუწყეს ქომაგობა". მეორე ბრძოლაც დასელთა გამარჯვებით დასრულდა. დამარცხებული „ბურჟუიზიკების" ნაწილმა დააარსა „საქართველო", მაგრამ ამ ბრძოლაშიც „სოციალ-დემოკრატებმა მთლად ამოჟლიტეს რამდენიმე კორპუსი". ამის შემდეგ, რევოლუციის პერიოდში, დროება შეიცვალა. „ახლა ბურჟუაზია სოციალისტური საკაზმულით დაიარება" და „სახელად სოციალისტ-ფედერალისტი ჰქვია", დაასკვნიდა ნ. ჟორდანია[36].

სოციალიზმ-ფედერალიზმის წარმოქმნა-ევოლუციის პრობლემას შეეხო II სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ლიდერი ირაკლი წერეთელი, რომელმაც რამდენიმე ეტაპი გამოყო ქართული სოციალიზმიდან.

„ქართლის ცხოვრება", — პათეტიურად იწყებდა რუსეთის პირველი პარლამენტის მჭევრმეტყველი ორატორი, — იმით განსხვავდება რუსეთის პოლიტიკური ცხოვრებისაგან, რომ

---

[36] არჩ. ჯ ო რ ჯ ა ძ ე, თხზულებანი, წიგნი პირველი, ტფილისი, 1911. „ისტორიის სამართალი?! (საზოგადოებრივ აზრის ევოლუცია ჩვენში)", გვ. 145.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ „მემარჯვენე ლიბერალური“ ბურჟუაზიის პარტია განწყობილ-ვითარებელია. საქართველოში არსებული კადეტებისა თუ „დემოკრატ-რეფორმატორების“, ე. ი. ეროვნულ-დემოკრატების პოლიტიკური ძალა სახსენებელიც არაა. ი. წერეთელი ფიქრობდა, რომ საქართველოში ბურჟუაზიას თავისი კლასობრივი ინტერესების გამომხატველი ბურჟუაზიული პარტია არ ჰყავდა. სამაგიეროდ, ბურჟუაზიის სამსახურს სწევდა ფედერალისტთა სოციალისტური პარტია. „მთელი ჩვენი ბურჟუაზიული ინტელიგენცია“, წერდა თავის ცნობილ „ისტორიულ წერილებში“ ი. წერეთელი, „მემარცხენე პარტიის სასით“ არის წარმოდგენილი და ამდენად „გასოციალისტებული“. ცხადია, ირ. წერეთელი ქართველ ფედერალისტთა პარტიას გულისხმობდა.

XIX ს-ის 90-იან წლებში მესამე დასელებისა და „ივერიელების“ შეჯახებამ, ირ. წერეთლის კონცეფციის მიხედვით, ძველი ინტელიგენციის დროშის უვარგისობა გამოამჟღავნა. „ვისაც საზოგადო მოღვაწის სახელის შერჩევა სურდა, ის ახლა ვეღარ დაკმაყოფილდებოდა ახალ ვითარების თათქარიძისებურ უარყოფით, კლასთა ბრძოლის დასელების ჩმახვათ გამოცხადებით და თავადაზნაურობის დაქვეითებაზე გოდებით. ახალ ცხოვრებით წარმოშობილ კლასს ახალ ვითარებასთან შეთანხმებული მოძღვრება ეჭირვებოდა“[37]. სწორედ ამ დროს, ირ. წერეთლის სიტყვებით, ამოაშუქა არჩილ ჯორჯაძის „ბრწყინვალე ვარსკვლავმა“. მაგრამ ეს პირველი ნაბიჯი ჯორჯაძეს შეეშალა, რადგან მისი ეროვნული პროგრამა „ჰაერში გამოკიდებული დარჩა“. ამის შემდეგ, „საქართველოს“ დაარსება „ქართველი ნაციონალისტების უკანასკნელი გამოსვლა იყო დაუფარავ, ბურჟუაზიული სახით“. ვერც ამჯერად მოიპოვეს რეალური ძალა „ნაციონალისტებმა“, რადგან მშრომელი ხალხი სოციალ-დემოკრატების „წითელ დროშას“ მიჰყვებოდა, ხოლო „საქართველოს“ ბორძიკ-ბორძიკით“ მისდევდა უკან თავადაზნაურობა, ხუცობა, სტუდენტობა და ინტელიგენცია.

---

[37] ირ. წ ე რ ე თ ე ლ ი, ისტორიული წერილები სათათბიროს დეპუტატის ირაკლი წერეთლისა, ქუთაისი, 1907.

ეროვნული

და სწორედ ამის შემდეგ, სოციალისტ-ფედერალისტობა რეალურ ძალად ხალხი მიიჩნიეს, რომელიც იმხანად, ირ. წერეთლის სიტყვით, გაჟღენთილი იყო სოციალისტურ „ლტოლვილებით". ფედერალისტური „საქართველო" იძულებული გახდა „თავის ბურჟუაზიული მოძღვრება სოციალისტურ ნარჩოში გამოეხვია და ასე კონტრაბანდით ხალხში შეეტანა. „საქართველოს" მიმდევრებმა „ქერქის გამოცვლა" ესერების პროგრამის მიღებით დაასრულეს. ქართველი სოციალ-დემოკრატის რწმენით, ფედერალისტურმა მიმდინარეობამ სოციალ-პოლიტიკური ევოლუციის სამი სტადია გაიარა: ფეოდალური, ბურჟუაზიული, სოციალისტური. რამდენად საკამათოც არ უნდა იყოს ირ. წერეთლის მიერ წარმოდგენილი ფედერალისტური მიმდინარეობის ევოლუციის სქემა, ერთი უდავოა: მან მართებულად შეაფასა ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის, როგორც ეროვნულ-პოლიტიკური პარტიის ხასიათი და მიუთითა, რომ მიუხედავად ფედერალისტთა მეტამორფოზებისა, ძირითადი და წამყვან-განმსაზღვრელი მათს მოღვაწეობაში ეროვნული საკითხი, კერძოდ, საქართველოს ავტონომიის ლოზუნგი იყო. „ჩვენ განვიხილეთ ამ განვითარების მოკლე, მაგრამ ბრწყინვალე ისტორია. ვნახეთ, რა დიდი ჭაპანწყვეტა განიცადა ინტელიგენციამ..." ყურადღება მივაქციოთ, რომ ირ. წერეთელი ფედერალისტური მიმდინარეობის განვითარებას ქართული ბურჟუაზიის ევოლუციად კი არ განიხილავდა, არამედ ქართული ინტელიგენციის განვითარების გზად. „მან, — განაგრძობდა ირ. წერეთელი ინტელიგენციის შესახებ, — ფეოდალური სახე ბურჟუაზიულათ იცვალა, ბურჟუაზიული სოციალისტურათ, მაგრამ ყველა ამ ცვლილებაში, საერთო არევ-დარევიდან ერთი ეს მისი მუდმივი, შეუდრეკელი ლტოლვილება იო და არის ლტოლვილება ეროვნულ ავტონომიისადმი"[38]. ირაკლი წერეთელი ქართველ ფედერალისტებს ეროვნულ და ამასთან სოციალისტურ პარტიად მიიჩნევდა. წერილის სათაურიც მიგვანიშნებს: „ფედერალისტების გასოციალისტ-რევოლუციო-

---

38 ირ. წ ე რ ე თ ე ლ ი, ისტორიული წერილები, გვ. 19.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ერობა". სხვა სოციალ-დემოკრატებისაგან განსხვავებით, ს. ს. წერეთელის წერილში არ იყო ფედერალისტებისადმი მკვეთრად გამოხატული, მტრული ეპითეტები და გამოთქმები ან კონფრონტაციული განწყობილება.

სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წარმოქმნას გამოუხმაურა ი. სტალინი თავის ცნობილ ნაშრომში „როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური საკითხი". ფედერალისტთა წინამორბედი ჯგუფების მოღვაწეობის დასაწყისი სტალინმა საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებს დაუკავშირა. კერძოდ, საქართველოში კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარებამ და სოციალურ-პოლიტიკურ ასპარეზზე მადომინირებელ ძალებად ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის გამოსვლამ, ქართველი ბოლშევიკ-ლენინელის აზრით, ცხადყო ეროვნული საკითხის „ფეოდალურ-მონარქიული" დაყენების რეაქციულობა, იგი ფეოდალურ-პოლიტიკური სინამდვილიდან გაამევა. მისი ადგილი შეცვალა „ბურჟუაზიის ნაციონალურმა საკითხმა", რომლის დასაბუთება და ბურჟუაზიის ინტერესების დაცვა პირველად ნაციონალ-დემოკრატებმა იკისრეს. სტალინის აზრით, სწორედ ბურჟუაზიის დაცვის და მისი განვითარება-გაძლიერების, უცხოელ კაპიტალისტთა კონკურენციისაგან თავდასხვის მიზნით ალაპარაკდნენ ქართველი ნაციონალ-დემოკრატები დამოუკიდებელ საქართველოზე. ქართველ მარქსისტთა იდეოლოგიური შეტევის შედეგად, ნაციონალ-დემოკრატები იძულებული გახდნენ „ფერი მაინც ეცვალათ და ტანისამოსი მაინც ჩაეცვათ სოციალისტური, თუ სოციალისტურ აზრებს ვერ შეითვისებდნენ. და მართლაც, — დაასკვნიდა სტალინი, — ხელნაზე ამოცურდა არალეგალური ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური — უკაცრავად მოხსენებაა — „სოციალისტური" ორგანო „ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო"[39]. ცხადია, ი. სტალინს მხედველობაში ჰქონდა სოც.-ფედერალისტური მიმდინარეობის განვითარების ორი პერიოდი. პირველი — როცა მოღვაწეობას იწყებს, „საერთო ნიადაგის" მოძღვრებას ქადაგებს არჩ. ჯორჯაძე და მეორე პერიოდი — როცა გაზეთი „საქარ-

---

[39] ი. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 1, თბილისი, 1953, გვ. 33.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თველო“ იღებდა ხელში წვრილბურჟუაზიული სოციალიზმის დროშას, როცა იქმნებოდა სოც.-ფედერალისტთა ბლოკისტური პარტია. ი. სტალინი სკეპტიკურად უყურებდა „საქართველოს“ სოციალისტურობას და მიაჩნდა, რომ გაზეთს მხოლოდ სახელი ჰქონდა სოციალისტური. სტალინის ნაშრომი ეხებოდა სოც.-ფედერალისტების პარტიაში მომხდარ ცვლილებებს 1904 წლის სექტემბრამდე, როდესაც დაიბეჭდა მისი ნაშრომი. ფედერალისტების პარტიაში მიმდინარე შემდგომ ევოლუციას ავტორი აღარ შეხებია. სტალინი ერთგვარი გაღიზიანებითაც კი ახსენებდა საქართველოს დამოუკიდებლობას და ამ ლოზუნგს მხოლოდ ეროვნული ბურჟუაზიის ვიწრო კლასობრივ კუთვნილებად განიხილავდა.

სოციალისტ-ფედერალისტური მიმდინარეობის ევოლუციას ჩასახვიდან ვიდრე 1905 წლის რევოლუციამდე შეეხო მეორე ქართველი ბოლშევიკი მალაქია ტოროშელიძე, განსაკუთრებით ვრცლად ეს პრობლემა ავტორმა გაარჩია სტატიაში „ნაციონალური კითხვის გამო“, რომელიც 1906 წ. ოქტომბერში დაიბეჭდა ბოლშევიკურ ორგანოში „ახალი ცხოვრება“.

მ. ტოროშელიძის აზრით, ისევე, როგორც ევროპაში, ჩვენშიც ადრე „ნაციონალისტები“ სავსებით უარყოფდნენ კლასობრივი ბრძოლის არსებობას. შემდეგ კი მიატოვეს თავისი პოზიცია „და მის მაგივრად გამოვიდა ახალი გარემოებისდაგვარად სახე შეცვლილი ნაციონალიზმი, რომლის ბარახტარად ბ. ჯორჯაძე შეიქმნა“. მათ აღიარეს კლასთა ბრძოლა, მაგრამ მიუთითეს „საერთო ნიადაგის“ არსებობაზეც. ეს ნიადაგი იყო ბურჟუაზიული საქართველოს მშენებლობა, რომელშიც ქართველი პროლეტარიატი უნდა დახმარებოდა თავის თანამემამულე ბურჟუაზიას. ამ თეორიის დაცვა ჯორჯაძემ და მისმა თანამოაზრეებმა დიდხანს ვერ შეძლეს. მ. ტოროშელიძე მიუთითებს: „დღეს ასეთი პოზიციის დასაცავად ხმას არავინ იღებს, ვერ გაბედავენ მის დაცვას ჩვენი ფედერალისტებიო“. ასე რომ, პირველ ეტაპზე „ბურჟუაზიული ნაციონალიზმი, რომლის იდეოლოგობა ჯორჯაძეს არგუნა ისტორიამ, უკვე ჩაბარდა პატრონს და მას დღეს ჭირისუფალიც არ გამოუჩნდება“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ, ავტორის რწმენით, ეს არ ნიშნავდა ბურჟუაზიული ნაციონალიზმის საბოლოო დამარცხებას და მან „სხვა სახით“ შეძლო „მოვლინება“, როცა გაზ. „საქართველოს“ პირით „საერთო ნიადაგის“ მაგიერ იქადაგა საქართველოს ავტონომია, რომლის დროშის ქვეშაც „საქართველოისტები“ მოუწოდებდნენ ქართველ თავადაზნაურობას, ეპისკოპოსებს, ინტელიგენციას, სტუდენტობას, გლეხობას და „მუშა ხალხს“.

სოც.-ფედერალისტური ევოლუციის შემდგომი ეტაპის შესახებ მ. ტოროშელიძე აღნიშნავდა, რომ პირველი რევოლუციის პერიოდში ფედერალისტებმა სოციალიზმისა და „კლასობრივი ბრძოლის თავგამოდებული მომხრეების“ როლში სცადეს გამოსვლა. ავტორმა შენიშნა, რომ სოც.-ფედერალიზმის ყოველგვარ სახეცვლილებათა საფუძველთა საფუძველს ისევ და ისევ ეროვნული საკითხი წარმოადგენდა, რომლის გამოხატულებაც იყო საქართველოს ავტონომიის მოთხოვნა. „ჩვენი ფედერალისტები, — წერდა მ. ტოროშელიძე, — რომ აღარა გაუვიდათ რა, კიდევ ერთხელ აპირებენ პოზიციის მიტოვებას და კალმის უკულმა შეტრიალებას... კიდევაც გავსოციალისტდებით, კიდევაც გავსოციალდემოკრატდებით, პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლასაც ვიწამებთ, ოღონდ კი ავტონომია მოითხოვეთო“[40].

როგორც ვხედავთ, სოციალ-დემოკრატები მწვავედ დაუპირისპირდნენ სოციალიზმ-ფედერალიზმს ანუ, როგორც არჩ. ჯორჯაძე აღნიშნავს, „ქართულ სოციალიზმს“. დასელებმა „ომი გამოუცხადეს ეროვნულ პრინციპს, ეროვნულ პროგრამას“. ეს იყოო „ანტინაციონალური ლაშქრობა“. მათ ომი გამოუცხადეს „ფეოდალობას“ გაზ. „ივერიის“ სახით, მაშინ როცა, წერდა არჩ. ჯორჯაძე, „ფეოდალებს „ივერიაში“ მოსარჩლე არ ჰყავდა და „კამპანიას“ დონ კიხოტობის იერი ჰქონდა“. ანალოგიურ ხასიათს ატარებდა ივერიის ბურჟუაზიის წინააღმდეგ, რადგანო, განაგრძობს არჩ. ჯორჯაძე: „ჩვენში ბურჟუაზია, როგორც დარაზმული, თავის ინტერესების შეგნებით გამსჭვალული კლასი, საზოგადოებაში ჯერ-ჯეროობით გამოსახული არ იყო“. მიუხედავად ამისა, დასელებმა

---

40 გაზ. „ახალი ცხოვრება“, № 10, 1906 წ., 2. X.

საქართველოში ბურჟუაზია „დეკრეტით“ გააჩინეს. აი, ამგვარი, „დეკრეტით“ გაჩენილი „ბურჟუაზიული იდეოლოგიის“ ერთამომხატველი იყო „ცნობის ფურცლის“ ჯვუფი[41]. ეს ყველაფერი კი იმისათვის კეთდებოდა, არჩ. ჯორჯაძის აზრით, რომ ასე ესაჭიროებოდა მარქსიზმის განვითარებას ჩვენში. სოციალიზმ-ფედერალიზმის იდეოლოგის აზრით, ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა წინასწარგანზრახული სქემის მიხედვით ააგეს და წარმოადგინეს საქართველოს საზოგადოებრივი სინამდვილე. რადგან არსებობდა მუშათა კლასი, უნდა არსებულიყო ეროვნული ბურჟუაზიაც. მიუხედავად ფაქტიური არარსებობისა, პოლიტიკურ-ეკონომიკური უსუსურობისა, ქართული ეროვნული ბურჟუაზია სოციალ-დემოკრატთა პუბლიცისტიკაში, როგორც სრულუფლებიანი კლასი, ისე წარმოსდგებოდა. რადგან არსებობდა ეროვნული ბურჟუაზია, მას თავისი ინტერესების გამომხატველი პოლიტიკური პარტია და იდეოლოგია უნდა ჰქონოდა. ჯორჯაძისეული კონცეფციის მიხედვით, მესამე დასელებმა ბურჟუაზიის სამსახურის საპატიო მოვალეობა სოციალიზმ-ფედერალიზმს აჰკიდეს. ასე აღმოჩნდა „ქართული სოციალიზმი“ ეროვნული ბურჟუაზიის უღელში.

უკანასკნელ ხანებამდე, პირველი რევოლუციის მოვლენებში, აღიარებული იყო მხოლოდ ერთადერთი პარტიის, რსდმპ-იის, — ისიც მისი ერთი ფრთის — ბოლშევიკების მაორგანიზებელი როლი. ქართველი მენშევიკების — ამ ყველაზე გავლენიანი პოლიტიკური ორგანიზაციის როლი საქართველოს რევოლუციურ მოძრაობაში ოპორტუნიზმამდე იყო დაყვანილი და უარყოფითად შეფასებული. სხვა პარტიების მიერ, კერძოდ, მენშევიკთა, სოციალისტ-ფედერალისტთა, ესერთა მიერ ჩატარებული რევოლუციური აქციებიც კი ყოველგვარი კომენტარის გარეშე მიეწერებოდა საქართველოს ბოლშევიკურ ორგანიზაციებს, აქ მოქმედ ორიოდე ბოლშევიკ მოღვაწეს.

---

41 არჩ. ჯ ო რ ჯ ა ძ ე, თხზულებანი, წიგნი პირველი, „ისტორიის სამართალი“, გვ. 154.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების წამყვან ძალას ქართველო-კავკასიის რევოლუციურ მოძრაობაში თავად ფედერალისტები უდაო ფაქტად აღიარებდნენ. „ვინც რა უნდა სთქვას ქართველ მარქსისტების შესახებ, — წერდა არჩ. ჯორჯაძე, — მხოლოდ მათ ერთი უტყუარი დამსახურება აქვ-დამოდ შერჩებათ. ისინი მივიდნენ მუშებთან, დარაზმეს ასინი და აამოძრავეს“[42]. ფედერალისტურ-ესერული „პატარა გაზეთის“ ფურცლებზე ანონიმი ავტორი „ფედერალისტი“ კი წერდა: „ღვაწლს რუსეთის სოციალ-დემოკრატიისას ვერ დავიწყებს ისტორია. ამ პარტიამ შეიტანა კლასობრივი ცნობიერება მუშათა შორის, შეჰქმნა მუშათა კავშირები, მოაწყო ესეთი ორგანიზაცია, რომ მუშათა კლასი დღეს რუსეთში წარმოადგენს დიდებულ პოლიტიკურ ძალას, — ისეთ ძალას, რომლის წინაშე თვითმპყრობელმა ბიუროკრატიამ ქედი მოხარა“[43].

ქართველი ფედერალისტების მონაწილეობა განმათავისუფლებელ მოძრაობაში ძირითადად სამი მიმართულებით მიმდინარეობდა. პარტია აქტიურად ჩაება საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი სისტემის დემოკრატიული გარდაქმნისათვის გაშლილ ფართო მოძრაობაში; მეორე მიმართულება ფედერალისტების მოღვაწეობისა იყო ერმოლა ერეკვნულ-პოლიტიკური განთავისუფლებისა და უფლებებისათვის, ხოლო მესამე მიმართულება — უშუალოდ რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობა, რომლის უპირველესი მიზანი თვითმპყრობელობის დამხობა იყო. თავდაპირველად ფედერალისტთა პარტია უფრო აქტიურად დემოკრატიული პოლიტიკური ჯგუფებისა და ძალების ღონისძიებებში ჩაება.

1905 წლის მარტში სრულიად რუსეთის ჟურნალისტთა წარმომადგენლობით ყრილობაზე ქართული ჟურნალ-გაზეთებიდან მონაწილეობდნენ ფედერალისტები: გ. ლასხიშვილი, გრ. რცხილაძე და პ. სურგულაძე. დემოკრატიული საზო-

---

[42] ს ა ბ უ ე ლ ი (არჩ. ჯორჯაძე), სოციალიზმ-ფედერალიზმი საქართველოში. ტფილისი. 1907, გვ. 37.

[43] გაზ. „პატარა გაზეთი“, 1906 წ., 1 იანვარი.

გადოებრიობისა და ინტელიგენციის კრებებზე, რომელსაც იმხანად ხშირად იმართებოდა როგორც რუსეთში, ისე საქართველოში, ფედერალისტთა პარტიის მთავარმა კომიტეტმა გადაწყვიტა თავისი წარმომადგენლები სისტემატურად გაეგზავნა. ამგვარი მონაწილეობის მიზანი უნდა ყოფილიყო „ერთი მხრით, რამდენადაც შესაძლებელი იქნებოდა, გარადიკალება და გაღრმავება საერთო ხასიათის მოთხოვნათა და მეორე მხრით, ყოველმხრივი გაშუქება ეროვნულ საკითხისა და ავტონომიის მოთხოვნა“. იმხანად თავადაზნაურთა კრებები მიმდინარეობდა, ფედერალისტების პარტიამ მათ შორისაც გაგზავნა თავისი აგიტატორები გრ. რცხილაძე, ალ. დიასამიძე, ვასტანგ მუსხელიშვილი და დავით ჯორჯაძე; დასავლეთ საქართველოს თავადაზნაურობასა და ქუთაისის საქალაქო თვითმმართველობაში ავტონომიის მოთხოვნის საჭიროების დაუღალავ პროპაგანდას ეწეოდნენ გ. ზდანოვიჩი, კ. აბაშიძე, გრიგოლ გველესიანი და სხვ.

ფედერალისტთა სიტყვას, მათს ავტონომისტურ ლოზუნგებს ინტელიგენციის, ახალგაზრდობის, ქალაქის წვრილბურჟუაზიულ-ეროვნულად განწყობილ ფენებში უფრო ჰქონდა აღიარება. მუშათა კლასი, რომელიც სოციალ-დემოკრატებს მიჰყვებოდა, ანტიავტონომისტურად იყო განწყობილი, ცხადია, ქართველ ფედერალისტებსაც, განსაკუთრებით პირველი რევოლუციის საწყის ეტაპზე, მუშათა და გლეხურ მოსახლეობას შორის არავითარი გავლენა არ გააჩნდათ. მეტიც, ამ პერიოდამდე ფედერალისტთა პარტიას ქართველი მშრომელი მოსახლეობის მისამხრობად თითქმის არაფერი გაუკეთებია. განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობამ ფედერალისტი ლიდერები მიიყვანა მოსახლეობის მშრომელ ფენებს შორის მუშაობის აუცილებლობამდე. ხალხის მშრომელი უმრავლესობის მხარდაჭერის გარეშე ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიას ვიწრო-ელიტარული ორგანიზაციის თუ დაჯგუფების ხვედრი ელოდა. ეროვნული იდეა, ეროვნული ავტონომიის მოთხოვნა ქართველი ხალხის მხარდაჭერის გარეშე ვიწრო-ინტელიგენტურ ლოზუნგად დარჩებოდა. „მე მწერენ, რომ მთელი მოძრაობა სოციალ-დემოკრატიისა არისო, — წერდა პარიზიდან თავის თანაპარტიულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოობრებს გ. დეკანოზიშვილი, — რომ გლეხები მათ გავლენის ქვეშ არიან და ჩვენებს არავითარი გავლენა არ აქვთ. ამისა, ჩვენებს მარტო ინტელიგენციაში და თავადაზნაურობაში აქვთ გავლენა. მართალია ეს თუ არა?" წერილი 905 წლის 25 მარტითაა დათარიღებული.

გ. დეკანოზიშვილისა და საერთოდ ქართველი სოციალისტ-ფედერალისტებისათვის სამწუხაროდ, ეს მართალი იყო. ავისთავად, ინტელიგენცია, რა თქმა უნდა, ფრიად ანგარიშგასაწევი ძალა იყო. მაგრამ ვითარებას ის ართულებდა, რომ მაშინ, როცა ქართველი დემოკრატიული ინტელიგენცია და მისი მონათესავე სოციალური ჯგუფები ეროვნულ პოზიციაზე იდგნენ, ქართველი ხალხის უმრავლესობა — მუშათა კლასი და გლეხობა სოციალ-დემოკრატთა სოციალური პროპაგანდის წყალობით ფაქტიურად არ იზიარებდა ან გულგრილად იყო განწყობილი ეროვნული ავტონომიის იდეის მიმართ, ხოლო მუშათა სოციალ-დემოკრატიულად მოაზროვნე მნიშვნელოვანი ნაწილი მტრულადაც ეკიდებოდა საქართველოს ავტონომიის ლოზუნგს.

სწორედ ამგვარი ეროვნული და სოციალური იდეების ანომალური ანტაგონიზმის ვითარებაში, ფედერალისტური პარტიის ლიდერებს ერთადერთ გამართლებულ გზად მიაჩნდათ ქართველი ხალხის მშრომელი უმრავლესობის მხარდაჭერის მოპოვება. გ. დეკანოზიშვილი თანაპარტიელებს დაუღალავად მოუწოდებდა სოციალური ორიენტაციისაკენ. „ჩვენი იმედი დაჩაგრულ კლასზე უნდა იყოს დამყარებული, — მოძღვრავდა თანაპარტიელებს გამოჩენილი ქართველი პატრიოტი, — ესენი არიან გლეხები და მუშები. მუშებში ვერ შევძელით მუშაობა, მაშ გლეხებს მოვკიდოთ ხელი... მათ და მუშების საშუალებით შეგვიძლიან მოვიპოვოთ ის, რასაც ვეძებთ"[44].

განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობასთან ერთად, სოციალისტ-ფედერალისტთა მზარდმა სოციალურმა

---

44 საქართველოს გ. ლეონიძის სახ. სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, გ. დეკანოზიშვილის წერილები, 9521—9524.

ორიენტაციამ საგრძნობლად გაზარდა ფედერალისტური პარტიის როლი და ადგილი მიმდინარე რევოლუციაში. „ამ უკვე ხანში საგრძნობლად გაიზარდა ჩვენი პარტიაც. — წერდა გ. ლასხიშვილი. — ის აერთიანებდა დიდძალ ინტელიგენციას, მოზარდ თაობას, მრავალ წვრილ მოსამსახურე ხალხს ფოსტა-ტელეგრაფში, აფთიაქებში, ნოქრებს და სხვას. შესამჩნევად იმატეს მუშათა ჯგუფებმაც როგორც ტფილისში, ისე პროვინციაში; გაიზარდა პარტიის გავლენა აგრეთვე სოფლებში“.

ქართულ დემოკრატიულ საზოგადოებაში მეტად მნიშვნელოვანი იყო სოციალისტ-ფედერალისტური პრესის გავლენა. 1905 წელს ფედერალისტებმა შეწყვიტეს პარიზში „საქართველოს“ გამოცემა. კავკასიის ბიუროკრატიის წინააღმდეგ გაბედულად იბრძოდა ქართული ეროვნულ-რევოლუციური პრესის ფლაგმანი — „ცნობის ფურცელი“. გაზეთი დაურიდებლად ამხელდა გურიაში გენერალ ალიხანოვის დამსჯელი ექსპედიციის მიერ ჩადენილ სისასტიკეს. „ცნობის ფურცელმა“ არად ჩააგდო თბილისის გენერალ-გუბერნატორის ტიმოფეევის მკაცრი გაფრთხილებანი და 1906 წლის მარტში გამოაქვეყნა უზარმაზარი მასალა ალიხანოვის ექსპედიციის მიერ გურიის აკლების შესახებ. ამგვარი „ურჩობის“ მერე „ცნობის ფურცლის“ ბედი გადაწყვეტილი იყო — მისი გამოცემა შეწყდა. „ცნობის ფურცლის“ ტრადიცია განაგრძეს შემდეგში ფედერალისტურმა ორგანოებმა: „შრომა“, „მეგობარი“, „ისარი“...

„ცნობის ფურცელმა“ მშრომელი ხალხის ფართო ფენებისკენაც გაიკვლია გზა, რაც, ცხადია, გამოწვეული იყო გაზეთის უაღრესად დემოკრატიული ხასიათით. გ. ლასხიშვილს მოჰყავს ერთ-ერთი დამსჯელი რაზმის უფროსის, გენერალ ალიხანოვის მარჯვენა ხელის — პოლკოვნიკ კრილოვის თბილისის გენერალ-გუბერნატორისადმი გამოგზავნილი წერილის შინაარსი. პოლკოვნიკი ირწმუნებოდა, რომ აუცილებელი იყო ამ გაზეთის აკრძალვა, რადგან იგი ძალიანაა გავრცელებული ხალხში, დიდი გავლენა აქვს და აღელვებას იწვევსო. „ცნობის ფურცლის“ გამოცემის შეწყვეტის შემდეგ, სოფლის მოსახლეობაში ეროვნული და სოციალური თავი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუფლების იდეების პროპაგანდის მიზნით, ფედერალისტთა პარტიამ გამოსცა გაზეთები „გლეხი“ და მისი დახურვის შემდეგ კი — „მიწა“. ეს გაზეთებით, მართებულად შენიშნავს მკვლევარი ა. ნაცვლიშვილი, რომელმაც მონოგრაფიულად შეისწავლა „გლეხი“ და „მიწა“, „გამოხატავდნენ მშრომელი გლეხობის ყველაზე ფართო ფენების ინტერესებს“[45]. გაზეთებს გამოსცემდნენ სამსონ ფირცხალავა, მომავალი გამოჩენილი ქართველი მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი, დ. ნახუცრიშვილი და სხვ.

ქართველი სოციალისტ-ფედერალისტები მემარცხენე ბლოკისტური ტაქტიკის პრაქტიკული განხორციელების თავგამოდებული მომხრეები იყვნენ და ცდილობდნენ მჭიდრო ურთიერთობა დაემყარებინათ როგორც საქართველოს, ისე რუსეთის რევოლუციურ, ეროვნულ და დემოკრატიულ პოლიტიკურ პარტიებთან, მონაწილეობა მიეღოთ მათს მიერ შექმნილ ინტერპარტიული ხასიათის ორგანიზაციებში. პირველი რევოლუციის პერიოდში ინტერპარტიული ორგანიზაციები იქმნებოდა როგორც ცენტრში — პეტერბურგში, მოსკოვში და სხვაგან, ისე იმპერიის ეროვნულ მხარეებში: ბალტიისპირეთში, პოლონეთში, უკრაინაში, კავკასიაში. 1905 წლის 14 ივლისს პეტერბურგში შეიქმნა მემარცხენე პარტიებისა და ჯგუფების საკოორდინაციო აღმასრულებელი კომიტეტი, რომელშიც შედიოდნენ სოციალ-დემოკრატები, ესერები, სრულიად რუსეთის გლეხთა კავშირი, რკინიგზელთა კავშირი, მასწავლებელთა კავშირი და სხვ.

ანალოგიური ხასიათის ინტერპარტიული ორგანიზაცია არსებობდა საქართველოშიც. თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოსა და პოლიციის არქივის მასალები ცხადყოფენ, რომ პირველი რევოლუციის წლებში არსებობდა თბილისის რევოლუციური კომიტეტი, რომელშიც სხვებთან ერთად შედიოდნენ სოციალისტ-ფედერალისტები. 1905

---

45 ა. ნაცვლიშვილი, ქართული დემოკრატიული აზრი რუსეთის პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პერიოდში (გაზეთების „გლეხისა“ და „მიწის“ მიხედვით). საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი. (რუსულ ენაზე). თბ., 1989, გვ. 4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლის 2 ოქტომბერს შედგა აღნიშნული კომიტეტის სასტუმრო „პურ-ღვინოში“, რომელზედაც გადაწყდა კავკასიის პოლიციის უფროსის გენერალ-მაიორ შირინკინის, კავკასიის რკინიგზის სამმართველოს უფროსის ივანოვის და სხვა განსაკუთრებით რეაქციულ მოხელეთა ტერორი. თათბირზე სოციალისტ-ფედერალისტებიდან მონაწილეობდნენ ს. ფირცხალავა, პ. გოთუა და სხვ.[46] პოლიციის კანცელარიის სხვა ცნობა კი იუწყება, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის კავკასიის კავშირი, სოციალისტ-ფედერალისტები, ესერები და დაშნაკები მისულან შეთანხმებამდე — საყოველთაო აჯანყების საკითხში[47].

ინტერპარტიული სახის მეორე ორგანიზაციას წარმოადგენდა თბილისში 1905 წელს შექმნილი საერთო გაფიცვის პიურო, რომელშიც შედიოდნენ ბოლშევიკები, მენშევიკები, სოციალისტ-ფედერალისტები, ჰნჩაკის თბილისის კომიტეტი, ესერები და დაშნაკცუტიუნის ადგილობრივი ორგანიზაცია. ბიურო შედგებოდა 25 კაცისაგან[48].

ქართველი ფედერალისტების სხვა მემარცხენე პარტიებთან თანადგომას ნათლად ადასტურებს მათი „კავკასიაში მოქმედ ყველა სოციალისტურ პარტიათა კომიტეტებთან“ ერთად გამოცემული პროკლამაციები. მაგალითად, 1905 წლის 1 აპრილს გამოცემულ პროკლამაციას „სოლიდარობის დასაწყისი“ ხელს აწერდნენ: რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი, სომეხთა სოციალ-დემოკრატიული პარტიის „ჰნჩაკის“ თბილისის კომიტეტი; ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის თბილისის კომიტეტი, სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის თბილისისა და კავკასიის კომიტეტი; სომეხთა სარევოლუციო კავშირის „დაშნაკცუტიუნის“ კავკასიის კომიტეტი. ამგვარი საერთო მემარცხენე პარტიათა მიერ გამოცემული პროკლამაციები მრავლად ვრცელდებოდა.

---

46 საქ. ცსსა, ფ. 83, აღწ. 1, ს. 85, ფურც. 41, და ფ. 153, აღწ. 1, ს. 793, ფურც. 205.

47 იქვე, ს. 37, ფურც. 12.

48 გ. ჯანგველაძე, საქართველოს კომუნისტური პარტიის ბრძოლა ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პარტიების იდეური და ორგანიზაციული განადგურებისათვის (1903—1923 წწ.). თბ., 1974, გვ. 102.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველმა სოციალისტ-ფედერალისტებმა სოციალ-დემოკრატებთან და სხვა მემარცხენე ძალებთან ერთად ენერგიული მონაწილეობა მიიღეს საქართველოში სომეხ-თათართა სისხლისღვრის აღკვეთის საქმეში. ფედერალისტური პარტია, მიუხედავად იმისა, რომ სოციალ-დემოკრატთა მხრიდან ხშირად ინათლებოდა „ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ“ პარტიად, ხალხთა და ერებს შორის თანასწორობისა და სოლიდარობის პოზიციაზე იდგა. განსაკუთრებით იღწვოდნენ ფედერალისტი პუბლიცისტები კავკასიის ხალხების ძმური სოლიდარობის იდეის პროპაგანდისათვის. ახლა, როდესაც განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობის ხანაში ბაქოში დაწყებული ორი მეზობელი ერის ურთიერთჟლეტა საქართველოშიც უნდა გავრცელებულიყო, რევოლუციური პარტიები და მოწინავე ქართველი ინტელიგენცია აღსდგა მის აღსაკვეთად.

„ცნობის ფურცელმა“ ერთ-ერთმა პირველმა ატეხა განგაში. დემოკრატიული საზოგადოებრიობის მოღვაწენი კარგად გრძნობდნენ, რომ სომეხ-თათართა ბნელი ძალების მიერ პროვოცირებული ხოცვა-ჟლეტა და საერთოდ კავკასიის ხალხთა ერთმანეთზე წაკიდება, უპირველეს ყოვლისა, რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ მიმართული განმათავისუფლებელი მოძრაობის საერთო ფრონტის გასათიშავად იყო გამიზნული. ფედერალისტური პარტიის ცნობილი მოღვაწე სამსონ ფირცხალავა სწორედ ამ გარემოებას უსვამდა ხაზს. მაშინ, როდესაც, პუბლიცისტის სიტყვით, მთელს იმპერიაში განმათავისუფლებელი მოძრაობის წყალობით ისტორიის ახალი ხანა იწყებოდა და დღეს თუ ხვალ უნდა დაცემულიყო ყველასათვის საძულველი „დღევანდელი წესწყობილება“, მაშინ როდესაც, პათეტიურად მიმართავდა ს. ფირცხალავა მკითხველს, „ყველა კავკასიელი ერები ხელიხელ გაყრილნი ძმურად ერთად უნდა ვმოქმედებდეთ, ვიბრძოდეთ კავკასიის განთიადისათვის“, ყოველივე ამის მაგიერ ბაქოში მომხდარი საშეწუხარო შეტაკებანი სომეხ-თათარია შორის კავკასიელ ერთა სოლიდარობას ძირს უთხრიდა. „კავკასიელებო, — მოუწოდებდა ფედერალისტი პუბლიცისტი, — ბაქოში დანთხეული ძმური სისხლი, ბაქოში უმანკოდ დახოცილი ბავშვების

ხისლი მოგვიწოდებს ძმობისა, ერთობისა და კავშირისა-საკენ!"[49]

არ შეიძლება აქვე არ მოვიყვანოთ გ. ლასხიშვილის მიერ სომეხ-თათართა წაკიდების ფაქტის კვალიფიკაცია, კონფლიქტის წარმოქმნის, მიზეზებისა და სავალალო შედეგების შეფასება, რომლის შემდეგაც ალბათ კომენტარი ზედმეტი იქნება. „მეზობელ ერების ერთმანეთის გადაკიდება უთუოდ ხელსაყრელი იყო რეაქციის ძალებისათვის, რადგან სომეხ-თათართა შეტაკება შესამჩნევად აბრკოლებდა განმათავისუფლებელ მოძრაობის განვითარებას და რევოლუციის წინსვლას, ანელებდა სომეხ და თათარ მშრომელ ხალხის კლასობრივ თვითშეგნებას და ამით აფერხებდა დემოკრატიის ხაჭმეს. სამწუხაროდ, ამის შეგნება თითქოს არ ჰქონდათ ამ ორი მეზობელი ხალხის მეთაურებს"[50].

თბილისსა და საქართველოში სომეხ-თათართა ხოცვის აღკვეთის მიზნით 1905 წლის შემოდგომაზე შედგა ქართული მემარცხენე პარტიების თათბირი. პარტიებმა ადგილობრივ ადმინისტრაციას მიმართეს წინადადებით, რომ თუ ადმინისტრაცია რევოლუციური პარტიების სპეციალურ რაზმებს მისცემდა გარკვეული რაოდენობის იარაღს, სისხლიან კონფლიქტებს საქართველოში ადგილი არ ექნებოდა. ადმინისტრაციამ მიიღო აღნიშნული წინადადება და ცნობილ სოციალ-დემოკრატ მოღვაწეს ისიდორე რამიშვილს 1000 თოფი გადასცა. მართალია, სომეხ-თათართა რამდენიმე შეტაკება მაინც მოხდა და მას მსხვერპლიც მოჰყვა, მაგრამ ქართველი სოციალ-დემოკრატების, სოციალისტ-ფედერალისტების და სხვათა ენერგიული მცდელობის შედეგად შესაძლებელი გახდა კონფლიქტების ჯერ ლოკალიზება, შემდეგ კი შეწყვეტა.

გარდა იმისა, რომ აქტიურად მონაწილეობდნენ რევოლუციური და დემოკრატიული პარტიების მიერ განყორციელებულ საერთო რევოლუციურ აქციებში, ქართველმა სოცი-

---

49 „ცნობის ფურცელი", 1905, 13 თებერვალი.

50 გ. ლასხიშვილი, მემუარები, გვ. 208.

ალისტ-ფედერალისტებმა თავადაც, როგორც დამოუკიდებელ-
ეროვნული ბიბლიოთეკა
ია ეროვნულ-სოციალისტურმა პოლიტიკურმა პარტიამ, არა-
ერთი მნიშვნელოვანი რევოლუციური ღონისძიება განახორ-
ციელა.

ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა მიერ განხორცი-
ელებული რევოლუციური აქციებიდან ერთ-ერთი მნიშვნე-
ლოვანი იყო საზღვარგარეთიდან იარაღის შემოტანა საქარ-
თველოში. მისი სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი გი-
ორგი დეკანოზიშვილი გახლდათ, რომელსაც თითქმის პარ-
ტიისაგან მოწყვეტილს, მარტოდმარტოს მოუხდა ამ რთული
და სახიფათო ოპერაციის განხორციელება. ფედერალისტთა
მიერ იარაღის შემოტანა და მასში გ. დეკანოზიშვილის მო-
ნაწილეობა დაწვრილებითაა გადმოცემული ალ. მუჯირის
წერილში „გიორგი დეკანოზიშვილი"[51]. ავტორმა, თავის
მხრივ, ჟურნალ „კავკასიონში" გამოქვეყნებული დეკანოზი-
შვილის მოღვაწეობისადმი მიძღვნილი წერილიდან ისარ-
გებლა.

გ. დეკანოზიშვილს ოპერაციის გეგმის კონკრეტულ განხ-
ორციელებაში ეხმარებოდნენ ბრიუსელში მცხოვრები ქარ-
თველები პალიკო ყიფიანი, გიორგი სიხარულიძე და იასონ
ბობლიაშვილი. ვარლამ ჩერქეზიშვილის დახმარებით გ. დე-
კანოზიშვილი დაუკავშირდა დასავლეთ ევროპელ ცნობილ
ანარქისტ და სოციალისტ მოღვაწეებს, რომელთა უშუალო
მხარდაჭერითაც განხორციელდა აღნიშნული ოპერაცია.

გ. დეკანოზიშვილმა 60 000 ფრანკად შეიცარიელი ეჟენი
ბოსაგან შეიძინა 7000 ე. წ. ვეტტულისის თოფი და ერთი მი-
ლიონ ასი ათასი ტყვია. ამსტერდამში ცნობილი ჰოლანდი-
ელი ანარქისტის ქრისტიან კორნელისენისა და მისი ძმის,
ვაჭარ პეტერ კორნელისენის დახმარებით დეკანოზიშვილმა
შეიძინა 597 ტონიანი გემი „სირიუსი", შეადგინა ფრანგი და
ჰოლანდიელი რევოლუციონერებისაგან 19-კაციანი ეკიპაჟი.
გემის კაპიტნობა ქრისტიან კორნელისენმა იკისრა.

1905 წლის 13 ოქტომბერს „სირიუსმა" გეზი შორეული
საქართველოსაკენ აიღო. მან გაიარა გიბრალტარის სრუტე,

---

[51] ალ. მ უ ჯ ი რ ი, გიორგი დეკანოზიშვილი, „მნათობი", 1988, № 12.

მაგრამ იძულებული იყო უკან დაბრუნებულიყო ქ. სეტში, რადგან შემდგომი მგზავრობისათვის მოზრდილი თანხის შოვნა გახდა საჭირო. სხვა გზა არ იყო, საფრანგეთში იმხანად მცხოვრები რამდენიმე შეძლებული ქართველი ბურჟუასათვის უნდა მიემართათ. ერთ-ერთმა მათგანმა, ბესარიონ ღოღობერიძემ დეკანოზიშვილი უარით გამოისტუმრა, სხვების იმედიც არ ჩანდა. „ჩვენ ბურჟუაზიას არ ესმის განთავისუფლების საქმე, არ ესმის, რომ მას ერგება პირველათ ხელმძღვანელობა სახელმწიფოში“, — გულდაწყვეტით წერდა თავის „დღიურში“ გ. დეკანოზიშვილი. მან სცადა იარაღის ნაწილი სომეხი დაშნაკებისათვის მიეყიდა. უარი მიიღო, ახლა თავისი ფრანგი მეუღლის და ქართველი პატრიოტების მეგობრის, ანრიეტა ფრენუას სახლის დაგირავება გადაწყვიტა 10 000 ფრანკად. ბოლოს, ბრიუსელიდან ჩამოსულმა პ. ყიფიანმა, გ. სიხარულიძემ და ბობღიაშვილმა საქმის შველა რადიკალური გზით სცადეს, ტერორის მუქარით უნდა აეძულებინათ მდიდარი ქართველი ვაჭარი ი. ზუბალაშვილი, ფული გაეღო გემის საჭიროებისათვის. პალიკო ყიფიანმა ზუბალაშვილის სამყოფელ ოტელში შეაღწია და შანტაჟის გზით 25 000 მანეთი გამოსტყუა ქართველ ვაჭარს. უნდა აღინიშნოს, რომ ზუბალაშვილის შანტაჟირება გ. დეკანოზიშვილისაგან დამოუკიდებლად მოხდა. ინტელიგენტი ფედერალისტები ზუბალაშვილის მიმართ ჩადენილი ამგვარი იძულებითი აქციის გამო თავს უხერხულად გრძნობდნენ. თედო სახოკია ბათუმიდან დეკანოზიშვილს წერდა: „თქვენ რომ ულტიმატუმი დაგიდვიათ, ის კაცი ჩვენთან ძალიან კარგად იქცეოდა. აქამდე იმით ვიბრუნებდით სულს. სამწუხარია რომ შენ არაფერი იცოდი და იმასთან სირცხვილში ჩავარდი. არა უშავს. გამოვაკეთებთ საქმეს და ბოდიშს მოვიხდით მასთან. ყოჩაღად კი მოქცეულხართ“. არ ვიცით, მოუხადეს თუ არა ბოდიში ფედერალისტებმა ზუბალაშვილს, მაგრამ „სირიუსი“ კი გასცდა გიბრალტარს და ნოემბერში სტამბოლს მიადგა. 20 ნოემბერს იარაღით დატვირთულმა „სირიუსმა“ ბათუმს მოაღწია.

იარაღის გადმოტვირთვა, მისი დამალვა და მოსახლეობისათვის დარიგება იმხანად ფოთში მცხოვრებ მიხეილ ესაკი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს დაევალა, თბილისიდან თედო სახოკია და ვლ. ლორთქიფანიძე გაემგზავრნენ. მიუხედავად სიფრთხილისა, გადმოტვირთვის გეგმა ვერ განხორციელდა. ჯერ ერთი, ვერ იქნა დაცული საჭირო კონსპირაცია. ფედერალისტთა მიერ მომზადებული ნავები „სირიუსს“ მიადგნენ და თოფებითა და ტყვიაწამლით სავსე ყუთების ნაწილი ფოთთან წარმატებით გადმოზიდეს. მაგრამ წინა დღეს ფოთისა და ახლო-მახლო ეისადგომების მოსახლეობამ გაიგო იარაღის ჩამოტანის ამბავი. ნაპირს დიდძალი ხალხი მიაწყდა და იარაღის ნაწილი დაიტაცა. ამ ვითარებაში, მოდარაჯე გემებმა „სირიუსიც“ შენიშნეს, რომელიც იძულებული გახდა რამდენიმე ყუთი წყალში გადაეგდო და იქაურობას გასცლოდა, რადგან მოდარაჯეებმა სროლა აუტეხეს. უკვე დატვირთული ნავები ფედერალისტებმა გაგრის მიდამოებში გადმოტვირთეს. მეორე მიზეზი გეგმის სრულყოფილად შეუსრულებლობისა ის იყო, რომ ხელისუფლებამ ადრევე შეიტყო საზღვარგარეთიდან „სირიუსის“ გამომგზავრების შესახებ. ამის გამო, იარაღის გარკვეული ნაწილი პოლიციას ჩაუვარდა ხელში. გ. ლასხიშვილის აზრით, „სირიუსის“ გამომგზავრების ამბავი მთავრობისათვის ცნობილ პროვოკატორს, რუს ესერთა პარტიის სამხედრო ორგანიზაციის ერთ-ერთ ხელმძღვანელს ევნო ზეფს უნდა შეეტყობინებინა. აზეფს გ. დეკანოზიშვილი კარგად იცნობდა და „შეიძლება მის დახმარებითაც სარგებლობდა“[52], — დაასკვნის გ. ლასხიშვილი.

უფრო ზუსტ ცნობებს იარაღის გადმოზიდვის გარემოებებზე, ვიდრე ამის შესახებ საკმაოდ ძუნწად გადმოგვცემს გ. ლასხიშვილი, ჩვენ ვიგებთ საქართველოდან ბრიუსელში პალიკო ყიფიანის სახელზე გაგზავნილ წერილში. ეს წერილი ფოთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში იყო ექსპონირებული. წერილის ავტორი უნდა იყოს ალბათ გიორგი სიხარულიძე, რომელიც ვ. ნაზაროვთან — ნაზარიშვილთან ერთად გამოემგზავრა „სირიუსით“. წერილი 1906 წლის 6 იანვრითაა დათარიღებული. წერილი მძიმე ოპერაციის წარმატებით დასრულების გამო სიხარულნარევი ტონითაა დაწე-

---

[52] გ. ლასხიშვილი, მემუარები, გვ. 206.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რილი, მინაწერიც აქვს წერილზე: „სიხარულით პალიკოს". „ძმაო პალიკო! — წერს გიორგი სიხარულიძე ადრესატს, — პირველად მოგიკითხავ და გისურვებთ ბედნიერათ ყოფნას შენი საყვარელი ოჯახობით. მომიკითხე ბატონი ანეტა, ელენე, როსტომი, თინა, ელა და საერთოდ მთელი ჩვენი კოლონია". როგორც ცნობილია, პალიკო ყიფიანი ემიგრაციაში, ბრიუსელში ცხოვრობდა თავისი ქართული ოჯახით: მეუღლე — ანეტა ბაგრატიონ-ამირეჯიბისა, შვილები ელენე, რუსუდანი და თინა.

მივყვეთ წერილს. გ. სიხარულიძეს აინტერესებს, რა მოხდა ქართველთა კოლონიაში მისი წამოსვლის შემდეგ, განსაკუთრებით აწუხებს ევროპისაკენ გაბრუნებული „სირიუსის" ბედი, შემდეგ მოუთხრობს თუ როგორ მოხდა იარაღის გადაზიდვა. მას შემდეგ, რაც „სირიუსი" ფოთს მიადგა, ღაგის 12 სთ-ზე გადაუტვირთიათ ერთი „სანდალი". იარაღი მუშებმა და ხალხმა დაირიგეს, მაგრამ „თოფს ვერაფერი გაუგეს, რადგანაც სხვანაირ სისტემის იყო". ერთ ნასალდათარს თოფი შემთხვევით გაუვარდა. სროლის ხმაზე ჯარისკაცები მოცვივდნენ და „ბუხტს" ალყა შემოარტყეს. 700 თოფი ხალხმა დაიტაცა, ხოლო 700 ჯარს ჩაუვარდა ხელში.

ჯარისკაცებმა ფოთსაც შემოარტყეს ალყა, სადაც ამ დროს გაფიცვა მიმდინარეობდა. გაფიცულები ხელისუფლებას დაემუქრნენ, რომ თუ ალყას არ მოხსნიდნენ, აჯანყებას მოაწყობდნენ. ალყა დაუყოვნებლივ მოხსნეს, რადგან ხელისუფლებას გაფიცულები შეიარაღებულნი ჰგონებია.

გ. სიხარულიძის ცნობით, მეორე სანდალი 1200 თოფით მთავრობას ჩავარდნია ხელში, ხოლო მესამე სანდალი, 1600 თოფით და თავისი ტყვია-წამლით ფედერალისტების ორგანიზაციას ერგო. „რომ ჩვენს ორგანიზაციას ჩაუვარდა ხელში მარტო 2000 თოფამდინ თავის პატრონებით, და ამდენივე მთავრობას, — წერდა გ. სიხარულიძე, — სხვა კი ხალხში დაიბნა, ეხლა გეტყვი რა იყო მიზეზი და ვინ ამ საქმის ასე სამარცხვინოთ გათავებისა: მთელი საქმე მიენდნენ თედო საჩოკიასათვის, რომელსაც ვერ მოეწყო კარგი ორგანიზაცია"[53].

---

53 ფოთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, გ. სიხარულიძის წერილი პ. ყიფიანისადმი, 1906 წ., ნ. I.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ თავდაპირველად გ. დეკანოზიშვილმა 7000 თოფი შეიძინა და გამოგზავნა და აქედან 2000 მთავრობას ჩაუვარდა ხელში, ხოლო 2000 ფედერალისტთა პარტიას, „სხვა კი ხალხში დაიბნა“, როგორც გ. სიხარულიძე და გ. ლასხიშვილი წერენ, გამოდის, რომ რევოლუციურად განწყობილ მოსახლეობაში 3000 თოფი გავრცელებულა. ამიტომაც წერს გ. ლასხიშვილი: „ბევრი იარაღი მაინც შეგვრჩა ხელში და თავის დროზე ხალხს დაურიგდა. შვეიცარიის თოფები ბევრგან იყო გაფანტული სოფლად და ქალაქად, უმთავრესად სამეგრელოსა და იმერეთში“. ნაწილი ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა მიერ შემოტანილი თოფებისა, როგორც ცნობილია, სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციასაც ერგო.

საქართველოში იარაღის შემოტანა მნიშვნელოვანი მასშტაბის ოპერაცია იყო. იმხანად ანალოგიური ოპერაციები, რომლებიც ფინელმა აქტივისტებმა, ლატვიელებმა და რუსმა ესერებმა წამოიწყეს, მარცხით დამთავრდა. ფინელთა ერთი გემი „გარსია“ ხელისუფლებმა დააკავეს, ხოლო მეორე „ჯონ კრაფტონი“ გაირიყა და იარაღიანად აფეთქდა. „სირიუსის“ წარმატებული სამხედრო-რევოლუციური ოდისეა ფართოდ გახმაურდა. 1905 წლის 1 დეკემბერს რეიტერის საგენტო იუწყებოდა ინგლისურ პრესაში, რომ 27 ნოემბერს იარაღით დატვირთული ჰოლანდიური გემი ფოთს მიადგა. რევოლუციის პერიოდში მეფის „ოხრანკამ“ გამოაქვეყნა ბროშურა, რომელიც იუწყებოდა, რომ ქართველები იაპონელთა ფარული ფინანსიური დახმარებით რუსეთის წინააღმდეგ აჯანყებას აპირებდნენ. ბროშურაში ფიგურირებდა გ. დეკანოზიშვილის, ე. ბოს და იაპონელი „აკაშის“ სახელები. ეს უკანასკნელი ჩვენს მიერ ზემოხსენებული იაპონელი პოლკოვნიკი და სამხედრო ატაშეა საფრანგეთში — აკაში, რომლის უშუალო მონაწილეობითაც იაპონიის ხელისუფლებამ პარიზში შემდგარი რუსეთის რევოლუციურ და ოპოზიციურ პარტიათა კონფერენცია დააფინანსა.

რევოლუციური აქციის მთელმა სიმძიმემ ფაქტიურად გ. დეკანოზიშვილის მხრებზე გადაიარა. „კარგად გასინჯეთ და დაუფიქრდით, — ერთგვარი გაოცებით შენიშნავდა გ. ლას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხიშვილი, — მთელ იმ საქმის ორგანიზაცია-ასრულებას და დარწმუნდებით, რომ გიორგი დეკანოზიშვილმა ამ მეტად ძნელ საქმეში პირდაპირ ზღაპრული ენერგია და ძალა გამოიჩინა". მემუარისტი პარალელს ავლებდა რუსეთის ესერებთან, ფინელ აქტივისტებთან და პოლონურ სოციალისტურ პარტიასთან, რომლებსაც ევროპაში „მთელი შტაბები ჰყავდათ სათანადო ორგანიზაციებით", ხოლო გ. დეკანოზიშვილი კი „თითქმის მარტოდ-მარტო იყო, არც დამხმარე თავისიანი ხალხი, არც ფული: ვიმეორებ, მხოლოდ იმის საოცარ ენერგიასა და ორგანიზაციულ ნიჭს შეეძლო ამ მეტად მძიმე საქმის ასრულება"[54].

გ. დეკანოზიშვილი ამაოდ არ გარჯილა. „სირიუსი" სწორედ მაშინ მიადგა საქართველოს, როცა იგი რევოლუციური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ცეცხლში იყო გახვეული. საინტერესოა აქ გავაგრძელოთ პ. ყიფიანისადმი გ. სიხარულიძის ზემოაღნიშნული წერილის ციტირება. „მე მხოლოდ შეგატყობინებ საქართველოს და ჩვენი პარტიის მოქმედებას, — წერდა გ. სიხარულიძე. — ხალხი ყველგან მზათ არის იარაღს მოჰკიდოს ხელი საბრძოლველათ. მხოლოთ იარაღი უნდა და წინამძღოლები. ჩვენმა პარტიამ ძალა მოიკიდა... გლეხებში და ამაზე სოც-დემოკრატებმა სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გამოგვიცხადეს. ქობულეთი, აჭარა ჩვენს ხელთ არის, ქუთაისში ძრიელი ვართ. ქართლში გლეხობა ჩვენს პროგრამას ემხრობა, ფშავ-ხევსურეთი სულ ჩვენია, სიღნაღის მაზრა, გლეხობა ჩვენია, თელავის მაზრაც, სადაც ეხლა მეც ვმუშაობ, ჩვენს პროგრამას უფრო ემხრობა, მაგრამ ძალიან შეუგნებლები არიან. სადაც არ მიხვალ, ყველგან იარაღს თხოულობენ, ისე კი, ყველაფერი საქმის დაწყება ეშინიათ. ჩვენ პარტიას ყველგან შეიარაღებული ხალხი ჰყავთ ცოტა თუ ბევრი, მაგრამ კარგ მოთავეებს ვერ ეხედავ ჯერ. შენ აქ ძრიელ საჭირო ხარ. შენ ხომ მითხარი, „შემატყობინე თუ წამოგყვება ასე 30 კაცამდის საბრძოლველად თავგადადებულებიო", ორი ათასიც გამოგყვება. კიდევ

---

54 გ. ლასხიშვილი, მემუარები, გვ. 205.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიმეორებ, რომ შენ აქ ძრიელ საჭირო ხარ, შენი მოგონება ძრიელ საჭირო არის. მე გიორგის (ლასხიშვილს — დ. შ.) ველაპარაკე და მითხრა დავიბარებო"[55].

მეორე უმნიშვნელოვანესი აქცია, რომელიც ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის სამხედრო ორგანიზაციამ განახორციელა, დუშეთის მაზრის ხაზინის რევოლუციური ექსპროპრიაცია იყო. მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად პარტიის მთავარმა კომიტეტმა უარი სთქვა ამ ოპერაციაზე, სამხედრო ორგანიზაციამ მაინც მოაწყო ექსპროპრიაცია.

1906 წლის 12 აპრილს სოციალისტ-ფედერალისტებმა დუშეთის მაზრის ხაზინის ექსპროპრიაცია მოახდინეს და 315 000 მანეთი გაიტაცეს. იმ დროისათვის ეს გრანდიოზული თანხა და დიდი მასშტაბის ექსპროპრიაცია იყო. საქართველოს სახელმწიფო ცენტრალურ საისტორიო არქივში ინახება იოსებ გედევანიშვილის მცირე მოგონება: „ექსპროპრიაცია (დუშეთის ხაზინის საქმე)", რომელიც ზოგიერთ ცნობას გვაწვდის ექსპროპრიაციის მონაწილეებისა და გარემოებათა შესახებ[56]. ექსპროპრიაციის იდეა პარტიის „მოანარქისტო" ასალგაზრდა წევრებში ჩასახულა. შესაძლოა დუშეთის ხაზინის ექსპროპრიაციას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ აქ მსახურობდა ფედერალისტური პარტიის წევრი მაზიტაშვილი. ტასო ვახვახიშვილმა, რომელიც ერთ-ერთი ფედერალისტური გაზეთის თანამშრომლად მუშაობდა, მოამზადა ყალბი ბრძანების ტექსტი დუშეთში მდგარი ნოვობაიაზეთის პოლკის მეთაურის პოლკოვნიკ დიკის სახელზე, რის საფუძველზეც, მთავარი სამხედრო შტაბის „ბრძანებისამებრ", დუშეთის მაზრის ხაზინის დარაჯობა ადგილობრივ სადარაჯო რაზმს უნდა გადაებარებინა თბილისიდან საგანგებოდ გამოგზავნილი რაზმისათვის. ბრძანებას „ხელს აწერდნენ" გენერალი ბერხმანი და განყოფილების უფროსი ანდრიევსკი.

---

55 ფოთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, გ. სიხარულიძის წერილი პ. ყიფიანისადმი, 1906 წ., 6 იანვარი.

56 ი. გედევანიშვილის მოგონება ამ 15 წლის წინ გაგვაცნო ქალბატონმა ლეილა ნანიტაშვილმა, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანება კოლა ყორღანოვმა გადასცა მცხეთის ბოქაულს. ამავე დროს თბილისიდან მცხეთას გაემგზავრნენ ფედერალისტთა პარტიის წევრები: ივანე და ილია თაქთაქიშვილები, ლეო კერესელიძე, კორნელი კასრაძე — ცნობილი ტერორისტი და ფედერალისტთა სამხედრო ორგანიზაციის წევრი, კოლა ალავიძე, დათუნაშვილი და ეტლის პატრონი ვ. ყიფიანი. ესენი სამხედრო ტანსაცმელში იყვნენ გამოწყობილნი და შეიარაღებულნი.

ი. გედევანიშვილი არაფერს ამბობს უშუალოდ გატაცების პერიპეტიების შესახებ. გატაცებული ფული ჯერ გედევანიშვილების ოჯახს ჩააბარეს, ხოლო შემდეგ ლადო ცაგარელს. უკანასკნელმა ფული ფედერალისტთა მთავარ კომიტეტს გადასცა. „ასე უმსხვერპლოდ, უდავიდარაბოთ მოხდა გრანდიოზული ექსპროპრიაცია“, — წერს ი. გედევანიშვილი.

„ექსპროპრიაციამ საზოგადოებაში პირდაპირ სენსაცია მოახდინა და თავზარი დასცა ადგილობრივ ადმინისტრაციას. დაფაცურდა მთელი თბილისის გუბერნიის პოლიცია, მოუყარეს თავი ჯაშუშებს, მაძებარ პოლიციის დაგეშილ აგენტებს, მაგრამ ვერ იქნა კვალს ვერ მიაგნეს. ძმებმა კერესელიძეებმა ექსპროპრიაციის მოხდენის რამდენიმე დღის შემდეგ გაჰკრეს თავი საზღვარგარეთ, შვეიცარიაში“. (გ. ლასხიშვილი).

კვალს მაინც მიაგნო პოლიციამ. ექსპროპრიატორების ძიება დაევალა ჟანდარმთა პოლკოვნიკ პ. მარტინოვს, რომელმაც ფულის გატაცებიდან ერთი თვის შემდეგ, დუშეთში დააპატიმრა გედევანიშვილი, ხოლო თბილისში ლ. ცაგარელი. დააპატიმრეს აგრეთვე დუშეთის ხაზინის მოსაჩსახურე მაზიტაშვილი, რომელიც „ბევრი აწვალეს, აწამეს, მაგრამ ვერაფერს ვერ მიაღწიეს“. მაზიტაშვილის შესახებ გედევანიშვილი მადლიერებით წერს, „მაგარი ამხანაგი იყო“.

აღმოჩნდნენ პროვოკატორებიც, რომლებიც, ალბათ, მთავრობის მიერ ექსპროპრიატორთა გამოსავლინებლად დაწესებულ თანხას — 10 000 მანეთს დაეხარბნენ, მაგრამ ხელისუფლებამ საბოლოო ჯამში მაინც ვერაფერს მიაღწია. სასამართლომ, რომელიც ექსპროპრიატორთა საქმეს არჩევდა, როგორც გედევანიშვილი იგონებს, „საქმე სცნო როგორც პოლიტიკური და კერესელიძეების წინააღმდეგ წამოყენებუ-

ლი ბრალდებანი არა საკმაოდ დასაბუთებულად. შვეიცარიის მთავრობამ კატეგორიული უარი განაცხადა კერესელიძეების გაცემაზე. სახამშრალი დარჩა მეფის მთავრობა: ვერც სამხედრო სასამართლოს გადასცა საქმე, სადაც აუცილებელი იყო ჩვენი დამნაშავედ ცნობა და სიკვდილით დასჯა და ვერც კერესელიძეები ჩაიგდო ხელში"[57].

საინტერესოა მოტივი, რის მიზეზითაც შვეიცარიის მთავრობამ უარი განაცხადა ძმები კერესელიძეების რუსეთისათვის გადაცემაზე. თავდაპირველად შვეიცარიის ხელისუფლებმა ლეო და გიორგი კერესელიძეები დაატუსაღეს. სასამართლოს უნდა დაედგინა რუსეთის მთავრობის მოთხოვნის კანონიერების საკითხი „დამნაშავეთა" გადაცემის შესახებ. სასამართლომ, ჩანს, საკითხი თავად ვერ გადაწყვიტა და რჩევა ბელგიელ მეცნიერს ერნსტ ნისს ჰკითხა. ეს უკანასკნელი საერთაშორისო სამართლის აღიარებული სპეციალისტი იყო. გავიხსენოთ, რომ სწორედ პროფესორ ნისს გადასცა ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალზე ვარლამ ჩერქეზიშვილმა „საქართველოს ხალხის მემორანდუმი". ნისმა ამგვარი პასუხი მისცა შვეიცარიის მთავრობას: მეფის რუსეთმა დაარღვია საქართველოსა და რუსეთს შორის დადებული 1783 წლის ხელშეკრულება და უკანონოდ გაბატონდა ამ ქვეყანაში. ამის გამო ქართველთა ყოველგვარი მოქმედება, რომელიც რუსეთის მთავრობის წინააღმდეგ იქნებოდა მიმართული, კანონიერი იყო და რამდენადაც იგი ქვეყნის განთავისუფლებას ემსახურებოდა, მაგალითად, ისეთი, როგორიც იყო „დუშეთის საქმე" — პოლიტიკურ აქტს წარმოადგენდა. ამდენად, კერესელიძეების გადაცემა რუსეთისათვის საერთაშორისო სამართლის ნორმების მიხედვით უკანონო აქტს წარმოადგენდა, რადგან ისინი სისხლის სამართლის დამნაშავენი კი არ იყვნენ, არამედ პატრიოტულ-რევოლუციური აქტის ჩამდენნიო, — ასაბუთებდა პროფესორი ერნსტ ნისსი. როგორც ალ. მუჯირი აღნიშნავს, „იმ დროს საერთაშორისო სამართალს მეტი ძალა ჰქონდა და შვეიცარიის მთავრობამ ძმები

---

57 იხ. გ ე დ ე ვ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, „ექსპროპრიაცია. (დუშეთის ხაზინის საქმე)", ხელნაწერი. გვ. 14.

აერესელიძეები... გაათავისუფლა. ისინი ჟენევაში დარჩნენ, ხოლო შემდეგ გაერთიანდნენ პეტრე სურგულაძის მიერ აქვე დაარსებული „საქართველოს დამოუკიდებლობის“ ჯგუფში. ლ. და გ. კერესელიძეები გახდნენ ჯგუფის მიერ გამოცემული ჟურნალის დაუღალავი თანამშრომლები“[58]. რაც შეეხება ექსპროპრიაციის მთავარ ორგანიზატორებს შტაბს-კაპიტან იოსებ გედევანიშვილს და ოფიცერ ლადო ცაგარელს, ისინი გაასამართლეს და ორ-ორი წლით ციხეში პატიმრობა მიუსაჯეს. ექსპროპრიაციის ზოგიერთი მონაწილე გადაასახლეს. მთავრობამ მაინც ვერ მიიღო მკაცრი ზომები ექსპროპრიატორთა მიმართ, როგორც ჩანს ისევ საერთაშორისო სამართლის ნორმების მეტ-ნაკლებად ანგარიშის გაწევის გამო.

რაც შეეხება გატაცებულ ფულს, სამხედრო ორგანიზაციამ მისი დიდი ნაწილი ფედერალისტური პარტიის თბილისისა და ქუთაისის კომიტეტებს გაუნაწილა, ნაწილი თვითონ გამოიყენა, ხოლო ნაწილი გატაცების მონაწილეებსაც არგუნა. გარკვეული ნაწილი, თუ გ. ლასხიშვილს ვერწმუნებით, გატაცების დროს დაკარგულა კიდეც. სწორედ ამ ფულით პარტიის მთავარმა კომიტეტმა საკუთარი სტამბა მოაწყო, სადაც იბეჭდებოდა გაზეთები და სხვა გამოცემები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის თბილისის კომიტეტს რევოლუციის პერიოდში გააჩნდა საიდუმლო სტამბა, როგორც ჩანს ვლადიმერ ლორთქიფანიძის ბინაში.

როგორც ცნობილია, მთავრობის მიერ განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ მიმართულ თეთრ ტერორს რევოლუციური პარტიები წითელი ტერორით პასუხობდნენ. საქართველოში არ არსებობდა პარტია ან ისეთი დაჯგუფება, რომლისთვისაც ბრძოლის მთავარი მეთოდი ტერორი ყოფილიყოს. მიუხედავად ამისა, რევოლუციური პარტიები ტერორს მიმართავდნენ განსაკუთრებით გამორჩეული რეაქციული პირების წინააღმდეგ. რევოლუციის პერიოდში საქართველოში წითელმა ტერორმა რამდენიმე მსხვილი რეაქცი-

---

58 ალ. მ უ ჯ ი რ ი, ასჩვიდმეტი წლის შემდეგ (ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა). ჟურნ. „მნათობი“, 1989 წ., № 6, გვ. 125.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ონერი იმსხვერპლა. პოლიციის დეპარტამენტის ერთ-ერთ ცირკულარში გესლიანად იყო შენიშნული, რომ ფედერალისტთა პარტიის „ცენტრალურ კომიტეტთან“ არსებულმა სამხედრო ორგანიზაციამ მოახდინაო „წვრილი ხულიგნური თავდასხმების მთელი რიგი“. მეტ-ნაკლებად სერიოზული ტერორისტული აქტებიდან აღნიშნული იყო გორის მაზრის უფროსის გუგუშვილის მკვლელობა 1907 წლის 15 მარტს.

1905 წლის 12 ივლისს ფედერალისტური პარტიის მთავარი კომიტეტის გადაწყვეტილებით მოეწყო თავდასხმა თბილისის პოლიცმეისტერ კოვალევზე, რომელიც, გ. ლასხიშვილის მოწმობით, „იმ ხანებში გულმოდგინედ სდევნიდა მუშებს“. მეორე დღეს კავკასიის პოლიციის უფროსი გენერალ-მაიორი შირინკინი მეფისნაცვალს მოახსენებდა, რომ 12 ივლისს დილის 8 საათსა და 40 წუთზე, ოლღას ქუჩაზე, ბომბი გადაუგდეს თბილისის პოლიცმაისტერს კოვალევს. პოლიცმაისტერმა რამდენიმე ჭრილობა მიიღო, მსუბუქად დაიჭრნენ მეეტლე და გამვლელები. თავდამსხმელი იყო მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი ლევან ალექსანდრეს ძე ხერხეულიძე. მან სცადა გაქცევა, მაგრამ კოვალევის მცველები დაეწივნენ და „საბრალო ახალგაზრდა ხმლებით მოჰკლეს“[59]. რაც შეეხება მძიმედ დაჭრილ კოვალევს, იგი გადარჩა და მეფისნაცვლის მიერ გადაყვანილ-დაწინაურებულ იქნა განჯის გუბერნატორად.

კავკასიის ადმინისტრაცია ქართველ ფედერალისტთა საზელს დაჟინებით უკავშირებდა კიდეც ერთ ტერორისტულ აქტს.

1908 წლის 20 მაისს თბილისში მოჰკლეს საქართველოს ეგზარქოსი ნიკონი. გ. ლასხიშვილი კატეგორიულად უარყოფს ფედერალისტთა მონაწილეობას რუსი ეგზარქოსის მკვლელობაში და ირწმუნება, რომ იგი მომზადდა და განხორციელდა ქართველი სამღვდელოების წრეებშიო. მკვლელობა, გამოჩენილი ფედერალისტი მოღვაწის აზრით, გამოწვეული იყო ქართველ სამღვდელოებასა და რუსეთის ადგილობრივ და ცენტრალურ სასულიერო ადმინისტრაციას შო-

---

[59] გ. ლასხიშვილი, მემუარები, გვ. 215.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის გამწვავებული ურთიერთობით. ქართველი სამღვდელოების მესვეურები იმხანად ენერგიულად იღწვოდნენ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის, რასაც, ცხადია, ეწინააღმდეგებოდა რუსეთის იმპერიის სინოდი.

რევოლუციური პარტიებიდან ერთადერთი, ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია, თანაგრძნობით ეკიდებოდა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობისათვის მიმდინარე ბრძოლას. „ცნობის ფურცელი“ ხშირად აქვეყნებდა მასალებს ეპისკოპოსების კირიონის, ამბროსის და ლეონიდის მოღვაწეობის შესახებ. თავად ფედერალისტთა პარტიაში საქართველოს ეკლესიასთან დამოკიდებულების თვალსაზრისით ორი პოზიცია არსებობდა. მცირე ნაწილი უარყოფდა ეკლესიის ავტოკეფალიისათვის მხარდაჭერის საჭიროებას. ამ თვალსაზრისს თითქოს იმით ასაბუთებდნენ, რომ სოციალისტურ და რევოლუციურ პარტიას ნაკლებად შეეფერებოდა საეკლესიო საქმეებში ჩარევა. ერთ-ერთ კრებაზე „ცნობის ფურცელს“ წინადადებაც კი მისცეს, თავი დაენებებინა ავტოკეფალიის საკითხზე წერილების ბეჭდვისათვის. მაგრამ ფედერალისტთა პარტიის ძირითადი ნაწილი მიიჩნევდა, რომ ქართული ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლა ეროვნული თავისუფლებისათვის საერთო ბრძოლის ეპიზოდი იყო და ამდენად აუცილებელი იყო ავტოკეფალისტთა მხარდაჭერაც. საკითხი იმდენად აქტუალური გახლდათ, რომ ფედერალურმა საბჭომ გადაწყვიტა მისი სპეციალური განხილვა პარტიის მომავალ კონფერენციაზე. მოხსენების მომზადება ეკლესიასთან დამოკიდებულების საკითხზე პარტიის თვალსაჩინო მოღვაწეს ვლადიმერ ლორთქიფანიძეს დაევალა.

ასეა თუ ისე, როგორც გ. ლასხიშვილი წერს, ნიკონის მკვლელობის „პირველ დღეებში ტფილისს ვიღაც პროვოკატორებმა ხმა გაავრცელეს, ეგზარქოსი ს.-ფედ. პარტიამ მოჰკლაო. ეს ნამდვილი ჭორი იყო: ჩვენს პარტიას არავითარი მონაწილეობა არ მიუღია სამღვდელოების მაშინდელ მოძრაობასა და საეკლესიო საქმეებში და ფიქრადაც არავის მოგვსვლია ამგვარ ტერორისტულ აქტის მოხდენა“[60]. ჩვენს

---

[60] გ. ლასხიშვილი, მემუარები, გვ. 264.

ეჭვს ფედერალისტი მოღვაწის კატეგორიული უარყოფა იწვევს, რომელსაც ხელოვნურობის ელფერი დაჰკრავს. თავად ეროვნული ბიბლიოთეკა მემუარისტი წერს, რომ ფედერალისტთა პარტიის ერთი ნაწილი ავტოკეფალისტურ მოძრაობას ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ერთ ეპიზოდად მიიჩნევდა და აუცილებლად თვლიდა მისთვის მხარდაჭერას. გარდა ამისა, ნიკონზე თავდასხმაც შეიძლება ფედერალისტთა პარტიის მთავარი კომიტეტისათვის დაუკითხავად მომხდარიყო, რაც არც თუ იშვიათად ხდებოდა რევოლუციურ პრაქტიკაში.

კავკასიის ადმინისტრაციას, რომელიც ამაოდ დაეძებდა რუსი ეგზარქოსის მკვლელს, მკვლელობა ქართველი ფედერალისტების ხელით მომხდარი ეგონა, თუმცა საამისოდ პირდაპირი სამხილი არ გააჩნდა. კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის განსაკუთრებული განყოფილებისა და პოლიციის დეპარტამენტის ერთ-ერთ ცირკულარში ვკითხულობთ: „მართალია, პარტიული განცხადება იმის შესახებ, რომ ეს საზიზღარი დანაშაული ჩადენილია სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის მიერ, არ არსებობს, მაგრამ თბილისის კომიტეტის არალეგალურ ორგანოში, 1908 წლის 8 ივლისის № 1-ში გამოქვეყნებული სტატია სათაურით „საქართველოს ეგზარქოსის ნიკონის მკვლელობის შესახებ“ ნათელ მითითებას იძლევა, რომ ეს დანაშაული სოციალისტ-ფედერალისტთა ხელითაა ჩადენილი“[61]. სამწუხაროდ, საარქივო საქმეში აღნიშნული წერილი ჯერჯერობით ხელთ არა გვაქვს. ამავე პერიოდში შედგენილი მეორე საარქივო დოკუმენტი იუწყება, რომ გავრცელებული ხმების თანახმად ეგზარქოს ნიკონის მკვლელი უნდა ყოფილიყო ვინმე ალექსანდრე (საშა) მარანელი, ალბათ გორის მაზრის გლეხი[62]. უადგილო არ იქნება აქვე გავიხსენოთ, რომ გორის მაზრა ქართველ ფედერალისტთა პარტიის გავლენის სფეროში შედიოდა.

რაც შეეხება ზემოაღნიშნულ თბილისის კომიტეტის არალეგალურ ორგანოს, რომელშიც ნიკონის მკვლელობის შე-

---

61 საქართველოს ცსსა, ფ. 156, ან. 3, ს. 49, ფურც. 67 (თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის თანაშემწის ფონდი).

62 საქართველოს ცსსა, ფ. 95, ან. 1, ს. 35, ფურც. 72.

სახებ წერილი დაიბეჭდა, უნდა ყოფილიყო გაზეთ „სოციალისტ-ფედერალისტი“, რომელიც 1908 წელს გამოსცეს ფედერალისტებმა, როგორც პარტიის „თბილისის კომიტეტის ორგანო“[63].

რევოლუციის პერიოდში ქართველი ფედერალისტები ძირითადად ე. წ. აგრარული ტერორის ტაქტიკას ადგნენ. პარტიის ადგილობრივ ორგანიზაციებთან შექმნილი „წითელი რაზმები“ არაიშვიათად თვითნებურ აქციებს მიმართავდნენ. ასე ხდებოდა სხვა პარტიათა პრაქტიკაშიც. სამხედრო ორგანიზაციის ავტონომიურმა მოქმედებამ ფედერალისტთა ხელმძღვანელობა აიძულა გადამწყვეტი ზომები მიეღო, რადგან ზოგიერთი თვითნებური აქცია პარტიას სახელს უტეხდა ხალხისა და საზოგადოების თვალში. მესამე კონფერენციამ სპეციალური რეზოლუციით აკრძალა აგრარული და საფაბრიკო (ეკონომიური) ტერორი. რაც შეეხება პოლიტიკურ ტერორს, ამ ზომისათვის მხოლოდ მაშინ უნდა მიემართათ, როცა მას „საზოგადოებრივი მნიშვნელობა“ ექნებოდა. ადგილობრივი მნიშვნელობის ტერორის საკითხი „ადგილობრივ კომიტეტებს“ უნდა გადაეწყვიტათ. რეზოლუცია კრძალავდა კერძო პირების ქონების ექსპროპრიაციას და მხოლოდ სახელმწიფო ქონების ექსპროპრიაციის საჭიროებას აღიარებდა. სპეციალური რეზოლუცია აუქმებდა „წითელ რაზმებს“, თუმცა ძალაში ტოვებდა სამხედრო ორგანიზაციას, რომლისთვისაც პარტიის ფედერალურ კომიტეტს წესდებაა უნდა შეემუშავებინა[64].

როგორც აღვნიშნეთ, ქართველი სოციალისტ-ფედერალისტები ცდილობდნენ ახლო ურთიერთობა და კავშირი ჰქონოდათ საქართველოში და რუსეთში მოქმედ ეროვნულ და რევოლუციურ პარტიებთან და ჯგუფებთან. განსაკუთრებით ახლოს იდგნენ ისინი რუსეთის ესერთა პარტიასთან. სწორედ ესერთა მხარდაჭერით ქართველი სოციალისტ-ფედერალისტები 1907 წელს II ინტერნაციონალის შემადგენლობაში შევიდნენ, როგორც ესერთა პარტიის ორგანიზაცია.

---

63 საქართველოს ცსსა, ფ. 153, ან. 1, ს. 3267, ფურც. 105.

64 საქართველოს ცსსა, ფ. 153, ან. 1, ს. 3267, ფურც. 233—234.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი სახალხო რევოლუციის პერიოდში ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა მოღვაწეობის მაგისტრალურ მიმართულებად საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიისათვის ბრძოლა რჩებოდა. რაც არ უნდა მნიშვნელოვანი ყოფილიყო მათს საქმიანობაში სოციალისტური ფრაზეოლოგია ან რევოლუციურ მოძრაობაში საკუთარი წვლილის შეტანა, უმთავრესი მიზანი, ირაკლი წერეთლის სიტყვები რომ გავიმეოროთ, იყო „მისი მუდმივი, შეუდრეკელი ლტოლვილება... ეროვნული ავტონომიისადმი“.

ფედერალისტი პუბლიცისტები ცდილობდნენ დაეცხროთ ქართველი სოციალ-დემოკრატების განუწყვეტელი იერიში ავტონომიის იდეის წინააღმდეგ. ფედერალისტთა პარტიის ცენტრალური ორგანოს „მეგობარის“ აზრით, ფედერალისტებსა და სოციალ-დემოკრატებს შორის უმთავრესი წინააღმდეგობა ავტონომიის საკითხში არსებობდა. მაგრამ, რამდენადაც მიმდინარე ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის მთავარი მიზანი თვითმპყრობელობის დამხობა იყო, „მეგობარი“ სოციალ-დემოკრატებს ურჩევდა დროებით მაინც უარი ეთქვათ ავტონომიის ფედერალისტური მოთხოვნის კრიტიკაზე. გაზეთის აზრით, ავტონომიის იდეა არ უნდა ყოფილიყო ქართული პარტიების განხეთქილების ვაშლი, რადგან რევოლუციის მიზანი ჯერ განხორციელებული არ იყო, ხოლო როდესაც მიაღწევდნენ ამ მიზანს — დაამხობდნენ არსებულ სისტემას, ამის შემდეგ უნდა გადაჭრილიყო ავტონომიის პრობლემა. „ნადავლის გაყოფაზე ზრუნვა ჯერ ნაადრეია“, — წერდა ფედერალისტი პუბლიცისტი, ვინმე „z“, — მაშ რატომ ვიბრძოლოთ იმაზე, რაც არ გაგვაჩნია? „ეშმაკები ხომ არა ვართ, ტიკები ვბეროთ, მაშინ, როცა ღვინო არსად არის“[65].

მიუხედავად სოციალ-დემოკრატთა მხრიდან წარმოებული პერმამენტული კრიტიკისა, ქართველ ფედერალისტებს ცდა არ დაუკლიათ ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის იდეის პროპაგანდისათვის.

---

65 გაზ. „მეგობარი“, 1906 წ., 24 ოქტომბერი.

1906 წლის გაზაფხულზე, განმათავისუფლებელმა მოძრაობამ დიდი გამარჯვება მოიპოვა — 8 აპრილს პეტერბურგში, თავრიდის სასახლეში მუშაობა დაიწყო პირველმა სახელმწიფო სათათბირომ. ქართულმა ეროვნულმა მოძრაობამ, კერძოდ, ფედერალისტებმა, სცადეს რუსეთის პარლამენტის ტრიბუნა, ავტონომიის პროპაგანდისათვის გამოეყენებინათ.

თავდაპირველად, ფედერალისტთა პარტიაში, სათათბიროს არჩევნებისადმი ბოიკოტისტურმა მიმართულებამ გაიმარჯვა. შემდეგში ფედერალისტებმა უარყვეს ბოიკოტის ტაქტიკა და ამას ორი მიზეზით ხსნიდნენ. ერთი ის იყო, რომ რუსეთში მიმდინარე არჩევნებში, მემარცხენე პარტიებისა და დემოკრატიული ძალების წარმომადგენლებმა წარმატება მოიპოვეს, რაც პირველი სათათბიროს ოპოზიციური ხასიათის საწინდარი იყო. მეორე მიზეზი კი ის გახლდათ, რომ ფედერალისტებს, როგორც თვითონ ამბობდნენ, სურდათ არჩევნებში თავიანთი მონაწილეობით ხელი შეეწყოთ მემარცხენე ძალების კანდიდატთა გაყვანისათვის. ასეა თუ ისე, ფედერალისტები მოგვიანებით ჩაებნენ საარჩევნო კამპანიაში, რომელიც ამიერკავკასიაში რუსეთთან შედარებით გვიან დაიწყო. ფედერალისტები საარჩევნო შეთანხმებით შეეკრნენ ქართველ ეროვნულ-დემოკრატთა და რადიკალების პარტიებს. 1906 წლის 6 მაისს გაზ. „შრომაში“ გამოქვეყნდა ამ პარტიების „ცენტრალური საარჩევნო კომიტეტების“ მოწოდება. ეს იყო საარჩევნო პლატფორმა, რომელიც 4 პუნქტს შეიცავდა: 1. იმ განსაკუთრებული კანონების გაუქმება, რომლებითაც მთავრობამ შეზღუდა 1905 წლის 17 ოქტომბრის „მანიფესტით“ გამოცხადებული თავისუფლებანი; 2. პოლიტიკური პატიმრების ამნისტია; 3. სიკვდილით დასჯის გაუქმება და 4. დამფუძნებელი კრების მოწვევა, რომელიც უზრუნველყოფდა „ნამდვილი კონსტიტუციის შემოღებას და ყველა დაჩაგრულ ერებს მიანიჭებდა ფართო პოლიტიკურ თვითმმართველობას“.

პირველი სათათბიროს არჩევნებში, საქართველოში, როგორც ცნობილია, სოციალ-დემოკრატებმა შთამბეჭდავი გამარჯვება მოიპოვეს, კერძოდ, მენშევიკმა სოციალ-დემოკრატებმა. 2 ივნისს თბილისის სადგურიდან ამომრჩევლებმა რე-

ვოლუციური სიმღერებით გააცილეს ნ. ჟორდანია და ი. რამიშვილი. „ჩვენ ბევრი მოვითმინეთ, მაგრამ ბოლოს და ბოლოს გავიმარჯვეთ, — მიმართავდა ამომრჩევლებს ისიდორე რამიშვილი, — ჩვენი პლატფორმა უნდა იყოს დამფუძნებელი კრება, რომლის გარეშეც შეუძლებელია მშვიდობა და წესრიგის დამყარება“[66]. გაზეთ „შრომის“ სპეციალური კორესპონდენტი მალაქია ბოლქვაძე, რომელიც ამავე დროს იყო რუსეთის სათათბიროს პრესის ბიუროს თავმჯდომარე, გაზეთის მკითხველებს აუწყებდა, რომ თავრიდის სასახლეში „დიდის მოუთმენლობით“ მოელოდნენ ქართველ დეპუტატებს, რომლებიც 8 ივნისს გამოჩნდნენ პირველად სათათბიროს კულუარებში. მეორე კორესპონდენციაში მ. ბოლქვაძე აღნიშნავდა: „საზოგადოდ, ქართველების ჩამოსვლამ სათათბიროს ახალი ელემენტი შესძინა, შეჰმატა... ორი დღეა რაც ჩვენები ჩამოვიდნენ, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, გაისმის თუ არა რაიმე მკაცრი ხმა დეპუტატთა ადგილიდან, ყველანი იქით იცქირებოდნენ, სადაც ჩვენები სხედან“[67].

არჩევნებში გვიან ჩაბმულმა სოციალისტ-ფედერალისტებმა მაინც მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს — ქართველ დეპუტატთა შორის ერთი ფედერალისტური პარტიის წევრიც გაიყვანეს. ეს გახლდათ ცნობილი ადვოკატი და საზოგადო მოღვაწე იოსებ ალექსანდრეს ძე ბარათაშვილი (1874—1940). ი. ბარათაშვილი გაღარიბებულ ქართველ თავადთა ოჯახში იყო დაბადებული. 1895 წელს მან თბილისის მეორე გიმნაზია დაამთავრა, სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. თბილისში ვექილობის დროს პოლიტიკურ საქმეებზეც გამოდიოდა დამცველად, მაგალითად, არსენ ჯორჯიაშვილის საქმეზე და სხვ. ფედერალისტებს თავიანთი კანდიდატის პრინციპულობის და კარგი ორატორული მონაცემების გამო იმედი ჰქონდათ, რომ ი. ბარათაშვილი მოახერხებდა რუსეთის იმპერიის პარლამენტში საქართველოს ავტონომიის საკითხის დასმას. საინტერესოა,

---

66 საქართველოს ცსსა, ფ. 83, ან. 1, ს. 160, ფურც. 89.

67 გაზ. „შრომა“, 1906, 10 ივნისი, მალაქია ბოლქვაძე, „ხმა პეტერბურგიდან (პარლამენტის კულუარებში)“.

რომ პირველი სათათბიროს ფედერალისტ-დეპუტატს, სოციალ-დემოკრატი ავტონომისტების ნიკო ეგვიტიშვილისა და პ. ქურხულის მილოცვა მიუვიდა. ისინი იმედს გამოთქვამდნენ, რომ ბარათაშვილი, როგორც წევრი სოციალის-ფედერალისტთა პარტიისა, „თავგანწირულათ და მედგრათ მოითხოვდა ბედშავ ქართველ ხალხის პოლიტიკურ-სოციალური საკითხის ჯეროვნად გადაწყვეტას“[68].

მაგრამ ი. ბარათაშვილის მდგომარეობა მძიმე იყო. ქართველი სოციალ-დემოკრატი დეპუტატები საერთო-საიმპერიო და პარტიული პრობლემებით იყვნენ დაკავებულნი და საქართველოს ავტონომიის საკითხის დასმა და მხარდაჭერა მათს გეგმებში არ შედიოდა. „მით უფრო მძიმეა მისი მდგომარეობა, — აღნიშნავდა ფედერალისტური პრესა ი. ბარათაშვილის შესახებ, თუმცა იმედს არ კარგავდა, — მაგრამ იქ, პეტერბურგში, რომლისკენაც ამჟამად ჩვენი თვალი და ყურია მიპყრობილი, მას დახვდება ძლიერი დასი სხვა ერთა წარმომადგენლებისა, რომელთან ერთადაც იგი დაიცავს ჩვენი ერის ადამიანურ უფლებებს“[69].

ფედერალისტები სხვა ერთა წარმომადგენლების ძლიერ ლასში გულისხმობდნენ „ავტონომისტთა კავშირს“ — ავტონომისტთა საპარლამენტო ფრაქციას, რომელიც I სახელმწიფო სათათბიროში შეიქმნა. მასში შედიოდნენ პოლონეთის, უკრაინის, ბალტიისპირეთის, სომხეთის, რუსეთის მაჰმადიანთა წარმომადგენელი დეპუტატები, სულ 63 კაცი. ავტონომისტთა ფრაქცია მხარს უჭერდა რუსეთის იმპერიის ფართო დეცენტრალიზაციას და ამზადებდა ამ საკითხის დასმას სათათბიროში. ფრაქციის თავმჯდომარე იყო მოსკოველი ვექილი ლედნიცკი. პეტერბურგში ჩასვლისთანავე ავტონომისტთა ფრაქციას შეუერთდა და აქტიურად მონაწილეობდა მის საქმიანობაში ი. ბარათაშვილი. ქართველი დეპუტატი არჩეულ იქნა ფრაქციის აგრარულ კომისიაში, რომელიც კანონპროექტის ისეთი ვარიანტის გამომუშავებას ცდილობდა, რომელშიც გათვალისწინებული იქნებოდა იმპერიის ეროვნული

---

68 „შრომა“, 1906 წ., 4 ივნისი.

69 გაზ. „შრომა“, 1906, 3 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხარეების თავისებურებანი. ავტონომისტთა ფრაქციამ ჩამოყალიბებისთანავე შეიმუშავა თავისი საპარლამენტო საქმიანობის პლატფორმა, რომლის მესამე პუნქტშიც აღნიშნული იყო: „ავტონომისტთა კავშირის საპარლამენტო ფრაქციას აუცილებლად მიაჩნია სახელმწიფო მმართველობის სრული დეცენტრალიზაცია. ეს დეცენტრალიზაცია უნდა მოხდეს დემოკრატიულ საწყისებზე და რუსეთის სახელმწიფოს ძირითადი კანონით დამყარებული ცალკეული ოლქების ფართო ავტონომიის პრინციპის საფუძველზე“[70].

1906 წლის 18 ივნისს გაზეთმა „შრომამ“ ქართველ საზოგადოებას გააცნო იოსებ ბარათაშვილის მიერ პირველ სახელმწიფო სათათბიროში წარმოთქმული სიტყვის შინაარსი. ქართველმა დეპუტატმა თავისი სიტყვა დაიწყო იმპერიის იუსტიციის მინისტრის მიერ გამოთქმული მოსაზრების კრიტიკით, რომელმაც გაამართლა ორი მცირეწლოვანი ყმაწვილის სამართალში მიცემა. მინისტრმა ფაქტი სამხედრო წესდების 279-ე მუხლით დაასაბუთა, რომელიც მხოლოდ იმას ამბობდა, რომ დამნაშავე სიკვდილით უნდა დასჯილიყო. მაშ, იმპერიის მინისტრი სიკვდილით დასჯას უჭერდა მხარს, რომლის გაუქმებასაც ენერგიულად ცდილობდა პარლამენტის დემოკრატიული უმრავლესობა. ი. ბარათაშვილის სიტყვით, „სასამართლო და მოხელეები“ არსებულ კანონებს ფეხქვეშ თელავდნენ. ასე იყო რუსეთში, მაგრამ მათ კავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში ესეც არ იკმარეს. ადმინისტრაციამ საქართველოში ისეთი ზომები შემოიღო, რომელთა გამართლება არ შეიძლებოდა „არც კანონით, არც სინდისით და არც სხვა რაიმეთი“. აქ, ქართველი დეპუტატის სიტყვით, საქმე არ მიჰყავდათ სასამართლომდე, გამოძიებამდე ან სტუსაღომდეც კი, არამედ პირდაპირ ხოცავდნენ. მთავრობის ერთადერთი „კანონი“ საქართველოში იყო ცეცხლი და მახვილი. ამის შემდეგ ი. ბარათაშვილს მოჰყავდა მეფის ადმინისტრაციისა და შავრაზმელთა მიერ საქართველოში ჩადენილი რბევა-აწიოკების ფაქტები, გურიაში ალიხანოვის ექსპედიციის დამსჯელი საქმიანობა და სხვ. დასასრულს, ი. ბა-

---

70 Государственный Совет, 1906—1907, с. -П, 1907 г., с. 135.

რათაშვილი მიესალმებოდა რუსეთის პირველი პარლამენტის წარმომადგენლებს და უსურვებდა ნაყოფიერ მოღვაწეობას „მთელს იმპერიის და სხვა ხალხის საკეთილდღეოდ“[71].

როგორც ვხედავთ, ამ სიტყვაში და შემდეგაც ქართველ ფედერალისტთა დეპუტატს საქართველოს ავტონომიის საკითხი არ დაუსვამს. საამისოდ შესაბამისი მოსამზადებელი მუშაობა იყო ჩასატარებელი. მალაქია ბოლქვაძე იგონებს კიდეც, რომ „ქართველთა მინდობილობით ლედნიცკიმ ჩვენების ჩამოსვლამდის პარლამენტის კომისიაში შეიტანა განცხადება საქართველოს ავტონომიის შესახებ“[72]. მაგრამ ეს იყო და ეს. პირველმა სათათბირომ ორი თვის მუშაობის შემდეგ, 1906 წლის 8 ივნისს არსებობა დაასრულა. II და III სახელმწიფო სათათბიროებში ფედერალისტებს თავისი კანდიდატი არ ჰყოლიათ. ფედერალისტებმა ავტონომიის საკითხის დაყენება რუსეთის პარლამენტში პირველი სათათბიროს მოწვევიდან 6 წლის შემდეგ შეძლეს, როცა მეოთხე სათათბიროს სოციალისტ-ფედერალისტმა დეპუტატმა ვარლამ გელოვანმა 1912 წელს იმპერიის პარლამენტს აუწყა, რომ საქართველოს ჰქონდა კანონიერი უფლება მოეთხოვა ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომია.

1909 წელს „დროებაში“ დასტამბული წერილების სერიაში „შეთანხმების იმედი“ არჩილ ჯორჯაძე ერთგვარად აჯამებდა ქართველ ფედერალისტთა მიერ წარმოებულ ბრძოლას ეროვნული ავტონომიისათვის, აანალიზებდა ამ ბრძოლის გაკვეთილებს, გამოცდილებას, პერსპექტივებს. ფედერალისტთა ლიდერის აზრით, საქართველოს ავტონომიის იდეის გამარჯვებას ჩვენს ქვეყანაში ხელს უშლიდა ორი გარემოება: შეუთანხმებლობა საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ძალებს შორის და თვით ავტონომიის საკითხის შე-

---

71 გაზ. „შრომა“, 1906, 18 ივნისი. (ი. ბარათაშვილის შესახებ იხ. გ. ს ა ი თ ი ძ ი ს წერილი: „ბედშავი ქართველი ხალხის“ ინტერესების დამცველი. იოსებ ალექსანდრეს ძე ბარათაშვილი. ჟურნ. „საისტორიო ვერტიკალები“. 1991. № 1.).

72 ჟურნ. „განათლება“, 1908, მალაქია ბ ო ლ ქ ვ ა ძ ე, ახლო წარსულიდან, გვ. 125.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უსწავლელობა, მასზე ობიექტური წარმოდგენის არქონა. მას შემდეგ, რაც ავტონომიის საკითხში ქართული საზოგადოებრივი სინამდვილე ამ ორ ბარიერს გადალახავდა, მის განხორციელებას გადაეღობებოდა მესამე დაბრკოლება — რუსეთის იმპერიის პოლიტიკური სისტემა.

არჩილ ჯორჯაძემ პოლიტიკური მოაზროვნის სიბრძნით იწინასწარმეტყველა ქართველი სოციალ-დეოკრატიის თანდათანობითი შემობრუნება ეროვნული იდეისაკენ, კერძოდ კი — საქართველოს ეროვნული ავტონომიის აღიარებისაკენ, რომელიც ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის პირველი საფუძველი უნდა ყოფილიყო. პირველი რევოლუციის დამარცხებამ ზოგი რამ შეგვძინა, წერდა სოციალიზმ-ფედერალიზმის იდეოლოგი, „რ ე ვ ო ლ უ ც ი ი ს ლ ი კ ვ ი დ ა ც ი ი ს შ ე მ დ ე გ ხ ა ნ ი დ ა ნ ი წ ყ ე ბ ა ქ ა რ თ უ ლ ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს გ ა მ რ თ ე ლ ე ბ ი ს ს ა ქ მ ე“ (ხაზგასმა არჩ. ჯორჯაძისეულია — დ. შ.). ქართველი სოციალ-დემოკრატიას რყევა ეროვნულ საკითხში, მისი დაძვრა ეროვნული პრობლემის ახალი შეფასებისაკენ, „იმედს არ გვიკარგავს ქართულ საზოგადოების გამომთელებისა და მის ნაწილების მიახლოვების შესახებ“[73]. შემდგომმა ათწლედმა, განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობის, მსოფლიო ომის, სოციალურ, პოლიტიკურ და ეროვნულ შეჯახებათა ფონზე მიმდინარე ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელმა ბრძოლამ, რომელიც ქართული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენით დაგვირგვინდა, დაადასტურა არჩილ ჯორჯაძისეული „შეთანხმების იმედის“ საფუძვლიანობა.

ერთი რამ ცხადია. აქ არჩილ ჯორჯაძის ერთი ნათქვამის პერიფრაზირებას გვინდა მივმართოთ, რომელიც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ. ვინც რა უნდა თქვასო, წერდა ჯორჯაძე ქართველი მარქსისტების შესახებ, მხოლოდ მათ ერთი უტყუარი დამსახურება სამუდამოდ შერჩებათ. ისინი მივიდნენ მუშებთან, დარაზმეს ისინი და აამოძრავეს. ვინც რა უნდა თქვას, — აღვნიშნავთ ჩვენც, — მხოლოდ, ქართველ სოცი-

---

73 არჩ. ჯ ო რ ჯ ა ძ ე, თხზულებანი, წიგნი პირველი, ეროვნული პრობლემის გარშემო, ტფილისი, 1911, გვ. 271.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალისტ-ფედერალისტებს ერთი უტყუარი დამსახურება სამუდამოდ შერჩებათ. ისინი მივიდნენ ქართველ საზოგადოებასთან, დარაზმეს, აამოძრავეს და საქართველოს ეროვნული ავტონომიის იდეის დაუღალავი ქადაგებით, ეროვნული დროშის ქვეშ მის კონსოლიდაციას მტკიცე საფუძველი ჩაუყარეს. შემდგომში შესაძლებელი გახდა საქართველოს ავტონომიისათვის ბრძოლა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უმაღლეს ეტაპზე — ეროვნულში დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში გადაზრდილიყო. ამ ბრძოლაში ქართველმა სოციალისტ-ფედერალისტებმა უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანეს.

วัดศรีวิชัย
องค์การบริหารส่วนตำบลศรีวิชัย